

გოგი გზელიანი

ჩემი  
პირველი წიგნი

II

გოგი გაბლიანი  
**Givi Gabliani**

ჩემი  
მოგონებანი

(მეორე მსოფლიო ომი)

**My Memories**

(II World War)

**DJOBADZE'S  
LIBRARY**

გამომცემლობა „ლომის“

და

ქუთაისის გ. ტაბიძის სახ. ს/ს „სტაპის“

საგამომცემლო ცენტრი

ქუთაისი

2000

გივი გაბლიანის „ჩემი მოგონებანი“-ს (მეორე მსოფლიო ომი) პირველი ტომი ამ თრიოდე წლის წინათ გამოვიდა. ამ წიგნით კი სრულდება ამ მეტად სანტერესო და სანდო ისტორიული წყაროს, შესანიშნავი შემუარული თხზულების პუბლიკაცია.

ვფიქრობთ, ქართული დოკუმენტური პროზის ამ ბრწყინვალე ნიმუშს ინტერესით გაეცნობა მკითხველი.

The first volume of Givi Gablianis "My Memories" (II W.W.) was published two years ago. By publishing this Book the very interesting, real historical sources and the perfect essays publication is completed.

This excellent documental work will certainly be very interesting for the Readers.

რედაქტორი როსტომ ჩხეიძე

გამომცემლობის

რედაქტორი ელგუჯა თავაძე

© გამომცემელი მიხეილ რეხვიავშილი—ჭუთაისის იონანე კატრიწის სახელობის უნივერსიტეტის რედაქტორი, პროფესორი

მთარგმნელი ნინო ქაჯაია

მატყარი ირაკლი ფარულია

DIORADZE'S  
LIBRARY

ISBN 999228-46-30-5



## გამომცემლისაგან

გივი გაბლიანის შესახებ ჩემს ბავშუობაში ლექგენდები დადიოდა.

თითქოს უცხოელის ზანზორტით საქართველოში ფარულად ჩამოსულა, წასტუმროში გაუთევია ღამე, შემდეგ სვანეთში დედა უნახავს, მაგრამ არ გამოძენაურებია, როგორც უცხოელი, ისე შეხვედრია და უკან გაბრუნებულა ისევ.

უშიშროებას სასტუმროს ჰერსონალი აუწიოკებია--„ჩვენი ქვეყნის მოღალატე“ როგორ ვერ იცანითო.

ასეთ ზღაპრულ ამბებს ხშირად მოისმენდით ომისშემდგომ პერიოდში გივი გაბლიანზე, რაც ამ ჰიროფნების სიმღიერეს, დიდ ავტორიტეტსა და ზოპულარობას ადასტურებდა.

გივი გაბლიანის ძალაღი შეგნება, ჰირუთვნელობა, საქართველოსადმი უსაზღვრო სიუვარული კიდევ ერთხელ გაბრწყინდა მისი მოგონებების გაცნობით. ვინც ამ წიგნებს გულდასმით წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ საქმე არა მარტო შესანიშნავ მთხრობელთან, არამედ მოვლენათა ქართული, ეროვნული ზოზიციიდან შემფასებელთანაც გვაქვს. აქ ჰირუთვნელობას, ობიექტურ განსჯა-გაზრებას მაქსიმალური უურადლება ექცევა--ეს არაა ჰარტიული, ვიწრო ჰოლიტიკური ჩარჩოების თვალთახედვით შექმნილი წიგნი. იგი ნიმუშად გამოადგება არა მარტო ემიგრანტებს, ჩვენს ძალაღჩინოსან ელიტასაც--ცალმხრივ რომ ჭრიან და კერავენ ხშირად.



მზის სინათლეზე თანდათან ჩნდება ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედ-  
 კულმანობით უცხოეთში გადახვეწილთა წიგნები. გაბლიანის „ჩემი  
 მოგონებანიც“ ასეთია სწორედ. იგი მემუარული მწერლობის შესანიშ-  
 ნავი ძეგლია. ამგვარ წიგნთა საშუალებით უნდა აღვადგინოთ ჩვენი  
 რთული, მრავალმხრივი წინააღმდეგობებით დაღდასმული ქვეყნის ის-  
 ტორია. XX საუკუნე საქართველოსა შემსწავლელ მკვლევარს ელის,  
 რომელსაც საოცრად გაუჭირდება გაბლიანისა და მის მსგავს წიგნთა  
 გარეშე დაასურათსატოს ქვეყნის ზუსტი სურათი იმიტომ, რომ გაბლი-  
 ანის წიგნი მნიშვნელოვანი წყაროა--შესაშური სრულყოფილებით წარ-  
 მომჩენი ეოველივესი.

გივი გაბლიანი ბედისწერამ გერმანელთა ტყვე განადა. მას არასდროს  
 დაუშორებია ერთმანეთისაგან ფაშიზმი და ბოლშევიზმი, ეოველთვის იდენ-  
 ტური განსლდათ ეს ორი „შავი ჭირი“ მისთვის, მსოფლმხედველობრი-  
 ვად ვერც ერთს ვერ იტანდა, მაგრამ თავისი ქვეყნის ინტერესების ერ-  
 თგულება აიძულებდა ეოფილიეო გერმანიაში, შექმნილი სიტუაცია  
 შეძლებისდაგვარად გამოეყენებინა ისევე ტყვე ქართველთა და მშობელი  
 ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

გივი გაბლიანს მუდამ ანსოვდა და წუნდა ბოლშევიკური რუსეთისა-  
 გან დამონებულ საქართველოზე. ეს ჰოზიცია ნათლად და აშკარად  
 იკითხება მის მოგონებებში და რაც მთავარია, ეს არაა ისეთი ჰიროვ-  
 ნების განცდა და წუნილი, სიმართლეში რომ ეჭვი შეგეზაროს, არ  
 დაუჯერო. ამ მხრივაც ეს წიგნი მართლაც გამორჩეული და საგულისხმოა.  
 აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გ. გაბლიანს, მის მოქმედებას არაერთი ქარ-  
 თველი გადაურჩენია, სიცოცხლე შეუნარჩუნებია მრავალი ტყვისათვის,  
 საქართველოს სიუვარული და მისი ინტერესებისათვის ერთგულება ჩაუ-  
 ნერგავს. ესაა კაცი, უცხოეთის ცისქვეშ მეოფ ქართველებს რომ ომის  
 მნელბედობის წლებში იმედის ნაწერწკალი ჩაუსახლა გულებში, გა-  
 დარჩენისა და მშობელი ქვეყნის უკეთესობის სურვილი აუკიაფა სამოქ-  
 მედოდ და საანწარესოდ.



მოდით, თვალნათელი გავხადოთ მოვლენების გაბლიანისეული შედეგები და ამისთვის რამდენიმე ადგილი გავიხსენოთ წიგნიდან. აი, რას წერს გივი გაბლიანი ქართული ემიგრაციის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით: „მე კარგი გაკვეთილი მივიღე ზოგიერთი ჩვენი ძველი პოლიტიკური ლიდერის შესახებ, რომლებიც გაბრაზების ქაშს „ჭირვეული ბავშვებით“ იქცეოდნენ, მაგრამ არსებითად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გულის სიღრმეში მაინც უუვარდათ ერთმანეთი და ურთიერთშორის დანხარებისა და პატივისცემის ატმოსფერო სუფევდა“. როგორი მოხომილი, საოცარი ტაქტითა და სიფრთხილით დაწერილი სტრიქონებია, ასე წერა მხოლოდ პროფესიონალებს ძალუძოთ, კაცთმოყვარე, დიდბუნებოვან ადამიანებს შეუძლიათ მტრები მოყვრებად აქციონ, სულმოკლეებს კი--პირიქით.

აი, გაბლიანის კიდევ ერთი შეგონება:

... „მიიღე ისინი (კვლავ ქართული ემიგრაციის წევრებზეა საუბარი, მ.რ.), როგორებიც იყვნენ და მათ გაკრიტიკებამდე გახსოვდეს, რომ გვერდიდან უურება უოველთვის უფრო იოლია, ვიდრე მოვლენის აღქმა მაშინ, როდესაც ის ხდება. ეს არ არის ცუდი რჩევა იმ ახალგაზრდა ისტორიკოსისათვის, რომელიც დაპირებს პოლიტიკური ემიგრაციის „სიკვდილის შემდგომი გაკვეთა“ მოახდინოს.“

ამ სტრიქონებში მართლაც რომ ბევრი აზრია ჩაწნეხილი, იგი იმდენად ტკეპლია (ასეთია, საერთოდ, გ. გაბლიანის სტილი, მ.რ.), რომ უოველ სიტუვას ჩაღრმავება სჭირდება. თუნდაც ის აზრი რად ღირს, რომ მოვლენათა მიმდინარეობისას მისი განსჯა გამხელებული კი არა, სძირად შეუძლებელიცაა. ამიტომ გვეუბნება ავტორი, რომ საჭიროა დისტანცია, რაღაც ინტერვალთა მათი სრულფასოვანი აღქმისა და გააზრებისათვის. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გაბლიანი ჭკმალიტ რჩევას აძლევს ისტორიკოსებს, ურჩევს მათ, ნუ აპყვებიან ჭორებს, ნუ დაიწყებენ ქექვას ათასგვარი დაპირისპირების ასახსნელად, ახსოვდეთ, რომ დაპირისპირებულ თუ სამტროდ გადაკიდებულ, ქართული ემიგრაციის



ორივე თუ უფრო მეტ, ჰარტიულად დაწაწალიკებულ მხარეებს შექმნილი სიუვარულით უკვარდათ მამული თვისი. სწორედ ეს უნდა იყოს, ავტორის აზრით, მათი მსოფლმხედველობის შეფასების ქვაკუთხედი და ამოსავალი წერტილი.

მკითხველი დამერწმუნება, გივი გაბლიანს საოცრად რთული, ლაბირინთოვანი ცხოვრება არგუნა ბედისწერამ. წარმოიდგინეთ, ომის წლებში იღვაწო გერმანიაში, შემდეგ ნაცისტთაგან ოკუპირებულ საფრანგეთში... მრავალი ამდაგვარი რამ არ უნდა ეოფილიყო იოლი და ჩვეულებრივი ხეიერი. გივი გაბლიანმა მართლაც რომ საოცრად გაართვა თავი ამ უჩვეულო მდგომარეობას, გაართვა კი არა, მისი საქვეურო ინტერესებისათვის გამოყენება სცადა, ისტორიის ვეშაშების მიერ დატრიალებული სასაკლავოს კულისებში საქართველოს ინტერესების ამოკითხვა განიზრანა და ბევრი რამ შეძლო კიდეც. ამიტომაც გივი გაბლიანი ფართო მასშტაბის, ღრმა აზრებისა და დიდი ჰორიზონტის პოლიტიკური მოაზროვნე. დიდებული სუხიშვილებისაგან გამიგონია: რომში გასტროლების დროს, კონცერტის დაწეებადღე, დარბაზში მქუხარე ტაშით შეხვდნენ ვილაცას, გავიხედეთ და გაირკვა, რომ ამერიკიდან საგანგებოდ კონცერტისათვის ჩამოფრენილ გივი გაბლიანს ესაღმებოდა მაუურებელიო. ასეთი სიუვარულით ხვდებოდნენ და აფასებდნენ მას ჩვენი ემიგრანტები, საქართველოში კი, კომუნისტების ჰარზაშის ჟამს, მისი ხსენება ქვეყნის სიმულვილის ტოლფასად აღიქმებოდა, მოღალატედ იყო შერაცხული და მის გამხსენებელსაც გარანტირებული ჰქონდა ამგვარი იარლიყი.

გივი გაბლიანსა და მის წიგნზე უფრო ვრცლად შეიძლება საუბარი, რადგან ეოველი სიტევა და წინადადება, როგორც აღვნიშნე, საფიქრალად განაწეობს კაცს, მითუმეტეს მას, ვისაც ქვეყნის ისტორიის რამე გაეგება, უფიქრია და უოცნებია იმ ჟამის დადგომასე, ქართველი ემიგრანტების ნაზრევი მხის სინათლეს რომ იხილავდა და ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორია დაიწერებოდა.



არ შეიძლება უდიდესი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ამ რეკაში მცხოვრები დიდი ქართველი მამულიშვილი გივი სალდასტანიშვილი, ისიც გაბლიანის ბედისწერის მსგავსი ჰიროვნება. მამამისი, სოლომონ სალდასტანიშვილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, გაექცა საბჭოთა ხელისუფლებას და უცხოეთში დამკვიდრდა. სწორედ გივი სალდასტანიშვილმა ჩამოიტანა გივი გაბლიანის „ჩემი მოგონებანი“ საქართველოში, თვითონვე გადაიხადა ჰირველი ტომის თარგმნის ღირებულება, დანაზრები კი (I-II ტომის გამოცემა) ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით სორცეიდდება. გივი სალდასტანიშვილი და გივი გაბლიანი ასეთ მოპყრობას იმსახურებენ სწორედ, მათ ასეც უნდა მოექცეს დღევანდელი ქართველობა და მინდა ჩემი მცირეოდენი სულიერ-მატერიალური წვლილი საწეისი იეოს და მომავალმა თაობებმა საგზლად იგულონ ივი.

რომ არა გივი სალდასტანიშვილი (რომელთანაც დღეს უკვე ნაცნობობა კი არა, მეგობრობა მაკავშირებს), ვინ იცის, რამდენი წლით გადაიწვედა ამ წიგნის გამოცემა ქართულ სინამდვილეში. არადა, ეს სომ დიდად საინტერესო, მრავალმხრივ საეურადღებო ნაშრომი გახლავთ.

გივი გაბლიანმა ამ წიგნის წერა, ჰენსიაზე გასვლის შემდეგ, 1987 წლიდან დაიწყო და ვერ წარმოიდგენდა თუ ასე მოკლე ხანში, ისეთი ცვლილებები მოხდებოდა მსოფლიოში, რომ მისი გამოცემა სამშობლოში გახდებოდა შესაძლებელი. გივი გაბლიანი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს ცხოვრებას. მას ჰეავს სამი შვილი, სამივე ცხოვრობს და მუშაობს სენტ-ლუისში, (მისურის შტატი). გრეგორი იგნატიუს გაბლიანი, მედიცინის დოქტორი, კარდიოლოგია. მისი ცოლი დოქტორ ქაქლინ ლენგლი გაბლიანი ფსიქოლოგია. მათ ჰეავთ ორი შვილი--ხირა დივოლი 8 წლის და ალექსანდრა კი 4-ის.

ეთერ ბარბარა გაბლიანი ფსიქოლოგი აღმზრდელია. ის დანიშნულია დოქტორ ჯიმ ირვინზე, ვეტერინარზე.

დოქტორ ვერა აირინ გაბლიანი ფსიქოლოგია. ის დაქორწინებულია.  
დოქტორ ჯეიმს ფეინბერგზე, რომელიც ასევე ფსიქოლოგია.

გაბლიანის მეორე ტომის თარგმნის ხარჯები მისმა შვილებმა გაიღეს.  
მკითხველო, თქვენს წინაშეა გივი გაბლიანის „ჩემი მოგონებანის“  
მეორე ტომიც. პირველში მწერალი როსტომ ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ  
სადაც სამართალია, ჯობდა ერთ სქელტანიან წიგნად გამოგვეცა იგიო.  
მაგრამ, ვფიქრობ, ამითაც არაფერი დაშავებულა. პირველმა ტომმა  
მკითხველს ინტერესი გაუღვივა, მოლოდინის გრძნობა ჩაუნერგა და აი,  
ეს დღეც დადგა კიდევ ერთი ბრწვინვალე წიგნის დაბადება განსორცი-  
ელდა. სვალდინ რომ ჭეშმარიტი მკითხველის სწორ შეფასებასა და  
განსჯას ელოდება.

**მიხეილ რეხვიაშვილი**  
პროფესორი, ქუთაისის იოანე ზეკრიწის  
სახელობის უნივერსიტეტის  
რექტორი.

## თავი VII

### ყირიმის ბერმანიში გამგზავრება

დრეზდენის სამხედრო სკოლა ქართული

სამეცავშირო შტაბი—A მისია

1943 წლის ივლისის დამდეგს მდგომარეობა ყირიმში სტაბილური და დამაკმაყოფილებელი იყო, თუმც კურსკთან გერმანიისა და საბჭოთა მასირებულ ძალებს შორის ბრძოლა დაიწყო. ეს ადგილი საკმაოდ შორს იყო ყირიმიდან, მაგრამ მისი შედეგი, ცხადია, ყველაზე მოახდენდა გავლენას. კოკოსიში მივიღეთ „ალმოსავლეთ ჯარების“ გენერლის წერილი, რომელიც მე მეხებოდა. მწერდნენ, მენახა პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბერლინში, როდესაც დრეზდენის სამხედრო სკოლაში გავემგზავრებოდი.

რამდენადაც პროფესორი ობერლენდერიც შვებულებაში მიდიოდა, შემომთავაზა, ჯერ რამდენიმე დღე მის სახლში, გრეიფსვალდ-პომერანიაში გამეტარებინა და მისი ოჯახი გამეცნო. ამ მიწვევამ დიდად მასიამოვნა, თუმც მხოლოდ ორიოდ დღით თუ შევძლებდი მათთან ყოფნას, პროფესორ ფონ მენდესთან დანიშნული შეხვედრის გამო. ობერლენდერი და მისი „პარასკევა“, ისმაილი, აზერბაიჯანელი ჯარისკაცი და პროფესორზე გადაგებული მსახური, 12 ივლისს თვითმფრინავით გაემგზავრნენ. მე ჩემს ყველა მეგობარს გამოვემშვიდობე ყირიმში, კიდევ ერთხელ გავაჭენე „ნალჩიკი“ და თვითმფრინავში შემდეგი დღისათვის ვიშოვე ად-



გილი. გზაზე თვითმფრინავები რამდენჯერმე გამოვიცვალე და ამიტომ უამრავი დრო მქონდა ზოგიერთ რაღაცაზე ჩასაფიქრებლად.

სამხედრო სკოლაში არეული გრძნობებით შევდიოდი, ერთი მხრივ, ეს პრესტიჟული სამხედრო სასწავლებელი ინტერესს იწვევდა ჩემში. მეორე მხრივ, ჩემთვის ძნელი იყო „ბერგმანის“ 3,5 თვით მიტოვება, რადგან იქ ბევრი მეგობარი მყავდა. გარდა ამისა, ყირიმში ყოფნით, გეოგრაფიულად თითქოსდა უფრო ახლოს ვიყავი კავკასიასთან. ~~ჩვენ~~ იცის, რა მოხდებოდა ამ ხანში. დროდადრო ჩემი აზრები ფანტაზიაში გადაიზრდებოდა ხოლმე და ასე ვფიქრობდი: „გერმანიამ შეიძლება ომი ვერ მოიგოს, მაგრამ ალბათ წითელი იმპერიაც არ დარჩება მოგებული; იგი შეიძლება დაეცეს ზუსტად ისევე, როგორც ცარიზმი დაეცა პირველი მსოფლიო ომის დროს, და თუკი ეს ასე მოხდება, ჩვენ, „ბერგმანელ“ ჯარისკაცებს, ლეგიონერებსა და ტყვეებს სასწრაფოდ მოგვინევს შინ დაბრუნება, რათა ჩვენს ხალხს დავეხმაროთ, რადგან ერთხანს ქაოსი გამეფდება და ეს უამრავ პრობლემას წარმოშობს (დაახლოებით ისეთივეს, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამოვცადეთ)“.

ამ ომის დროს დაახლოებით ნახევარი მილიონი ჯანსაღი ქართველი გაიწვიეს წითელ არმიასში და რუსეთში უკრეს თავი. სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ამის გამო შეიქნა საქართველო უმწეო; ამიტომ ჩვენ ალბათ დაგვჭირდებოდა დასავლეთის სახელმწიფოებთან კავშირის დამყარება და მათი მხარდაჭერისა და დახმარების მოპოვება. შესაძლოა, გენერალ დე გოლის არმიასში მყოფმა ქართველებმაც შეგვანიონ სიტყვა.

გრეიფსვალდში შუადღისას ჩამოვედი. მოგზაურობას ორ დღეს მოვუნდი. პროფესორ ობერლენდერის სახლის მონახვა იოლი იყო ამ საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა. ქალბატონმა ერიკა ობერლენდერმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როგორც კეთილმა, გულისხმიერმა და ჭკვიანმა ქალბატონმა, რომელმაც თავი მთლიანად ოჯახს შესწირა. იგი პროტესტანტი პასტორის ქალიშვილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიიდან. მე დიდი პატივი მხვდა წილად და შესაძლებლობა მომეცა, შევხვედროდი მის მშობლებს ომის შემდეგ, რომ-

ლებიც იმ დროისათვის თვით შეიქნენ ლტოლვილები ალმონ-სავლეთ გერმანიიდან. ისინი აუგსბურგში, ბავარიაში და სახლდნენ და შეუერთდნენ ობერლენდერის ოჯახს. მიუხედავად მოკლე პერიოდისა, ძალიან სასიამოვნო იყო გრეიფსვალდში სტუმრობა. მალე დავუმეგობრდი ობერლენდერის სამ ვაჟს, მაგრამ ამ თვალსაზრისით ვერაფრით გავუნევედი მეტოქეობას ისმაილს (პროფესორის აზერბაიჯანელ მსახურს), რომელსაც უკვე დაეპყრო ბავშვების გული. თვალს ახარებდა ის კონტრასტი, რაც ისმაილის (თვალშისაცემად შავი რომ იყო) ქერა ბიჭებთან თამაშით იქმნებოდა. ეს სცენა ზღაპრების წიგნის ილუსტრაციას მოგვაგონებდა.

პროფესორი და მე დავსეირნობდით ქალაქში და მრავალ საჭირბოროტო თემაზე ვსაუბრობდით; განსაკუთრებით გვალელებდა „ბერგმანის“ მომავალი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამ ბატალიონად უნდა დაეყოთ. ობერლენდერმა შემომთავაზა, ეს პრობლემა წამომეჭრა საგარეო საქმეთა სამინისტროში პროფესორ ფონ მენდესთან შეხვედრის დროს და, შესაძლოა, იგი გარკვეულ დახმარებას გაგვინევედა თავისი კონტაქტების მეშვეობით. „ფონ მენდე,—თქვა მან,—ერთ-ერთი ჩვენთაგანია, ნამდვილი მეგობარი, რომელიც თავიდანვე იზიარებდა და მხარს უჭერდა არმიის მხრიდან აღმოსავლეთის ხალხებისადმი კეთილად მოპყრობის იდეას“. მრავალი წლის შემდეგ ნავაწყდი ციტატებს დოლინისა და ფონ ჰერვართის წიგნებში, სადაც ნახსენები იყო მენდე და დასტურდებოდა ამ პიროვნებაზე ობერლენდერის შეხედულება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> დოლინი და ჰერვართი ციტირებულია აშშ-ს ნაციონალური არქივიებიდან. დოკუმენტი 1615-7. ეს ეხება ინსპექტორთა კომისიის რაპორტს, ხოლო კომისიაში შედიოდნენ შულენბერგი და ჰფ. ლაიდერერი (საგარეო საქმეთა სამინისტროდან), კოსტრინგი და ჰერვართი (არმიიდან). კომისიამ გერმანიაში, 1942 წლის აგვისტოში, იმოგზაურა სხვადასხვა ბანაკში, სადაც ტყვეები იყვნენ ჩასახლებულნი და მონურად შრომობდნენ. კომისიამ წარადგინა ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო ბანაკების ცუდი ყოფა, ხოლო კომისიის სხდომას ნაცისტი ოფიციალური პირებიც ესწრებოდნენ. კომისიამ ხაზი გაუსვა იმ გეგმის აუცილებლობას, რომელიც ფედერალური და ავტონომიური კავკასიური სახელმწიფოების (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ჩრდილო კავკასია) ჩამოყალიბებას შეეხებოდა. თუმცა ამ გეგმით კავკასიაზე მეთვალყურეობა გერმანიას განაღებული ჰქონდა, ნაცისტების წარმომადგენელს ეს მაინც მეტისმეტად ლიბერალურად მოეჩვენა. მან ეჭვი აიღო და მოახსენა თავის ზემდგომ ორგანოებს, რომ კოსტრინგის მსგავსი სამხედრო მოხელეები საბჭოთა ეროვნებებისათვის „თავისუფლებას“ საკმაოდ ფართოდ აღიქვამდნენ და თითქმის სუვერენიტეტს პირდებოდნენ მათ.

„ყველაზე უარესი, რასაც ნავაწყდი, ეს იყო ჰერ ჰერვართის, ფონ ბიტენფელ-



როდესაც ძილის დრო მოვიდა, გავოცდით, რადგან ლამპის აუნთებლად შეგვეძლო ნაკითხვა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თეთრი ლამეები“ იდგა. იმ წუთამდე არ გვექონდა გაცნობიერებული, თუ ჩრდილოეთით რაოდენ შორს იმყოფებოდა გრეიფსვალდი. მე ბერლინიდან დილით 8 საათზე წამოვედი და საკმაოდ ადრე ჩავედი იქ, რათა დავსწრებოდი შუადღის შეხვედრას პროფესორ გერჰარდ ფონ მენდესთან, აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროფესორმა, იგი ძალიან ჭკვიანი, კულტურული, კარგად ინფორმირებული და დინამიური პიროვნება იყო,—დაჯილდოებული იუმორის დიდი გრძნობით.

ძირითადად გერმანულად ვსაუბრობდით, მაგრამ დროდადრო რუსულზე გადაერთვებოდა ხოლმე, განსაკუთრებით ძველი ანდაზების დამონძებებისას, როგორცაა: „ტერპი კაზაკ, ატამანომ ბუდეშ“ (მოითმინე კაზაკო და ატამანი გახდები). მენდეს მოთმინებით აღჭურვა ესაჭიროებოდა, რადგან კავკასიელთა უფლებების დაცვას ცდილობდა, იგი ხომ აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში შესაბამის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ბრძოლა ამ მიმართულებით აღმავალი გზით მიდიოდა და იმ წუთას პროფესორი გრძნობდა, რომ დრო მომწიფდა, რათა ყოველი კავკასიური ეროვნებისათვის ეფექტური ეროვნულ-წარმომადგენლობითი და სამუშაო ორგანიზაცია შექმნილიყო არაპარტიზანულ საფუძველზე. რაც შეეხება ქართველებს, შეიარაღებულ ძალებში მათი წარმომადგენელი ან სპიკერი უნდა ჩაერთოთ; საქმე ის არის, რომ ისინი არასოდეს ესწრებოდნენ წინა მსგავსი ორგანიზაციების შეკრებებს, რასაც მოგვიანებით გავაშუქებთ.

ზოგადად რომ ვთქვათ, ქართველთა „ახალგაზრდა თაობას“ უნდა დაეხარჯა გარკვეული ენერგია ამგვარ წამოწყებებზე, რადგანაც სულაც არ კმაროდა მხოლოდ კამათი პოლიტიკურ დოგმებსა და უფლებებზე. მენდემ გათვალა, იმ დროისათვის რომ არ გაკეთებულიყო მსგავსი რამ, საშიშროება იყო მოსალოდნელი, როგორც ლეგიონერებისა და ტყვეებისათვის, ასევე ქართველი მოქალაქეებისათვისაც. ამგვარი

დისა და აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი სხვა წარმომადგენლის განცხადება, განსაკუთრებით ბროტიგემისა და ფონ მენდესი, რომლებსაც იგივე აზრი აქვთ, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროს,—დასძენდა ნაცისტო ოფიციალური პირი (იხ. დოლინი, გვ. 237-238, ჰერვარტი, გვ. 229-330).



„მისიონერული სამუშაო“ უკვე ჩატარდა „ბერგმანელ“<sup>1</sup> ქართულ თველებსა და გერმანელებს შორის კავკასიის ფრონტზე ყოფნისას, აღნიშნა მენდემ. კავკასია სამხედრო თვალსაზრისით დაკარგული იყო, მაგრამ ადამიანთა პრობლემა და მათზე ზრუნვა იგივე რჩებოდა, თუმც სიტუაცია იმ დროისათვის მეტად რთული ჩანდა. მენდე აღნიშნავდა, რომ რამდენადაც იმჯერად ვერ შეძლო თავისი „უფროსების“ გარყევა ამგვარი ორგანიზაციის შესაქმნელად, ამიტომ შემოთავაზებულ იქნა „კომიტეტი“, სახელად „სამეკავშირეო შტაბი“!

ახლა მენდეს სურდა, რომ ჩემი წვლილი შემეტანა ამ საქმეში, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე ამირჩია? სწორედ ამის გაგება მაინტერესებდა. როგორც ჩანს, მენდემ, კედიამ და სხვებმა საკმაო „კვლევა და გამოკითხვა“ ჩაატარეს, როგორც „ძველ“, ასევე „ახალ“ ემიგრანტებს შორის, ვინც კავკასიიდან ყირიმში დაბრუნდა და ბერლინის გავლით ან საფრანგეთისაკენ მიემშურებოდნენ, ან გერმანიაში აპირებდნენ დარჩენას. იმათაც მისწვდნენ, რომლებიც პარიზის „ეროვნულ ალიანსში“ იყვნენ გაერთიანებულნი და თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიასა და დაჯგუფებას წარმოადგენდნენ ყოფილ პრეზიდენტთან, ნოე ჟორდანიასთან დაახლოებული წრის ჩათვლით.

როგორც გაირკვა, „ეროვნულ ალიანსს“ პარიზში ცნობები ჩემზე საფრანგეთის ემიგრირებული „ბერგმანელებისაგან“ ჰქონდა მოკრებილი. მენდეს მიხედვით, ძალიან მცირე გამოწვევის გარდა, ყველამ შეიარაღებული ძალების მხრიდან სპიკერად ჩემი კანდიდატურა წამოაყენა. ცხადია, რომ ფრიად ნასიამოვნები დავრჩი ხალხის მხრიდან ჩემდამი ნდობით და მადლობა გადავუხადე პროფესორ მენდეს თავისი წვლილისათვის ამ საქმეში.

მეორე მხრივ, თავი ვალდებულად ჩავთვალე მეთქვა მისთვის, რომ ასეთი რამ არც მიფიქრია. იცოდა, რომ სულ მალე დრეზდენის სამხედრო სკოლაში უნდა შევსულიყავი და დამთავრების შემდეგ, 1943 წლის ნოემბერში, ვალდებული ვიყავი, რაც შეიძლება მალე დავბრუნებოდი „ბერგმანს“.

<sup>1</sup> ჰიტლერმა უბრალოდ აკრძალა სახელწოდება „კომიტეტი“, რადგან ამით შეიძლება „აღმოსავლეთის ხალხებისადმი“ გარკვეული პოლიტიკური დათმობები ეგულისხმებათ“.



მენდემ მითხრა, ალბათ „ბერგმანსა“ და სხვა ქართულ შენა-  
ერთებს ბერლინიდან უკეთ დაეხმარებოდი გაჭირვების და  
განსაცდელის ჟამს, ვიდრე ფრონტის ხაზიდანო. ეს იყო არ-  
სებითად, ერთ-ერთი მიზეზი „სამოკავშირეო შტაბის“ შე-  
საქმნელად. შემომთავაზა, ნებისმიერ შემთხვევაში შევხვედ-  
როდი მიხეილ კედიას, ექიმ გოგი (გიორგი) მაღალავს (მა-  
ღალაშვილს) და მიშა (მიხეილ) ალშიბაიას; ყველა „ძველი  
ემიგრანტი“ გახლდათ. საჭირო იყო ყოველი მათგანი „სამო-  
კავშირეო შტაბის“ წევრიც გამხდარიყო. სასურველი ჩანდა,  
გარკვეული დროის მანძილზე გავცნობოდი ბერლინში მყოფ  
სხვა ქართველებსაც და უკეთ გავრკვეულიყავი მოვლენებში.

მენდეს ვუთხარი, კედიას უკვე შევხვდი ბერლინში ორი  
წლის წინათ-მეთქი. პროფესორმა ბავშვური ღიმილით შე-  
მომანათა თვალები, თავი დახარა და მითხრა, ესეც ვიცოდი  
და იმ შთამბეჭდავი წერილის თაობაზეც, იმხანად გადა-  
სახლებაში მყოფ პრეზიდენტს, ნოე ჟორდანიას რომ მისწე-  
რეო. დაუმატა, რომ კედიასაც ყველაზე მეტად სურდა „სა-  
მოკავშირეო შტაბში“ მემუშავა. შესაბამისად, პროფესორის  
ოფისიდან შეამონმეს ვითარება დრეზდენის სამხედრო სკო-  
ლაში და გაირკვა, რომ სწავლა 10 აგვისტომდე არ ინ-  
ყებოდა. ასე, რომ ორ კვირაზე მეტი იყო ჩემს განკარგუ-  
ლებაში, რათა ბერლინში „მიმეხედ-მომეხედა“, ხოლო და-  
სასრულ, კვლავ უნდა მენახა მენდე. რაც შეეხება „ბერგმა-  
ნის“ ბატალიონების ერთად დარჩენას, დამპირდა, რომ ყვე-  
ლა ღონეს იხმარდა მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ჰანს ფონ ჰერვართი, ჩემი მეგობარი და დიპლომატი, რომელსაც ხშირად ვახსენებ ამ ნაშრომში, თავის ახალ წიგნში  
ასე წერს: „დიპლომატია არის ადამიანებისადმი მოპყრობის  
ხელოვნება. მისი სამუშაო მასალა ცოცხალი ადამიანია, ყვე-  
ლაზე უფრო ძვირფასი, მაგრამ, ამავ დროს, ყველაზე  
მგრძნობიარე მასალა. მოქანდაკეს, სამუშაოს ქვაზე ან ხეზე  
რომ ასრულებს, თუ ნამუშევრით უკმაყოფილოა, შეუძლია  
შეცვალოს მასალა. მაგრამ თუკი ადამიანს ვავნებთ, ჭრი-  
ლობები რჩება და მათ შეხორცებას დიდი დრო სჭირდება“<sup>1</sup>.

ეს განსაზღვრება სავსებით შეესაბამებოდა პროფესორ  
გერჰარდ ფონ მენდეს, რომელსაც დიპლომატის ნიჭი ჰქონ-

<sup>1</sup> ჰანს ფონ ჰერვართი, მემუარები, ბერლინი-ფრანკფურტი, 1990.





და და სულ დინების საწინააღმდეგოდ უხდებოდა ცურვით. რათა მოღვაწეობა არ შეეწყვიტა. პროფესორის კაბინეტის გარეთ სიურპრიზი მელოდა. უჩვეულოდ კარგი გარეგნობის. შუახნის მამაკაცი-გოლიათი მიცდიდა. იგი მომესალმა და ისეთი ძალით გადამეხვია, მეგონა, ნეკნები დამემსხვრეოდა; ცხადი იყო, თვითონ ვერ გრძნობდა თავის ძლიერებას. მან სვანურ დიალექტზე მითხრა, რომ, არც მეტი და არც ნაკლები, თენგიზ დადეშქელიანი იყო, —ჩვენი შორეული ნათესავი მამაჩემის მხრიდან. თენგიზს გაეგო აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში ჩემი შეხვედრის შესახებ და გადაწყვიტა, მეგზურად გამხდომოდა ბერლინში. თავიდანვე ნავედით სასტუმრო „ლაიბნიც ეკ“-ში (მას „პოლივუდსაც“ ეძახდნენ) კურფიურსტენდამის ქუჩაზე; სასტუმროს მეპატრონე იყო ირანელი ხალიჩების ვაჭარი, რომელიც ქართველ ქალზე, ვინმე ფოცხვერიშვილზე იყო დაქორწინებული. ეს ორი ადამიანი ბევრ ქართველს მასპინძლობდა ბერლინში და იმხანადაც, ორი სართულის ქვემოთ, პარიზიდან ჩამოსული ქართველი წყვილი, ქ-ნი ნინო და ბ-ნი კალე სალიები ბინადრობდა. პროფესორი მიხაკო წერეთელი და მე სალიებმა რამდენიმე დღის შემდეგ სადილადაც დაგვპატიჟეს. მე უკვე ვახსენე ეს მეგობრული თავშეყრა წიგნის იმ თავში, რომელსაც „ბერგმანი“ და „კავკასია“ ჰქვია, როდესაც განდევნილ ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე ვმსჯელობდი. მოგვიანებით კიდევ ვიტყვი ამის თაობაზე.

თენგიზი და მე დავსეირნობდით კურფიურსტენდამზე და უამრავი რამ გვქონდა ერთმანეთისათვის სათქმელი. მითხრა, მოხალისე ვარ „თამარ-II“-დან, მაგრამ საწვრთნელ ბაზაზე გერმანულმა არმიამ ვერ გამონახა იმ ზომის რკინის ჩაფხუტი, რომელიც ჩემს თავს მოერგებოდაო. ასევე გაძნელდა ამ შუასაუკუნეობრივი რაინდისათვის შესაფერისი ზომის ჩექმებისა და უნიფორმის გამონახვა. საბოლოოდ იგი პატივისცემით დაითხოვეს არმიიდან და, ფრიად შეწუხებული, პარიზში დაბრუნდა. იქ მას და ეკატერინე (კატია), ქალიშვილი ირინა და ბიძაშვილი ილამაზ დადეშქელიანი ეგულებოდა; ერთ დროს ცნობილი ვექილი და ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ იმ დროისათვის ჯანმრთელობა საგრძნობლად შერყეოდა. თუკი მეხსიერება არ მღალატობს, დედაჩემი ილა-

მაზის ნათლია იყო და მუდამ სიყვარულით ლაპარაკობდა მასზე. მისი ბავშვობის სურათები კვლავ იყო შემორჩენილი ჩვენს საოჯახო ალბომში.

როდესაც თენგიზმა პირველად გაიგო პარიზში შვებულებით მყოფი ემიგრანტებისაგან, რომ მე „ბერგმანში“ ვიყავი, მეტად გულთბილი წერილი მომწერა მიტენვალდ-ბავარიასში, 1942 წლის ადრე ზაფხულში. მე მაშინვე გავუგზავნე საკმაოდ გრძელი წერილი და პასუხი გავეცი მის მრავალ შეკითხვას, ახლა კი უკვე თავისუფლად შეგვეძლო საუბარი. რას აკეთებდა ბერლინში, 1943 წლის ზაფხულში? პარიზში მოუსვენრად იყო, რადგან მიაჩნდა, რომ უსაქმოდ იჯდა, მაშინ, როდესაც სხვა ქართველები პატრიოტულ ვალს აღასრულებდნენ. შემდეგ ექიმმა გიორგი (გოგი) მაღალაშვილმა, რომელიც აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში მუშაობდა ბერლინში, თენგიზს თანაშემწეობა შესთავაზა. ამინდი ძალიან კარგი შეგვხვდა და მე და თენგიზმა თითქმის მთელი დღე ხეტიალში გავატარეთ; ქალაქი მოკავშირე ძალების უთვისავე საჰაერო თავდასხმათა შედეგად ჯერ არ იყო დაზარებული.

ის დღე რუსულ რესტორან „მედვედში“ (დათვი) დავასრულეთ, სადაც ერთდროულად ოთხ ქართველს შევხვდით. ორი მათგანი, სანდრო კორძაია და მოსე იმნაიშვილი, იქვე მუშაობდა, ხოლო ერთეოს რამიშვილი და მეოთხე ქართველი (მისი სახელი არ მახსოვს) სადილობდნენ. თითოეული მათგანი გაბრწყინებული სახეებით მიესალმა თენგიზს, ხოლო მან იქ მყოფნი გამაცნო. სამნი, რომელთა გვარებიც დავასახელე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი წევრები და განდევნილი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას, მოწაფეები იყვნენ. თენგიზს დიდად არ ადარდებდა სოციალ-დემოკრატიული თეორიები, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს, ამ ხალხთან ემეგობრა.

შინ რომ ვბრუნდებოდით, ერთი ეპიზოდი მომითხრო მისი ბიძის, თათარხან დადუშქელიანისა და მამაჩემის ცხოვრებიდან; ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. თათარხანი საკმაოდ უფროსი იყო მამაჩემზე და ძალიან უყვარდა დედაჩემი ვერა, რომელსაც ხშირად „ჩემო პატარა გვრიტოს“ ეძახდა. ისინი ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს, ერთად სადილობდნენ და ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ლიტერა-



ტურის შესახებ საუბრობდნენ. თათარხანი, რომლის ტიტული ალბათ „პერცოგს“ შეესაბამება, ზემო სვანეთის იმ ნაწილის თავადი იყო, რომელიც ბალის მთის დასავლეთით მდებარეობს. ზოგიერთმა მისმა წინაპარმა სცადა დაეპყრო თავისუფალი ზემო სვანეთი, რომელიც ბალის აღმოსავლეთითაა, მაგრამ თავისუფლების მოყვარულმა სვანებმა გადანიჭეს შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა და სისხლიც დაედვართ ამისათვის. შედეგად ისინი თავისუფლები დარჩნენ და მრავალჯერ შეიფარეს დევნილი და შევიწროებულნი, ამაყი და კეთილი ხალხი. დღესაც კი შთამბეჭდავი შუასაუკუნეობრივი თავდაცვითი კოშკები, რომლებიც სხვადასხვა კლანის საკუთრებას წარმოადგენს კიდევ ერთხელ ადასტურებს თავისუფალი სვანეთის ევროპულ წარსულს. ბალის სვანეთის აღმოსავლეთით მხოლოდ დადემქელიანებს ჰქონდათ ამგვარი კოშკები, ამიტომ იქაური დასახლებები არ არის ისეთი ლამაზი, განსაკუთრებით შორი მანძილიდან. რაღაც თვალსაზრისით თავისუფალი ზემო სვანეთი აშშ-ს სასაზღვრო მხარეებს მაგონებს.

მაგრამ თავადი თათარხანი თვითონ იყო XIX საუკუნის მინურულისა და XX საუკუნის დასაწყისის შესანიშნავი ქართული ინტელიგენციის ლიბერალურად განწყობილი შტოს წარმომადგენელი. მას ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული, სამეცნიერო ხარისხიც დაიმსახურა, ბევრი ენა იცოდა და მშვენიერი გარეგნობით გხიბლავდათ.<sup>1</sup> მაგრამ ვაი, რომ თათარხანსა და ჩემს მშობლებს შორის გულითადი მეგობრობა უცაბედად შეწყდა. იმხანად ჩემი მშობლები შორს ლატალში, თავისუფალი სვანეთის ერთ-ერთ ნაწილში სახლობდნენ და თათარხანის მამულს ემეზობლებოდნენ. მამა ზემო სვანეთის მმართველი იყო და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ბალის ქედს მოიცავდა (იგი „რუსეთის მეფის სახელით“ და მისი განკარგულებით იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე). ლატალის მკვიდრმა ერთ-ერთმა გლეხმა იჩივლა მამაჩემთან, თავად თათარხანის მამულის მოურავმა რამდენიმე თავი საქონელი წამართვა, რადგან ბალახის ძოვი-

<sup>1</sup> მხატვარმა ზიჩიმ, თბილისში, თათარხანი მოდელად გამოიყენა „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის პორტრეტის შესაქმნელად. მე მინახავს ეს ფოტოები ჩვენს საოჯახო ალბომში.

სას ჯოგი თათარხანის სამფლობელოში შესულაო. ასეთი მკაცრი სასჯელი უსამართლობად მიაჩნდა, რადგანაც არავითარი ზიანი არ მიუყენებია და ეს პირველი ამგვარი „დარღვევა“ იყო. მამაჩემი მაშინვე გაემართა კონფლიქტის ადგილას, უმცველოდ, რათა მხარეები მოერიგებინა, ვიდრე საქმე უფრო მეტად გართულდებოდა. გლესს უთხრეს, რომ მომავალში უკეთ მიეხედა ჯოგისათვის და გადაეხადა ზარალის საფასური, თუკი ეს დადგინდებოდა. მამას მიაჩნდა, რომ გლესის ჩივილი სამართლიანი იყო, მაგრამ მოურავი დაუთმობელი აღმოჩნდა და სურდა, რომ ჯოგი, სასჯელის ნიშნად, მამულში დაეტოვებინა. „რა კანონის ძალით?“—ჰკითხა მამაჩემმა, და ურჩია მოურავს, დაებრუნებინა ჯოგი კანონიერი მეპატრონისათვის და ზარალი აენახლაურებინა.

ამაზე მოურავმა საკმაოდ უხეშად უპასუხა, მხოლოდ თავად თათარხანის წინაშე ვარ პასუხისმგებელიო. მამაჩემი გაცეცხლდა (ხანდახან ემართებოდა ხოლმე ასეთი რამ) და მოურავს გაულანუნა; თან ყვიროდა: „როგორ მიბედავ!“ და უბრძანა—დაებრუნებინა გლესისათვის ჯოგი, ვიდრე „სერიის აჩვენებდა“. შეშინებულმა მოურავმა ჯოგი დააბრუნა, მაგრამ თავის ბატონთან უჩივლა მამაჩემს. თათარხანი გაბრაზდა და მიიჩნია, რომ ის, რაც მამაჩემმა მის მოურავს აკადრა, მისდამი უპატივცემულობასაც გამოხატავდა.

მამამ თქვა, ეს ასეა, მაგრამ კაცს სილა გაანწეს არა იმისათვის, რომ თავადის მოურავი იყო, არამედ სულ სხვა მიზეზით. მან იუხეშა და უგნური საქციელი ჩაიდინა, ხოლო ამით თათარხან დადემქელიანის სახელი შეურაცხყო სოფლებების თვალში. შემდეგი სამიოდე კვირის მანძილზე „ყოფილ მეგობრებს“ შორის „ცივი ომის“ ვითარება შეიქმნა. მაგრამ მათ უყვარდათ და ენატრებოდათ ერთმანეთი და საბოლოოდ ბრძენმა და უფრო გამოცდილმა დიდებულმა მოხუცმა გადადგა პირველი ნაბიჯი. მან ყვავილების თაიგულით „შემოირბინა“ ჩვენთან, როდესაც დარწმუნებული იყო, რომ მამაჩემი შინ არ იქნებოდა: „სად არის შენი ჭირვეული ქმარი?“—იკითხა და დედაჩემსა და მას სიცილი აუტყდათ,—„ცივი ომი“ დამთავრდა.

თათარხანის გარდაცვალება ძალიან მძიმე იყო ჩემი მშობლებისათვის, ისინი ხშირად აღნიშნავდნენ ამას. ორი-



ვემ მამები ბავშვობაში დაკარგა და, შესაძლოა, თათარებში მათთვის მამას ცვლიდა. იგი ერთხანს ავადმყოფობდა, ფეხები დაუსივდა და სიარული აღარ შეეძლო. მსახურებს ხშირად საკაცით გამოჰყავდათ გარეთ; უყვარდა მთების მწვერვალებზე მფრინავი არწივების ყურება. დიდხანს უცქერდა ლამაზ ბუნებას და ჩანჩქერების ხმაურს უგდებდა ყურს. აი, დაახლოებით, როგორ მესაუბრებოდა თენგიზ დადემქელიანი ბიძამისისა და ჩემი მშობლების გულთბილი მეგობრობის თაობაზე. ეს იგივე იყო, რაც მე თვითონაც მსმენია ჩემი მშობლებისაგან ყმანვილობისას. შემძრა ამ ამბავმა და გამახსენდა, რომ მომდევნო დღეს, 17 ივლისს, 6 წელი სრულდებოდა 1937 წლის რეპრესიების დროს კრემლის დამქაშების მიერ მამაჩემის დაპატიმრებიდან და გაქრობიდან.

18 ივლისი კვირა იყო. თენგიზი ჩემს სასტუმროსთან შეჩერდა და მთხოვა, გამეცნო ზოგიერთი პიროვნება ბერლინიდან. ჩვენ გოგი (გიორგი) მაღალოვით (მაღალაშვილით) დავინწყეთ, რომელთანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თენგიზს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მაღალოვი ფართო აპარტამენტში აღმოვაჩინეთ, სადაც თავის მდივანს, გრეტა ბალარჯიშვილს, რომელიც ასევე აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

ექიმი მაღალოვი მაღალი, კარგი გარეგნობის კაცი იყო, შესანიშნავი მანერებითა და მეგობრული განწყობილებით. მას რამდენიმე წლის წინათ მიუნხენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაემთავრებინა. ცოლად ჰყავდა მონიკა უიტი, ცნობილი, პროგრესულად მოაზროვნე მრეწველის ქალიშვილი ქალაქ ვეიდენიდან. ბ-ნი უიტი ლოგინის თეთრეულსა და მზა ტანსაცმელს აწარმოებდა და თავის წარმოებაში მარკეტინგის ამერიკულ მეთოდებს იყენებდა. მაღალოვებს სამი ვაჟი ჰყავდათ და ყველა ბედნიერად ცხოვრობდა. აიზინგ-ჩიმზეზე, ბავარიაში. ექიმს მაღალშემოსავლიანი სამედიცინო პრაქტიკაც ჰქონდა.

ომის დაწყების შემდეგ გადაწყდა, მიეტოვებინა სახლის უსაფრთხოება, კომფორტი და ბერლინისაკენ გამოეშურა. იმედოვნებდა, რომ რალაც დახმარებას მაინც გაუწევდა ქართულ საქმეს იმ თანამდებობის წყალობით, რომელიც აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში ეკავა. ამ თვალსაზრისით,

მას ზურგს უმაგრებდა გავლენიანი მეგობარი, პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე. ასეთი მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც აღმოსავლეთის საქმეთა მინისტრი, ა. როზენბერგი, ა. ნიკურაძის მეგობარი იყო 20-იან წლებიდან, მიუნხენში მათი სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული. ორივენი ემიგრანტები იყვნენ: როზენბერგი, როგორც ეთნიკური გერმანელი ბალტიისპირეთიდან და ნიკურაძე—ქართველი, რომელიც ჯერ სტუდენტად ჩამოვიდა გერმანიაში დამოუკიდებელი საქართველოდან, ხოლო მოგვიანებით წითელი არმიის მიერ 1921 წელს, მისი სამშობლოს ოკუპაციის შემდეგ, თვითონ ემიგრანტი გახდა. ჩვენ მოგვიანებით უფრო მეტს ვიტყვით ამის თაობაზე.

მაღალოვს პირველწყაროდან სურდა შეეტყო ჩემი გამოცდილების შესახებ „ბერგმანში“, კავკასიასა და ყირიმში და ასევე აინტერესებდა ჩემი საქართველოში ყოფნის წლებიც. მან იცოდა, გერმანიის სამხედრო ადმინისტრაციის კეთილგანწყობილი პოლიტიკის თაობაზე კავკასიაში და უხაროდა, რომ ჩემი დაკვირვებები მის აზრს ემთხვეოდა. შემდეგ მოკლედ მომიტხრო თავის საქმიანობაზე ბერლინში. მისი თვალსაზრისი იმას ეყრდნობოდა, რომ სამეკავშირეო შტაბის შექმნის საკითხი უკვე ნათელი იყო, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარება კი მხოლოდ დროს ელოდა.

ისევე, როგორც მენდესთან შეხვედრისას, მე არ გამომიხატავს სამეკავშირეო შტაბში მოღვაწეობის სურვილი; ეს საკითხი ჩემთვის ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გარკვეული და, გარდა ამისა, სხვა გეგმები მიტრიალებდა თავში. მაღალოვმა მაღლობა გადაგვიხადა თენგიზსა და მე სტუმრობისათვის და შემდეგ მკითხა, რით შემიძლია გემსახუროთო. ჩემზე ექიმმა მაღალაშვილმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

შემდეგი ოჯახი, რომელსაც ვენციეთ, ტოგონიძეები იყვნენ, მშვენიერ სახლში რომ ცხოვრობდნენ. ვალიკო (ხუხუ) ტოგონიძეს ცოლად ჰყავდა თინა გოგელაშვილი. ორივე ძველი ემიგრანტი იყო. ობერლენდერები ადრე თინას ოჯახის მეზობლად ცხოვრობდნენ და დიდად აფასებდნენ გოგელაშვილებს. გაირკვა, რომ თენგიზმა გააფრთხილა თინა და ვალიკო ჩვენი სტუმრობის თაობაზე, და ისინი არა მხოლოდ

გველოდნენ, არამედ დაჟინებით მოგვთხოვეს, ქართულ საზოგადოებაში დიღზე დავწვეოდით.

ჩვენმა მასპინძლებმა და მე მოგონებები გავუზიარეთ ერთმანეთს. მე ძალიან ბევრ შეკითხვას გავეცი პასუხი და მათგანაც ბევრი მოვისმინე. ვალიკო ტოგონიძემ, მრავალი სხვა ქართველის მსგავსად, აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში იპოვა სამსახური თარჯიმნად და სხვა მოკრძალებულ ფუნქციებსაც ასრულებდა. მათი სულისკვეთება ქართველთა საქმის დახმარებაში გამოიხატებოდა. მაგალითად, ეს პოსტი, საშუალებას აძლევდა მოენახულებინათ არასაბრძოლო ზონებში განლაგებული ტყვეთა ბანაკები, რომლებშიც მათი თანამემამულეები იმყოფებოდნენ, რათა ნუგეში ეცათ მათთვის და გარემო პირობების გაუმჯობესებაზე ეზრუნათ. რამდენიმე ტყვე გაათავისუფლეს და გადაიყვანეს ვუსტრაუს ბანაკში, ბერლინთან ახლოს, სადაც მათ საშუალება მიეცათ შეესწავლათ გერმანული ენა და მიეღოთ ცოდნა დასავლური სამყაროს შესახებ, რადგან მანამდე ამგვარი რამ მიუნვდომელი იყო მათთვის. ზოგადად რომ ვთქვათ, ვუსტრაუსში ხდებოდა კადრების მომზადება აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს მიერ გარკვეული სამოქალაქო საორგანიზაციო ფუნქციების შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს გერმანული სამხედრო შენაერთები აიღებდნენ. ზოგიერთი იქ მყოფი სამსახურს ბანაკის გარეთ პოულობდა. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა არმიის მედლების ერთი ჯგუფი ახლომდებარე საავადმყოფოში მუშაობდა და, ჩანდა, ახალ გარემოს კარგად შეეგუენ.

ვუსტრაუსში ჩემი სტუმრობისას ყოფილმა ტყვეებმა ინფორმაციის დიდი „შიმშილი“ გამოამჟღავნეს. მათ ასევე სურდათ, ყველაფერი გაეგოთ „ბერგმანზე“. მაგალითად, მართალი იყო თუ არა, რომ ქართველები ასეთი კარგი ჯარისკაცები დადგნენ? დავარწმუნე, რომ სწორედ ასე იყო. რა საქმიანობას ეწეოდნენ პოლიტიკური პარტიები? განვუმარტე, რომ პოლიტიკურ პარტიათა აქტივობა სულაც არ იყო სასურველი ისეთ სამხედრო შენაერთებში, როგორსაც „ბერგმანი“ წარმოადგენდა. გულახდილად რომ ვთქვათ, იქ იყო რამდენიმე ჯარისკაცი, რომლებიც ამჟღავნებდნენ სიმპათიას გარკვეული პოლიტიკური პარტიებისადმი, მაგრამ ჩვენ ამას ვფარავდით. შემდგომ ავუხსენი, რომ „ბერგმანი“ და

ნებისმიერი სხვა სამხედრო შენაერთი იმ ქართული მთავრობის სამსახურში ჩადგებოდა, რომელსაც თავისუფალი ქართველი ხალხი აირჩევდა, მიუხედავად ყოველგვარი პარტიული განსხვავებისა. მჯერა, რომ ბევრ მათგანს ამგვარი პასუხით გუნება წავუხდინე. მე შევნიშნე რამდენიმე ადამიანი, რომელსაც გულზე „თეთრი გიორგის“ პარტიული ნიშანი ეკეთა წარწერით: „საქართველო, უპირველეს ყოვლისა“. გავიფიქრე, რომ ალბათ ზოგიერთმა ქართველმა ემიგრანტმა, რომლებიც ინსტრუქტორებად მუშაობდნენ ვუსტრაუში და თვითონ იყვნენ „თეთრი გიორგის“ წევრები, გავლენა იქონიეს ახლად მოსულებზე. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთი ენერგიულად და უნარიანად ასწრებდა რეკრუტების შემომატებას.

ვუსტრაუში ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც შექმნეს. მისი ხელმძღვანელი დავით კავსაძე იყო, რომელსაც ამგვარი ნიჭი თავისი განთქმული ოჯახიდან მოსდგამდა. ანსამბლი მართლაც შესანიშნავი იყო, მიზნად დაესახა უცხოეთში ქართული ხელოვნებისა და კულტურის პროპაგანდა და ამ თვალსაზრისით საკმაო წარმატებასაც აღწევდა. ვიხსენებ, რომ ერთი წლის შემდეგ, ზეიმის დროს, საქართველოს შესახებ მოხსენებით გამოსვლა დამავალეს; ამ შეკრების უმაღლესი წერტილი მარიამ კერესელიძისა და გივი ყანდაშვილის მიერ შესრულებული ქართული ცეკვა გახდა; დარბაზში ტაშმა დაიქუხა. ✕

19 ივლისს, მიშა (მიხეილ) კედია ბერლინში დაბრუნდა ერთ-ერთი მოგზაურობის შემდეგ და მაშინვე ჩემთან შეხვედრა მოისურვა. ეს იყო ჩვენი პირველი უშუალო ურთიერთობა, დაახლოებით ორი წლის შესვენების შემდეგ. გულითადად მივესალმეთ თუ არა ერთმანეთს, მამცნო თავისი უბედურება იმის გამო, რომ გერმანელებმა უარი უთხრეს თხოვნაზე, მეც დავეტოვებინე მასთან ერთად ბერლინში 1941 წლის ოქტომბერში. „მაგრამ, თავდაპირველი „დაბნელების“ შემდეგ,—თქვა მან,—შენს შესახებ ცნობა ხშირად „გაიელვებს“ ხოლმე და ახალი ამბები ძირითადად ემიგრანტებისა და გერმანელი მეგობრებისაგან მოდის“. როგორც მან აღნიშნა, დიდად ახარებდა ის, რომ პირველი კარგი შთაბეჭდილება ჩემზე ფრონტიდან მოსულმა ფაქტებმა



გაუძლიერა. „შესაძლოა ახლა, 1943 წლის განმავლობაში შევძლებთ ერთად ავმუშავდეთ, მაგრამ მაინც კარგი იქნებოდა, რომ 1941 წლიდან დაგეწყო“,—დასძინა მან.

კედია ბინას ქირაობდა ქ-ნი ნინო ყაზბეგი-დადიანის სახლში. მან სადილად დამპატიჟა და გამაცნო ეს ქალბატონი. იგი დიდებული დიასახლისი აღმოჩნდა, ჩვენი საუბარი სადილის შემდეგაც გაგრძელდა და ვიდრე ამაზე შევჩერდებოდე, მინდა ცნობები მოგანოდოთ ჩვენს დიასახლისსა და მის ოჯახზე. იგი გახლდათ ერთ-ერთი დამატყვევებელი პიროვნება, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. გარკვეულ ასაკს მიღწეული ნინო ქალურობასა და სილამაზეს ინარჩუნებდა, ხოლო მისი თვალები დაუვინყარ სხივს გამოსცემდა. მას რბილი და ღირსებით აღსავსე ხმა ჰქონდა, რომელსაც კარგად ერწყმოდა დახვეწილი და გამჭრიახი გონება. აშკარად ძველი ქართული არისტოკრატიის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ. და ყველაფერი ეს შეინარჩუნა თავს დატეხილი უდიდესი გაჭირვებისა და მეუღლის უდროოდ გარდაცვალების მიუხედავად; ამას დაურთეთ ემიგრანტის მოუწესრიგებელი ყოფა, პატარა გოგონასთან, მარინასთან ერთად, მარინა არა მხოლოდ ლამაზი ქალი, არამედ შესანიშნავი შვილიც დადგა; დედა-შვილი აღმერთებდა ერთმანეთს.

როგორც უკვე ითქვა, როცა პირველად ჩამოვედი ბერლინში 1941 წლის ოქტომბერში (ჯერ კიდევ ტყვეთა ტანსაცმელში გამოწყობილი) ერთ-ერთ შენობაში შემიყვანეს, რათა შევხვედროდი მიხეილ კედიას, გრიგოლ რობაქიძეს და რამდენიმე გერმანელ პიროვნებას. როდესაც შევედი, გასაოცარი სილამაზის შავგვრემანი ქალიშვილი დავინახე, კიბეზე რომ არბოდა და ეჭვიც არ შემპარვია, რომ ქართველი უნდა ყოფილიყო. იგი სწორედ მარინა ყაზბეგი გახლდათ, ვინც დოქტორ ერენფრიდ (თედი) შუტესთან მდივნად მუშაობდა. იმხანად შუტე აღმოსავლეთ ევროპის ცენტრს ხელმძღვანელობდა.

თედის მოგვიანებითაც შევხვდი „ბერგმანში“, დავმეგობრდი და ეს მეგობრობა ომის შემდგომაც გაგრძელდა.

მარინა გათხოვილი იყო ძალიან სიმპათიურ საჰაერო ძალების ახალგაზრდა ოფიცერზე, ჰელმუტ (ჰელო) ოსკარ ფონ მოლტკეზე. ფონ მოლტკე ცნობილი პრუსიული არის-

ტოკრატიული გვარია. XIX საუკუნის ცნობილი სამხედრო ლიდერი, ფელდმარშალი გრაფი ჰელმუტ ფონ მოლტკე-მე-ვილოდ გადაეგო, მაგრამ სხვა ნათესავეები დარჩა. მარინას ქმარი, ჰელო მისი ერთ-ერთი შთამომავალი გახლავთ.<sup>12</sup>

ჰელო ტრაგიკულად დაიღუპა სტალინგრადთან ბრძოლების დროს. მარინას ერთადერთ ნუგეშად ქალიშვილი, პატარა ნინა დარჩა, რომელსაც ბებია სიყვარულით „კიკიბუშს“ ეძახდა. თითქმის შეუძლებელი იყო, არ შეეყვარებოდათ პატარა „კიკიბუში“.

ჩემი პირველი საუბარი კედიასთან საღამომდე გაგრძელდა და ძალიან კარგ რესტორანში, მგონი სახელად „ედემში“ დამპატიჟა სადილად. ორი სტუმარი გვესწრებოდა, შალვა მალლაკელიძე და მისი ვაჟი გაიოზი (კაიუსი). კავკასიის შესახებ ქვეთავში უკვე აღვნიშნე, რომ მამა-მალლაკელიძეს შევხვდი ბატალიონ №795-ში შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, მალლაკელიძემ მიატოვა ლეგიონის ბატალიონი, კავკასიიდან უკანდახევის შემდეგ და იმჟამად თავის ვაჟთან ერთად ცხოვრობდა ბერლინში. გაიოზ მალლაკელიძეს სამხედრო ფორმა ეცვა ქართველი ლეგიონერის ნიშნით და ლეინტენანტის ჩინს ატარებდა. იგი სამხედრო პროპაგანდის („ვერმახტის პროპაგანდა“) ხაზით მუშაობდა ბერლინში და ბალტიისპირული წარმოშობის გერმანელი გოგონა ჰყავდა ცოლად, მასაც ასევე გრეტა ერქვა. გაიოზი კარგად განათლებული და ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. მის ცოლს მოგვიანებით ბავარიის პატარა ქალაქ რუპოლდინგში შევხვდი, სადაც იგი დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი ლეგიონერების სარეაბილიტაციო სახლის დირექტორად მუშაობდა. მისი პაციენტები აღარ

<sup>1</sup> ფელდმარშლის კიდევ ერთი შთამომავალი იყო გრაფი ჰელმუტ ჯეიმზ ფონ მოლტკე. ოფიციალურმა პირებმა კარგად იცოდნენ ნაცისტური რეჟიმისადმი მისი ოპოზიციური განწყობილება. იგი ოცი ივლისის სამხედრო გადატრიალებამდე გაცილებით ადრე დააპატიმრეს, მაგრამ გამოძიებამ უჩვენა, რომ უშუალოდ იყო დაკავშირებული ამ გადატრიალებასთან. ამიტომ გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს.

<sup>2</sup> ჯორჯ ფ. კენანი უდიდესი აღფრთოვანებით წერს პე: ფონ მოლტკეზე წიგნი „მემუარები—1925-1950“, ბოსტონი 1967, გვ. 119-123. ჯორჯ კენანმა წინასწარმეტყველურად შეამჩნია, რომ: არსებითად ჰიტლერმა ძირითადი საყრდენი საშუალო კლასის დაბალ ფენებსა და ნუვორიშებში პოვა. ძველი პრუსიული არისტოკრატია დაქსაქსული იყო, მაგრამ მათი ნიალიდან მაინც გამოვიდა გონებაგახსნილი და მამაცი ადამიანების ჯგუფი, რომლებმაც ისეთი ოპოზიცია შეუქმნა ჰიტლერს, მსგავსი რომ არასოდეს ჰყოლია.

საჭიროებდნენ სერიოზულ სამედიცინო მკურნალობას, მაგრამ საბოლოო გამოჯანმრთელებამდე გარკვეული დრო სჭირდებოდათ. ყველას უყვარდა გრეტა—მომხიბლავი და კეთილი ქალი, რომელიც გულმხურვალედ მეგობრობდა მისთვის უცნობ ადამიანებთან, რომელსაც არც ნათესავები ჰყავდა და არც საკუთარი კერა გააჩნდა.

ლეგიონერები სიყვარულით „გრეტიკოს“ ეძახდნენ, რაც დამახასიათებელია ქართული სახელებისათვის, როცა მათ მოსაფერებელ ფორმას აძლევენ. რუპოლდინგში თან მახლდა ჩემი მომავალი მეუღლე, რუსუდან ალშიბაია. მისი მშობლები იქვე ახლოს, პატარა ქალაქ რეიჩენჰოლში ცხოვრობდნენ. ჩვენ მთელი დღე გრეტასა და მის დავრდომილ მეგობრებთან გავატარეთ და ყველა ძალიან მოგვეწონა.<sup>1</sup>

მიხეილ კედიამ შალვა მალლაკელიძე დამიხასიათა, როგორც ამპარტავანი, თავგადასავლების მოყვარული პიროვნება, ვისი საქციელის ამოცნობაც ხშირად შეუძლებელია. როდესაც ეს გავიგონე, მოვუყევი იმ ვითარებაზე, როდესაც მალლაკელიძეს შევხვდი კავკასიაში, 1942 წლის შემოდგომაზე (იხ. თავი „კავკასია“). კედია ყურადღებით მისმენდა, რადგან ძალიან მცირე ცნობები ჰქონდა ამ საკითხზე, თუმცა გაცილებით მეტი იცოდა „ბერგმანის“ შესახებ. კედიამ მითხრა, მალლაკელიძის საქციელის განსჯა ძალიან ძნელია, თუმცა

<sup>1</sup> გრეტამ გვიხსრა, სამმა გერმანელმა გოგონამ ბალტიისპირეთიდან, ახლო მეგობრებმა, გადანყვიტეს მხოლოდ ქართველ კაცებს გაჰყოლოდნენ ცოლადო. მესამე გოგონას, კარენს, ოქტომბერში შევხვდი; იგი ოსიკ ჯავახის ცოლი იყო. კარენი მოგვიანებით ჩემი მდივანი გახდა. იგი და მისი ქმარი გულკეთილი, სასიამოვნო და გულუხვი ადამიანები იყვნენ

ქართველ კაცებზე გათხოვილი ბალტიისპირელი ახალგაზრდა გოგონების „კლუბს“ მეოთხე „ნევრიც“ მიემატა. ეს იყო ილზე ბარათელი, რომელიც ჩემს კარგ მეგობარს, სანდრო ბარათელს გაჰყვა ცოლად მიუნხენში, ომის შემდეგ. ისინი ემიგრაციაში წავიდნენ ნიუ-იორკში და მრავალი წლის მანძილზე, სანდრო იყო აშშ-ში ქართველთა კოლონიის ერთ-ერთი პოპულარული, პატიოსანი და შრომისმოყვარე პრეზიდენტი. იგი თავისი ხალხისათვის თავგადადებული პიროვნება იყო და, ამავე დროს, წარმატებული ბიზნესმენიც გახდა. საბედნიეროდ, მას მხარში ედგა მოყვარული, მშვიდი და ნიჭიერი ცოლი, ილზე, რომელიც ასევე ჩვენი მეგობარი გახდა.

როგორც მე-4 თავში აღვნიშნე, ბალტიისპირეთიდან გამოსულმა გერმანელმა ოფიცრებმა ხელი შეუშალეს ავაღ სახსენებელ დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში ჩემს დატყვევებას. ჩემი პიროვნული გამოცდილება დაკავშირებულია ოთხ ბალტიურ-გერმანულ-ქართულ ქორწინებასთან, რაც ხშირად მანცვიფრებდა: „ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს ერთმანეთისადმი განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდეს?“

მისმა ქცევამ 795-ე ბატალიონში გარკვეული თანაგრძობა გამოიწვია ჩემში, მაგრამ ქართულ ლეგიონში არსებული სიტუაცია იმდენად რთული იყო, რომ მისი მართებული შეფასება დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

კედიას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი; ჩვენ პროფესორ ფონ მენდესაც ვენვოდით ხოლმე, რათა „სამეულის“ დისკუსია ჩაგვეტარებინა. მენდემ გვითხრა, „დივიზია-ბერგმანის“ სამ დამოუკიდებელ ბატალიონად დაყოფის საწინააღმდეგოდ მიმართული ჩემი ცდები კრახით დამთავრდა, რადგან „ზემოდან განკარგულების“ (აქ ყოველთვის ჰიტლერი იგულისხმებოდა) შეცვლა შეუძლებელიაო. მიუხედავად ამისა, მენდემ მომცა გენერალური შტაბის პოლკოვნიკის (მაშინ ჯერ კიდევ ლეიტენანტ-პოლკოვნიკის) ჰაინც დანკო ჰერეს ტელეფონის ნომერი. და მირჩია, მისთვის გამენდო ჩემი შეხედულებები. ასეც მოვიქეცი; ჰერე ძალიან მეგობრულად განენყო სატელეფონო საუბრისას და, რადგანაც იმ დროისათვის ვერაფერს დამპირდებოდა. მითხრა, უფრო დიდი შენაერთების შექმნა სამომავლო მიზნად დავისახოთო.

შემდგომ დღეებში კედიამ მიხეილ (მიშა) ალშიბაიასთან შეხვედრა მომიწყო; იგი იმხანად ჯერ კიდევ არშექმნილი „სამეკავშირეო შტაბის“ კიდევ ერთი პერსპექტიული წევრი იყო. სამუშაოდ აიყვანეს გერმანულ „პანტერათა დივიზიაში“ —თარჯიმნად აღმოსავლეთ ფრონტზე, ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა და „არამეომარი“ ოფიცრის ფორმა ეცვა. მაგრამ ამ „არამეომარ“ ოფიცერს უკვე ამშვენებდა თავისი სარდლობისაგან მიღებული ჯერ მეორე და მერე პირველი კლასის „რკინის ჯვარი“—ბრძოლის დროს გამოვლენილი მამაცობისათვის. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მ. ალშიბაია იმ დროისათვის ერთადერთი ქართველი იყო, რომელმაც ამგვარი აღიარება მოიპოვა. იგი ადვილად იჩინდა მეგობრებს და პოპულარობით სარგებლობდა წინა ხაზის ოფიცრებს შორის. მეგობრულად „ალი-ბაბას“ ეძახდნენ, ეს მეტსახელი კითვითონ მოიგონეს.

მისი მშობლები, ბარბალე კიზირია-ალშიბაია და გრი-

გოლ (გრიშა) ალშიბაია, მედიცინის დოქტორი, სულ სხვა სხვა ემიგრანტები. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მთავრობამ ექიმი ალშიბაია გერმანიაში გააგზავნა, რათა გადამდგარი ქართველი ელჩი, ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი შეეცვალა!

მომავალი ელჩი თავისი ოჯახით გერმანიაში 1921 წლის დამდეგს გაემგზავრა, მაშინ როდესაც წითელ არმიასა და დასუსტებულ ქართველ შეიარაღებულ ძალებს შორის ბრძოლა უკვე გაჩაღებული იყო. მათი ბერლინში ჩამოსვლისთანავე ბოლშევიკურმა რუსულმა ჯარებმა დაასრულეს საქართველოს ოკუპაცია. ამგვარად, ექიმი ალშიბაია ველარასოდეს გახდა ელჩი. იმ დროისათვის ოჯახი ბერლინის ფეშენებლურ გარეუბანში, ვანზეეში დასახლდა.

მიშა, რომელიც მაშინ თორმეტიოდე წლისა იქნებოდა, გერმანულ სკოლაში სწავლობდა და ყველა საგანმანათლებლო ეტაპი გაიარა, ვიდრე მიუნხენის უნივერსიტეტში ფინალურ ეტაპს,—ეკონომიკაში სამეცნიერო ხარისხს მიაღწევდა. იცოდა ქართული, რუსული, პოლონური, გერმანული და ფრანგული ენები. ცოლად მოიყვანა მომხიბლავი, მშვენიერი, სიცოცხლით აღსავსე და მამაცი ქართველი ემიგრანტი პარიზიდან, ივლიტ მამულაშვილი. ივლიტმა განათლება შესანიშნავ ინგლისურ პანსიონში მიიღო. მიშასა და მას ორი მშვენიერი შვილი, ნინო და თეიმურაზი ჰყავდათ, რომლებიც საფრანგეთში დაიბადნენ.

ჰიტლერისა და სტალინის მიერ პოლონეთის ოკუპაციამდე მიშა ალშიბაიას სამსახური შესთავაზეს, ჯერ პოლონეთის საბანკო სისტემაში, და შემდეგ საომარი აღჭურვილობის ფაბრიკაში, მენეჯერად. მიშა ალშიბაია ეროვნულდემოკრატიების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. მას მხარს უჭერდნენ ის ქართველი ოფიცრებიც (იბრძოდნენ გერმანული, ისევე, როგორც რუსული ჯარების წინააღმდეგ, 1939 წელს რომ თავს დაესხნენ პოლონეთს), რომლებიც ადრე პოლონეთის არმიაში მსახურობდნენ. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ბოლშევიკურ რუსეთში გერმანელების შეჭრის

<sup>1</sup> არ უნდა შეგვეშალოს მის ძმისწულში, პროფესორ მიხეილ ახმეტელში.

შემდეგ ქართველთა ლეგიონს შეუერთდნენ, რათა უკეთ დაეცვათ ქართველთა ინტერესები. ესენი იყვნენ: კაპიტნები ვანო ბაქრაძე, ვასო ინჯია, სიკო კობიაშვილი, დათა ლალიძე და დიმა შალიკაშვილი.<sup>1</sup> მიშამ თავიდანვე გული გადამიშალა და რაც შეეძლო, მუდამ მეხმარებოდა.

ჩემი თავისუფალი დროის მანძილზე თენგიზ დადეშქელიანი და ქ-ნი თინა ტოგონიძე უცვლელ „გიდეზად“ დამყვებოდნენ ბერლინში. სულ მალე შემოუერთდათ ნიკო ნაკაშიძე, რომელიც ყირიმში დავტოვე და ახლა შინ, ბერლინში, დაბრუნებულიყო. იგი თინასა და თენგიზთან ერთად მიწვედა მეგზურობას. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინელი ქართველები დიდ თანადგომას იჩენდნენ ჩემსა და ერთმანეთის მიმართ, მაინც შევამჩნიე, რომ ორი დიდი ჯგუფი უკიდურესად იყო დაპირისპირებული ერთმანეთს და მათ შორის დიდი განხეთქილება სუფევდა.

მაგალითად, ჩემმა მეზობლებმა სასტუმროში, ნინო და კალე სალიებმა, სადილად დამპატიყეს. პროფესორი მიხაკო წერეთელი,<sup>2</sup> „თეთრი გიორგის“ პარტიის ერთ-ერთი დამარსებელი, საპატიო სტუმრად იყო მონვეული და ირანული სასტუმროს მფლობელის ცოლიც მოიპატიყეს. პროფესორმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ჩემი წარსული გამოცდილებისადმი, უამრავი რამ მკითხა, ხოლო დანარჩენები ჩემს მონათხრობს უსმენდნენ. 1937 წლის წმენდის ამბის მოყოლისას აღვნიშნე, მამაჩემი სვანეთში საიდუმლო პოლიციის (სუკის) უფროსმა, ნაპო კედიაშვილმა დააპატიმრა-მეთქი (იგი არ ყოფილა მიხეილ კედიას ნათესავი). პროფესორმა თეატრალურად გაშალა ხელები და მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა: „ერთი კედია იქ და მეორე კედია აქ,—მიხეილ კედიას გულისხმობდა,—უფალო, შემინყალე!“ ეს ნამდვილად არ იყო მიხეილ კედიას მისამართით გამოთქმული ქათინაური და ამ ორ ქართველ პატრიოტს შორის არსებულ განხეთქი-

<sup>1</sup> მიშა დადიანი, რომელიც საფრანგეთში გადავიდა, შეუერთდა ჯერ „თამარ“-ს და შემდეგ „ბერგმანს“. დარწმუნებული არა ვარ, იგი მხარს უჭერდა თუ არა მიშა აღშობაიას

<sup>2</sup> იხილეთ თავები „ბერგმანი“ და „კავკასია“, რომლებიც უცხოეთში მოქმედ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ეხება..



ლებასა და მათ შორის აშკარა მტრობაზე მიუთითებდა. მთავარი ვიანებით შევიტყვე, რომ პროფესორი მიხაკო ხშირად ქართველ სოციალ-დემოკრატებს „წყეულებს“ ეძახდა.<sup>1</sup>

კალე სალია „თეთრი გიორგის“ პარტიის საკმაოდ აქტიური წევრი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ერთად ვისადილეთ, მან „საქმიან საუბარზე“ მიმიწვია. გაირკვა, რომ სურდა თავისი პარტიის შესახებ მოკლედ ესაუბრა ჩემთან და ზოგადი ვითარების სურათიც აღენერა. სალიამ მჭერმეტყველების ნიჭი, დიპლომატიური უნარი და დახვეწილობა გამოავლინა; აქვე მისი გამორჩეული გარეგნობაც უნდა აღინიშნოს. „თეთრ გიორგიზე“ საუბრისას არა იმდენად თვით პარტიაზე, არამედ უფრო „ქართველთა მოძრაობის ერთიანობაზე“ ლაპარაკობდა, ხოლო იგივე აზრი პარტიის დევიზსაც წარმოადგენდა. პარტიის მიღწევებს შორის გამოკვეთა თავიანთი წვლილი ვუსტრაუს ბანაკის შექმნაში, რომელიც იმ ყოფილი ქართველი ტყვეებისათვის იყო განკუთვნილი, სამოქალაქო პირები რომ გახდნენ და კალე სა-

<sup>1</sup> მოგვიანებით გავარკვიე, რომ პროფესორი წერეთელი მუდამ არ ყოფილა ანტაგონისტურად განწყობილი პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ და ხანდახან უყვარდა კიდეც ისინი. მე იშვიათი შესაძლებლობა ჩამივარდა ხელთ, როდესაც პროფესორ წერეთლის მიერ მიშა კედიასადმი მიწერილი წერილები წავიკითხე. ჩემთვის ნათელი გახდა, ისინი ძველი მეგობრები იყვნენ. უფრო მეტიც, როდესაც კედია გარდაიცვალა, პროფესორი მიხაკო დეპრესიაში ჩავარდა. რაოდენ გულში ჩამწვდომი და ზოტბით აღსავსე ნეკროლოგი მიუძღვნა მან ნოე ყორღანიას და პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდა. მანამდე მან მისწერა კედიას ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო: „ალარ გვყავს ჩვენი ევგენი და ამით არა მხოლოდ დამწუხრებული, არამედ შეძრწუნებული ვარ. ვინ დავიცავს მომავალში ქართულ საქმეს საერთაშორისო არენაზე?“ მალე მე კარგი გაკვეთილი მივიღე ზოგიერთი ჩვენი ძველი პოლიტიკური ლიდერის შესახებ, რომლებიც გაბრაზების ჟამს „ჭირვეული ბავშვებივით“ იქცეოდნენ. მაგრამ არსებითად, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, გულის სიღრმეში მაინც უყვარდათ ერთმანეთი და ურთიერთშორის დახმარებისა და პატივისცემის ატმოსფერო სუფევდა. მათ იცოდნენ, სად და როდის შეჩერებულ იყვნენ, რათა კონფლიქტი არ გაღრმავებულიყო. ამიტომ, ზოგიერთი მათი პუბლიკაცია, განსაკუთრებით სიბრაზისა და სულიერი კრიზისის დროს დაწერილი, ძალიან ფრთხილად უნდა შეფასდეს და ხშირად გადაისინჯოს კიდეც. ისინი დიდი ღირსებების იყვნენ, მაგრამ ზოგიერთი ადამიანური სისუსტისა და შეცდომებისაგან არ ყოფილან თავისუფალნი. მიიღე ისინი, როგორებიც იყვნენ, და მათ გაკრიტიკებამდე, გახსოვდეთ, რომ გვერდიდან ყურება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე მოვლენის აღქმა მაშინ, როდესაც ის ხდება. ეს არ არის ცუდი რჩევა იმ ახალგაზრდა ისტორიკოსისათვის, რომელიც დააპირებს პოლიტიკური ემიგრაციის „სიკვდილის შემდგომი გაკვეთა“ მოახდინოს და თავის მსჯელობებში დაეყრდნობა სპეციალურად შერჩეულ ნაყოფიერ პუბლიკაციებს, თუმცა ისტორიული მოვლენების უშუალო მონაწილის უპირატესობა მას აღარასოდეს ექნება.



ლია მათ მომავალი თავისუფალი საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებდა. იგი ფრიად ნასიამოვნები იყო მათი წინსვლითა და სულიერი ერთიანობით ვუსტრაუმი. ისაუბრა აღმოსავლეთის საქმეთა სამინისტროსთან კარგი ურთიერთობის შესახებაც და დაიმონმა პროფესორ სანდრო ნიკურაძის მაგალითი, რომელიც კონტინენტალური ევროპის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი და მინისტრ როზენბერგის მრჩეველი გახლდათ. დაინტერესდა, უკვე შევხვდი თუ არა მას. არა-მეთქი, მაგრამ დავძინე, რომ ნიკო ნაკაშიძემ შემომთავაზა ამ პიროვნების გაცნობა და სურდა, შეხვედრის დროს ჩემი წინამძღოლი ყოფილიყო.

სალია მოკლედ შეეხო „ქართველ ემიგრანტთა შორის განხეთქილებას“ და ამ კონტექსტში ძირითადად კედიას ახსენებდა. ვიგრძენი, რომ „განხეთქილების ჟამს“ მიზნად ისახავდა „თეთრ გიორგიში“ ჩემს გადაბირებას, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ ამის დრო მოვიდოდა. მისთვის, ალბათ, უფრო იოლი იქნებოდა ვუსტრაუს ბანაკის რომელიმე გამოუცდელი ტყვე გადაებირებინა. მომეჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში გამართლებული იქნებოდა ის, რომ პიროვნებას მადლიერების გრძნობა გასჩენოდა იმ „სუპერმენის“ მიმართ, რომელმაც თავისუფლება მიანიჭა და, რასაკვირველია, ამგვარ წინადადებაზე უარის თქმის არავითარი უფლება აღარ ჰქონდა. იმ მიზნით, რომ სალიასთვის ჩემი გადაბირების ყოველგვარი სურვილი წამერთმია, ვკითხე, თუ რა განსხვავება იყო „თეთრი გიორგისა“ („ეროვნული ერთობის მოძრაობა“) და „ეროვნულ ერთობას“ („ქართველთა ეროვნული ალიანსი“) შორის, რომელიც პარიზში მოღვაწეობდა. მიპასუხა: „პარიზული ალიანსი“ უხეირო ორგანიზაციაა, რომელიც საკმაოდ შორსაა ბერლინიდან, ხოლო ბერლინი ამჟამად გულმოდგინე აქტივობის ადგილად ითვლებაო. მივუგე, რომ, თუკი სწორად გავიგე - „თეთრი გიორგი“ იყო ერთი მთლიანი, შინაგანი დასციპლინით შეკავშირებული პარტია. ხოლო პარიზული ორგანიზაცია რამდენიმე განსხვავებული პარტიისაგან შემდგარ მრავალპარტიულ კოალიციას წარმოადგენდა (მიუხედავად მათი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა), რათა ქართული საქმისათვის უკეთესად ებრძოლა. დავძენდი, რომ „ბერგმანში“





მყოფი ქართველების უმრავლესობა, მიუხედავად პარტიულ იდეათა სხვადასხვაობისა, ალბათ უფრო ალიანსს ამჯობინებდა. მოგვიანებით, თუკი საქართველო კვლავ თავისუფალი სახელმწიფო გახდებოდა, დაე, პარტიებს ჰქონოდათ ურთიერთქიშპი; საბოლოოდ ისინი მაინც ქართველი ერის ნებას დაემორჩილებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ რომელი პარტია ჩადგებოდა ქვეყნის სათავეში. ჩვენ, „ბერგმანელები“, არ ვაქცევდით ყურადღებას, თუ ვინ რომელი პარტიის წევრი იყო, რადგან იმ დროს ჯარისკაცები ვიყავით, და მხოლოდ მაშინ მივიღებდით არჩევნებში მონაწილეობას, თუკი ოდესმე საქართველოში თავისუფალი არჩევნები ჩატარდებოდა.

მე ვიცოდი, „რომ „თეთრი გიორგი“ არ მონაწილეობდა „პარიზის ალიანსში“, მაგრამ დიპლომატია გამოვიჩინე, შევჩერდი და სალიას ვკითხე, მართალი იყო თუ არა ეს. მას პირდაპირ არ გამოუხატავს გაკვირვება ჩემი შეხედულებების გამო. შესაძლოა, უკვე რაღაც იცოდა, მათზე ჩემი საუბრებიდან ვუსტრაუს ქართველობასთან შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე. 1943-1944 წლების მანძილზე ხანდახან გადავეყრებოდი ხოლმე სალიას ან მასზე სხვა ემიგრანტებისაგან ვიგებდი რაიმეს, ჩვენ საკმაოდ თავაზიანად და მეგობრულად ვექცეოდით ერთმანეთს.<sup>1</sup> გერმანული დოკუ-

<sup>1</sup> ვფიქრობდი, რომ სალიასათვის, ყოფილი სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც „თეთრი გიორგისაკენ“ მოიქცა, იდეოლოგიას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უტილიტარული პიროვნება გახლდათ, ორივე სალიას უნარი ჰქონდათ, თავი შეუცვლელ პიროვნებად წარმოედგინათ, ძირითადად ხანდაზმული ხალხის წინაშე, და ისინი შანსს არ უშვებდნენ, რომ ეს როლი ეთამაშათ. დაოსტატებულნი იყვნენ თავის გადარჩენის ხელოვნებაშიც და ამის შესახებ რამდენიმე ამბავიც არსებობს; ერთ-ერთი მათგანი ძალიან მიყვარს, რადგან განსაკუთრებულად მართობს. ეს მაგონებს გოეთეს შუასაუკუნეობრივი იგავის გერმანულ ვერსიას მელა რენარის შესახებ „რაინეკემელი“-დან.

აი, რა მოხდა: 1944 წლის ზაფხულში, დასავლელი მეკავშირეების მიერ პარიზის გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე, სალია, რომელიც მანამდე ბერლინში ცხოვრობდა, ახლა უკვე პარიზში იმყოფებოდა. შეიარაღებულ ქართველთა პატარა რაზმი, ს. ოდიშარიას ჯგუფიდან (რომლებიც გერმანულ პოლიციაში მუშაობდნენ) სალიას სახლთან შეჩერდნენ და იგი გერმანიაში გაიყილეს, ხოლო ნინო სალია დარჩა, რადგან გადაუდებელი საქმე ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ, ნინო სალია გამოვარდა სახლიდან და ფრიად დამნუხრებულმა ფრანგ მეზობლებს ამცნო, რომ „გესტაპოშ“ მისი ქმარი გერმანიაში წაიყვანა. ამან არა მხოლოდ ფრანგი მეზობლების თანაგრძნობა გამოიწვია (რომლებიც, ბუნებრივია, ვერ ერკვეოდნენ იმაში, ვინ თანამშრომლობდა გერმანელებთან), არამედ ხმა გავრცელდა - ამ ვითომდა „დაპატიმრების“ შესახებ, და შემდგომ ნინოს უკვე თავისუფლად შეეძლო დახვედროდა თავის ქმარს პარიზში.



მენტების მიხედვით, ქართველთა შორის კალე სალია იყო ის პიროვნება, ვისთანაც გერმანელებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პარიზის ოკუპაციის (1940) დასაწყისიდანვე<sup>1</sup>, იგი ამ საქმიანობას ომის დამთავრებამდე აგრძელებდა, მაგრამ ჩემზე ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ომის დროს, 1943-1945 წლებში; გაცილებით მაინტერესებდა მისი ძალისხმევა პარიზში პერიოდული ჟურნალის გამოცემისას. გვიანდელ 40-იან წლებსა და ადრეულ 50-იან წლებში დაიწყო ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემა, სახელწოდებით „ბედი ქართლისა“. მასში იბეჭდებოდა ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო მასალა საქართველოზე. მას მეტად „მოკრძალებული“ ფორმატი ჰქონდა, მაგრამ ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები, როგორებიც არიან: გრიგოლ რობაქიძე და პროფესორი მიხაკო წერეთელი, თავიდანვე შეუდგნენ სტატიების გამოქვეყნებას ამ ჟურნალში, რომელიც ღირსეულ ტონს ინარჩუნებდა და სრულიად თავისუფალი იყო პოლიტიკური შიდა ბრძოლებისაგან, რითაც მეცნიერული მიზნების ერთგული რჩებოდა.

წინო და კალე სალიები მრავალი წლის მანძილზე არა მხოლოდ გამოსცემდნენ ამ ჟურნალს, არამედ, მოგვიანებით საკმაოდ დიდ, ლამაზ და უხვად ილუსტრირებულ გამოცემად აქციეს. ქართული (და კავკასიური) ისტორიის, ლიტერატურის, ფილოლოგიის, არქიტექტურისა და ხელოვნების დარგში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები განუწყვეტლივ აქვეყნებდნენ ამ ჟურნალში ნაშრომებს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ქართულ ენებზე. მონაწილეობდა ზოგიერთი საბჭოთა და ემიგრანტი ქართველი მეცნიერიც. ჩემი და სხვების აზრითაც, ეს გამოცემა კარგად ახერხებდა ქართული (და ხშირად ზოგადკავკასიური) კულტურა უკეთესად გაეცნო დანარჩენი მსოფლიოსათვის. მომავალში

მე ამ ეპიზოდს პირადად არ შევხსნებივარ და ამიტომ არ შემიძლია ვამტკიცო მისი რეალურობა.

<sup>1</sup> „ორგანიზაცია მაინც-1“ , გვ. I. დოკუმენტი სალიას იხსენებს, როგორც ერთ-ერთ ნაციონალისტს („ნაციონალისტი სალია პარიზში“) აგრეთვე, აღნიშნულია, რომ ახალი ამბებისა და პოლიტიკური ღირებულების თვალსაზრისით, ეს იყო ძალიან მჭიდრო წრე, რომელშიც მონაწილეობდნენ მ. კედია, ცომაია, ქორქია, კობახიძე, და სოციალ-დემოკრატები, ჟორდანიას, გეგეჭკორი, მენაღარიშვილი. ყურადსაღებია, ამ საქმის თაობაზე მეც იგივე შთაბეჭდილება შემექმნა, როგორც იმ გერმანელს, რომელმაც ზემოთ ხსენებული დოკუმენტი დანერგა.



<sup>1</sup> ვაი, რომ 1972-1973 წლებში, პარიზში არასასიამოვნო კონფლიქტი მოხდა კ. სალიასა და ლევან ზურაბაშვილს შორის, რომელიც საფრანგეთში ქართული კოლონიის ერთ-ერთი მოქნილი და გავლენიანი ომის შემდგომი ლიდერი იყო და ბევრი მიმდევარიც ჰყავდა. ზურაბაშვილი, ადრე რომ აღფრთოვანებული იყო სალიას პერიოდული გამოცემით, ახლა ძალიან დამწუხრებული ჩანდა.

ამის მიზეზი „ბედი ქართლისაში“ 1972 წელს დაბეჭდილი სტატია გახდა, რომელშიც კ. სალია მოკლედ წერდა საქართველოს ისტორიაზე. ზურაბაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა თავის ბიულეტენსა და ახალ ამბებში სალიას მიერ „ახსნილი“ მიზეზები, თუ როგორ დაკარგა საქართველო დამოუკიდებლობა ფაქტიურად, ეს იმის გამო მოხდა, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ერთპიროვნულად დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება, რაც საერთაშორისო კანონს ეწინააღმდეგებოდა და არსებითად, აურაცხელი სამხედრო ძალის გამოყენებით სამხედრო ინტერვენცია მოახდინა.

ამის მაგივრად, ისტორიის ამ მონაკვეთის აღსაწერად, სალიამ ოფიციალური მოსკოვის განცხადება: „საქართველო გასაბჭოვდა“ გამოიყენა საფრანგეთის ემიგრანტთა უდიდესი უმრავლესობა ზურაბაშვილს დაეთანხმა, მაგრამ სალიას მეგობრებმა მეცნიერული წრეებიდან სულ სხვა პოზიცია დაიკავეს, მათ შორის იყო დევიდ მ. ლენგი, გამოჩენილი ბრიტანელი მკვლევარი, ვინც ლონდონის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა კავკასიის შესახებ, მრავალი წიგნი დაწერა და მათ შორისაა: „საბჭოთა საქართველოს თანამედროვე ისტორია“. მათი აზრით, სალიას ფრაზა „საქართველო გასაბჭოვდა“, — უფრო „დიპლომატიურ“ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ კრიტიკოსები ამ განმარტებამ ვერ დაარწმუნა, ნიკო ურუშაძის წერილი სალიასადმი ძლიერ კრიტიკულ გამოხმაურებას შეიცავდა არამარტო სალიას, არამედ სხვა საბჭოთა ქართველი ავტორების მიმართ, რომლებიც ბოლო ხანებში მოღვაწეობდნენ სალიას გამოცემაში. მაგალითად, იგი ახსენებდა პროფესორ ტაბალუას, რომლის ორი სტატია XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას წარმოადგენდა. ამგვარი პიროვნებები მხოლოდ დაპყრობილი ერებისადმი მოსკოვის ცნობილ რუსიფიკაციის პოლიტიკას ემსახურებოდნენ.

შემთხვევითი არ არის, რომ პროფესორი ტაბალუა ბ-ნი კუჭავას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა. ეს ის კუჭავაა, რომელიც ხრუშჩოვმა გამოიყენა ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დებატების დროს მოხსენების წასაკითხად „კოლონიური მთავრობების“ (იგულისხმებოდა, რა თქმა უნდა, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები) წინააღმდეგ. კუჭავას მოხსენებამ ისე აღაშფოთა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ მან წერილი მისწერა კუჭავას და შეახსენა, რომ მას, — ქართველს — დამოწებული ერის შვილს, უფლება არ ჰქონდა დასავლურ კოლონიალიზმზე ელაპარაკა. შემანმა, აგრეთვე მოკლედ შეახსენა, თუ რა პირობებში მოხდა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია.

ნიკო ურუშაძის კრიტიკის საფუძველს წარმოადგენდა ის აზრიც, რომ სალიას მიზანი „ბედი ქართლისა“ საბჭოელთა თვალში „მისაღებ“ გამოცემად გადაქცევა იყო; ეს კი ფრიად უკადრისი მიზანია ნებისმიერი პოლიტიკური ემიგრანტისათვის. ორი წლის შემდეგ უურნალის სპეციალურ ინგლისურ გამოცემაში ეს საკამათო წინადადება ასე შეიცვალა: „1921 წლის თებერვალში წითელმა არმიამ საქართველოს გასაბჭოება მოახდინა“ (გვ. 64). ჩანს, რომ კრიტიკამ სალია ცოტათი გამოასწორა.

გარდაცვალების შემდეგ, პროფესორი კალე სალია თბილისის ერთ-ერთ (არსებული ორიდან) პანთეონში დაასაფლავეს; ეს „პერესტროიკამდე“ დიდი ხნით ადრე მოხდა, და, შესაბამისად, პოლიტიკური ემიგრანტისადმი უპრეცედენტო მოპყრობის ნიმუშს წარმოადგენდა საბჭოეთის მხრიდან. დაე, ღმერთმა მოუვლინოს მას მშვიდობა და შეუწდოს ცოდვები. ხოლო, თუკი უცოდველი იყო, ვიტყვი, რომ ჩვენზე უკეთესად უცხოვრია.

„თეთრი გიორგის“ მეორე აქტიური წევრი (როგორც მითხრეს, ამ „პარტიის იდეოლოგი“) ალექსანდრე მანველიშვილი, რომელიც ბერლინში გამაცნეს, ნაყოფიერი და ნიჭიერი მწერალი იყო; აგრეთვე, საინტერესო პუბლიკაციებსაც აქვეყნებდა. უმრავლესობა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისადმი იყო მიძღვნილი. უცნაურია, მაგრამ თავისივე განმარტებით, ყოველივე ამას პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის აკეთებდა.

მაგრამ იგივენაირად არ ფიქრობდნენ სხვები, პირველ რიგში, მისივე პარტიის წევრები (მ. წერეთელი, ლ. კერესელიძე, გ. მაღალაშვილი, კ. სალია, ვ. ტოგონიძე და ვალოდია ცხომელიძე), მეორე მხრივ, „პარიზის ეროვნული ალიანსის“ პარტიის წევრები, რომლებსაც წარმომადგენლები ჰყავდათ ბერლინში, სახელდობრ მ. კედია, ა. ცომაია და სხვები. ალბათ ამან უკარნახა მანველიშვილს, 1980 წლის ბოლოს, გამოქვეყნებინა უსამართლო და არასწორი მსჯელობა მ. კედიასა და სხვებზე, რომლებსაც ყველაფრის, საკუთარი სიცოცხლის, რისკის ფასადაც კი არაფერი დაუშურებიათ, რათა განსაცდელში ჩავარდნილ ბევრ ქართველს დახმარებოდნენ. ისე გამოდიოდა, თითქოს იგი თავს იკავებდა ამგვარი აზრების გამოქვეყნებისაგან მანამ, სანამ პიროვნებები, რომლებსაც თავს ესხმოდნენ, ცოცხლები იყვნენ; მაგრამ ყველა არ მომკვდარა, მაგალითად, ბ-ნები მიხეილ ქავთარაძე და ლევან ფალავა, ძველი ემიგრანტები, მრავალი პერიოდული გამოცემის რედაქტორები და მანველიშვილის თანამედროვენი, ძალიან კარგად იცნობდნენ მანველიშვილის მიერ გაკრიტიკებულ პიროვნებებსაც და ამიტომ მტკიცედ გაემიჯნენ მის შეხედულებებს.

პირველ ყოვლისა, ამ პოლემიკის ძირეული მიზეზი უნდა მიმოვიხილოთ. ყველაფერი დაიწყო ბოლშევიკი „ისტორიკოსის“ ფარნაოზ ლომაშვილის წიგნით „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“, რომელიც 1965 წელს თბილისშია გამოცემული. ეს იყო ტიპიური ბრეჟნევისეული ეპოქა, როცა გაშლილი იყო ქართული ემიგრაციისა და ყველა პოლიტიკური პარტიის, ისევე, როგორც ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ყველა მებრძოლის სადისკრედიტაციო კამპანია. ამ პროპაგანდისტული შემოტევის ძირითად მიზანს,

როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში, ახალგაზრდა ქართველთა თაობაზე გავლენის მოხდენა შეადგენდა.

რადგანაც საქმე ასე წარიმართა, პარიზის „ქართველთა ეროვნულმა საბჭომ“ და „ეროვნულმა პოლიტიკურმა ცენტრმა“ საპასუხო ნ3—გვერდიანი ბროშურა გამოაქვეყნეს, რომლებშიც ბოლშევიკური პროპაგანდის სიცრუე იყო გამოაშკარავებული<sup>1</sup>. ა. მანველიშვილმა, მეორე მხრივ, აირჩია „საკუთარი“ და ფრიად უცნაური პასუხი გაეცა ბოლშევიკი ისტორიკოსის მიერ დაწერილი წიგნისათვის. მან მეტნაკლებად წააყრუა წიგნის სხვა თავებს და ვრცელი კომენტარი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს მიუძღვნა. აქ იგი, არსებითად, ეთანხმება საბჭოთა ისტორიკოსს, მცირედი გამონაკლისის გარდა, რადგან ეს ის მონაკვეთია, სადაც ცილისწამება მანველიშვილსა და მის პარტიულ მეგობრებზე არ ვრცელდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მანველიშვილმა არ გამოაქვეყნა თავისი პასუხი მანამ, სანამ ოცი-ოცდასამი წელიწადი არ გავიდა და, თანაც არ დაურთო დამატებითი კომენტარები. ზედმეტია იმის თქმა, თუ რაოდენ აღაშფოთა ქართველი ემიგრანტები მანველიშვილის ესოდენ უცნაურმა საქციელმა. მე მანველიშვილს მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ შევხვედრივარ ომის დროს, ხოლო შემდეგ საერთოდ არ მინახავს, და ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვიცნობდი, მაგრამ სხვათა მსგავსად, ზუსტად ისევე აღვშფოთდი მისი უსინდისობისა და აშკარა ბოროტების გამო. მე დიდი ინტერესით ვკითხულობდი და ყურს ვუგდებდი ყველა იმ ადამიანის თვალსაზრისს, რომლებიც მას ჩემზე კარგად იცნობდნენ.

მიხეილ ქავთარაძემ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „ივერიის“ მთავარმა რედაქტორმა და ისტორიის ცოცხალმა მონემ დაწერა გრძელი და კარგად დოკუმენტირებული ნარკვევი ამ მიუღებელი საქმის გამო და მანველიშვილის ყველანაირი თვალსაზრისის მცდარობა დაამტკიცა. ქავთარაძის დასკვნის საფუძველი იყო შემდეგი: მანველიშვილი შემცბარი იყო იმის გამო, რომ მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია მეორე მსოფლიო ომის დროს, და ამი-

<sup>1</sup> ლომაშვილი, „ქართველი ხალხის წინაშე განსჯის შესახებ“. საქართველოს ეროვნული საბჭო და ეროვნული პოლიტიკური ცენტრი, პარიზი, 1966, საფრანგეთის ქართველთა კოლონიის დეკლარაცია ბოლოში ერთვის“

ტომ შურიანობით, თავს ესხმოდა ყველას, ვინც, მისი აზრით, ასეთები იყვნენ და გზაზე ელობებოდნენ!

საქართველო  
ზინაობისთვის

ისტორიის კიდევ ერთმა ცოცხალმა მოწმემ, ლევან ფალავამაც, ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა და განდევნილი საქართველოს პრეზიდენტის, იმჟამად ავადმყოფი ნოე ჟორდანიას სიძემ, მწვავე პასუხი გამოაქვეყნა მანველიშვილის პუბლიკაციაზე და იგი სიცრუეში ამხილა.<sup>2</sup>

მე წაკითხული მქონდა ა. მანველიშვილის წიგნები, რომლებიც მან ავტოგრაფით მომყიდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ვთვლიდი, რომ ისინი კარგადაა დაწერილი. განსაკუთრებით ერთი მომეწონა: „ოქროს ხანა საქართველოს ისტორიისა“. ავტორს წერილი მივწერე და გამოვთქვი ამ შესანიშნავი ნაშრომით ჩემი აღფრთოვანება; თანაც დავსძინე, რომ ვისურვებდი მისი მსგავსი მწერლური ნიჭი დამყოლოდა, რათა უკეთ გავმკლავებოდი ჩემს მემუარებს.

მან გამამხნევებელი საპასუხო წერილი გამომიგზავნა, რომელშიც მწერდა, თქვენი განათლების კაცს შეუძლებელია პრობლემები ჰქონდესო, და, თან, რამდენიმე ტექნიკურ რჩევასაც მაძლევდა. იმასაც მწერდა, რომ იმხანად ჟურნალ „ივერიაში“ (№24,1981) წაიკითხა ჩემი ნარკვევი: „ქართველები და მეორე მსოფლიო ომი“, იქ აღნიშნულ ორ თარიღ-

<sup>1</sup> „ივერია“ №34, 1990 წლის აპრილი, პარიზი გვ. 72-79

<sup>2</sup> სტატიაში ნათქვამია—...თუმცა ა. მანველიშვილი ნიჭიერი მწერალია, იგი, ამასთან ერთად, ახალგაზრდობიდანვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლის მიღებისა და დამკვიდრების პათოლოგიური სურვილითაა შეპყრობილი. როდესაც მან, სრულიად ახალგაზრდა კაცმა, საქართველო დატოვა, პირველად თურქეთში ჩავიდა, თავის ამფსონებთან ერთად ახალი ქართული მთავრობა ჩამოაყალიბა და თვითონ საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი დაისაკუთრა. მან განდევნილი საქართველოს მთავრობა არაკანონიერად გამოაცხადა, პარიზში საკუთარი ფანტაზიით შექმნილ კაბინეტთან ერთად ჩამოვიდა, მაგრამ სულ მალე, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, იგი დაიშალა. მ. კედიამ, დიდი ქართველი პატრიოტი, რომელიც საკუთარ სამშობლოს რაინდის შემართებით ემსახურებოდა, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის ხელმეწყობით მრავალ უმნიშვნელოვანეს ჰუმანიტარულ აქციას ახორციელებდა. მაგალითად, მ. კედიამ აშკარა სიკვდილი საგან ისხანა მრავალი ქართველი ტყვე და მათი ბანაკებიდან გაათავისუფლება მოახერხა. ამ დროს იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ პოლიტიკურ ორიენტაციას (მათ რიცხვში ბევრი მანდატიანი კომპარტიის წევრიც შედიოდა), აგრეთვე, უთვალავი ქართველი ებრაელი, ისევე როგორც რუსი და ფრანგი ებრაელები გადაარჩინა გარდაუდებელი სიკვდილსა და ნაცისტურ კრემატორიუმებში შეიკვებას. თავისი მდგომარეობის გამო მ. კედიას შეეძლო დიდი ქონება დაეგროვებინა, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც შეურყვნიელი დარჩა.

ჟურნალი აშუქებს კედიას ტრაგიკულ გარდაცვალებასაც და მანველიშვილის მხრიდან კედიას წინააღმდეგ მიმართულ სხვა პატარ-პატარა მცდარ ბრალდებებს მთლიანად უარყოფს.

იხ. ჩვენი დროშა, 1990 წლის მაისი, გვ. 38-44, ქართულ ენაზე რედაქტორი ლ. ფალავა (ეს ჟურნალი თავდაპირველად განდევნილმა საქართველოს პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ დააარსა).

ზე მითითებდა, რომელთაც არ ეთანხმებოდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ სხვებმა შემიყვანეს შეცდომაში. მოგვიანებით ვიკითხე ა. მანველიშვილის მე-13 (და ალბათ, ბოლო) პუბლიკაცია, რომელშიც შედიოდა მიუღებელი პასაჟი,— „ზოგიერთი შენიშვნა“ (გვ. 17-22) ზემოთ აღვნიშნე. ძლივს დავიჯერე ეს ყველაფერი და თავაზიანი, მაგრამ კატეგორიული წერილი მივწერე, სადაც ვსაყვედურობდი, რომ უსამართლოდ დაესხა თავს ჩვენს სასიქადულო თანამემამულეებს, რომლებიც უკვე გარდაცვლილები იყვნენ და, შესაბამისად, თავს ვერ დაიცავდნენ. მე ამ საქმის შესახებ დოკუმენტაციის სრულ უქონლობაზეც მივუთითე. მან ჩემი წერილის უპასუხოდ დატოვება არჩია.

შეუძლებელია, არ აღინიშნოს მანველიშვილის მიერ იმ ფასეული ნაშრომების შექმნა, საქართველოს ისტორიას რომ ეძღვნება, მაგრამ მისი პოლიტიკური შეხედულებები სულ სხვაა. ქართველებმა ბრძოლის დიდი გზა გაიარეს (და იგი ჯერაც არ დამთავრებულა), ეროვნული დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვებისა და ადამიანთა უფლებების დამკვიდრების გზაზე. ჭეშმარიტებაა ის, რომ საქართველოს ბედი არ შეიძლება დავინროვდეს პოლიტიკურ პარტიებამდე, არამედ იგი ეროვნული თავისუფლების რანგში უნდა განვიხილოთ. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი არ იბრძოდნენ ერთი სახის დიქტატორული წყობის, კომუნისტების ფაშიზმზე გასაცვლელად. კარგი იქნებოდა (და სხვებიც ასე ფიქრობენ), რომ მანველიშვილი გაჰყოლოდა იმ გეზს, რაც ყველაზე უკეთ ეხერხებოდა, ანუ პირნიშნადად ისტორიულ თემებზე ეწერა.

პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის მონახულების დროც დადგა; შეხვედრა ნიკო ნაკაშიძემ, ჩვენი ოჯახის ძველმა მეგობარმა მოაწყო. პროფესორს „კონტინენტალური ევროპის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის“ ტერიტორიაზე ვენვიეთ; იგი ამ ინსტიტუტის დირექტორად აღმოსავლეთ საქმეების მინისტრმა ა. როზენბერგმა დანიშნა. პროფესორი ნიკურაძე სათვალეს ატარებდა. ტანად საკმაოდ დაბალი იყო, მაგრამ შესანიშნავად ეჭირა თავი და მის ხმასა და მიხვრა-მოხვრაში დიდი რწმენა შეინიშნებოდა. ჩვენი შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე მოსაზრებებს კავკასიაზე თავაზიანად უსმენდა და

ერთხელაც არ გაუწყვეტინებია საუბარი. შეხვედრის ბოლოს ნიკო ნაკაშიძემ მთხოვა მეამბნა პროფესორისათვის, თუ როგორ გამოვაცხადე „ბერგმანელი“ ქართველების სახელით „ამინისტია ქართველი კომუნისტებისათვის“ პროკლამაციაში, რომელიც „საჰაერო შენაერთ - 4“-ში დაიბეჭდა და შემდეგ საქართველოში გადმოყარეს.<sup>1</sup> პროფესორი ამ ფაქტს არც გაუკვირვებია და არც შეუწუხებია; არსებითად, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მოინონა. შემდეგ მოგვითხრო საქართველოსა და სხვა კავკასიური ერების მომავლის თაობაზე თავისი კვლევისა და შეხედულებების შესახებ იმ შემთხვევაში, თუკი გერმანელები ომს მოიგებდნენ, — ხოლო გამარჯვებაში დარწმუნებული იყო.

ნიკურაძემ განაცხადა, რომ ეჭვიც არ ეპარებოდა, ყველა ეს ქვეყანა დამოუკიდებლობას საქართველოს წინამძღოლობით მოიპოვებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ქართველები ბუნებით ლიდერები არიან. მაგრამ დაუმატა, რომ პირველი რანგის პრობლემად მაინც რჩებოდა ის, თუ როგორ გვესწავლებინა დასავლური ყაიდის ცხოვრების წესი ჩვენი ხალხისათვის. აგრეთვე, დაგვარწმუნა, რომ მინისტრ როზენბერგისა და „რაიხის“ სხვა წარმომადგენლების სრული მხარდაჭერით სარგებლობდა და დამშვიდობებისას თბილად ჩამოგვართვა ხელი. „ჩვენნაირი ქართველი პატრიოტია, — მითხრა ნიკო ნაკაშიძემ, როდესაც სახლში ვბრუნდებოდით, არავის მისცე უფლება თქვას, რომ იგი აღარ არის ქართველი და მთლიანად გაგერმანელდა“.

მეორედ პროფესორ ნიკურაძეს 1945 წლის აპრილში შევხვდი. მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ბერლინი, რამდენიმე მეგობართან ერთად, დავტოვე; ყოველ ჩვენგანს სხვადასხვა საქმე გველოდა და ერთ საერთო მიზანზეც უნდა გვეზრუნა.<sup>2</sup> ჩვენ ობერპლაცისაკენ მივემართებოდით, სამხრეთ ბავარიაში. როგორღაც შევიტყვეთ, რომ პროფესორი ა. ნიკურაძე, თავისი ინსტიტუტის „ბირთვთან“ ერთად, ბერლინიდან ახლომდებარე ქალაქ შვარცენფელდში გადაეყვანათ. ჩვენ მათ სანახავად შევჩერდით; იგი მოგვესალმა და სადილად მიგვიწვია.

ზოგიერთმა ჩვენგანმა სადილის შემდეგ დასვენება არ-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხილეთ თავი „კავკასია“.

<sup>2</sup> ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.



ჩია, ხოლო პროფესორმა და მე გავისეირნეთ, რათა ერთმანეთისათვის აზრები გაგვეზიარებინა. ჩვენ ვცდილობდით, შეგვეფასებინა ის სახიფათო ვითარება, რომლის წინაშეც გერმანიაში მყოფი ქართველები აღმოჩნდნენ. იალტის შეთანხმების თანახმად, ეს გარემოება განსაკუთრებით საშიში იყო ომის ტყვეების, მუშებისა და საბჭოური წარმოშობის ლეგიონერებისათვის. რისი გაკეთება შეიძლებოდა ამ პირობებში, ცხადია, ყოველივე ეს დასავლეთის მოკავშირეთა ხელში იყო. პროფესორმა შენიშნა, რომ ნავიდა ის დრო, როცა „გერმანიის რაიხი“ უმაგრებდა ზურგს; მას უკვე აღარ შეეძლო ქართველებისა და სხვა კავკასიელების დახმარება. მიუხედავად ამისა, არ ეშინოდა პასუხისმგებლობისა თავისი წარსულისა და ჩატარებული სამუშაოს გამო და მზად იყო ნებისმიერ დროსა და ადგილას პასუხი ეგო ამისათვის. სჯეროდა ისიც, რომ მე და ჩემი მეგობრებიც ასევე მზადყოფნაში ვიყავით. ამ განცხადებამ მათქმევინა პროფესორისათვის, რომ მ. კედია, სხვა კავკასიელებთან, ალიბეკოვთან, ჯალალიანთან და კანტემირთან ერთად, უკვე შვეიცარიაში იმყოფებოდა.

საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ზოგიერთი შვეიცარელი პიროვნების შუამავლობით, მათ სურდათ, დასავლეთის მეკავშირეებისაგან მიეღოთ გარანტიები, რათა მხოლოდ კავკასიელთა რეპატრიაცია მოეხდინათ... მისი მეგობრები, აგრეთვე, იმედოვნებდნენ, რომ ნათელს მოჰყვებდნენ კავკასიურ პრობლემას და გააგებინებდნენ ამერიკელებს, რომლებთანაც ადრე გააბეს კავშირი (რასაც ქვემოთ დავინახავთ) მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენი საქმიანობისა და შეხედულებათა თაობაზე.

პროფესორ ნიკურაძეს ისიც ვუთხარი, რომ ვიდრე ეს ყველაფერი შვეიცარიაში ხდებოდაო. გერმანიაში, გენერალ კიოსტრინგისა და მისი შტაბის (რომელიც იმჟამად ბადრაიხენჰოლში იყო განლაგებული და იქ ვიზიტს ვაპირებდი) მიერ სხვა ლონისძიებანი იქნა მიღებული. ზოგიერთი კავკასიური შენაერთი დანიაში გადაისროლეს, ხოლო რამდენიმე რაზმი იტალიაშიც იმყოფებოდა. ეს ადგილები შედარებით უსაფრთხო ბაზებად ეგულებოდათ, რადგან ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ წითელი არმია ოდესმე შეაღწევდა ამ ქვეყნებში. აგრეთვე, ვცდილობდით „ბერგმან-1“ ბალ-

კანეთიდან გამოგვეყვანა და აღმოსავლეთის ფრონტის სხვა  
შენაერთებთან ერთად ამ ორ ბაზაში გაგვეგზავნა. მეკავშირე  
რე ოფიცრები გააგზავნეს, რათა მათ ეს ცნობა „ბერგმან-  
ში“ ჩაეტანათ და ამ საქმესთან დაკავშირებული არმიის  
უმაღლესი სარდლობის წერილობითი ბრძანება შესაბამისი  
ფრონტის გენერლის, ფელდმარშალ შოერნერისათვის გა-  
დაეცათ.

პროფესორ ნიკურაძეს ისიც ვუთხარი, რომ ბადრაიხენ-  
ჰოლსა და ზალცბურგში საქმეების მოთავეების შემდეგ,  
მ. ალშიბაიას, ა. ცომაიასა და პროფესორ ფონ მენდეს შვე-  
იცარიის საზღვარზე, ავსტრიაში შევეურთდებოდი. იქიდან  
კედიას დავუკავშირდებოდი, რათა მათი მოლაპარაკებათა  
შედეგები გაგვეგო, და, თუ საქმე კარგად წავიდოდა,  
შევძლებდით ჩვენს ხალხთან დაკავშირებას, რათა შემდგო-  
მი სამოქმედო გეგმა შეგვემუშავებინა. გოგი მაღალკვამა  
აიზინგში, ბავარიაში დარჩენა გადაწყვიტა ოჯახთან ერ-  
თად. ჩვენ დავემშვიდობეთ პროფესორ ნიკურაძეს, თუმცა  
არ გვჯეროდა, რომ ომის ბოლომდე ცოცხლები დავ-  
რჩებოდით, მაგრამ ფაქტია, რომ გადავრჩით. ✕

შემდეგ რამდენჯერმე მომიხდა მისი ნახვა მიუნხენში. იგი  
ფიზიკოსი იყო და თავის დარგში სამეცნიერო კვლევას მის-  
დევდა. მას მეტი დრო ჰქონდა, ხშირად მოენახულებინა მი-  
უნხენის პატარა ქართული კოლონიის წევრები, ჩემი  
მძახლების ჩათვლით. მათ პატარა პოეტური ნაწარმოებებით,  
თავისი წარსული სამუშაოს ეპიზოდების მოყოლითა და მო-  
მავლის წინასწარმეტყველებით ართობდა; იგი ყველას უყ-  
ვარდა. პროფესორმა თავისი გერმანელი მდივანი ითხოვა  
ცოლად და უსაყვარლესი გოგონა შეეძინათ. მიუნხენში ჩვე-  
ნი ერთ-ერთი ვიზიტისას (იქ არ ვცხოვრობდით) მან მე და  
ჩემი ცოლი სადილად დაგვპატიჟა და დაჟინებით გვთხოვა,  
ლამე მის სახლში გაგვეტარებინა. რალა თქმა უნდა, გვიან  
ლამემდე ვსაუბრობდით. მითხრა, რომ ომის შემდეგ ამერი-  
კის სადაზვერვო სამსახურმა რამდენიმე თვით დააპატიმ-  
რა, ძირითადად იმის გამო, რომ ატომს იკვლევდა. დეტა-  
ლური გამოძიების შემდეგ გაათავისუფლეს.

ომის დროს პროფესორ ნიკურაძის პიროვნება საიდუმ-  
ლოებით იყო მოცული. ომის შემდეგ პუბლიკაციებში მის



შესახებ აზრები გაიყო, — „კეთილისმქმნელი“ იყო თუ „ბოროტი მოქმედი“? მაგალითად, პროფესორი დევიდ მ. ლენგი ასე წერს მასზე: „ქართველები ნაცისტური რეჟიმის დროს მხოლოდ ალექსანდრე ნიკურაძის, ქართველი მეცნიერის, ჩარევით გადარჩნენ, რომელსაც გერმანულ ოფიციალურ სამყაროში მაღალი პოზიცია ეკავა“. პროფესორი ლენგი იმასაც წერს, რომ „როზენბერგსა და ფაშისტი რასისტების სხვა წარმომადგენლებს, რასობრივ საფუძველზე ისევე სურდათ ქართველების განადგურება, როგორც ებრაელებისა და ბოშების“. მიუხედავად პროფესორ ლენგისადმი საკადრისი პატივისცემისა, მისი მეორე განცხადება მიუღებელია და ალბათ იმ პიროვნების ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს, ვინც ეს ცნობა მიაწოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველებს რასობრივ ნიადაგზე დევნა არ განუცდიათ და, ამ თვალსაზრისით, იმდენად უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, რომ პირიქით, გადარჩენაში როგორც ქართველ, ასევე რუს და ფრანგ ებრაელებსაც ეხმარებოდნენ.

უფრო მეტიც, რაც შეეხება კავკასიას, ნაცისტების აზრით: „მხოლოდ სამი რამ იყო განსაზღვრული წინასწარ: გერმანელების სწრაფვა კავკასიური ნავთობისაკენ; ნაცისტების „ცოდნა“ იმის თაობაზე, რომ კავკასიური მოსახლეობა ძირითადად არასლავური ანუ „არიულია“, და კავკასიის მოსახლეობის გადაადგილების განდევნის, ადგილის მონაცვლეობის შესახებ გერმანული გეგმის „არარსებობა.“ როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროფესორ ნიკურაძეს უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა როზენბერგზე, მაგრამ მაინტერესებდა, ამ ფაქტს მხოლოდ პიროვნული გამორჩენის მიზნით იყენებდა თუ არა. იგი მოწოდებით ფაშისტი იყო თუ უბრალოდ უტილიტარული პიროვნება. მე საკმაოდ დიდხანს და საკმაოდ კარგად არ ვიცნობდი მას, რომ პასუხი გამეცა ამ კითხვებზე (თუმცა „წინათგრძნობა“ ბევრს მეუბნებოდა). ამიტომ დახმარება მჭირდებოდა, რომელიც ნიკურაძის კარგი ნაცნობის, კიდევ ერთი ქართველის, პროფესორ ვახტანგ ჯობაძისაგან მივიღე.

პროფესორ ჯობაძის დაკვირვებები ასეთია: პროფესორ ნიკურაძეს, გამორჩეულად ნიჭიერ და ჭკვიან მეცნიერს, ნა-

<sup>1</sup> ა. დოლინი, გერმანული მმართველობა რუსეთში, 1941-1945; ლონდონი, 1957 წ.

ყოფიერ მწერალსა და პუბლიცისტს, სეროიზული საკვლევი პროექტების განხორციელება ხელენიფებოდა. იგი ტივმოყვარეც იყო. მისთვის ალბათ შეუძლებელი იქნებოდა, წინ წაწეულიყო კონკურენციით აღსავსე ნაცისტურ გერმანიაში, იმის გამო, რომ უცხოელი (და, თანაც, არცთუ „ნორდიკულ-გერმანიკული ტიპისა) იყო. ამიტომ გერმანული მოქალაქეობა მიიღო და ნაცისტური პარტიის წევრი გახდა. მრავალი მისი გერმანელი კოლეგა-მეცნიერის მსგავსად, ზუსტად ისევე, როგორც საბჭოთა მეცნიერები იძულებული იყვნენ კომუნისტურ პარტიაში შესულიყვნენ. მან გამოიყენა როზენბერგთან ძველი მეგობრობა (როგორც უკვე აღვნიშნე, ორივე ემიგრანტი იყო და მიუნხენში სწავლობდნენ). მას შემდეგ, რაც როზენბერგი აღმოსავლეთ ოკუპირებული ტერიტორიების დარგში „რაიხის“ მინისტრი გახდა, ნიკურაძე მის მთავარ მრჩეველად და კონტინენტური ევროპის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა, მაგრამ ნიკურაძის თითქმის ყველა ნაშრომსა თუ ნაწერში საქართველოს საკითხი მუდამ ტრიალებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოზე ფიქრი არ ტოვებდა მის გონებას“ (რეი ჩარლზის ცნობილი სიმღერის პერიფრაზი). პროფესორ ჯობაძის განცხადებას იმას დავუმატებდი, რომ ნიკურაძე ფხიზლად შეხვდა მეორე მსოფლიო ომის კატაკლიზმებს, რომლის დროსაც მოსალოდნელი საფრთხე, განსაკუთრებით პატარა ერების შვილებს, მუდამ თან გვდევდა. მაგალითად, მიხეილ კედიასაგან ვიცი, რომ იგი მხარდაჭერას, ებრაელების გადარჩენის მისიის აღსრულებისას, არა მხოლოდ პროფესორ გ. ფონ მენდესაგან, არამედ პროფესორ ა. ნიკურაძისაგანაც ღებულობდა.<sup>2</sup>

თუ რაოდენ მგრძობიარე პიროვნება იყო ნიკურაძე, ამ მაგალითიდანაც ჩანს: 1941 წლის შემოდგომაზე გენერალი ალი ფუად ერდენი, თურქეთის გენერალური შტაბის აკადემიის ყოფილი მეთაური და პარლამენტის წევრი, ჰუსეინ ერკილეტთან, თათრული წარმოშობის გამოჩენილ პანთურქულ და პროგერმანელ გენერალთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა „რაიხში“; ამ ვიზიტისას ფიურერთან

<sup>1</sup> პროფესორი ნიკურაძე, განსაკუთრებით: კავკასია და აღმოსავლეთ ევროპა, მიუნხენი, 1942 და 1944; აღმოსავლეთ ევროპა, იგივე გამოცემა, 1942 და 1944.

<sup>2</sup> იხ. ავტორის არქივში დაცული დოკუმენტი.



მიღებაც იყო დანიშნული. გერმანელებს სურდათ პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანულ-თურქული „იარაღით დაძმობილები“ მომენტები კვლავ აღედგინათ მეხსიერებაში და აღმოსავლეთის ფრონტის დათვალიერებით შთაბეჭდილება მოეხდინათ სტუმრებზე. მათი დაბრუნების შემდეგ გენერლებმა თურქეთის პრეზიდენტს, საგარეო მინისტრსა და გენერალური შტაბის მეთაურს მოხსენებითი ბარათით მიმართეს: სტუმრები გერმანელებს, აგრეთვე, სთხოვდნენ, უკეთესად მოპყრობოდნენ ტყვეებს და სურვილს გამოთქვამდნენ, რომ მათი საშუალებით „მოხალისეთა“ ლეგიონები შეედგინათ.<sup>1</sup> კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც ჰიტლერზე გავლენა იქონია, ალბათ საბჭოთა გენერალური შტაბის აზერბაიჯანელი მაიორის მიერ მიწერილი წერილი იყო; იმჟამად იგი გერმანელთა ხელთ ჩავარდნილიყო და ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა. იგი წერდა: „... ყოველთვის მქონდა პრონაციისტური, ანტიბოლშევიკური განწყობილება და მხოლოდ მომენტს ვეძებდი, რათა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მეზრძოლა“.<sup>2</sup> არ არის გამორიცხული, რომ ამ ორმა ფაქტორმა ჰიტლერს აზრი შეაცვლევინა. თავდაპირველად მან აკრძალა აღმოსავლელი ხალხის სამხედრო სამსახურში განწვევა, განურჩევლად მათი ეროვნული წარმოშობისა. ახლა კი, ჰიტლერის მიხედვით, „წმინდა სისხლის მუსულმანები“, ანუ „ნამდვილად თურქი ერები“ სანდონი გახდნენ. ჰიტლერმა 1941 წლის შუა ნოემბერში თურქული ლეგიონის შექმნის<sup>3</sup> ნება დართო. დოლინი აღნიშნავს: „...ზოგიერთი დიპლომატიისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს მაღალი ეშელონის ჩინოვნიკები პრო-თურქული ორიენტაციისადმი აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილნი. ბოროტ გენიას აქაც ნიკურაძე წარმოადგენდა. ორი იმპერიალისტური კონცეფცია: „კავკასიაში თურქების წინამძღოლობისა“ და „ქართველების მიერ მართული კავკასიის“ შესახებ გააფთრებით შეასკდა ერთმანეთს“.<sup>4</sup>

ეს მაგალითი მომყავს, რათა ნათლად ვაჩვენო ნიკურაძის

<sup>1</sup> ა. დოლინი. გერმანელთა მმართველობა რუსეთში გვ. 234.

<sup>2</sup> ა. დოლინი. გვ. 540.

<sup>3</sup> ა. დოლინი. გვ. 540.

<sup>4</sup> დოლინი. გვ. 236.

<sup>5</sup> ა. დოლინი. გვ. 540 დოკუმენტი 1517-p.s. Tmc, XXVII, 272.

მზადყოფნა და მისი ეფექტურობა მინისტრ როზენბერგზე გავლენის მოსახდენად, როდესაც მან, მართებულად თუ უმართებულად, იგრძნო, რომ თურქეთის პრეტენზიები—საქართველოს როლის დაკნინების ხარჯზე—მომავალში რეალობა გახდებოდა.

ისევ შემთხვევითობას არ უნდა დავუკავშიროთ ის, რომ მხოლოდ თურქული ლეგიონის შექმნის შესახებ ჰიტლერის ბრძანების მიუხედავად, სამხედრო ძალების უმაღლესმა სარდლობამ, აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროდან „ენტუზიასტების“ მარდაჭერით, ბრძანება გასცა, ორი განცალკავებული, არამუსულმანური, სომხური და ქართული ლეგიონების შესაქმნელად. როგორ მოხდა ეს? ამის ასახსნელად დოლინი ერთ დოკუმენტს იმონმებს, რომლის მიხედვითაც, „ალბათ როზენბერგმა დაარწმუნა ჰიტლერი, რომ ორი განცალკავებული ეროვნული ლეგიონის შექმნა თითოეული ეთნიკური ჯგუფისათვის, ერთდროულად, ხელს შეუწყობდა ანტირუსული იდეების გავრცელებასა და პანთურქული მოძრაობის საფრთხის გაბათილებას“. შესაბამისად, ოთხი განცალკავებული ლეგიონი შეიქმნა: თურქესტანის, კავკასიელი მუსულმანების (ჩრდილო კავკასია და აზერბაიჯანი), სომხებისა და ქართველების.

თუმცა დოკუმენტში ეს არაა აღნიშნული, მე მაინც ვაფასებ და ვემხრობი იმ აზრს, რომ პროფესორმა ნიკურაძემ ამ შემთხვევაში შეძლო ამგვარი წინადადებით გაეშვა თავისი მინისტრი ჰიტლერთან. თუმცა ეს ნათქვამი ისე არავინ გავიგოს, თითქოს ამ გზით გამოვხატავდეთ სიმპათიას აღმოსავლეთ საქმეების სამინისტროსა ან მისი მინისტრის, როზენბერგის მიმართ, კავკასიელებსა და „აღმოსავლეთის“ სხვა ხალხებს არ მოუთხოვიათ ასეთი სამინისტროს შექმნა და მათთვის უკეთესი იქნებოდა გერმანელებთან ურთიერთობა შულენბურგის გეგმის მიხედვით გაებათ, რის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებთ. მაგრამ ეს გეგმა უღმობელმა დიქტატორმა აკრძალა და მის მაგივრად აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტრო დააარსა. პრაქტიკულად ასეთია საქმის არსი და ამიტომ ყოველდღიური პრობლემების გადაჭრისას ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს ორ წამყვან მუშაკს, პრო-



ფესორ ფონ მენდესა და ბრაუტიგამს კავკასიური მიზნების  
 წინ ნაწევრად ეზრუნა. როგორც გაირკვა, პროფესორი ა.  
 ნიკურაძეც, თუმცა ოდნავ განსხვავებული პოზიციიდან, კავ-  
 კასიის ინტერესებზე მაინც ფიქრობდა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს, ზოგი-  
 ერთი დიპლომატი, პროთურქულ პოლიტიკას ემხრობოდ-  
 ნენ, ესენი იყვნენ—ფონ პაპენი, პენტინგი და ვოერმანი, მაგ-  
 რამ არა ფონ შულენბურგი, რომელსაც ჩვენ ყველა დიდი  
 სიხარულით დავუკავშირდებოდით და რომელიც კავკასიი-  
 დან ლტოლვილებზე დაყრდნობას აპირებდა.

ჩვენი საერთო გრძნობები აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტ-  
 ტროს მიმართ ამგვარი მაგალითიდანაც ჩანს: ჩვენ მას „კო-  
 ლონიურ სამინისტროს“ ვეძახდით. კავკასიელთა ერთ-ერთი  
 შეხვედრის დროს ბერლინში (რომელსაც პროფესორი ფონ  
 მენდეც ესწრებოდა) მიხეილ კედიამ წამოიძახა: „თუკი აღ-  
 მოსავლეთ საქმეთა სამინისტრო რაიხსკომისრად ბატონ ში-  
 კედანცს გააგზავნის კავკასიაში, ჩვენ, კავკასიელები, მთებში  
 გავიხიზნებით და პარტიზანულ ომს დავიწყებთ“.

ა. ასათიანმა, ა. ცომიაამ და დ. სინჯიკაშვილმა (რომელ-  
 საც 1942 წლის შემოდგომიდან, კავკასიაში შეხვედრის შემ-  
 დეგ, ვიცნობდი) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული  
 პარტიის დამაარსებელი (1917 წელი) და ლიდერი სპირიდონ  
 კედია<sup>1</sup> გამაცნეს. იგი, სხვა კავკასიელ პოლიტიკურ ლიდე-  
 რებთან ერთად, 1942 წლის გაზაფხულზე, პარიზიდან ბერ-  
 ლინში ელჩის, ფონ შულენბურგის მოწვევით ჩამოვიდა. ეს  
 ღონისძიება გახლდათ ფონ შულენბურგის ძველ ინიციატი-  
 ვათა ნაწილი, რომლის მიხედვითაც, შიტლერის აღმოსავ-  
 ლეთში შეჭრისას, საბჭოთა კავშირის ხალხების მიმართ  
 ჰუმანური გერმანული პოლიტიკა უნდა განხორციელებული-  
 ყო. მაგრამ შულენბურგის ცდები ფუჭი აღმოჩნდა, რადგან  
 შიტლერი ყოველგვარ ცვლილებებს ჯიუტად ეწინააღმდე-  
 გებოდა. სპირიდონ კედია მიხვდა, რომ ვიდრე შიტლერი და  
 მისი დამქაშები განაგებდნენ გერმანიას, აზრიანი მოლაპა-  
 რაკებები შეუძლებელი იყო (მაგრამ ფონ შულენბურგს არა-  
 სოდეს შეუწყვეტია თავისი აქტიურობა ამ მიმართულებით,  
 როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ).

<sup>1</sup> არ უნდა შეგვეშალოს მიხეილ კედიამი.

მეორე მხრივ, სპირიდონ კედიამ, ისევე როგორც პროფ. სორმა ფონ მენდემ, მიხეილ კედიამ და ბევრმა სხვამ, იცოდა და იმ საშიშროების თაობაზე, რაც ქართველებს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ელოდათ; ეს განსაკუთრებით ტყვეებსა და ლეგიონერებს ეხებოდათ. ამიტომ სპირიდონ კედიამ უთხრა თავის მიმდევრებს, ცომიას, სინჯიკაშვილსა და სხვებს, რომ მათ, „ახალგაზრდა თაობის“ წარმომადგენლებს, უნდა „მიელოთ ესტაფეტა“ და შეექმნათ ორგანიზაცია, - მისია, რომელიც ქართველთა ინტერესებს დაიცავდა და ხალხს დაეხმარებოდა. მან ისიც თქვა, რომ თვითონ უკვე მოხუცი იყო და ვეღარ შეძლებდა ამგვარ საქმიანობაში ჩაბმას, რადგან მისი ხნის ხალხს აღარ ჰქონდა „ახალი შეცდომების“ უფლება, რადგანაც მათ გამოსასწორებლად უკვე დრო აღარ რჩებოდათ!

ჩემი შეხვედრა ს. კედიასთან ფრიად სასიამოვნო აღმოჩნდა, იგი მშვიდად მოსაუბრე, დარბაისელი, ნათელი და ღრმა ხედვის უნარით დაჯილდოებული პიროვნება აღმოჩნდა. აზრებს სრული აუღელვებლობით გამოთქვამდა, ხოლო მე კარგად მესმოდა მისი გულისნადები და პატივისცემითაც განვიმსჭვალე მისდამი. მის აზრებს, მიმდინარე ვითარების შესახებ, პარტიული ინტერესების მიუხედავად, „პარტიზის ნაციონალური ალიანსის“ წევრების უმრავლესობა იზიარებდა; მათ შორის იყვნენ განდევნილი საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი.

მენდეს ზოგიერთი ლეგიონერის შეხედულებათა თაობაზეც მოახსენეს. მათ აინტერესებდათ, თუ რატომ არ იყო ბერლინში რაიმე ორგანიზაცია, რომელიც მათ ინტერესებს გამოხატავდა. მე გარკვეული დანაოლის ქვეშ ვიმყოფებოდი, რომ მოკავშირეთა შტაბში გავერთიანებულიყავი. ამის გაკეთებას განსაკუთრებით მთხოვდნენ: ა. ასათიანი, თენგიზ დადეშქელიანი, ვიქტორ ნოზაძე, ჟორა ინჯია, ალიოშა აბაშიძე, ნიკო ნაკაშიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, მიშა კედიამ, ა. ცომიამ, მიხეილ ალშიბაიამ, გოგი მაღალოვი, კალე სალია, ვალიკო ტოგონიძე და მრავალი სხვა, განსაკუთრებით კი, „ბერგმანელი“ ჯარისკაცები.

<sup>1</sup> პირადი ურთიერთობა სინჯიკაშვილთან.



გერმანელების მხრიდან პროფესორ ფონ მენდელ მარნმუნეზა, შევსულიყავი მოკავშირეთა შტაბში, რამდენადაც სამხედრო განყოფილების გამგე და ქართველების სპიკერი ვიქნებოდი გერმანულ არმიაში. პროფესორმა თქვა, რომ იგი ესაუბრა გენერალ ჰელმიხისა და კოსტრინგის შტაბებს და ისინიც სავსებით იზიარებდნენ აზრს იმის თაობაზე, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა.

3 აგვისტოს პროფესორმა ობერლენდერმა დამირეკა და მითხრა, ბერლინში გავლით მიწვევს ჩამოსვლა და შენთან შეხვედრა მსურსო. იგი ჩემს სასტუმროში მოვიწვიე, სადაც შეუფერხებლად შეგვეძლო საუბარი. ორივემ ვიცოდით, რომ გერმანული არმიისათვის კურსკთან „სატანკო ბრძოლის“ საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა. საბჭოელებმა წინ წაიწიეს ხარკოვის სექტორში, ხოლო მათი ეს გარღვევა მთელი სამხრეთის ფრონტისათვის (ყირიმის ჩათვლით) პოტენციურ საშიშროებას შეიცავდა; სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი ნუხილი „ბერგმანის“ გამო.

ივლისის ბოლოს ჰამბურგი მძიმედ დაიბომბა რუსეთის საჰაერო ძალების მხრიდან, რამაც მრავალი სამოქალაქო პირის სიკვდილი და დასახიჩრება გამოიწვია. აგვისტოს დასაწყისში შეერთებული შტატებისა და სამეფო საჰაერო ძალებმაც დაიწყეს გერმანული სამიზნეების დაბომბვა. ეს პროცესი იზრდებოდა და ბერლინსაც შეეხო. ობერლენდერმა მოისურვა შეხვედროდა ჩემს ახალ მეგობრებს და შესაძლო შემწეებს, რაც მეორე დღესვე მოხერხდა ადლონში. მ. კედია (რომელსაც ობერლენდერი უკვე იცნობდა), გ. მაღალოვი და მ. ალშიბაიაც მოვიდნენ; მოვიწვიე უჩინო ოფიცერიც, ჟორა ინჯია „ბერგმანიდან“, რომელიც ახლად ჩამოსული იყო ბერლინში. დაახლოებით ოთხი საათის მანძილზე ვისიამოვნეთ ერთმანეთთან ყოფნით და სხვადასხვა საკითხებზე აზრთა გაზიარებით.

შემდეგ პროფესორს „სილეზიის“ რკინიგზის სადგურზე გავყევი, გზაში ობერლენდერმა მითხრა, რომ მისი აზრით უნდა მეფიქრა ბერლინში სამოკავშირეო შტაბში გაერთიანებაზე. თქვა, რომ შეცვლილი ვითარების შემთხვევაში ბერლინში უფრო მეტს გავაკეთებდი მოხალისე ქართველთა სამხედრო შენაერთებისათვის, „ბერგმანის“ ჩათვლით. ობერ-



ლენდერმა აღნიშნა, რომ მოხალისე ჯარების გენერალიცაა მისი შტაბი მოხარული იქნებოდა, თუკი მე ქართული სამოკავშირეო შტაბის სამხედრო განყოფილებას ჩავუდგებოდი სათავეში. ამის მიზეზი ადვილად ასახსნელია: ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობდით კავკასიის სამხედრო ექსპედიციაში, ყირიმში. ის ნდობა, რომელიც მე მოვიხვეჭე, ობერლენდერის თქმით, არა მხოლოდ ქართველთა შენაერთებს, არამედ სხვა კავკასიელებსაც დიდად წაადგებოდა. იგი ჩაჯდა ლოტცენ პრუსიის მატარებელში, რადგან არმიის შტაბში შეხვედრა ჰქონდა დანიშნული.<sup>1-5</sup>

მოკავშირეთა შტაბს რამდენიმე მიზეზით არ ვუერთდებოდი. პირველ რიგში, „ბერგმანის“ ჯარისკაცებთან ვიყავი მიჯაჭვული; მეორე – ჯარისკაცის უფლებები და მოვალეობანი საომარ ზონაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, მაგრამ სამოკავშირეო შტაბში მრავალი პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა და თითქმის არანაირი უფლება, რის გამოც პირადად ვერ შევძლებდით ჩვენი ხალხის გამოსარჩლებას. ამიტომ ჩვენთვის სასიკეთო შედეგების მისაღებად მთლიანად გერმანულ ინსტიტუტებზე უნდა ვყოფილიყავით და მოკიდებულნი.

იყო, აგრეთვე, სამოკავშირეო შტაბთან დაკავშირებული „მომგებიანი“ მომენტებიც, არსებითად, ორი: პირველი, მანამ, სანამ გარკვეულ დანესებულებებს ჩვენი გერმანელი მეგობრები ედგნენ სათავეში, ჩვენს წინადადებებს ყოველ-

<sup>1</sup> იქ შეიქმნა, რომ „ზემოდან წამოსული ბრძანების“ თანახმად, იგი მოეხსნათ „ბერგმანის“ მეთაური ოფიცრის თანამდებობიდან. უკვე ეჭვს აღარ იწვევდა ის, რომ „ბერგმანს“ სამ „დამოუკიდებელ“ ბატალიონად დაჰყოფდნენ. 23 აგვისტოს ობერლენდერი საბოლოოდ დაემშვიდობა „ბერგმანს“, რომელიც მან და კანარისმა შექმნეს. ობერლენდერის გადაყენებამ ფსიქოლოგიური ზენოლა მოახდინა „ბერგმანის“ ჯარისკაცებზე, ისინი აღშფოთდნენ და სასონარკვეთა დაეუფლათ, რადგან სანდო და საყვარელი მეთაური დაკარგეს. ობერლენდერისათვის ამგვარი სასჯელის მიზეზი გახდა მისივე მემორანდუმი, რომელშიც გერმანელთა აღმოსავლურ პოლიტიკას აკრიტიკებდა, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ. 11 ნოემბერს, 1943 წელს, გესტაპომ გაჩხრიკა ობერლენდერის საცხოვრებელი და მას შინაპატიმრობა მიუსაჯა. მეორე დღესვე პარტიიდან გარიცხეს, რასაც არმიიდან დათხოვნა მოჰყვა, ხოლო სამხედრო ტრიბუნალისაგან მხოლოდ ზოგიერთი გავლენიანი კეთილმოსურნის ჩარევამ იხსნა.

<sup>2</sup> ჰანს ფონ ჰერვარტი, ორი ბოროტების წინააღმდეგ (ობერლენდერის შესახებ).

<sup>3</sup> პროფესორი თეოდორ ობერლენდერი, „ობერლენდერის დღიური“.

<sup>4</sup> გივი გაბლიანი, მემუარები, თავი V, ყირიმი.

<sup>5</sup> ავტორის „მინი-დღიური“.



თვის „მწვანე გზა“ ექნებოდა. ვფიქრობ, საჭიროა კვლევა შეგახსენოთ ჩვენი ძირითადი მეგობრების სახელები: შუ-  
 ლენბურგი, კანარისი, მენდე, ბრაუტიგამი, შტაუფენბერგი,  
 კიოსტრინგი, ჰერვართი, უნგერმანი, რაიხსმიულერი და მა-  
 თი თანამოაზრენი, რომელთა სახელებსაც ქვემოთ მოგახსე-  
 ნებთ. ყველა ისინი წინ აღუდგნენ ჰიტლერის პოლიტიკას.  
 მეორე მიმზიდველი მომენტი იყო ის, რომ ჩვენმა გერმა-  
 ნელმა მეგობრებმა ყოველმხრივ სცადეს შეექმნათ ჩვენთვი-  
 სა და სხვა კავკასიელებისათვის (ისევე, როგორც სხვებისათ-  
 ვის „ალმოსავლეთში“) კომიტეტების მსგავსი, პოლიტიკუ-  
 რად გამართლებული ორგანიზაცია და ამით გამოევიდინათ  
 გერმანელების მხრიდან ჩვენი დამოუკიდებლობისადმი მხარ-  
 დაჭერა, მაგრამ ყველა ეს ცდა ნაცისტ ლიდერთა უარმა  
 ჩაშალა.

ასე რომ, ახლა, როცა სრულიად ნათელი იყო გერმანელ-  
 თა დამარცხება, ჩვენ ისევ ერთად უნდა გვეფიქრა, თუ რო-  
 გორ გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ  
 შეიძლებოდა (მცირეოდენი იმედი მაინც გვრჩებოდა, რომ  
 ერთი ბოროტების—ჰიტლერის დამარცხების შემდეგ დასავ-  
 ლეთის დემოკრატიული ქვეყნები მეორე ბოროტების - სტა-  
 ლინის მეთაურობით საბჭოთა ბოლშევიკური ექსპანსიის აღ-  
 კვეთაზეც იფიქრებდნენ). თავს უკვე უხერხულად ვგრძნობდი,  
 რომ დადებით პასუხს ვუფერხებდი წამყვან ქართველ პო-  
 ლიტკოსებს, ა. ასათიანსა და ვ. ნოზაძეს, იმის თაობაზე,  
 რომ მონანილეობა მიმელო ქართველთა სამოკავშირეო  
 შტაბის ფორმირებაში და დავთანხმდი. მაგრამ ამის შემდე-  
 გაც ვფრთხილობდი, რადგან ჩვენი იმედები შეიძლება არ  
 დამთხვეოდა ზოგიერთთა მოლოდინს. ამიტომ საბოლოოდ  
 შეიძლებოდა, განტევების ვაცებიც კი გავმხდარიყავით იმ  
 იმედგაცრუებული ადამიანების თვალში, რომელნიც ყვე-  
 ლაფერს ჩვენ დაგვაბრალებდნენ, მიუხედავად იმისა, გვეხებო-  
 და თუ არა.

მაგრამ რა უნდა მექნა დრეზდენის სამხედრო სკოლისათ-  
 ვის, რომელიც ერთ-ორ დღეში უკვე იწყებდა მუშაობას?  
 პროფესორმა ფონ მენდემ თქვა, რომ სამოკავშირეო შტაბი  
 ოქტომბრის ბოლომდე, ან 1943 წლის ნოემბრის დამდეგამ-  
 დე, არ შეიქმნებოდა; ამ პროცესს ზოგიერთ გერმანელ



სამთავრობო ორგანიზაციასთან მოლაპარაკებები აფერხებდა ეს ორგანიზაციებია (აღმოსავლეთის საქმეთა სამინისტროსთან ერთად):

1. გერმანელთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა.

2. აღმოსავლეთ ჯარების გენერალური არმიის შტაბი.

3. შეიარაღებული ძალების პროპაგანდისტული განყოფილების შტაბი.

4. და რა თქმა უნდა, ნამდვილი „მოდარაჯე ძალი“ – ესეს-ის უშიშროების მთავარი სახელმწიფო კომიტეტი.

დრეზდენში 1943 წლის 10 აგვისტოს, ნაშუადღევს ჩავედი და სკოლის დირექტორის ადიუტანტმა ძალიან თავაზიანად და მეგობრულად მიმიღო.

სამხედრო სკოლის დირექტორი იყო პოლკოვნიკი მანგოლდი, რომელმაც მეორე დილას მიმიღო. იგი გულთბილი პიროვნება ჩანდა და აღმითქვა, ყველაფერს ვიღონებ, რათა ჩემს დაწესებულებაში დრო შინაარსიანად და სასიამოვნოდ ატაროთო. მე მოვახსენე, რომ სხვა კავკასიელი ოფიცრები: კ. ალესკიროვი, ი. ალიმბარაშვილი და ს. ოქროპირიძე იმ საღამოს აპირებდნენ დრეზდენში ჩამოსვლას. პოლკოვნიკმა მითხრა, ჩემი მეგობრები მასთან მიმეყვანა, რათა ოთხივეს საორიენტაციოდ საუბარი ჩაგვეტარებინა. ჩვენ მართლაც ვესაუბრეთ მას და გულზე მოგვეშვა; საუკეთესო შთაბეჭდილებები დაგვრჩა პოლკოვნიკ მანგოლდისაგან, მის ადიუტანტსა და ოფიცერ-ინსტრუქტორებთან შეხვედრის შემდეგ. პოლკოვნიკმა ბრძანება გასცა, რომ ჩვენთვის ეჩვენებინათ დრეზდენის სამხედრო სკოლის სტუმრების ჩანაწერთა წიგნი. ჩვენდა გასაკვირად, სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ხელმოწერებს შორის საბჭოთა გენერლის, ტუხაჩევსკის გვარიც აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, იგი სტუმრად იმყოფებოდა სკოლაში რამდენიმე წლის წინათ, როცა გერმანულ და წითელ არმიას შორის ურთიერთობა კარგი იყო (ტუხაჩევსკი, რა თქმა უნდა, სტალინის რეპრესიებს ემსხვერპლა). პოლკოვნიკმა გვთხოვა, რომ ამ წიგნში ჩვენც შეგვეტანა ხელმოწერები, რადგან სტუმრებად გვთვლიდა. თხოვნა ავუსრულეთ, მაგრამ იმ იმედით, რომ გენერალ ტუხაჩევსკის ბედი აგვცდებოდა.

ვიდრე ახლად ჩამოსულ კავკასიელ ოფიცრებს ბარგი დაპქონდათ თავიანთ ოთახებში, პოლკოვნიკმა მანგოლდმა დრეზდენში და მის შემოგარენში მანქანით გასეირნება შემოგვთავაზა, რითაც კვლავ გამოხატა სიამოვნება ჩვენი გაცნობის გამო; შემდეგ ოფიცრების სემინარსაც დავესწარით. გაკვეთილები სამხედრო თეორიასა და საველე წვრთნაში მეორე დღიდანვე დაგვეწყო და განრიგი ფრიად გადატვირთული აღმოჩნდა. პროგრამა თანამედროვე საომარ მოქმედებათა ყველა ასპექტის შესწავლას ითვალისწინებდა, ხოლო სწავლების ხარისხი უმაღლესი იყო. 16 აგვისტოს პოლკოვნიკმა შემომთავაზა, რომ კლასისათვის გამეცნო საქართველო, მისი ისტორია, გეოგრაფია, მიზნები და გერმანიასთან ურთიერთობა. ჩემი მთავარი სათქმელი ის იყო, რომ გერმანელთა და ქართველთა წინა თაობებმა მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიცია შექმნეს და ჩვენი ვალი ამ სულისკვეთების გაღრმავება იყო. პოლკოვნიკმა წამოიწყო აპლოდისმენტები, რითაც ჩემი საუბრის სრული მხარდაჭერა გამოხატა.

ერთხელ რამდენიმე დღით თენგიზ დადეშქელიანი მესტუმრა დრეზდენში. მან პატივისცემა გამოხატა პოლკოვნიკ მანგოლდის მიმართ და თავი ბიძად გააცნო. პოლკოვნიკი აშკარად მოხიბლული დარჩა ამ ახოვანი, უზადო მანერების მქონე „ქართველი გოლიათით“. მან თენგიზი ოფიცერთა წვეულებაზე დაპატიჟა. წვეულების დროს, ცხადია, თენგიზმა ყველა მოხიბლა, მან გულთბილი სადღეგრძელო მიუძღვნა გერმანელთა და ქართველთა მეგობრობას, ხოლო მე ეს ყველაფერი ვთარგმნე. პოლკოვნიკმა საპასუხო სადღეგრძელო წარმოთქვა და საქართველოს ყოველივე საუკეთესო უსურვა. ამ სადღეგრძელოების საბოლოო შედეგი უზომოდ ბევრი სასმელის შთანთქმაში გამოვლინდა. წვეულება ახმაურდა და გამოცოცხლდა. ბოლოს ოფიცრებმა გადაწყვიტეს, „კავალერიის პარადი“ მოეწყოთ. მათ სკამები ამოაყირავეს, შემოასხდნენ და ერთმანეთის მიყოლებით წრეში დახტუნავდნენ. პოლკოვნიკი, თენგიზი და ჩვენ (კავკასიელი ოფიცრები) გვერდით ვიდექით და „პარადს“ ვიღებდით. ბოლოს პოლკოვნიკმა მანგოლდმა გამოაცხადა, მხოლოდ კავკასიელებმა და მე შევინარჩუნეთ სიფხიზლეო და ყველას დაშლისაკენ მოუწოდა.



პოლკოვნიკმა ნება დამართო, შაბათ-კვირაობით ბერლინში ჩავსულიყავი, რათა კავშირი არ გამეწყვიტა ქართველ მეგობრებსა და პროფესორ ფონ მენდესთან. მათ აუცილებლად მიაჩნდათ, რომ გვერდით ვყოლოდი და ახლებურად განვითარებულ მოვლენებში წვლილი შემეტანა; ეს იმისათვისაც გვჭირდებოდა, რომ უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი. მე განსაკუთრებით მაინტერესებდა ღრმად ჩავწვდომოდი იმ საკითხებს, რომლებიც ქართულ პრობლემასთან იყო დაკავშირებული და გამეაზრებინა ის ცვლილებანი, რაც ჩემი იქ არყოფნის ორი წლის მანძილზე მოხდა.

დრეზდენი ყველაზე ლამაზი ქალაქი იყო, რაც კი ოდესმე მენახა,—შესანიშნავი არქიტექტურითა და ხელოვნების საგანძურით. ამის ერთ-ერთი მაგალითია ოპერის შენობა! აგრეთვე, საოცრებაა ეკლესიები, კროიც კირხე, სადაც არა მხოლოდ საეკლესიო მსახურებას, არამედ ბრწყინვალე კონცერტებსაც დაესწრებოდით.—და ჩვენც არცერთს არ ვაცდენდით. პოლკოვნიკ მანგოლდის მდივანი, მარია ფონ ფინკი პირადად დაგვყვებოდა და ცდილობდა, დრეზდენის ხელოვნების ნიმუშების მთელი ბრწყინვალეობა ეჩვენებინა. როგორღაც ყოველთვის ახერხებდა ჩვენთვის ბილეთების შოვნას. მისი ქმარი პოლკოვნიკი იყო და სადღაც სამხრეთ ფრონტზე, შესაძლოა, იტალიაში, მსახურობდა.

არ მსურდა ვარჯიში შემენელებინა და ერთ დღეს საკმაოდ ენერგიულად მივუყვებოდი მდინარე ელბის სანაპიროს. წამოვეწიე ქალბატონ ფონ ფინკს, რომელიც იმავე მიმართულებით მიდიოდა. მისალმების შემდეგ ამიხსნა, რომ სამსახურიდან ყოველთვის ამ გზით ბრუნდებოდა, რადგან დეიდასთან ცხოვრობდა და ეს გზა ყველაზე მოსახერხებელი იყო მისთვის. ვკითხე, ხელს ხომ არ შეგიშლით, გზა ერთად რომ გავაგრძელოთ-მეთქი, რაზეც მიპასუხა, ეს მხოლოდ სიამოვნებას მომანიჭებსო. ქალბატონმა ფონ ფინკმა დიდი სურვილი გამოთქვა, რომ რაც შეიძლება მეტი გაეგო საქართველოსა და, საერთოდ, საბჭოთა კავშირზე. ხოლო მე, ჩემი მხრივ, საქსონიის მხარისა და გერმანიის შესახებ მაინტერესებდა ცნობები.

და ასე, საუბარში ღრმად ჩაფლულნი, მის სახლსაც მივა-

<sup>1</sup> პირველად იქ ვიხილე და მოვუსმინე ბეთჰოვენის „ფიდელიოს“

დექით. შემოპატიჟა და მთხოვა, დეიდამისი გამეცნო, რამ ვიუხერხულე, რადგან ვახშმოზის დრო იყო და შევპირდი, რომ სხვა დროს ვესტუმრებოდი. შევთანხმდით, რომ ჩვენს დისკუსიებსაც გავაგრძელებდით. ასეთი შესაძლებლობა მრავალჯერ მოგვეცა ოპერაში შესვენებისას, საკვირაო კონცერტების დროს და ერთად სეირნობისას. მან გამაცნო დეიდამისი, რომელიც შესანიშნავი ქალბატონი აღმოჩნდა და ახლა უკვე აზრთა „სამმაგ“ გაზიარებაზე გადავედით. ხანდახან სალამოობით რესტორანში ვსადილობდით; მალე სახელებით მივმართავდით ერთმანეთს და ჩვენი ურთიერთობა პლატონურ მეგობრობაში გადაიზარდა, რაც ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის.

დრეზდენის სამხედრო სკოლას კარგი საშუალება ჰქონდა საველე წვრთნის ჩასატარებლად მდინარე ელბის სანაპირო ტერასების წყალობით. ეს ტერიტორია მოიცავდა დრეზდენის შემოგარენ ტყეებს, ჩრდილოეთ ქედებსა და სამხრეთ მთებთან მდებარე ველებს. კავკასიელი ოფიცრები საკლასო მუშაობაშიც კარგ ნიშნებს იღებდნენ, მაგრამ შეუდარებელი იყვნენ საველე წვრთნის დროს; უზუსტესად ესროდნენ სამიზნეს, თითქმის ყველანაირი იარაღით და შესანიშნავად ართმევდნენ თავს მანევრებს, სადაც ყოველთვის ცოცხალი საბრძოლო მონყობილობა და საშუალებანი გამოიყენებოდა. რამდენიმე გერმანელ ოფიცერსა და უჩინო ოფიცერს დავუმეგობრდით, ლაშქრობებისას, ქართულ სიმღერას, „სულიკოს“ ვასწავლიდით (ისევე როგორც „ბერგმანში“). ლეიტენანტმა მიქაელისმა ვახშმად დაგვპატიჟა შინ, სადაც მის შესანიშნავ მეუღლეს შევხვდით. ლეიტენანტმა კუნემ „ჩაიზე“ მიგვიპატიჟა და თავისი საცოლე და მისი მეგობრები გაგვაცნო. რამდენჯერმე ერთად წავედით რესტორანსა და კინოში. ჩვენ პროფესიონალი პედაგოგი გვასწავლიდა ცურვას, ეს კი ძალიან მჭირდებოდა. სკოლაში ჩოგბურთის კორტები, სანვრთნელი დარბაზი და სარბენი ბილიკიც ჰქონდათ. ჩვენ ნამდვილად კარგ საოფიცრო წვრთნას გავდიოდით, ფიზიკური კულტურის პროგრამაც კარგი გვქონდა, და სასარგებლო ცნობებსაც ვღებულობდით ჩვენი მასპინძელი ქვეყნის შესახებ. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვაიმარში გამგზავრება, რადგან ძალიან გვაინტერესებდა გოეთესა და შილერის ქალაქის ნახვა. ჩვენ ბედნიერები ვიყავით იქ ყოფ-



ნით. მეორე საინტერესო ექსკურსია გერმანელ ოფიცრებთან ერთად მოვანყვეთ, როცა მთიან ქალაქ ალპენბერგში წავედით. იქ ღამე გავათენეთ და ამ მხარის სილამაზით შთაგონებულებმა, ჩვენს გერმანელ მეგობრებთან ერთად, „სულიკო“ და არანაკლებ ღამაში გერმანული სიმღერებიც შემოვძახეთ.

შუა ოქტომბერში შევიტყვეთ, რომ დრეზდენის სამხედრო სკოლაში ლექციების წასაკითხად აღმოსავლეთ საქმეთა მინისტრი როზენბერგი ჩამოდიოდა. კავკასიელი ოფიცრები არ დაგვიშვეს („დაგვიტხოვეს“) ამ ლექციაზე, რამაც არა მხოლოდ ჩემზე, არამედ გერმანელ ოფიცრებზეც საკმაოდ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ერთ-ერთმა გამანდო, „თითქმის არაფერი დაგიკარგავსო“. ამან მომაგონა „ბერგმანელი“ ოფიცრების მიერ გამოთქმული იგივე აზრი, როცა ყირიმში როზენბერგის გამოსვლას დაესწრნენ.

დრეზდენში ყოფნისას საკმაოდ ბევრ წერილს ვღებულობდი, ორმა განსაკუთრებით გამახარა. ერთ-ერთი ჩემმა თბილისელმა სკოლის მეგობარმა, ექიმმა რამაზ გვეტაძემ მომწერა. იგი ყირიმიდან მწერდა, სადაც ერთ-ერთი ლეგიონის ბატალიონში ექიმად მსახურობდა. გამიხარდა, რომ ცოცხალი იყო, კარგად გრძნობდა თავს და მაშინვე საპასუხო წერილი მივწერე, თანაც დავპირდი, გინახულებ-მეთქი (მე ავუსრულე დანაპირები). მეორე წერილი გერმანელი საავიაციო ოფიცრის, მაიორ ოტო ბაუმაუერის ქართველმა მეუღლემ, ქალბატონმა მარგარიტა ჩიქოვანმა-ბაუმაუერმა მომწერა.<sup>1</sup> მატყობინებდა, რომ ოჯახში ყველანი კარგად იყვნენ, რალა თქმა უნდა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეს შევიტყვე.

მეორე დღეს კვირა იყო და ჩვეულებისამებრ, ეკლესიაში წავედი, მაგრამ ამჯერად,—ფრაუნ კირხეში. მე ჩემს ნათესავებისათვის, მეგობრებისა და საქართველოსათვის ვილოცე; შემდეგ კონცერტზე დავრჩი ეკლესიაში. იქიდან „ამღერებული გულით გამოვედი“, მაგრამ სამხედრო და პოლიტიკური ვითარება გერმანიაში თანდათან უარესდებოდა. მაგალითად, 9 სექტემბრისათვის პოლკოვნიკმა მანგოლდმა საგანგებოდ შეგვყარა ოფიცრების შეკრებაზე. გვამცნო, იტა-

<sup>1</sup> იხილეთ თავები „კავკასია“ და „ყირიმი“. ჩვენ დროდადრო გვქონდა მიწერ-მოწერა.



ლია დასავლეთის მოკავშირეებს დანებდაო და ამ მოვლენის ანალიზს შეეცადა. ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები იტალიელთა დაუხმარებლად შეძლებენ სალერნოსა და მონტერკორვინოში უკვე გადმოსხმული ამერიკული და ბრიტანული ჯარების შეჩერებას.

აღმოსავლეთ ფრონტზე, სექტემბრის ბოლოს, წითელმა არმიამ სმოლენსკი და როსლავლი დაიპყრო; ოქტომბრის მეორე კვირას—ყუბანი (მაგრამ მე-17 გერმანული არმიის მონარჩენმა ნაწილებმა შეძლეს ყირიმიდან ევაკუაცია). საბჭოელებმა დაიპყრეს ყირიმის ჩრდილოეთით მდებარე უკრაინის ქალაქი მერიტოპოლიც. სამ ნოემბერს ბერლინში შეხვედრას ვესწრებოდით, როდესაც შევიტყვეთ, რომ წითელმა არმიამ ყირიმის ყელის ოკუპაცია მოახდინა და ამით ეს მიწა უკრაინის მთავარ ტერიტორიას მოსწყდა. მაგრამ გერმანელების კონტრშეტევა წარმატებული აღმოჩნდა და საბჭოთა შენაერთებმა ვერ შეძლეს შეეღწიათ ყირიმის სამხრეთში, რის შედეგადაც ვითარება მოგვარდა. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ—„ბერგმანს“ განსაკუთრებულად გამოუჩენია თავი ყირიმისათვის გააფთრებულ ბრძოლებში. 17 ნოემბერს ამ ფაქტის ოფიციალური კონფორმაცია შეიარაღებულ ძალთა სპეციალურმა რადიომ გადმოსცა. ამასობაში საბჭოთა არმიამ დაიბრუნა მნიშვნელოვანი უკრაინული ქალაქი,—კიევი. ბერლინში ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სამოკავშირეო შტაბის შეკრებაზე გვითხრეს (თუ არ ვცდები, პროფესორმა ფონ მენდემ), 1943 წლის ოქტომბერში, ქართველ და კავკასიელ ლეგიონერთა ბატალიონების ნაწილები დასავლეთში გადმოიყვანესო, ეს მოხდა გერმანელთა მთავარსარდლობის ბრძანებით და სამოკავშირეო შტაბს არამცთუ მონაწილეობა არ მიუღია ამ პროცესში, არც არაფერი გაუგია.<sup>1</sup> კოსტრინგი ცდილობდა დაერწმუნებინა გერმანული მთავარსარდლობა, რომ მოხალისეები საჭირონი იყვნენ გერმანიისათვის; ეს იმიტომ, რომ მოხალისე

<sup>1</sup> ჰერვართი ასე ხსნის ამ ფაქტს: „...ჰიტლერმა მოახერხა ხელი შეეშალა მთელი არმიის მხოლოდ მოხალისეთაგან შედგენისათვის, მაგრამ ველარ შეაჩერა მათი რეგულარულ გერმანულ მებრძოლ ძალებთან მიერთების პროცესი. 1943 წლის ოქტომბერში გერმანიის ჯარების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირიდან დასავლეთში გადმოიყვანეს. თითქმის ყველა გერმანული შენაერთი ამ დროისათვის 1-15 პროცენტი მოხალისეთაგან შედგებოდა, რომლებისთვისაც გერმანელთა მიერ და-

ჯარისკაცების, აღმოსავლეთიდან ჩამორეკილი მუშებისა და ტყვეებისადმი მოპყრობის გაუმჯობესება სურდა!

და მაინც, რატომ დათანხმდა გენერალი კიოსტრინგი მოხალისეთა დასავლეთში გადმოყვანას? მან უბრალოდ ამიხსნა, რომ გერმანელთა აღმოსავლეთიდან უკანდახევისას ეს ერთადერთი ალტერნატივა იყო წითელი არმიის ხელში ჩავარდნისათვის ხელის შესაშლელად. იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი კავკასიელი ოფიცერი, რომლებიც საბჭოელთა მხარეზე გადავიდნენ, — დახვრიტეს. გენერალი რ. ფონ ჰეიგენდორფი, ვინც საკმაოდ იყო დაკავშირებული მოხალისეთა ჯარებთან, მათ პრობლემაზე მსჯელობისას აღნიშნავს: „როცა 1943 წელს გვაიძულეს აღმოსავლეთიდან დაგვეხია, ჩვენმა უმაღლესმა სარდლობამ ბრძანება გასცა მოხალისე ბატალიონები სხვა ბრძოლის ველებისაკენ გადაგვესროლა, რათა მათთვის აგვეცილებინა საშინელი რეპრესიები, რასაც წითელი არმია ტყვეების წინააღმდეგ ახორციელებდა. ბევრი მოხალისე აღარც კი იბრძოდა, რადგან ამგვარი ბედისა ეშინოდათ. აქვე უნდა ითქვას, რომ მოხალისეთა შენაერთების სხვა ფრონტებზე გადაყვანა არცთუ ისე იოლი იყო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მათ სურდათ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ებრძოლათ და არ იყვნენ მტრულად განწყობილნი ამერიკელი ან ბრიტანელი ხალხის მიმართ. ეროვნული კომიტეტები მათში მომავალ მეკავშირეებსაც კი ხედავდნენ. ისინი ვერც წარმოიდგენდნენ, რომ

წესებული მარშრუტებით გადაადგილება სწრაფად ვერ ხერხდებოდა, მაშინაც კი, როცა ეს გერმანელ ოფიცრებს თვითონ სურდათ. არსებითად, ისინი გადაჭრით უარს აცხადებდნენ უკან მიეტოვებინათ მოხალისეები, რადგანაც, ბრწყინვალე ჯარისკაცებად მიაჩნდათ. ჰიტლერს აცოფებდა ის, რომ გერმანელი ოფიცრები კარგ გერმანელ ჯარისკაცს „უცხოებს“ ამჯობინებდნენ. თითქმის ყველა გენერალი, ვისაც კი შეეხვდით, მხარს უჭერდა კიოსტრინგის მიმართვას მოხალისეთა თაობაზე, თუმცა ბევრმა წესიერად არც კი იცოდა რაიმე ამ ადამიანებზე. მაგრამ მათ შორის გამოჩაჩივრებულნიც არსებობდა, როგორც იყო გენერალი კურტ ცაიტცლერი, გენერალური შტაბის მეთაური, ვინც 1943 წელს წამოაყენა აზრი, რომ ყველა მოხალისე საბჭოთა ფრონტის ხაზს მიღმა უნდა დაეტოვებინათ ან სამუშაო ბანაკებში გაეგზავნათ. კიოსტრინგი შეეწინააღმდეგა ამგვარ დამამცირებელ წინადადებას. მაგრამ მთელი იმ კამათის განმავლობაში, რაც მოხალისეთა გამოუსადეგარობის გამო გაჩაღდა, ეჭვი მეპარება, რომ ერთი მუჭა გენერლების გარდა, რომლებიც იზიარებდნენ ჰიტლერის იდეას ენ. „უცხოების“ შესახებ, ვინმე სერიოზულად ეთანხმებოდა ფიურერის აზრს ორი ბოროტების წინააღმდეგ, გვ. 267-268.

<sup>1</sup> კიოსტრინგის წერილი ს. უნგერმანისადმი, 8 დეკემბერი, 1952, ავტორის არქივებში.

ბოლშევიკებთან ალიანსი მხოლოდ გარემოებათა გამო არ იყო გამონკვეული, არამედ ამას ნამდვილ „მეგობრობად“ მიიჩნევდნენ<sup>1</sup>.”

გენერლები კოსტრინგი და ჰეიგენდორფი მართალნი იყვნენ, რამდენადაც საფრანგეთსა და ჰოლანდიაში, სადაც კავკასიელები იდგნენ, ბრძოლები აღარ მიმდინარეობდა. მაგრამ ეს მდგომარეობა შეიძლება შეცვლილიყო და, ვინ იცის, დასავლეთის მოკავშირეებს ჯარები სანაპიროზეც გადმოესხათ. მეორე მხრივ, ისინი შეიძლება (რის იმედსაც ვინარჩუნებდით) ამის ნაცვლად ბალკანეთში გადმომსხდარიყვნენ, როგორც იტალიაში მოხდა. სამოკავშირეო შტაბი შენუხებული იყო იმ აზრით, რომ ერთ მშვენიერ დღეს კავკასიელებს დასავლეთის მოკავშირეებთან მოუხდებოდათ ბრძოლა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეუერთდნენ ისინი გერმანელთა მიერ შექმნილ ლეგიონერებს. ამას ემატება ისიც, რომ საფრანგეთი ქართველი და კავკასიელი ლტოლვილების მასპინძელი ქვეყანა იყო; მან ნება დართო საქართველოს განდევნილ მთავრებს, რომ საელჩო ღია ჰქონოდათ 1934 წლამდე, და ყოველივე ამის გამო ჩვენ ვალში ვიყავით ამ ქვეყნის წინაშე.

ამგვარად, ქართველთა სამოკავშირეო შტაბს (ს.შ.) შექმნისთანავე ორი კრიტიკული სიტუაცია ერგო მემკვიდრეობად. ს.შ.-ს შეხვედრებზე მის სამხედრო განყოფილებას დაავალეს, მოენახულებინა გერმანელთა არმიაში არსებული ყველა ქართველ მოხალისეთა სამხედრო შენაერთი, რათა დადგენილიყო პრობლემები და დასახულიყო გამოსწორების გზები, ეზრუნათ ჯარისკაცების სიცოცხლის გადასარჩენად და „მოემზადებინათ ისინი იმ სამხედრო ძალად, რომელიც ქართულ ეროვნულ ინტერესებს მოემსახურებოდა“<sup>2</sup>. ეს სერიოზული ბრძანება იყო. ორმა ჩვენგანმა მიხეილ ალშიბაიამ და მე, გადავწყვიტეთ ვწვეოდით ქართულ ლეგიონსა და მის საველე ბატალიონებს, პირველად საფრანგეთსა და

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის ხალხების მოხალისეებად ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. გენერალი რ. ფონ ჰეიგენდორფი, ლექციის ხელნაწერი. გვ. 19, ავტორის არქივი.

<sup>2</sup> ეს განცხადება დაახლოებით შეესაბამება „სამოკავშირეო შტაბისათვის“ მხარდაჭერის რეზოლუციას, რომელიც „ეროვნული ალიანსის“ შეხვედრაზე შეიმუშავეს პარიზში, 1943 წლის 27 ნოემბერს (ეს დოკუმენტი ნაშრომს ბოლოში ერთვის, ხოლო ორიგინალი ავტორის არქივში ინახება).



ჰოლანდიაში, ხოლო შემდგომ დაუყოვნებლივ ყირიმში და გავფრენილიყავი. ჩვენი მოგზაურობის მეორე ნაწილი მ. ალშიბაია ბერლინში უნდა დარჩენილიყო, რათა „ზურგი გაემაგრებინა“ ჩემთვის. ის, რომ პირველად საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ვარჩიეთ მოგზაურობა და არა აღმოსავლეთ ფრონტზე, სადაც ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ასახავს ჩვენს განსაკუთრებულ მონდომებას მოხალისეთა შენაერთების დასავლეთში გადასაყვანად. გვინდოდა განგვემარტა ლეგიონერებისათვის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ფრანგი და ჰოლანდიელი ხალხებისადმი კარგად მოპყრობა, და რომ აქ შეცდომის დაშვება არ შეიძლებოდა.

კავკასიელმა ოფიცრებმა დრეზდენის სამხედრო სკოლა კარგი შეფასებით დაამთავრეს. მე ძალიან გამართო და განმაცვიფრა ჩვენი დახასიათებების წაკითხვამ,—მათ წუნს ვერ დასდებდით. ჩვენმა ჭკვიანმა პედაგოგებმა, რომლებსაც პოლკოვნიკი მანგოლდი ხელმძღვანელობდა, საუკეთესო მასპინძლობა გაგვინიეს და ვგრძნობდით, რომ მათაც გულში ჩავუვარდით. ფრიად ამაჩუყებელი იყო მათთან გამომშვიდობება 1943 წლის 17 ნოემბერს, განსაკუთრებით გამიძნელდა ჩვენს მფარველ ანგელოზთან, მარია ფონ ფლინკთან გამომშვიდობება, ჩემი ნამდვილი მეგობარი რომ გახდა.<sup>1</sup>

მ. ალშიბაია და მე „აღმოსავლეთ ჯარების“ მეთაურ გენერალ ჰელმიხთან მივედით და დასავლეთში განლაგებული ქართული შენაერთების მონახულების უფლება მოვიპოვეთ. ჩვენმა მეგობრებმა ჰერვართმა რუქა მოგვცა, რომელზეც ჯარების განლაგება იყო მონიშნული. მან, მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით, ზოგიერთი საჭირო კომენტარიც დაურთო. 1943 წლის 20 ნოემბერს ღამით, პარიზში ჩამოვედით და მამულაშვილების, მ. ალშიბაიას მეუღლის, ივლიტის ოჯახის, გულთბილ გარემოში აღმოვჩნდით, მათთან ყოფნა დაუვიწყარი იყო.

საფრანგეთსა და ჰოლანდიაში მოგზაურობის აღწერის

<sup>1</sup> ძალიან მალე, ომის დამთავრების შემდეგ, როცა დასავლეთ გერმანიაში ვმუშაობდი ქირურგად, წერილი მივიღე მარიას დისაგან, რომელსაც როგორღაც ჩემი მისამართი მოეპოვებინა. იგი საშინელი ტრაგედიის შესახებ მატყობინებდა. მარია გამოქცეულა დრეზდენიდან, რადგან ამ ქალაქს წითელი არმია უახლოვდებოდა. სადაღაც ტიურინგიასთან ახლოს ავად გამხდარა. სწორი დიაგნოზი ვერ დაუსვამთ და გართულებული აპენდიციტის გამო გარდაცვლილა. სიტყვებიც არ მყოფნის ჩემი მწუხარების გადმოსაცემად.



შემდეგ კარგი იქნება განვიხილოთ ვითარება ბერლინში მოყოლებული გერმანულ-საბჭოთა ომის დასაწყისიდან (1941 წლის ივნისი) 1943 წლის ოქტომბრამდე სამოკავშირეო შტაბის შექმნამდე. სამხედრო კონფლიქტი აღმოსავლეთში მრავალი ადამიანისათვის სიურპრიზი აღმოჩნდა, მაგრამ უპრიანი იქნებოდა, დაგვესვა შეკითხვა: რატომ? ნუთუ მათ არ წაეკითხათ ჰიტლერის „მაინ კამპფი? ალბათ, დიახ, ყოველ შემთხვევაში თავისუფალ ქვეყნებში მაინც, ხოლო საბჭოთა კავშირში ამ წიგნს „ნომენკლატურა“ უეჭველად იცნობდა. და რა იყო ამ წიგნის მკითხველთა რეაქცია? მათ იგი სერიოზულად არ მიუღიათ. ამის კარგი მაგალითია გენერალ კოსტრინგის (იმხანად გერმანიის სამხედრო ატაშე მოსკოვში) და წითელი არმიის გენერალური შტაბის მეთაურის, გენერალ ეგოროვის საუბარი 1935 წელს.

ეგოროვი: „გენერალო, ჩვენ ორ ერს შორის სიძულვილის შემდგომი გაღვივება არ შეიძლება ასე გაგრძელდეს. სახელმწიფოს სტრუქტურები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ერები სამუდამოდ რჩებიან“.

კოსტრინგი: „სწორედ ჩემს მოვალეობას შეადგენს თქვენსა და ჩემს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ გაიგებთ, თუ რაოდენ ძნელია ეს, თუკი ჰიტლერის „მაინ კამპფი“ წაგიკითხავთ“.

ეგოროვი (სიცილით): „დაივიწყეთ ეს გაცვეთილი წიგნი. ჰიტლერმა ის მაშინ დაწერა, როცა, გამწარებული, ლანდსბერგის ციხეში იყო ჩაყუდებული. ამიტომ ჩვენ ამ წიგნს სერიოზულად არ ვუყურებთ“.

ძალიან გასაკვირი იყო ბევრისათვის, როცა ომის დაწყების შემდეგ ჰიტლერს არავითარი პოლიტიკური განცხადება არ გაუკეთებია ბოლშევიკთა მიერ დამონებული ხალხების შესახებ, სადაც უკეთეს მომავალს დაჰპირდებოდა ამ ერებს გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, და ეს „უფლებათა ქარტიის“ გარკვეული ნაირსახეობა იქნებოდა. ეს განცხადება განსაკუთრებულად მომგებიანად გაჟღერდებოდა იმ უჩვეულოდ მეგობრული მიღების ფონზე, რომელსაც აღმოსავლეთის მოსახლეობა უწყობდა გერმანულ არმიას.<sup>2</sup> მაგრამ

<sup>1</sup> გენერალი ერნსტ კოსტრინგი, ფრანკფურტი.

<sup>2</sup> მრავალი თვითმხილველის თქმით, მოსახლეობის დიდი ნაწილი გერმანელ ჯარისკაცებს ტრადიციული „ხლებ-სოლითა“ და ყვავილებით ხვდებოდა, რაც გუ-

თუ ჰიტლერს არ სურდა ამისათვის ყურადღება მიექცია ისტორიიდან ის მაინც უნდა ხსომებოდა, რომ გერმანია ყოველთვის სუსტი იყო ორ ფრონტზე ბრძოლისას. რას უზამდა უკიდევანო საბჭოთა ტერიტორიას, ძალიან ცივ ზამთარს, ცუდ გზებსა და თითქმის ამოუწურავ ცოცხალ ძალას? რა თქმა უნდა, მას არ უნდა დაემყარებინა ძირითადი გადანყვეტილებანი „ნაციონალ-სოციალისტების“ პარანოიკულ ბოდვებზე, არამედ პრაგმატიზმითა და საბჭოთა კავშირის სპეციალისტი გერმანელი ექსპერტების დასკვნებით ეხელმძღვანელა.

გერმანიას კი მრავლად ჰყავდა ამგვარი სპეციალისტი უცხოურ სამსახურებში, შეიარაღებულ ძალებსა და თვით აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროშიც. ზოგიერთი კავკასიელების ძველ მეგობრებად თვლიდა თავს. ისინი თავიდანვე ცდილობდნენ გერმანელთა პოლიტიკა აღმოსავლეთში სწორად წარემართათ ასეთ გერმანელებსა და კავკასიელებს შორის მტკიცე მეგობრობა ჩაისახა. მათ გახადეს შესაძლებელი ის, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა კავკასიური ინტერესების დაცვის მიმართულებით. თავდაპირველად ყველა ამ დანებებულებას ჰიტლერის ინსტრუქციები ჰქონდა მიღებული, რომ ემიგრანტები არ ჩაერთოთ რაიმე საქმიანობაში, და ამიტომ პირველი კავშირები არაოფიციალურად გაჩნდა.

ერთ-ერთი მათგანი იყო გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი საგარეო საქმეთა სამინისტროდან,<sup>2</sup> რომელმაც წამოაყენა გეგმა (მას „შულენბურგის გეგმას“ ეძახდნენ), რომლის მიხედვითაც გერმანიას უნდა ელიარებინა, რომ:

1. არ გააჩნდა რაიმე ტერიტორიული ნახაზის შეცვლის მიზნები საბჭოთა კავშირის მიმართ.

2. ოკუპირებული ტერიტორიის ხალხი თვითმართვის უფლებას მიიღებდა.

3. გერმანიას მოკავშირეებად უნდა ელიარებინა ამგვარი ადგილობრივი მთავრობები და ანტისაბჭოთა კურსის განხორციელებაში დახმარებოდა.

ლითადი მიღების ნიშანია. ჰერვართი მიყვებოდა საბჭოთა არტილერისტის შესახებ, რომელიც გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს, ხოლო მან თავისივე საკუთარ წითელ არმიას გაუხსნა ცეცხლი, რითაც საბჭოთა რეჟიმისადმი სიძულვილი გამოხატა.

4. საბჭოთა კავშირის ყოველ ეროვნებას, ეთნიკურ-სეთის ჩათვლით, თვითგამორკვევის გარანტია უნდა ჰქონოდა.

5. გერმანია უნდა დახმარებოდა მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშენებლობაში. თუკი ეს სუვერენული ეროვნული სახელმწიფოები ფედერაციაში გაერთიანებას მოისურვებდნენ, გერმანიას ამისათვის ხელი არ უნდა შეეშალა.

რათა თავისი გეგმა რეალურად განეხორციელებინა, შულენბურგმა ემიგრაციაში მყოფი კარგად ცნობილი კავკასიელი პოლიტიკური მოღვაწეები მოიწვია კონსულტაციისათვის. ისინი ბერლინის სასტუმრო „ადლონში“ დააბინავენ და ამიტომ ამ ღონისძიებას მეტსახელი—„ადლონიადა“ ეწოდა. კონფერენცია 1942 წლის აპრილ-მაისში შედგა. ქართველ მონაწილეებს შორის იყვნენ: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კეღია; აგრეთვე, ეროვნულ-დემოკრატები: ზურაბ ავალიშვილი და დათა ვაჩნაძე; „თეთრი გიორგის მოძრაობის“ თანადამფუძვნებელი ლეო კერესელიძე; ბატონიშვილი ირაკლი ბაგრატიონი. შეხვედრას ოფიციალურად არ ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, მაგრამ მათი მანდატი მიხეილ კედიას ჰქონდა. იგი ჟორდანიასა და გეგეჭკორს წარმოადგენდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა შულენბურგთან.<sup>1</sup>

შულენბურგის სხვა კავკასიელ სტუმრებს შორის იყვნენ: პერიოდული გამოცემის „კავკაზის“ რედაქტორები: ჰაიდარ ბამათი და ალი ხან კანტემირი, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი; აგრეთვე ორგანიზაცია „პრომეთეს“ წევრი რუსულ ზადე, რამდენიმე ყოფილ მინისტრთან ერთად. ჩრდილო კავკასიიდან, საიდ შამილი (შვილთაშვილი ლეგენდარული იმამ შამილისა, რომელიც სამი ათწლეულის მანძილზე იბრძოდა იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ თავისი ერის მშვიდობის დასაცავად).<sup>2</sup>

<sup>1</sup> შულენბურგს არ შეეძლო ჟორდანიასა და მისი წრის ოფიციალურად მოწვევა, რადგანაც 1940 წელს, დასავლეთის მოკავშირეებსა და ჰიტლერს შორის ომის დაწყების შემდეგ; მან ოფიციალურად გამოაცხადა თავი დასავლური დემოკრატიის მხარდამჭერად და სტალინისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ გაილაშქრა (რაც ჰიტლერის წინააღმდეგ გამოსვლასაც ნიშნავდა, რადგან იმ დროისათვის ჰიტლერსა და სტალინს შორის მეგობრობის ჰაქტი არსებობდა).

<sup>2</sup> პატრიკ ფონ ცურ მიულენი, დიუსელდროფი, გერმანია, გვ. 71-72 (მას ციტატა პროფესორ ფონ მენდეს არქივიდან მოჰყავს).

ადლონის კონფერენციამ აღმოსავლეთ საქმეთა მინისტრის როზენბერგის რისხვა გამოიწვია. იგი მიხვდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მისი გამგებლობის ზონაში იჭრებოდა და ჰიტლერთან იჩივლა. როზენბერგის ჩივილი ნაყოფიერ ნიადაგზე მოხვდა. ჰიტლერმა გამოსცა მკაცრი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაფიოდ უნდა გამიჯნოდა საბჭოთა კავშირში გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლე-მებს.<sup>1-2</sup> ამგვარად, გარკვეული ინტერვალის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახადეს, თავისი „ადლო-ნიადას“ სტუმრები აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროსათვის გაეცნო და გადაელოცა. ეს სპეციალური ბანკეტის დროს მოხდა და, არსებითად, საგარეო საქმეთა მინისტრის შულენბურგის ჯგუფის დამარცხებას ნიშნავდა, რითაც კავკასიის საქმე ზიანდებოდა, მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული, რადგან ორი მნიშვნელოვანი „მასპინძელი“ ოფიციალური პირი აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროდან, პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე და დოქტორი ოტო ბრა-უტიგამი გამოგვიჩვენეს პატრონებად კავკასიელებს, ხოლო მათი აზრები მთლიანად ემთხვეოდა შულენბურგის, შტაუ-ფენბერგის, კოსტრინგის, კანარისისა და ჰერვართის იდეებს.

„ადლონის“. კონფერენციის ზოგიერთმა კავკასიელმა დელეგატმა დატოვა ბერლინი. მაგრამ მათთვის, ვინც დარჩა, მენდემ შესაბამისი ეროვნული წარმომადგენლობა ჩამოაყალიბა, რომელსაც ოფიციალურად „ეროვნული არჩევანი“ ეწოდა. ქართულ „ეროვნულ არჩევანში“ შედიოდნენ: სპირიდონ კედია, პროფესორი მიხეილ წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი და დოქტორი გიორგი (გოგი) მაღალაშვილი (მაღალოვი). სიტყვა „Ausshuss“ ლექსიკონის მიხედვით მრავალ მნიშვნელობას ატარებს, როგორებიცაა: არჩევანი, საბჭოთა, ელიტა, მენეჯმენტი, კომისია და გენერალური საბჭო, მაგრამ ის, აგრეთვე, შეიცავს სიტყვას „კომიტეტი“, ხოლო ამ სიტყვას მენდე დიდი სიფრთხილით არიდებდა თავს. რა იყო ამის მიზეზი? ამ სიტყვას ჰიტლერი კრძალავდა, რათა აღეკვეთა ნებისმიერი დაპირებანი იმ ერებისათვის, რომელთაც შექ-

<sup>1</sup> ნიურნბერგის დოკუმენტი 1420 P. S. IMT-ში BD XXVHSS (გვ. 289) ციტირებული პატრიკ ფონ ცურ მულენის მიერ. გვ. 72.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე დოლინი ამ საკითხთან დაკავშირებით.



მნილი ჰქონდათ ეს გაერთიანებები. მაშინ ეს ჰიტლერის გეგმაში არ შედიოდა. „არჩევნების“ შექმნის შემდეგ მენდელ გილობრივი ხალხის დახმარებით შეკრიბა „Mittellestelle“, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა „Lestelle“-დ ეს ნიშნავს მართვას, გაძლოლას ან წინამძღოლობას. ამას მენდელ იყენებდა იმისათვის, რათა ტყვეებისათვის (ან ყოფილი ტყვეებისათვის) გარანტირებული ყოფილიყო საცხოვრებელი, ჩასაცმელი ან საკვები; აგრეთვე, მოგზაურობისა და საჭირო ცნობების მოპოვების პირობები.

„Ausshuss“-ების შექმნისას „Leitstelle“ ჯერ კიდევ არსებობდა. მენდელ არ ყოფილა პარტიის წევრი და მით უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა მისი დამოუკიდებლობა და ძალა, რასაც აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს კავკასიური განყოფილების სასარგებლოდ ავლენდა. ამის მიზეზი იყო მისი გამორჩეული პროფესიონალიზმი თურქოლოგიისა და კავკასიური ფილოლოგიის დარგში; იცოდა ენები და რუსულად კარგად ლაპარაკობდა. მენდელ ჩინებულად ენყობოდა მის გარშემო მომუშავე ხალხს, რადგან მათი ინტერესები და ადამიანური ღირსებანი ემთხვეოდა ერთმანეთს. იგი იყო ბეჯითი, კარგად ორგანიზებული მუშაკი და ამიტომ მისი შეცვლა ძნელი იყო. უგერგილო და უუნარო მინისტრი, როზენბერგი სიხარულით გადაულოცავდა ხოლმე მენდელს პრობლემათა გადაჭრის უფლებას, ხოლო თვითონ „გიგანტური“ იდეოლოგიური, ფილოსოფიური მნიშვნელობის მქონე მემორანდუმების წერით იყო გართული და პრაქტიკული დეტალები არ აინტერესებდა.

ჩვენ უკვე ვიმსჯელებთ „შულენბურგის გეგმის“ შესახებ; რა იყო როზენბერგის გეგმა საბჭოთა კავშირისათვის და რითი განსხვავდებოდა იგი მისი წინამორბედისაგან? მოკლედ თუ ვიტყვით, როზენბერგს სურდა განეცალკავებინა ეთნიკური რუსეთი არარუსული რესპუბლიკებისაგან. სურდა, რომ გერმანიის ლიდერობით შექმნილიყო არარუსული ეთნიკური სახელმწიფოები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს გარშემო განლაგდებოდნენ; ბალტიის სახელმწიფოები (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა), ბელორუსია, უკრაინა, — დასავლეთით; კავკასია (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო).

„ჩვენს პოლიტიკას,—წერდა აღმოსავლეთის საქმეთა სამინისტროს გენერალური პოლიტიკის მეთაური, დოქტორი ოტო



ბრაუტიგამი,—განზრახული ჰქონდა უკრაინა ექცია მძლავრი რუსეთის, პოლონეთისა და ბალკანეთის მონინაალმდეგე ძალად და ხიდად კავკასიისაკენ.“

ის ქართველები, რომელთაც ვიცნობდი, როზენბერგის გეგმას ამჯობინებდნენ შულენბურგისას. მტრული ურთიერთობის გაღვივებას, ცხადია, უკანასკნელი გეგმა უფრო უწყობდა ხელს, რადგან „სანიტარულ კორდონს“ აწესებდა დიდ რუსეთსა და ევროპას შორის. უფრო მეტიც, შულენბურგის გეგმისაგან განსხვავებით, იქ არ არის ნახსენები რეფერენდუმი იმ შემთხვევაში, თუკი ყოველი სუვერენული სახელმწიფო ფედერაციის ფორმით მოწყობას აირჩევდა. როზენბერგის გეგმა შეიცავს გერმანელთა ტოტალური გავლენის უზრუნველყოფას მთელ ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ეთნიკური რუსეთის დამცირებისა და დეგრადაციის იდეას. ქართველებს არ სძულთ რუსეთი; ჩვენი ერთადერთი სურვილი, იყო ორი უხეში რუსული ოკუპაციის პერიოდში, დაკარგული სუვერენიტეტისა და ჩვენი ხელყოფილი სიამაყის აღდგენა. მიზნის მიღწევის შემდეგ, ცხადია, ხანგრძლივ და კარგ ურთიერთობას გავაბამდით რუსეთთან. ამის გამო, ქართველთა დიდი უმრავლესობა როზენბერგის გეგმას არ ეთანხმებოდა.

საბჭოთა კავშირში შეჭრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ჰიტლერმა აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტრო დააარსა. ეს იყო ოკუპირებული აღმოსავლეთ ტერიტორიების სამოქალაქო მართვის ორგანო, რომლის ბატონ-პატრონი მინისტრი ალფერდ როზენბერგი გახლდათ. ამ სამინისტროს უნდა შეენწყვიტა ბრძოლა იმ დანესებულებათა შორის, რომელთაც ოკუპირებულ აღმოსავლეთში კანონიერი ინტერესები ჰქონდათ. მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერ განხორციელდა. არმია ინარჩუნებდა ზეგავლენას არა მხოლოდ ფრონტზე, არამედ ზურგშიც, რადგანაც მარაგის შესავსები სანარმოები იქ იყო განლაგებული. პოლიცია ჰიმლერის ესესის იურისდიქციაში შედიოდა. ეკონომიკით დაკავებული მრავალი ორგანიზაცია არ ემორჩილებოდა როზენბერგის ბრძანებებს.

სამუშაოზე აყვანას მხეცური ბუნების მქონე ფრიც საუკელი ახორციელებდა. ულმობელი ერის კოხი უკრაინის კომენდატად დანიშნეს პარტიული ნაცნობობის გამო, მიუხედავად

იმისა, რომ როზენბერგი ამის წინააღმდეგი იყო, ნაცისტთა შიდა წრეებში კოხს „წითელ ერისს“ ეძახდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ფანატიკური კომუნისტი გახდებოდა, ჰიტლერის ზეგავლენით ნაცისტად რომ არ ქცეულიყო. გერმანიაში დებურესიის დროს კოხი ნაცისტების მთავარი სპიკერი გახდა და საბჭოებთან ახლო ურთიერთობის გაბმას ემხრობოდა. პირველხარისხოვანი დემაგოგი, აღმოსავლეთ პრუსიის გაულენიტიერი კოხი, გერინგისა და ბორმანის პროტეჟე გახლდათ და ჰიტლერთანაც მიესვლებოდა. სწორედ ამიტომ შეეძლო მინისტრ როზენბერგის არაფრად ჩაგდება, აღმოსავლეთის ხალხებისადმი მისი „გულუბრყვილო და რომანტიკული გეგმების“ გამასხრება და უკუგდება<sup>1</sup> კოხი მთლიანად იზიარებდა ჰიტლერის პოზიციას იმის თაობაზე, რომ:

1. გერმანელები ბატონობისათვის გაჩენილი ერი იყო.
2. აღმოსავლეთის დაპყრობილი ხალხები მათი სამსახურისათვის იყვნენ შექმნილი.

3. ამგვარი ხალხის ექსპლუატაცია გერმანელთა უფლება და მოვალეობა იყო.

4. ტოტალური გავლენის მისაღწევად აუცილებელი იყო ადგილობრივი ინტელიგენციისა და ყველა იმათი განადგურება, ვინც ამ მიზნის მიღწევას შეუშლიდა ხელს. კოხის უშუალო მიზანი იყო, ა. როზენბერგის აქტიური პროტესტის მიუხედავად, გერმანიის სასარგებლოდ უკრაინისაგან მთელი სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტიპის რესურსების გამოწურვა, კოხისვე მიზანს შეადგენდა: ფ. საუკელის ხელმძღვანელობით გერმანიაში განლაგებულ სამუშაო ბანაკებში მრავალი უკრაინელის გაგზავნა.

აუტანელი პირობების გამო ზოგიერთი მათგანი მატარებლის ვაგონებშივე იღუპებოდა ან სამუდამო ინვალიდად რჩებოდა. ისინი, რომლებიც ბანაკებში მუშაობას იწყებდნენ, იძულებულნი იყვნენ ეტარებინათ სანიშნე „ოსტ“ (აღმოსავლეთიდან), რითაც გერმანელი მოსახლეობისაგან იზოლირებულნი რჩებოდნენ. მათი ცხოვრების პირობები სტანდარტზე დაბალი იყო. როცა საუკელის გეგმის შესახებ ხმა გავრცელდა, ჯანმრთელი მამაკაცები ტყეში გაიხიზნენ, ხოლო ზოგიერთი უკრაინელ ნაციონალისტ პარტიზანებს შეუერ-

<sup>1</sup> იხ. დოლინი და ჰერვარტი კოხის შესახებ.

თდა („უკრაინელ მეამბოხეთა არმია“), რომლებიც ერთნაირად იბრძოდნენ როგორც გერმანელების, ასევე „ნითლების“ წინააღმდეგ. სხვები გაერთიანდნენ იმ პარტიზანებთან, რომლებიც საბჭოელებმა პარაშუტით გადმოსხეს.<sup>1,2</sup>

ჰიტლერი ისე იყო დარწმუნებული, რომ სულ რამდენიმე თვეში დაამარცხებდა სტალინსა და მის ნითელ არმიას, რომ ზამთრის ომებისათვის არც კი მოემზადა. იგი არაფრად აგდებდა პოლიტიკური ბრძოლის ყოველგვარ საჭიროებას და ვერ გამოიყენა უკმაყოფილო საბჭოთა ხალხის განწყობა; უკმაყოფილება არსებული მთავრობისა და სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლის დაუოკებელი სურვილიდან გამომდინარეობდა.<sup>3</sup> როზენბერგმა კი, თავის კოლეგებთან შედარებით, მეტი ალლო გამოიჩინა. იგი თავიდანვე მოითხოვდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მის გეგმას შეესაბამებოდა. ჰიტლერის მიხედვით გერმანული ჯარები ძალიან სწრაფად წაინევდნენ მისივე ფანტაზიით შექმნილი „აა ხაზი-საკენ“, რომელშიც პირველი „ა“ ნიშნავს არხანგელსკს, თეთრ ზღვასთან, რომ არის ჩრდილოეთით, ხოლო მეორე „ა“ აღნიშნავს ასტრახანს, კასპიის ზღვის სამხრეთით რომ მდებარეობს. როცა გერმანელთა ჯარები „აა ხაზს“ მიაღწევდნენ, ჰიტლერი ფიქრობდა, საბჭოელები ველარ შეძლებდნენ ორგანიზებული წინააღმდეგობის გაგრძელებას და, შესაბამისად, საბჭოთა რეჟიმთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების აუცილებლობაც მოიხსნებოდა. სამი გერმანული მექანიზებული არმია გააკონტროლებდა „აა ხაზს“ და „ახალ ეპოქას“ ამით „აზიური ურდოებისაგან“ დაიცავდა. რუსეთის ევროპული ნაწილი, მთელი თავისი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ცენტრებით, გერმანიის კოლონია ხდებოდა, ხოლო მისი განუვითარებელი მოსახლეობა გერმანელი ბატონების (სუპერმენების) მონებად გადაიქცეოდა. ამ ქვეყნის სიმდიდრეს გერმანია დაეპატრონებოდა და მის გაყიდვასაც თვითონვე მიხედავდა.

ყირიმის მოსახლეობას რუსეთის რომელიმე სხვა რეგიონში

<sup>1</sup> დოლინი, მე-7, მე-8 თავები  
<sup>2</sup> დოლინი, გვ. 444. ბრაუტიგამის ბარათი, დაწერილი 1942 წლის ოქტომბერში, რომელშიც იგი აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს მხრიდან აღმოსავლეთიდან ჩამორეკილი მუშახელის ცუდად მოპყრობას აპროტესტებს.  
<sup>3</sup> დოლინი სწორად აღნიშნავს, რომ, „გერმანელებს გეგმაც კი არ ჰქონდათ იმისა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ეს სულისკვეთება გამოეყენებინათ.“



გადაასახლებდნენ და “გერმანულ გიბრალტარად” გადაქცევდნენ. რუსეთის დაპყრობილი ტერიტორია „გერმანელთა ინდოეთი“ ხდებოდა.<sup>1-2</sup>

კურტ შულენბურგის გეგმას—საბჭოელებთან სამხედრო კონფლიქტი გარდაექმნათ სამოქალაქო ომად სისტემის წინააღმდეგ—გერმანელ სამხედრო ლიდერებს შორის ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. ისინი ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ სტალინური რეჟიმის დამარცხება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ბოლშევიკების მიერ დაჩაგრული საბჭოთა ხალხების მხარდაჭერით, თუკი გერმანელები ამ ხალხებს შეპირდებოდნენ, ცხოვრებას გაგიუმჯობესებთო და სიტყვა-საც შეასრულებდნენ. პროფესორი მენდელ და დოქტორი ბრაუტიგამი Ostministerium-იდან იზიარებდნენ ამ ვარაუდს. ისინი დაუკავშირდნენ თანამოაზრეებს საგარეო საქმეთა უწყებასა და სამხედროებს შორის. შემოდგომის მიწურულსა და ზამთარში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე.

წითელი არმიის ჯარისკაცებმა რომ გაიგეს, თუ რა არა-ადამიანურად ექცეოდნენ გერმანელები დაპყრობილებს, გააფთრებით დაიწყეს ბრძოლა მოსკოვისა და ლენინგრადის დასაცავად. განბილებული გლეხობა და ადგილობრივი მოსახლეობაც მტრად მოეკიდა გერმანელებს; გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა. 1942 წლის გაზაფხულისთვის გერმანელთა არმიის ლიდერებმა იგრძნეს, რომ თუ რადიკალურად არ შეცვლიდნენ გერმანიის პოლიტიკას აღმოსავლეთში, ომს წაგების პირი უჩანდა, ასე გაჩნდა კავკასიის წარმატებული სამხედრო პოლიტიკა. იმედოვნებდნენ, რომ აღმოსავლეთის სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზეც მოხერხდებოდა მისი გავრცელება.<sup>3-4</sup> მაგრამ ჰიტლერმა მტკიცე უარი თქვა ამგვარ პოლიტიკაზე, საგანგებოდ აკრძალა გენერალ ა. ვლასოვის მოძრაობა რუსული განმათავისუფლებელი არმიის განვითარებისათვის და ამ არმიის მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნებით გამოყენება მიიჩნია მართებულად. თუმცა

<sup>1</sup> უოლეს კეროლი, ცხოვრება, 1949 წლის 19 დეკემბერი.

<sup>2</sup> დოლინი და ჰერვარტი ჰიტლერის გეგმის შესახებ.

\* იხ. თავი „ბერგმანი და კავკასია“.

<sup>3</sup> დოლინი და ჰერვარტი—შესაბამისი თავები

<sup>4</sup> უოლეს კეროლი.

ჰიტლერის აღმოსავლური პოლიტიკის ოპონენტებმაც არ დატოვეს. მაგალითად, შულენბურგმა, თავისი „აღლონიადის“ 1942 წლის მარცხის მიუხედავად, 1943 წლის ივნისში ხელახლა დასვა „კავკასიური დოსიეს“ საკითხი. იქნებ, იგრძნო, რომ იმჟამინდელი გერმანიის არასახარბიელო სამხედრო ვითარებაში, ჰიტლერი თავისი სახელგატეხილი აღმოსავლური პოლიტიკის შეცვლას ისურვებდა.

თავდაპირველად კავკასიის საკითხი ნაკლებად გააღიზიანებდა, მერე სხვა მოსაზრებებიც გაჩნდებოდა. ასე რომ, შულენბურგმა კიდევ ერთხელ გაგზავნა ობერზალცბერგის რეზიდენციაში თავისი უგერგილო მინისტრი (საგარეო საქმეთა) რიბენტროპი და გეგმა გაატანა ფიურერთან.<sup>1</sup> თვითონ არ გაჰყოლია რიბენტროპს „არნივების ბუდეში“, ქალაქში მოცდა ამჯობინა. რიბენტროპი ცუდი ამბებით დაბრუნდა. გეგმის კითხვისას ჰიტლერი გაცოფებულა, ფურცელი მოუსროლია და უყვირია, ეგ არ მაინტერესებსო. შულენბურგმა სინანულით აცნობა მ. კედიას, არაფერი გამომივიდაო.

ბერლინში მ. კედია საფრანგეთის ქართული ეროვნული ალიანსის წარმომადგენელი იყო და მანდატიც ჰქონდა დევნილი ქართული მთავრობისგან—გერმანიაში საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამიტომ აფორიაქებული წერილებით აცნობა შულენბურგის ინფორმაცია დევნილ პრეზიდენტს ნ. ჟორდანიასა და სახელმწიფო მდივანს ე. გეგეჭკორს. წერილის ბოლოს ასკვნიდა: „...ჩემს ბერლინში ყოფნას აზრი აღარა აქვს, ასე რომ, ბარგს ვალაგებ და მალე პარიზში ჩამოვალ“.<sup>2</sup> წერილები ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორს პირადად გადასცა მ. კედიას საგანგებო წარგზავნილმა შოთა ბერეჟიანმა; მანვე ჩამოუტანა პასუხები კედიასაც და ჩვენც—დანარჩენებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან გვენერდნენ, დავთანხმებოდით მეკავშირეთა შტაბის კონცეფციასა და მონაწილეობა მიგველო მათ საქმიანობაში. აი, ამონაწერები ამ წერილებიდან:

<sup>1</sup> შულენბურგი მაინცდამაინც მაღალი აზრისა არ იყო თავის მინისტრ რიბენტროპზე. მაგალითად, ერთ-ერთი შეხვედრისას მ. კედიასთან და ა. ცომაიასთან ეს უკანასკნელი დაინტერესდა, მართალია, რომ რიბენტროპმა 1939 წლის მოლაპარაკებების წინ, სტალინის გულის მოსაგებად, რამდენიმე ქართული ლექსი ისწავლაო? „ჩემო ძვირფასო მეგობარო,—ნამოიძახა შულენბურგმა ფრანგულად,—ჩემს მინისტრზე ერთობ მომეტებული წარმოდგენა გქონიათ!“.

<sup>2</sup> მ. კედიას წერილი ავტორისადმი, პირადი არქივი.

ე. გეგეჭკორის წერილიდან კედისადმი, 1943 წლის  
ლისი.

„რასაც თქვენ მწერთ, არ გამკვირვებია, რადგან უკვე ვიცოდი მარშალისგან,<sup>1</sup> რომ ლიდერს<sup>2</sup> აზრი არ შეუცვლია. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასეა. მით უარესი ჩვენთვის—ყველასთვის. ამის მიუხედავად, წუთითაც არ ვნანობ, რაც გავაკეთეთ ამ სახიფათო გეზის შესაცვლელად. ისიც კარგად ვიცი, თუ რა სახიფათო იყო ჩემი მოგზაურობა<sup>3</sup>.

„...ასე რომ, ბრძოლის ბედს მხოლოდ ჯარი გადაწყვეტს. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია უცვლელი დარჩება. ცდას არ დავაკლებთ და ვიმოქმედებთ ყველგან, სადაც მოვახერხებთ. თქვენ იცით, რომ ყველაფერი, რაც ეხება ქართულ P.O.W-ს, ჩვენთვის უმაღლეს ეროვნულ ინტერესებს უკავშირდება: მათ გადარჩენაზეა ერის ყოფნა-არყოფნის მყიფე სასწორი. პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია დიდი პრობლემაა და ამ საქმეს მთელი ენერჯია უნდა შევალაიოთ“.

„და მაინც, ალბათ ბევრს ვერაფერს მივალწევთ და ვერც ჩვენთვის აუცილებელ გეზს მივცემთ მოვლენებს, მაგრამ თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ ცდას არ ვაკლებთ, გულ“

<sup>1</sup> ფინეთის მარშალი მანერჰეიმი.

<sup>2</sup> იგულისხმება ჰიტლერი

<sup>3</sup> გეგეჭკორმა იკისრა ვიზიტი მარშალ მარენჰეიმთან—ფინეთის მთავარსარდალთან და პრეზიდენტთან, რათა მას ეთხოვა ჰიტლერისთვის გერმანული პოლიტიკის შეცვლა აღმოსავლეთში, და კერძოდ, კავკასიაში. მანერჰეიმმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გეგეჭკორი ჯერ კიდევ იმპერიალისტური რუსეთის დროს, სანკტ-პეტერბურგიდან იცნობდა მანერჰეიმს. როგორც ჩანს, ფინელები და ქართველები სოლიდარობასა და სიახლოვეს გრძნობდნენ, რადგან ამ ორი ერის ისტორია ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს.

საუკუნეების განმავლობაში ორივეს ჯიჯგინდა გაცილებით უფრო დიდი დამპყრობი ჯარი, ორივემ მსხვერპლი გაიღო რუსეთის ძალისმიერი ექსპანსიისას, ორივე ანექსირებული იყო ცარიტული იმპერიის მიერ XX საუკუნეში. რუსეთში რევოლუციამ რომ იფეთქა, ორივე ქვეყანამ მოახერხა დამოუკიდებლობის აღდგენა. როცა საქართველო წითელი რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა, ფინეთი გადაურჩა ახლად შექმნილი საბჭოეთის თავდასხმას. მერე, 1939 წელს, საბჭოთა არმიამ მაინც შეიჭრა ფინეთში და მისი ტერიტორიის მეთაფეი მიიტაცა. 1941 წელს ფინელები გერმანიის მოკავშირეები გახდნენ და რუსები თავიანთი მიწიდან გააძევეს. ფინელები სულაც არ იზიარებდნენ ჰიტლერის იდეოლოგიასა და მიზნებს; ამას არც ის ქართველები იზიარებდნენ, გერმანულ არმიასი რომ მსახურობდნენ. მათ მხოლოდ დაკარგული თავისუფლების დაბრუნება სურდათ. ვინ გაიგებდა ამას მანერჰეიმზე უკეთ.

ეს გასაგები იქნებოდა უინსტონ ჩერჩილისა და ფრანკლინ დ. რუზველტისთვისაც, ვინაიდან ამათაც მეკავშირეებად გაუხადეს თავიანთი ქვეყნები სტალინის რუსეთის—ჰიტლერისთვის ომის მოსაგებად. ესაა „ნამდვილი პოლიტიკა“.

ხელდაკრეფილები არ ვსხედვართ. რაკი პოლიტიკური აღნიშვნა არ გაგვაჩნია, ძალიან გაგვიჭირდება გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობაზე ისეთი გავლენის მიღწევა, რომ ჩვენი თვალსაზრისი გაითვალისწინონ; მაგრამ ყოველი ქართველის წმინდათანმინდა ვალი უნდა იყოს იმის შეგნება, რომ უკვე ქანცგანყვეტილი და ტანჯული ჩვენი ერი აღარ უნდა დაიშრიტოს და დაიხარჯოს იქ, სადაც ეს ომის შედეგებზე ვერ იმოქმედებს, ჩვენ კი შეიძლება სრული განადგურება მოგვიტანოს.

ამდენად, აუცილებლად მიგვაჩნია, ამ საქმეს წარუძღვეს პირი, რომელიც ეთანხმება ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს და გარანტიას მისცემს მის აღსრულებას... ნათქვამის მიხედვით შესაბამის დასკვნებს გამოიტანთ Verbindugesstabs-ის (სამეკავშირეო შტაბის) თაობაზე. მანდ უნდა დარჩეს სანდო და პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირი, რომელიც რწმენას დათესავს ქართულ წრეებში.“

ნოე უორდანიას წერილიდან კედიასადმი, 1943 წლის 10 ივლისი:

„... ალბათ უკვე მიიღეთ ევგენის პასუხი თქვენს წერილზე. ჩვენ ძველ პოზიციაზე დავრჩებით და გავაგრძელებთ მუშაობას—იმავე გეზით. კარგი იქნებოდა, პოლიტიკური მხარე რომ თავიდანვე გარკვეული ყოფილიყო, მაგრამ რაკი ახლა ეს შეუძლებელია, ხელსაყრელ მომენტს ველოდებით...“

ასეთი აზრისა იყო მაშინ კანონიერი, დევნილი ქართული მთავრობა, რომელიც საკონსტიტუციო ასამბლეის ინსტრუქციების შესაბამისად, დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა, რათა მოეთხოვა აღდგენა სუვერენული ქართული სახელმწიფოსი. ახლა საქართველო ეკავა წითელი რუსეთის ჯარს, რომელმაც გაცილებით სუსტ ქართველ მოწინააღმდეგეს მოუგო ომი მოულოდნელ ბრძოლაში 1921 წელს! საქართველოს ანექსია საერთაშორისო კანონს ეწინააღმდეგებოდა. მას მერე ქვეყანას მარიონეტი „მთავრობები“ მართავდნენ. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანსაც კი ჰყავდა მოსკოვიდან დანიშნული „მეთვალყურე“—ეგრეთ ნოდებული „პარტიის მეორე მდივანი“, რუსი, რომელსაც კულისებში რეალური ძალაუფლება ჰქონდა.

<sup>1</sup> კონსტანტინე კანდელაკი, გვ.14.





ამდენად, ერთადერთი წარმომადგენლობითი და თავისუფ-  
 ლად არჩეული მთავრობა დევნილობაში იყო, პარიზში  
 მხოლოდ მას შეეძლო ხალხის სახელით ლაპარაკი. ამიტომაც  
 ვანიჭებდით ასეთ მნიშვნელობას ჟორდანიასა და გეგეჭკო-  
 რის მოსაზრებებს. დევნილი მთავრობის აზრს სამეკავშირეო  
 შტაბზე იზიარებდა ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა საფ-  
 რანგეთში, გერმანიასა და პოლონეთში. გამონაკლისი იყო  
 ქართული სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემარცხენეთა  
 მცირე ფრთა საფრანგეთში. 1943 წლის ოქტომბერ-ნოემბერ-  
 ში, ქართულმა ეროვნულმა ალიანსმა პარიზში მეკავშირეთა  
 შტაბს დაფუძნებისთანავე მტკიცედ დაუჭირა მხარი, რასაც  
 ადასტურებს საგანგებო სხდომის ჩანაწერი:

„პარიზში, ქართულ-ეროვნული ალიანსის სხდომაზე, ბ-ნი  
 ე. გეგეჭკორის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია ერთსუ-  
 ლოვნად მიიღეს.“

რეზოლუცია: „სხდომაზე მოვისმინეთ ბ-ნი მ. კედიას მოხსე-  
 ნება ქართული სამეკავშირეო შტაბის დაფუძნების თაობაზე.  
 ქართული ეროვნული ალიანსი იმედოვნებს, რომ არსებული  
 საერთო მდგომარეობის მიუხედავად, ხსენებული ორგანი-  
 ზაცია ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ ჯეროვანი ყურად-  
 ლება მიაქციოს ქართულ P.O.W.-ს და ლეგიონერებს, ჩაუ-  
 ნერგოს მათ სწორი სულიერი და პოლიტიკური გან-  
 ნყობილება და ასე აქციოს ისინი ქართული ეროვნული  
 ბრძოლისთვის აუციელებელ ძალად. ეროვნული ალიანსის  
 წევრებისაგან სხდომა მოითხოვს ენერგიულ მხარდაჭერას,  
 ხსენებული მეკავშირეთა შტაბისთვის მისი მიზნების გან-  
 სახოციელებლად.“

პარიზი, 27 ოქტომბერი, 1943.  
 სხდომის თავმჯდომარე: (ხელმოწერა) პ. სარჯველაძე  
 მდივანი: (ხელმოწერა) ნ. ურუშაძე.“

<sup>1</sup> საბუთის დედანი ინახება ავტორის პირად არქივში. იხ. დანართი.

## თავი VIII

### საზრანბეთსა და კოლანდიაში

ჩემი, მ. კედიას, ალშიბაიას, დოქტორ მაღალაოვისა და ჩვენი ასოციაციების მეცადინეობისა და მხარდაჭერის გარეშე, მეკავშირეთა შტაბი ვერ ჩამოყალიბდებოდა. ეს იყო დავალება უიმედო ვითარებაში, საქმე, რომლის სანაცვლოდ არც ერთი ჩვენგანი არ ელოდა არც სახელსა და დიდებას, არც მადლიერებას. მაგრამ ომის შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ გარკვეულ მიზნებს მივალნიეთ და რომ მეკავშირეთა შტაბის გარეშე ბევრი რამ უარესად იქნებოდა.<sup>1</sup> ახლა პარიზს დავუბრუნდეთ. აქ მე და მ. ალშიბაია 1943 წლის 20 ნოემბერს ჩამოვედით. ჩინებულად გვიმასპინძლეს ალშიბაიას სიდედრმა და სიმამრმა, მამულაიშვილებმა. მეორე დღეს ვენციეთ ჩვენი დევნილი მთავრობის გამორჩეულ წევრებს: პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას, საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს და მთავარ რწმუნებულს საფრანგეთში აკაკი ჩხენკელს. შეხედულებებით და პიროვნულად განსხვავებული ამ

<sup>1</sup> ჩემი აზრით, II მსოფლიო ომის შემდეგ, რბილად რომ ვთქვათ, პატიოსნება ვერ გამოიჩინა რამდენიმე კაცმა, ვისაც წერა არ ეზარებოდა და საკუთარი თავის წარმოჩენა გადაწყვიტა მეკავშირეთა შტაბის ხარჯზე. მათ ამჯობინეს მეკავშირეთა შტაბის არსებობისას (1943 წლის შემოდგომიდან ომის ბოლომდე, 1945 წლის გაზაფხულამდე) მომხდარი ფაქტებისა და შექმნილი ვითარების უგულბეზყოფა. რასაკვირველია, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ჰქონდათ, მაგრამ ამას არამც და არამც არ უნდა დაემახინჯებინა ისტორია. ამგვარმა საქციელმა გააღიზიანა ისინი, ვინც ხიფათს არ ერიდებოდა და ომიანობისას ცდილობდა, გასაჭირში ჩავარდნილ თანამემამულეებს დახმარებოდა, მაშინ, როცა ომის შემდეგ გამოჩენილი კრიტიკოსები შედარებით უსაფრთხოდ და კომფორტულად ცხოვრობდნენ.

ადამიანების სახით წარმოგვიდგებოდა თანამედროვე საქართველოს ისტორია.

მანამდე ამ ხალხს არ შეეხვედრივარ, აღშობაია კი კარგად იცნობდა, განსაკუთრებით გეგეჭკორს—ოჯახის ძველ მეგობარს. ამ შეხვედრით აღტაცებული ვიყავი. მთავრობის წევრებს მოვახსენეთ ქართული P.O.W.-ს მიმდინარე ვითარებასა და სამოქალაქო პირებზე, ბოლო დროს ორივე ჯგუფში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იგრძნობოდა. აღმოსავლეთის მოხალისეთა რაზმების გენერალურ შტაბში ჩვენი მეგობრები ცდილობდნენ, ლეგიონერის სტატუსი გერმანელი ჯარისკაცისთვის გაეთანაბრებინათ. გარდა ამისა, დაგეგმილი ჰქონდათ გერმანელი ოფიცრების ჩანაცვლება კვალიფიციური ქართველებით. ეს იყო წარმატებული შედეგი ექსპერიმენტისა, როცა ოთხი კავკასიელი ოფიცერი დრეზდენის სამხედრო სკოლაში გავგზავნეთ. მალე სხვა ოფიცრებიც უნდა გავგეგზავნა. მეორე მხრივ, დიდ ზენოლას განვიცდიდით „მალალი რანგის“ გერმანელი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი რაზმების უფრო დიდ შენაერთებად შერწყმას, რაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და სხვა უპირატესობებით უზრუნველყოფის საწინდარი გახდებოდა. არმიაში ჩვენი მხარდამჭერები იზიარებდნენ ჩვენს თვალსაზრისს და უკან დახევას არ აპირებდნენ. შეხვედრაზე ვიმსჯელეთ ჩვენი ზოგიერთი რაზმის ჰოლანდიასა და საფრანგეთში გადაყვანაზე, რაც თითოეული ჩვენგანის ზრუნვის საგანი იყო. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ გერმანელმა ოფიცრებმა უკვე აუხსნეს ლეგიონერებს დასავლეთში გადაყვანის მიზეზები, მაგრამ ვფიქრობდით, რომ არც ჩვენ უნდა აგვევლო გვერდი ამ საკითხისთვის. ბნებს უორდანიას, გეგეჭკორსა და ჩხენკელს მოვახსენეთ, რის თქმას ვაპირებდით ლეგიონერებისთვის პირველ შეხვედრისას:

„მოხალისეთა შენაერთები სხვადასხვა სამხედრო ვითარებაში შეიკრიბა; გერმანელები მაშინ წარმატებით მიიწვევდნენ წინ. ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური მიზანი იყო კავკასიამდე მიღწევა, რაც მოვახერხეთ კიდევ. მაგრამ გერმანული ჯარები რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე გაიფანტა და სტალინგრადის ბრძოლას მძიმე დანაკარგი მოჰყვა. ამიტომ გერმანელები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ და თავდაცვით



ომზე გადასულიყვნენ. თუმცა კრემლის ლიდერები სრულ  
 გამარჯვებას ესწრაფვოდნენ, რასაც წითელი არმია ამერი-  
 კისა და ინგლისის დაუხმარებლად ვერ მოახერხებდა. ამის  
 დასტური საკუთარი თვალით ვნახეთ კავკასიის ფრონტზეც  
 კი—მოზდოკის სამხრეთით მიტოვებულ ტანკების სულ მცო-  
 რე ნახევარი, ამერიკული, შერმანის ტანკები იყო, რომლებიც  
 წითელ არმიას არ გააჩნდა. გერმანიის თავდაცვით ომზე  
 გადასვლამ და უკან დახევამ ჩვენთვის ვითარება თვალსაჩი-  
 ნოდ შეცვალა. კავკასია დავკარგეთ და ლეგიონერებს დიდი  
 საფრთხე დაემუქრათ—შეიძლებოდა წითელ არმიას ჩავარ-  
 დნოდნენ ხელში, განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაში  
 აღმოჩნდნენ დაჭრილები და დაუძღურებულები. მოხსენების  
 მიხედვით, ამგვარ შემთხვევებში ლეგიონერებს სასტიკად  
 ექცეოდნენ—ჩვეულებრივ, ადგილზევე სვრეტდნენ. ამგვარმა  
 ახალმა ამბებმა ზოგიერთ ლეგიონერზე დამთრგუნველად  
 იმოქმედა (ეს არცაა გასაკვირი). მეორე მხრივ, ოქტომბერში  
 დასავლეთში გადაიყვანეს გერმანული ჯარების ნაწილი და  
 აღმოსავლეთის ადგილობრივი შენაერთები, რომლებსაც ად-  
 გილის გამოცვლა ხელს არ აძლევდათ. ასეა თუ ისე, აღმო-  
 სავლეთის მოხალისეთა რაზმების გენერლები დაეთანხმნენ  
 ლეგიონერების გადაყვანას აღმოსავლეთის ფრონტზე, ზე-  
 მით განხილულ სახიფათო ვითარების გამო; ამ გარემოებამ  
 ლეგიონერებს ამოსუნთქვის საშუალებაც მისცა.

ამრიგად, ეს იყო არა პოლიტიკური, არამედ სამხედრო  
 გადაწყვეტილება; ლეგიონერები, როგორც გერმანული არ-  
 მიის ნაწილი, გაგზავნეს იქ, სადაც მათ უკეთესად გამოიყე-  
 ნებდნენ. რასაკვირველია, ეს არ იყო იდეალური არჩევანი,  
 მაგრამ ჯარისკაცები ბრძანებას უნდა დამორჩილებოდნენ.  
 თუმცა ჩვენი მიზანი მაინც უცვლელი რჩებოდა: საქართვე-  
 ლოსა და კავკასიის განთავისუფლება ბოლშევიკურ-კრემ-  
 ლური ტირანიისაგან. ვიცოდით, რომ კიდევ შეიძლებოდა  
 საერთო ვითარება ჩვენს სასარგებლოდ შეცვლილიყო და  
 მაშინ შევძლებდით ჩვენი ქვეყნებისთვის სარგებლობის მო-  
 ტანას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხმამღლა არ ვამბობდით, მაგრამ ვვარაუდობდით, რომ შეიძლებოდა განხეთქი-  
 ლება მომხდარიყო დასავლელ მეკავშირეებსა და სტალინს შორის, მისი უცვლელი  
 აგრესიული გეგმების გამო „კაპიტალისტური სამყაროს“ მიმართ. სტალინმა მხოლოდ  
 დროებით და ნაწილობრივ გადადო ეს მიზანი, რადგან გერმანიის წინააღმდეგ  
 საბრძოლველად დასავლელი მეკავშირეების დახმარება სჭირდებოდა (ამას ადას-



ლეგიონერებს კიდევ ერთი რამ ევალებოდათ—რაინდულად უნდა მოპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, კეთილი ენებათ და ხსომებოდათ, რომ საფრანგეთი საქართველოს მეკავშირე იყო, ქართული ემიგრანტებიც შეიფარა.

ბ-ნები ნ. ჟორდანიას, ე. გეგეჭკორი და ა. ჩხენკელი მონონებით გვისმენდნენ, კითხვები დაგვისვეს, მაგრამ ლეგიონერებისთვის მომზადებულ მიმართვაში არაფერი შეუცვლიათ და შეუსწორებიათ. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ კედია მოკლე ინფორმაციას აწვდიდათ მიმდინარე მოვლენებზე. მომენონა ეს სამი დევნილი „ბერიკაცი“, ჩვენი მთავრობის წევრებით სიამაყის გრძნობა დამეუფლა. გულთბილი გამომშვიდობების შემდეგ, კარგ გუნებაზე წამოვედი. მეორე დღეს ვენვეით ოპოზიციური პარტიის ლიდერს სპირიდონ კედიას, რომელსაც რამდენიმე თვით ადრე ბერლინში შევხვდი. მაშინ მეკავშირეთა შტაბის ჩამოყალიბებაზე იყო საუბარი და სწორედ მან შეგვაგულიანა, ამ შტაბს შევერთებოდი. ახლაც იმავე საკითხებზე ვისაუბრეთ და ვიგრძენი, რომ მხარს გვიჭერდა.

სპირიდონ კედიასთან ვიზიტის შემდეგ, პარიზის ახლოს, შატუში ვენვეით საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქართული არმიის მთავარსარდალს, დიდად პატივსაცემ გენერალს გიორგი კვინიტაძესა და მის მომხიბვლელ მეუღლეს მარიაშს. მათ სამი ქალიშვილი ჰყავდათ; ჩვენ ერთს შევხვდით, მიმზიდველად მომლიმარ მშვენიერ ნინოს, ორი ქალიშვილი, თუ არ ვცდები, გათხოვილი იყო და შატუში არ დაგვხვდნენ. გენერალს იმავე საკითხებზე ვესაუბრეთ, რაზეც ჩვენს პოლიტიკოსებს. გვითხრა, თბილისის სამხედრო სკოლიდან ზოგიერთი ჩემი კადეტი მერე პოლონეთის არმიაში რომ იყვნენ ხელშკრულებით, ახლა ქართული ლეგიონის ბატალიონებში მსახურობენო.<sup>1</sup> მოგზაურობისას, ალბათ, მათაც ვნახავდით და მოკითხვა დაგვაბარა.

„ბებერი“ გენერალი მოგვეჩვენა, ისევე, როგორც „ბებერი“ პოლიტიკური ლიდერები, მანამდე რომ შევხვდით. გენერალი ქართულს ამტკრევდა და საუბრისას რუსულს ვიშვე-

ტურებს ომის შემდეგ დაახლოებით ოთხი ათწლეულის განმავლობაში დათრგუნული აღმოსავლეთ ევროპა, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში გართულებული ვითარება და ცივი ომი).

<sup>1</sup> იხ. თავი ბერგმანი და კაკვასია

ლიებდით. აგვისხნა, კადეტობიდან მოყოლებული, ათი წლის ასაკიდან, რუსულენოვან სამყაროში მომინია სწავლამ და სამსახურმაო!



გენერლის მემუარებში ასახული გულწრფელი მოსაზრებები უნდა განონასწორდეს პრეზიდენტ ჟორდანას მემუარებში გამოთქმული მოსაზრებებით და მიუდგომელ ისტორიულ დო-

<sup>1</sup> გენერალი გიორგი კვინიტაძე წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან, ჩიქოვანების ოჯახიდან იყო. მამამისი, სიმონ ჩიქოვანი იმერეთის მეფის სოლომონის კარისკაცი გახლდათ. 1830 წელს რუსის ჯარმა იმერეთი დაიპყრო და სოლომონ მეფე, თავის ერთგულ ხალხთან ერთად, თურქეთში გადაიხვეწა. მათ შორის იყო სიმონიც. მისი ვაჟი ივანე (ჩვენი გენერლის მამა) აღმოსავლეთ საქართველოში, თავად ციცივილების ოჯახში დატოვეს. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო 29 წლით ადრე დაიპყრო იმპერიალისტური რუსეთის ჯარმა, რომელმაც დაარღვია 1783 წლის ხელშეკრულება, რუსეთის იმპერატორ ეკატერინესა და აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს მიერ დადებული. ამ ოკუპაციით ქართველების ეროვნული სიამაყე შეიღახა, მაგრამ ბევრი მათგანი (უმთავრესად თავად აზნაურობა) მაინც შევიდა რუსულ არმიაში და გამორჩეულადაც იმსახურა. მათ შორის იყო ჩვენი გენერლის მამაც. ცამეტი წლის ივანემ თავისი გვარი—ჩიქოვანი კვინიტაძედ შეიცვალა და ჩინებული კარიერაც გაიკეთა რუსულ არმიაში. იგი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა და როცა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა კავკასიაში სამოგზაუროდ ჩამოვიდა, ივანე კვინიტაძე თანმზლებად და გამოცილებლად დაუნიშნეს.

ჩვენი გენერალი გიორგი კვინიტაძე მამამისის კვალს გაჰყვა. ისიც სიყმაწვილეში შევიდა რუსეთის იმპერიის ჩინებულ სამხედრო სკოლაში და წარმატებასაც მიაღწია. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, 1904 წელს, კვინიტაძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე, საბრძოლო ნათლობა მიიღო და თავიც გამოიჩინა. ხუთი წლის მერე, კვინიტაძე კაპიტანი გახდა, გენერალური შტაბის აკადემია დაამთავრა და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში დაინიშნა. I მსოფლიო ომის პერიოდში პოლკოვნიკი გახდა. კვინიტაძე კავკასიის ფეხოსანთა IV დივიზიის შტაბის უფროსი იყო. ეს დივიზია თურქეთის ფრონტზე იბრძოდა, ერზრუმის ციხესიმაგრე აიღო და მამაცობისთვის დაჯილდოვდა წმ. გიორგის მედლით.

1917 წლის ოქტომბერში, როცა რუსეთში ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა, გენერალური შტაბის გენერალი გ. კვინიტაძე დიდად დაფასებული სამხედრო ხელმძღვანელი იყო. 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის პერიოდში გენერალმა გ. კვინიტაძემ მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოახმარა ქართული სამხედრო სკოლის შექმნას, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა რესპუბლიკის არსებობის დროსაც და შემდგომშიც (II მსოფლიო ომის პერიოდში), საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გენერალი გ. კვინიტაძე რამდენჯერმე დანიშნა შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად, მაგრამ ბოლოს იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. როგორც ჩანს, პრობლემების გადაწყვეტის გზებზე მთავრობისა და მთავარსარდლის მოსაზრებები მკვეთრად განსხვავდებოდა, მოკლედ რომ ვთქვათ, გენერალმა კვინიტაძემ იგრძნო, რომ სომხებს, თურქებსა და საბჭოელებს მთავრობა უთმობდა და ელოლიავებოდა, იმის ნაცვლად, რომ გამარჯვების მისაღწევად ინიციატივა და სიმტკიცე გამოეჩინა. მისი აზრით, შეიარაღებულ ძალებში ზედამხედველებს მთავრობა ხშირად ნიშნავდა არა მათი უნარის და კვალიფიკაციის შესაბამისად, არამედ პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით.



კუმენტებით.<sup>1</sup> უნდა დავსძინო, რომ პირადად მე არ ვაპირებ განვსაჯო ამ ორი ისტორიული პიროვნების გულწრფელობა ან პატიოსნება. საქართველოს წარსულის რეტროსპექტიული შეფასება წარმოაჩენს, რომ საქართველოს მთავრობამ ალბათ გარკვეული შეცდომები დაუშვა, თუმცა იმდენივე, რამდენიც ნებისმიერ სხვა მთავრობას დაუშვია ცივილიზებულ სამყაროში. ისიც აშკარაა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვაში არ უნდა დავადანაშაულოთ არც საქართველოს მთავრობა, არც მისი შეიარაღებული ძალები ან ხალხი. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზი იყო ის, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია და სამხედრო ძალით მოახვია თავს საქართველოს წითელ იმპერიას შესვლა.

ზედმეტად მიგვაჩნია ბოლშევიკური კრემლის მიერ ასეთივე გზით ანექსირებული სხვა ქვეყნების ჩამოთვლა. აქ განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ წითელმა არმიამ დანარჩენი კავკასია რომ გადაყლაპა და ქართული ჯარების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, დახმარება მიიღო თურქეთისგან, რომელმაც ზურგში ლახვარი ჩასცა საქართველოს. თურქეთმა ჩვენი ტერიტორიის ნაწილი მიიტაცა საქართველო მთლიანად მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა და გადარჩენის შანსი აღარ დარჩა. ცივილიზებული სამყარო, რომელმაც საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა, ვერაფრით ვერ დაეხმარა მას. თანამედროვე საქართველო გაცილებით უფრო ძლიერ დამპყრობს შეებრძოლა, გაცილებით მეტი სიმამაცით, ვიდრე რომელიმე პატარა ერი, ფინეთის გარდა.

გენერალმა კვინიტაძემ და მისმა ექვსსულიანმა ოჯახმა, საქართველოდან ემიგრაციის შემდეგ, ბევრი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ თავისი ბუნების ერთგული დარჩა და გული არ გაუტეხია.

გენერალი იმასაც გრძნობდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დოქტრინა-სა და ტენდენციურ მიმართულებაზე ორიენტაციით ეროვნული გვარდიის შექმნა ასუსტებდა შეიარაღებულ ძალებს. მას მიაჩნდა, რომ გვარდია ვერ იყო ჯეროვნად განვრთნილი დისციპლინირებული და დამოუკიდებლად მოქმედებას არჩევდა იმის ნაცვლად, რომ რეგულარული არმიის შენაერთებთან შეთანხმებით ემოქმედა. ფაქტიურად, ის „პრეტორიანულ გვარდიას“ ჰგავდა და ძირს უთხრიდა ქართულ თავდაცვას. აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება გენერალ გ. კვინიტაძის მემუარებს—საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921.

<sup>1</sup> მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართული არქივით.

ამ ოჯახმა შატუში, სენაზე მანვნის კეთება და გაყიდვა დაიწყო. ყველა თავგადაკლული მუშაობდა და საქმე კარგად წაუვიდათ. დიდი ქართველი პატრიოტი გიორგი კვინიტაძე მონაწილეობდა კავკასიის ემიგრაციის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ის იყო ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ჰაიდარ ბამატის წრის „კავკაზის“ წევრი. მისი ნამონაფრები—ქართული სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულები, რამდენიმე ევროპული ქვეყნის არმიებში მსახურობდნენ. უყვარდათ თავიანთი გენერალი, პატივს სცემდნენ მას, ურთიერთობაც არ გაუწყვეტიათ. გენერალ კვინიტაძეს არასდროს დაუკარგავს იმედი, რომ ოდესმე საქართველო დაკარგულ დამოუკიდებლობას აღიდგენდა. II მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანია რუსეთში შეიჭრა, გენერალმა იფიქრა, ეს დრო დადგაო. მან შატუდან მისწერა ჰიტლერს (გერმანიის სამხედრო დარგის კომენდანტის დახმარებით), მადლობა გადაუხადა „საქართველოს მომავალი განთავისუფლებისათვის“ და შემდგომი წინსვლის რწმენა გამოთქვა.<sup>1</sup> ამის შემდეგ საქართველოს ყოფილმა ელჩმა ლადო ახმეტელმა (არ აგერიოთ მიხეილ ახმეტელში), ბერლინში მისწერა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს და „დიდი კავკასიური ფედერაციის შექმნა“<sup>2</sup> შესთავაზა. ორი თვის მერე ლ. ახმეტელმა ჰიტლერს 30000-დან 50000-მდე p.o.w. ქართული ლეგიონის შექმნა და მეთაურად მისი მეგობრის, გენერალ კვინიტაძის დანიშვნა შესთავაზა.<sup>3-4</sup> არც გ. კვინიტაძეს, არც ლ. ახმეტელს გულზე არ ეხატებოდათ ჰიტლერი და მისი პოლიტიკური დოქტრინა, მაგრამ ამგვარ

<sup>1</sup> კვინიტაძე ჰიტლერს, 6 ოქტომბერი, 1941 (დოკუმენტი BA,R665). Patrik van zur Mühlen, Zwischen Hekenkreuz und Sovietstern. გვ. 105. Droste Verlag Düsseldorf. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

<sup>2</sup> ლადო ახმეტელი საგარეო საქმეთა მინისტრს, 23 ოქტომბერი, 1941 (დოკუმენტი PAAA), Kaukasus Volker, POL XIII 5247939—იქვე, სადაც 1-ლი სქოლიო.

<sup>3</sup> ლადო ახმეტელი ჰიტლერს, 30 დეკემბერი, 1941 იქვე.

<sup>4</sup> 1942 წლის იანვარში ლ. ახმეტელმა ჰიტლერს „Reichs kanzlei“-ს დამატებითი მოსაზრებები წარუდგინა კავკასიის თაობაზე. მისი ვარაუდი ასეთი იყო: I საფეხური—კავკასია დროებით უნდა გახდეს გერმანიის პროტექტორატი, რომელსაც წარმართავდა გერმანელი გენერალი. მას რეზიდენცია თბილისში ექნებოდა და თითოეულ კავკასიურ ერს იქიდან დაუნიშნავდა გერმანულ გენერლებს.

II საფეხური—დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, საქართველო უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი მონარქია, როგორც იყო ათასწლეულების განმავლობაში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსები საერთოდ არ არსებობდნენ.



მიმართებს თავიანთი ქვეყნისთვის თავისუფლების მოსაპოვებლად აკეთებდნენ.

პარიზში ბედმა გამილიმა და შევხვდი ყოფილ „ბერგმანის“ ემიგრანტ ჯარისკაცებს, რომლებიც კავკასიიდან უკანდახევის შემდეგ, შერყეული ჯანმთელობის ან ოჯახური პირობების გამო, დაითხოვეს, სალაპარაკო ბევრი გვექონდა. განსაკუთრებით ჩვენი ჯარისკაცების მომავალი გვალეღვებდა და მის განჭვრეტას ვცდილობდით, იმჟამად გამორჩეულად ზრუნავდნენ „ბერგმანზე“. რომელიც ყირიმში სასტიკ ბრძოლებში მონაწილეობდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. მე გულწრფელად მჯეროდა, რომ დროთა განმავლობაში მათ ნაკლებ სახიფათო ადგილას გადააგზავნიდნენ და ვცადე ამ ვარაუდით გამემხნეებინა გადამდგარი ამხანაგი. იმასაც შევპირდი, ყირიმში ვიზიტისას „ბერგმანის“ ქართველებს თქვენგან მოკითხვასა და საუკეთესო სურვილებს გადავცემ-მეთქი.

პარიზში ბევრი ახალი ნაცნობი გავიჩინე. მათ შორის იყო ორი მომხიბვლელი ქართველი მანდილოსანი, ვერა ფალავა და მარო ლოლობერიძე—ქართველი ლეგიონერებისა და P.O.W. დასახმარებლად შექმნილი „ქალთა კომიტეტის“ წევრები. ამ კომიტეტმა დიდად შეუმსუბუქა ბევრს ნოსტალგია. ლეგიონერები იღებდნენ საჩუქრებს, ემიგრანტებისაგან გამოგზავნილ გამამხნეებელ წერილებს და შინ მიწვევას შვებულების დროს, „ქალთა კომიტეტი“ ვარაუდობდა, რომ ყოველთვის აჯობებდა, თუ ამ ვიზიტებისას ლეგიონერებს ნებას დართავდნენ, გერმანული ფორმის ნაცვლად, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაეცვათ. მე და მიხეილ ალშიბაია პარიზში თუ მის მიდამოებში არმიის საცხოვრებელში ვენწიეთ აღმოსავლეთის მოხალისეთა რაზმების ოფიცერს და განსახილველი საკითხების ჩამონათვალი მივუტანეთ. ამ სიაში იყო ლეგიონერებისთვის ნაწილიდან გასვლისას სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების ნებართვა, ოფიცერმა დადებითად გვიპასუხა და დაგვპირდა, ამ საკითხზე ლეგიონის ბატალიონის სახელით შეეტანა განცხადება, განსახილველ საკითხთა შორის რამდენიმე პუნქტი შეიცავდა თხოვნას—ქართულ შენაერთებისათვის ცნობილი გამხდარიყო, რომ ქართულმა სამეკავშირეო შტაბმა პარიზში დააფუძნა ფილიალი, რათა უფრო ეფექტურად ემუშავა ლეგიონერების პრობლემების მოსაგვარებლად.

ფილიალი უკვე მოქმედებდა დურმიშხან ქუჩის მეტა-  
რობით.



საფრანგეთში ქართული ემიგრაცია ძალზე შემეყვარდა; ეს გრძნობა მთელი სიცოცხლე მომყვება; ამ ადამიანებისათვის მუდამ განსაკუთრებული ადგილი მექნება გულში. მათი დიდი უმრავლესობა სტუმართმოყვარე, გულთბილი ადამიანები იყვნენ—კაცთმოყვარე, კეთილშობილი, უანგარო პატრიოტები. ამის მაგალითად გამოდგება მარაიმ და ლევან მამულაიშვილების (მიხეილ ალშიბაიას სიდედრ-სიმაძრის) ოჯახიც, სადაც ვცხოვრობდით პარიზში ყოფნისას. ჩემი საწოლი ოთახი მეორე სართულზე იყო, მასპინძლისა—მის თავზე. პირველ ღამეს ღრმად მეძინა, დილით გამაღვიძა ზემოდან მამაკაცის ხმა—ლოცვას ჰგავდა. ავდექი, ვივარჯიშე, შხაპი გადავივლე; მამაკაცი ისევ ლოცულობდა. ყრმობიდანვე მონმუნე გახლდით, ალბათ ბებიაჩემის, ირინეს გავლენით, მაგრამ არასდროს მინახავს, რომ ბებიას ამდენ ხანს ელოცოს. რარიგ გულანთებული ქრისტიანი უნდა ყოფილიყო ეს კაცი! ამ შთაბეჭდილებით აღელვებული ჩავედი ქვემოთ, დიდ ოთახში, სადაც თინა (ერთ-ერთი მამულაიშვილის სამი ქალიშვილიდან) საუზმეს ამზადებდა. მივესალმე და აღტაცება გამოვთქვი რელიგიური მამაკაცით. თინამ გადაიკისკისა და მითხრა, ეგ კაცი მამაჩემი ლევანია და ყოველ დილით რუსთაველის პოემას კითხულობსო. რა გასაკვირია, თუ წინა საუკუნეებში ქართული სამღვდელოება წუხდა, რომ მრევლი რუსთაველის პოემას გაცილებით მეტ დროს უთმობდა, ვიდრე რელიგიურ წიგნებს. მამულაიშვილს ჰყავდა სამი მიმზიდველი ქალიშვილი—ელენა, თინა, ივლიტა და ორი ვაჟი—იასონი და გივი. პარიზში ჩვენი ვიზიტისას ჭაბუკები სამხრეთ საფრანგეთში, გრენობლში იყვნენ. მე უკვე ვიცნობდი უმცროს ქალიშვილს ივლიტას, მისი მეუღლისაგან მიხეილ ალშიბაიასაგან და მათ საუცხოო შვილებს, ნინიკოს და თემურს. თემური (თეიმურაზი) მახვილგონივრული მსჯელობისათვის ძალიან პატარა იყო, რასაც ვერ ვიტყვით ნინიკოზე. მან ჩვენი გაცნობისთანავე მალლა ასწია ხელები და დაიძახა: „მიხო მამამ გერმანია გაიხადა!“—გულისხმობდა, რომ მამამისმა გერმანული ფორმა გაიხადა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოენყო. მეც არ ვიტყოდით ამაზე უარს და

ალბათ გავახარებდი ნინიკოსაც და ოჯახის სხვა წევრებსაც.  
მაგრამ მაშინ სამოქალაქო ტანსაცმელი არ მქონდა.

გაუგებარი არ უნდა იყოს გერმანიის მიერ ოკუპირებულ  
საფრანგეთში მოსახლეობის ამგვარი განწყობილება. ქარ-  
თველებიც ასეთივე გუნებაზე იყვნენ, როცა 1921 წელს, რუ-  
სეთის წითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო. მაშინ ექვსი  
წლისა ვიყავი. მე და ბებია ირინემ ეზოდან დავინახეთ, ღობის  
იქით, ქუჩაში როგორ მოაბიჯებდა წითელი არმიის ჯარი.  
მე ჭიშკარში გავხტი მუშტის ქნევით და ყვირილით—„მაშ  
თქვენ ხართ ბოლშევიკები, არა? მე თქვენ გიჩვენებთ სეირს“.  
ძალიან პატარა ვიყავი საიმისოდ, რომ ვინმეს ეს სერიოზუ-  
ლად მიელო, მაგრამ ჩემი სიტყვებიდან ჩანდა ჩვენი ოჯახის  
განწყობა. ბებია შიშისაგან ადგილზე გაშეშდა, მერე ხელი  
მტაცა და უკან შემათრია.

ელენა მამულაიშვილმა მოხდენილად შემომთავაზა, პარიზს  
დაგათვალიერებინებოთ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა  
მდინარე სენას ნაპირებზე ლამაზად განლაგებულმა ამ ქა-  
ლაქმა თავისი დაუფინყარი ხიდებით, სანაპიროს გაყოლებით  
წიგნით მოვაჭრეთა ფარდულებით, მონმარტრით, ტროტუა-  
რებზე გამოტანილი კაფეებით, ეიფელის კოშკით, ელისეს  
მინდვრებით, ტრიუმფალური თაღით, ლუვრით და ბევრი  
სხვა რამით, მაგრამ შემძრა ღვთისმშობლის ტაძარმა, რომ-  
ლის დასრულებასაც ერთი საუკუნე დასჭირდა, ამის მიზეზი  
გახლდათ არა ის, რომ ტაძარი იყო (და ახლაც არის) გოთუ-  
რი არქიტექტურის ერთ-ერთი უდიდესი შედეგრი, არამედ  
უფრო ის ღრმა, რელიგიური გრძნობა, შიგნით რომ გეუფ-  
ლება. ტაძარში შესვლის წინ ელენამ მითხრა, რაკი პირვე-  
ლად ხართ ნოტრდამში, თქვენს ლოცვებს უფალი ყურად  
იღებსო, მე გრძელი სია მქონდა, ცოტათი განსხვავებული  
იმისაგან, რაც საქართველოში ახალი წლის წინა ღამეს, წმ.  
ბასილს წარვედგინე, ტაძრიდან გამოსვლისას გამახსენდა  
ღვთისმშობლის ტაძრის ვიქტორ ჰიუგოსეული კუზიანი, კვა-  
ზიმოდო, რომელიც მშვენიერი ესმერალდას სიცოცხლეს იცავ-  
და. მშვენიერი ელენა ხატს ჰგავდა, ჭკვიანი, მეტყველი სახე  
ჰქონდა. ბევრ სასურველ სასიძოს შეჰყვარებია იგი, მაგრამ  
მხოლოდ ერთზე მიუვიდა გული ელენას. საუბედუროდ, ეს

კაცი არ გამოდგა „ცოლიანის ტიპი“, გარდა ამისა, მძიმედ დასნეულდა. ასე რომ ორივე ეულად დარჩა. დასანანია.

მამულაიშვილის უფროსი ქალიშვილი თინა, ელვარე, შავ-გრემანი ლამაზმანი იყო. ელენასავით რბილი, თაფლისფერი, მეტყველი, გონივრული თვალები ჰქონდა. სიტყვაძვირი ქალბატონი გახლდათ. ბუნებრივია, მასაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა (ამბობდნენ, ერთ-ერთმა თავი მოიკლაო). ბოლოს ბედმა გაუღიმა მაიორ ალიოშა კინწურაშვილს საფრანგეთის უცხოური ლეგიონიდან; II მსოფლიო ომის დროს იგი გენერალ და გოლის მხარეს იბრძოდა, ახალგაზრდებმა იქორწინეს; ომის დამთავრებიდან კარგა დიდი ხნის მერე, საფრანგეთში, მე და ჩემს მეუღლეს წილად გვხვდა ბედნიერება, შევხვედროდით ამ საუცხოო წყვილს, მაიორ კინწურაშვილს, ისევე როგორც ფრანგულ არმიამი გენერალ და გოლის მხარეს მოსამსახრე სხვა ქართველ ოფიცრებს, ვისაც მე შევხვედრივარ, ძალიან კარგად ესმოდა, რომ გერმანულ არმიამი (რომელსაც ჰქონდა კავკასიის დაპყრობის რეალური შესაძლებლობა) ქართველები შედიოდნენ საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად.<sup>1</sup>

დედა, მარიამ მამულაიშვილი—საუცხოო პიროვნება—მართო ოჯახის წევრებს კი არა, ყველას უყვარდა, ვინც იცნობდა. ერთგული დედა, ცოლი და მეგობარი იყო, საკუთარ თავზე მუდამ ყველაზე ბოლოს ფიქრობდა, მამას, ლევან მამულაიშვილს, ასაკოვნების მიუხედავად, გონებაც მახვილი ჰქონდა და გარემომცველ სამყაროთი ინტერესიც არ აკლდა, ახლა პენსიაში იყო. თავის დროზე ბაქოში, აზერბაიჯანში, ცნობილ სანავთობე წარმოებასთან ჰქონია საქმე.<sup>2</sup>

აზერბაიჯანი იმპერიალისტური რუსეთის ნაწილი გახლდათ. I მსოფლიო ომის წინ ქართველ ბიზნესმენტთა ერთმა ჯგუფმა ბაქოში მოიყარა თავი. მათ აკაკი ხოშტარიას მეთაურობით დააარსეს ასოციაცია „რუპენტი“, რაც ნიშნავდა „რუსეთ-სპარსეთის ნავთობთა ასოციაციას“. ლევან მამულაიშვილი მისი წევრი იყო. საქმე კარგად მიდიოდა, საქართვე-

<sup>1</sup> სხვა ოფიცრები იყვნენ მაიორები: ალიოშა ჯინჭარაძე და ალექსი ჩხენკელი (საფრანგეთში საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი ელჩის ვაჟი და ბიძაშვილი ბაგრატი ჭანტურიასი, რომელიც „ბერგმანში“ მსახურობდა.

<sup>2</sup> ძალზე წარმატებული იურისტი და მენილე იყო.

ლოს დამოუკიდებლობის პერიოდშიც კი, მაგრამ 1920 წლის  
აპრილში, რუსეთის ნითელი არმია, ყოვლისმომცველი ძალით  
შეიჭრა და ბაქოსთან ერთად მთელი აზერბაიჯანი დაიპყრო.  
ლევანს ოჯახის შენახვა კი შეეძლო, მაგრამ საქართველოს  
რესპუბლიკის დაცემასთან დაკავშირებით იძულებული  
გახდნენ, პარიზში წასულიყვნენ ემიგრაციაში. ზემოთ აღ-  
ვნიშნე, რომ მამულაიშვილს პარიზში ჰქონდა პანსიონი საფ-  
რანგეთში ენის სასწავლად ჩამოსული ინგლისელი ყმანვილ  
ქალებისათვის. მას მერე, რაც საქართველოდან წამოვედი,  
არსად შევხვედრივარ ასეთ გულთბილ, შინაურულ, ოჯახურ  
გარემოს, მამულაიშვილებთან რომ იყო.

პარიზში დიდი სიხარულით შევხვდი მიშა ალშიბაიას დას  
ქეთევანს (ქეთის). იგი თავის დასთან, თამარა ალშიბაია-  
პატარიძესთან ცხოვრობდა. ფაქტიურად, თამარა ქეთევანის  
ბიძაშვილი იყო, მაგრამ ის და მისი ძმა კონსტანტინე (კაკო)  
საქართველოდან თავიანთ ბიძასთან გრიგორ ალშიბაიასთან  
და მის ოჯახთან ერთად წამოვიდნენ გერმანიაში. ექიმმა და  
მისმა ცოლმა, ბარბარე კიზირია-ალშიბაიამ პატარები იშვი-  
ლეს. თამარის და კაკოს მშობლები, რთული ვითარების გა-  
მო, საქართველოში დარჩნენ. ქეთის კარგი განათლება ჰქონ-  
და მიღებული, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა. ნამდვილი  
ქართველი მზეთუნახავი იყო. მან გარკვეულად დაამშვენა  
მისი ძმისა და ჩემი პარიზში ყოფნა. ქეთიმ სურვილი გა-  
მოთქვა და ხალისით შეუდგა ჩვენი საქმიანი წერილების  
ბეჭდვას, მიაგმო, ჩემი უმცროსი დები მარტა, რუსუდანი და  
თინა პოლონეთში სწავლობდნენ და ახლა გერმანიაში  
აგრძელებენ სწავლასო (მარტა ვენაში იყო). მაშინ რას ვი-  
ფიქრებდი, რომ მოგვიანებით რუსუდანს ცოლად შევირთავ-  
დი. ქეთიმ გამაცნო თამარ და ელისე პატარიძე და მათი  
შვილები—სამი საყვარელი ბავშვი, უფროსი თინა და ტყუპი  
და-ძმა, გულნარა (გულიკო) და ოთარი. სამივე შემიყვარდა.  
ელისე იყო ერთ-ერთი წამყვანი წევრი ქართული ეროვნულ-  
დემოკრატიული პარტიისა (ავტორსაც აქვს პატივი, ამ პარ-  
ტიას ეკუთვნოდეს), ომის შემდეგ დააარსა პერიოდული გა-  
მოცემა „ივერია“. ელისესთან სალაპარაკო ბევრი მქონდა.

მასთან სტუმრობისას მოვიდა ჩემი მეგობარი, ალექსანდრე ასათიანი, რომელმაც საუბარი გაახალისა. თამარის და ელი სეს სტუმართმოყვარეობა საარაკო იყო. მათ სახლში თავს იყრიდა უამრავი ქართველი ემიგრანტი. პატარიძეები საკუთარ საბაყლო მალაზიაში მძიმე ჯაფით ინახავდნენ ოჯახს.

ნოემბრის მეორე ნახევარში მე და მიხომ დავინწყეთ დასავლეთში ქართული ლეგიონის ბატალიონების შემოვლა. ჩვენი სამეკავშირეო ფილიალი პარიზში ახლა თითქოს კარგად მუშაობდა; გარკვეული წინააღმდეგობები მოგვარდა. ქართული (და სხვა კავკასიური) ბატალიონები დაექვემდებარა გერმანული არმიის დივიზიებს, რომლებიც ატლანტიკის სანაპიროს დაცვის სისტემის ნაწილს შეადგენდა. ქართული შენაერთები ერთმანეთისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული, ამიტომ ჩვენს მოგზაურობას დიდი დრო მიჰქონდა და ვერც ეფექტიანობით დავიკვებნიდით. მე და მიხო ვეჭვობდით, რომ ამგვარ წამონწყებას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა აღმოსავლეთის მოხალისეთა შენაერთების საბრძოლო სულისკვეთებაზე არმიის შტაბში შექმნილი შეუსაბამო წარმოდგენა. ეს ვარაუდი ჭკუას მოკლებული არ იყო. „აღმოსავლელების“ დიდი უმრავლესობა მტრულად კი არ იყო განწყობილი, პირიქით, აღტაცებული იყო დასავლეთის მეკავშირეებით.<sup>1</sup> იმჟამად დასავლეთში ქართული ბატალიონები დაახლოებით ასე იყო განლაგებული:

ბატალიონი №822 მდებარეობდა ზანდკორტში, ჰოლანდიაში.

ბატალიონი №795—შერაბურში, ნორმანდიაში, საფრანგეთში.

ბატალიონი №823—გერნსის ინგლისურ არხზე.

ბატალიონი №797—ლა ჰაიე დიუ პოის ახლოს (გრანვილი, საფრანგეთი).

ბატალიონი №798—სენტ ნაზარში.

ბატალიონი №799—პერგესთან, საფრანგეთში.

<sup>1</sup> ეს განსაკუთრებით ამერიკაზე ითქმოდა. სავსაოდ თავშესაქცევი ამბავია—ავტორის მონაფეობისას თინეიჯერების ჯგუფმა სულ მცირე ორჯერ მაინც ცცადა ამერიკაში გაქცევა. ისინი უკან მოაბრუნეს. სტუდენტებს შორის იყვნენ ქართველი კომუნისტების თანამდებობის პირთა შვილები. იქნებ ამერიკული თავისუფლებისა და შეუზღუდავი, თანასწორი შესაძლებლობების რწმენის დანერგვას ხელი შეუწყო პოლიუდის ფილმებმა, ამერიკულმა და ზინგერის საკერავმა მანქანებმა,

ბატალიონი № II/198 მდებარეობდა იტალიაში. იქ მოგვიყვანეს  
ნებით უნდა გავმგზავრებულყავით.<sup>1</sup>

აი, როგორ ჩაიარა ჩვენმა ვიზიტმა: თავდაპირველად ჩა-  
ვედი ქალაქ ლემანში, პარიზის აღმოსავლეთით და გამოვცხად-  
დით არმიის შტაბ-ბინაში, სადაც ამის გარდა, მოთავსებული  
იყო საფრანგეთში აღმოსავლეთის მოხალისეთა შენაერთების  
შტაბი. ჩვენ გვინდოდა შენაერთებში ჩასვლის წინ გაგვერკ-  
ვია ძირითადი გეზი და ინფორმაცია ბატალიონებზე. განსა-  
კუთრებით გვაინტერესებდა, პრობლემები თუ ჰქონდათ. რო-  
გორც ჩანს, არმიის შტაბში გველოდნენ; თავაზიანად მიგვი-  
ლეს და შეძლებისდაგვარად, დაგვეხმარნენ კიდეც, შტაბიდან  
ჩვენი ამბავი აცნობეს ყოველ დივიზიას, რომლისთვისაც  
უნდა მიემართათ ქართული ბატალიონებს, რათა ჩვენთვის  
რიგიანად ემასპინძლათ. იგულისხმება ტრანსპორტირება,  
დაბინავება და ა. შ. მერე დივიზია პოლკებს აცნობებდა,  
ისინი, თავის მხრივ, ბატალიონებს. არმიის შტაბ-ბინაში თა-  
ვიდანვე გაგვაფრთხილეს, რომ ყველაზე ძნელი იქნებოდა  
823-ე ბატალიონში, კუნძულ გერნსიზე (ინგლისის არხი) ტრან-  
სპორტირება. იქ თვითმფრინავით უნდა ჩავსულიყავით, ხში-  
რად რეისი განრიგიდან ამოვარდებოდა ხოლმე, ხან კი თვით-  
მფრინავი საერთოდ ვერ აღწევდა დანიშნულების ადგილს,  
შეიძლებოდა წასვლა-წამოსვლაში ბევრი დრო დაგვეკარგო-  
და. ვარაუდობდნენ, რომ ტრანსპორტირება გაუმჯობეს-  
დებოდა და გვთავაზობდნენ 823-ში გამგზავრება მანამდე  
გადაგვედო. რაც შეეხება სხვა შენაერთებში ვიზიტებს, ამას  
წინ არაფერი დაუდგებოდა. არმიის შტაბმა ისიც გვაცნობა,  
ახლახანს პატარა ქართული შენაერთი ოფშორის არტილე-  
რიის ბატარეებს დაუქვემდებარეს ბიარიცის რაიონში  
(ცნობილი კურორტი ბისკაის ყურეში, ბორდო მოშორებით,  
ესპანეთის საზღვრის ახლოს) და შემოგვთავაზეს, იქაც  
წაბრძანდითო.

დეკემბრის დასაწყისში ნორმანდიაში, ლაჰაიე დიუ პიუში  
ჩავედით 797-ე ბატალიონის მოსანახულებლად. გერმანელ-  
მა მეთაურმა პირადად დაგვათვალყურებინა ბატალიონი და  
მისი ფორტიფიკაციები. მანვე პატივისცემით გაგვაცნო ორი

<sup>1</sup> მოგვიანებით, 1944 წელს, ქართული ბატალიონები 1/9 და 11/4 აღმოსავლეთის  
ფრონტიდან ალბი-კასტრეს რაიონში (საფრანგეთი) გადაიყვანეს.

ქართველი ემიგრანტი ოფიცერი—ვანო ბაქრაძე<sup>1</sup> და დიმიტრი შალიკაშვილი.<sup>2</sup> მიხოდ მათ კარგად იცნობდა პოლონეთი და, მე კი პირველად შევხვდი. ორივემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მოგვიანებით ამ ხალხზე უფრო მეტს ვიტყვით. ბატალიონში მხოლოდ ოფიცრებს კი არა, თითქმის ყველა ჯარისკაცს შევხვდით. პატარა ჯგუფებად, მერე ბატალიონის მეთაურს ვთხოვე, უფრო დიდი ჯგუფები შეეხვედრებინა, რათა მათთვის მიმემართა. ამგვარი „გამოსვლები“ იმავე აზრს ნერგავდა, რაზეც ვმსჯელობდით პარიზში ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებთან. ხშირად გვეკითხებოდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე დარჩენილ ამხანაგების ამბავს, გვეკითხებოდნენ, სამეკავშირეო შტაბსა და საფრანგეთის ქართველ ემიგრანტებზე. მეც და მიხოდ ვეჭვობდით, რომ 797-ეში სწორედ ემიგრანტი ოფიცრების ყოფნამ იქონია დადებითი გავლენა. ამან დიდად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, გერმანელ მეთაურსა და მის პერსონალს, მეორე მხრივ კი ქართველებს შორის წინააღმდეგობის მოსპობამ. ამან გაამართლა ყველა სხვა შენაერთებში, რომელიც ჩვენ ვინახულეთ, უფრო სწორად, ყველგან, სადაც ემიგრანტები იყვნენ და გერმანელ კომენდანტს იმდენი ჭკუა აღმოაჩნდა, რომ რჩევები მიეღო. მეტსაც გეტყვით—ემიგრანტებს შეეძლოთ ლეგიონერებისათვის მოეყოლათ საქართველოს ისტორია—საბჭოური დამახინჯების გარეშე. ემიგრანტი ოფიცრებს, ვინც თავისუფალ საქართველოში მიიღო განათლება და მერე სწავლა თავისუფალ ევროპაში გააგრძელა, ეთიკური ქცევის მაგალითი შეეძლოთ მიეცათ დანარჩენებისათვის, რაც სრულიად განსხვავდებოდა იმათგან, რასაც მარქსიზმი და ლენინიზმი ასწავლიდა. 797-ეში განეული მასპინძლობით ვისიამოვნეთ და ორმხრივი დაპირების შემდეგ, რომ ურთიერთობას არ გავწყვეტდით, გამოვემგზავრეთ.

შერბურის 795-ე იყო ქართველ ლეგიონთა ერთ-ერთი ბატალიონი, რომელსაც კავკასიაში შევხვდეთ. მაშინ ძნელი დრო იდგა და გერმანელმა კიოსტრინგმა და მისმა თანამდგომ-

<sup>1</sup> ლეიტენანტი ვანო ბაქრაძე მოგვიანებით 799-ე ბატალიონში იყო. 1945 წლის დასაწყისში დაინიშნა ამ ბატალიონის მეთაურად.

<sup>2</sup> გადადგომის მერე დ. შალიკაშვილი დაინიშნა კონსულტანტად ქართულ სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტში, ჯერ პარიზში და მერე გერმანიაში.



მებმა ფონ ჰერვართმა „ბერგმანის“ დახმარება მოითხოვეს. კავკასიაში ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა არმიის ყოფილმა ოფიცერმა, ლომთათიძემ, რომელიც მძიმე არტილერიას მეთაურობდა. გამიხარდა, რომ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. სალაპარაკო ბევრი გვქონდა. მთელი ომის განმავლობაში ჩინებულად ეჭირა თავი, როგორც პროფესიონალ ოფიცერსა და ქართველ პატრიოტს. სენტ-ნაზარის ახლოს განლაგებული 798-ე ბატალიონიც მოგვენონა.<sup>2</sup> გერმანელმა მეთაურმა მეგობრულად მიგვიღო. გვითხა, ბედმა გამიღიმა, რომ შენაერთში მყავს ისეთი ჩინებული ემიგრანტი თანაშემწეები, როგორებიც არიან კაპიტანი სიმონ კობიაშვილი, პირველი ლეიტენანტი დავით ლალიძე<sup>3</sup> და სერჟანტი გაიოზ ბერიკაშვილი. ეს უკანასკნელი მოგვიანებით კობიაშვილმა გაგვაცნო. მიხო ალშიბაია კობიაშვილსაც და ლალიძესაც კარგად იცნობდა პოლონეთიდან, მე კი მათ პირველად შევხვდი. არც ერთი არ ვიცნობდით ბერიკაშვილს, რომელიც ბელგიაში ცხოვრობდა. სამივე ძალიან მომეწონა. ჩვეულებრივი საინსპექციო შემოვლის შემდეგ გამართულ ვახშამზე ლეგიონერებსაც ვესაუბრეთ და ბატალიონის წევრებსაც ოფიციალური სიტყვით მივმართეთ. შემდეგ ბატალიონის ანსაბლმა ქართული სიმღერები და ცეკვები შეასრულა. მოგვიანებით, ნასადილევს ბატალიონის მეთაურმა დასალევად მოიწვია ყველა ოფიცერი. აქ პირველმა ლეიტენანტმა დავით (დათა) ლალიძემ გვასიამოვნა ფორტეპიანოზე დაკვრით და რამდენიმე ნოსტალგიური სიმღერით. ეს მხოლოდ ნამდვილი ჯენტლმენი და კარგი ოფიცერი კი არა, ნიჭიერი პიანისტიც იყო. დილით ჩვენს მეგობრებს გამოვემშვიდობეთ და მანქანით გავემგზავრეთ ქალაქ სენტ-ნაზარისაკენ.

მთელი ქალაქი ძალიან დაეზიანებინა საჰაერო დაბომბვებს, თუმცა მიმდინარე რაიონები გადარჩენილიყო. სენტ-ნაზა-

<sup>1</sup> იხ. თავი „კავკასია“. რეორგანიზაციის შემდეგ 795-ემ თავი გამოიჩინა კავკასიის ფრონტზე. 1943 წლის აპრილში ეს ბატალიონი შემდგომი რეორგანიზაციისა და წვრთნისათვის, გადაიყვანეს რადომში, ე. წ. „გენერალურ მთავრობაში“.

<sup>2</sup> ჩემს „მინი-დღიურში“ არ არის აღნიშნული რამდენიმე გერმანელი ოფიცრის გვარები და წოდებები.

<sup>3</sup> ლეიტენანტი ლალიძე 797-ე ბატალიონში „ordonnanofficez“-ად მსახურობდა. 1945 წლის დასაწყისში გენერალმა კოსტრინგმა ჩვენი რეკომენდაციით ლალიძე დანიშნა რეორგანიზებული ქართული ლეგიონის მეორე მეთაურად, ს. კობიაშვილი—პირველ მეთაურად.

რისაკენ მატარებლით წამოვედით და ერთ ღამეში ლუმიწაში დავბრუნდით. იქ ბრიფინგზე გვეწვია არმიის სამხედრო დეპარტამენტის პოლკოვნიკ-ლეიტენანტი. მან გვაცნობა, რომ საერთო სამხედრო ვითარებაში არაფერი შეცვლილა—„ყველგან სინყნარე იყო“;—თუ არ ჩავთვლით რამდენიმე საჰაერო თავდასხმას. სამწუხაროდ, არ გაუშვობესებულა მიმოსვლა ინგლისის არხისაკენ, სადაც განლაგებული იყო 823-ე ბატალიონი. ამდენად, გერმანიაში წასვლის ნაცვლად, პარიზში დავბრუნდით მატარებლით. მგზავრობას ოთხი საათი მოვანდომეთ. მეორე დილას მეკავშირეთა შტაბის ფილიალის ოფისში გავმართეთ შეხვედრა და დირექტორი დ. ჟურულის მოხსენება მივიღეთ. აშკარა იყო, რომ მისი უწყება ეხმარებოდა ბევრ ლეგიონერსა და ყოფილ ტყვეებს, ამჟამად თავისუფალ მოქალაქეებს. მაგალითად, ისინი იღებდნენ სასარგებლო ინსტრუქციებს პირად საკითხებზე, პერიოდულ გამოცემებს, როგორც იყო ორი ქართული გაზეთი. ერთს გამოსცემდა ბერლინის სამოკავშირეო შტაბის დოქტორ გოგი მალალოვის დეპარტამენტი, მეორეს—გერმანიის სამხედრო პროპაგანდის უწყება ბერლინში<sup>1</sup>. იღებდნენ ისეთ წიგნებს, როგორცაა „საქართველო-ევროპა და აღმოსავლეთი“, „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და ა.შ. ჟურულმა გვითხრა, რომ ჩვენს ფილიალს პარიზში დიდ თანადგომას უწევდა და შემონირულობებით ეხმარებოდა ხსენებულ „ქალთა კომიტეტი“ და ეროვნული ალიანსის წევრები, განსაკუთრებით ელისო პატარიძე (ეროვნულ-დემოკრატი), პავლე სარჯველაძე (სოციალ-დემოკრატი) და ნიკო ურუშაძე (ფედერალისტი).

მე და მიხო პარიზში ორი დღე დავრჩით, შემდეგ პერიგოს (?) ღამის მატარებელზე დავსხედით და დანიშნულების ადგილზე 7 საათზე ჩავედით. მანქანით მივედით 799-ე ბატალიონში, რომელიც ქალაქის შორიახლოს იყო განლაგებული. გერმანელმა მეთაურმა, კაპიტანმა შმილტმა გულთბილად მიგვიღო, მაგრამ გვაცნობა, რომ ახლახანს მათ შენაერთში ტრაგედია დატრიალებულიყო. სანვრთნელი მანევრების დროს შვიდი ლეგიონერი დამხვრჩვალყო. მე და მიხო დაკრძალვას დავესწარით. კაპიტანმა გულისშემძვრელი გა-

<sup>1</sup> რედაქტორი იყო გაიოზ მალაკელიძე, შალვა მალაკელიძის ვაჟი.

მოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა დაღუპული ამხანაგების პატივსაცემად. გასაგებია, რომ ბატალიონის საერთო საცხოვრებელსა და ფორტიფიკაციების დათვალიერებისას, ლეგიონერებთან საუბრისას თუ ჩემი „დამკვიდრებული“ მიმართვისას, თან გვდევდა ეს ტრაგედია. საღამოს სასაუბროდ შევკრიბეთ პატარა ჯგუფი, მათ შორის იყვნენ ბატალიონის ექიმი ქომეთიანი, ლეგიონერი ღონლაძე და სხვები, ვისაც საქართველოში ომამდე ვიცნობდი. კაპიტანი შმიდტი და ადიუტანტიც შემოგვიერთდნენ, რათა გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებები 799-ე ბატალიონზე დ ჩვენი შთაბეჭდილებები გაეგოთ. ყველას მიგვაჩნდა, რომ ვითარება დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ლეგიონერებისა და სერჟანტთა შემადგენლობისათვის უკეთესი პირობები უნდა შეექმნათ დამატებითი წვრთნისა და სწავლებისათვის, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების წესების დაცვას. დამშვიდობებისას ბატალიონის წევრებს შევპირდით, რომ მათთან კავშირს არ გავწყვეტდით და რომ მეკავშირეთა შტაბი შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდათ.

ამის შემდეგ განზრახული გვქონდა მატარებლით გამგზავნა ბორდოსკენ, ცნობილ ზღვისპირა საკურორტო ქალაქ ბიარიცში, სადაც ქართული ქვეგანაყოფი არტილერიაში მსახურობდა. პარიზში მე და მიხოს ვილაცამ მისამართი მოგვცა და შემოგვთავაზა, ბორდოში ციციშვილების ქართულ ოჯახს ეწვიეთო. ციციშვილებს ადვილად მივაგენით (მათ სახელებს ვეღარ ვიხსენებ), ცდუნებას ვერ გავუძელით და უარი აღარ ვუთხარით გულითად თხოვნაზე, ერთი დღით მაინც დარჩითო. განსაკუთრებით მაინტერესებდა დიასახლისი, რადგან ეს ქალბატონი წარმოშობით ბასკი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ესპანეთში, დასავლეთ პირენეებში მცხოვრები ბასკების წარმოშობა უცნობია-ისინი არც ესპანელები არიან, არც ფრანგები და არც ამ რეგიონის რომელიმე სხვა ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან. არსებობს დაუმტკიცებელი თეორია, რომ ისინი კავკასიიდან არიან მოსულები და ალბათ ქართველებს ენათესავენ. ჩვენი მომხიბვლელი მასპინძელი ძალიან ჰგავდა ქართველ დიასახლისებს, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ვერ გა-

დანყვეტს ლინგვისტიკებისა და ისტორიკოსების ორად გაყოფილი ჯგუფების მიმდინარე დებატებს ამ საკითხზე და მისოს კი ძალზე მიმზიდველად გვეჩვენებოდა იდეა, რომ ქართველების ორი შტო არსებობს, ერთი კავკასიაში ცხოვრობს, მეორე კი პირენეის მთებში.

მეორე დილით, ბიარიციში, გულთბილად მიგვიღო კაპიტანმა ლუდვიგმანმა. მან მანქანით მოგვატარა ორი საარტილერიო ბატარეა; თითოეულში თხუთმეტი ქართველი მსახურობდა. ქართველებს კარგად ეპყრობოდნენ და გერმანელი ჯარისკაცებისაგან არ გამოარჩევდნენ. კაპიტანმა ქართველები გაანთავისუფლა, რათა ჩვენთან შეუზღუდავად ესაუბრათ. საუბრისას კაპიტანმა აღნიშნა, რომ ქართველი მოხალისეები ამ შენაერთში პირველად მოინახულეს საქართველოს წარმომადგენლებმა (ჩვენ გვგულისხმობდა) და თქვა, ჩემთვის ეს ძალზე სასიამოვნოაო. ჩვენ ავუსხენით, რომ ქართული სამეკავშირეო შტაბი იმჟამად ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ქართული წარმომადგენლობითი ორგანიზაცია იყო და იმედი გამოვთქვით, რომ მომავალში დაუბრკოლებლივ შევძლებდით კავშირის დამყარებას. მოგზაურობა ჩინებული ლანჩით დასრულდა; ჯარისკაცებს უამრავ კითხვაზე ვუპასუხეთ და ჩვენს ახლად შექმნილ მეგობრებს დაბინდებამადე დავშორდით—მშვენიერ გუნებაზე.

მეორე დილით ადრე ჩავედით პარიზში აღმოსავლეთის ჯარების გენერალს მის შტაბ-ბინაში მივაკითხეთ. გენერალი იმ დღეს პარიზში არ იყო, მაგრამ მის ადიუტანტს და სხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შევხვდით. გადანყდა, სანამ ჰოლანდიაში გავემგზავრებოდით 822-ე ბატალიონის სანახავად, გაგვემართა ორმხრივი ბრიფინგი. ამის შემდეგ პარიზში უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ მალევე გავემგზავრებოდი აღმოსავლეთის ფრონტზე—კერძოდ, ყირიმში. მიუხედავად იმისა, რომ ბატალიონებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მივიჩინეთ, მაინც გვქონდა შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა სია, მაგალითად, ვვარაუდობდით, რომ საბრძოლო მოქმედების არარსებობის პირობებში, შესაძლებელი და აუცილებელი იყო ქართველი ოფიცრებისა და სერჟანტების დამატებითი წვრთნა გერმანიის სამხედრო სკოლებში. მაშინ ისინი შეენაცვლებოდნენ

გერმანელ კოლეგებს. ვთავაზობდით ემიგრანტ ოფიცერთა  
სამართლიან დანიშვნას ბატალიონში და ა.შ.

პარიზში აღმოსავლეთის ჯარების გენერლის შტაბ-ბინაში, შემთხვევით შევხვდით სხვა კავკასიელთა წარმომადგენლებს: კანტებისას—ჩრდილოეთ კავკასიიდან, ალიბეკოვს—აზერბაიჯანიდან და ჯამალიანს—სომხეთიდან. ისინი თავ-თავიანთი ბატალიონების ამბის გასაგებად იყვნენ მოსულები. იმჟამინდელი ბერლინის ამბები გვითხრეს, სასტიკ საჰაერო დაბომბვებზეც გვიამბეს. ახლობელთა წრეში მათ „სამ მუშკეტერად“ მოიხსენიებდნენ, მიხეილ კედია კი მეოთხე—დ’არტანიანი იყო. „მუშკეტერები“ კავკასიური შენაერთის გულმხურვალე დამფუძნებლები იყვნენ და არსებულ ბატალიონებს მომავალი კავკასიური არმიის ჩანასახად მიიჩნევდნენ. ჩვენ მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს.<sup>1</sup> სალამოს კიდევ ერთხელ ვენვით გენერალ კვინიკაძეს. ამჯერად მარტო მივედი, რადგან მიხო სხვა შეხვედრაზე იყო წასასვლელი. გენერალს ყველაფერი მოვახსენე, რაც იმჟამად ვიცოდი ქართულ ბატალიონებსა და მათ ნამონაფრებზე—ქართველ ემიგრანტ ოფიცრებზე, ბატალიონებში რომ მსახურობდნენ. მერე გამოძვითხარე ომში ჩემი პირადი გამოცდილების ამბავი. ბოლოს გენერალს გავანდე, ჩემი აზრით, ახლანდელი გერმანიის პოლიტიკა ჩვენს მიმართ ძალზე განსხვავდება იმისგან, რაც გამიგია და თქვენც გამოგიცდიათ 1918-1921 წლებში, მაშინ გაცილებით მეტი თანადგომით, თავაზიანობით და მეგობრული განწყობით გვეკიდებოდნენ—მეთქი. გენერალმა მითხრა, ეგ სხვებისგანაც გამიგიაო; თუმცა დასძინა, არჩევანი არა გვაქვს, ამ ვითარებაში გეზი არ უნდა შევიცვალოთო. საჩქაროდ დავუმონძეე, რომ მეც ასე ვფიქრობდი, მით უფრო, რომ გერმანელთა შორის ნამდვილი მეგობრებიც გვყავდა, განსაკუთრებით არმიაში, თუმცა სამოქალაქო პირთა შორისაც არიან ისეთები, ვინც მხარს გვიჭერენ და თავს არ ზოგავენ ჩვენს დასახმარებლად—მეთქი. ერთმანეთს გულთბილად ხელისჩამორთმევით გამოვემშვიდობეთ.

მეორე დილას მე და მიხო ისევ მატარებელში ვისხედით და ჰოლანდიაში, ამსტერდამში მივემგზავრებოდით. შუალა-

<sup>1</sup> ბერლინში ჩრდილო კავკასიელებს მაგომა, აჰმეთ ნაბიჯ წარმოადგენდა.

მემდე ჩავედით კიდეც, რკინიგზის სადგურის ახლოს, ტუმრო „ვიქტორიაში“ დავბინავდით; დილით ადრე ავად ქით, გადავწყვიტეთ ქალაქში გაგვევლო და რასაც მოვახერხებდით, ყველაფერი გვენახა. ქუჩებში ფეხით მოსიარულე ჩვენს გარდა არავინ იყო, ყველა ველოსიპედით დადიოდა. დიდი შთაბეჭდილება დატოვა სუფთა, მონესრიგებულმა ქუჩებმა და კარგად მოწყობილმა, წკრიალა არხებმა (ხელოვნურმა წყლის გზებმა). 822-ე ქართული ბატალიონის შტაბ-ბინა იმჟამად ქალაქ ზანდვოორტში<sup>1</sup> იყო—ამსტერდამიდან სულ რალაც ნახევარი საათის სავალზე. იქ შუადღისას მივედით. გვაცნობეს, ყველა „ველზეა“, მაგრამ თქვენს საპატივცემულოდ ოფიცრებისათვის საგანგებო ვახშამი გაიმართება და მობრძანდითო. მერე სერჟანტმა საერთო საცხოვრებელი დაგვათვალაიერებინა.

ვახშამზე შევხვდით ბატალიონის ოფიცრებს, კაპიტანი კლაუს ბრეიტნერის მეთაურობით. მან სხვა ოფიცრებთან ერთად გაგვაცნო ქართველი „ordonnanzofficer“ ლეიტენანტი ვასილ ინჯია,<sup>2</sup> ლეიტენანტები შალვა ლოლაძე, ქათამაძე და სხვები. მიხეილის ძმისწული უფროსი სერჟანტი კონსტანტინე (კაკო) ალშიბაიაც იქ იყო. ვახშამზე შინაურული საუბარი გაიმართა და ერთმანეთი ვადღეგრძელეთ. მეორე დილას ყველა ხაზზე გამწკრივდა და სიტყვა წარმოვთქვი „ჩვეულ“ თემებზე. მერე ფორტიფიკაციები და ე.წ. ბუნკერები შემოვიარეთ და პატარ-პატარა ჯგუფებს პირისპირ ვესაუბრეთ. საგულისხმო მსჯელობა გაიმართა. ჯარისკაცებმა თავიანთი მოსაზრებები გაგვიზიარეს და ჩვენთან ერთად ისაუბრეს. სალამოს ლეიტენანტმა შალვა ლოლაძემ ვახშამი მოგვინყო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით, რომ მე და მიხომ შევიტყვეთ, თურმე „ordonnanzofficer“, ლეიტენანტი ინჯია და უფროსი სერჟანტი კაკო ალშიბაია ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ და ალბათ ვერც შეეწყობოდნენ. ეს უფრო პიროვნული შუღლი იყო, რაც

<sup>1</sup> ადგილობრივი მოსახლეობა ასე წარმოთქვამს

<sup>2</sup> ის „ქველი“ ემიგრანტი იყო, პოლონეთის არმიაში მსახურობდა და პოლონეთის მხარეზე იბრძოდა 1939 წელს, როცა ეს გულადი ერი ჰიტლერისა და სტალინის ჯარებმა დაიპყრო და დაამარცხა. ყოფილ მოკავშირეებს (ჰიტლერსა და სტალინს) შორის ომი რომ ატყდა, ინჯია სხვებივით ქართულ ლეგიონში შევიდა საქართველოს ინტერესების დასაცავად. მისი ძმა, ყორა ინჯია „ბერგმანში“ მსახურობდა.

ორივემ იცოდა და უფროსმა სერჟანტმა თვით ნათესავს  
სთხოვა, მომლაპარაკებოდა და სხვაგან გადაგვეყვანა. მერე  
რე დილით, სხდომაზე ვნახეთ კაპიტანი ბრეიტნერი: იგი  
თავდაპირველად მეგობრულად შეგვხვდა, თუმცა მერე ცო-  
ტა არ იყოს ქედმაღლურად და მედიდურად მოიქცა. ჩვენი  
მოსაზრებები უბრალოდ განსხვავდებოდა ერთ საკითხში:  
„ბერგმანში“ მტკიცედ გვჯეროდა, რომ ყველა ჯარისკაცსა  
და ოფიცერს, ეთნიკური წარმოშობისა და რანგის მიუხედა-  
ვად, ერთი სამსახური და ერთნაირი საკვები უნდა ჰქონო-  
დათ. კაპიტან ბრეიტნერის აზრით, ჯობდა, სამზარეულო  
გაყოფილიყო, ერთი გერმანელებს ექნებოდათ, მეორე—ქარ-  
თველებს. მისი თქმით, „აღმოსავლელებს“ შეეძლოთ საკუ-  
თარი არჩევანის მიხედვით ემზადებინათ საჭმელი. ერთი  
შეხედვით, თითქოს საკამათოდაც არ ღირდა, მაგრამ ამ  
საკითხზე ვეთანხმებოდი ობერლენდერსა და ფონ კუცშენბახს  
„ბერგმანიდან“. საქმე ის იყო, რომ ლეგიონერთა უმეტესობა  
ყოფილი ტყვე იყო და ხშირად შიმშილობა უწევდათ, ისე,  
როგორც სხვა დისკრიმინირებულებს; ამდენად ამ საკითხს  
მტკივნეულად განიცდიდნენ. ბრეიტნერს შეეძლო ეკითხა  
ქართველი ჯარისკაცებისათვის სამზარეულოს თაობაზე და  
შესაბამისად მოქცეულიყო, ამის ნაცვლად თავისი აკვია-  
ტებული იდეა გაიტანა. დღის მეორე ნახევარში დარჩენი-  
ლი მეოთხე და მეორე კომპანიები მოვინახულეთ. ლანჩზე  
ლეიტენანტმა ნამალაშვილმა და სერჟანტმა შემადგენლობის  
ოფიცერმა გონგლაძემ გვიმასპინძლეს. შემდეგ კიდევ ერთხელ  
შევჩერდით კაპიტან ბრეიტნერთან დასამშვიდობებლად და  
მასპინძლობისათვის მადლობის სათქმელად. მანაც და ჩვენც  
ვიგრძენით, რომ 822-ეში ვითარება უმჯობესდებოდა. X

მაშინ, 1943 წლის 16-19 დეკემბერს, არც ერთმა არ ვიცო-  
დით, რომ ომის დასასრულს, 1945 წლის გაზაფხულზე, 822-ე  
ბატალიონში დიდი ტრაგედია დატრიალდებოდა, რომლის  
შედეგად სიცოცხლეს გამოესალმებოდა ასზე მეტი დანიელი  
მოქალაქე, ორასი გერმანელი ჯარისკაცი და ხუთასი ქარ-  
თველი ლეგიონერი. ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. ქარ-  
თული შენაერთების შემოვლის შემდეგ დავასკვნით, რომ

<sup>1</sup> გადაყვანა მართლაც მოხერხდა. უფროს სერჟანტს სამეკავშირეო შტაბის  
სამხედრო დეპარტამენტში გამოუჭებნეთ ადგილი.

ლეგიონერები ახალ გარემოს კარგად შეეგუენ. მე პირადად ვიგრძენი: მათ ნამდვილად არ სჯეროდათ, რომ დასავლელი მეკავშირეები ახლო მომავალში საფრანგეთში გადმოსხდებოდნენ.<sup>1</sup> ამდენად, ლეგიონერებს იმჟამად მაინც, შედარებით უკეთესი ცხოვრება ჰქონდათ, ვიდრე აღმოსავლეთის ფრონტზე ექნებოდათ. ეს განწყობილება, რასაკვირველია, შეიცვლებოდა, თუ დასავლელი მეკავშირეები საფრანგეთში გადმოსახდებოდნენ; ამას უეჭველად, მძიმე ბრძოლა მოჰყვებოდა, რომელიც საფიქრებელია, გერმანელი ჯარებისთვის არასასურველი შედეგით დასრულდებოდა. ბრძოლის ველზე გადარჩენილი გერმანელი ჯარისკაცები დასავლელი მეკავშირეების ტყვეთა ბანაკებში აღმოჩნდებოდნენ. ადრე თუ გვიან, მათ გაანთავისუფლებდნენ და შინ დააბრუნებდნენ.

ლეგიონერების საქმე როგორღა იქნებოდა? ისინი მხოლოდ და მხოლოდ დასავლელ მოკავშირეთა ჰუმანური მოპყრობის იმედად რჩებოდნენ—უენევის კონვენციის თანახმად. შესაძლოა, მათთვის შესაძლებელი ყოფილიყო რომელიმე ქვეყანაში დამკვიდრება, მუშახელის საჭიროების მიხედვით.<sup>2</sup> საბჭოთა კავშირში დაბრუნება ნიშნავდა წამებასა და უეჭველი სიკვდილით დასჯას, ან უკეთეს შემთხვევაში თანდათანობით სიკვდილს ციმბირის „გულაგებში“.

მე და მიხო ჰოლანდიიდან პარიზში 19 დეკემბერს დავბრუნდით—ჩემი დაბადების დღეს. უკვე ოცდარვა წელი შემის-

<sup>1</sup> რეტროსპექტულად, ამგვარი ვარაუდი შეიძლება ნაძალადევი გამოჩნდეს და სასურველის განზრახ დაჯერებას ჰგავდეს. მაგრამ 1943 წლის დეკემბერში წითელი არმია წინ მოინევიდა და წარმატებითაც გადმოდიოდა შეტევაზე. გერმანელებს აშკარად გამოეღიათ რეზერვები და უჭირდათ აღმოსავლეთის ფრონტის ხაზებზე თავიანთი შეთხელებული ჯარების შევსება.

მეორე მხრივ, იტალიაში დასავლელ მეკავშირეებს გერმანელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. იტალიის ფრონტზე ძალის გასამაგრებლად გერმანელები თავიანთ რეზერვებს გზავნიდნენ ჩრდილოეთ იტალიიდან, ბალკანეთიდან და საფრანგეთიდან. ამას უნდა შეეფერხებინა დასავლელი მეკავშირეები და აეძულებინა ისინი, თავიანთი ძალებისათვის თავი მოეყარათ იტალიაში და შესაძლოა, ბალკანეთის ახლოს—იმის ნაცვლად, რომ საფრანგეთში გადმოსვლით ახალი ფრონტი გაეხსნათ;

ეს მათ დიდ ზარალს მოუტანდა, რადგან ატლანტიკას კარგად დაცული ფორტიფიკაციები ჰქონდა. ეგვიპ არ იყოს, დასავლელ მეკავშირეებს ჯერ იაპონია უნდა დაემარცხებინათ.

<sup>2</sup> ლეგიონერთა ამგვარი პერსპექტივა მოგვიანებით, 1945 წლის თებერვალში საგრძნობლად გაუარესდა, როცა სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა ხელი მოაწერეს იალტის შეთანხმების თაობაზე. ამ საკითხზე დანვრილებით მოგვიანებით ვისაუბრებთ.



რულდა. ამაზე სიტყვა არავისთან დამიძრავს. ჩემი „დაბადება“ იმით აღვნიშნე, რომ თითქმის მთელი დღე „ბერგმანის“ ქართული კავალერიის ესკადრონის ლეიტენანტ გოგლიკო (გიორგი) ვაჩნაძესთან ერთად გავატარე. მისი ორკვირიანი შვებულება ილევოდა; მეორე დღეს ყირიმში ბრუნდებოდა. გოგლიკო მიშა (მიხეილ) დადიანთან ერთად ხელმძღვანელობდა საკავალერიო შეტევას ყირიმის კონცხთან, პერეკოპსა და სივამში. წითელი არმიის ნაწილები მოიგერიეს და თავიდან აიცილეს მათი შემოჭრა ყირიმის ნახევარკუნძულზე, მაგრამ კონცხის ჩრდილოეთი ნაწილი ისევ „წითლებს“ ეკავათ, გერმანულ ჯარებს ყირიმში მისადგომი მხოლოდ ზღვით ან ჰაერით ჰქონდათ.

„მიშას რომ მივყვებოდი ცხენზე ამხედრებული“, თქვა გოგლიკომ, „გული სიხარულით მევსებოდა. გარშემო აფეთქებებისა და სროლის ხმა ისმოდა, მაგრამ მიშას დავუყვირე, კარგი არ იქნებოდა, ახლა ჩვენი პარიზელი ქართველები რომ გვიყურებდნენ-მეთქი. ყველაფერი ისე იყო, როგორც ფილმებშია, ოღონდ ამას მძიმე შედეგები მოჰყვა“, დასძინა ნალვლიანად. გოგლიკომ შემატყობინა, რომ სასიკვდილოდ დაიჭრა ჩვენი საერთო მეგობარი, ლეიტენანტი მარტინ შუტე. როგორ აფასებდა სამხედრო ვითარებას ყირიმში? „მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პერეკოპს შევინარჩუნებთ“, მითხრა მან. გოგლიკოს რომ ვუთხარი, ორ კვირაში პერეკოპის მიდამოებში შევხვდებით-მეთქი, შემპირდა, სადილად დაგპატიჟებ და „კურდღლის რაგუთი“ გაგიმასპინძლებიო; პერეკოპის ველი თურმე კურდღლებით ყოფილა სავსე.

პარიზში, სადილზე, შემოგვიერთდა ჩვენი საერთო მეგობარი თენგიზ დადეშქელიანი. იგი ერთი-ორი დღით იყო ჩამოსული თავისი დის კატიას (ეკატერინეს) და ქალიშვილის, ირინეს მოსანახულებლად. მეორე დღეს სხვა კეთილისმსურველებთან ერთად, ჩვენც გავაცილეთ გოგლიკო ვაჩნაძე. „კურდღლის რაგუ“ არ დაგავინყდეს—დავუძახე გოგლიკოს, როცა მატარებელი დაიძრა. იმავე დღეს მე და მიხო ისევ შევხვდით პარიზში აღმოსავლეთის ჯარების შტაბის ოფიცრებს. შეხვედრაზე დამავალეს, გერმანიაში, ლიოტხენში, არმიის



შტაბ-ბინაში დამერეკა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი იტენანტთან ჰ. დ. ჰერესთან-აღმოსავლეთის მოხალისეთა შენაერთების შტაბის უფროსთან. ჰერეს აინტერესებდა ჩვენი შთაბეჭდილება საფრანგეთში ქართული შენაერთების შემოვლის შემდეგ. ისიც მითხრა, მე და ორი გენერალი სულ-მოუთქმელად ველოდებით თქვენთან შეხვედრას ლიოტხენში, სანამ ყირიმში წაბრძანდებოდეთო. ამ შეხვედრისათვის დღეც დავთქვით: 1944 წლის 4 იანვარი. 1943 წელი სწრაფად ილეოდა. ჩვენი პარიზული ფილიალის ოფისს რამდენიმე თხოვნაც ჰქონდა—დახმარების, გადაყვანის თაობაზე და სხვა საკითხებზე. რაკი მე და მიხო იქ ვიყავით, დირექტორი და ყურული ხშირად გვეთათბირებოდა ამ საკითხებზე. უხერხული და ძნელად მოსაგვარებელი საკითხი იყო დირექტორისა და მისი თანაშემწის ჭიჭიკო მდივნის კონფლიქტი. მდივანი ყურულზე გაცილებით უფროსი იყო. როგორც ჩანს, მდივანი ისე გაბრაზდა, რომ ყურულს დამუქრებია, სილას განწავო—ნამდვილად უჩვეულო სიტუაცია იყო. იგი საქართველოში მამაჩემის ყოფილი თანაკლასელი და მეგობარი აღმოჩნდა. გულითადად მიმილო. პარიზში ერთად ვსეირნობდით და ამ შეხვედრებისას ბევრი რამ მიაბმო ქართულ ემიგრაციაზე. ბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი სეირნობისას, მე და მდივანმა როგორღაც მშვიდობიანად მოვაგვარეთ მისი და „ბოსის“ უსიამოვნო საქმე. ყურულს შეუთვალა, რაც ვთქვი, სიბრაზით მომივიდა, ასეთ რამეს სულაც არ ვაპირებო—ეს ერთგვარი მობოდიშება იყო უმცროს კაცთან. ცოტა ხნის შემდეგ მდივანი უხმაუროდ გადადგა თავისი მეკავშირეთა შტაბის ფილიალში დაკავებული თანამდებობიდან.

ამ უწყებაში შემთხვევით შევხვდი კაკო ნიჟარაძეს, რომელსაც საქართველოში ვიცნობდი. ახლა იგი „კაფეტერიას“ ხელმძღვანელობდა. თავგადაკლული ბოლშევიკი იყო და ამას არც მალავდა, დარწმუნებული გახლდათ, რომ ამის მიუხედავად, ქართველი ემიგრანტები მფარველობას გაუწევდნენ. ამ კაცს პირველად ხუთი თუ ექვსი წლით ადრე შევხვდი. მაშინ სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ ალპინისტური ჯგუფის პოლიტიკური კომისარი იყო (ბოლშევიკურ პარტიას ყველგან უნდა დაედო თათი). „სპარტაკის“ ჯგუფს, სამედი-



ცინო სკოლის ალპინისტებთან ერთად, კაბარდინის მწვერ-  
ვალის დაპყრობა ჰქონდა განზრახული, რომელიც ოქტომბრის  
რევოლუციის იუბილეს მიეძღვნებოდა. როგორც ჩანს, ომის  
დანწყების შემდეგ, კაკო წითელ არმიაში გაინვიეს და გერმა-  
ნელებმა ტყვედ ჩაიდგეს. ქართველმა ემიგრანტებმა გა-  
მოიხსნეს და მამამისს ძველ ემიგრანტებს გადააბარეს. კაკომ  
სამსახურიც იშოვნა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ და ამი-  
ტომ მე მისი „ბოსი“ ვიყავი. ძალზე გამაკვირვა იმან, რომ  
1944 წლის ზაფხულში, ნორმანდიიდან გერმანელების უკან-  
დახევის შემდეგ, კაკო, როგორც მოგვიანებით ვნახავთ,  
ფრთხილად ცდილობდა ჩემს გაბოლშევიკებას. მაშინ ეს კა-  
ცი მოტყუებული უტილიტარისტი მეგონა. ასეც ვუთხარი.

ქართული ბატალიონების შემოვლის შემდეგ, ევგენი გე-  
გეჭკორს (საქართველოს საგარეო საქმეთა დევნილი მინისტ-  
რი) ორჯერ ვენვიეთ და შთაბეჭდილებები გავუზიარეთ.  
გვითხრა, ყველაფერს ვაცნობებ პრეზიდენტ ჟორდანას, ელჩ  
ჩხენკელსა და სხვებს ჩვენს ნრეშიო. გამომშვიდობებისას  
შევთანხმდით, რომ აღმოსავლეთ ფრონტზე, კერძოდ ყირიმ-  
ში ჩემი მოგზაურობის შემდეგ ისევ დავუკავშირდებოდით.  
მაგრამ მოულოდნელად კიდევ ერთხელ შევხვდით გეგეჭ-  
კორს რეზო გოგიტიძის მამიდის, ბარბაღე გოგიტიძისა და  
მისი მეუღლის, რუსი ემიგრანტის, მაგილევსკის მიერ გა-  
მართულ წვეულებაზე. აქ თავმოყრილი სტუმრები ახალგაზ-  
რდებიც იყვნენ და ხანდაზმულებიც, მაგრამ ვერავინ გრძნობდა  
„თაობათა სხვაობას“ და სტუმრები თავისუფლად გადადი-  
ოდნენ ერთი ჯგუფიდან მეორეში. ბანქოს თამაშით გატა-  
ცებულ ჯგუფში ჩვენი სახელმწიფო მდივანი შევნიშნე, ან  
იქნებ ის არ იყო? მის ადგილას ყურადღების მოკრება გამი-  
ჭირდებოდა, რადგან გვერდით ეჯდა ენით აუწერელი სი-  
ლამაზის, საოცრად დახვეწილი მანდილოსანი. მისი ადრე  
ნახვის ბედნიერება არ მქონია, მაგრამ ვიცოდი, რომ მერი  
შერვაშიძე უნდა ყოფილიყო. მივხვდი, რატომაც უთხრა ერთ-  
ერთ მიღებაზე რუსეთის იმპერატორმა: „თავადის ქალო, თქვე-  
ნებრი სილმაზე დიდი ცოდვაა“. ერთმანეთი გაგვაცნეს და  
მთხოვა, დაბრძანდითო. გული ამოვარდნაზე მქონდა. ჩემსა  
და სახელმწიფო მდივანს შორის იჯდა და ვესაუბრებოდი,



რადგან ბანქოს არ ვთამაშობდი. ამან ცოტა არ იყოს, შეაშფოთა მდივანი და მფარველური, თბილი ტონით მომმართა: „გივი, შვილო, ბებრებს ნუ მოგვცემ უფლებას, რომ გვერდიდან არ მოგიშოროთ, ახალგაზრდებში გაერიეთ, იმხიარულეთ“. დავარწმუნე, ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა თქვენთან ყოფნა-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ მათთვის თავი აღარ უნდა შემენყინა და მალე გავშორდი ბანქოს მოთამაშეთა ამ მომხიბვლელ ჯგუფს. პარიზში მერი შერვაშიძეს კიდევ ერთხელ შევხვდი ერთ თავყრილობაზე, მაგრამ ვერასოდეს დავივინწყებ და მუდამ დიდი ინტერესით ვისმენდი მისი კარგად ყოფნის ამბავს. ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და მისი ახლობლები მეუბნებოდნენ, ასაკმა მის მშვენიერებას ვერაფერი დააკლოო.

ბოლოს და ბოლოს, მე და თენგიზ დადეშქელიანი ვენციეთ მის დას კატი (ეკატერინე) დადეშქელიანს. იგი გულთბილი ხვევნა-კოცნით შეგვხვდა და მთხოვა, დეიდა კატი დამიძახეო. გულწრფელი, თავმდაბალი, უანგარო ქალი იყო, წელებზე ფეხს იდგამდა თავის სარჩენად. I მსოფლიო ომში მოხალისედ შევიდა რუსეთის იმპერიის ჯარში. გულად ქალებს გაჰყვა, რომლებმაც სპეციალური პოლკი ჩამოაყალიბეს. საბრძოლო ზონაში მსახურობდნენ, დამხმარე შენაერთად. მისი გარდაცვლილი ქმარი, თუ არ ვცდები, რუსი თავადი ყოფილა, შვილები არ ჰყავდა. თენგიზისა და უფროსი დის გარდაცვალების შემდეგ, ძალიან უჭირდა ემიგრაციაში ცხოვრება, რომელიც კიდევ უფრო გაუარესდა გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ. სხვა სამსახური ვერ იშოვა და პარიზში მყოფ გერმანელ ჯარისკაცებთან დამლაგებლად მუშაობდა. ერთი არ დაუჩივლია, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს საქმე უჭირდა, რადგან უკვე ძალაგამოცლილი და ხანშიშესული იყო. შუადღისას კატის მეგობარი, ვერა ფაღავა შემოგვიერთდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ის ნიჭიერი მხატვარი და დახვეწილი პიროვნება გახლდათ, ყოფილი ტყვეებისა და ლეგიონერთა შემწეობით ქალთა კომიტეტის აქტიური წევრი. ლეგიონერებზე ბევრი რამ გამოვკითხე და ვთხოვე „ბროლის ბურთში ჩახედვა მომავლის სანინასწარმეტყველოდ“. ყველა იმ აზრისა ვიყავით, რომ ერთ მშვენიერ

დღეს საქართველო და საბჭოთა იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ხალხები განთავისუფლდებოდნენ.

პარიზში კიდევ ერთი-ორი დღე დავრჩი და რამდენიმე პიროვნება ვინახულე. მათ შორის იყვნენ ვიქტორ ხომერკის ცოლი კოლეტი და თემო თაქთაქიშვილი, „ბერგმანის“ ყოფილი ჯარისკაცი და ჩვენი საერთო მეგობარი, ვინც გამაფრთხილა, მძიმე ვითარების გამო. ვიქტორი „ბერგმანში“ მსახურობდა, ყირიმში და მონყვეტილი იყო თავის ცოლსა და მცირეწლოვან ბავშვებს, სხვა ვერაფრით ეხმარებოდა მათ და თავის ხელფასს უგზავნიდა. მაგრამ ფული რატომღაც ამათთან ვერ აღწევდა. კოლეტმა დამიდასტურა და ისიც მთხოვა, ვიქტორს ჩემი და ბავშვების მოკითხვა გადაეცით დიდი სიყვარულითო. ჩვენი ფილიალის ჩარევით ეს საქმე როგორღაც მოგვარდა. კატი დადეშქელიანს უვარგისი სამსახური შევუცვალეთ კაკო შავგულიძის დახმარებით. იგი მიშა კედიას ერთგული თანაშემწე იყო, ბიზნესმენი, ქართველი პატრიოტი, რომელიც უშურველად ეხმარებოდა ადამიანებს. ამ კაცზე მოგვიანებით მოგახსენებთ. შევხვდი მიშა კედიას ცოლს, ვალია კედიას, რომელიც ლანჩხე დავპატიჟეთ. ენერგიული და ძლიერი ქალი იყო და ყოჩაღად უძლებდა იმ დამთრგუნველ ვითარებას, რომელშიც მარტო აღმოჩნდა, ქმრის სახიფათო საქმიანობის გამო.

შობა დღეს მე და მიხო ვენვიეთ საქართველოს ყოფილ ელჩს ინგლისში კონსტანტინე გვარჯალაძეს და მის ცოლს, ბაბულიას, მიხოს მშობლების ძველისძველ და უძვირფასეს მეგობრებს. ისინი ძალიან მომეწონა, მესიამოვნა ელჩის შორსმჭვრეტელური სიტუაციები, ღრმად განსჯის უნარი, ბევრი ვისაუბრეთ შექმნილ ვითარებაზე. მათთან შევხვდით ლიდა ნოზაძეს, ვიქტორ ნოზაძის ძმის-გოგის ცოლს. ლიდა მიხოს ცოლის, ივლიტას ბიძაშვილი აღმოჩნდა.

საშობაო დღესასწაულმა ჩვენთვის მიაღწია კულმინაციას. მამულაიშვილების ოჯახში ყველა საშობაო ხის გარშემო შევიკრიბეთ და თოვლის პაპად გადაცმულმა ელენამ საჩუქრები დაგვირიგა. ამ აუშლვრეველ და ბედნიერ წუთებში ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ დამანგრეველი ომი აქვე, ჩვენს გვერდით გრძელდებოდა. მამულაიშვილებთან შევხვდი მათი ოჯახის მეგობარს, ძალზე საინტერესო კაცს, ნოე ცინ-

ცადეს. ის მათემატიკოსი და ფიზიკოსი იყო; მეტსაც გეტყვით—გარემომცველი სამყაროს ჩინებული, ფართო ცოდნა ჰქონდა. ამ კაცს ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის საუკეთესო განათლების მქონე პიროვნებად მიიჩნევდნენ: დამოუკიდებელ საქართველოს ბიუროში განათლების მინისტრის თანაშემწე გახლდათ. 1922 წელს ბოლშევიკურმა მთავრობამ სხვებთან ერთად ისიც განდევნა. თავდაპირველად გერმანიაში ცხოვრობდა, მერე საფრანგეთში. ჭაბუკობისას თეოლიგიურ სემინარიაში სწავლობდა, მერე სოციალისტი გახდა (ზოგიერთი სხვა სოციალისტივით. ასე იყო ნ. ჟორდანიაც.) ინტელექტუალი, კოსმოპოლიტი თავის პრინციპებს არ ღალატობდა და ამდენად, კარგად ეწყობოდა „მეორე ინტერნაციონალის“ წრეს. მათ შორის იყვნენ რუსი და ებრაელი სოციალისტები, რომლებიც პატივს სცემდნენ ნოე ცინცაძეს და მოსწონდათ იგი! მე პირადად ეს კაცი ძალიან მომეწონა და პარიზში ერთხელაც არ ჩავსულვარ, რომ არ შევხვედროდი—ჩვეულებრივ, მამულაიშვილების ოჯახში. მომწონდა მასთან საუბარი და თუმცა ყოველთვის ვერ ვთანხმდებოდით, ამგვარი კამათი ჩემთვის ძალზე სასარგებლო იყო.<sup>2</sup>

ბერლინში ჩვენი გამგზავრების წინა დღეს ბერლინიდან პარიზში ჩამოვიდა მიშა კეღია. მე და მიხო შინ ვენვიეთ, დიდხანს ვესაუბრეთ—გავუზიარეთ საფრანგეთში მიღებული შთაბეჭდილებები და ამის მერე დიდი დრო დავუთმეთ სამეკავშირეო შტაბის საორგანიზაციო საქმეებს. კედიამ თავისი და გოგი მაღალოვის (მაღალაშვილის) მოსაზრებები გაგვაცნო ამ საკითხებზე. შევთანხმდით, რომ პრობლემების უკეთ მოსაგვარებლად სამეკავშირეო შტაბში ჩამოგვეყალიბებინა ოთხი დეპარტამენტი:

<sup>1</sup> „ივერია“ №20, 1978, პარიზი. მთავარი რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე.

<sup>2</sup> II მსოფლიო ომისა და ჟორდანიას დევნილი მთავრობის უფროს წევრთა გარდაცვალების შემდეგ, ნ. ცინცაძე ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი წარმომადგენლობითი წევრი იყო. მან დიდი პასუხისმგებლობა იგრძნო და ოთხმოცი წლის ასაკისა და შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, სამშობლოსა და სიმართლით, სიყვარულით უკანასკნელ ძალას იკრებდა და განაგრძობდა საერთო საქმეს. აქ უნდა ვახსენოთ ორი ღირსშესანიშნავი საქმე—მისი კონტრიბუცია რადიო „თავისუფლების“ ქართული განყოფილებისათვის და მეორე—პარვარდის პროფესორის რიჩარდ პაიპისა და ნ. ცინცაძის შემწეობით დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივების გაცემა პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის. არქივი მონესრიგდა, მომზადდა მიკროფილმები და ეს დოკუმენტები

1. სამოქალაქო, 2. პოლიტიკური, 3. ფინანსებისა და შემოსულობების, 4. სამხედრო. ექიმი გ. მაღალოვი სამოქალაქო დეპარტამენტის ხელმძღვანელობაზე დაგვთანხმდა და პირად თანაშემწედ ვალოდია (ვლადიმერ) ცხომელიძე ამოირჩია. პოლიტიკურ დეპარტამენტს სათავეში მიშა კედია ჩაუდგა, მისი თანაშემწე გახდა ალექსანდრე (საშა) ცომაია. მიხო (მიხეილ) ალშიბაია ფინანსებისა და შემწეობის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ამ მემუარების ავტორმა კი სამხედრო დეპარტამენტზე პასუხისმგებლობა იკისრა და ამის გარდა, გახდა „ქართველ ლეგიონერთა და გერმანულ არმიაში მოსამსახურე სხვა ქართველთა წარმომადგენელი“. ჩემი თანაშემწე და სამხედრო დეპარტამენტის მეორე პირი გახდა მიხო ალშიბაია, თუმცა მას ორი თანამდებობის გაძღვლამ მოუწია.

სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტში სხვა ოფიცრებიც და სერჟანტთა შემადგენლობის მოსამსახურეებიც დავნიშნეთ. მაგალითად, კაპიტანი დიმიტრი შალიკაშვილი და მაიორი ალექსანდრე ბოკერია—წმინდა ნყლის სამხედრო საქმეების მრჩეველები. ლეიტენანტებს ჟორა ინჯიას და მიხეილ ქავთარაძეს თვალყური უნდა ედევნებინათ რეტროსპექტულს და მოეხსენებინათ ვითარება არასაბრძოლო

გადარჩა ისტორიისა და სწავლულებისათვის. ხსენებულ პროცედურას ხელმძღვანელობდა პროფესორი გიორგი ნაკაშიძე, რომელმაც უზარმაზარი სამუშაო გასწავლა; მას ამერიკელი სპეციალისტებიც ეხმარებოდნენ.

ნოე ცინცაძეს ამგვარ ნამოწყებებში მხარში ედგა ჩემი ომისდროინდელი მეგობარი ვიქტორ ხომერიკი, რომელმაც ოთხმოცდაათი წლის მინისტრის გარდაცვალების შემდეგ (1978 წლის შემოდგომაზე), მისი საქმე გააგრძელა.

მე წილად მხვდა ბედნიერება, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე მომენახულებინა მინისტრი პარიზის საავადმყოფოში. საოცრად მკვირცხლად, ყოჩაღად და მხნედ გამოიყურებოდა. ჩემი ნამოსვლის შემდეგ მასთან დარჩა ვიქტორ ხომერიკი, რომელმაც მიაბმო, თუ როგორ გახარება ანუ ჩვენი სტუმრობა, ოლონდ ვიქტორისათვის უკითხავს, თავი ხომ არ შევწყინე გივის ბევრი ლაპარაკითო. ვიქტორს უკვირდა ოთხმოცდაათი წლის, ყვერავ სენტან მებრძოლი ბერიკაცის ამგვარი კეთილგანწყობა.

ნოე ცინცაძემ პატივი დამდო და ქართული მთავრობის არქივის დირექტორთა მრავალრიცხოვანი საბჭოს ერთ-ერთ წევრად დამნიშნა.

<sup>1</sup> გერმანელებმა (რომელთა თანხმობის გარეშე სამეკავშირეო შტაბი ვერ დაფუძნდებოდა) გვირჩიეს, სამოქალაქო დეპარტამენტისათვის პროპაგანდის დეპარტამენტიც დაგვერქმეა. ჩვენ ასეთი სახელი არ მოგვეწონა, ვიფიქრეთ, რომ საუკეთესო „პროპაგანდა“ იქნებოდა ადამიანებისადმი კარგი მოპყრობა, მათ მიმართ პატიოსნების გამოხატვა და ჩვენი მიზნებისა და აზრების განმარტება. სახელი „პროპაგანდა“ უკვე უნდობლობას იწვევდა ქართველთა უმეტესობას შორის, რადგან მათ გამოცდილი ჰქონდათ, რომ კომუნისტური თუ ნაციონალისტური პროპაგანდა ტყუილზე იყო აგებული.



შენაერთებსა და ბატალიონებში.<sup>1</sup> სერჟანტთა შემადგენლობის მოსამსახურეები იყვნენ: ალიოშა აბაშიძე, კონსტანტინე (კაკო) ალშიბაია, შოთა მარგველაშვილი და ირაკლი მაჭარაშვილი. გარდა ამისა, სამსახურში მივიღეთ რამდენიმე ჯარისკაცი—ისეთი მოვალეობების შესასრულებლად, როგორიცაა დაცვა, ბულალტერია, ყარაულობა და სადისპეტჩერო საქმე.

იმ დღეს, მე და მიხო რომ პარიზიდან მოვდიოდით, ბევრი სტუმარი გვყავდა. მიხო დადიანის ცოლმა, თინა დადიანმა გომართელმა იცოდა, რომ მალე მის ქმარს შევხვდებოდი და ბევრი რამ ჰქონდა ჩემთვის სათქმელი. მიხო დადიანი კავალერიას მეთაურობდა, „ბერგმანში“. რკინიგზის სადგურზე ბევრი ხალხი მოვიდა ჩვენს გასაცვილებლად, მათ შორის: მიხო და ქეთო ალშიბაიები, მიშა კეღია; მისი ბიზნეს-პარტნიორი პარიზში, კაკო შავგულიძე; ალექსანდრე ასათიანი, თემო თაქთაქიშვილი და თენგიზ დადუშქელიანი. მეორე დღეს, 28 დეკემბერს, შუადღისას, მატარებელი ბერლინში ჩამოდგა. ქალაქი მძიმე სანახავი იყო, დიდი ნაწილი საჰაერო თავდასხმებს დაეზიანებინა; საკმაოდ დიდი მსხვერპლიც იყო.

სამეკავშირეო შტაბის ოფისი და მისი თანამშრომლები ჯერჯერობით უვნებელი გადარჩენილიყვნენ და ამდენად „საქმე“ ჩვეულებრივ მიდიოდა. ბერლინის ოფისში რამდენიმე დღით მომიხდა დარჩენა, რადგან რამდენიმე საკითხი გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვდა. გარდა ამისა, ყოველდღე ვსტუმრობდი ბერლინელ ქართველებს, ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მონახულება მომესწრო და მათი ამბავი გამეგო. პირველ ყოვლისა, მე და მიხომ ერთი საღამო მშვენიერ ნინო ყაზბეგ-დადიანთან გავატარეთ. იგი თავის მეგობარ მანდილოსანთან ერთად დაკვატიყეთ რესტორან „მაზურკაში“, ქალბატონების კიდევ უფრო გასახალისებლად კინოშიც წავედით. სეანსის დროს საჰაერო განგაში

<sup>1</sup> კაპიტანი მიხეილ დადიანიც „ბერგმანიდან“ სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტში დაინიშნა, აქ იმუშავა 1944 წლის ივლისიდან 1945 წლის მარტამდე, სანამ ქართული ბატალიონი II/198-ის მეთაურობა გადაიბარებდა იტალიაში. 1944 წლის ზაფხულში ლეიტენანტი შალვა ოქროპირიძე „ბერგმანიდან“ ჩემს ადიუტანტად დაინიშნა. გარდა ამისა, აღმოსავლეთის ჯარების გენერალს ვთხოვე, ლეიტენანტი ვალტერ ფონ კუცშენბახი „ბერგმანიდან“ ჩემს დეპარტამენტში გადმოეყვანათ. ეს თხოვნა შემისრულეს. ვფიქრობდი, რომ ფონ კუცშენბახისაგან კარგი მოკავშირე ოფიცერი დადგებოდა გერმანიის სამხედრო ორგანიზაციებისათვის. სწორიც გამოვდექი.





ატყდა; ფილმის ჩვენება შეწყდა, ასე რომ, ოთხივე ვეზიტი გავუდექით გზას. ნინო ყაზბეგ-დადიანის სახლისაკენ. ბოლოს მეტროს მივალწიეთ და ქალები მეტროთი გავაცილეთ. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი თანმხლები ქალბატონებისა და ბერლინელი ქართველების გულადობამ. ამ ხალხს დღედაღამე საჰაერო თავდასხმები ატყდებოდა თავს. ასეთივე გულადად იქცეოდნენ „ნამდვილი ბერლინელებიც“, ვინც თითქოს მართლა „განსაკუთრებული მოდგმის“ ხალხი გამოდგა. იქნებ სწორედ ამან ათქმევინა პრეზიდენტ კენედს ცნობილი სიტყვა: Ich bin auch ein Berliner.

დიდი სიხარულით შევხვდი ქალბატონ ბადუ წულუკიძეს, მედიცინის დოქტორს, რომელიც ბერლინის საქველმოქმედო საავადმყოფოში მუშაობდა, ძალიან დაკავებული იყო და კარგად უძღვებოდა საქმეს.<sup>1</sup> ვენციე ჩემს მეგობარს, გიგო ჟორდანიას, „ბერგმანის“ ყოფილ ჯარისკაცს. იმჟამად იგი ბერლინში იმყოფებოდა. ძალზე დაახლოებული ჩანდა ლიზა მარგველაშვილთან, ბერლინში ქართული კოლონიის პრეზიდენტის ტიტე მარგველაშვილის ქალიშვილთან. ლიზიკო მკვირცხლი, მხიარული, მომხიბვლელი არსება იყო, ცეკვა უყვარდა. ვნატრობდი, ნეტავ გიგომ ცოლად შეირთოს-მეთქი. ვენციე გრიზა და მარგარიტა ლორთქიფანიძეებსა და მათ „ბავშვებს“—ნანულის, რომელიც ნიკო ნაკაშიძეზე იყო გათხოვილი და კიჭიას (? Kichia)—ლამაზ ახალგაზრდას. ჩვენ მოვახერხეთ ამ ახალგაზრდის სამსახურისა და სწავლის საქმე მოგვეგვარებინა.

1944 წლის ახალ წელს ბერლინში ლანჩხე დამპატიყა ციციშვილების ოჯახმა. ისინი გამაცნო ლულუ კერესელიძემ, რომელიც ქართულ სამეკავშირეო შტაბში მუშაობდა. მათთან ყოფნით დიდად ვისიამოვნე. ვინახულე მისის გერტრუდ მალანია, გერმანელი ქალბატონი, ახლად გარდაცვლილი ქუჩია მალანიას ქვრივი. მან მთელი სიცოცხლე შეინარჩუნა საქართველოსადმი ინტერესი და თავისი ქმრის საქმე გა-

<sup>1</sup> როგორც მიმოწერის თავში(?) აღვნიშნეთ, ექიმ წულუკიძის თანაშემწე — გერმანელი ექიმი, 1941 წლის ზაფხულში, ეწვია სამხედრო ტყვეების საავადმყოფოს უკრაინაში, როცა გაიგო, რომ გერმანულის მცოდნე ქართველი ექიმი ვიყავი, გამომელაპარაკა და ექიმ წულუკიძეს შეატყობინა ჩემს შესახებ. მან საპასუხო წერილში სთხოვა გერმანელ ექიმს, რითაც შესძლებდა დამხმარებოდა. საფიქრებელია, რომ გერმანელი ექიმი ელაპარაკა ჩემზე გერმანელ კომენდანტს, რომელმაც გამოითხოვა ჩემთვის ბერლინში კედიასთან შეხვედრის ნებართვა.



აგრძელა. ქალი ჯანმრთელად და მხნედ დამხვდა. იმავე საღამოს ვენციე ჟორა ინჯიას, რომელსაც თორმეტგოჯა ლავის წყლული ჰქონდა გამწვავებული. დიეტას იცავდა და წამლებს იღებდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ საჰაერო თავდასხმებით ჯანმრთელობა გაუუარესდა და ვუთხარი, ხომ არ ჯობია, საფრანგეთში წახვიდე-მეთქი. მიპასუხა, ჩემს წყლულს ესენი ვერაფერს დააკლებენო. ამის თქმა იყო და საჰაერო თავდაცვამ ამ განგაში ატეხა. სიცხილი წაგვსკდა ასეთი დაუჯერებელი დამთხვევის გამო. გადავწყვიტეთ, სარდაფში არ ჩავსულიყავით, რადგან ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ჩვენს სახლს არაფერი დაეცემოდა. განგაში რომ დასრულდა, ჟორამ მითხრა: „ექიმი არა ხარ, გამსინჯე და თვითონ ნახავ, არც არაფერი მტკივა და ამ განგაშმა მაჯისცემაც ვერ ამიჩქარაო.“ თითქმის დამარწმუნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ბერლინში უნდა დარჩენილიყო და თავისი საქმე ეკეთებინა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, მატარებელში ჩავჯექი და 1944 წლის 4 იანვარს, შუადღისას, ლიოტცენში ჩავედი. რამდენიმე საათის შემდეგ შევხვდი გენერალ ჰელმიხს, მისი შტაბის უფროსს, გენერალური შტაბის პოლკოვნიკ-ლეიტენანტს კ.დ. ჰერესა და მათ თანაშემწეს, დაზღვევის ოფიცერს ლეიტენანტი მიშელს. ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო ორმხრივი საუბარი ქართული სამხედრო შენაერთების მდგომარეობასა და იმაზე, თუ როგორ აგვეცილებინა თავიდან ნაკლოვანებები. წინასწარ ამ საკითხებზე ტელეფონით ვესაუბრე პოლკოვნიკ-ლეიტენანტს ჰერეს—ჯერ „ბერგმანსა“ და მერე იმ ბატალიონებზე, ამას წინათ რომ შემოვიარეთ მე და მიხომ საფრანგეთსა და პოლანდიაში.

განსაკუთრებით მაინტერესებდა აღმოსავლეთის ფრონტზე დარჩენილი ქართული ბატალიონების ამბავი. მათი უმეტესობა არმიის A ჯგუფთან (აღმოსავლეთ ფრონტის სამხრეთი ნაწილი) იყო. ისინი ნანახი არ მყავდა და რამის გაგება მინდოდა. აქ დიდი დახმარება გამიწიეს გენერალმა კიოსტრონმა და მისმა ადიუტანტმა ჰერკარტმა, რადგან ისინი მოგზაურობდნენ, შენაერთებს ნახულობდნენ და თვითონვე იცოდნენ მათი ამბავი. გენერალი ჰელმიხი და პოლკოვნიკ-ლეიტენანტი ჰერე ჩვეულებრივ, არმიის შტაბ-ბინაში რჩებოდ-

ნენ—შესაძლოა გენერლების კიოსტრინგისა და ჰელმისის ციალური შეთანხმების შესაბამისად. ხსენებული ბატალიონები იყვნენ 796, I/9 და II/4. 976-ე ბატალიონი თავმოყრილი იყო აღმოსავლეთის ლეგიონების მეთაურების მიერ პოლონეთის ე.წ. „გენერალურ მთავრობაში“, ასეთივე ვითარებაში იყო ქართული ბატალიონი 975!

შემდგომში ამ ბატალიონს 795-ეზე უარესი პრობლემები დაატყდა თავს. ნაჩქარევად შექმნილ 976-ემ სულ რაღაც სამ კვირაში გაიარა ყოვლად შეუსაბამო „წვრთნა“. ამას ისიც დაემატა, რომ როგორც ჩანს, ჯარისკაცების მხოლოდ მოხალისეთა ჯგუფებიდან მიღების პრინციპი ვერ დაიცვეს. მერე, 1942 წლის ნოემბერში, ბატალიონი ფაციფუციტ გაგზავნეს, ფრონტზე და მიამაგრეს მე-17 არმიის ნაწილს - პირველ სამთო დივიზიას, რომელიც ტუაპსეს<sup>2</sup> ახლოს, გაცილებით მრავალრიცხოვან და კარგად მომზადებულ საბჭოთა ჯართან გააფთრებულ ბრძოლაში დაამარცხა. მე-17 არმიის უმაღლესმა სარდლობამ ბრძანა, 796-ე გაუნვრთნელობის გამო ბრძოლებიდან მოეხსნათ და არმიის ზურგში გადაეყვანათ.

უეჭველია, დივიზიის მეთაურებს ძალიან უჭირდათ ხალხი, რადგან უმაღლესი ბრძანება არ შესრულდა და 796-ე ბრძოლაში გაგზავნეს. ყველაფრის მიუხედავად, 796-ეს ქართველმა ლეგიონერებმა გაცილებით მეტი გააკეთეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო—კარგად იბრძოლეს და დიდი მსხვერპლი გაიღეს. საშინელ ავდარში, საბჭოელებით გააფთრებული, ერთთვიანი შემოტევის შემდეგ დივიზიიდან მომარაგება ბატალიონამდე ვეღარ აღწევდა. საკვებსა და მშრალი ტანსაცმლის გარეშე დარჩენილი ჯარისკაცები დიარეით დაავადდნენ, ბევრი მათგანი დაუძღურდა და დაიღუპა—სანგრებში ან ავადმყოფ ჯარისკაცთა თავშესაყარ ადგილებში. ამგვარ პირობებს ცუდად განვრთნილი, გამოუცდელი ან ძალაგამოლეული ლეგიონერები კი არა, თვით ვეტერანი ჯარისკაცებიც ვერ უძლებდნენ—გინდ სულიერად, გინდ ფიზიკურად. მითუმეტეს, რომ ლეგიონერთა ნაწილი ჯერ კიდევ ვერ იყო მოლონიერებული 1941-42 წლებში სამხედრო

<sup>1</sup> თავში „ბერგმანი და კაკვასია“ მოვინახულე გარკვეული პრობლემები 795-ე ბატალიონის ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

<sup>2</sup> მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში შავ ზღვასთან, ტყიან მთებში, ეს ადგილები ცნობილია თავისი ჭარბი ნალექიანობით.



ტყვეთა ბანაკებში გატარებული მომაკვდინებელი ზამთრობის შემდეგ. საშველი არ ჩანდა. შენაერთში გერმანელებთან ურთიერთობაც უჭირდათ—უკეთეს შემთხვევაში ენობრივი ბარიერის გამო. ყოველივე ამის შედეგად, 1942 წლის დეკემბერში სამოცდაათი თუ ოთხმოცი (მათ შორის რამდენიმე ოფიცერი) საბჭოელებს ტყვედ ჩაბარდა; მათ საბჭოთა პროპაგანდას ველარ გაუძღეს. მაგრამ ლეგიონერთა დიდი უმრავლესობა პირველ დივიზიაში დარჩა. ამის მიუხედავად, გამძვინვარებულმა გენერალმა ეს ფაქტი არაფრად ჩააგდო და დარჩენილი კარგი ჯარისკაცების ნახალისების ნაცვლად, მათი არმიიდან განწვევა და ზურგში გადაყვანა ბრძანა გზების მშენებლობაზე და სხვა ამგვარი საქმეებისათვის. ამან ფსიქოლოგიურად ძალზე ცუდი შედეგი გამოიღო. ჰერვართმა ამიხსნა, 796-ის დაშლა საბოლოოდ არმიის A ჯგუფში მოინონეს და 796-ე მუშა შენაერთად აქციეს. შემდეგ ბატალიონი ყირიმში გადაიყვანეს გზებისა და ფორტიფიკაციების შესაკეთებლად.

ბატალიონები I/9 და II/4 პოლონეთში კი არა, უკრაინაში, მირგოროდში ჩამოაყალიბა ფეხოსანთა 162-ე დივიზიამ. გენერალი, პროფესორი რიტერ ფონ ნედერმაიერი ხელმძღვანელობდა დივიზიასაც და აღმოსავლელ მოხალისეთა შენაერთების თავმოყრასაც.\*<sup>1</sup> I/9 ბატალიონი 1943 წლის დეკემბერში ჩავიდა ფრონტზე ყუბანში, ტამანის ნახევარკუნძულზე. იქ გერმანულ ფეხოსანთა მე-9 დივიზიას მიამაგრეს. ჰერვართმა მითხრა, რომ ბატალიონს არც ზამთრის ტანსაცმელი ჰქონდა, არც შესაფერისი იარაღი და არც აუცილებელი დამხმარე ტექნიკა. როგორც ჩანს, მის „დედობილს“, ფეხოსანთა 162-ე დივიზიას მირგოროდში არ შეეძლო შენაერთის აუცილებელი აღჭურვილობით უზრუნველყოფა. სხვა გზა აღარ იყო: ქართული ლეგიონის I/9 ბატალიონი დაანაწევრეს და ინდივიდუალური ჯგუფები მიამაგრეს მოზრდილ გერმანულ შენაერთებს ყუბან-ტამანის რაიონში. რამდენიმე ჯგუფი საბრძოლო დავალებებს ასრულებდა, დანარჩენები იძულებულები გახდნენ გზებისა და ხიდების შეკეთებებზე ემუშავათ და მარაგის მომწოდებელი ხაზები დაეცვათ. მარტის შუა რიცხვებში I/9 ბატა-

\* იხ. თავი „ბერგმანი და კავკასია“  
<sup>1</sup> იოაჰიმ ჰოფმანი, Die ostlegionen 1941-1943. Verlag Romach-Freiburg 1976, გვ. 60-70.

ლიონის ძირითადი ნაწილი ყირიმში იყო ევაკუირებული თვითმფრინავებით. ორი ჯგუფი აპრილის ბოლომდე ყუბანში ჩა, მე-9 დივიზიასთან ერთად, შემდეგ კი ისინი ყირიმში გადააფრინეს. იქ I/9 ბატალიონი ფეოდოსიაში<sup>1</sup> სანაპირო ხაზის დაცვის ნაწილში შეიყვანეს. კოსტრინგი და ჰერვართი ნასიამოვნები დარჩნენ ბატალიონის გადაკეთებით.

შეიძლება ითქვას, რომ II/4 ბატალიონის ბედიც I/9 ბატალიონის მსგავსად წარიმართა. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ II/4 გერმანულ სამთო მე-4 დივიზიას ვერ შეუერთდებოდა, როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, რადგან დივიზია უკვე ყუბანში აღარ იდგა. ასე რომ, ყუბანში სხვადასხვა მოვალეობების შესრულების შემდეგ II/4 ბატალიონიც ყირიმში გადააფრინეს და ფეოდოსიის სანაპიროს დაცვის შტაბს შეუერთეს—გენერლების, კოსტრინგისა და ჰერვართის მიერ არმიის უმაღლესი სარდლობის შტაბში წარდგენილი რეკომენდაციის თანახმად.<sup>2</sup> ლიოტცენში ოთხი დღე დავრჩით, რამდენჯერმე შევხვდი ზემოთ ნახსენებ გე-

<sup>1</sup> ფეოდოსია მდებარეობს ორი სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტს შორის—ქერჩიდან სამხრეთ-დასავლეთით და სევასტოპოლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

<sup>2</sup> როცა მემუარების წერას ვასრულებდი, გერმანიაში გამოიცა დოქტორ იოაჰიმ ჰოფმანის სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე *Kaukasien (Caucasus) 1942-43*, წიგნი ეძღვნებოდა „გერმანულ არმიასა და საბჭოთა კავშირის აღმოსავლელ ერებს“. ჩემი აზრით, ეს დიდი საქმეა. II მსოფლიო ომის ისტორიის გამოსაკვლევად ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი მემუარების ამ თავში ჰოფმანს ვეთანხმები. თუმცა, არის გარკვეული სფეროები, სადაც მოვლენათა შეფასებისას ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს განსაკუთრებით ეხება 795-ე და 823-ე ბატალიონებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს და „ბერგმანში“ ჩემი საქმიანობის აღწერილობას. ამ გარემოებამ უდავოდ განაპირობა ჩემი ზემოთ გამოთქმული აზრი ამ ღირსშესანიშნავი ნაშრომის თაობაზე. ეგეც არ იყოს, ჩემი მემუარები, რა გინდ დიდი სურვილიც არ უნდა მქონოდა, მეტოქეობას ვერ გაუნევედა სამხედრო ისტორიის სპეციალისტის სამეცნიერო ნაშრომს. მაგრამ სპეციალისტიც ხომ შეიძლება რალაცამი შეცდეს, როცა პირადად არ ყოფილა წარსულში მომხდარი მოვლენების მომხსნე.

ჰოფმანი სამ ადგილას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე ვიყავი „ბერგმანში“ დაზვერვის ოფიცერი. ფაქტია, რომ „ბერგმანში“ ყველა ოფიცერი „დაზვერვისა“ იყო, რადგან შენაერთი შექმნა ადმირალმა ფანარსმა, სამხედრო დაზვერვის მეთაურმა. „ბერგმანში“ მითხრეს, რომ ვიყავი ქართველი „Drdonans“ ოფიცერი ან „მეკავშირე ოფიცერი“. მას მერე, რაც 1942 წლის ბოლოს „ბერგმანი“ გერმანიის უმაღლესი სამხედრო სარდლობის იურისდიქციიდან არმიის უმაღლეს სარდლობას გადაეცა, სამხედრო დაზვერვით დამთავრდა.

გარდა ამისა, ჰოფმანი „ბერგმანის“ ოფიცერთა სიაში მოიხსენიებს ლეიტენანტ მშვენერაძეს. ასეთი ლეიტენანტი „ბერგმანში“ არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, დოქტორმა ჰოფმანმა ეს ყალბი სახელი საბჭოთა პროპაგანდისტულ წიგნიდან („სიცოცხლის სახელით“) ამოიღო. ამ საბჭოურ წიგნში მე გამოყვანილი ვარ „ბერგმა-

ნერლებს და შტაბის ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. რეგულარული საქმიანი შეხვედრების გარდა, ყოველდღიურად ვხვდებოდით ერთმანეთს ოფიცერთა კაზინოში, ლანჩსა და ვახშამზე, სადაც შინაურული მსჯელობა ძალზე მეგობრულ და გულითად გარემოში გრძელდებოდა. საბრძოლო (?) მოქმედება დეპარტამენტის მეთაური მაიორი რიოპე, პერსონალური დეპარტამენტის დირექტორი, კაპიტანი ზიგფრიდ უნგერმანი და მე დიდხანს ვსაუბრობდით ხოლმე და ერთმანეთს ვუზიარებდით მოსაზრებებს თანდათანობით გერმანულ ოფიცერთა ქართველი ოფიცრების ჩანაცვლებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ღონისძიებებზე. ამასთან დაკავშირებით საქებარი სიტყვები ითქვა პოზნანის სამხედრო სკოლაზე, სადაც ემზადებოდნენ კავკასიელი ოფიცრები. ლიტცენში მასპინძლებთან გამომშვიდობებისას შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკ-ლეიტენანტმა ჰერემ მითხრა: „გეთაყვა, მოანესრიგეთ ქართული შენაერთები“. 1944 წლის 8 იანვარს, დილით, ბრესტ-ლიტოვსკის, ლუმბერგისა და ოდესის გავლით ნიკოლაევიში<sup>1</sup> გავფრინდი, სადაც აღმოსავლელ მოხალისეთა შტაბში, დიდი სიხარულით შევხვდი ჩემს მეგობარს, ექიმ ვილჰელმ რეისმიულერს. მან მაცნობა ქართველთა და სხვა კავკასიელ შენაერთთა სტატიების თაობაზე ყირიმში და სხვაგან, არმიის სამხრეთელ ჯგუფებში, ჰოსპიტლების ჩათვლით, სადაც მუშაობდნენ ექიმი და „აღმოსავლური წარმოშობის“ ექთნები. ამჟამად სამხედრო ვითარება საკმაოდ სტაბილური და დამაკმაყოფილებელი იყო. მეორე დღეს რეისმიულერმა წარმადგინა მაიორ კურტთან, რომელიც ხელმძღვანელობდა თავის ოფისს ყირიმის დედაქალაქში—სიმფეროპოლში და წარმოადგენდა აღმოსავლელ მოხალისეთა შენაერთების გენერლის შტაბს.

მაიორმა შემომთავაზა, ერთად ვიმოგზაუროთო და სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება, არამარტო იმის გამო, რომ სასიამოვნო თანამგზავრი მეყოლებოდა, არამედ საქმიანი თვალსაზრისითაც, რადგან ყირიმში ყოფნისას ერთად მოგვიწევდა მუშაობა.

ნის“ სადაზვერვო სამსახურის „ხელმძღვანელად“. ასეთი თანამდებობა არასდროს მქონია.

<sup>1</sup> ნიკოლაევი მდებარეობს უკრაინაში, ყირიმის ახლოს, ჩრდილო-დასავლეთით.



ამ მოგზაურობისას მართლაც მოგვეცა საშუალება, მშვენიერად დად გვემსჯელა იმ მოვლენებზე, რაც ორივეს გვაღელვებდა; ნიკოლაევიდან მივდივართ ოდესისაკენ, საიდანაც თვითმფრინავს ყირიმში უნდა გადავეყვანეთ. გზაში მანქანა გაგვიფუჭდა, ლამით ოდესაში მოგვინია დარჩენა და მეორე დილით გავფრინდი. მე და მაიორს თავდაპირველად მცდარი შეხედულებები გვექონდა ერთმანეთის მოსაზრებებზე. მაგალითად, მაიორს ეგონა, რომ მე ლეგიონერთა შორის პროპაგანდის ჩასატარებლად მივდიოდი. ჩემგან გაიგო, რომ ასეთი განზრახვა სრულიად არ მქონია. მე ვიყავი ლეგიონერებისა და ქართველთა სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი. ამდენად, ჩემი მთავარი მიზანი იყო ლეგიონერთა უფლებების დაცვა. ამასობაში მხოლოდ მრჩევლის კომპეტენციით შემეძლო მოქმედება. თუმცა, აღმოსავლეთის ჯარების გენერალთან ძალიან კარგი ურთიერთობით (რასაც წარსულში კავკასიური საველე გამოცდილება ედო საფუძვლად), ორმხრივი ნდობისა და პატივისცემის გამო, ვგრძნობდი, რომ ჩემს წინადადებებს გენერალი და მისი შტაბი მხარს დაუჭერდნენ. მაიორ კურტს ვუთხარი, ჩემი აზრი, ლეგიონერებისათვის საუკეთესო „პროპაგანდა“ კარგი მოპყრობა იქნება-მეთქი.

მაიორს ვუამბე 1942 წლის ზაფხულში, კავკასიის ფრონტზე ქართული ლეგიონის—795-ე საველე ბატალიონის უსიამოვნო ამბავი და დავსძინე, „ბერგმანში“ სრულიად სხვა ვითარებაა-მეთქი. ზედმეტი იყო იმაზე ლაპარაკი, რომ კავკასიიდან, გერმანელების უკანდახევის გათვალისწინებით, ვითარება ახლა გაცილებით უფრო დელიკატური იყო. მაიორი კარგი მსმენელი გამოდგა. ისიც ვუთხარი ყირიმში იმდენ ხანს დავრჩები, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება-მეთქი და ერთმანეთს ურთიერთობის გაგრძელება და დახმარება შევპირდით. ოდესიდან სამი საათის ფრენის შემდეგ, ყირიმში, ყარაკიატის(?) აეროპორტში, სიმფეროპოლის ჩრდილოეთით დავეშვით. სიმფეროპოლში მანქანით ჩავედით. მაიორმა „ჯარისკაცთა სახლის“ საერთო საცხოვრებელში ოფიცრები გამაცნო; მე სუფთა, მყუდრო ოთახში დამაბინავეს. იქიდან მაიორის ოფისი ფეხით გასავლელ მანძილზე იყო; მან მომცა რუკა, სადაც ყირიმში ქართულ შენაერთთა განლაგება და



რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო აღნიშნული. მითხრობდნენ, რომ ლეგიონერებს თქვენი მომავალი ვიზიტის ამბავს შევსაყობინებო და დიდსულოვნად მთხოვა მანქანა სიმფეროპოლიდან სხვადასხვა ქართულ შენაერთებში სამგზავროდ, მე და მაიორმა ქართველ ექიმებს, კერვალიძეს და ბრეგვაძეს შევუარეთ. ისინი ადგილობრივ საავადმყოფოში მუშაობდნენ და როგორც ჩანდა, საქმეს კარგად ართმევდნენ თავს.

მეორე დღით, უთენია გავემგზავრეთ სარაბუზში (?) სადაც ქართველ ფეხოსანთა II/4 ბატალიონის პირველ ასეულს ჰქონდა საერთო საცხოვრებელი. ბატალიონის გერმანელი მეთაური, კაპიტანი ბარტხტი (?) გულითადი კაცი გამოდგა. იგი ამაცობდა თავისი ლეგიონერებით. კაპიტანმა გამაცნო შტაბის ასეულის ქართველი „Ordonauz Officer“-ი, ფოჩხუა. სამივე ვენვიეთ ჯარისკაცებსა და სერჟანტთა შემადგენლობის ოფიცრებს. პატარ-პატარა ჯგუფებსაც ვესაუბრე და ცალკეულ პიროვნებებსაც მოვახსენე ჩემი მოსაზრებები მიმდინარე ვითარებაზე, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით და მათ კითხვებს ვუპასუხე, ღამით ფოჩხუასთან დავრჩი, პირისპირ გულწრფელად ვისაუბრეთ და ბევრი რამ გავიგე ბატალიონზე. მეორე დღით მე, კაპიტანი ბარტხტი და ფოჩხუა ადრინად წავედით ყარანგუტში, სადაც მეორე და მესამე ასეულები იყო განლაგებული. ასეულის ქართველი მეთაურები იყვნენ: მეორესი გიორგაძე და მესამისა-ლოსაბერიძე. ისინი ლეგიონერებთან ვიზიტისას შემოგვიერთდნენ. აქაც ვესაუბრე ჯარისკაცებსა და სერჟანტთა შემადგენლობას, მოვუსმინე მათ და კითხვებზეც ვუპასუხე. ღამე იქ დავრჩი და მათი მასპინძლობით ვისიამოვნე: ამანაც ხელი შეუწყო ჩვენს შორის ნდობის დამყარებას. ჩემი აზრით, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმჟამად გერმანიის არმიაში რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელი ვითარება იყო.

მეორე დღით მეოთხე ასეულისა და მისი დაჭრილი მეთაურის გუგუშვილის გასაცნობად გავემგზავრე (თუ სწორად მახსოვს, ყუბანში დაიჭრა და ახლა ძალას იკრეფდა). შუადღისას „შტაბის ასეულს“ ვენვიე, მერე ოფიცრებსა და ლეგიონერებს გამოვემშვიდობე და ნაშუადღევს სიმფეროპოლიდან გამოვემგზავრე. II/4 ბატალიონმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა; გერმანელ მოსამსახურეებსა და ქართველებს და-



მაკმაყოფილებელი ურთიერთობა ჰქონდათ. ჩემი აზრით, ამის მიზეზი იყო კაპიტან ბარტხტის კარგი ხელმძღვანელობა. ამას ემატებოდა, რომ გონებაგახსნილი კაცი იყო, სწორად აფასებდა რეალობას, ყველაფერი ესმოდა და არც აკვიატებული განწყობილება ჰქონდა თავისი ლეგიონერებისადმი, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს სულაც არ იყვნენ „სრულყოფილი გერმანელი ქართველები“. ეს ყველაფერი თავადაც მოვახსენე და ვთხოვე, ყურადღება გაემახვილებინა რამდენიმე, შედარებით უმნიშვნელო საკითხზე, კერძოდ მტრულ დამოკიდებულებაზე ფოჩხუასა და ბატალიონის გერმანელ ბულალტერს ბალტმეისტერს შორის. გარდა ამისა, ვთხოვე, რამდენიმე ქართველი ოფიცრის გაგზავნა გერმანულ სამხედრო სკოლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რათა მათ ქართველი ლეგიონერებისა და გერმანელი ოფიცრების პატივისცემა დაემსახურებინათ. მინდოდა, II/4 ვიზიტის შემდეგ ლეგიონერებს დაენახათ, რომ მათ ინტერესებს ბერლინში თანამემამულე იცავდა და თავი მიტოვებულად არ ეგრძნოთ. ამას გაიგებდნენ სხვა ქართულ შენაერთებშიც, რომლებიც ყირიმში უნდა შემომეველო. სიმფეროპოლში II/4-თან დაკავშირებული მოსაზრებები მაიორ კურტს გაუზგზავნე და ისიც ნასიამოვნები დარჩა.

ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი ქართულ ბატალიონში „ბერგმან I“-ში, სადაც ბევრი მეგობარი მეგულებოდა. ბატალიონი ახლა კურაეევკაში იყო განლაგებული, მისი ცხენოსანთა ესკადრონი-კარტ-კაზაკში (ორივე პერეკოპის სამხრეთით მდებარეობს). მას მერე, რაც გააფრთხულ ბრძოლაში ას სამოცდაათი კაცი დაელუბა და დაეჭრა, ბატალიონი ცხენოსანთა ესკადრონთან ერთად მეორადი დაცვის ხაზზე გადაიყვანეს და ამოსუნთქვის საშუალება მისცეს.

სიმფეროპოლიდან „ბერგმან I“-ის საველე შტაბამდე სამსაათნახევარი ვიმგზავრე. იქ დამხვდა კაპიტანი (მოგვიანებით მაიორი) ედმუნდ ბრანდი—ბატალიონის მეთაური. ბევრი ვისაუბრეთ; მაგალითად, ბრანდს აინტერესებდა, თუ როდის ვნახე უკანასკნელად კაპიტანი, პროფესორი ობერლეიტენანტი, რომელიც, როგორც აღვნიშნე, „ბერგმანიდან“ და არმიიდან გაანთავისუფლეს, რადგან აშკარად აკრიტიკებდა ჰიტლერის „აღმოსავლურ პოლიტიკას“. ბრანდს პროფესორი

პოლიტიკის კარგ მცოდნედ და გაბედულ კაცად მიაჩნდა. „ძალიან გამიჭირდა „ბერგმანის“ ჯარისკაცების გამხსნელობა, მათი საყვარელი მეთაურის ობერლენდერის წასვლის შემდეგ“, მითხრა ბრანდმა. აინტერესებდა ჩემი შთაბეჭდილებები საფრანგეთსა და იქაურ ქართველ ლეგიონერებზე, დრეზდენის სამხედრო სკოლებზე. მითხრა, დრეზდენიდან დაბრუნების შემდეგ, ლეიტენანტებმა ოქროპირიძემ და ალიმბარაშვილმა ბრწყინვალე მოხსენებები წარმოადგინესო. აინტერესებდა ჩემი საქმიანობა სამეკავშირეო შტაბში და ა.შ.

მე კი, მინდოდა, ბრანდს და სხვა მეგობრებს მოეთხრო, თუ რა მოხდა „ბერგმანში“ მას მერე, 1943 წლის ზაფხულიდან, ყირიმიდან რომ წავედი. მე და ბრანდი ერთად ვენციეთ ასეულებს. ბევრ მეგობარს ვესაუბრე და წავიკითხე „ბერგმანის“ საბრძოლო ისტორია“. აი, რა შევიტყვე: ჩემს არყოფნაში „ბერგმანის პოლკი“ საბოლოოდ დაიყო სამ „დამოუკიდებელ“ ბატალიონად. X

პირველი ლეიტენანტი ბრანდი მეთაურობდა ბატალიონს „ქართული ბერგმან I“, რომელიც ბალბეკის მშვენიერი ხეობიდან გადაიყვანეს ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და დაავალეს სანაპირო ზოლის დაცვა აკმეჩეთიდან ევპატორიამდე. იქ ჯერჯერობით სამხედრო მოქმედება არ მიმდინარეობდა, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლებოდა საბჭოელებს ხმელეთზე გადმოსვლა ეცადათ. ქართულ ცხენოსანთა ესკადრონი კვლავ „ბერგმან I“-ს ექვემდებარებოდა. 1943 წლის სექტემბერში „ბერგმან I“ ისევ გადაიყვანეს; ამჯერად სევასტოპოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბაიდარის რაიონში. ახლა ის სარეზერვო შენაერთად ითვლებოდა, რომელსაც საჭიროების და მიხედვით, ბრძოლაში ჩააბამდნენ. ბატალიონი „თავისუფალ დროს“ სანვრთნელი მანევრებითა და ახლომანლო, იაილას მთებში სადაზვერვო სამუშაოებით იყო დაკავებული.

შემოდგომაზე ყუბანში დარჩენილი გერმანელი ჯარები ყირიმში იქნა ევაკუირებული. არმიის სამხრეთის ჯგუფს უმაღლესი სარდლობისა მიაჩნდა, რომ შემდგომში ჯარები ყირიმიდან უნდა გაენაწილებინათ. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ



თუ საბჭოთა ჯარები სწრაფად წამოინევდნენ წინ, ყირიმში გერმანელების მთავარი ტერიტორიიდან მოწყვეტის მიზნით, მაშინ ასე უფრო ადვილი იქნებოდა თავდასხმის მოგერიება.

ამ მოსაზრებით ბევრი სამხედრო შენაერთი გადაანაცვლეს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ეს ჯარები წინასწარ გაგზავნეს სამომავლოდ საერთო საცხოვრებლებისა და თავდაცვითი პოზიციების მოსამზადებლად. გამონაკლისი არც „ბერგმანი“ იყო და ოქტომბრის ბოლოს მისი წარმომადგენლები ფეხოსანთა 153-ე დივიზიის ოფიცრებთან ერთად (ამ დივიზიაზე იყო მიმადგრებული „ბერგმანი“) პერეკოპსა და ხერსონს შორის რეგიონის შესასწავლად გაგზავნეს. დადგენილი იყო „ბერგმანის“ სამივე ბატალიონის გადაყვანა დნეპრის ჩრდილოეთ რეგიონში! ოქტომბრის მესამე კვირაში „ბერგმანი I“ ბაიდერისკენ გაემგზავრა. მანამდე ფეხით გაიარეს მთები ბელბეკის ხეობისკენ, თათარ სოფლებთან გამოსამშვიდობებლად ორმხრივი სიყვარულის დასტურად — ეს გულისამაჩუყებელი ამბავი იყო.

ამის შემდეგ ბატალიონმა ფეხით განაგრძო გზა ბალჩისარაისკენ (სიმფეროპოლის რაიონი), სადაც შემთხვევით შეხვდა „ბერგმანი II და III“ ბატალიონებს. აქედან სარაბუს გავლით ჩრდილოეთით განაგრძეს გზა კიჯაკ-სტრუკოკისაკენ. არ გაუმართლათ—უეცრად აცივდა. ოქტომბრის ბოლოს (1943) „ბერგმანი I“-მა მიაღწია ბესჩესტნოეს, სივაშის სამხრეთით—„მკვდარ ზღვას“, რომელიც ჩრდილოეთიდან ჰყოფს ყირიმის ნახევარკუნძულს მიწისაგან. სივაშს მეჩხერი წყალი აქვს, ასე რომ არმიას მისი გადავლა ფეხით შეუძლია, რაც უკვე დადასტურდა რუსეთის სამოქალაქო ომში.

ბესჩესტნოეში „ბერგმანი I“-მა გაიგო, რომ საბჭოთა ტანკებმა და ფეხოსანთა შენაერთებმა ყირიმის ჩრდილოეთით ყველა მისადგომი დაიკავეს და ახლა სამხრეთით უტევდნენ სამ რაიონს—ტაგანაშს, პერეკოპსა და სივაშს, რათა ყირიმში შემოჭრილიყვნენ. 1 ნოემბერს საღამოს, „ბერგმანი I“-მა მიიღო ბრძანება სივაშის რაიონში საბჭოთა ჯარები მოეგერიებინათ და კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ. ურშინთან

<sup>1</sup> „ბერგმანი“. გამოსცა ჰეინც ბეჰერმა ამხანაგობა „ბერგმანის“ წევრების მონაწილეობით. Hanz Beher, Margaret cn Str.44-8033 Kralling b München F.R. Germany, 1 ივლისი, 1983 წ დაბეჭდილია: იოზეფ შ. ფრესკა, GmbH, München

მძიმე და გააფრთხილებული ბრძოლის შემდეგ ცხენოსანთა  
ვალერიამ და მესამე ასეულმა შტურმით აიღო ქალაქი ურშინი.  
მაგრამ ვერ მოახერხა მტრის პლაცდარმის მთლიანად გა-  
ნადგურება. წითელი არმია განუწყვეტილად ამატებდა ფეხოსან-  
თა შენაერთებს და მძიმე იარაღს. 6 და 7 ნოემბერს განსაკუ-  
თრებით მძიმე ბრძოლა გაიმართა. დაჭრილების რიცხვი სულ  
უფრო და უფრო იზრდებოდა. 7 ნოემბერს ღამეს და მეორე  
დღეს, გაცილებით მრავალრიცხოვანმა საბჭოთა ჯარმა, მა-  
სირებელი შეტევის შემდეგ, მოახერხა ურშინში შეჭრა. უკან-  
დახეული ქართველების მე-3 და მე-4 ასეულები დროებით  
მონყდნენ დანარჩენებს და მტრები ნანილობრივ ალყაში მო-  
აქცია ისინი. თავდასხმის ხაზის გასაძლიერებლად ურშინის  
ბრძოლაში ჩააბეს რუმინული პოლკი და გერმანული 370-ე  
ბატალიონი, რამაც ვითარება გამოასწორა. დიდი ზარალის  
მიუხედავად, „ბერგმან I“ მორალურად არ დაცემულა და  
საბრძოლო მხნეობა არ დაუკარგავს.

ამასობაში „ბერგმან III“ (ჩრდილო კავკასიელთა ბატალი-  
ონი) თავდადებით იბრძოდა პერეკოპის რაიონის დასაცა-  
ვად. 1943 წლის 17 ნოემბერს, შეიარაღებულ ძალთა რა-  
დიომარშალმა გადასცა, რომ კავკასიელ მოხალისეთა  
ორმა ბატალიონმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყირი-  
მის ჩრდილოეთ მისადგომებთან გააფრთხილებულ ბრძოლებში.  
ფელდმარშალმა ფონ კლეისტმა წერილობით გამოუცხადა  
მადლობა „ბერგმან I“-ის მეთაურს ლეიტენანტ ბრანდს. ასე-  
თი იყო „ბერგმან I“-ის საბრძოლო ისტორია, როცა 1944  
წლის იანვარში, პერეკოპის სამხრეთით, კურაეკვასა და კა-  
რატ-კაზაკში ჩავედი.

მე და კაპიტანმა ბრანდმა მოგზაურობა განვაგრძეთ. დიდი  
მღელვარებით შევხვდი ძველ მეგობრებს, მათ შორის ვიქ-  
ტორ ხომერიკს, მიშა დადიანს, გოგლივ ვაჩნაძეს, ალიოშა  
აბაშიძეს, ირაკლი ალიმბარაშვილს, შალვა ოქროპირიძეს და  
სხვებს. თითოეულ მათგანს უნდოდა ჩემთვის ემასპინძლა.  
ასე რომ, იძულებული გავხდი განრიგი შემეცვალა და რიგ-  
რიგობით მომეველო ყველა. ყველაფერი რიგზე იყო, სანამ  
შვადრონის კავალერიას ვენვიე, ჩვეულებრივ, ცხენებს აქ  
ფურაჟით დადგენილ ულუფას აძლევდნენ, მაგრამ ახლა, პო-  
ზიციური ომის გამო, ულუფა შეუმცირეს და შვრიით იყვნენ

გატიკნილი. ჩემი სიამოვნებისათვის ალიოშა აბაშიძემ ყველაზე მხნე და ლამაზი ცხენი მომგვარა ფორტიფიკაციების შემოსავლელად, მანამდე, ცოტა ხნით ადრე, მომვლელს ამ ცხენისათვის უნაგირის დადგმა დაუპირებია, ცხენი ყალყზე შემდგარა, მომვლელისათვის დაურტყამს და მხარი ამოუგდია, შვადრონის ახალგაზრდა ექიმმა მხარი ვერ ჩაუსვა და იმედი ჰქონდა, რომ მე მაინც მოვუხერხებდი რამეს, მაგრამ ჯერ მომვლელამდე უნდა მიმეღწია. ცხენზე ამხედრებულმა ორმა მეტბრძოლმა „ჩემი“ ცხენი აღვირზე ჩაბმული გრძელი საბლით მომიყვანა. ერთმა მითხრა: „ფრთხილად, სერ, ეს ცხენი დღეს ძნელი მოსათვინიერებელია“, მერე ორივემ აქეთ-იქიდან გამიკავა. როგორც კი ფეხი უზანგში ჩავდგი და შეჯდომა დავაპირე, ცხენმა ხტუნვა დაიწყო და მომვლელებმა ველარ დაიმორჩილეს. მარჯვენა ფეხი ჯერ უზანგში არ მქონდა ჩადგმული, გადავწყვიტე, მაინც მეცადა მისი მოდრეკა და თავის ნებაზე მივუშვი, ცხენი წინ გავარდა, ერთხანს დავკარგე თვალთახედვიდან ორივე მომვლელი და ველარ გავიგე, სად იყო ან საბჭოელების პოზიციები, ან ჩვენი ადგილსამყოფელი, მაგრამ რაკილა ცხენები ხშირად თავიანთ თავლაში გარბიან ხოლმე, იმედი მქონდა. რომ ესეც ასე იზამდა. იძულებით ჭენება კარგა ხანს გაგრძელდა, ცხენი გაოფლიანდა და ბოლოს მოვახერხე, უკან მომებრუნებინა. მერე ჩორთზე გადავიყვანე და შენუხებულ მომვლელებთან მივედი, ამიხსნეს, აღარ გამოგყევით, რადგან ვიფიქრეთ, ცხენი უფრო არ გაგიჟდესო. თურმე ცხენი აცდენია თავლისაკენ მიმავალ გზას.

დიდი წვალებით მოვახერხე, ამოვარდნილი მხარი ჩამესვა ჯარისკაც-მომვლელისათვის, ამის შემდეგ შეხვედრა ჩინებული ბრენდით და „პერეკოპის კურდღლის რაგუთი“ აღვნიშნეთ. ლეიტენანტ გოგლიკ ვაჩნაძეს ახსოვდა, რომ რამდენიმე კვირის წინ, პარიზის ვაგზალზე, დამშვიდობებისას შემპირდა, ყირიმში რაგუთი გაგიმასპინძლდებო.

იმ ღამეს ცხენოსანთა რაზმში რომ დავრჩი, ორჯერ გაისმა განგაშის საყვირი, ეს ნიშნავდა, რომ საბჭოელები კიდევ გვითევდნენ. მზად ვიყავით საბრძოლველად, მაგრამ წითელი ჯარების ორივე შემოტევა პირველსავე თავდაცვით ხაზზე შეაჩერეს, ასე რომ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ, „ბერგ-

მან I-ში“ კიდევ რვა-ცხრა დღეს დავრჩი და თითოეულ მათან თითო დღე-ღამე მაინც გავატარე. შთამბეჭდავი იყო ჯარისკაცების მხნეობა მძიმე დანაკარგისა და არცთუ სახარბიელო ვითარების მიუხედავად, მითუმეტეს, რომ ისინი მატერიკს მოწყვეტილები იყვნენ. ჩემი დაკვირვების თაობაზე წინასწარ მოხსენება მივწერე ქართულ სამოკავშირეო შტაბსაც და გენერლებს პელმისსა და კიოსტრინგსაც: დამატებით მოხსენებებს დანარჩენი შენაერთების ნახვის მერე წარვადგენდი, იდენტური წერილები გავუგზავნე პოლკოვნიკ-ლეიტენანტ ჰესელსა და დოქტორ რეის მიულერს. ამ პირველსავე მოხსენებებში ძირითადი მოსაზრება იყო, რომ აუცილებლად მიმაჩნდა ჩვენი შენაერთების სასწრაფო ევაკუაცია ყირიმიდან.

„ბერგმან I“-დან 1994 წლის 27 იანვარს წამოვედი ყირიმში სხვა ქართული ბატალიონების შემოსავლელად. „ბერგმანელ“ მეგობრებს ვუთხარი, როგორც კი მოვახერხებ, მაშინვე დავბრუნდები-მეთქი, სიმფეროპოლში მაიორ კურტს ვესაუბრე „ბერგმანის“ თაობაზე. იგი ძალიან დაინტერესდა დეტალებით, შემომთავაზა, უახლოეს მომავალში ერთად შემოვიაროთ სხვა შენაერთებო და მეც დავთანხმდი. სიმფეროპოლში, სანამ კურტს ველოდებოდი, შემხვდა „ბერგმანის“ emigre ვასო შალამბერიძე. ის იყო „ბერგმანის“ ერთ-ერთი emigre ჯარისკაცთაგანი, ვისაც კავკასიაში, სამხედრო ტყვეთა ბანაკში დაავალეს ვითარების შესწავლა<sup>1</sup> კავკასიიდან უკან დახევის შემდეგ, შალამბერიძემ განაგრძო ყირიმში ტყვეთა ბანაკის შემოვლა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ტყვეებს რიგიანად ექცეოდნენ. მეორე დღით მე და ვასო ვენვიეთ სამხედრო ტყვეთა ბანაკს სიმფეროპოლის ახლოს. აქ საცხოვრებელი პირობებიც და ტყვეებისადმი მოპყრობაც დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ბანაკში შევხვდი ორ ქართველ ექიმს, კრავეიშვილს და ჩიხლაძეს, კრავეიშვილი ექიმად მუშაობდა, ჩვენი რეკომენდაციის შემდეგ ბანაკის კომენდანტმა ექიმ ჩიხლაძესაც დართო ნება თავისი პროფესიით ემუშავა.

სიმფეროპოლიდან მე და ვასო სევასტოპოლისაკენ გავემგზავრეთ, იქაც სამხედრო ტყვეთა ბანაკები შემოვიარეთ. აღმოჩნდა, რომ ექიმი გრიშა ჯანხოთელი აქ გადმოეყვა-

<sup>1</sup> იხ. თავი „ბერგმანი“ და კავკასია“

ნათ<sup>1</sup>, მას უწინდებურად დიდ პატივს სცემდნენ, როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. მისი ახლობელი ქართველები იყვნენ: ტაბატაძე, დარბაისელი და სიმონიშვილი. გამიხარდა ჯანხოთელის კარგად ყოფნა.

ჩემი შემდეგი „ველზე გასვლა“ სიმფეროპოლიდან მაიორ კურტთან ერთად მოეწყო. ძველი ყირიმისა და ისლამური თერგის გავლით ჩანჩაში ჩავედით, თავის შტაბ-ბინაში მიგვიღო კაპიტანმა სტრეკმა, ქართველ ფეხოსანთა I/9 ბატალიონის მეთაურმა. ღამე აქ გავათიეთ, იქვე სიხარულით შევხვდი ჩემს ახლო მეგობარს თბილისის სამედიცინო სასწავლებლიდან რამაზ გვეტაძეს, იგი ექიმად მუშაობდა ბატალიონში, რომლის რაზმებიც გარშემო იყო განლაგებული. რამაზმა 1943 წელს მომწერა დრეზდენში და მაცნობა თავისი ამბავი, საპასუხო წერილში დავპირდი, ყირიმში გნახავმეთქი. მან გამაცნო ბატალიონის ოფიცერი ქავჭარაძე, რომელიც საინტერესოდ მესაუბრა I/9-ის თაობაზე. მეორე დღით მე და კაპიტანი სტრეკი სოფელ ბარაკში ვენვიეთ მაიორს, ექიმ ეისმანს, ფეხოსანთა 796-ე ბატალიონის მეთაურს, მან შემოგვთავაზა, მე-4 როტა ერთად ვნახოთ, მისი შტაბ-ბინა აქვეაო. მე-4 როტაში გავიცანით ლეიტენანტი ვაგნერი—ეისმანის თანამოაზრე<sup>\*2</sup>. დოქტორ ეისმანის (იმჟამად კაპიტნის) არყოფნისას 796-ე ბატალიონში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ფრონტზე, ლეიტენანტი ვაგნერი დარჩა, მან დიდად შეუწყო ხელი 796-ე ბატალიონის ნამდვილი და შელამაზებული ამბის გარკვევას. თავდაპირველად მოკლედ ვესაუბრე მაიორს, დოქტორ ეისმანს, ლეიტენანტ ვაგნერსა და კაპიტან სტრეკს წარსულზე, აწმყოსა და სავარაუდო მომავალზე, გადავწყვიტეთ, ჩემი მოგზაურობის დასრულების შემდეგ კიდევ შევხვედროდით ერთმანეთს, მერე 796-ე ბატალიონის შორიახლოს განლაგებულ მე-4 როტასა და I/9 ბატალიონის მე-5 როტას მივმართე. ამგვარ ფორმალურ მიმართვას ყოველთვის მოჰყვებოდა პირისპირ, შინაურულად საუბარი, შემდეგ 796-ე და I/9 ბატალიონების სხვა როტებიც მოვიარე, ვნახე ყოფილი „მუშათა და სამშენებლო“ რაზმი, რომელიც ისლამ-თერგზე იყო განლაგებული და ველზე

<sup>1</sup> იხ. თავი „ყირიმი“

<sup>\*</sup> იხ. შენიშვნები, 796-ე ფრონტის მოკლენები და ა.შ.

<sup>2</sup> დოქტორი ჰოფმანი, kaukasien 1942/43 გვ. 291-304



გასული ბატალიონი, რომელსაც შტაბ-ბინა პარიზში იქონიებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამინდი უეცრად აირია, რამაც უსარგებლო გახადა ჩემი ტრანსპორტი, გადავწყვიტე შემოვლა ცხენშებმული ურიკით გამეგრძელებინა, ამან საშუალება მოგვცა მე და ჩემს მეგობარს რამაზ გვეტაძეს გარკვეული დრო ერთად გაგვეტარებინა და საუბრითაც გული გვეჯერებინა.

ქავთარაძის გარდა, ჩემმა მეგობარმა რამაზმა გამაცნო ორი ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი—რუხაძე და ტურაბელიძე. სამივეს ძალიან უნდოდა გერმანულ სამხედრო სკოლაში შესვლა, ვუთხარი, ყველაფერს გავიკითხავ-მეთქი, თუმცა ჯერჯერობით ვერაფერს შევპირდებოდი, მოგვიანებით, ქალაქ სემიკოლოდეცში გავლისას, შევიტყვეთ, რომ 245-ე მუშათა ბატალიონს შორიახლოს ჰქონდა შტაბ-ბინა, გავიცანი მაიორი და მისი ადიუტანტი (რომელთა სახელებიც ჩემს „მინიდლიურებში“ ველარ ვიპოვნე). 245-ეში ბევრი ქართველი იყო, თუმცა აქ სხვა ეროვნების ჯარისკაცების მსახურობდნენ. ჯარისკაცებს დალლა და უკმაყოფილება ეტყობოდათ, მაგრამ წუნუნი აშკარად არავის დაუნყია, გადავწყვიტე, მოგვიანებით მეტი რამ გამეგო ამ შენაერთზე.

ჩემს მეგობარს, ექიმ რამაზს, თბილისში მეუღლე და პატარა ბავშვი ჰყავდა, მისი ცოლი ცნობილი დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის ქალიშვილი გახლდათ, რამაზის მამა რაჟდენი მწერალი იყო, საკმაოდ გავლენიანი. მეც და რამაზმაც ვიცოდით, რომ ომის შემდეგ ჩემი მეგობარი შინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ როგორ? მამამისის ნაცნობები უშველიდნენ? რამაზი ისეთი კაცი იყო, არ შეიძლებოდა ვინმესთვის რამე დაეშავებინა, ის მხოლოდ ავადმყოფებს უვლიდა, წითელ არმიამიც და ქართულ ლეგიონშიც, რომელსაც ნაცისტები კი არ მფარველობდნენ, არამედ გერმანული არმიის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყო შტაუფენბერგი. ამ უკანასკნელს არ მოსწონდა, არც ჰიტლერი და მისი დამქაშები, არც მათი საქმეები, მაგრამ ვერც მე და ვერც რამაზი ვერ დავიჯერებდით, რომ სტალინი და მისი გარემოცვა ამას გაითვალისწინებდა. თუმცა ახლა, პირველ ყოვლისა, რამაზსა და მისნაირებს ყირიმიდან უნდა გამოეღ-



წიათ და დასავლეთისაკენ წასულიყვნენ, რათა საბჭოელებს არ ჩავარდნოდნენ ხელში. მე და რამაზმა გავიხსენეთ საერთო მეგობრები: ვადიმ ჩხენკელი, აკაკი თოფურია, მისი ცოლი, ვახტანგ სამადაშვილი და სხვები.

დიდი მწუხარებით ვუთხარი რამაზს ყურმოკრული ამბავი ვადიმის შესახებ, სამედიცინო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი საბჭოთა არმიაში გაინვიეს და მოლდავეთის რესპუბლიკაში გაგზავნეს სამხედრო ექიმად. მალე ომი დაიწყო და ვადიმი მძიმედ დაიჭრა, როცა გადარჩენის იმედი გადაეწურა, თავისივე ხელით მოისწრაფა სიცოცხლე და ასე მოულო ბოლო საკუთარ ტანჯვას.

შემოვლა რომ დავასრულე, შევხვდი ქართული ბატალიონების გერმანელ მეთაურებს: ეისმანს, ბარტსსა და სტრეკს. მათ სურდათ, გულწრფელად მომეთხრო ჩემი მოსაზრებები და ვარაუდები შენაერთების თაობაზე. პირველ ყოვლისა, ქათინაურებით შევაძვე. კარგ ხელმძღვანელობას უწევდნენ რაზმებს ამგვარ რთულ, უჩვეულო ვითარებაში, რომელიც მოგვიანებით არასასურველი სამხედრო სიტუაციით დასრულდა და ამდენად, ლეგიონერები, რბილად რომ ვთქვათ, გაურკვეველი მომავლის პირისპირ აღმოჩნდნენ. ამ გასაზრებების შედეგი იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ლეგიონერები პარტიზანებთან გადავიდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სხვაგვარად შინ ველარ დაბრუნდებოდნენ.

ჩემი აზრით (რაც „ბერგმანის“ ოფიცრებსაც გავუზიარე), ლეგიონერთა დეზერტირობას სხვა ფაქტორებიც განაპირობებდა, მაგალითად, სამხედრო ტყვეთა ბანაკში გადატანილი საშინელი გაჭირვება—ეს ხალხი სწორედ ბანაკებიდან ჰყავდათ წამოყვანილი, იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის გამოსწორებაც შეგვეძლო—გერმანული პერსონალი ქართულ ბატალიონებში, განსაკუთრებით, სერჟანტთა შემადგენლობა და წოდებით მათზე დაბლა მდგომი ადამიანები. ვეჭვობდი, რომ გერმანულმა დივიზიებმა, ჩვენთვის ხალხის შერჩევით, შემთხვევით ისარგებლეს და არასასურველი გერმანელები თავიდან მოიშორეს. ზოგიერთს პიროვნული დეფექტი ჰქონდა, დანარჩენები უსაშველოდ ყოყოჩობდნენ და სჯეროდათ იმ პროპაგანდისა, რომლის მიხედვით აღმოსავლელები, მათ შორის ლეგიონერებიც, მეორეხარისხოვანი ადამიანები

იყვნენ, „ტექტონები“ კი (მათი ჩათვლით)—„ზეადამიანები“ გერმანელ მეთაურს ისიც ვუთხარი, რომ მქონდა სარწმუნო სია უხეში ინციდენტებისა და უკანონო დისკრიმინაციისა ქართველი ლეგიონერების, ოფიცრების, გერმანელი სერჟანტებისა და ჯარისკაცების მიერ. აქ ჩამოთვლილი იყო ისეთი შემთხვევები, როგორცაა:

1. ქართველ ოფიცერთა და სერჟანტთა ავტორიტეტის შელახვა ხელქვეით ჯარისკაცებს შორის.

2. ლეგიონერთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

3. ლეგიონერების კუთვნილების—ველოსიპედებისა და ზურგჩანთების ჩამორთმევა (მათი თანხმობის გარეშე).

4. ზოგიერთი პროდუქტის, ტანსაცმელის და ნივთების არათანაბარი განაწილება გერმანული პერსონალის სასარგებლოდ.

შემდეგ გერმანელ მეთაურს შევთავაზე, სიამოვნებით მოგართმევთ ჩემი სიის ასლებს, თუ ამის სურვილი გექნებათ-მეთქი. მათ უნდა შეესწავლათ ვითარება ამ სიის მიხედვით და თუ საჩივარი გამართლდებოდა, შესაბამისი ზომები მიეღოთ, ისიც ვუთხარი, რომ „ბერგმანის“ ჩამოყალიბებისას გერმანულ პერსონალს შორის ასეთი ადამიანები თითზე ჩამოსათვლელი გვყავდა. პროფესორმა ობერლენდერმა ისინი იძულების წესით გადაიყვანა სხვაგან. უამისოდ „ბერგმანი“ დღევანდელი სახით არ იარსებებდა. გერმანელ მეთაურებს ისიც ვუთხარი, რომ 1943 წლის ოქტომბრამდე ქართველ ლეგიონებს არ ჰყოლიათ ისეთი პოლიტიკური წარმომადგენლობა, როგორცაა ეროვნული კომიტეტი ბერლინში და მათი სპიკერი ამ კომიტეტში. გაცილებით უკეთესი იქნებოდა ლეგიონერების მორალური მდგომარეობისათვის, ამგვარი კომიტეტი უფრო ადრე თუ არა, ლეგიონის შექმნასთან ერთად მაინც რომ ჩამოყალიბებულიყო. საბოლოოდ, ქართული სამოკავშირეო შტაბი 1943 წლის ოქტომბერში დაფუძნდა კომიტეტის სანაცვლოდ და ეს ერთადერთი აღიარებული ქართული წარმომადგენლობაა გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ოფიცრებს ვაცნობე, რომ მე დამევალა ლეგიონერთა სპიკერის არასახარბიელო სამუშაოს შესრულება ამ ორგანიზაციასა და სამხედრო დეპარტამენტის შტაბში, ამდენად, მჭიდრო კავშირი მქონდა არმიის შტაბ-ბინაში აღმოსავლელ მოხალისეთა ჯარების გენერალ-

თან. გენერალი ლეგიონერთა და გერმანელ ჯარისკაცების სტატუსის გათანაბრებაზე მუშაობდა. გვჯეროდა, რომ არმიაშიც ცნობილი გახდებოდა.

ლეგიონერებისადმი მიმართვასა და საუბარში ხაზგასმით აღვნიშნე ეს ფაქტი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ლეგიონერებს სცოდნოდათ არა მხოლოდ საკუთარი მოვალეობები, არამედ უფლებებიც. გერმანელ ოფიცრებთან ისიც ვთქვი, რომ ჩვენს გენერალს, მის შტაბს გადანყვეტილი ჰქონდათ თანდათანობით შეენაცვლებინათ გერმანელი პერსონალი ადგილობრივი კადრით, ამ უკანასკნელთა წვრთნის შემდეგ. თუმცა კეთილსინდისიერი და კვალიფიციური გერმანელი ოფიცრებისთვის და სერუანტებისათვის მაინც იქნებოდა ადგილები, განსაკუთრებით ქართული შენაერთების მსურველთა შორის. მაგალითად, უკვე პირველმა მომმართა ლეიტენანტმა კუმსერმა, რომელიც სიმფეროპოლში მაიორმა კურტმა წარმომიდგინა. ლეიტენანტმა მთხოვა, გენერალ კოსტრინგთან რეკომენდაცია გამეწია, რათა იგი ქართულ ბატალიონში დაენიშნათ (როგორც ჩანს, კუმსერმა, რომელიც შენაერთში ქართველებთან ერთად მსახურობდა, ადგილი დაკარგა, რადგან ეს შენაერთი სხვას შეუერთდა). მაიორმა დოქტორმა ეისმანმა, კაპიტნებმა ბარტრმა და სტრუკმა მიიჩნიეს, რომ ჩვენი შეხვედრა სასარგებლო და ინფორმაციული იყო. მათ მადლობა გადაიხადეს გულწრფელი საუბრისათვის და გადავწყვიტეთ კიდევ შევხვედროდით. სიმფეროპოლში დაბრუნებულს, მაიორმა კურტმა გადმომცა გენერალ კოსტრინგისა და კედიას ბარათები. ორივე მთხოვდა, როგორც კი შევძლებდი, დავბრუნებულიყავი ბერლინში. სამეკავშირეო შტაბის ოფისში სამთვენახევარი არ ვყოფილვარ.

მაიორს ჩემთვის სხვა ინფორმაციაც ჰქონდა. ყოფილი ქართველი ლეგიონერი, რომელიც ცოტა ხნის წინ პარტიზანებთან გადავიდა, ახლა არმიის პატრულს დაეკავებინა ძველი ყირიმის ახლოს. კურტს უფიქრია, რომ ალბათ მოვინდომებდი მასთან შეხვედრას და შემომთავაზა, თუ ამის სურვილი გაქვთ შეგახვედრებთო. რასაკვირველია, დავინტერესდი ასე, რომ მე და მაიორი კურტი ძველ ყირიმში გავემგზავრეთ. „პარტიზანი“, გვარად ლაშხია, ოციოდე წლის ბიჭი იქნებოდა. ალერსიანი, თაფლისფერი თვალები ჰქონდა. შე-

შინებულს არ ჰგავდა, მაგრამ დათრგუნული იყო. ხელი ჩა-  
მოვართვი, ვთხოვე დაბრძანდით და თქვენი ამბავი გვითხარით,  
მე კი მაიორს ვუთარგმნი-მეთქი. მისი ლეგიონერებისა  
და მერე პარტიზანებთან გადასვლის ამბავი თვალსაჩინო  
მაგალითი იყო იმ ნაკლოვანებებზე საუბრისათვის, რაზეც  
რამდენიმე დღის წინ მოვახსენე გერმანელ ოფიცრებს ეის-  
მანს, ვაგნერს, და სწორედ ამ შემთხვევის წინ მაიორ კურტს.  
ახლა ლაშხიამ დაადასტურა, რომ სწორი გეზი გვქონდა.

ტუსალი გულწრფელი და უშუალო ახალგაზრდა კაცი იყო  
და ორივეს მოგვეჩინა—მეც და მაიორ კურტსაც.  
მაიორს ვუთხარი, ყირიმში დარჩენა გადავწყვიტე, თუნ-  
დაც ორი-სამი კვირით, (გენერალ კოსტრინგის მითითების  
მიუხედავად), მირჩენია აქ ვიყო, ვიდრე ბერლინში ვიდარ-  
დო ყირიმში დარჩენილებზე-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ პარ-  
ტიზანებთან გადასული ლეგიონერებისადმი მოპყრობა რა-  
დიკალურად უნდა შეცვლილიყო. პირველ ყოვლისა, უნდა  
გვცოდნოდა—დეზერტირობისათვის ხელი შეგვეშალა ლე-  
გიონერებისათვის პირობის გაუმჯობესებით, მეორე მხრივ—  
დეზერტირებისათვის რალაც ამინისტიის მსგავსი უნდა გა-  
მოგვეცხადებინა. ეს ამბავი ფურცლებით უნდა გვეცნობინებინა  
ტყეში შემალული საცოდავი, მშიერი, გაყინული და დაში-  
ნებული ადამიანებისათვის.

გენერალ კოსტრინგს, მ. ალშიბაიას და მ. კედიას გან-  
მარტებითი წერილი მივწერე ჩემი ყირიმში დარჩენის  
თაობაზე. წერილი, ფაქტიურად, იყო მაიორ კურტის მიერ  
დამონშემული მოხსენება ჩვენს შენაერთებში შექმნილ ვი-  
თარებაზე. ეს იყო ყირიმიდან ჩემს მიერ გაგზავნილი მე-  
ოთხე მოხსენება. სხვა რეკომენდაციებთან ერთად, კიდევ  
ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ საჭირო იყო ჩვენი  
შენაერთების სასწრაფოდ გადაყვანა ყირიმიდან დასავლეთში.  
ამ უკანასკნელ წერილში ვახსენე დეზერტირობის პრობლე-  
მაც და მივწერე ჩვენი წინადადებები ამ პრობლემის გადა-  
საჭრელად. მაიორ კურტთან ორი სათხოვარი მქონდა. პირ-  
ველი—გამომეყენებინა მისი გავლენა, რათა პასუხისმგებელი  
ოფიცრები მეიძულებინა, ჩემი თავდებობით გაეთავისუფ-  
ლებინათ ლაშხია და მომავალში პირადად ვაგებდი პასუხს  
მის საქციელზე. ლაშხია ჩემთან დარჩებოდა და თანხლებას  
გამიწევდა ქართული შენაერთების რეგულარული შემოვ-

ლებისას. იგი ლეგიონერებს უამბობდა, რატომ გადავიდა პარტიზანებთან და როგორ ცხოვრობდა იქ. ამ მონათხრობს, ჩემი ვარაუდით, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გავლენა ექნებოდა. მეორე—ყირიმის ყველა ქართული შენაერთიდან. მაიორის ოფისში მოგვეწვია ოფიცრები და ამ შენაერთების წარმომადგენლები, „ბერგმან I“-ის ჩათვლით. ამ ხალხის სია მაიორს გადავეცი, უნდა გვემსჯელა ერთ-ერთ საკითხზე: იმ ქართველ ლეგიონერთა მომავალზე, ვინც ყირიმში პარტიზანებთან გადავიდა—ეს ხალხი არ უნდა გაგვეწირა.

ამ პრობლემებზე წინასწარ ვიმსჯელე ვიქტორ ხომერიკთან, მიშა დადიანთან და „ბერგმან I“-ის ქართველ ხელმძღვანელებთან. ჩვენი აზრით, ყოფილი ლეგიონერები ახლა პარტიზანებთან დიდ საფრთხეში იყვნენ. პირველ ყოვლისა, შეიძლებოდა გადაესროლათ უკანასკნელ გერმანულ ან რუმინულ ჯარებთან ბრძოლაში და იქ დაღუპულიყვნენ. ამ ბრძოლებს თუ გადარჩებოდნენ და საბჭოთა ზედამხედველობას დაუბრუნდებოდნენ, საფიქრალი იყო მათ მყისვე გამოიყენებდნენ სპეციალური, სახიფათო დავალების შესასრულებლად. (მაგ., პარაშუტით ჩამოსხამდნენ გერმანულ ფრონტის ზურგში) თუ ამას ყველაფერს გაუძლებდნენ და ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაინც საფრთხე ემუქრებოდათ—შინ დაბრუნების ნაცვლად ან ციმბირის „გულაგებში“ ამოხდიდნენ სულს, ან... ამგვარი სასტიკი მოპყრობის მიზეზებზე უკვე ვისაუბრე და ახლა მოკლედ მოგახსენებთ. ყველაფერი კრემლის მთავრობის დადგენილებით დაიწყო. ეს დადგენილება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დანაშაულისთანავე მიიღეს, გერმანელების მიერ ტყვედ აყვანილ წითელარმიელებს მოლაღატეებად აცხადებდა. ამგვარ „დანაშაულს“ ამძიმებდა შესვლა, ჩარიცხვა ლეგიონში, რომელიც კრემლის ტირანიის დამხობას ისახავდა მიზნად<sup>1</sup>. მოგვიანებით პარტიზანებთან გადასვლა არ კმაროდა სტალინისა და მისი დამქაშების თვალში ამ ხალხის რეაბილიტაციისათვის.

მეორე მხრივ, ვგრძნობდი, თუ მოვახერხებდით, რომ გერმანიის სამხედრო პირებს დეზერტირი ლეგიონერების ამინი-

<sup>1</sup> ზოგი სამხედრო ტყვე იმ ფიქრით შევიდა ლეგიონში, რომ რაკი კრემლის მთავრობამ მოლაღატეებად გამოაცხადა, შინ დასაბრუნებლად ამ მთავრობის ჩამოგდება დასჭირდებოდათ.

სტია გამოეცხადებინათ და თუ ეს ლეგიონერების ყურადღება მიეღწია, მაშინ ალბათ შევძლებდით მათ დარწმუნებას, რომ ჩვენთან დაბრუნებულიყვნენ. ამ ხალხს არჩევანის საშუალება ექნებოდა—ან მუშა ბატალიონებში ჩანერილიყვნენ, ან სამხედრო ტყვეთა ბანაკში დაბრუნებულიყვნენ, როგორც სამხედრო ტყვეები. ნებისმიერ შემთხვევაში ყირიმიდან დასავლეთით იქნებოდნენ ევაკუირებული და გადარჩენის მეტი შანსი ექნებოდათ. მაიორმა მოახერხა ლაშხიას განთავისუფლება და ზემოთ ხსენებული შეხვედრაც დაგეგმა სიმფეროპოლში, რათა ყირიმის მართლაც შენაერთთა წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. მე და ლაშხია მალე შევუდექით ერთად მოგზაურობას—ცხენით, მანქანით თუ მატარებლით. თითქმის ყოველდღე დავდიოდით შემოვლებზე და ყირიმში ყველა ქართული შენაერთი მოვიარეთ. ლაშხიას წარვადგენდი, როგორც კაცს, რომელიც „სულ ახლახანს საბჭოთა პარტიზანი იყო“. შემდეგ ის თავის თავგადასავალს უამბობდა ლეგიონერებს. „გამეორება ცოდნის დედაა“—სულ მალე ლაშხია მჭერმეტყველ ორატორად იქცა. თავდაპირველად მაიორ კურტს ეფიქრებოდა ამგვარი სიარული, განსაკუთრებით ჩემს გამო შიშობდა. რადგან პარტიზანთან ერთად, მარტო ვმოგზაურობდი. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ორივეს გვახარებდა ლაშხიას წარდგენის აშკარა ეფექტი და გავლენა ლეგიონერებზე. ზოგიერთმა მათგანმა ახლა აშკარად დაინახა, რომ პარტიზანებთან გადასვლა პრობლემის მოგვარების არცთუ წარმატებული ცდა იყო.

ლაშხიას, როგორც ახალგაზრდა საბჭოთა ჯარისკაცს და მერე გერმანელთა სამხედრო ტყვეს, ალბათ არც ჰქონდა მკაფიო პოლიტიკური შეხედულებები, თავიდან ეგონა, რომ გერმანელები მოიგებდნენ ომს, თან იცოდა, რომ ეს კულტურული და ცივილიზებული ხალხი იყო. სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან გამოსვლა და ლეგიონში შესვლა საცხოვრებელ პირობებს გაუუმჯობესებდა, გერმანიის გამარჯვების მერე კი შინ ღირსეულად დაბრუნდებოდა. მაგრამ გარკვეულ მომენტში, განსაკუთრებით კავკასიიდან უკანდახევის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ გერმანელები ომს წააგებდნენ, შინ დაბრუნებაც საეჭვო გახდა. ამან კიდევ უფრო გაუძნელა თავის შენაერთში შექმნილი პირობებთან შეგუება. გერმანულ პერსონალთან ურთიერთობა ვერ შეძლო—სერჟანტები სრულიად

უმიზებოდ, უხეშად, აგდებულად ექცეოდნენ, სულ უფრო და უფრო უჭირდათ. ამასობაში ვილაცამ უამბო „საბჭოთა პარტიზანების საგმირო საქმეებსა და ცხოვრებაზე“ და ლაშხიაც სრულიად დაუფიქრებლად გადავიდა საბჭოელებთან. მაგრამ პარტიზანებთან ცხოვრება ყოველმხრივ უარესი გამოდგა. საკვები და ტანსაცმელი აკლდათ, საფრთხე იქ მეტი იყო. გამუდმებით სიფრთხილე მართებდა, უფროსობა ყველა ეჭვის თვალთ უყურებდა. ცოტა ხნის შემდეგ, ლაშხიამ აზრი შეიცვალა ლეგიონიდან დეზერტირობაზე, როცა გერმანელების სამხედრო პატრულმა დააკავა, იფიქრა, ყველაფერი დასრულდა, ახლა კი დამხვრეტენო. ყურებს არ უჯერებდა, როცა მე და მაიორი მეგობრულად ვესაუბრეთ. არც ასეთ კარგ მოპყრობას ელოდა, მითუმეტეს ასეთ ნდობას. ჩემთან ერთად მოგზაურობისას ბევრჯერ ჰქონია გაქცევის შესაძლებლობა, მითუმეტეს ღამით, მაგრამ არ უნდოდა.

დეზერტირ ლეგიონერთა გამო შეკრებები მაიორ კურტის ოფისში დაიწყო. ამ შეხვედრებზე დადიოდნენ ქართველ შენაერთთა წარმომადგენლებიც. თავდაპირველად პატარ-პატარა ჯგუფებს უნდა შევხვედროდით, რადგან შეუძლებელი იყო ყოველთვის ერთდროულად თავმოყრა. ვიქტორ ხომერიკმა („ბერგმანიდან“) მოახერხა სიმფეროპოლში, ჩემთან ერთად, რამდენიმე დღით დარჩენა. ყველა მონაწილე დაეთანხმა დეზერტირთა ამნისტიის დეკლარაციას და ფურცლების შეთავაზებული ტექსტიც მოიწონეს. მიიჩნიეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ეს ფურცლები თვითმფრინავიდან კი არ ჩამოგვეყარა, არამედ პარტიზანთა ცნობილი ბანაკების შორიასლო განლაგებულ დასახლებაში გაგვევრცელებინა. მაიორი კურტი დარწმუნებული იყო, რომ უმაღლეს სამხედრო შტაბში ჩვენს წინადადებას მოიწონებდნენ. ისიც გადანყდა, რომ ჩემს არყოფნაში საქმის პრაქტიკულ განხორციელებას, სხვა მონაწილეებთან ერთად, მაიორი კურტი და ხომერიკი მიადევნებდნენ თვალყურს. სამწუხაროდ, წასვლას ველარ გადავდებდი. კიდევ ერთხელ ვენვიე შენაერთებს. ჩემი რეკომენდაციით, ლაშხია ერთ-ერთ ბატალიონში ლეგიონერად მიიღეს. გამომშვიდობებისას შევატყვე-ცრემლებს იკავებდა. ვიფიქრე, ბედმა გამიღიმა, რომ ამ პატიოსან და მამაც ახალგაზრდას შევხვდი, იქ ასეთები მრავლად არიან-მეთქი.

ჩემი წასვლის წინ მე და მაიორმა კურტმა თითქმის მთე-

ლი დღე ერთად გავატარეთ. ვაჯამებდით ერთობლივად გაწეულ სამუშაოს და ცვდილობდით, წარმოგვედგინა ჩვენი ლეგიონერების მომავალი. „აღმოსავლეთის“ ჯარების არმიის შტაბიდან გენერალმა ორივეს დაბეჯითებით გვითხრა, რომ ჩვენი შენაერთები ყირიმიდან დროულად ევაკუირებული იქნებოდა სამხედრო ვითარების მიხედვით. ბოლოს ერთმანეთს დავემშვიდობეთ და მეორე დილას, 24 მარტს, სიმფეროპოლიდან ტირასპოლში, ოდესის მახლობლად გადავფრინდი. შუადღე არ იქნებოდა, როცა ჩემ მეგობარს, ლეიტენანტ მიულერს შევხვდი, ყირიმიდან წერილებს ვწერდი ხოლმე, მაგრამ სალაპარაკო მაინც ბევრი გვქონდა. მეორე დილით, მანქანით გავემგზავრეთ ოდესაში, სადაც ორი ჰოსპიტალი ვინახულეთ—№742-ს და 741-ს. ორივე ავადმყოფებისა და დაჭრილი ლეგიონერებისათვის იყო განკუთვნილი. ექიმები, ექთნები, მომვლელები და სანიტრები აღმოსავლელ მოხალისეებისაგან შეკრიბეს. ლეიტენანტი სეისმიულერი მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. კარგად აღზრდილი ჯენტლმენი იყო, ხმადაბლა, ალერსიანად ლაპარაკობდა და „აღმოსავლელებს“ თანაგრძნობით ეპყრობოდა. №742-ს-ში გამართულ ვახშამზე საპატიო სტუმრები ვიყავით. ღამით ოდესაში დავრჩით. იქ შევხვდი ქართველ კოლეგებსაც, მათ შორის ექიმებს—ზურაბ გამყრელიძეს და ბახტაძეს. ამ უკანასკნელმა, მრავალი წლის შემდეგ, სპრინგფილდის ახლოს დაიწყო ექიმობა. მეორე დილას №742-ს-თან გავჩერდით მომსახურე პერსონალთან გამოსამშვიდობებლად და №741-ს-ში შევიარეთ. აღარ გამოგვიშვეს და წასახემსებლად დაგვიტოვეს. იქ მოულოდნელად შევხვდი სასიამოვნო ჯენტლმენს, ლეიტენანტ სემლერს „ბერგმანიდან“. ისიც სტუმრად იყო მოსული. საღამოს მე და სეისმიულერი ტირასპოლში, არმიის შტაბ-ბინაში, სეისმიულერი ოფისში დავბრუნდით. ღამით იქ დავრჩით. სეისმიულიერსა და სხვა ოფიცრებს ვესაუბრებოდი ადგილობრივ შენაერთებსა და მათი რეორგანიზაციის გზებზე. მეორე დღეს, 28 მარტს, გამოვემშვიდობე ჩემს მეგობარ სეისმიულერს და მშვიდობიანად გავფრინდი ბერლინში<sup>1</sup>. ამასობაში ნიკოლაევი საბჭოელებმა დაიკავეს.

<sup>1</sup> „აღმოსავლელები“ ძალზე ემადლიერებოდნენ სეისმიულერს ჰუმანურობის გამო—განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი შტაბის ოფიცრად მუშაობდა არმიის A ჯგუფში (სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე). გულგრილად ვერ წაიკითხავთ მაი-





სამთვიანი მოგზაურობის შემდეგ ბერლინში დაბრუნებული ქალაქი კიდევ უფრო დანგრეული დამხვდა საჰაერო თავდასხმების შედეგად. თავდასხმები გრძელდებოდა. სამეკავშირეო შტაბის ოფისი არ დაზიანებულა, მაგრამ ახლომახლო შენობები დანგრეული იყო. ეჭვობდნენ, რომ ერთ-ერთი სახლის ნანგრევებში ქალი უნდა ყოფილიყო ჩამარხული. მთელი ოფისი გავიქეციტ და მოვახერხეთ ნანგრევებიდან შუახნის ქალბატონის ამოყვანა. საბედნიეროდ და ჩვენდა გასაკვირად ის მსუბუქად იყო დაშავებული. შენობის შესასვლელ კართან, საყრდენი სვეტების ქვეშ ყოფილა ნგრევისას და ამ სვეტმა დაიცვა. პირველი დახმარება გავუწიე და ვურჩიე, რომ საკუთარი ექიმისათვის მიეკითხა. ქართველ გენერალს ლ. კერესელიძეს<sup>1</sup> ასე არ გაუმართლა. იგი საჰაერო თავდასხმის დროს დაიღუპა, სანამ მე ქალაქში არ ვიყავი. აქ სხვა ცვლილებებიც დამხვდა. მაგ. 1944 წლის იანვარში კოსტრინგი მოხალისეთა ჯარების გენერლად დაენიშნათ. მანამდე, ამავე ჯარების მეთვალყურე გენერლობისას, კოსტრინგმა და მისმა ადიუტანტმა კავკასიაში ბევრი აღმოსავლელი მოხალისის გული მოიგეს. კავკასიიდან და ყირიმიდან უკან დახევის შემდეგ გენერალმა კოსტრინგმა და მისმა შტაბმა ახალ თანამდებობაზე დიდი მუშაობა გასწიეს მოხალისეებისათვის გერმანელთა თანაბარი სტატუსის მისაღწევად.<sup>2</sup>

ორ დუდაროვის მიერ ჩრდილო კავკასიის ეროვნული კომიტეტისა და მოხალისეების სახელით 1944 წლის დეკემბერში გაგზავნილ წერილს: „ჩვენო ძვირფასო მეგობარო!.. შეუძლებელია დავიწყება, თუ რა დახმარება გაუწიეთ პირადათ თქვენ ჩრდილო კავკასიელ ლტოლვილებს მათი უსასრულო ხეტიალისას, როცა სამშობლოდან დევნილები უკან იხევდნენ. თქვენი დახმარება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მოვალეობის შესრულება... მოწმენი გავხდით, თუ როგორ განგარისხათ ინფორმაციამ კავკასიელ პირთა დაჩაგვრის, მათი უფლებების შელახვის თაობაზე და როგორ ენერგიულად მოქმედებდით ამგვარი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად“. ყუბანელმა კაზაკებმა სეისმიულერს სანაქებო ქცევისა და განუული დახმარებისთვის საპატიო კაზაკის წოდება მიანიჭეს (საბუთები ავტორის პირად არქივში ინახება).

<sup>1</sup> ლ. კერესელიძე იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ქართული ლეგიონისა, რომელიც „მსოფლიო ომის დროს შულენბურგმა ჩამოაყალიბა თურქეთში. გარდა ამისა, კერესელიძე, მიხაკო წერეთელთან ერთად, იყო ერთ-ერთი დამარსებელი „თეთრი გიორგის“ პარტიისა. პარტია 1926 წელს დაფუძნდა პარიზში.

<sup>2</sup> ყურადღება მიაქციეთ: სახელწოდება „აღმოსავლური ჯარები“ შეიცვალა „მოხელეთა ჯარებით“. აღმოსავლური ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩამოსულ მუშებს უნდა ეტარებინათ საიდენტიფიკაციო ნიშნები „აღმოსავლეთი“. ეს სიტყვა „მეორეხარისხოვანი“ ადამიანის დისკრიმინაციულ აღმნიშვნელად იქცა.

1943 წლის ზაფხულში ფეხოსანთა 162-ე დივიზია უკრაინიდან სამხედრო წვრთნის ადგილას—აღმოსავლეთ გერმანიაში, სილუხიში, ნეუჰამერში გადაიყვანეს. იქ, „გადაკეთებისა და სახელის შეცვლის“ პროცესში, 162-ე საველე დივიზიაში მხოლოდ თურქმენი და აზერბაიჯანელი ჯარისკაცები დარჩნენ. ყველა სხვა ეროვნების ჯარისკაცი პოლონეთში, „აღმოსავლური ლეგიონთა რაზმებში“ გადაიყვანეს. ეს ახალი „მოხალისეთა სათადარიგო დივიზია“ პოლონეთიდან თანდათანობით გადაიყვანეს სამხრეთ საფრანგეთში. 1944 წლის დასაწყისში დივიზიას ამგვარი სახე ჰქონდა:

დივიზიის შტაბ-ბინა ლიონის რაიონში:

**სათადარიგო პოლკი №1**—შედგენილი ქართული, ჩრდილო კავკასიური და თურქმენელი ლეგიონებისაგან. ყაზარმები კასტრისა და ალაბის რაიონში.

**სათადარიგო პოლკი №2**—შედგენილი აზერბაიჯანული, სომხური, ვოლგის თათართა ლეგიონებისაგან. ყაზარმები რედე-ალბი-ლეპიუში.

**სათადარიგო პოლკი №3**—უკრაინული. ყაზარმა-ნამურაში.

**სათადარიგო პოლკი №4**—რუსული. ყაზარმა-ნამურაში.

**სათადარიგო პოლკი №5**—კაზაკები. ყაზარმა დიჟონის სამხრეთით. ყოველი ლეგიონი შემცირდა, რადგან დანაკარგის სანაცვლოდ ახალი ცოცხალი ძალა აღარ შემოდიოდა. ამდენად, სინამდვილეში ეს შენაერთები „პოლკებად“ მხოლოდ ქალაქებზე დარჩა. ამ ახალი „დივიზიის“ მეთაური აღარ იყო გენერალი ფონ ჰეიგენდორფი, რადგან იგი ბერლინში არმიის უმაღლესი სარდლობის შტაბში გადაიყვანეს. მოხალისეთა სათადარიგო დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი, გამოცდილი მებრძოლი პოსტი, რომელიც ამ თანამდებობაზე დარჩა 1944 წლის მარტამდე, მერე ფრონტზე გაგზავნეს. შემდეგ მოხალისეთა სათადარიგო დივიზიის მეთაურად საფრანგეთში დაინიშნა გენერალი ფონ ჰენინგი. ორი თვის შემდეგ გენერალი ფონ ჰეიგენდორფი ბერლინიდან იტალიაში გადაიყვანეს და დაინიშნა ფეხოსანთა 162-ე თურქული დივიზიის მეთაურ გენერლად. ამ დივიზიაში შედიოდა თურქმენული და აზერბაიჯანული შენაერთები. გენერალს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ნაკითხული მქონდა მისი რამდენიმე



მოხსენება, წარდგინება და კეთილად ვიყავი განწყობილი არ შემეძლო არ თანამეგრძნო მისთვის, რადგან ამგვარი სამუშაო, ნაცისტური პოლიტიკის გამო ნებისმიერი ადამიანისათვის ძნელი იქნებოდა. ა. დოლინი თავის კლასიკურ წიგნში ალბათ მეტისმეტად მკაცრად მსჯელობს გენერალ რ. ფონ ჰეიგენდორფზე, როცა ამბობს, ის „პოლიტიკური არარაობა“ იყო და ფეხოსანთა 162-ე დივიზიასაც წარუმატებლად მიიჩნევს. ამ დივიზიას ისე კარგად არ ვიცნობ, რომ აზრი გამოვთქვა, თუმცა ის კი ვიცი, რომ 1944 წელს ფონ ჰეიგენდორფი სპეციალურად გაემგზავრა იტალიაში დივიზიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ჰეიგენდორფის მოხსენების მიხედვით, მანაც კარგად იცოდა ნაცისტური მთავრობის დამანგრეველი ზემოქმედება აღმოსავლელ მოხალისეთა ლეგიონებზე. ის წერდა: „ჩვენი მოხალისეებისათვის ეროვნული კომიტეტები დევნილი მთავრობების ტოლფასი იყო. მათ შეეძლოთ ძალზე სასარგებლოდ ემუშავათ, ოღონდ საამისოდ გერმანულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შესაფერისი ფონი უნდა შეექმნა. პირველყოვლისა, საჭირო იყო დეკლარაცია, რომელშიც მოცემული იქნებოდა ჩვენს მხარეზე მებრძოლი აღმოსავლელი ერების მკაფიო პოლიტიკური მიზანი. სამწუხაროდ, ამგვარი დეკლარაცია არ გვექონდა. რაც გვექონდა, ისიც ყოველდღე იცვლებოდა.

ვინმეს რომ შესძლებოდა კომიტეტებისთვის ნათლად განემარტა, რომ გერმანია მიზნად არ ისახავდა მათ ფეხქვეშ გათელვას და რომ გერმანია დაეხმარებოდათ ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევასა და ძალადობისაგან განთავისუფლებაში, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა, ხალხთან მეგობრობისა და საქმიანი ურთიერთობის პაქტის დადება. მაშინ ეროვნული კომიტეტებს გარკვეული ექნებოდათ თავიანთი პოზიცია და მოხალისეთა შორის პროპაგანდას გაუწევდნენ ამგვარ მიზნებს—სიტყვითაც და პრესითაც. ჩვენი მხრიდან მკაფიო განმარტების არარსებობამ წარმოშვა უნდობლობა ეროვნული კომიტეტების წარმმართველებს შორის“.

აპრილის შუა რიცხვებში „ბერგმანის“ I/9, II/4 ბატალიონები, რუმინული ჯარები, გერმანული ჯარები და მოხალისეთა სხვა შენაერთები, სულ 67 000 კაცი, ევაკუირებული

იქნა ყირიმიდან—უმთავრესად ზღვით, სევასტოპოლის ნავ-  
სადგურიდან, მცირე დანაკარგით. საბჭოელებმა არამარტო  
წინ წამოიწიეს უკრაინაში—ყირიმის ჩრდილოეთით და სამხრე-  
თით, არამედ დაიპყრეს ყირიმის დიდი ნაწილი, ფეოდოსია,  
ევპატორია, სიმფეროპოლი, იალტა და ახლა სევასტოპოლს  
უტყვედნენ. სევასტოპოლმა 9 მაისამდე გაუძლო შემოტევას  
და ბოლოს საბჭოთა არმიას დანებდა. გერმანელთა ევაკუა-  
ცია მეორე პორტიდან—ხერსონიდანაც გრძელდებოდა და  
თვითმფრინავებითაც, მაგრამ გერმანულმა არმიამ მძიმე და-  
ნაკარგი განიცადა—დაახლოებით 78 000 კაცი დაიღუპა ან  
ტყვედ ჩავარდა. გარდა ამისა, ევაკუირებულთა შორის ბევ-  
რი დაჭრილი იყო. ყირიმიდან ევაკუაციის შემდეგ „ბერგმა-  
ნი“ მცირე ხნით რუმინეთში შეაჩერეს და შემდეგ რკინიგზით  
გადაიყვანეს საბერძნეთში, ათენის რაიონში. კაპიტანი ბრან-  
დი უკანასკნელ ბრძოლაში დაიჭრა და მეთაურობა დროებით  
კაპიტანმა ჰეინცმა გადაიბარა. ქართული ბატალიონები I/9  
და II/4 სამხრეთ საფრანგეთში, ალბი-კასტრეს რაიონში გაგ-  
ზავნეს ქართულ ლეგიონთან შესაერთებლად და უახლოეს  
მომავალში მათთან ჩასვლას ვაპირებდი. ამის შემდეგ, ალბათ  
ივნისსა ან ივლისში, ვაპირებდი მომენახულებინა „ბერგმა-  
ნი“ საბერძნეთში, ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს უძვე-  
ლესი დროიდან მდიდარი კულტურული და პოლიტიკური  
კავშირი ჰქონდა.

1944 წლის მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში ბევრ  
შეხვედრაში ვმონაწილეობდი. ერთ-ერთი იყო შეხვედრა ქარ-  
თული სამეკავშირეო შტაბის წევრებთან, პროფესორ ფონ  
მენდესთან და შეიარაღებულ ძალთა პროპაგანდის უწყებათა  
თანამშრომლებთან ლუდერიონთან და გაიოზ მალლაკელიძეს-  
თან. თითქმის ყველას, ვისაც შევხვდი, აინტერესებდა ჩემი  
სამთვიანი მოგზაურობის ამბავი არმიის A ჯგუფში („სამხრეთ-  
ში), განსაკუთრებით მოხალისეთა შენაერთებში. პროპაგან-  
დის უწყების თანამშრომლებს აინტერესებდათ, რაიმე შედე-  
გი იქონია თუ არა სამხედრო პროპაგანდამ. მათ კითხვებზე  
პასუხისას კიდევ ერთხელ გავიმეორე ჩემი საყვარელი სიტ-  
ყვები: „საუკეთესო პროპაგანდაა გერმანელთა მიერ ოკუპი-  
რებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის

და ლეგიონერებისათვის პირობების გაუმჯობესება და  
ზე წერა პროპაგანდისტულ პერიოდიკაში“!

თქვენს პუბლიკაციებში საზგასმით აღნიშნეთ, რომ შეც-  
ვლილი ვითარების მიუხედავად, ჩვენი მიზანი—საქართვე-  
ლოს განთავისუფლება უცვლელი რჩება. პროპაგანდისტებს  
უჭირდათ, ადამიანებისათვის ოპტიმიზმი ჩაენერგათ მაშინ,  
როცა გერმანიის არმია ყველგან უკან იხევდა.

ბერლინში რამდენიმე ქართულ ოჯახს ვენციე, მათ შორის  
ნინო ყაზბეგის ოჯახსაც. მისი ქალიშვილი, მარინა ფონ მოლ-  
ტკე ბერლინიდან სხვა ქალაქში მიემგზავრებოდა თავის პა-  
ტარა გოგონასთან, ნინოსთან („ლიკიბუშთან“). მარინა რკი-  
ნიგზის სადგურში წავიყვანე და გაჭედილ მატარებელში  
რის ვაი-ვაგლახით ვუშოვე დასაჯდომი ადგილი. რამდენიმე  
საათის შემდეგ, 1944 წლის 8 აპრილს, მიხო ალშიბაიასთან  
და ვალტერ ფონ კუცშენბახთან ერთად, პარიზს გევემგზავ-  
რე. ოცდაოთხ საათს ვიმოგზაურეთ. რკინიგზის სადგურზე  
დაგვხვდნენ ვალტერის ბიძაშვილები (რომლებიც დროებით  
პარიზში ცხოვრობდნენ) და მიშა კედიას თანამშრომელი კა-  
კო შავგულიძე. ჩვენი მთავარი მიზანი იმუამად იყო სამხრეთ  
საფრანგეთში ქართული ლეგიონის ნახვა, მაგრამ მანამდე  
პარიზში სხვა საქმეებიც გვექონდა მოსაგვარებელი. უნინდე-  
ლივით მამულაიშვილებთან (მიხოს მოყვრებთან) დავრჩით  
და მათი სტუმარ-მასპინძლობით დიდად ვისიამოვნეთ. აქ  
კვლავ შევხვდი ნოე ცინცაძეს და მასთან საინტერესო  
საუბარიც გავაგრძელე. მიშა კედიამ, რომელმაც პარიზში  
სულ რაღაც რამოდენიმე დღით ჩაგვასწრო, ვახშმად მიგ-  
ვიწვია. გავიცანი მისი ცოლი, ვალია, მათი მშვენიერი ქა-  
ლიშვილი ლიკა და ვაჟი—ზურაბი.

მეორე დილას კედიას შევუარე და ერთად წავედით დევ-  
ნილებთან—სახელმწიფო მდივან ევგენი გეგეჭკორთან და სხვა  
ქართველებთან შესახვედრად და სასაუბროდ. გეგეჭკორმა  
გვითხრა, ჩემი მხრივ, ვაცნობებ პრეზიდენტ ჟორდანიას (რომ-  
ლის ნახვასაც მოგვიანებით პირადად აპირებდა მ. კედია)

<sup>1</sup> პროპაგანდისტულმა უწყებამ გამოსცა გაზეთი „საქართველო“ გაიზო მალაქე-  
ლიძის რედაქტორობით. სამეკავშირეო შტაბის სამოქალაქო დეპარტამენტმა დოქ-  
ტორ გიორგი (გოგი) მალალოვის ხელმძღვანელობით ბერლინში გამოსცა კიდევ  
ერთი გაზეთი—„ქართველი ერი“.

თქვენი მოხსენების თაობაზე. მ. კედიამ, შინ რომ შევუარე-  
განზე გამიყვანა და გამოძიება, რას ფიქრობდნენ ჩემი გენ-  
მანელი მეგობარი ოფიცრები ყველა ფრონტზე შექმნილი  
მძიმე სამხედრო ვითარების გამო. ვუთხარი, ყველაზე უკეთ  
იქნას მივხვდი, რომ განწყობილება შეეცვალათ-მეთქი. ერთი-  
ორსღა თუ სჯეროდა ახალი გერმანული იარაღის „სასწაუ-  
ლებისა“, რაც, თუ გაამართლებდა, საქმეს გერმანიის სასარ-  
გებლოდ შემობრუნება. დანარჩენებს მაინც იმედი ჰქონდათ,  
ჯერ კიდევ არაა გვიანი, იქნებ რუსების გული მოვიგოთო.  
ეს თუ მოხერხდებოდა, აღმოსავლურ პოლიტიკას უკან უნდა  
დაეხია და გზა მიეცა გენერალ ვლასოვისა და მისი ან-  
ტისტალინური მოძრაობისათვის, რომელსაც გერმანული  
მთავრობა ხელს უწყობდა. თუმცა ერთმა მეგობარმა, რო-  
მელსაც ნაცნობობის ჩინებული წრე ჰქონდა და კარგად იყო  
ინფორმირებული, ჯერ კიდევ 1943 წლის გაზაფხულზე  
მითხრა, წარმოდგენა არა მაქვს, გერმანია როგორ შეძლებს  
ომის მოგებასო. ისიც იცოდა, რომ ვლასოვს „უმაღლეს ეშე-  
ლონებში“ მხოლოდ პროპაგანდისათვის იყენებდნენ. კედიამ  
მითხრა, ზოგი ჩემი გერმანელი მეგობრების აზრით, სწო-  
რედ ახლა თუ არ მოვიშორეთ ფიურერი და მისი დამქაშები,  
ესენი საბოლოოდ დალუპავენ გერმანიასო. ისიც უკითხავთ  
კედიასთვის, თუ საჭირო გახდა, ქართველები სპეციალური  
დავალებების შესრულებისას თუ დაგვეხმარებიანო. კედიას  
უპასუხია, ამ საქმეში ქართველები ვერ დაგვეხმარებიან, რადგან  
პირველყოვლისა, ეს მთლიანად გერმანიის შინაური საქმეა,  
მეორეც, ეს საქმე თუ ჩაიშალა, ესესი ქართველებს დაერევა  
და ვისაც მისწვდება, ყველას გაჟუჟავსო. „ამას იმიტომ  
გეუბნები,—დასძინა კედიამ,—რომ ზოგი ჩვენი გერმანელი მე-  
გობარი—თითქმის ყველა, ჰიტლერის პოლიტიკის მოწინააღ-  
მდეგეა—შეიძლება ასეთ რამეს ფიქრობდეს (მის გადაგდებას)  
და შეიძლება შენც მოგმართონ. მოვითხოვ, რომ ჩემსავით  
უპასუხო“. მერე გამაფრთხილა, საუბარი ჩვენს შორის უნდა  
დარჩეს, შეიძლება ეს ზედმეტი სიფრთხილით ნაფიქრი იყო-  
სო. მერე კედიამ საუბრის თემა შეცვალა და სხვა პრობლე-  
მებზე გადამატანინა ყურადღება.

კედია საფრანგეთში ქართველ ებრაელთა კოლონიაზე

წუხდა. მითხრა, გერმანელი მეგობრების დახმარებით, დე ვახერხებდით ჩვენი ებრაელებისთვის უსაფრთხოების ნარჩუნებას, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ვითარება უარესდებოდა, რადგან ვიშის რეჟიმი არ ეთანხმებოდა, რომ გერმანელები ქართველი და ზოგიერთი აღმოსავლელი ებრაელების ჯგუფებისთვის გამონაკლისს უშვებდნენ—ამ ჯგუფებს ებრაელებად არ მიიჩნევდნენ, არ აღნუსხავდნენ და ამით ხიფათს აცილებდნენ<sup>1</sup>. თუმცა გერმანელები არ უთმობდნენ და ქართველი ებრაელები რეგისტრაციას არ გადიოდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ვიშის მთავრობის წარმომადგენლებმა ისევ გააპროტესტეს გერმანელების მიერ ქართველი ებრაელებისათვის განუული შეღავათებით, თქვა კედამ.

×

იგი იძულებული იყო, საგანგებოდ მოეწყო სხვადასხვა ინსტანციები, რათა როგორმე ცალკეული პირები დეპორტაციისაგან ეხსნა. კედიას თქმით, საფრანგეთის მთელმა ქართულმა კოლონიამ ერთსულოვნად გადაწყვიტა ებრაელების გადარჩენა. კედიას ვურჩიე, თქვენს გერმანელ მეგობრებს ისიც უთხარით, რომ საფრანგეთში შექმნილ ვითარებაში ქართველ ებრაელებს თუ რამე მოუვათ, ეს დიდ გულგატეხილობას გამოიწვევს ჩვენს ლეგიონერებში-მეთქი. „ამას გეუბნებით, როგორც მათი ოფიციალური სპიკერი“. ეტყობა, ეს სიტყვები ქართული დონკიხოტური ტონით წარმოვთქვი, რადგან კედიამ კმაყოფილი ხმაურით და სიცილით უპასუხა და გადამეხვია.

მისო აღშობაიამ და გივი მაღალოვმა ადრევე განაცხადეს, რომ ამ საქმეში მხარს უჭერდნენ კედიას და დაადასტურეს, რომ ქართველი ემიგრანტები პოლონეთსა და გერმანიაშიც იზიარებდნენ ამ პოზიციას<sup>1</sup>. კედია სხვა პრობლემებზეც მელაპარაკა. საქმე ეხებოდა ქართველ ემიგრანტს, ვინმე შალვა ოდიშარიას, რომელიც იმჟამად გერმანიის საიდუმლო პოლიციაში მსახურობდა. მისი ფრანგებისადმი მოპყრობა ქარ-

<sup>1</sup> უორენ გრინი, აღმოსავლელ ებრაელთა ხვედრი ვიშის საფრანგეთში, უენერის ბიბლიოთეკის ბიულეტენი. იხ. აგრეთვე კედიას ბარათები ავტორის არქივსა და დამატებაში.

თველებს აღაშფოთებდა და უხერხულ მდგომარეობაში ატოვებდა, გარდა ამისა, ამ კაცმა საიდუმლო პოლიციაში ნაცხადა, მ. კედია ინგლისელების ჯაშუშიაო. მართალია, ამგვარი ბრალდება სრული სიყალბე იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა კედიასათვის სახიფათო აღმოჩენილიყო, ასე რომ, ყველა მეგობარი გაერთიანდა მის დასაცავად. ოდიშა-რიამ ისიც სცადა, ძირი გამოეთხარა ქართველ ემიგრანტთა კეთილგანწყობისათვის კედიასადმი, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუყარდა.

პარიზში ჩვენი სამოკავშირეო შტაბის ფილიალი ჟურნალის ხელმძღვანელობით ისევ წარმატებით მუშაობდა. ჟურნალთან რამდენიმე სხდომა გავმართეთ და დადგა დრო, მე, მიხო აღშიბაია და კუცშენბახი ალბი-კასტრეს რაიონში გავმგზავრებულყავით ქართული ლეგიონის მოსანახულებლად მატარებლით უნდა წავსულიყავით. სამეკავშირეო შტაბიდან შემოგვიერთდა მიხოს ბიძაშვილი, სერჟანტი კაკო (კონსტანტინე) აღშიბაია, იგი პარიზში ჩვენზე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა ბერლინიდან. ქართული ლეგიონის გერმანელი მეთაური ოფიცრები ხშირად იცვლებოდნენ. პოლკოვნიკი მახტი ამ თანამდებობაზე 1943 წელს დაინიშნა, მერე კასტრეში მოხალისეთა I სათადარიგო პოლკის მეთაურად დაანიშნა. პოლკის შემადგენლობაში იყვნენ ქართული, ჩრდილოკავკასიური და თურქმენული ლეგიონები. პოლკოვნიკი მახტი ლეგიონერთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. ეს კაცთმოყვარე, მომხიბვლელი, გულთბილი, დიპლომატის უნარით დაჯილდოებული, ავსტრიელი ჯენტლმენი როგორც ჩანს, ძალიან ზრუნავდა თავისი ჯარისკაცების კეთილდღეობაზე. მისი პოლკი ყოველმხრივ ჰეტეროგენული შენაერთი იყო. ამის მიუხედავად, პოლკოვნიკი მახტი მაინც ახერხებდა, სამივე ეთნიკურ ჯგუფთან საერთო ენის გამო-ნახვას, იქნებ, ამგვარი განწყობილება მემკვიდრეობით გამოეცა თავისი წინაპრებისაგან—წარსულში ავსტრიის იმპერია მრავალეროვნულობით გამოირჩეოდა. სათადარიგო შენაერთებში ჯარისკაცები და ოფიცრები ხშირად იცვლებოდნენ. ლეგიონს განსაკუთრებით დაზარალებულ საველე ბატალიონებს უერთებდნენ ხოლმე. დასვენების და დამატებითი წვრთნის შემდეგ, გონმოსულ ლეგიონერებს იარაღს ური-



გებდნენ და სხვადასხვა საველე ბატალიონებში მიაყვანი-  
ნებდნენ, რომლებსაც იმჟამად ცოცხალი ძალა აკლდათ. ზო-  
გიერთ ოფიცერს შესაბამის სამხედრო სკოლებში გზავნიდ-  
ნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

1944 წლის აპრილში, ალბი-კასტრეს რაიონი მშვიდი ად-  
გილი იყო და ლეგიონერები თავს კარგად გრძნობდნენ. ქარ-  
თველ ლეგიონერებს ცეკვისა და სიმღერის მშვენიერი ან-  
სამბლი ჰქონდათ მაყაშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენც ვი-  
სიამოვნეთ მათი წარმოდგენით, ძალზე საინტერესო იყო  
შეხვედრა პოლკოვნიკ ვლადიმერ (ლადო) შარაბიძესთან, რო-  
მელსაც ალბი-კასტრეს რაიონში 1943 წლიდან ეკავა ქარ-  
თველი ლეგიონის ქართველი მეთაურის თანამდებობა. შა-  
რაბიძეს ფრუნზეს სამხედრო აკადემიასა და წითელი არმი-  
ის გენერალური შტაბის აკადემიაში ჰქონდა მიღებული გა-  
ნათლება, 1941 წლამდე წითელი არმიის გენერალურ შტაბში  
მუშაობდა. იმავე წლის ბოლოს გერმანულმა არმიამ ტყვედ  
აიყვანა. იმჟამად შარაბიძე საბჭოთა ფეხოსანთა პოლკს მე-  
თაურობდა, მაღალი საბჭოური წოდებები ჰქონდა, ამის  
მიუხედავად, იგი ქართულ ლეგიონს შეუერთდა. იგი გულ-  
წრფელი, ღირსეული და გონიერი ჯენტლმენი გახლდათ,  
პოლკოვნიკ მახტის ნდობა ჰქონდა დამსახურებული<sup>1</sup> და ლე-  
გიონერების სიყვარულითაც სარგებლობდა. სამწუხაროდ, იგი  
დასნეულებული იყო. გავიცანით მისი რუსი ცოლიც, რომე-  
ლიც ჩინებულად უვლიდა ქმარს თავიანთ ბინაში. შარაბიძის  
ამბავი ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ამბობდნენ  
უარს წითელი არმიის ოფიცრები სტალინსა და მის მთავ-  
რობაზე.

ქართული ლეგიონერებისადმი ჩემი მიმართვა დიდად არ  
განსხვავდებოდა საველე ბატალიონში წარმოთქმული სიტ-  
ყვებისაგან, და მაინც, ამჯერად ლეგიონერებს გავუზიარე  
არმიის A ჯგუფის (სამხრეთ-დასავლეთში) სამთვიანი შემოვ-  
ლის შთაბეჭდილებები, დამსწრენი დიდი ყურადღებით მის-  
მენდნენ, ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ პა-  
ტარ-პატარა ჯგუფებს შევხვდით შინაურულად სასაუბროდ,

<sup>1</sup> ერთ-ერთი ლეგიონერი იყო სერჟანტი პეტრე ხვედელიძე—შარაბიძეების ოჯახის  
მეგობარი, რომელიც, იმედია, მემუარებში მეტს იტყვის პოლკოვნიკ ლადო შა-  
რაბიძეზე. მე მგონი, სწორედ ახლა უნდა წერდეს მემუარებს, სადაც მოთხრობილია  
ლეგიონში მომხდარი ამბები დასავლელ მეკავშირეთა ოკუპაციასთან დაკავშირებით.



ბოლო საღამოს ლეგიონის ოფიცრებმა სუფრა გაგვიშვეს, რამდენიმე მანდილოსანიც მოიწვიეს, ჩვენი ლამაზი ბარონი ვალტერ ფონ კოცმენბახი ცეკვისას შეუდარებელ პარტნიორობას უწევდა მომხიბვლელ ქალბატონებს, მალე ჩვენი პატარა ჯგუფი პარიზის გავლით, საბრძოლველად გამზადებული, ბერლინში დაბრუნდა.

ბერლინში ვალტერ ფონ კუცმენბახმა გამაცნო თავისი ბიძაშვილი იოაჰიმ ფონ კუცმენბახი. იგი ყალმუხ მოხალისეთა შენაერთს მიამაგრეს (თუ მეხსიერება არ მღალატობს, ცხენოსანთა კორპუსით) მთარგმნელად, ოფიცრის წოდებით. ყალმუხებისადმი თანაგრძნობით იყო სავსე და რაც შეეძლო, ცდილობდა მათ დახმარებას. იოაჰიმი ჩრდილო კავკასიაში დაიბადა და გაიზარდა, იქიდან, სხვა კუცმენბახებზე, ბოლშევიკების შემოსავლის გამო წამოვიდა, ცოლად ჰყავდა ქალიშვილი ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულიუსისა, მეექვსე არმიის მეთაურისა, რომელიც რუსებმა დაატყვევეს სტალინგრადთან ბრძოლისას. მოგვიანებით ფელდმარშალი გახდა წევრი საბჭოელთა მიერ შექმნილი „გერმანიის განთავისუფლების კომიტეტისა“, რომელსაც რუსები ომის პერიოდში პროპაგანდისტული მიზნებით იყენებდნენ. პაულიუსის ოჯახი მძიმე დღეში იყო, ბედმა არც ეს აკმარათ და ომის დასასრულს იოაჰიმ ფონ კუცმენბახიც დაიღუპა. ბიძაშვილები ძალიან ახლოს იყვნენ და ჩემი მეგობარი ვალტერიც ძალიან დარდობდა. უამრავ საქმეს ვაძლევდი (ჩვენი შტაბის მეკავშირე ოფიცერი იყო), რათა გაადვილებოდა თავის უბედურებასთან გამკლავება. საბედნიეროდ, ვალტერი შეხვდა რუსულის მცოდნე მშვენიერ ქალბატონს, მის ბერტლის, რომელი *Ostministerium*-ის კავკასიის დეპარტამენტში მდივნად მუშაობდა. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მალე ერთმანეთი შეუყვარდათ, იქორწინეს და ომის შემდეგ ბავარიაში, ბადრეიჩენჰოლში დასახლდნენ, ლამაზი გოგონა ჰყავდათ.

ბერლინში უამრავი შენობა დანგრეული იყო და ბინის შოვნა ძალიან ჭირდა, მაგრამ მიხო ალშიბაიამ მაინც გაახერხა რალაც. ჩვენს მეზობლად აღმოჩნდა რამდენიმე ბინა სახლის იმავე მესამედში. ორი მესამედი დაბომბვისას დაინგრა. მიხომ ეს ბინა სკოლის მეგობრის, მისის ინგე სიგელის (თანამედროვე ცნობილი გერმანელი სიმღერების ავტორის ცოლის) წყალობით იშოვნა. მან თავისი დიდი ბინის ნაწილი მიხოს

მიაქირავა. ხშირად სამივე ვსაუბრობდით—არცთუ ურიგოდ, მაშინდელი გაჭირვების კვალობაზე. მე და მიხოს გვაკვებდა ბერლინელების საზრიანობა და უნარი, ემოქმედათ და თითქმის უსაშველო ვითარებაში გადაერჩინათ აუცილებელი ნივთები.

დილით ჩვეულებრივ ექვსის ნახევარზე ვდგებოდი, ვვარჯიშობდი და ერთი საათით შორიასლო პარკში მივდიოდი სარბენად. იქ მიხვეულ-მოხვეული სანგრები ჰქონდათ ამოთხრილი იმ შემთხვევისათვის, თუ კაცს საჭაერო თავდასხმა მოუსწრებდა. ბრიტანელები ღამით ბომბავდნენ ქალაქს, ამერიკელები—დღისით. ვეცადე, მიხოც ამეყოლებინა დილაობით სავარჯიშოდ, ერთი-ორჯერ წამომყვა და მერე ამ საქმის ხალისი დაკარგა. ამით ძალიან გაანზილა დედამისი, ბარბარა, რომელსაც მტკიცედ სჯეროდა სუფთა ჰაერისა და ასეთი რამეების სარგებლობა; ქალი პოლონეთში ცხოვრობდა და დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე მიხოს მოსანახულებლად.

მეზობლებს, ჩვეულებრივ, საჭაერო თავდასხმების დროს ვხვდებოდით თავშესაფარში. მათ შორის იყო კოლარზების ოჯახი. მამა კოლარზი, წარმოშობით გერმანელი, რუსეთში იყო დაბადებული და ცოლად სომეხი ქალი ჰყავდა. მათი ერთადერთი შვილი თოთხმეტი-თხუთმეტი წლის იქნებოდა. თავაზიანი, წესიერი, საინტერესო ხალხი იყო. ბევრ რამეზე ვსაუბრობდით. ომის შემდეგ, ორმოცდაათიან წლებში, რამდენიმე ამერიკული და გერმანული წიგნის ბიბლიოგრაფიაში დამონმებული იყო ვალტერ კოლარზის სტატიები საბჭოურ თემებზე. მაშინვე ვიფიქრეთ, რომ ეს ჩვენი პატარა მეგობარი იყო ბერლინური თავშესაფრიდან—გვესიამოვნა.

მე და მიხო სამეკავშირეო შტაბის ოფისში მეტროთი მივდიოდით 8 საათზე. დღის წესრიგი წინასწარ მზადდებოდა, თუმცა ხშირად გაუთვალისწინებელი საქმეებიც გვქონდა. ათასგვარი პრობლემების გამო გვაკითხავდნენ. ვინ ბერლინში გავლით იყო, ვინ საგანგებოდ ჩამოდიოდა დახმარების სათხოვნელად ან მნიშვნელოვანი ახალი ამბების ჩამოსატანად. ყველას გულითადად ვხვდებოდით და ვცდილობდით, რითაც შეგვეძლო, დავხმარებოდით და ხელი გაგვემართა. რამდენადაც ვიცე, იშვიათად თუ გაგვიზილებია ვინმე და არავინ გაგვიშვია ისე, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მაინც არ

შეხვედროდა. მიხო განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და კეთილშობილებას იჩინდა.

ერთ დღეს მიხომ გამაცნო თავისი მეორე, უმცროსი და რუსუდან ალშიბაია. იგი მიუნხენის უნივერსიტეტში ეკონომიკას სწავლობდა და სადოქტორო თემაზე მუშაობდა. თემის სათაური იყო—არც მეტი, არც ნაკლები—„საბჭოთა სოფლის მეურნეობა საქართველოს გამოცდილების შუქზე“. მიუნხენში, როთის პანსიონში ცხოვრებისას, მიხოს და მშვენიერ გერმანელ ყმანვილ ქალს, ჰერტა პფერდმენგეს დაუმეგობრდა, რომელმაც რუსუდანი თავისი მშობლების მამულში (რიტერ-გუტში) მიიწვია ბერლინის ახლოს, ჰილპრესტშაუზენში. რუსუდანი ბერლინში ძმის სანახავადაც ჩამოვიდა. თემისათვის ბერლინის ბიბლიოთეკაში ლიტერატურის მოსაძებნად და ამ საქმეში რამდენიმე ქართველთან შესახვედრადაც<sup>1</sup>.

მიხომ მკითხა, ხომ ვერ მოახერხებ შაბათ-კვირას შეემენაცვლოო,—თვითონ სხვა საქმე ჰქონდა—რუსუდანს დედასთან—ნილო ყაზბეგთან გაჰყვე და მერე ქალაქი დაათვალიერებინოო. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან მიხოს და ძალზე საინტერესო პიროვნება იყო და მისგან თავიდანვე ბევრი რამ შევიტყე მათ ოჯახზეც, პფერდმენგეებზეც და საბჭოურ აგრონომიაზეც.

რუსუდანმა, როცა გაიგო, რომ საბერძნეთში უნდა გავმგზავრებულიყავი ვენის გავლით, მითხრა, ალბათ გენდომებათ ჩემი უფროსი დის მარტას ნახვაო. მარტა ვენის სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდა. „ლამაზი არაჩვეულებრივი ბუნების გოგოა“—დასძინა რუსუდანმა. ერთი სული მქონდა, მარტას შევხვედროდი. რუსუდანმა პფერდმენგეების ოჯახზე მითხრა, გამორჩეული ხალხიაო. ქსოვილის კარგად აწყობილი ნარმოება ჰქონდათ. ჰერტას ძმა და ოთხი და ჰყავდა, ყველას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. მათ მშობლებს ამერიკა უყვარდათ და ომის წინ სამი ქალიშვილი მანქანით სამოგზაუროდ გაგზავნეს ამ ქვეყანაში. მეოთხე ჯერ სწავლობდა. მოგზაურობამ ყმანვილ ქალებს ბევრი რამ შესძინა.

„კაპიტალისტი“, ბატონი პფერდმენგე, მას მზრუნველობას

<sup>1</sup> რუსუდანს პოლონეთის უნივერსიტეტში შესვლა ერჩივნა, რადგან მისი ოჯახი ვარშავაში ცხოვრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სამოქალაქო ნაციტურმა მთავრობამ იქ ყველა უნივერსიტეტი დახურა.

არ აკლებდა, ამის ერთ-ერთი მაგალითი გახლდათ, რომ მან  
გადაწყვიტა თანამშრომლებისათვის ვეება, უღიმღამო, დამ-  
თრგუნველი საერთო საცხოვრებლის ნაცვლად პატარ-პატა-  
რა კოსტა სახლები აეგო. სწორედ ბატონმა პფერდმენგემ  
მისცა რუსუდანს კარლ კაუციკის<sup>1</sup> უჩვეულო, გერმანულად  
დანერილი წიგნი 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქარ-  
თველოში აგრარული რეფორმების შესახებ.

ჰერტას ოჯახში, სოფლურ, წყნარ გარემოში ჰილპრეხტმა-  
უზენში რუსუდანი მშვენივრად გრძნობდა თავს თემაზე მუ-  
შაობისას. ბერლინში იოლად დადიოდა მატარებლით. თემი-  
სათვის აუცილებელი მასალების მოსაძებნად. მე და მიხო  
ხშირად ვხვდებოდით, გვიყვარდა ერთად ყოფნა. მალე რუ-  
სუდანი ჩვენმა მეგობრებმაც უკეთ გაიცვენეს და ძალიან მო-  
ეწონათ. მოგვიანებით გამოტყდნენ, თურმე სულ ელოდნენ,  
როდის დავინიშნებოდით მე და რუსუდანი. როცა ჩვენ ორი-  
ვენი რუსულ რესტორანში („მედვედ“) შევდიოდით, იქ მომუ-  
შავე ქართველები—მოსე იმნაიშვილი, სანდრო კორძაია და  
ერეთეოზ რამიშვილი გაბრწყინებული სახეებით და ბედნიე-  
რი ღიმილით გვხვდებოდნენ. სასადილოდ შემოსული ქარ-  
თველებიც ასე იქცეოდნენ. ორივენი ვგრძნობდით, რომ თვალს  
არ გვაშორებდნენ და აღარ ვიცოდით, ხელები სად წაგვე-  
ლო. კეთილმოსურნეთა ამგვარი დამოკიდებულება ახალგაზ-  
რდა წყვილებისადმი უფრო თვალსაჩინოა პატარა, გაქრობის  
პირას მისულ ერებში, მაგალითად, ებრაელებსა და ქართვე-  
ლებში. მე და რუსუდანს ერთმანეთი ძალიან მალე შეგვიყ-  
ვარდა (ჩემდა საბედნიეროდ); ორმოცდაშვიდი წლის მერეც  
დარწმუნებულები ვართ, თავიდან რომ შეიძლებოდას დან-  
ყება, ყველაფერი ისევ ისე მოხდებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენი სამეკავშირეო შტაბი და  
გენერალი კიოსტრინგი დიდ ყურადღებას უთმობდნენ ოფი-  
ცერთა კვალიფიციური, ადგილობრივი კორპუსის შექმნას  
და საამისოდ ოფიცრებს გერმანიის სამხედრო სკოლებში  
გზავნიდნენ. ჩვენც ხელს ვუწყობდით ოფიცრებსა და სერჟან-

<sup>1</sup> კ. კაუციკი იყო საქვეყნოდ ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომელიც  
საბჭოთა რუსეთის შეჭრამდე რამდენიმე თვით ადრე ეწვია საქართველოს სხვა  
გამორჩეულ ევროპელ სოციალ-დემოკრატებთან—რასმეი მაკდონალდთან, ე. ვან-  
დერველდთან, პიერ რენოდელთან, ლ. დეუ ბრუკერთან და ს. პიუსმანთან ერთად.  
ქართულმა ექსპერიმენტმა ამ ადამიანზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

ტებს, რომ რაც შეიძლება ხშირად დაგვკავშირებოდნენ. თავის მხრივ, სამეკავშირეო შტაბის ოფიცრებიც „შეუვლიდნენ“ ხოლმე სამხედრო სკოლებს და იქაურობის ამბავს იგებდნენ. მე თვითონ პირადად ვხვდებოდი ქართველ ოფიცრებს, სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა—მაგალითად, შევხვდი სამხრეთ საფრანგეთში სამხედრო სასწავლებლის ბიცშის კურსდამთავრებულებს. საბერძნეთისაკენ მგზავრობისას პოზნანში გავჩერდი ოფიცერთა სკოლის სანახავად. თავიდან ეს სკოლა ბერლინის ახლოს მდებარეობდა, მაგრამ ხშირი საჰაერო თავდასხმების გამო პოლონეთში, პიზნანში გადაიტანეს. ერთი-ორ დღეს იქ გავჩერდი, რამდენიმე კლასი შემოვიარე, საველე წვრთნაც ვნახე, კმაყოფილი დავრჩი წვრთნათაც და გერმანელი ინსტრუქტორების მაღალი დონითაც იქ შევხვდი არჩილ (აჩიკო) დადიანს, ჩემს ძველ მეგობარს „ბერგმანიდან“, ძმისწულს მიხეილ (მიშა) დადიანსა, რომელიც ცხენოსანთა ესკადრონს მეთაურობდა, აგრეთვე გივი ფორაქიშვილსა და ლეო მეტრეველს.<sup>1</sup>

პოზნანიდან ვენაში გადავფრინდი, მაგრამ იქიდან საბერძნეთში გაფრენა ვერ მოვახერხე, რადგან თვითმფრინავების აფრენის დრო გაურკვეველი იყო. ასე რომ, 7.00 საათზე ჩავჯექი „აღმოსავლეთის ექსპრესის“ ტიპის ათენის მატარებელში, რომელიც სერბიის, ბულგარეთის გავლით მიდიოდა. ვენაში, არმიის შტაბ-ბინაში, გამაფრთხილეს, გზაზე პარტიზანები არიან და რკინიგზაზე აფეთქებები ხდებაო. მართლაც, პარტიზანებს იუგოსლავიის ტერიტორიაზე ცოტა ხნის წინ აუფეთქებინათ ჩვენი სარკინიგზო ხაზი, ასე რომ, იძულებული გავხდით, გარკვეული მანძილი წყვდიადში ფეხით გაგვევლო, რათა გადავმსხდარიყავით სხვა მატარებელში, რომელიც დაუზიანებელ გზაზე გველოდებოდა.

იუგოსლავიის დედაქალაქს, ბელგრადს, 2 სთ-ზე მივალწით და სამხედრო კომიტეტის დახმარებით ბილეთები ვიშოვეთ მეორე დილის 9 სთ-იან რეისზე, რომელიც სალონიკში, ეგეოსის ზღვის ჩრ. ნაპირზე, საბერძნეთში მიფრინავდა. ბელ-

1. სამივემ ლეიტენანტის წოდებით დაამთავრა სკოლა და II/198-ე ქართულ ბატალიონში გაიგზავნა. ბატალიონი იმჟამად იტალიაში იყო, ვერონაში. მათ ირავლი კონტრიძესა და ზურაბ აბდუშელთან (აბდუშელიშვილთან) ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ბატალიონის გაძლიერებასა და განმტკიცებაში. ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.



გრადში დარჩენილი დრო სასეირნოდ გამოვიყენე. სამეფო სასახლესთანაც ვიყავი. სალონიკიდან ათენში ფრენას მიხალისებდა ბერგმანელი მეგობრებისა და ლეგენდარული ქალების ნახვის მოლოდინი. ცდუნებას ვერ გავუძელი. ათენის აკროპოლისთან სამჯერ ავედი პართენონისა და დიონისოს თეატრის სანახავად. რესტორანში სადილობისას რაღაც ქართული „იავნანას“ მსგავსი შემომესმა, მხოლოდ მიმსგავსებული მელიოდა კი არა, ქართული სიტყვებიც—„ნანა“ და „ნანი-ნა“—აშკარად მესმოდა. ოფიციალტმა მითხრა, ამას კუნძულ კრეტაზე მღერიან, მომღერლებიც იქაურნი არიანო. ყველგან ვგრძნობდი, რომ ბევრი რამ მქონდა საერთო საბერძნეთთან და ბერძნებთან. გული მწყდებოდა, რომ ტურისტულად არ ვიყავი აქ. ყირიმიდან გემით წამოსული „ბერგმანი“ რუმინეთში ჩამოსულა, მერე რკინიგზით საბერძნეთში, ათენის რაიონში გადავიდნენ. ორი რაზმი ქალაქის გარეუბანში, სკოლის შენობაში დაბინავდა, დანარჩენი—ახლომახლო ქალაქებში. საწვრთნელ მანევრებზე ხშირად გადიოდნენ მშვენიერ გორაკებსა და მთებში.

სასიამოვნო იყო მეგობრებთან შეხვედრა. კაპიტანი ბრანდი ისევ ჭრილობებს იშუშებდა. „ბერგმანის“ რაზმებს მე და ბრანდის შემცვლელი, კაპიტანი ჰეინცი ვენციეთ. შემდეგ ვიქტორ ხომერიკთან, მიშა დადიანთან, გოგლა ვაჩნაძესთან და შალვა ოქროპირიძესთან ერთად ჯარისკაცებს შევხვდი. მეორე დღეს ათენში გენერალ ფელმის ვესაუბრე, რომელსაც „ბერგმანი“ უნდა შეემონებინა. გულთბილი, სასიამოვნო, კეთილგანწყობილი ჯელტმენი იყო. გენერალს შემონებებზე გავყევი, შემდეგ მე და ხომერიკი თავის ოფისში მიგვიწვია და გულახდილად ვისაუბრეთ. გენერალმა კარგად იცოდა, თუ რა განსაკუთრებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ მოხალისე ჯარისკაცები და დავრწმუნდით, რომ იგი ყველაფერს იღონებდა მოხალისეთა დასახმარებლად. ხომერიკი, რომელსაც წინ გენერალი ადრევე იცნობდა, მშვენივრად ეწყობოდა გენერალსა და მის შტაბს. „ბერგმანის“ ჯარისკაცები ისევ მხნედ იყვნენ და წესრიგსაც იცავდნენ, იმის მიუხედავად, რომ სამხედრო ვითარება გერმანიისათვის ყველგან არასახარბიელო იყო. სწორედ ექვსი დღის წინ (1944 წლის 6 ივნისს) ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარები ნორმანდიის სანაპიროზე გადმოსხდნენ და გამაგრდნენ, ცოტა

ხნით ადრე კი დასავლელ მეკავშირეთა ჯარები რომში შევიდნენ და გერმანელები იტალიიდან უკან იხევდნენ.

„ბერგმანის“ ჯარისკაცებს განუწყვეტილად, ყოველ ნაბიჯზე ახვედრებდნენ მარჯვედ შედგენილ პროპაგანდისტულ ფურცლებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, ბერძენი მემარცხენე პარტიზანები ავრცელებდნენ. ფურცლებში აღწერილი იყო გერმანელების არასახარბიელო სამხედრო მდგომარეობა. პარტიზანების მხარეს გადასულ ჯარისკაცებს კარგ მიღებასა და მომავალს ჰპირდებოდნენ, თუმცა, რამდენიმე მოხსენებების მიხედვით, პარტიზანთა ხელში ჩავარდნილ დეზერტირებს პარტიზანები და საბჭოელი მეკავშირე ოფიცრები დაუყოვნებლივ აპყრიდნენ ხოლმე იარაღს და ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ ხვრეტდნენ. პარტიზანებს მხოლოდ იარაღი და ინფორმაცია ანალვლებდათ. „ბერგმანის“ ჯარისკაცებს თითქმის ყოველ დილით ხვდებოდათ მათ საცხოვრებელში მიმოფანტული ფურცლები და ერთხელაც კი ვერავინ დაინახა, ვინ და როგორ ავრცელებდა მათ. არავის ეხალისებოდა ცუდი ამბების ამ გაზვიადებული ვერსიის ყოველდღე კითხვა. გამონაკლისი არც „ბერგმანის“ ჯარისკაცები იყვნენ, თუმცა ყველას აინტერესებდა ფურცლების „უჩინარი“ გამავრცელებლების ვინაობა. ამ ცნობისმოყვარეობამ კინალამ შარში გაგვხვია.

ლეიტენანტმა ოქროპირიძემ გაიგო, რომ მისი ოჯახი ათენში, ნათესავებთან ცხოვრობდა. მალე ისიც მიიწვიეს. რასაკვირველია, ოქროპირიძემ „ბერგმანის“ სხვა ქართველების ამბავიც უამბო. ოჯახმა ვახშამი მოაწყო და მე და ხომერიკიც დაგვპატიჟეს. ნავედით, დიდად ვისიამოვნეთ და ნაშუალამევამდე დავრჩით. ჩვენს საცხოვრებლამდე გვარიანი მანძილი იყო, მაგრამ სამივემ ფეხით წამოსვლა გადავწყვიტეთ, რადგან მშვენიერი ხმელთაშუაზღვისპირული მთავრიანი ლამე იყო. ქუჩებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ათენის საქმიან რაიონს რომ მივუახლოვდით, მეზობელი ქუჩიდან უნომრო შავი, სამოქალაქო „ლიმუზინი“ გამოვიდა და ნელი სვლით გაგვისწრო. უეცრად შუა გზაზე, უკანა კარი გაიღო და მიმავალი მანქანიდან ფურცლები გადმოყარეს. სამივემ ერთმანეთს გადავხედეთ—„აჰა, აი როგორ შეაქვთ კომუნისტ პარტიზანებს ფურცლები „ბერგმანის“ საერთო საცხოვრებელში“.

„სდექ!“— დაიძახა ერთ-ერთმა ჩვენგანმა. მკაფიოდ და ძალიან





ხმამალლა, მაგრამ „ლიმუზინმა“ ყურიც არ შეიბერტყა. შემდეგ ერთ-ერთ ჩვენგანს გამაფრთხილებლად უნდა გაესროლა ჰაერში (რაკი მე ყველაზე დიდი იარაღი მქონდა, მე ვისროლე). დაუყოვნებლივ გვიპასუხეს, რასაც სრულიად არ ველოდით. „ლიმუზინი“ გაჩერდა, რამდენიმე კაცი გადმოვიდა და განრთხმულებმა გაგვიხსნეს ცეცხლი ავტომატებიდან. ტყვიების ზუზუნი ატყდა. სამივე დავწექით, რომ იოლი სამიზნის როლში არ აღმოვჩენილიყავით. ჯერ ცარიელ „ლიმუზინს“ დავუშინეთ ცეცხლი ყვირილით—„გამოდით და ხელები მალლა ასწიეთ!“—მაგრამ მონინააღმდეგე ისევ გვესროდა. მერე უფრო დაბლა გადმოვინაცვლეთ და მონინააღმდეგეებმა სროლა შეწყვიტეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მათ პოზიციებს „დავატყდით თავს“ და სამალავიდან გამოვედით. მალე სამხედრო პოლიციის კაპიტანი მოვიდა, რადგან სროლის ხმა გაუგონია. მადლობა ღმერთს, არავინ დაღუპულა, მხოლოდ ერთი კაცი გაკანრა ტყვიამ „ლიმუზინის“ მგზავრებიდან. პირველად სამედიცინო დახმარებაზე უარი თქვა, მაგრამ არ მოვეშვი. მერე და ვინ ისხდნენ ლიმუზინში? ჩვენი მონინააღმდეგეები (ოთხი-ხუთი კაცი) გერმანული სამხედრო პროპაგანდის უწყებიდან აღმოჩნდნენ.

რატომ ამოირჩიეს ასეთი უჩვეულო მეთოდი—ათენის მოქალაქეებს შორის ბერძნულად დანერგილი ლამეული „საიდუმლო“ პროპაგანდისტულ ფურცლების გავრცელება? პასუხი არ გასცეს არც ჩვენს და არც სამხედრო პოლიციის კაპიტნის კითხვებს. რატომ უნომრო, სამოქალაქო „ლიმუზინით“? სამხედრო პოლიციას რატომ წინასწარ არ აცნობეს ამ საქმეზე? ჩვენს მოთხოვნაზე რატომ არ გაჩერდნენ და საბუთები არ წარმოგვიდგინეს? რატომ გაგვიხსნეს მასირებული ცეცხლი ავტომატებიდან მხოლოდ ერთი გამაფრთხილებელი სროლის პასუხად?

სამხედრო პოლიციის კაპიტანმა საბუთები შეგვიმონმა და ჩვენებები ჩამოგვართვა. ვუთხარი, რომ მთელ პასუხისმგებლობას თვითონ ვკისრულობდი, რადგან ხომერიკი და ოქროპირიძე ბრძანებებს ასრულებდნენ. კაპიტანმა ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა, არაფერია, აშკარაა, რომ სამხედრო პროპაგანდის უწყებაა დამნაშავეო.

დილაადრიან „ბრძოლის ველი“ დავათვალიერე. ტყვიებმა

გვარიანად დააზიანეს მალაზიების ვიტრინები. ჩვენს ზურგს უკან ერთი ვიტრინა მთლიანად ჩამსხვრეული იყო. მალაზიის მეპატრონეს ვუთხარი, ანგარიში სამხედრო პროპაგანდის უწყებაში გაეგზავნა, რადგან ზარალი მათი ავტომატების ცეცხლმა გამოიწვია. გენერალმა ფელმიმ შუადღისას ჩემთან და ხომერიკთან შეხვედრა მოინდომა, სროლის ამბავი მასაც აცნობეს. გენერლის „ვერდიქტი“ სამხედრო პოლიციის კაპიტნისას დაემთხვა. გენერალი გაკვირვებული იყო, რომ სამმა მოვახერხეთ ჩვენზე უკეთ შეიარაღებული ხალხით სავსე „ლიმუზინის“ განიარაღება. ძალიან მინდა, „პროპაგანდისტები“ ველზე სანვრთნელად გავგზავნო, მათგან კარგი ჯარისკაცები დავაყენო და პროპაგანდისტული უწყება საერთოდ გავაუქმოო—გვითხრა გენერალმა ერთმანეთს საუკეთესო სურვილებით დავშორდით.

„ბერგმანის“ ოფიცრებიდან მხოლოდ მიშა დადიანი ვერ გამოიყურებოდა ჯანმრთელად, ჩვეულებრივზე მეტს ახველებდა, ფერმკრთალი იყო, განერვიულებული, პირადად ჩემთან მოინდომა ლაპარაკი, პარიზში მცხოვრები ცოლის, თინა გომართელი-დადიანის დარდი ჰქონდა—იმჟამინდელ სამხედრო ვითარებაში (მითუმეტეს, რომ დასავლელი მეკავშირეები ნორმანდიაში გადმოსხდნენ), შეიძლებოდა ერთმანეთი ველარასოდეს ენახათ. მიშა გრძნობდა, რომ ქალს ჰკარგავდა. ძალზე ამაღელვა ვეტერანი, ბრძოლაში გულადი, გამონრთობილი ოფიცრის ნახვამ ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში. „რაიმე იღონე, სანამ დროა, თორემ სისულელეს ჩავიდენ“. დავპირდი, ცდას არ დავაკლებ, რომ შენ და თინა ერთმანეთს შეგყაროთ-მეთქი (საბედნიეროდ, ამ პირობის შესრულება მოვახერხე. ამაზე მოგვიანებით მოგახსენებ).

„ბერგმანის“ მე-4 რაზმში ქრონიკულად სნეული ჯარისკაცების სია გადმომცეს, რათა, ექიმების მიერ დადგენილი წესისამებრ, ეს ხალხი ლეგიონის თადარიგში გადამეყვანა, ამას მოჰყვა „ბერგმანის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრა სხვა პრობლემების განსახილველად. ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ იმჟამინდელ გაუარესებულ სამხედრო ვითარებაში ბალკანეთის ნახევარკუნძული „ბერგმანის“ ჯარისკაცებისათვის პოტენციური ხაფანგი იქმნებოდა. ოფიცრებს ვუთხარი, რომ ქართულ სამეკავშირეო შტაბსა და მოხალისეთა შენაერთის გენერალს ერთობლივად ყველაფერი უნდა

ელონათ „ბერგმანის“ გერმანიაში, შედარებით უსაფრთხოდ გილას გადასაყვანად. მინდოდა, ტყიან მთებში განლაგებული ქართული 843-ე შენაერთის ნახვაც. იქ მხოლოდ პატარა ვერტმფრენით შეიძლებოდა მიღწევა. 15 ივნისს, ძლიერი ქარის გამო, გაფრენა ჩაგვეშალა, მეორე დღეს ძრავაში რაღაც გაფუჭდა და შეკეთებას დრო სჭირდებოდა. ასე რომ, ამ შენაერთში გამგზავრება არ მოხერხდა.

მეორე დღეს, 17 ივნისს, ათენიდან სამხედრო სამგზავრო თვითმფრინავით სალონიკის, სოფიის (ბულგარეთი), ბელგრადის, ვენისა და დრეზდენის გავლით ბერლინში გავემგზავრე. ბერლინში 18 ივნისს ჩავედი, რამდენიმე დღის განმავლობაში ვხვდებოდი სასაუბროდ ჩემს კოლეგებს და თანამშრომლებს სამეკავშირეო შტაბსა და გენერალ კიოსტრინგის შტაბში, ვწერდი მოხსენებებს მგზავრობის შთაბეჭდილებებზე, ძალიან მაინტერესებდა მოხსენება ჩვენს ჯარებზე საფრანგეთში, სადაც ვითარება იძაბებოდა, ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა იქ გამგზავრება და შეძლებისდაგვარად დახმარების განევა, ოღონდ ჯერ ბერლინში უნდა მომეთავებინა საქმეები, მაგალითად, პოტსდამში, სადაც ქართველები დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს აღნიშნავდნენ. სიტყვა უნდა წარმომეთქვა (ტექნიკური პრობლემების გამო მაისის ნაცვლად შეხვედრა ივნისში გაიმართა). სხვა გამორჩეულ სტუმრებს შორის იყო მისის შარლოტ ფონ სიმენსი. შეხვედრაზე ის რუსუდანთან ერთად იჯდა. იგი რუსუდანის ოჯახის ახლო მეგობარი გახლდათ. კიდევ რამდენიმე მოხსენების შემდეგ სტუმრების წინაშე წარსდგა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი დავით კავსაძის ხელმძღვანელობით. რუსუდანმა გამაცნო მისის ფონ სიმენსი, რომელიც მაშინვე მომეწონა. ქალმა მკითხა, რუსუდანის მშობლებისა და მისი ოჯახის სხვა წევრებს თუ იცნობთო, ვუპასუხე, რომ მხოლოდ რუსუდანის დას ქეთევანს და ძმას მიხოს ვიცნობ-მეთქი. ამ კითხვიდან ჩემს მგზავრობაზე გადავედით, რომელიც საქმიანიც იყო და სასიამოვნოც. პრალაში უნდა შევხვედროდი ობერლენედერს „ბერგმანზე“ მოსალაპარაკებლად, უკან დაბრუნებისას კი ბალ-რეიჩენჰოლსა და ვენაში გავჩერდებოდი რუსუდანის ოჯახის გასაცნობად.

<sup>1</sup> ცნობილი გერმანელი გამომგონებლის და მენარმის ოჯახი.



25 ივნისს, ბალ-რეიჩენჰოლში, ბავარიაში, ვენწიე რუსუ-  
 დანის მშობლებსა და მის უმცროს დას თინას (ექიმს). მხოლოდ  
 ერთი დღით შევძელი დარჩენა უდროობის გამო. ბერლინი-  
 დან ლამის მატარებლით წასული ბავარიაში უთენია ჩავედი.  
 ბალ-რეიჩენჰოლი ლამაზ მთებში მდებარეობს და ცნობილი  
 გამაჯანსაღებელი კურორტია მინერალური წყლებით. რუ-  
 სუდანის მამას, მედიცინის დოქტორს, გრიგოლ ალშიბაიას,  
 რამდენიმე დაავადება ჰქონდა. თავდაპირველად ვენაში წა-  
 სულა ბრონქიალური ასთმისა და გულის „სისუსტის“ სამ-  
 კურნალოდ. იქ სიყვითლე შეეყარა და იძულებული გახდა,  
 სამ თვეს დარჩენილიყო. სიყვითლის გამო ბოლოს კარ-  
 ლსბადის მუნიციპალურ საავადმყოფოში იწვა, გამოჯანმრთე-  
 ლების შემდეგ კი ბალ-რეიჩენჰოლში ჩავიდა გაჭიანურებული  
 ბრონქიალური ასთმის გამო. 1944 წლის ზაფხულში, როცა  
 საბჭოთა არმია ვარშავას მიუახლოვდა, მისი ცოლი ბარბარა  
 კიზირია-ალშიბაია პოლონეთიდან თავის ქმართან წამოვი-  
 და ბალ-რეიჩენჰოლში.

მათი უმცროსი ქალიშვილი თინა, მიუნჰენის სამედიცინო  
 სკოლის კურსდამთავრებული, მშობლებთან ჩავიდა და ინ-  
 ტერნად დაიწყო მუშაობა ადგილობრივ საავადმყოფოში.  
 ალშიბაიები გამორჩეული ადამიანები იყვნენ, უჩვეულო წარ-  
 სულით.<sup>1</sup>

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რუსუდანის მშობლებსა  
 და თინას დიდი ხანია ვიცნობდი. ისინი იმთავითვე ძალიან  
 მომეწონა, აღმოჩნდა, რომ ჩვენს მშობლებს ქუთაისში რამ-  
 დენიმე საერთო მეგობარი ჰყავდათ. მალე საუბარი გამო-  
 ცოცხლდა, გულთბილად და საინტერესოდ ვილაპარაკეთ, ექიმი  
 მეტწილად ლოგინში იწვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლამა-  
 ზი, გამორჩეული კაცი იყო და მოგვიანებით „ძია სემს“ მა-  
 გონებდა. დედა, ბარბარა, მედიდური, თავშეკავებული ქალი  
 გახლდათ. ერთადერთხელ შეეტყო მღელვარება—ყელზე წი-  
 თელი ლაქები გაუჩნდა. თინა ლამაზი ქართველი ყმაწვილი  
 ქალი იყო, დამახასიათებელი დიდრონი, ყავისფერი თვალებით.  
 მრავლი წლის შემდეგ ჩვენი შვილები აღფრთოვანებით  
 ამბობდნენ, ამას და ამას „თინას თვალები“ აქვსო. ამგვარი  
 ქათინაური ჩვენმა გერმანულმა ძაღლმა, ფარიმაც კი დაიმ-

<sup>1</sup> იხ. დამატება გრიგოლ ალშიბაიას შესახებ.

სახურა. თინას სულაც არ სწყინდა ასეთი შედარება, რადგან თვითონაც ძალიან უყვარდა „ადამიანის საუკეთესო მეგობარი“ ინტერნობისას იგი ხშირად ეთათბირებოდა მამამისს თავის მძიმე ავადმყოფ პაციენტებზე და მისი დიდი სამედიცინო გამოცდილებით სარგებლობდა. თავშესაქცევი საყურებელი იყო, როგორ იჯდა ხოლმე მამის სანოლთან და დიდხანს ესაუბრებოდა ავადმყოფებზე. ოჯახის სხვა წევრები თინას აჯავრებდნენ, მამას „ლიმონივით წურავო“.

თინა და რუსუდანი ძალიან მეგობრობდნენ. მოგვიანებით თინამ გამანდო, თურმე ფიქრობდა, რომ ჩემი ოჯახში გამოჩენა დასთან დაშორებით ემუქრებოდა, ასე რომ, დიდად გულზე არ ვეხატებოდი. რაც შემეძლო, ვცდილობდი თინას გულის მოგებას, ძიუ-დოს გაკვეთილებიც კი ჩავუტარე, რომ თავის დაცვა შეძლებოდა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოგზაურობისას ვაპირებდი რუსუდანის მეორე, უფროს დასთან, მარტასთან შეხვედრას. იგი ვენის სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ ეს შეხვედრა გადაიდო. რუსუდანის მშობლებმა დანიშვნაზე თანხმობა მოგვცეს. ღამის მატარებელს გავყევი ვენაში, სადაც უთენია ჩავედი და ბოლოს მარტასაც შევხვდი. მას თავისი ანატომიის პროფესორის სახლში მოეხერხებინა ბინის შოვნა. ვენა ძალიან მოსწონდა. მარტამ მოახერხა თავისი ოჯახის რამდენიმე სპარსული ხალიჩის შენარჩუნება—ხალიჩები ვარშავიდან ვენაში გადმოიტანა თავისი პროფესორის სახლში. ამ ხალიჩებს საინტერესო ისტორია ჰქონდათ. მარტას ბიძა დედის მხრიდან კოკი (ავლიპი) კიზირია იმპერიული რუსეთის არმიის გენერალი იყო. I მსოფლიო ომის დროს მას სპარსეთის სამეფო არტილერიის შეკრება დაევალა. სპარსეთის მთავრობამ თავისი ხაზინის ნაწილი გამოჰყო მალაღლი სპარსული ხალიჩებისთვის. მას მერე, რაც ბოლშევიკებმა ჯერ რუსეთი დაიპყრეს და მერე საქართველო, კოკი კიზირია ბერლინში გადავიდა. მან გამოიყენა სპარსული ხალიჩების ცოდნა და გერმანიაში მათი იმპორტის ბიზნესი დაიწყო. აღშობაიებს მისგან ჰქონდათ ჩინებული ხალიჩები, რუსუდანი ბევრს მიაგობდა ბიძამისზე, კოკიზე, რომელსაც მთელი ოჯახი სულში იძვრენდა—ძალზე მომხიბვლელი კაცი ყოფილა.

სამხედრო საქმესა და ბიზნესშიც წარმატებები ჰქონდა,



გარდა ამისა, გერმანიაში ქართული კოლონიის პრეზიდენტად აირჩიეს, გამოცდილი სპორტსმენიც იყო და ნეკრიც პრესტიჟული სპორტული ორგანიზაციისა „შევარდენი“, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ჩამოყალიბდა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელდა. მე, სამწუხაროდ, არ მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი ძია კოკის, რადგან მას საქმიანი მოგზაურობისას ავიაკატასტროფამ ტრაგიკულად მოუსწრაფა სიცოცხლე. ვენაში მარტამ რკინიგზის სადგურამდე გამაცილა, სალაპარაკო ბევრი გვექონდა. ეს დაფიქრებული, გონიერი ქალი წუხდა თავისი უსახლკარო ოჯახის მომავალზე, კეთილშობილი იყო, ლამაზი. ვერ წარმომიდგენია მამაკაცი, ვისაც მასთან შეხვედრა არ დაატყვევებდა. დრო არ იცდიდა, მატარებელი გადიოდა პრალისაკენ, მოგვიანებით რუსუდანმა წამიკითხა ერთი ფრაზა მარტას წერილიდან: „რუსუდან, სასწრაფოდ გაჰყევი გივის“ ამ სიტყვებმა ამაღელვა.

პრალაში პროფესორ ობერლენდერთან, ფონ კუცშენბახთან და პროფესორ რაშპოფერთან შესახვედრად ჩავედი „ბერგმანის“ გამო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ობერლენდერი „ბერგმანის“ მეტაური ოფიცრის თანამდებობიდან მოხსნილი იყო, იგი არმიიდან გაისტუმრეს, გესტაპომ გამოძიებაში მისცა და შინაპატიმრობაში მოათავსა. მძიმე სასჯელისაგან მხოლოდ არმიისა და რამდენიმე გავლენიანი პირის ჩარევამ იხსნა. პიმლერის რისხვა გამოიწვია 1942-43 წლებში ობერლენდერის მიერ დაწერილმა რამდენიმე მემორანდუმმა, სადაც იგი ამხილებდა გერმანიის პოლიტიკას აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რადიკალურ ცვლილებებსაც სთავაზობდა ხელისუფლებას. „ბერგმანიდან“ მოხსნამ ობერლენდერს არ გაუქრო პასუხისმგებლობის გრძნობა „ბენგმანის“ ჯარისკაცების მიმართ. როცა პრალაში ჩავედი, ოთხი ბერგმენელი ვმსჯელობდით, თუ როგორ აგვეცილებინა „ბერგმანისათვის“ ბოლშევიკების ხელში ჩავარდნა, ვუამბე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე „ბერგმანის“ შემოვლისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე, ყველა დაგვეთანხმა, რომ „ბერგმანი“ პოტენციურ ხაფანგში აღმოჩნდა, ასე რომ, სანამ შესაძლებელი იყო, იგი უნდა გადაგვეყვანა ავსტრიაში ან გერმანიაში, უკიდურეს შემთხვევაში—იტალიასა ან დანიაში, სადაც გადარჩენის მეტი შანსი ექნებოდა. ყველა დარწმუნებული ვიყა-

ვით, რომ გენერალი კოსტრინგი და მისი შტაბი ყველა ფერს იღონებდა ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ობერლენდერის ძველი ურთიერთობები გავლენიან პირებთან ხელს შეუწყობდა გენერალ კოსტრინგს.

ბერლინის მატარებელი მეორე დღიამდე არ გადიოდა, ამიტომ, მე და ობერლენდერმა პრალაში გავისეირნეთ. არ შეიძლებოდა კაცი არ მოეხიბლა ჩეხოსლოვაკიის უძველეს დედაქალაქს, თუნდაც მაშინ, გერმანიის ოკუპაციის პერიოდში. ქალაქი მდინარე მოლდაუზუა განლაგებული და ლამაზი ხიდებითაა სავსე. გამოირჩევა შარლოს ხიდი თავისი ქანდაკებებით. შთამბეჭდავ შენობებს შორის დამამახსოვრდა ძველისძველი ციხესიმაგრე, წმინდა გიორგის ბაზილიკა და წმინდა ნიკოლოზის ტაძარი. პრალის უნივერსიტეტი (XIV საუკუნე) ევროპაში ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი იყო. იმჟამად პროფესორ ობერლენდერის ნება დართეს პრალის უნივერსიტეტში ეკონომიკაზე წაეკითხა ლექციები.

ბერლინის ოფისში ლეიტენანტმა შალვა ოქროპირიძემ წარმოადგინა მოხსენება, ბერგმანიდან მისი ჩემს ადიუდანტად გადმოყვანა ვითხოვე სამოკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტში. მას კარგად მუშაობაც შეეძლო ოფისში, ამ საქმეში ცოდნაც ჰქონდა და გამოცდილებაც, ხშირად უნდა ემოგზაურა (ფაქტიურად, ერთი მგზავრობა ნორმანდიაში უკვე დაგეგმილი მქონდა), ასე რომ, თავს ველარ გავართმევდი ქალაქდების მოწესრიგებას და ოფისში შედარებით უმნიშვნელო მოვალეობებს.<sup>1</sup>

ათენიდან ბერლინში მიმავალმა ოქროპირიძემ იტალიაში შეიარა და ქართული ლეგიონის II/198-ე ბატალიონს ეწვია. იმჟამად იქ ორი ქართველი ოფიცერი იყო—ლეიტენანტები ზურაბ აბდუშელიშვილი და ირაკლი კონტრიძე, ორივე ოფიცერი წარმატებით მსახურობდა. ოქროპირიძემ განაცხადა, რომ ბატალიონში სტაბილური ვითარებაა. მოგვიანებით, გენ-

<sup>1</sup> ოქროპირიძის ბერლინში გადმოყვანის კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი ის იყო, რომ დრეზდენის სამხედრო სკოლაში ყოფნისას ერთ გერმანელ გოგონას ურსულას (მისი გვარი აღარ მახსოვს) და ოქროპირიძეს ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინებაც უნდოდათ. ფაქტიურად, პრალიდან ბერლინში მომავალი დრეზდენში იმიტომ გავჩერდი (ეს ქალაქი ჩრდილო-დასავლეთით სამოცდაათი მილითაა დაშორებული პრალიდან), რომ ურსულასათვის მეცნობებინა, მალე შეხვედებით თქვენს უფლისწულს-მეთქი. ქორწილი დრეზდენში გადაიხადეს და მე და მიხო ალშიბაიაც დაგვპატიყეს.

რალ კიოსტრინგის შტაბიდან მთხოვეს II/198-ში დამატებით მიმეველინებინა კვალიფიციური ოფიცრები.

ივლისის დასაწყისში ბერლინში მენვია სამი ლეიტენანტი, რომლებმაც ის-ის იყო დაამთვარეს პოზნანის სამხედრო სკოლაში სწავლა: არჩილ დადიანი, გივი ფორაქიშვილი და ლეო მეტრეველი. წესისამებრ, თავდაპირველად ისინი საფრაგენტში, კასტრეში, ქართული ლეგიონის შტაბ-ბინაში უნდა ჩასულიყვნენ, საიდანაც საჭიროებისდამიხედვით გაგზავნიდნენ საველე ბატალიონებში. მაგრამ ა. დადიანი ძალიან წუხდა და ლელავდა, რადგან უნდოდა პარიზში თავისი საცოლე მარტა ამილახვარი ენახა. გენერალ კიოსტრინგის შტაბის დახმარებით მოვახერხეთ მათი მარშრუტი შეგვეცვალა: დადიანს შევებულება მისცეს და პარიზში გაგზავნეს, ფორაქიშვილი და მეტრეველიც მცირე ხნით ჩავიდნენ პარიზში, შემდეგ კი სამივე, კასტრეს გავლით, იტალიაში, II/198-ე ბატალიონში გაემგზავრა.

როგორც აღვნიშნეთ, პროფესორი ფონ მენდე, ფაქტიურად, დამოუკიდებლად მართავდა Ostministerium-ში კავკასიის დეპარტამენტს. იმჟამად, მენდემ, გარკვეული მოსაზრების გამო, მიიჩნია, აუცილებელია ხაზგასმა, რომ კავკასიელებს, ჩემთან ერთად, მინისტრი როზენბერგიც მხარს უჭერსო. ამდენად მენდემ მინისტრთან ქართული სამეკავშირე შტაბის წევრების მიღება მოაწყო, ეს მოხდა 1944 წლის 6 ივლისს. როზენბერგი საკმაოდ გულგრილი და გადაღლილი ჩანდა, თვალები ამოღამებოდა, ჩვენგან მას მხოლოდ გოგი მაღალოვი იცნობდა პროფესორი ა. ნიკურაძისაგან. მენდეს თხოვნით, მაღალოვმა დანარჩენებიც წარგვადგინა მინისტრთან, რომელმაც ხელი ჩამოგვართვა, კმაყოფილება გამოთქვა ჩვენი მეცადინეობისა და შრომის გამო და მალე წავიდა მენდესა და თავისი შტაბის რამდენიმე გერმანელის თანხლებით. იმავე საღამოს სამეკავშირეო შტაბში იყო დანიშნული შეხვედრა რამდენიმე საკითხის განსახილველად. მაგალითად, მე ვემზადებოდი საფრანგეთში მესამედ გასამგზავრებლად ორი მიზნით:

1. შემომეველო ქართული შენაერთები, უმთავრესად საბრძოლო ზონაში განლაგებული ჯგუფები, შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი მათ და აღმენუსხა ვითარება.
2. მხარში ამოვდგომოდი მ. კედიას, რაც აუცილებელი





იყო, რადგან იგი წარმატებით უწევდა მფარველობას მათთვის, რომლებიც ქართველ მოქალაქეებს, მათი პოლიტიკური მრწამსისა თუ წარმომავლობის მიუხედავად. ამჯერად, მე შემიძლო მას დავხმარებოდი, როგორც გერმანულ არმიამი ლეგიონერთა ოფიციალური სპიკერი. ბევრი ლეგიონერი ბრძოლებში იღუპებოდა და იმსახურებდა, რომ მათი სურვილები გამეთვალისწინებინა.

გერმანულ ხელისუფლებს ის მაინც შეეძლოთ, რომ პატივი ეცათ მებრძოლი ქართველების სურვილისთვის—მათი ძმები და დები უვნებლად გადარჩენილიყვნენ, იმავე ნიშნით, გერმანულ ხელისუფალთ უნდა ეჯობნათ ვიშის ფრანგული მთავრობის პასუხისმგებელი პირებისთვის, რომლებიც მტრულად ეკიდებოდნენ საფრანგეთში „აღმოსავლელ“ ებრაელებს და მათ რეგისტრაციას ითხოვდნენ (რაც წინაპირობა იყო მათი დეპორტაციისა და ჰიმლერის სიკვდილის ბანაკებში გაგზავნისა). კედია გაცოფებული იყო ამგვარი ტალღის განახლებით. ამბობდა, გველეშაპი სიკვდილის წინ კუდს მოიქნევს და დიდი სიფრთხილეა საჭიროო.

25 ივლისს პარიზის კოლონიამი შეხვედრა უნდა გამართულიყო და კედია მოითხოვდა, რომ ქართველ ლეგიონერთა მნიშვნელოვნების ხაზგასასმელად, ამ შეხვედრას ლეგიონერთა წარმომადგენელი—მათი ოფიციალური სპიკერიც დასწრებოდა.

მე და სერჟანტი ოფიცერი კაკო ალშიბაია (ჩემი საგანგებო თანაშემწე ამ მოგზაურობისას) ივლისის შუა რიცხვებში ჩავედით პარიზში. შევხვდი ქართული ემიგრაციის რამდენიმე ლიდერს, მათ შორის ევგენი გეგეჭკორს (დევნილ სახელმწიფო მდივანს), აკაკი ჩხენკელს (ყოფილ ელჩს საფრანგეთში), ა. ასათიანს და ე. პატრიძეს (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს), საქმეში ჩაერთნენ პ. სარჯველაძე (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი), ნიკო ურუშაძე (ფედერალური პარტიის წარმომადგენელი), კონსტანტინე გვარჯველაძე (ყოფილი ელჩი ინგლისში), ჟურული (პარიზში ჩვენი ფილიალის დირექტორი), საშა ქორქია (რომელსაც ქართულმა კოლონიამ დაავალა გაეცა ათასი საიდენტიფიკაციო ფურცელი ჩვენი ებრაელებისა და რამდენიმე არაქართველი ებრაელის სახელზე). ფურცლები ადასტურებდა, რომ ყველანი ქართველები იყვნენ. ამ მოწმობებს

საფრანგეთის პოლიცია იღებდა და მათ მფლობელებს  
სჭირდებოდათ ებრაელთა რეგისტრაციის გავლა.

კაკო შავგულიძე, მ. კედიას ბიზნეს-კომპანიონი, რომელიც  
ომის განმავლობაში პარიზში იყო, დანვრილებით გვესაუბრა  
პარიზში შექმნილ ვითარებაზე, გვიამბო ს. ოდიშარიას მტრულ  
ზრახვებზე. ოდიშარიას განზრახული ჰქონდა თავის შეიარაღებულ ხალხთან ერთად სკანდალის მონყობა ქართული კოლონიის სხდომაზე 25 ივლისს, მას უნდოდა საჯაროდ მიეყენებინა კედიასთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ვინ შეაჩერებდა ამ შეიარაღებულ ხალხს? ოდიშარიას ვაცნობეთ, რომ სხდომაზე მთავარი სპიკერი მე ვიქნებოდი, რომ თვითონაც ვაპირებდი იარაღით მისვლას და თუ საჭირო გახდებოდა, შეიარაღებულ ოფიცრებსა და ჯარისკაცებსაც ნავიყვანდი, შემდგომში მ. კედიაზე ყოველგვარ შეტევას მივიჩნევდი ჩემზე და ჩემს ხალხზე შეტევად. მეორე დღესვე დავით ვაშაძე მენვია, ის „ბერგმანის“ ყოფილი ჯარისკაცი გახლდათ, რომელიც კავკასიიდან უკანდახევის შემდეგ საკუთარი თხოვნით გადადგა. საფრანგეთის უფროსი ემიგრანტების მსგავსად, მე არ ვიცოდი, რომ პარიზში ვაშაძე ოდიშარიას ჯგუფს შეუერთდა (ჩემდა სამწუხაროდ), ახლა კი მის ნაცვლად მელაპარაკებოდა. ვაშაძემ მითხრა, ოდიშარიას და მის ხალხს თქვენი, მაღალოვის, მ. ალშიბაიას ან სამეკავშირეო შტაბის სხვა წევრების სანინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ მ. კედია სძულთო. მივუგე, არ ვაპირებ კედიას წინააღმდეგ ასეთი გამძაფრებული გრძნობების ძიებას, საქმე საქმეზე თუ მიდგა, უთუოდ კედიასაც ექნება სათქმელი, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება, კოლონიის შეხვედრაზე სკანდალის მონყობა კი არ ივარგებს-მეთქი, მერე გავუმეორე ვაშაძეს ის, რაც კედიას შევუთვალე: ჩვენ ამგვარ აურზაურს არ დავუშვებთ-მეთქი. ვაშაძემ ქართული დაჟინებით მთხოვა, დამდე პატივი და შინ მენვიე სავახშმოდო. ბოლოსდაბოლოს „ბერგმანიდან“ ამხანაგები ვიყავით და ა.შ. ამიტომ გამიჭირდა უარის თქმა. როგორც აღმოჩნდა, მისი სახლი ოდიშარიას ჯგუფის სიახლოვეს ყოფილა, სუფრასთან, ვაშაძის გარდა, მის რამდენიმე „ახალ ამხანაგთან“, მათ შორის, ოდიშარიასთან ერთად ამოყავი თავი. მანამდე ოდიშარიას არ შეეხვედროდი. პატივმოყვარე კაცის შთაბეჭდილება დატოვა, რომელსაც უნდოდა



ემიგრანტებს შორის იმ მნიშვნელოვანი ადგლის დაკავება რომელიც კედიას ეკუთვნოდა, მაგრამ არაფერი გამოსდროდა. მერე იფიქრა, ამას გერმანიის საიდუმლო პოლიციაში შესვლით მოვახერხებო. პოლიციის თანამშრომლობამ მატერიალური უპირატესობა და ძალაუფლების შეგრძნება მისცა, მაგრამ თვითდამკვრებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა ქართული ემიგრაციის პატივისცემისა და მხარდაჭერის მოპოვება სურდა. ასე რომ, გადანყვიტა კედია დაემცირებინა, ძირი გამოეთხარა და მისი ადგილი დაეჭირა. აქ, ჩემი აზრით, საერთოდ დაკარგა რეალურობის შეფასების უნარი, ასე თუ ისე, მოახერხა „დაებევებინა“ დავით ვაშაძე, რომელიც სჭირდებოდა, რადგან ვაშაძე უფრო განათლებული იყო და მტკიცე (თუმცა შეუსაბამო) პოლიტიკური ორიენტაციაც ჰქონდა.

ვაშაძე მჭევრმეტყველი კაცი გახლდათ, სტატიების გამოქვეყნება შეეძლო, გერმანული იცოდა, კავკასიის ფრონტზე, „ბერგმანში“ მსახურობდა. ოდიშარიამ რაღაც „საქართველოს კომიტეტის“ შექმნა მოინდომა, მაგრამ რამდენიმე კაცის მეტი ვერ შეკრიბა და ვერც ქართულ კოლონიაში მოიკიდა ფეხი. ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ აშკარად სცადა ჩემზე გავლენა მოეხდინა კედიას საწინააღმდეგოდ. ბოლოს, ამ შეხვედრისას, ოდიშარია და ვაშაძე მიხვდნენ, რომ არც ეს საქმე გამოუვიდოდათ და ვერც კედიას შეურაცხყოფას შეძლებდნენ პარიზში ქართული კოლონიის სხდომაზე. უკვე გვიანი იყო და იძულებული გავხდი, ღამით ვაშაძესთან დავრჩენილიყავი. მეორე დილით ადრიანად წამოვედი, მას მერე ვაშაძე და ოდიშარია ღარ მინახავს, კოლონიის სხდომაზე აღარ გამოჩენილან. ოდიშარიას ჯგუფის რამდენიმე წევრმა ბოლო რიგში დაიკავა ადგილები. ჩვენი სამხედროები გვერდთ დაუსხდნენ, ყოველი შემთხვევისთვის.

სხდომაზე ბევრი ხალხი მოვიდა. მ. კედია პირველ რიგში იჯდა, ტრიბუნიდან რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა. მე ჩვენს იმჟამინდელ მდგომარეობაზე ვილაპარაკე, I მსოფლიო ომის შემდეგ მიღებულ გამოცდილებაზე, როცა დაკარგული დამოუკიდებლობა აღვადგინეთ, ვილაპარაკე აგრეთვე ქართულ ლეგიონზე—მაშინ და ახლა, სამეკავშირეო შტაბის პრობლემებზე და იმაზე, თუ როგორ ვცდილობდით ამ პრობლემების



მოგვარებას, ვთქვი, რომ სამეკავშირეო შტაბი დამოკიდებული იყო ჩვენი გერმანელი მეგობრების მხარდაჭერაზე, მაგრამ უფრო მეტად—დასავლეთში ჩვენს კოლონიებზე, ბოლოს ყველას ვთხოვე, ერთიანობას გავუფრთხილდეთ—მეთქი. სხდომის შემდეგ უამრავი ხალხი მოდიოდა, ხელს მართმევდა, კეთილ განწყობას გამოთქვამდა და მადლობას მიხდიდა წარმოთქმული სიტყვისთვის. მიშა კედიას თვალები უბრწყინავდა.

21 ივლისს (სხდომამდე ოთხი დღით ადრე) კედია პარიზში, ჩვენს ფილიალში მენვია და მაცნობა, ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულება გუშინ ჩაიშალაო, ჩვენს რამდენიმე გერმანელ მეგობარზე დარდობდა, მათი სიცოცხლე საფრთხეშიაო. სამწუხაროდ, არ ცდებოდა, შტაუფენბერგი მყისვე დასაჯეს, მას მიყვნენ შულენბურგი და სხვები, კანარისი მეტხანს გადარჩა.\* მე ჰერკართზე ვდარდობდი, რადგან ვიცოდი მისი ანტიჰიტლერული შეხედულებები და შტაუფენბერგთან და შულენბურგთან სიახლოვეც. საბედნიეროდ და სასწაულით ჰერკართი გადარჩა, მაგრამ რამდენიმე ათასი პატრიოტი, საუკეთესო გერმანული ოჯახის შვილები, შეთქმულების გამო სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს ჩვენი ტრაგედიაც იყო და ვშიშობდი, რომ სამეკავშირეო შტაბის საქმიანობაზეც იმოქმედებდა. ადმირალ კანარისს ჯერ კიდევ პუტჩის წინ მიაყენეს დარტყმა. 1944 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ჰიტლერმა გამოსცა ბრძანებულება გერმანიის გაერთიანებული სადაზვერვო უწყების შექმნის თაობაზე, უწყებას უხელმძღვანელებდა ჰიმლერი. კანარისი აღარ იყო სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი—ფაქტიურად, დაზვერვის ნამდვილი უფროსი ახლა კალტენბრუნერი იყო, ჰიმლერი მთელი ესეის ხელმძღვანელი გახლდათ.<sup>1-2-3</sup> მას მერე, რაც პარიზში ჩამოვედი, ურთიერთობა მქონდა დასავლეთის ფრონტის უმაღლესი სარდლის შტაბ-ბინაში მოხალისეთა შენაერთების შტაბთან.

ჩვენს შეხვედრაზე, 1944 წლის ივლისში, მივხვდი, რომ ვითარება კრიტიკული იყო, განსაკუთრებით—ნორმანდიაში,

\* კანარისი აგვისტოს დასაწყისში დააპატიმრეს, ლამის ომის ბოლომდე ციხეში ჰყავდათ და 1945 წლის გაზაფხულზე დახვრიტეს.

<sup>1</sup> ა. დოლინი, გერმანული რეჟიმი რუსეთში „სენტ მარტინს პრუსი“, 1957, გვ. 28

<sup>2</sup> ჰეინც ჰეინე, კანარისი, 1976 Bertelsmann Verlag GMCH, მიუნხენი, გერმანია.

<sup>3</sup> ვალტერ შულენბურგი, ჰიტლერის საიდუმლო სამსახური. ნიუ ჯერსი, 07074.

რადგან აქ დასავლელი მოკავშირეები სწრაფად მიიწვედნენ წინ, ამდენად, მოხალისეთა შენაერთების დისლოკაციას ფრონტზე საკმაოდ ძნელი გახლდათ. 795-ე ბატალიონი მიამაგრეს შერბურის გერმანულ შენაერთებს, რომლებმაც ივნისის ბოლოს მძიმე ბრძოლები გამოიარეს.

მოხსენებების მიხედვით, ამ შენაერთებმა მძიმე ზარალი განიცადეს, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა, გადარჩენილები კი ტყვედ აიყვანეს. შერბურში გერმანელი გენერლებიც დაატყვევეს. ქართველმა ლეგიონერებმა სახელი გაითქვეს როგორც კარგმა და ღირსეულმა ჯარისკაცებმა.

ივლისის დასაწყისში, ნორმანდიაში სამხრეთით განლაგებული 797-ე ქართული ბატალიონიც ბრძოლაში ჩაება და ნელ-ნელა იხევდა უკან სამხრეთით გერმანელებთან ერთად. აქ გერმანული რაზმები განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს გრანვილის რაიონის სიახლოვეს. ამან საგრძნობლად შეაფერხა დასავლეთ მოკავშირეთა ჯარები, ალბათ რთულმა ადგილმდებარეობამაც გარკვეული როლი ითამაშა, მოკავშირეები სამხრეთ-აღმოსავლეთით, სენტ-ლოს მიმართულებით, ნელა მიიწვედნენ წინ, ივლისში ისინი გრანვილს მიუახლოვდნენ. ჩვენი გამოთვლებით, შეიძლებოდა ქართული 797-ე ბატალიონიც იმ რაიონში ყოფილიყო. დასავლეთის უმაღლესი სარდლობის მოხალისეთა შენაერთების დივიზიიდან ნებართვა მივიღე, მეპოვა 797-ე ბატალიონი და შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი მას. სარდლობას აინტერესებდა, ბატალიონს შესწევდა თუ არა ძალა, ემოქმედა მიმდინარე სამხედრო ვითარებაში. ამ საკითხის გადაწყვეტა მე მომანდეს, ისიც იცოდნენ, რომ შესაძლოა, ეს სასარგებლო ყოფილიყო სხვა ბატალიონებისთვისაც. 798-ისტვის, სენტ-ნაზარში, 799-ისტვის პერიოდში და II/4-ე ქართული ლეგიონისათვის კასტრეს რაიონში. ჩვენი მთავარი მიზანი ადამიანებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება იყო. სერჟანტმა ოფიცერმა დავით ალშიბაიამ, საფრანგეთში მოგზაურობისას ჩემმა სპეციალურმა თანაშემწემ, სურვილი გამოთქვა, ამ საბრძოლო რაიონშიც გამომყოლოდა, იგი კვალიფიციური, ბრძოლებში გამონრთობილი, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში ნამსახურევი უფროსი სერჟანტი გახლდათ და ფრანგულს სხაპასხუპით

ლაპარაკობდა, მტკიცე ხასიათი ჰქონდა, რასაც ქვემოთ მონიშნული მაგალითიც ადასტურებს!

29 ივლისს ლემანში მე-7 არმიის შტაბ-ბინაში გამოცხადდით და განმარტებებიც მივიღეთ ფრონტზე მოგზაურობის თაობაზე. მზის ამოსვლამდე მანქანით ჩავედით პერსიში, ავრანშიდან დასავლეთით. 77-ე დივიზიის შტაბ-ბინა ავრანშის ახლოს (გრანვილის სამხრეთ-აღმოსავლეთით) იყო. ვარაუდობდნენ, რომ ის პოლკი, რომლის ნაწილსაც შეადგენდა 797-ე ქართული ბატალიონი, გრანვილში ან შორიახლოს იქნებოდა, მაგრამ ვერ მივაგენით. ეტყობოდა, მეკავშირეთა ჯარებმა ის იყო, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ხაზი და სამხრეთით წინ წაიწიეს. ჩვენ ამ ადგილს, გრანვილსა და ავრანშს შორის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მივადექით, ესე იგი გერმანელთა მარჯვენა ფლანგიდან, სადაც მედესანტეები უტევდნენ.

ლამით ნელ-ნელა სიარული შეიძლებოდა, მაგრამ დილის 8 საათზე მეკავშირეთა საბრძოლო თვითმფრინავებმა დაბლა ფრენით დაიწყეს ჩვენი რაიონის პატრულირება და ყველა მიმართულებით მოეფინენ ცას, გზებზე უამრავი სამხედრო ტრანსპორტი იწვოდა და დაღუპულთა გვამები ეყარა. მოძრაობა პარალიზებული იყო, არმიის კორპუსის მოკავშირე ოფიცერმა, რომლის მანქანითაც ვმგზავრობდით, თქვა, უკან გავბრუნდები და გირჩევთ, თქვენც წამომყევითო. მე და ალშიბაიამ გადავწყვიტეთ სოფლის გზაზე დარჩენა, გრანვილიდან დაახლოებით ექვსი კილომეტრის მანძილზე და ფეხით გავაგრძელეთ სიარული. მალე სათადარიგო უწყების I/259-ე შენაერთის სამოც ქართველ ლეგიონერს შევხვდით, უკან იხევდნენ (797-ე ქართულ ბატალიონზე, რომელსაც ვეძებდით, ამათ ბევრი არაფერი იცოდნენ). ამ შენაერთს გერმანელი კაპიტინი ბიუკრეიცი მეთაურობდა. ლეგიონერებმა მოგვახსენეს, „საქმე ძალიან ცუდადააო“. გერმანელ სერჟანტ ოფიცრებს რამდენიმე ლეგიონერისათვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინათ და ამის მერე შვიდ ლეგიონერს დებერტი-

<sup>1</sup> საფრანგეთის ლეგიონში მისი შენაერთის ახლად დანიშნულმა მეთაურმა გამწვრივებული ჯარისკაცები შეამონმა და ზოგიერთს კითხვებიც დაუსვა, კაკოს ეთნიკური წარმომავლობით დაინტერესდა. კაკომ უთხრა, ქართველი ვარო. „ეგ ქვეყანა სად არის?“—იკითხა ოფიცერმა, „ბატონო მაიორო, აქ გეოგრაფიის გაკვეთილების ჩასატარებლად არა ვარ“—მიუგო კაკომ ხმაშლლა და მკაფიოდ, მისი ჯარისკაცების აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ კაკოსთვის დავალება აღარ მიუტიათ.



რობა გადაუწყვეტია, მაგრამ კაპიტანი და უფროსი სერჟანტი ლეგიონერებს კარგად ექცეოდნენ. ჩვენ კაპიტანს შევხვდით და მონმეების გარეშე ვესაუბრეთ, ვუთხარი, თქვენს ტევტონ პერსონალს, რომელსაც, ეტყობა, საკუთარი თავი ზეადამიანები ჰგონიათ, უფლება არა აქვთ, ლეგიონერებს მონებივით მოეპყრონ, კეთილი ინებონ და ჯარისკაცების შესაფერისად მოექცნენ-მეთქი, ისიც ვუთხარი, რომ შეურაცხყოფილი ლეგიონერის ადგილას, რომ დამენახა, რომ ჩემივე მეთაური, ჩემი, როგორც ჯარისკაცის, უფლებებს ვერ იცავდა, მოძალადეს ხელს შევუბრუნებდი, თუ ის ჩემზე ღონიერი იქნებოდა, იარაღს გამოვიყენებდი-მეთქი. კაპიტანი შენუხდა და დამპირდა, თვალს ვადევნებ, რომ ასეთი უკანონო ინციდენტი აღარ გამეორდესო, თუმცა ზოგიერთი სირთულეც აღნიშნა. მაგალითად, შენაერთში ქართველების გარდა სხვა ეთნიკური ჯგუფებიც იყო. კაპიტანი და მისი შენაერთი სამხრეთით იხევდნენ უკან, გზა დავულოცეთ და საპირისპირო მიმართულებით წავედით. მე და ალშიბაიამ შევნიშნეთ, როგორ ესიამოვნა სამოც ლეგიონერს გამამხნევებელი სიტყვების მშობლიურ ენაზე მოსმენა.

მალე შემოგვესმა და დავინახეთ კიდეც, როგორ ესროდნენ ერთმანეთს მოკავშირეები და გერმანელი ჯარისკაცები. ეს უკანასკნელნი უკან იხევდნენ—ჩვენს გვერდით ჯერ არტილერია მოდიოდა, მერე ფეხოსნები მიჰყვებოდნენ. 797-ე ბატალიონიდან ვერავის ვხედავდით, ერთმა გერმანელმა ოფიცერმა გვითხრა, ჩრდილოეთით მოკავშირეებმა მთელი რაიონი დაიკავესო, ასე რომ, მე და კაკო იძულებული გავხდით, მოვბრუნებულყავით და უკანდახეულ ჯარებს გავყოლოდით. საღამოს 6 საათზე ფეხოსანთა 77-ე დივიზიის საველე შტაბ-ბინას მივალწიეთ, იქ მოქმედი სექციის ოფიცერმა გვაცნობა, როგორც ვიცით, ქართული 797-ე ბატალიონი მოკავშირეებმა ჩაიგდეს ტყვედო, ისიც გვითხრა, რომ გარშემო მეკავშირეთა ჯარების მანევრები მიმდინარეობდა, მეკავშირეები ცდილობდნენ, ჩვენთვის გზა მოეჭრათ, ასე რომ, დივიზიის საველე შტაბ-ბინა სხვაგან უნდა გადაეტანათ. ტრანსპორტში ჩვენთვის ადგილი არ ჰქონდათ. მე და კაკო ფეხით წავედით, მზის ჩასვლისას უკანდახეულმა ჯარებმა ავრან-შისკენ აიღეს გეზი—სამხრეთით. მთავარი გზა სამხედრო ტრანსპორტით იყო გაჭედილი, მაგრამ დაბლა მფრინავი თვითმფრინავები მაინც აღარ იყო საშიში, რადგან ლამდებოდა, აქ

797-ე ბატალიონის ოცი ქართველი ჯარისკაცი შეგვხვდა, ისინიც კოლონასთან ერთად იხევდნენ უკან, გვითხრეს, ბატალიონს უძნელეს პირობებში მოუხდა ბრძოლა, ტანკსანი-ალმდეგო არტილერიის ან რამე სხვა დამატებითი ძალების გარეშე. ბევრი დაიჭრა და დაიღუპა, დანარჩენებს ტანკებმა შემოარტყეს ალყა და დაატყვევეს, მხოლოდ პატარა ჯგუფმა მოახერხა გამოქცევაო. ლეგიონერებს ხელი ჩამოვართვით, ვუთხარით, სცადეთ, თქვენი ამბავი სამხრეთ საფრანგეთში, კასტრეში, ლეგიონის სათადარიგო შტაბ-ბინაში შეატყობინოთ და სხვებსაც გადასცეთ-მეთქი. ამასობაში თუ თავიანთ მეთაურ ოფიცრებს, კაპიტან პეტრასა და ქართველ არტილერიისტ ოფიცერს, ლეიტენანტ ლალიძეს იპოვნინდნენ, მათი ბრძანებები შეესრულებინათ. ოცივე ლეგიონერი საბარგო მანქანში იჯდა, ასე რომ, გვარიანად გაგვისწრებდნენ წინ, რადგან ჩვენ ფეხით მივდიოდით.

მე და კაკო ავრანში დილის შვიდ საათზე და ჩავედით და შევიტყვეთ, რომ სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით გასავლელი გზები უკვე მეკავშირეთა ტანკებს დაეკავებინათ. როგორც ჩანს, გერმანელების ერთმა ჯგუფმა ღამით ტრანსპორტით მოახერხა ავრანშიდან გასვლა, პერიმეტრები დავათვალიერეთ და აღმოვაჩინეთ, რომ კაცი თუ გარისკავდა, იყო ერთი რაიონი სამხრეთ-აღმოსავლეთით, საიდანაც შეიძლებოდა გაქცევა, სანამ მეკავშირეთა ტანკისტები და მფრინავები გაიღვიძებდნენ. კაკოს ვუთხარი, თავს უფლებას ვერ მივცემ, ტყვედ ჩავბარდე, რადგან ჩვენი ხალხის წინაშე გარკვეული მოვალეობები მაკისრია, ასე რომ, ჯობია, სწრაფად დავწინაურდეთ-მეთქი. ქალაქის ცენტრში რომ დავბრუნდით, შევნიშნეთ ერთი პოლკოვნიკი, მივედით და გავეცანით. ეს გახლდათ პოლკოვნიკი ვიტენბერგი, ყოფილი 1050-ე პოლკის მეთაური. ვთხოვე, მოკლედ გაგესაუბრებთ-მეთქი. პოლკოვნიკს მოვახსენე ჩვენი დათვალიერების ამბავი, ვუთხარი ავრანშიდან გასასვლელი ნაწილობრივ უკავიათ მეკავშირეთა ტანკებს-მეთქი და შემფოთება გამოვთქვი, რადგან თუ მზის ამოსვლამდე ვერ გავიდოდით, დაგვატყვევებდნენ. დამეთანხმა და ერთ ჯგუფს, სერჟანტის მეთაურობით, უბრძანა დაედგინათ, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ავრანშიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მთებიდან დაშვება და რა ტრანსპორტი გამოდგებოდა ამ გზებით სასიარულოდ. ამ საუბრისას გაისროლა ერთადერთმა გერმანულმა



საარტილერიო იარაღმა, რომელიც პოლკოვნიკის ჯარისკაცებთან ერთად იხევდა უკან. მან დააზიანა მეკავშირეთა ტანკი ქალაქის დასავლეთით (მსხვერპლის გარეშე, რადგან ტანკში არავინ იჯდა).

მე და კოკა პოლკოვნიკის ხალხს გავეყევით (სამოცამდე კაცი იქნებოდა), მთამდე მისულებს მეკავშირეებმა გვარიანი ცეცხლი დაგვიშინეს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. უფროსი სერჟანტი და ჯარისკაცები შეყოყმანდნენ, აღარ იცოდნენ, გზა გაეგრძელებინათ თუ არა. მე წინ გავუძეხი ჯარისკაცებს, კაკოც მომყვა, ხმამაღლა ვუბრძანე მათ, გაიფანტეთ და მოგვეყევით-მეთქი. მთის ფერდობზე სოფლის გზაზე დაშვებული რამდენიმე მანქანა დავინახე, მალე უვნებლად მივალწიეთ დაბლობს, მთის წვერი გავწმინდეთ, უფრო დამრეც ადგილას ავედით და იქიდან ცეცხლით ვუპასუხეთ მოწინააღმდეგეს მანქანების დასაცავად. პოლკოვნიკის ხალხის ერთ ნაწილსაც გავალწევეინეთ იქაურობიდან, მერე გზაზე დავეშვიით. იქვე ახლოს იყო სოფელი სერბონი, სადაც პოლკოვნიკი ვიტენბერგი და მათი ჯგუფი შეგვხვდა. აქედან კარგად ჩანდა, რომ მეკავშირეთა საჰაერო ძალები ისევ ტრიალებდნენ ავრანშის თავზე. უფროს სერჟანტს კაკოს გაახსენდა, რომ ორი დღის განმავლობაში ლუკმა არ ჩაგვსვლია პირში და არ გვიძინებია. მან კარგი ფრანგულითა და შთამბეჭდავი მზერით მოხიბლა სოფლელები და ყველასთვის, მათ შორის პოლკოვნიკისა და მისი ჯგუფისთვისაც ჩინებული სასმელ-საჭმელი იშოვა. ამ „პიკნიკის“ შემდეგ ცხოვრება უფრო ასატანი გვეჩვენა, აქვე გადავანყდით უკან დახეული მედესანტეების ჯგუფს—ჩამოძონძილები იყვნენ, ველურებს ჰგავდნენ, ახლომდებარე ქალაქში მიმავალი სოფლის მღვდელი გაეჩერებინათ. მივუახლოვდით და კაკომ თარჯიმნის როლი იკისრა. ზოგიერთი მედესანტე ეჭვობდა, „მღვდელი“ მეკავშირეთა ჯაშუშიაო, გვითხრეს, „ნორმანდიაში ასეთი რამეები ხდებაო“, პადრე ამტკიცებდა, არაფერს გერჩითო, თავისი მრევლის მოსანახულებლად მიდიოდა, ზოგი ჯარისკაცი ამბობდა, დავატყვევოთ, წავიყვანოთ და ეს საქმე გავარკვიოთო. ჩემი და კაკოს აზრით, ეს ომისთვის დამახასიათებელი პარანოიკული შეცდომა იყო, მედესანტეებს ეს ვუთხარი და რაკი ოფიცერი არ ჰყავდათ, ვუბრძანეთ, პადრესთვის თავი დაენებებინათ. უხალისოდ დაგვემორჩილნენ.

გზაზე, პონტორსონიდან სამხრეთით, ქართული ბატალიონ-

ნის გერმანელი უფროსი სერჟანტი შეგვხვდა, გვითხრა, რაც უკვე ვიცოდით და დასძინა, ბატალიონის მეთაური, კაპიტანი პეტრი და არტილერიის ოფიცერი, ლეიტენანტი ლალიძე ბრეალთან გამართულ ბრძოლაში ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ ახლა მათი ადგილსამყოფელი და ამბავი აღარ ვიცითო. ზედმეტია იმის თქმა, რომ ახალმა ამბავმა ძალიან გაგვახარა, მე, პოლკოვნიკმა ვიტენბერგმა და კაკომ გავიარეთ პონტორსონი, სუგალი და 77-ე დივიზიის ახალ საველე შტაბ-ბინას მივაგენით. გვინდოდა, გაგვეგო, ამჟამად როგორი ვითარება იყო სხვა ქართულ შენაერთებში, 823-ე, 798-ე, და 799-ე ბატალიონებში, მაგრამ დივიზიის შტაბში არაფერი იცოდნენ, ასე რომ, გზა გავაგრძელეთ. შემოვლით, 1944 წლის 8 მარტს, დიდი გაჭირვებით ჩავალწიეთ ლემანში, მე-7 არმიის შტაბ-ბინაში. მიმილო პოლკოვნიკმა კორეტიმ, რომელიც როგორც ვიცი, შტაბის სამწყობრო სექციას ხელმძღვანელობდა. მოვახსენე, რაც ვნახეთ და შევიტყვეთ და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრებაც გავუზიარე, რომელთა საერთო მონახაზი ასეთი იყო:

1. 797-ე ქართულმა ბატალიონმა ბრძოლაში მოსალოდნელზე გაცილებით უკეთესად გამოიჩინა თავი.

2. ვითხოვე, შეძლებისდაგვარად გაეგზავნათ ლეგონერთა დანაწევრებული ჯგუფები 798-ე და 799-ე ბატალიონებში ან კასტრეში, ქართულ ლეგიონში.

3. რიგი მიზეზებით, არანაირ ვითარებაში აღარ გაეგზავნათ ეს ჯგუფები შერეულ შენაერთებში ან პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პოლკოვნიკმა კორეტიმ გამიგო და დამეთანხმა. კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მირჩია, ხელი ამელო 823-ე ბატალიონის სანახავად გერნსის კუნძულზე გადასასვლელად მეცადინეობაზე, რადგან ეს შეუძლებელი იქნებოდა. ისიც გვითხრა, სწორად არ მიმაჩნია თქვენი სენტ-ნაზარში, 788-ე ბატალიონში გამგზავრება, იქამდე თუნდაც მიაღწიოთ, ბატალიონი აღარ დაგხვდებათ, რადგან სამხედრო ვითარება ყოველდღე იცვლებაო.<sup>1</sup>

<sup>1</sup> კორეტიმ აგვისხნა, რომ მკვავშირებმა, ნორმანდიის პარალელურად, ბრესტში წაიწიეს წინ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რეტროსპექტულად—გენერალ პატონის მე-3 არმიამ წაიწია წინ ბრეტონში, სამხრეთისაკენ, 2 აგვისტოს მან რენს მიაღწია, დაიკავა და 4 აგვისტოს ვანსს მიაღწა. ოთხი დღის შემდეგ XV

ლემანში სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა: კაპიტანი პეტრი (797-ის გერმანელი მეთაური ოფიცერი) და მისი ქართველი მრჩეველი ლეიტენანტი დავით (დათა) ლალიძე იქ იყვნენ და ერთმანეთი ვიპოვნეთ. მათმა ნაამბობმა დაადასტურა ჩვენი შთაბეჭდილებები. როგორც მახსენდება, დათას იმჟამად თავისი ცოლის, თამარისა და მშვენიერი პატარა ქალიშვილის, მანანას ნახვა უნდოდა პარიზში, მერე კი კაპიტან პეტრისთან ერთად კასტრეში, ქართული ლეგიონის შტაბ-ბინაში აპირებდა გამგზავრებას. მე და კაკოც პარიზში გავემგზავრეთ. მოგზაურობისას ბევრი რამ შევიტყვეთ და გაცემული ვიყავით მეკავშირეთა მიერ საფრანგეთში მოვლინებული ცოცხალი ძალისა და საომარი მასალის რაოდენობით, საჰაერო ძალის ჩათვლით. ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ გერმანული შეიარაღებული ძალები მათ ველარ შეაჩერებდნენ და დასავლელი მეკავშირეები შედარებით მოკლე დროში დაიკავებდნენ საფრანგეთს. ემიგრანტთა უსაფრთხოების გამო მშვიდად ვიყავით, მაგრამ რა ბედი ელოდათ ბრძოლაში ცოცხლად გადარჩენილ და მეკავშირეთა ხელში ტყვეებად ჩავარდნილ ლეგიონერებს? მხოლოდ მეკავშირეთა ადამიანური მოპყრობისა და თანაგრძნობის იმედილა გვქონდა. როგორც აღვნიშნეთ, მეკავშირეთა შტაბს არავითარი იურისდიქცია არ ჰქონია არც ლეგიონისა და მისი საველე ბატალიონის შექმნისას, არც მათი განლაგებისას. მხოლოდ ის შეგვეძლო, გერმანული არმიის უმაღლესი სარდლობისათვის რამე გვერჩია ან გვეთხოვა ლეგიონერთა გამო, ჩვენი ერთადერთი შუამავალი მოხალისეთა შტაბის გენერალი კიოსტრანგი იყო, ეს კაცი, ჰერკართი და მისი შტაბი, სრულ მხარდაჭერას გვიცხადებდა და გვმფარველობდა, კარი ჩვენთვის მუდამ ღია ჰქონდათ, ამის გარეშე ქართული სამეკავშირეო შტაბის სამხედრო უწყება ვერაფერს გახდებოდა, მის არსებობას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ კიოსტრინგის ჯადოსნური ძალაც კი ყოველთვის არ ამართლებდა, განსაკუთრებით, ისეთ კრტიკულ სამხედრო ვითარებაში, როგორიც

კორპუსმა წაიწია წინ ანგერისა და ნანტისაკენ და თითქმის იმავე დღეს, მეკავშირეებმა აიღეს ლემანი, სადაც ადრე პოლკოვნიკ კორეტის შტაბ-ბინა იყო განლაგებული.

იხ. II მსოფლიო ომის აღმანახი.

საფრანგეთში შეიქმნა.<sup>1</sup> პარიზში დასავლეთის უმაღლესი საბჭოს  
 ლობის შტაბ-ბინაში ვენვიე და ვესაუბრე მოხალისეთა შენა-  
 ერთების ხელმძღვანელობას, მათვე წარვუდგინე წერილობითი  
 მოხსენება რეკომენდაციებით, რომლის ასლი კიოსტრინგს  
 გავუგზავნე. შტაბ-ბინაში მსჯელობისას საზგასმით აღვნიშ-  
 ნე 799-ე ბატალიონის პერიგოდან სასწრაფოდ გამოყვანის  
 აუცილებლობა; ისიც ვთქვი, რომ საჭირო იყო ეს ბატალიო-  
 ნი სათადარიგო „პოლკის“ ახლოს—სამხრეთ საფრანგეთში,  
 კასტრეში განლაგებული ლეგიონის სიახლოვეს გადაეყვა-  
 ნათ, მერე კი საფრანგეთიდან გერმანიაში გადაყვანაზე გვეზ-  
 რუნა. გარდა ამისა, ამ საკითხზე ვესაუბრე კედიას, ალექსან-  
 დრე ასათიანს და „ბერგმანის“ ლეიტენანტს, ალამბარაშვილს,  
 რომელიც იმხანად პარიზში აღმოჩნდა. ქართული ეროვნულ-  
 დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ა. ასათიანი.  
 მამაცი კაცი იყო და თავი გადადებული ჰქონდა ქართული  
 საქმისათვის. ის იცნობდა ბატონიშვილ ირაკლი ბაგრიტი-  
 ონს, რომელიც ესპანეთში ცხოვრობდა, ესპანელ არისტოკ-  
 რატებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ქართულ ტახტზე  
 პრეტენზიას აცხადებდა,<sup>2</sup> ვფიქრობდი, რომ ა. ასათიანი, სა-

<sup>1</sup> ამ ვითარებაზე მეტყველებს ორი ინფორმაცია: 1. საველე მარშალი გიუნთერ ფონ კლიუგე, მთელი დასავლეთის ფრონტის გერმანელი მთავარსარდალი, აგვისტოს შუა რიცხვებში იძულებული გახდა, თითქმის მთელი დღის განმავლობაში გაეძლო მეკავშირეთა სამხედრო თავდასხმისათვის, როცა წარუმატებლად ცდილობდა ფრონტის შემოვლას. 2. ბრეტანში, გერმანელი გენერლის ფარენბახერის XXV კორპუსმა ვერ მოახერხა სხვა გერმანელ ჯარებთან დაკავშირება და უკან დაიხია ოთხი მთა-ვარი ნავსადგურისაგან, მათ შორის, ლორუნტისა და სენტ-ნაზარისაკენ (ამ ორი ნავსადგურის შენარჩუნება მან ომის ბოლომდე შეძლო), იხ. II მოსოფლიო ომის აღმა-ნახი.

სწორედ ამ რაიონში იყო განლაგებული ქართული 798-ე ბატალიონი მეკავშირე-თა შემოსვლამდე, სავარაუდოა, რომ ცოცხლად გადარჩენილები მეკავშირეებმა ტყვედ აიყვანეს, ცნობილი არ არის, იყვნენ თუ არა ლეგიონერები XXV კორპუსის ჯარის-კაცთა შორის, იმ კორპუსისა, რომელმაც ზემოთ ხსენებული ნავსადგურისაკენ დაიხია. 823-ე ბატალიონი გერნსის კუნძულზე დარჩა; შესაძლოა, გარკვეულ მომენტში ისინი მეკავშირეებმა აიყვანეს ტყვედ გერმანულ გარნიზონთან ერთად, იმედი გვაქვს, დიდი მსხვერპლის გარეშე.

<sup>2</sup> ირაკლი ბაგრატიონი იყო ერთ-ერთი იმ კავკასიელი პირთაგან, ვინც 1942 წლის აპრილში გერმანიის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა, გრაფმა შულენბურგმა ბერლინში მიიწვია. შულენბურგს განზრახული ჰქონდა ყოველი კავკასიური ერის კომიტეტი ჩამოეყალიბებინა და ამგვარი საშუალებით სასიკეთო გავლენა მოეხდინა გერმანიის აღმოსავლურ პოლიტიკაზე. შულენბურგმა ბერლინში მონივნებით შესთა-ვაზა ირაკლი ბაგრატიონს ქართული კომიტეტის თავმჯდომარეობა. როგორც წინა თავში აღვნიშნე, შულენბურგის მეცადინეობამ ფუჭად ჩაიარა, რადგან ეს არ შეე-საბამებოდა ნაცისტების აღმოსავლურ პოლიტიკას, ირაკლი ბაგრატიონი ბერლინი-დან წამოვიდა, მაგრამ ქართულ საქმეზე არაერთხელ იზრუნა.



მოქალაქე პირი, ლეიტენანტ ალამბარაშვილის თანხლებით, კასტერში უნდა გამგზავრებულიყო, ქართულ ლეგიონში და იქაური ვითარება გაეგო. თუ გერმანიის ხელმძღვანელობა ვითარებას ველარ აკონტროლებდა და ლეგიონერებს საფრთხე ემუქრებოდათ, ასათიანი უნდა დახმარებოდათ. ეს მოხდებოდა პოლკოვნიკ მახტთან (მოხალისეთა №1 სათადარიგო პოლკის მეთაური), პოლკოვნიკ შარაბიძესთან (ქართული ლეგიონის ქართველი მეთაური) და მათ შტაბთან თანამშრომლობით. სამხრეთ საფრანგეთის მთიანეთში ბევრი ფრანგი პარტიზანი აფარებდა თავს, მაგრამ ქართველ ლეგიონერებს მათთან არ უბრძოლიათ და ადგილობრივ მოსახლეობასაც გულთბილად ეპყრობოდნენ, ამდენად, ჩვენდამი მტრულ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია, განსაკუთრებით გენერალ დე გოლის მომხრეებისაგან. თუ საჭირო გახდებოდა, ასათიანი, ლეგიონერებთან ერთად, ახლომდებარე პირენეის მთების გადავლით ესპანეთში გადავიდოდა და ბატონიშვილ ირაკლი ბაგრატიონს თხოვდა დახმარებას მისი გავლენიანი მეგობრების მეშვეობით. ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან მეკავშირეები ათი დღის განმავლობაში განუწყვეტილვ ბომბავდნენ იქაურობას (ჩვეულებრივი 10 საათის ნაცვლად) და ასათიანმა და ალამბარაშვილმა დანიშნულებისამებრ ვერ მიაღწიეს.<sup>1</sup> ამ ათი დღის განმავლობაში ქართულ ლეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 15 აგვისტოს მოკავშირეთა ჯარები სამხრეთ საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადმოსხდნენ, მარსელის აღმოსავლეთით, გენერალ დე გოლის ფრანგული ჯარებიც ამავე რეგიონში შემოვიდნენ ზღვითა და ჰაერით.<sup>2</sup> ეს ადგილი ახლოს იყო კასტრედან, სადაც ქართული ლეგიონი იდგა. გერმანული ჯარები სამხრეთ საფრანგეთში ძალაგამოლეული იყო, საჰაერო მხარდაჭერით აქ ვერ დაიკვებნინდნენ და აშკარა გახდა, რომ მეკავშირეებს ვერ გაუმკლავდებოდნენ, ლეგიონერებმა ეს ყველაფერი იცოდნენ, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, გერმანიის შეიარაღებულ ძალებს მარცხისაგან ვერ გადაარჩინდნენ, მიხვდნენ, რომ დადგა დრო, საკუთარი თავის გადარჩენასა და შინ, საქართველოში დაბრუნებაზე ეზრუნათ, როგორც კი მოახერხებდნენ. მაშინ ზოგი-

<sup>1</sup> იხ. ასათიანის პირადი წერილები ავტორისადმი მის პირად არქივში.

<sup>2</sup> გენერალ დე ლატრის მეთაურობით.

ერთმა მათგანმა იფიქრა, რომ აჯობებდა შეექმნათ „სტალინის ერთგული“ ბოლშევიკური იატაკქვეშეთი და როგორღაც დამაჯერებლად გაეფორმებინათ მისი საბუთები. მაშინ მიუტევებელი იყო ისეთი „ცოდვები“, როგორცაა: გერმანელთა ხელში ტყვედ ჩავარდნა და ძალზე ორიგინალური ცოდვა—წევრობა ქართული ლეგიონისა, რომელიც აღმოსავლეთ ფრონტზე წითელ არმიას ებრძოდა. „ერთგულების“ შთაბეჭდილების განსამტკიცებლად კომუნისტ პარტიზანთა საზოგადოებებში უნდა შესულიყვნენ და გერმანიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ებრძოლათ, ამდენად, ფრანგ კომუნისტ პარტიზანებთან ურთიერთობა დაეხმარებოდათ. ✕

მაგრამ კასტრეში იყვნენ ისეთი ლეგიონერებიც, ვინც ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი სასიკეთოს ვერაფერს მოუტანდათ, უფრო მეტიც, ეთიკურად არ ივარგებდა, რადგან პოლკოვნიკი მახტი ყოველთვის კარგად ეპყრობოდათ.

ამ პერიოდში, კასტრერსა და მარსელს შორის, სანაპირო ქალაქ მონპელიეში ერთმანეთს შეხვდა ორი ქართველი ლეიტენანტი: ირაკლი ალამბარაშვილი და გივი ფორაქიშვილი. ირაკლის ქართულ ლეგიონში ჩაღწევა უნდოდა. პარიზში ასათიანთან ერთად ჩვენს მიერ მიღებული ინსტრუქციის თანახმად, გივი კასტრედან მოდიოდა, ნაბრძანები ჰქონდა, იტალიაში, ვერონაში ჩასულიყო II/138-ე ქართულ ბატალიონში, სადაც ოფიცრად მსახურობდა. გივის სიტყვით, მას ირაკლისთვის ურჩევია (ა. ასათიანი ამ შეხვედრისას ირაკლისთან ერთად არ ყოფილა) კასტრეში ჩასვლაზე ხელი აიღე, ამ რაიონში ძალზე სახიფათო სამხედრო ვითარებაა, მე წამომყევი იტალიაშიო. ირაკლის ყური არ უთხოვებია ამ რჩევისათვის და კასტრესკენ გაუგრძელებია გზა. ომის შემდეგ ა. ასათიანისაგან შევიტყვე, რომ ამ მისიის განხორციელება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეუძლებელი ყოფილა, მოგვიანებით ისიც შევიტყვე, რომ ღვთის ნყალობით, ირაკლი როგორღაც გადარჩენილა, ის ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე კეთილი, გულადი და კარგი ბუნების ადამიანი გახლდათ, ვისაც ოდესმე შეხვედრივარ.

ქართულ ლეგიონში შექმნილ ვითარებაზე ამ პერიოდში თვითმხილველის, სერჟანტი ოფიცრის პეტრე ხვედელიძის

<sup>1</sup> იხ. გივი ფორაქიშვილის პირადი მიმონერა ავტორის არქივში.



ძალზე საინტერესო მოხსენება მივიღე. ხვედელიძე ქართველი ლეგიონის ქართველი მეთაურის, პოლკოვნიკ ლადო შარაბიძის თანაშემწე, მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

პეტრე ხვედელიძე და მისი კოლეგები „ბრანდენბურგის“ პოლკიდან ღირსეულად გავიდნენ თადარიგში აღმოსავლელ მოხალისეთა შენაერთების რეორგანიზაციისას. კასტრეს ქართულ ლეგიონში ისინი 1944 წლის გაზაფხულზე მოავლინეს. ლეგიონის სათადარიგო ნაწილს შეუერთდა ზოგი სხვა მოხალისეც, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ჩამოშორდა და ველარ მიაგნო თავის შენაერთს, მათ შორის „ბერგმანის“ რამდენიმე ჯარისკაციც იყო. აშკარა გახდა, მზარდი დაპირისპირება და მტრული დამოკიდებულება ბოლშევიკურად და ანტიბოლშევიკურად განწყობილ ლეგიონერთა შორის. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ანტიბოლშევიკ ჯარისკაცებს უკეთესი წვრთნა ჰქონდათ გავლილი. გარდა ამისა, მათ თავიანთ შენაერთებში (მაგალითად, „ბერგმანსა“ და „ბრანდენბურგში“) ისევე ეპყრობოდნენ, როგორც გერმანელებს, განვევისას მოხალისეობის პრინციპსაც მკაცრად ითვალისწინებდნენ.

პეტრეს წინადადებით, პოლკოვნიკი შარაბიძე ამ საქმეზე ესაუბრა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ მახტს და „ძმათა შორის სისხლისღვრის“ თავიდან ასაცილებლად ანტიბოლშევიკები სხვა შენაერთებში გადაიყვანეს, კასტრეს ლეგიონში დარჩნენ მხოლოდ პეტრე და რამდენიმე ახლად მოსული ჯარისკაცი „ბერგმანიდან“ და „ბრანდენბურგიდან“. პოლკოვნიკი მახტი მიხვდა, რომ საფრთხე ელოდათ და როგორც ჩანს, გარკვეული თვალსაზრისით ბრძნული, გაბედული გადწყვეტილება მიიღო, მოლაპარაკება დაიწყო ფრანგ პატრიოტებთან, გენერალ დე გოლის არაკომუნისტ მიმდევრებთან წინააღმდეგობის მოძრაობაში. პოლკოვნიკმა შარაბიძემ აუცილებლად მიიჩნია, გაეფრთხილებინა ბოლშევიკურად განწყობილი ლეგიონერები. ამ საქმისთვის მან პეტრე ხვედელიძე გაგზავნა ახლომდებარე ქალაქ ალბიში, სადაც ბოლშევიკურ ორგანიზაციაში რამდენიმე ქართველი ლეგიონერი ექიმი იყო წევრი (რაც საკმაოდ საინტერესოა). პოლკოვნიკმა მკაფიო ბარათი გაგზავნა: „გერმანელებმა იციან, რას აპირებთ, გირჩევნიათ, შეწყვიტოთ ეს საქმიანობა, თორემ სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაგზავნიან“. პეტრემ, თავის მხრივ,

დასძინა, ნუ გგონიათ, რომ ეგრე იყიდით თავისუფლების  
საბჭოთა ხელისუფლებისაგანო, ეს იყო აშკარად კეთილგან-  
წყობილი და ალალი გაფრთხილება საკუთარი თანამემამუ-  
ლისაგან. ექიმებმა პეტრეს გაქვავებული სახეებით მოუსმინ-  
ნეს და კრინტი არ დაუძრავთ.

პოლკოვნიკი მახტი შეხვდა პოლკოვნიკ შარაბიძეს, პირ-  
ველ ლეიტენანტს მახს და კიდევ რამდენიმე სხვა ოფიცერს.  
მან დაახლოებით ასეთი რამ უთხრათ: „ჩვენ ვერც ბრძოლას  
შევძლებთ ესპანეთისაკენ მიმავალ გზაზე და ვერც გერმა-  
ნულ მებრძოლ ჯარებს შევეურთდებით ჩრდილოეთით ან  
აღმოსავლეთით, მეტსაც გეტყვით, თუ მალე არ განვაიარა-  
ღეთ ჩვენი ლეგიონერები, ახლახან „მკვდრეთით აღმდგარი“  
კომუნისტები და მათი ანტიკომუნისტი თანამემამულეები ერ-  
თმანეთს ამოუღებენ, განიარაღების შემდეგ ის, ვისაც სსრკ-  
ში შინ დაბრუნების პატივს დასდებენ, ალბათ, დაბრუნდება  
კიდევ, დანარჩენებმა დახმარება პარიზში უნდა სთხოვონ  
საქართველოს დევნილ მთავრობას“. ასე რომ, ლეგიონერები  
შეკრიბეს და ლექციის მოსასმენად წაიყვანეს. უკან დაბრუ-  
ნებულებს იარაღი წაღებული დახვდათ. (ფაქტიურად, ეს  
ხალხი პოლკოვნიკ მახტის ბრძანებით, დე გოლის მიმდევ-  
რებს, იმ რაიონში მოქმედი წინააღმდეგობის მოძრაობის  
წევრებს, არაკომუნისტ ფრანგებს გადაულოცეს). ამან აშკა-  
რად დააფრთხო ზოგი ლეგიონერი. მათ იფიქრეს, რაკი ია-  
რალი აგვეარეს, ახლა დახვრეტას გვიპირებნო. პეტრემ დაარ-  
წმუნათ, მაგის ნუ შეგეშინდებათო. მართლაც, ლეგიონერები  
ავტობუსებით გაიყვანეს მთიან რაიონში, კასტრედან ორი  
საათის სავალზე და იქ დააბინავეს. აგვისტოს ბოლოსათვის  
„კომუნისტური ორიენტაციის ლეგიონერებმა“ ნებართვა მი-  
იღეს (ფრანგ არაკომუნისტ ხელისუფლებისაგან), გადასულიყ-  
ვნენ სპეციალურ ბანაკებში ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებისათ-  
ვის, რომლებსაც რეპატრაცია ელოდათ.

ის ლეგიონერები, ვისაც რეპატრაცია არ სურდათ, კას-  
ტრეს გარეუბანში დააბინავეს, თუმცა ამ ჯგუფში იყო პატა-  
რა ქვეჯგუფი (ოციოდე კაცი), ვინც უთავბოლოდ იქცეოდა.  
გარკვეული მიზეზების გამო ისინი ვერ შეუერთდებოდნენ  
კომუნისტურ ჯგუფს, ან თავდაპირველად არ შეუერთდნენ  
და ახლა ჰქონდათ ამის სურვილი. ეს ხალხი ანუხებდა და  
მოსვენებას არ აძლევდა არაკომუნისტურ ჯგუფის ლიდე-



რებს—პოლკოვნიკ შარაბიძესა და მის გარშემო შემოკრებილ ადამიანებს. უეჭველად კომუნისტების თავის მოსაწონებლად იქცეოდნენ ასე, რათა იმათ ამგვარი უგვანო საქმეებისათვის დაეჯილდოებინათ და თავიანთ ჯგუფში მიეღოთ. დიდსულოვანი ადამიანების დახმარების ნყალობით, პოლკოვნიკ შარაბიძის ჯგუფმა ბევრ გაჭირვებას გაუძლო და მათი ამბავი კეთილად დაბოლოვდა—ამ ხალხმა მოახერხა დასავლეთში დარჩენა. თავიანთი ქვეყანა ძალიან უყვარდათ და იმედოვნებდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისიც მოიპოვებდა თავისუფლებას სხვა დასავლური ცივილიზებული ერების მსგავსად. ეს ფიქრი მუდამ თან სდევდათ, მაგრამ მაშინ საქართველოში დაბრუნება ამ ადამიანებისათვის წამებით სიკვდილს ან „უკეთეს შემთხვევაში“, შორეულ გულაგში გადასახლებას ნიშნავდა.<sup>1</sup>

ჩვენმა მეგობრებმა პარიზის ქართულ კოლონიაში შეიტყვეს, რომ ზოგიერთი ჩვენგანი მალე გერმანიაში უნდა დაბრუნებულიყო და შეიძლებოდა, ველარასოდეს გვენახა ერთმანეთი. ჩვენს გამგზავრებას სიყვარულის გულისამაჩუყებელი გამოვლინება უძღვოდა წინ. ყოველდღიურად ოფისში სტუმრების ტევა აღარ იყო, ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურ ან პრაქტიკულ რჩევებსაც მაძლევდა. მაგალითად, თენგიზ დადემქელიანის ქალიშვილს, ირინეს, გადანყვეტილი ჰქონდა საერთაშორისო ნითელ ჯვარში მოხალისედ შესვლა, რათა ჩვენ, „მეომარ ბიჭებს“ დაგვხმარებოდა. უჩვეულო რამ შემოგვთავაზა კაკო ნიჟარაძემ, რომელიც, როგორც აღინიშნა, ჩვენი ფილიალის „კაფეში“ მუშაობდა. ამ მტკიცე „მოქმედ“ ბოლშევიკს მფარველობდა ქართული კოლონია, რომელიც ტრადიციულ ტოლერანტობას იჩენდა სამშობლოდან წამოსული ადამიანების მიმართ. ნიჟარაძემ მითხრა, ახლა, როცა გერმანელების დამარცხება გარდაუვალია, „ჩემს მხარეზე“ უნდა გადმოხვიდეო, ნითელ არმიაში მაიორობას მოგცემენ და მონაწილეობას მიიღებ. საბჭოთა კავშირის ისტორიულ ბრძოლაში ინგლისურ-ამერიკული იმპერიალიზმის წი-

<sup>1</sup> იხ. პეტრე ხვედელიძის ჩანაწერები ავტორის პირად არქივში. მაღლიერი ვარ ამ საქმისათვის, მას ალბათ დამთავრებული ექნება თავისი მემუარები. მჯერა, რომ იქ უკეთესად, უფრო დანვრილებით აღწერდა კასტრეში, ქართული ლეგიონის „დაისტან“ დაკავშირებულ დრამას. მოგვიანებით მეტს ვიტყვი პოლკოვნიკ მახტზე, ვისმჯელებ პრობლემების მისეულ გადანყვეტას და ლეგიონის 822-ე ბატალიონის სერიოზულ კრიზისზე.



ნააღმდეგო. როცა მიხვდი, რომ არ მეხუმრებოდა, ვუთხარი უტილიტარისტი ხარ და მეტი არაფერი, კარგად ვერ გცნობივარ-მეთქი. ვუთხარი, რომ ჩემი აზრით, ბოლშევიზმი დამარცხდებოდა და ეს მხოლოდ დროის საქმე იყო, რომ მხოლოდ ინგლისურ-ამერიკული „იმპერიალიზმის“ იმედილა გვქონდა. ომის შემდეგ გავიგე, რომ კ. ნიჟარძე საბჭოთა კავშირში დაბრუნებულა. იქიდან მამისათვის (ძველი ემიგრანტისათვის) მოუწერია, საბჭოთა კავშირში ჩასასვლელად წაექვებინა და ისიც დაჰყოლია შვილის რჩევას. იმის იმედილა მაქვს, რომ ბერიკაცს და მის ვაჟს არაფერი დაუშავდა. კაკოს ბოლშევიკური პარტიისადმი ერთგულების მიუხედავად მათზე აღარაფერი გვსმენია.

პარიზში შემთხვევით გავიცანი კიდევ ერთი ქართველი კომუნისტი, რომელიც ემიგრანტთა ოჯახში გაიზარდა. ეს იყო სერგო წულაძე. ერთმანეთს ჩვენს საპატივცემულოდ გამართულ ერთ-ერთ პატარა წვეულებაზე შევხდით. გვმასპინძლობდნენ ბნი და ქნი ტარასაშვილები—და და სიძე სერგო წულაძისა, რომელიც სხვა სტუმრებთან ერთად იყო მონწვეული. წვეულებაზე იყვნენ თენგიზ დადეშქელიანი, მისი და კატი, მათი ბიძაშვილი ილამაზ დადეშქელიანი. გამიხარდა ილამაზის ნახვა. იგი ავადმყოფობდა და ამიტომ პარიზში წინა მოგზაურობისას ვერ შევხვდი. ახლა გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს. გამორჩეულად გონიერი, ლამაზი კაცი და პატივცემული ვექილი იყო. ჩვენი მშობლები მეგობრობდნენ, მახსოვდა მათი ფოტოები საოჯახო ალბომიდან. ამ ფოტოებზე ილამაზი თორმეტი-ცამეტი წლისა იქნებოდა. სალაპარაკო ბევრი გვქონდა. მერე სერგო წულაძესაც დიდხანს ვესაუბრე. რასაკვირველია, მტკიცე კომუნისტი იყო, მაგრამ აგრესიული ტონი არ ჰქონდა. შემწყნარებლად ეკიდებოდა ჩემს შეხეულებებს, რომლებსაც არ ეთანხმებოდა. ჩემი არგუმენტები პირად გამოცდილებას ემყარებოდა, რომელიც კომუნისტურ სახელმწიფოში ცხოვრებამ შემძინა, რასაც თვითონ ვერ დაიჩემებდა. ერთმანეთი ვერც ერთმა ვერ დავარწმუნეთ საკუთარ სისწორეში, მაგრამ ამის მიუხედავათ, მეგობრული სიტყვებით დავმორდით. ომის შემდეგ სერგო საქართველოში წავიდა თავის ცოლთან, ფრანგ კომუნისტთან ერთად. წულაძე თბილისში ფრანგულს ასწავლიდა. მან ქართულიდან ფრანგულად თარგმნა რუსთაველი—ეს დიდი საქმეა და მნიშ-



ვნელოვანი წვლილი ფრანგებისათვის ქართული კულტურის გაცნობის საქმეში.

ახლა ჩვენი ჯერი იყო მასპინძლობისა. ჟურულმა წვეულება ჩვენს ფილიალში გამართა. ბევრი ხალხი მოვიდა, მალე ყველა ადგილი შეივსო. ერთმანეთს ქართული სადღეგრძელოები ვუთხარით. ძირითადი სათქმელი იყო, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, მეგობრებად დავრჩენილიყავით. მერე პარიზიდან წასვლის დროც დადგა. თინა დადიანმა-გომართელმა უშიშრად გადაწყვიტა ჩვენთან ერთად გამომგზავრება ბერლინში, თავის ქმართან, კაპიტან მიშა (მიხეილ) დადიანთან. 1944 წლის ივნისის შუა რიცხვებში, ათენში ყოფნისას, მიშიკოს შევპირდი, თინას უვნებლად ჩამოგიყვან-მეთქი. ქალს ბარგი ჰქონდა შეკრული და მელოდა, ასე რომ, პირობა უნდა შემესრულებინა. 23 აგვისტოს, ნაშუადღევს კედიას თანაშემწემ და მეგობარმა კაკო შავგულიძემ ჩვენ ოთხნი—თინა დადიანი, მ. კედია, კაკო ალშიბაია და მე—მანქანით მიგვიყვანა პარიზის აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურზე.<sup>1</sup> იქ მოულოდნელად დაგვხდა ახალგაზრდა კაცი.

თეიმურაზ ნულუკიძე, რომელიც შეგვეხვეწა, ბერლინში წამიყვანეთო. იქ მამამისი, ფრიდონი ეგულებოდა. უარი ვერ ვუთხარი, რკინიგზის სადგურთანაც და სხვა ქუჩებშიც საფრანგეთის წინააღმდეგობის ჯგუფი უკვე სროლას იწყებდა. ამის მიუხედავად, მატარებელი სადგურიდან გავიდა—აღმოსავლეთისაკენ. იგი მზის ჩასვლის შემდეგ გაუდგა გზას, მაგრამ დროდადრო მგზავრებს ჩამოსვლა და მინდვრებზე გაფანტვა უწევდათ, რადგან თავზე მეკავშირეთა თვითმფრინავები დაგვტრიალებდა.

ბერლინში სალ-სალამათები ჩავედით.

პირველი ლეიტენანტი (მოგვიანებით კაპიტანი) დიმიტრი შალიკაშვილი სამეკავშირეო შტაბის პარიზის ფილიალში სამხედრო მრჩევლად დაინიშნა. ამ სფეროში დირექტორთან და ჟურულთან ერთად უნდა ემუშავა და ახლო კავშირი ჰქონოდა მოხალისეთა წარმონაქმების პარიზის ოფისთან (ეს წარმონაქმნები არმიის დასავლეთის სარდლობას დაუქვემ-

<sup>1</sup> აქედან ჩემი „მინილიური“ ძალზე არეულია, მაგრამ, მე მგონი, არ უნდა ვცდებოდე ჩვენი პარიზიდან გამგზავრების თარიღთან დაკავშირებით. აქ ერთი ინციდენტიც მოხდა. როცა შავგულიძემ გაგვაცვილა და უკან მიბრუნდა, აღმოჩნდა, რომ მანქანა მოეპარათ.

დებარეს). იქ ყოფნისას შეხვდა თავის კოლეგებს სომხური, აზერბაიჯანული, ჩრდილოკავკასიური და რუსული შტაბებიდან. საფრანგეთში მე და მ. კედია ხშირად ვხვდებოდით დიმიტრის, რომელიც ძალიან შეგვიყვარდა. ნამდვილი ჯენტლმენიც იყო, ოჯახისშვილი, კარგად აღზრდილი, ჩინებული სამხედრო წვრთნა ჰქონდა გავლილი პოლონეთში, კავალერიის ოფიცერი გახლდათ. მისი უფროსი ძმა, ან განსვენებული მაიორი დავითი საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. დიმიტრი კეთილსინდისიერი კაცი იყო, ბუნებით დიპლომატი. პარიზში ყოფნისას, ერთხელ, მე და მ. კედია „ნახევრად ხუმრობით“ ვუთხარით, მოვა დრო, როცა შენი ელჩობა და სპიკერობა დაგვჭირდება ინგლისელებისათვის ჩვენი პრობლემებისა და მეცადინეობის ასახსნელად-თქო. ეს სიტყვები „წინასწარმეტყველება“ გამოდგა, რადგან დიმიტრი შალიკაშვილს ომის დასასრულს ამ როლის შესრულება მართლაც მოუხდა იტალიაში, სადაც მივლინებით გავაგზავნეთ, ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

დიმიტრი პარიზიდან არმიის ავტომანქანებით გაჰყვა ევაკუაციაში არმიის შტაბ-ბინის შემადგენლობას, თუმცა ბერლინამდე ჩასასვლელად ორი-სამი დღით მეტი დასჭირდა, ვიდრე ჩვენს მატარებელს. ბერლინში იმავე თანამდებობაზე მუშაობდა ქართულ სამეკავშირეო შტაბში. კარგი იყო, რომ ასეთი თანამშრომელი გვყავდა. პოტსდამიდან, გენერალ კიოსტრინგის შტაბ-ბინიდან, კარგი ახალი ამბები მივიღეთ, 799-ე ქართული ბატალიონი საფრანგეთიდან გერმანიაში გადასულიყო. მეთაურობა გადაიბარა კაპიტანმა სიკო (სიმონ) კობიაშვილმა, იმჟამად არტილერიის ოფიცერმა. მან უამრავი წინააღმდეგობისა და სირთულის მიუხედავად მოახერხა ეს და ბატალიონი ახლა ნეუჰამერისაკენ, გერმანიის სამხედრო წვრთნის ყაზარმაში მიემართებოდა. ამასობაში, ბერლინში, ჩვენს ოფისში ჩამოვიდა მოხსენება, რომ პოლონელმა პატრიოტებმა ამბოხება მოაწყვეს და აჯანყებული არმია გერმანულ ჯარებს გააფრთხილეს ებრძოდა ვარშავის ქუჩებში. დაუყოვნებლივ გავემგზავრე პოტსდამში და შევხდი პოლკოვნიკ-ლეიტენანტს რიოპკეს, მოქმედი დივიზიის მეთაურს გენერალ კიოსტრინგის შტაბში, ვუთხარი, რომ, როგორი ვითარებაც უნდა შექმნილიყო, გინდ 799-ე ქართული ბატალიონი და გინდ ნებისმიერი ქართული შენაერთი არამც და

არამც არ უნდა გამოეყენებინათ აჯანყებულ პოლონური არმიასთან საბრძოლველად, და რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობას მოვიხსნიდი, ვუთხარი, რომ ჩვენ, ქართველებს, განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა პოლონელებთან. ლეგიონის ბატალიონების ქართველ ემიგრანტ ოფიცერთა უმრავლესობა პოლონეთის ჯარში იყო ნამსახურევი. რიოპე მაშინვე ყველაფერს მიხვდა და მტკიცედ აღმითქვა, ახლავე მივიღებ საჭირო ზომებსო. ისიც ვთხოვე, თუ არაფერი გამოგივათ, მაცნობეთ-მეთქი. რიოპესთვის სხვა დროსაც ხშირად მითხოვია ქართული შენაერთებისათვის მხარდაჭერა, მაგრამ ასე შეწუხებული, ალბათ, არასდროს ვუნახივარ.<sup>1</sup> ჩვეულებრივ, სიტყვა შეასრულა, მოგვიანებით 799-ე ბატალიონი დანიაში გადაიყვანეს და სანაპიროს დაცვა დააკისრეს, ამ გადაყვანამ ბატალიონი წინ წამონეული წითელი არმიის ხელში ჩავარდნასაც გადაარჩინა.



ვარშავის ამბოხებამ ძალზე საშიში ვითარება შეუქმნა ყველა იქაურ მცხოვრებს, მათ შორის ქართულ ოჯახებსაც, რომელთა მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა წითელი არმიის მოახლოება. მოკავშირეთა შტაბმა ყველაფერი იღონა ამ ხალხისა და პოლონელი მეგობრების დასახმარებლად. გერმანიაში გავიცანი პოლონეთიდან წამოსული ლტოლვილები, მათ შორის, გენერლები ქონიაშვილი და ზაქრაძე, პოლკოვნიკი ქუთათელაძე, რომელსაც პოლონური წარმოშობის ლამაზი ცოლი ჰყავდა და მათი რჩევებით ვისარგებლე. პროფესორმა, ექიმმა გიორგი (გოგი) ნაკაშიძემ, რომელიც იმჟამად ვარშავაში ქართული კოლონიის პრეზიდენტი იყო, ჩვენს სამეკავშირეო შტაბთან ერთად, მიზანდასახულად მოახერხა ქართველების ევაკუაციის ორგანიზება პოლონეთიდან გერმანიაში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით, ყველა არ წამოვიდა (ან ვერ წამოვიდა) პოლონეთიდან. მათ შორის იყო დიმიტრი შალიკაშვილის ოჯახიც, რასაც, რა-

<sup>1</sup> ნეუჰამერი, სადაც იმჟამად იყო განლაგებული 799-ე ბატალიონი, სილეზიაშია, ვარშავის ახლოს, ასე რომ, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, ეს ბატალიონი რომელიმე რეგიონულ მეთაურს საბრძოლველად გაეგზავნა, რადგან ხალხი არ ჰყოფნიდათ. მითხრეს, რომ სწორედ ასე გამოეყენებინათ რამდენიმე ადგილობრივი შენაერთი, რომელსაც სხვადასხვა დავალებები მისცეს.

საკვირველია, დიმიტრი ძალზე ნუხდა<sup>1</sup>. გერმანიის ჯარებმა ალყა შემოარტყეს და დაბომბვა დაუწყეს ვარშავას, ყველაზე უფრო ყებული ჯარი რიცხოვნობითადაც და შეიარაღებითაც ვერ შეედრებოდა გერმანელებს, მაგრამ ამის მიუხედავად, პოლონელი პატრიოტები, ჩვეულებისამებრ, მამაცურად იბრძოდნენ, ვარშავა. სასიცოცხლოდ აუცილებელი კომუნალური მომსახურების, საკვებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა, მაგრამ ქალაქთან ახლოს, მდინარე ვისტულას აღმოსავლეთ ნაპირზე იდგა „განმათავისუფლებელი დიადი წითელი არმია“ და თვალს ადევნებდა ამ ამკარად უთანასწორო ბრძოლას პოლონელ პატრიოტებსა და გერმანიის შეიარაღებულ ძალებს შორის, ერთხელაც მათ არ უცდიათ პოლონელებს დახმარებოდნენ. რასაკვირველია, სტალინის ომის შემდგომ გეგმას მარჯვედ ესადაგებოდა პოლონეთის „მორჩილი“ კომუნისტური მთავრობის ხელში ჩაგდება. თუ არაკომუნისტ მეამბოხეებს გერმანელები გაჟლეტდნენ, მით უკეთესი იქნებოდა. მეორე მხრივ, დასავლელი მეკავშირეები მათ პარაშუტებით უყრიდნენ აუცილებელ მარაგს, მაგრამ ბევრი რამ გერმანელებს უვარდებოდათ ხელში, მოგვიანებით გამოჩნდა, რომ პოლონელი მეამბოხეები პოლიტიკურმა ლიდერებმა მწარე შეცდომაში შეიყვანეს, მას მერე, რაც მამაცმა პოლონელებმა დიდი ზარალი განიცადეს და იმედი გადაენურათ, მათსა და გერმანელებს შორის ცეცხლის შეწყვეტის ზავი დაიდო. როგორც იქნა, დიმიტრიმ და სხვა ქართველებმა შესძლეს პოლონეთში გამგზავრება თავიანთი ოჯახების მოსაძებნად. უამრავი სირთულისა და დაბრკოლების გადალახვის შემდეგ საბოლო-

<sup>1</sup> შალიკაშვილი დედა, ქალბატონი მისის (მარია) გრაფინია რიუდიგერი, იყო უფროსი და გრაფინია ფონ პაპენჰეიმისა, რომლის ოჯახსაც ქალაქ პაპენჰეიმში, ბავარიაში, ციხე-კოშკებიანი მამული ჰქონდა, მისის და დიმიტრის გრაფინია რიუდიგერის გარდა, ოჯახში ჰყავდათ ორი ვაჟი, ოთარი ჯონი (მალხაზ) და ქალიშვილი ალექსანდრა. პაპენჰეიმებმა გულთბილად მიიღეს ლტოლვილი ნათესავები, ბავშვებმა სკოლაში სიარული დაიწყეს, და მალე თავს ისე გრძობდნენ, როგორც საკუთარ სახლში, ომის შემდეგ ამ ოჯახს მე და ჩემი ცოლი ვესტუმრეთ პაპენჰეიმში, ძალიან გაგვიხარდა, როცა ვნახეთ, თუ რა კარგად შეეგუნე ახალ ცხოვრებას, ჩემი ცოლის ოჯახი და შალიკაშვილები დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, მე მათთვის შედარებით ახალი კაცი ვიყავი, მაგრამ მალე ჩვენც „ძველ მეგობრებად“ ვიქცეთ.

ოდ კვლავ შეერთდნენ. სანამ დიმიტრი ბერლინში, ქართულ სამეკავშირეო შტაბში მუშაობდა, მისი ოჯახი ნათესავებთან ყოფილა ბავარიაში, თვალწარმტაც ისტორიულ ქალაქ პაპენჰეიმში<sup>1</sup> ქართულ სამეკავშირეო შტაბს ჰქონდა სამედიცინო-სანიტარული დეპარტამენტი, რომლის დირექტორი იყო ექიმი დავით ჩატარაიშვილი. მას ევალეობდა საავადმყოფოების შემონახვა, ქართველი ლეგიონერების სამედიცინო მომსახურეობის ხარისხის შეფასება; გარდა ამისა, მოქალაქეთა დახმარება უსაფრთხო სამედიცინო მომსახურების მიღებაში. თავისი მოვალეობების გამო ხშირად მოგზაურობა უწევდა, მაგრამ მაინც გამოძებნა დრო ბერლინის საქველმოქმედო საავადმყოფოში მოხალისე ექიმად, უსასყიდლოდ მუშაობისათვის. ამგვარად დავითი ინარჩუნებდა ექიმის კვალიფიკაციას. ამ საქმეში დაეხმარა მედიცინის დოქტორი ბალუ ნულუკიძე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ამ საავადმყოფოში. დავითს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ექიმებთან, რომლებიც დროდადრო ყველას გვიგზავნიდნენ სტატიებს სამედიცინო სიახლეებზე, რათა კოლეგები თანამედროვე გერმანული მედიცინის მიღწევებს არ ჩამორჩებოდნენ.

დავითს თბილისიდან, საქართველოდან ვიცნობდი. ორივე სამედიცინო სასწავლებელში ვსწავლობდით. მე ერთი წლით ადრე დავასრულე სწავლა. ძალიან კარგი სახელი ჰქონდა სამეცნიერო მიღწევების გამო. პატიოსანი, სანდო ახალგაზრდა იყო. თბილისში ორი შემთხვევა მოხდა, რის გამოც გამორჩეულად მომწონდა. ჯერ ერთი (რაც უფრო მნიშვნე-

<sup>1</sup> ქალბატონი მისის (მარია) შალიკაშვილის დედა, — გრაფინია რიუდიგერი, იყო უფროსი და გრაფინია ფონ პაპენჰეირისა, რომლის ოჯახსაც ქალაქ პაპენჰეიმში, ბავარიაში, ციხე-კოშკებიანი მამული ჰქონდა. მისის და დიმიტრის გრაფინია რიუდიგერის გარდა, ოჯახში ჰყავდათ ორი ვაჟი, ოთარი და ჯონი (მალხაზ) და ქალიშვილი ალექსანდრა. პაპენჰეიმებმა გულთბილად მიიღეს ლტოლვილი ნათესავები. ბავშვებმა სკოლაში სიარული დაიწყეს და მალე თავს ისე გრძობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. ომის შემდეგ ამ ოჯახს მე და ჩემი ცოლი ვესტუმრეთ პაპენჰეიმში, ძალიან გაგვიხარდა, როცა ვნახეთ, თუ რა კარგად შეეგუენ ახალ ცხოვრებას. ჩემი ცოლის ოჯახი და შალიკაშვილები დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, მე მათთვის შედარებით ახალი კაცი ვიყავი, მაგრამ მალე ჩვენც „ძველ მეგობრებად“ ვიქცით.

ლოვანია), ორივეს 1937 წლის „წმენდისას“ დაგვიპატიმრეს მამები და ისინი აღარასოდეს გვინახავს. ამგვარი დევნილი ოჯახებისადმი განსაკუთრებულ სოლიდარობას და სიახლოვეს ვგრძნობდი. მეორე—დავითი სამედიცინო სკოლის ალპინისტური ჯგუფის ლაშქრობებში მონაწილეობდა. ეს ჯგუფი მე ჩამოვაყალიბე ქართული ალპინისტთა კლუბის დახმარებით. პირველად ყაზბეგში ავედით, ზაფხულის დასაწყისში; დარი იდგა და სტუდენტებმა დიდებულად გაატარეს ის დღეები. დავითი მეორე ექსპედიციაში მონაწილეობდა, ყაბარდოს მთაზე, ოქტომბრის მინურულს. ამინდი აირია და ათასგვარი პრობლემა შეგვექმნა. ასვლისას შემოგვიერთდა სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ ალპინისტთა ჯგუფი, ლენინდარული ალპინისტებით, ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. მედიკოსთა ჯგუფი იმავე შემადგენლობით დაბრუნდა, მაგრამ „სპარტაკის“ ორი წევრი გარდაიცვალა დაღლილობისა და სისუსტისაგან. ამგვარი ვითარება ადამიანებს აახლოვებს და მეგობრობას განამტკიცებს. ერთი სიტყვით, 1943 წლის დეკემბერში, ბერლინში, ძალიან გამიხარდა დავითთან შეხვედრა. შვებულებით იყო ჩამოსული უკრაინიდან, გერმანიის სამხედრო შენაერთიდან. გერმანელმა მეთაურმა თანმხლებად გამოიყოლა გერმანელი სერჟანტი ოფიცერი, რომლის ოჯახიც ბერლინში ცხოვრობდა. ექიმი და მისი ამხანაგი სასაუზმოდ ბერლინის რუსულ რესტორან „მედვედში“ შევიდნენ. ისე მოხდა, რომ „მედვედში“ საუზმობდა ქართველი სერჟანტი ოფიცერი ალიოშა აბაშიძეც, რომელიც სამეკავშირეო შტაბში მუშაობდა. სწორედ ალიოშასაგან გაიგო პირველად დავითმა ბერლინში ქართული სამეკავშირეო შტაბისა და ქართველების, მათ შორის მისი მეგობრის, ექიმ გედი ასათიანისა და ჩემი ამბავი. ერთი-ორი დღის შემდეგ მე, მიშა კედია, მიხო ალშიბაია და გოგი მაღალოვი (მაღალაშვილი) დავითს სასტუმროში შევხვდით. მისი ამბავიც მოვისმინეთ და ჩვენიც ვუთხარით. ჩემს სამ მეგობარს მოეწონა დავითი. გადავწყვიტეთ, რომ ქართული სამეკავშირეო შტაბის სამედიცინო-სანიტარული დივიზიის მეთაურად უკეთეს კაცს ვერ მოვძებნიდით. და-



ვითმაც მიიღო ჩვენი წინადადება. შესაბამის გერმანულ ტენდერებს მივმართეთ და ისინიც დაგვთანხმდნენ, რომ გაეთავისუფლებინათ ექიმი დავით ჩატარაიშვილი სამხედრო სამსახურისაგან, რათა უფრო სასარგებლო საქმისათვის მოეკიდა ხელი ახალ თანამდებობაზე და შეესრულებინა მოვალეობა, რომელსაც გამუდმებით ასრულებდა და რომელიც მისი მონოდება იყო.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ექიმი ჩატარაიშვილი, რომელიც სამხედრო ექიმად მუშაობდა საბჭოთა არმი-  
აში, 1942 წლის ზაფხულში უკრაინაში აიყვანა გერმანულმა ჯარმა სამხედრო  
ტყვედ. ექიმობისა და გერმანული ენის მცოდნე სამხედრო ტყვეების სიმცირის  
გამო იგი თარჯიმნად და ექიმის თანაშემწედ გაამწესეს გერმანულ ბატალიონში.  
გერმანელების უკანდახევისას, 1942 წლის შემოდგომის მიწურულსა და ზაფხულის  
დასაწყისში და ბატალიონის გერმანელი ექიმის შვებულებისას ექიმ ჩატარაიშ-  
ვილს (რომელიც სხაპასხუპით ლაპარაკობდა გერმანულად) გერმანელი სამხედრო  
ექიმის მოვალეობის შესრულება მიანდეს. მძიმე ბრძოლების ვითარებაში მან  
გამბედაობა და უანგარობა გამოიჩინა, არად აგდებდა საფრთხეს და ბრძოლის  
ველზე, მტრის ცეცხლის ქვეშ უვლიდა დაჭრილ ჯარისკაცებს, რამდენიმე დაჭრი-  
ლ ჯარისკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე დროული სამედიცინო დახმარებით. ამის-  
თვის იგი აღმოსავლელი მოხალისეებისათვის განკუთვნილი სპეციალური მედ-  
ლებით დააჯილდოვეს (იხ. ომისდროინდელ და ომის შემდგომ დოკუმენტთა ას-  
ლები ავტორის არქივში).

ომის დასასრულამდე ცოტა ხნით ადრე, სამეკავშირეო შტაბის ევაკუაციისას,  
დავითი კარლსბაში გაემგზავრა და ექიმად დაიწყო მუშაობა. იქ იყო კიდევ ორი  
ექიმი—გედი ასათიანი და გოგი (გიორგი) ვეფხვაძე. ომის დასასრულს, იმ არეუ-  
ლობაში მუშაობისას ქართველი ექიმები შეხვდნენ რუს ექიმებს წითელი არმიი-  
დან, რომლებმაც თავიანთ ჰუმანურობის, კოლეგიალობისა და გამბედაობის და-  
სამტკიცებლად ქართველი კოლეგები გააფრთხილეს, საბჭოელებს ხელში არ ჩა-  
უვარდეთ, თორემ სიკვდილი არ აგცდებათო. დავითმა ეს სიტყვები მამინვე ირ-  
წმუნა და დაუყოვნებლივ გადასცა სხვა ქართველებს კარლსბადში, თან დასძინა,  
მეც ამას გირჩევთო. ამ რჩევას ორი ექიმი დაჰყვა, თუმცა გოგიმ სცადა ჯერ  
თვითონ „გაერკვია“ ეს საკითხი.

ომის შემდგომ დავითი დასახლდა მიუნხენში, სადაც უნივერსიტეტის საავად-  
მყოფოში დაიწყო მუშაობა. გინეკოლოგიის სწავლას მიჰყო ხელი. რამდენიმე წლის  
შემდეგ ბავარიის მთავრობამ საოცარი მხარდაჭერა გაუწია გადაადგილებულ  
უცხოელ ექიმებს და გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით ამ ექიმებს ნება  
დართეს გამოცდა ჩაებარენათ მიუნხენის უნივერსიტეტში. წარმატების შემთხვე-  
ვაში, ამ უნივერსიტეტის დიპლომს მისცემდნენ.

იმჟამად ზოგადი ქირურგიის სპეციალობას ვსწავლობდი ლოუნინგენისა და  
აუგსბურგის (ბავარიის) გერმანულ საავადმყოფოებში. დავითმა მითხრა, მიუნხენის  
უნივერსიტეტიდან დიპლომის აღების საშუალება ყოველთვის არ გექნებაო და  
მირჩია, ბედი მეცადა. ორივემ ჩავაბარეთ გამოცდები.

## თავი IX

### ომის დასასრული

1944 წლის სექტემბერში ქართული სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტი და ჩვენი კავკასიელი კოლეგები ხელახლა ვაფასებდით კავკასიური სამხედრო შენაერთების მდგომარეობას. იმჟამად თითქმის ყველა შენაერთმა დიდი ზარალი განიცადა, უამრავი ხალხი დაგვეღუპა<sup>1</sup>. იმედი გვქონდა, რომ უკიდურეს შემთხვევაში, დასავლელთა ჯარების მიერ სამხედრო ტყვეებად აყვანილ ლეგიონერებს, ჟენევის კონვენციის თანახმად, ადამიანურად მოპყრობოდნენ და ბევრ მათგანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. ამასობაში საბერძნეთიდან ბერლინში ჩამოვიდა კაპიტანი მიშა დადიანი. „ბერგმანიდან“ სამეკავშირეო შტაბში მისი გადმოყვანა ჩვენ მოვითხოვეთ. გაგვიხარდა, რომ მიშა ისევ ჩვენთან იყო, მაგრამ ყველაზე უფრო ის გვახარებდა, რომ მიშა კვლავ შეხვდა თავის ცოლს, თინას (რომელიც, როგორც აღვნიშნე, მე და მ. კედიამ ერთად ჩამოვიყვანეთ პარიზიდან). ამ წყვილის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ბერლინზე გახშირებულ საჭაერო თავდასხმებსაც კი არად აგდებდნენ. პოტსდამში, გენერალ კიოსტრინგის შტაბთან, განსაკუთრებით, კაპიტან ზიგფრიდ უნგერმანთან მჭიდრო თანამშრომლობით, ნიადაგს ვამზადებდით, რომ მ. დადიანისთვის გადაგვებარებინა იტა-

<sup>1</sup> „მოხსენება კავკასიური სამხედრო შენაერთების თაობაზე გერმანიის შეიარაღებულ ძალებში“ თქვენმა მონა-მორჩილმა კავკასიის კომიტეტს წარუდგინა მათი მოთხოვნის თანახმად. ამ მოხსენებას ეყრდნობოდა კომიტეტის შემორანდუმი შე-საბამის გერმანელ ხელისუფალთა მიმართ.



ლიაში II/189-ე ქართული ბატალიონის მეთაურობა. ეს ერთ-ერთი ნაწილი გეგმისა, რომლის თანახმად კაპიტანი ვანო ბაქრაძე უნდა დანიშნულიყო ნიუჰამერში, 799-ე ქართული ბატალიონის მეთაურად, კაპიტანი სიმონ (სიკო) კობიაშვილი—მეთაურად ქართული ლეგიონისა, რომელიც კვლავ მოუყრიდა თავს სხვა შენაერთების დანაწევრებულ ჯგუფებს. მისი თანაშემწე იქნებოდა პირველი ლეიტენანტი დავით (დათა) ლალიძე. კვლავ ვცდილობდით „ბერგმანის“ ბალკანეთიდან გამოყვანას და უფრო უსაფრთხო ადგილას დაბინავებას. ამასობაში, ვცდილობდით შეგვემცირებინა „ბერგმანი“ მისი ჯარისკაცებისთვის სხვადასხვა დავალებების გამოძებნით (გენერალ კოსტრინგის შტაბის დახმარებით). ამ ჯარისკაცებს სხვადასხვა შენაერთებში ვაგზავნიდით და „ბერგმანში“ აღარ ვაბრუნებდით. განუწყვეტელი დიალოგი გქონდა ჩვენს კავკასიელ კოლეგებთან და გენერალ კოსტრინგთან კავკასიურ პოლკის შექმნის შესაძლებლობაზე. ეს პოლკი მოგვიანებით გახდებოდა ბირთვი „კავკასიური არმიისა“.

სექტემბერის შუა რიცხვებში ჩრდილოეთ იტალიაში, ვერონაში, ვენვიე II/198-ე ქართულ საველე ბატალიონს. ამ შენაერთზე რამდენიმე მოხსენება გექონდა, მაგრამ მანამდე არ მენახა. ვერონაში გავიცანი ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი, კაპიტანი ფონ მიულერი. მეთაური, მაიორი შულცი, ავად იყო და საავადმყოფოში იწვა. კაპიტან ფონ მიულერს, კარგად აღზრდილ, გულითად ჯენტლმენს, ესმოდა თავისი ლეგიონერებისა, პატივისცემით ეპყრობოდა მათ. ხუთივე ქართველ ოფიცერს კაპიტანი უყვარდა და ამის მიზეზს კარგად ვხვდებოდი. მასთან რამდენიმე საუბრის შემდეგ ჩემთვის ისიც ნათელი გახდა, რომ ნაციტურ იდეოლოგიას და მოსაზრებებს არ იზიარებდა, რაც აადვილებდა ამ კაცის სამსახურს აღმოსავლურ შენაერთებში.

ლეიტენანტი არჩილ დადიანი ბატალიონში არტილერიისტ ოფიცრად დაინიშნა. ამ სფეროში ბატალიონის მეთაურის მრჩეველი იყო. ის ლექციებსაც უკითხავდა ლეგიონერებს საქართველოს ძველ თუ თანამედროვე ისტორიაზე და ყურადღებას ამახვილებდა საქართველოსა და მისი მეზობლების ურთიერთობაზე. ამას საგრძნობი გავლენა ჰქონდა ლეგიონერებზე, რომლებსაც საბჭოურ რეჟიმში მცდარად ასწავლიდნენ ისტორიას. არჩილ დადიანი ქარაგმულად, ფრთხილად,



თუმცა საკმაოდ ეფექტურად ააშკარავებდა ამ ლექციებში კანბალისტური ნაციისტური პროპაგანდის შეცდომებს. სწავ ქართველი ოფიცრები ასე იყვნენ განაწილებულნი: ლეიტენანტი ლეო მეტრეველი—პირველ ასეულში, კაპიტან ფონ მიულერთან, ზურაბ აბდუშელიშვილი—მეორე ასეულში, ლეიტენანტი გივი ფორაქიშვილი—მესამე ასეულში, ლეიტენანტი კიონიგთან, ლეიტენანტი ირაკლი კონტრიძე—მეოთხე ასეულში, ლეიტენანტი მიულერთან. ვერონაში ხანმოკლე შესვენების შემდეგ ბატალიონი შეუდგა ინტენსიურ სამხედრო წვრთნას, განსაკუთრებით სერჟანტთა შემდგენლობისთვის. თუმცა ა. დადიანმა განაგრძო თავისი ლექციები; ქართველებმა გერმანულის სწავლა დაიწყეს, გერმანელმა მოსამსახურებმა—ქართული ენისა, რათა უკეთ გაეგოთ ერთმანეთისათვის.

ვერონაში სამი-ოთხი დღე დავრჩი, ბატალიონი დავათვალიერე და რაც შეიძლებოდა, მეტი დრო დავყავი ოფიცრებთან და ლეგიონერებთან. დიდად ვისიამოვნე ჩინებული მასპინძლობითა და მშვენიერი ქალაქით—ვერონთ თვისი ძველი კოშკებით, რომლებიც სრულიად არ ჰგავდა „ჩემს“, სვანურ კოშკებს. II/198-ე ბატალიონის გამო შედარებით გულდამშვიდებული წავედი ბერლინში, რადგან უსაფრთხოდ იყვნენ. ბატალიონის მთავარი საქმე იყო იტალიელი გვარდიელებისაგან მნიშვნელოვანი ხიდების, გზებისა და რკინიგზის დაცვა. მანამდე არც ერთმხარეს მძიმე ზარალი არ განუცდია და იმედი გვქონდა, რომ ასევე გაგრძელდებოდა. ვერონაში ჩასვლამ დამარწმუნა, რომ თუ ბატალიონი მთლიანად ქართულ მეთაურობას დაექვემდებარებოდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. რასაკვირველია, დასჭირდებოდათ გერმანელი მეკავშირე ოფიცერი, ბულალტერი და რამდენიმე მდივანი საბუთების მოსაწესრიგებლად. II/198-ე ქართულ საველე ბატალიონს წარსულში მარცხიც განუცდია და წარმატებებიც, მაგრამ, საერთოდ, დამაკმაყოფილებელი სახე ჰქონდა.<sup>1</sup>

შემდეგ ვენჯიე 799-ე ქართულ ბატალიონს ნეუჰამერში, სილეზიაში (გერმანია). ისინი სამხედრო ბარაკებში ცხოვრობდნენ და დამატებით წვრთნას გადიოდნენ. როგორც აღვნიშნე, ამ ბატალიონს საფრანგეთიდან გერმანიისკენ ერ-

<sup>1</sup> იხ. კაპიტან ფონ მიულერის მოხსენება „II/98-ე ქართული საველე ბატალიონი“ ავტორის არქივსა და „Bundesarchiv“-ში, ფრაიბურგში.



თობ მძიმე სამხედრო პირობებში მოუხდა გზის გამოკვლე-  
 ლა—უკანდახევისას მოკავშირეთა წინ წაწეული რაზმები უნდა  
 გამოეცვლოთ. 759-ე ბატალიონი ერთ-ერთ იმ ქართულ შენა-  
 ერთთაგანი იყო, რომელსაც მე და მ. ალშიბაია ვენციეთ  
 საფრანგეთისაკენ მგზავრობისას, 1943 წლის დეკემბერში და  
 ძალზე მოგვეწონა. გენერალი კოსტრინგი და მისი შტაბი  
 მხარს უჭერდა ჩვენს წინადადებას რამდენიმე ბატალიონის  
 ქართული მეთაურებისათვის დაქვემდებარების თაობაზე, მაგ-  
 რამ ამ საქმის აღსრულებას რამდენიმე თვე დასჭირდა. რო-  
 ცა ეს ამბავი ვაცნობე ბაქრადესა და კობიაშვილს, მათ არც  
 კი დაიჯერეს, რომ გერმანელები ამაზე დათანხმდებოდნენ.

ნეუჰამერში მეორედ ჩასვლისას ფონ კუცშენბახიც მახლდა.  
 სიკო კობიაშვილი, რომელსაც ახალი გაკეთებული ჰქონდა  
 თორმეტგოჯა ნაწლავის ოპერაცია, საავადმყოფოდან გამო-  
 წერილი დაგვხვდა. ცოლი, კირა<sup>1</sup> უვლიდა. 1944 წლის შე-  
 მოდგომაზე, როცა აშკარა გახდა, რომ გერმანელების და-  
 მარცხება გარდაუვალი იქნებოდა, ჰიტლერმა ვლასოვის და-  
 წინაურება გადაწყვიტა. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტი-  
 ლებებზე გავლენა იქონია გიუნტერ დ' ალქუინმა, რომელიც  
 „ახალი ყაიდის“ ესესელი იყო. იგი სამხედრო კორესპონ-  
 დენციების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დ' ალქუინის  
 მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰიმლერზე. მოხსე-  
 ნებაში ნათქვამი იყო, რომ ახლა პოლიტიკური ბრძოლის  
 დრო დადგა; მომხსენებელმა სცადა, თავის „ჭკუაზე გადაეყ-  
 ვანა“ ჰიმლერი და მოახერხა კიდეც ეს, ოღონდ ორი წლის  
 შემდეგ. 1942 წლის დეკემბერში კი, სტალინგრადში გერმანე-  
 ლების სამხედრო კატასტროფის შემდეგ, გერმანელთა სამხედ-  
 რო პროპაგანდამ რადიოთი გადასცა, რომ დაატყვევეს საბჭო-  
 თა არმიის გენერალი ვლასოვი, რომელმაც გერმანელების  
 მხარდაჭერით შექმნა სმოლენსკის კომიტეტი, რათა ჩამოეყა-  
 ლიბებინა რუსული ოპოზიცია სტალინისა და მისი ბოლშე-

<sup>1</sup>ქალბატონი კირა კობიაშვილი, გენერალ ბაქრადის ქალიშვილი, ლამაზი, გონივ-  
 რი, მამაცი ქალი გახლდათ, დამოუკიდებლად აზროვნებდა და თავს ართმევდა  
 კრიტიკულ სიტუაციებს; ამგვარ სიტუაციაში კი, ახალგაზრდობის მიუხედავად, არა-  
 ერთხელ ყოფილა და მათი დაძლევაზე შეეძლო. კირა მე ბერლინში მყავდა ნანახი,  
 სადაც იგი პოლონეთიდან ჩამოვიდა დევნილად. კუცშენბახმა იგი პირველად ნახა  
 და ძალიან მოეწონა. კობიაშვილებს ორი საყვარელი ბავშვი ჰყავდათ: გოგონა—მაიკო  
 და ვაჟი—ზურაბი. მაიკო უფროსი იყო, ძმას ელოლიავენბოდა და მეტსახელებსაც  
 ეძახდა.

ვიკური, მოძალადე სისტემის წინააღმდეგ. ხოტბას ასხამდნენ რუსული განმათავისუფლებელი არმიის ლიბებასაც, რასაც მრავალი მომხრე გამოუჩნდა გერმანელთა გავლენიან წრეში, განსაკუთრებით, სამხედროებს შორის. მათთვის ნათელი იყო, რომ გერმანიის სამხედრო ძალით საბჭოთა სახელმწიფოზე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. ერთადერთი გზა რჩებოდა: პატიოსანი თანამშრომლობა გაენით განზილებული საბჭოელებისათვის სტალინის ბოლშევიკური ტირანიის დასამხობად და შეეთავაზებინათ ამ ხალხისათვის სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებებსაც დაიცავდნენ და სახარბიელო ეკონომიური პირობებიც იქნებოდა. ეს, რასაკვირველია, რადიკალურად შეცვლიდა ნაცისტების არაჰუმანურ გეგმას აღმოსავლური ტერიტორიების ხალხებთან დაკავშირებით, მაგრამ ჰიტლერმა სასტიკად იუარა. უკანასკნელად ამგვარი წინადადება, როგორც ჩანს, განსაკუთრებით კარგად იყო მოფიქრებული, და ფართო საზოგადოებაც უჭერდა მხარს—მხოლოდ სამხედროები კი არა, როგორ დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, თვით როზენბერგიც კი. მაგრამ ჰიტლერმა ისევ უარი განაცხადა და ეს უარი ეხებოდა არამარტო ვლასოვს, არამედ არარუსულ ეროვნულ კომიტეტებსაც. ასე რომ, ვლასოვის სახელი და მისი მოძრაობა მხოლოდ გერმანული პროპაგანდისტული მიზნებით გამოიგონეს, ხშირად ისე, რომ ვლასოვმა ეს არ იცოდა. „რუსეთის განმათავისუფლებელი არმია“ იმჟამად, ფაქტიურად, არ არსებობდა, ვინაიდან რუსული თუ არარუსული წარმოშობის ყველა მოხალისე ჯარისკაცი მაშინ გერმანულ არმიაში მსახურობდა—ან ინდივიდუალურად, ან პატარა ეროვნულ შენაერთებში, რომლებიც ბატალიონებს არ აღემატებოდნენ და გერმანულ დივიზიებს ექვემდებარებოდნენ.<sup>1</sup>

ახლა, როცა გერმანელების დამარცხება აშკარად გარდაუვალი იყო, ჰიტლერმა გადაწყვიტა ვლასოვის წახალისება და ესესმაც ენერგიულად აუბა მხარი ამ საქმეში. 1944 წლის შემოდგომაზე ვლასოვს ნება დართეს, შეექმნა „რუსეთის ხალხთა განთავისუფლების“ კომიტეტი, რომლის მანიფეს-

<sup>1</sup> ა. დოლინი, გერმანული რეჟიმი რუსეთში, 1941-1945. „სენტ. მარტინს პრეს“, გვ. 574, 575, 576. ციტირებულ დოკუმენტთა შორის არის 1943 წლის ივნისით დათარიღებული კეიტელის წერილი როზენბერგსადმი. წერილში ნათქვამია: „(1) ეროვნული კომიტეტები არ უნდა გამოვიყენოთ მოხალისეთა გასანჯვევად. (2) ვლასოვი არ უნდა გამოჩნდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. (3) ვლასოვის პროპაგანდის გაგრძელებელზე

ტიც მან პრალაში წაიკითხა დამფუძნებელ კონგრესზე. ვლასოვს ახლა უფლება მისცეს, ჰქონოდა ორი დივიზიისაგან შემდგარი „რუსეთის განთავისუფლების არმია“. გენერალ კოსტრინგს დახმარება სთხოვეს ამ დივიზიების ჩამოყალიბებაში და მანაც, თავის მხრივ, პოლკოვნიკი ჰეინც დანკო ჰერე მიავლინა (შტაბის ყოფილი უფროსი) ამ სამუშაოს შესასრულებლად!

ამასობაში ესეი არარუსულ წარმომადგენლობებსაც აძალებდა, ვლასოვს შეუერთდითო. მაგრამ კავკასიელთა პოზიცია თავიდანვე გარკვეული იყო. ისინი მიესალმნენ გენერალ ვლასოვის 1942 წლის სმოლენსკის დეკლარაციას, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს იქნებოდა პოტენციური ქვაკუთხედი კრემლის ბოლშევიკური ტირანიის დამხობის საქმეში. კავკასიელები ელოდნენ, რომ გერმანული მთავრობა ვლასოვის სხვა წინადადებებსაც დაუყოვნებლივ მიიღებდა და მზად იყვნენ, ვლასოვთან ერთად „მრგვალ მაგიდასთან“ ემსჯელათ, როგორსაც თანასწორ მეკავშირეებს. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ ვლასოვი მათი ქვეყნების სუვერენიტეტს აღიარებდა. სხვაგვარად კავკასიელები ვერ იქნებოდნენ თავიანთი საზღვარგარეთ მყოფი ხალხების თვალსაზრისის წარმომადგენლები, იმ ხალხებისა, ვისაც ეროვნული კავშირები და დევნილი მთავრობები ხელმძღვანელობდა. ალბათ ასეთივე თვალსაზრისი ჰქონდა ხალხს კავკასიაშიც. თუ საჭირო გახდებოდა, კავკასიელი ხალხების პლებისციტი ამ საკითხზე ომის შემდეგ შეიძლებოდა.

ჩამოყალიბდა კავკასიური მაკოორდინირებელი კომიტეტი, რომელმაც სპიკერად მ. კედია აირჩია. ამ ამპლუაში უნდა შეხვედროდა იგი ვლასოვს. წასვლის წინ კედია დაუკავშირდა ქართული სამეკავშირეო შტაბის სხვა დირექტორებს და ჩვენი თანამშრომლების ერთ ჯგუფს. ინფორმაცია შეკ-

პიტლერს უარი არ უთქვამს, ოღონდ იმ პირობით, რომ არც ერთი პუნქტი არ უნდა განხორციელებულიყო ფიურერის თანხმობის გარეშე.

არც ერთ გერმანულ უწყებას სერიოზულად არ უნდა მიეღო ვლასოვის პროგრამის ცამეტ პუნქტში მოცემული მოსაზრებები<sup>1</sup>.

იყო რამდენიმე გამონაკლისიც. მაგალითად, გენერალი პანკოვიჩის კაზაკთა საცხენოსნო დივიზია და „თურქისტანი“, დივიზია №162.

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. ჰერკარტი, დოლინი და ექიმი იოაჰიმ პოფმანი: Die Geschichte der Wlassow - Armee, POA2, unveränderte Auflage. Verlag Romach Freiburg - 1986. Druchhaus KG, Freiburg im Breisgau. დაბეჭდილია გერმანიაში (გერმანულ ენაზე).



რიბა სხვა ქართველი პოლიტიკური ლიდერებისგანაც, რომლებიც ამჟამად ბერლინში იყვნენ. კედიამ მათ უთხრა, კავკასიური კომიტეტი უარს იტყვის ვლასოვის კომიტეტში გაერთიანებაზე, თუ ეს უკანასკნელი არ აღიარებს კავკასიის ერთა სუვერენიტეტსო. კედიამ ისიც თქვა, ჩემი ინფორმაციის თანახმად, ამგვარი უარის შემთხვევაში, რეალურად შესაძლებელია მე და ჩემი მიმდევრები ესესმა დაგვაპატიმროსო. ასე რომ, მოგვანდო, თვითონ გადაგვენწყვიტა, რა პოზიციას დავიკავებდით ამ საკითხთან დაკავშირებით.<sup>1</sup> რასაკვირველია, ყველამ დავარწმუნეთ კედია, რომ მხარს ვუჭერდით. ვიქტორ ხომერიკმა, რომელიც მცირე ხანით იყო ჩამოსული ბერლინში და ისევ ბალკანეთში ბრუნდებოდა, მხურვალედ შეაქო კედიას პოლიტიკა.

კედია-ვლასოვის შეხვედრას, რომელიც ვლასოვის სურვილის წინააღმდეგ გაიმართა, ესწრებოდა ესესის თვალსაჩინო წარმომადგენელიც — კალტენბრუნერი. მან მუქარის ტონით სცადა, დაეშინებინა კედია და აეძულებინა იგი დაქვემდებარებოდა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტს ვლასოვის ხელმძღვანელობით. ეს საქმე კალტენბრუნერს არ გამოუვიდა. კედიამ შიშისაგან ათრთოლებული ხმით კი არა, მრისხანედ მიმართა შეხვედრის მონაწილეებს და თქვა, საბჭოთა კავშირში მარტო „რუსეთის ხალხები“ კი არა, „არარუსი ერებიც“ არიან და კავკასიელები იმისთვის არ იბრძოდნენ, რომ წითელი რუსეთის ბატონობა ახალი, იმპერიალისტური რუსეთით შეეცვალათ, სადაც თვითგამორკვევის უფლება არ ექნებათო. ბელორუსიის, უკრაინისა და თურქმენეთის წარმომადგენლებმაც მხარი აუბეს კავკასიელებს. ამგვარი მტკიცე უარის შემდეგ თვითონ გენერალმა ვლასოვმაც აღარ მოინდომა არარუსების შეყვანა თავის კომიტეტში და როგორც ჩანს, ესესელმა კალტენბრუნერმაც არჩია, კედია და დანარჩენები არ დაეპატიმრებინა. რასაკვირველია, გამოჩნდნენ ისეთი არარუსებიც, ვინც ვლასოვის კომიტეტს შეუერთდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე აგებდნენ პასუხს. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთი ქართველი შეუერთდა ვლასოვს—პოლკოვნიკი შალვა მალ-

<sup>1</sup> იხ. პროფ. მიხაკო წერეთლის პასუხი კედიასადმი (ავტორის არქივი).





ლაკელიძე.<sup>1</sup> ბერლინში დანარჩენ ქართველებთან კამათობის  
 მან განაცხადა, რომ ვლასოვს შეუერთდა არა როგორც მალ-  
 ლაკელიძე, არამედ როგორც ფიქტიური „გენერალი მორო-  
 ზოვი“, და ასე მოხდა გერმანიის სადაზვერვო უწყების  
 ბრძანებით; პასუხი არ გასცა კითხვაზე, რა ფუნქცია ჰქონდა  
 იქ და რამდენ ხანს იქნებოდა დასაჯერებელი ამგვარი ფა-  
 რისეველობა? არც ერთ ჩვენგანს სერიოზულად არ მიუღია  
 ეს „ახსნა“. გვინტერესებდა, სინამდვილეში რა განზრახვით  
 შეუერთდა ვლასოვს? ომის ბოლო მონაკვეთში ესეის სულ  
 უფრო და უფრო ცდილობდა არმიის დაქვემდებარებას. ეს  
 განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოჩნდა 20 ივლისის პუტ-  
 ჩის მარცხის შემდეგ. ესეის უნდოდა, აღმოსავლელ მოხალისე-  
 სეთა შენაერთებზეც მოეპოვებინა გავლენა. ადრე ამ შენაერ-  
 თებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი, ახლა კი ინტე-  
 რესი გამოიჩინეს. ესეის „ახალი ყაიდის“ ახალგაზრდა ოფიც-  
 რებს სჯეროდათ, რომ აუცილებელი იყო ომი გადაზრდილი-  
 ყო აღმოსავლეთში პოლიტიკურ ბრძოლაში და აშკარად უგულ-  
 ვებელყოფდნენ იმ ფაქტს, რომ ომი გერმანიას უკვე ნა-  
 გებული ჰქონდა. ერთ-ერთ მათგანზე, დ'ალქუინზე ადრევე  
 მოგახსნეთ. მის მოსაზრებებს იზიარებდნენ დოქტორი ფრიც  
 არლტი და დოქტორი ერჰარდ კროგერი. ამ უკანასკნელს,  
 როგორც ჩანს, ესმოდა არარუს უმცირესობათა პრობლემები  
 და მხარს არ უჭერდა გენერალ ვლასოვთან მათ იძულებით  
 შეერთებას. მათ გარდა იყო ესეის უფროსი ოფიცერი, გოტ-  
 ლობ ბერგერი, რომელმაც, როგორ პარადოქსულადაც უნდა  
 ჩანდეს, თვით მინისტრ როზენბერგის თხოვნით შექმნა **Ostmi-**  
**ministerium**-ში ჰიმლერის მეკავშირეთა ჯგუფი.

როზენბერგის ეს საქციელი იყო ნაწილი რთული შიდა  
 ბრძოლისა ძალაუფლებისათვის ნაცისტურ იერარქიაში და  
 მიზნად ისახავდა ბერგერის გადაბირებას. თუმცა ამ საკითხზე  
 დანვრილებით მსჯელობა ჩვენი მემუარების ფარგლების  
 სცდება; მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მალე მინისტრმა  
 როზენბერგმა ბერგერი **Ostministerium**-ის პოლიტიკური მოქ-  
 მედი შტაბის დირექტორად დანიშნა. 1944 წლის ზაფხულში  
 ბერგერმა ესეის, თავის მთავარ ოფისში ჩამოაყალიბა სპე-

<sup>1</sup> იხ. თავი „კავკასია“, მალაკელიძის შესახებ.



ციალური სააგენტო აღმოსავლელ მოხალისეთა საკითხებზე  
 სამუშაოდ. ზემოთ ხსენებული არლტი და კროგერი ამ საა-  
 გენტოში მიავლინეს.<sup>1</sup> ესესის ამგვარმა დაინტერესებამ აღ-  
 მოსავლელი მოხალისეებით დიდად შეაფიქრიანა კავკასიუ-  
 რი სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტი და გე-  
 ნერალ კიოსტრინგის შტაბ-ბინა პოტსდამში. ბერგერი თა-  
 ვის ორივე ოფისს გამოიყენებდა აღმოსავლელ მოხალისეთა  
 „Waffen SS“ შენაერთების დასაწინაურებლად და ხელს თუ  
 არაფერი შეუშლიდა, შეიძლებოდა მოხალისეთა შენაერთები  
 უკვე გერმანიის არმიაშივე დაესაკუთრებინა. რატომ უნდა  
 შევწინააღმდეგებოდით ყოველივე ამას? იმიტომ, რომ ეს  
 იყო საერთოდ ესესისადმი, როგორც სასტიკი დაწე-  
 სებულებისადმი დამოკიდებულების საკითხი (რასაკვირველია,  
 ვიცოდით, რომ იყვნენ ჩვეულებრივი ესესელი ჯარისკაცები,  
 ვინც ავ საქმეებში ჩაითრიეს და არჩევანი აღარ ჰქონ-  
 დათ-ბრძანებებს უნდა დამორჩილებოდნენ). გარდა ამისა,  
 არმიას არ მოსწონდა, რომ ესესელებს უსამართლო პრივი-  
 ლეგიებს ანიჭებდნენ. ესესი ამით აცდუნებდა აღმოსავლე-  
 ლებს—ზოგჯერ წარმატებითაც. მაგრამ სულ ყველაზე მთა-  
 ვარი ის იყო, რომ ჩვენ ესესი, მისი დამოკიდებულების გამო  
 აღმოსავლელებისადმი, მტრად მიგვაჩნდა. ეს მოგვიანებით  
 დაადასტურა ესესის ბროშურამ ჩვენს შესახებ („აღმოსავ-  
 ლელი ქვეადამიანები“) —უსაშველოდ დისკრიმინაციულმა  
 პუბლიკაციამ. სანამ კიოსტრინგი და კავკასიის სამეკავში-  
 რეო შტაბი ამ ბროშურას უტევდნენ, ჩვენ მშვენიერი არგუ-  
 მენტი გვქონდა კავკასიის **Waffen SS** შენაერთების ჩამოყა-  
 ლიბების საწინააღმდეგოდ. ხალხიც გვაკლდა, ოფიცრებისა  
 და სერჟანტების ჩათვლით, გვინდოდა, არსებული რესურ-  
 სები არმიაში გაგვეერთიანებინა და შეგვექმნა ერთი კავკა-  
 სიური არმია, ადგილობრივი ხელმძღვანელობით. გენერალი  
 კიოსტრინგი და მისი შტაბიც მხარს გვიჭერდა.

ერთ დღეს კიოსტრინგმა მაცნობა, პოტსდამში შენი ნახვა  
 მინდაო. იქ ხშირად ჩავდიოდი და ძალიან მსიამოვნებდა  
 გენერლისა და მისი შტაბის მხარდაჭერა და გულითადობა.

ისინი პირადი დეპარტამენტის კაპიტნის ზიგფრიდ უნ-

<sup>1</sup> ა. დოლინი, გერმანული რეჟიმი რუსეთში, 1941-1945. გვ. 28, 611, 612. თვითონ  
 ბერგერი იყო „Waffen SS“-ის გენერალი და ესესის მთავარ ოფისში მუშაობდა  
 პიძლერის ხელქვეითად.

გერმანის შერქმეულ სახელს მიძახდნენ: „unsere nerwens see-  
ge“ („ჩვენი ნერვების მღრღნელს“). ეტყობა, ჩემს გამუდმებულ  
სათხოვრებს გულისხმობდა ლეგიონერთა გამო. ამჯერად  
შეხვედრის მიზეზი ის გახდა, რომ კიოსტრინგს შეუტყვია,  
ქართული „Wffen SS ცხენოსანთა“ პოლკი იქმნება, როგორც  
„კავკასიის Waffen SS დივიზიის“ ნაწილი. კიოსტრინგს აინ-  
ტერესებდა, როგორ მოხდა და როგორ დავუშვი ასეთი რამ.  
ავუსხენი, ამაზე ჩემს ზურგს უკან მოილაპარაკეს, ისე, რომ  
არაფერი ვიცოდი-მეთქი. როგორც ჩანს, ესეის გენერალმა  
ბერგერმა (რომელიც ორ სკამზე იჯდა-ესეისში და Ostminist-  
erium-ში) მიმართა დოქტორ მაღალოვს (ქართული სამეკავ-  
შირეო შტაბის ერთ-ერთ დირექტორს, რომელსაც განსაკუთ-  
რებული ურთიერთობა ჰქონდა მინისტრ როზენბერგთან—მათ  
საერთო მეგობარი ჰყავდათ, პროფესორი ა. ნიკურაძე).  
ვუთხარი, ახლა ნამდვილად არ ვიცი, რა მოსაზრებით და-  
თანხმდა მაღალოვი ბერგერს ამგვარ შენაერთის შექმნაზე,  
მაგრამ მალე სამეკავშირეო შტაბის ოთხი დირექტორის  
შეხვედრა უნდა გაიმართოს და ამ „პოლკის“ შექმნას წინა  
აღვუდგები-მეთქი. კიოსტრინგს ისიც ვუთხარი, რომ ამ სა-  
კითხში მისი მხარდაჭერა დამჭირდებოდა. მანაც მიპასუხა,  
რასაკვირველია, მხარს დაგიჭერთო. გარდა ამისა, გადავ-  
წყვიტეთ, შეძლებისდაგვარად დაგვეჩქარებინა „კავკასიური  
არმიის“ ჩამოყალიბება გერმანულ არმიაში ყველა კავკასიური  
შენაერთის თავმოყრით. გენერალ კიოსტრინგს ვაცნობე: ამ  
საკითხზე კავკასიური სამხედრო საბჭოს სხვა წევრებთან  
მსჯელობისას შევთანხმდით, რომ მომავალში კავკასიური  
არმიისათვის სარდლობა უნდა გაენია გენერალ ლაზარ ბიჩე-  
რაკოვს. გენერლის შესახებ უკვე დაწვრილებით გვექონდა  
საუბარი მე და კაპიტან უნგერმანს. გენერალ კიოსტრინგს  
ისიც ვუთხარი, ესეი ვერანაირად ვერ მოახერხებს იმდენი  
ქართველის თავმოყრას, რომ ხსენებული „პოლკი“ ჩამოაყა-  
ლიბოს, რომელშიც, სულ მცირე, სამი ათასი ჯარისკაცი უნ-  
და იყოს-მეთქი. იმხანად ესეისში ხშირად „დივიზიები“, „პოლ-  
კები“ და „ბატალიონები“ მხოლოდ ქალაქებზე არსებობდა.  
რასაკვირველია, ამას „საიდუმლოდ“ ინახავდნენ.

ქართული სამეკავშირეო შტაბის შემდეგ შეკრებაზე დოქ-  
ტორმა გ. მაღალოვმა განაცხადა, ჩვენ მხარს ვუჭერთ ქარ-  
თული Waffen SS ცხენოსანთა შენაერთის შექმნასო, რომე-



ლიც იმ „პოლკად“ გადაკეთდებოდა, რომელზეც უკვე შეთანხმებული იყო ბერგერთან. მან ამ საქმის უპირატესობები ჩამოთვალა: 1. ბერგერი გვპირდება, რომ ამ შენაერთს უხელმძღვანელებენ ქართველი ოფიცრები პოლკოვნიკ ფრიდონ ნულუკიძის (მაღალოვის ახლო მეგობრის) მეთაურობით. 2. კარგ წვრთნას გაივლიან, კარგ შეიარაღებასა და აღჭურვილობას მიიღებენ. 3. წვრთნის შემდეგ გადაიყვანენ ჩრდილოეთ იტალიაში. 4. დროთა განმავლობაში, ეს იქნება საშუალება, რომ ქართველი ემიგრანტები—სამოქალაქო პირები და ყოფილი სამხედრო ტყვეები ბერლინს გავარიდოთ და შემდეგ უსაფრთხო ადგილას, ჩრდილოეთ იტალიაში გადავიყვანოთ, სადაც ამ ხალხს ცხენოსანთა შენაერთი საჭიროებისამებრ დახმარებასაც გაუწევსო. „ამდენი რამ არმისაც არ გაუკეთებია ლეგიონერებისათვის წლობით თანამშრომლობისას,“ თქვა მაღალოვმა. მისი აზრით, **Waffen SS** უფრო დინამიური, ფართო თვალსაწიერისა და შეძლებული ორგანიზაცია იქნებოდა, ვიდრე არმია. მე მაღალოვის მოსაზრებების სანინააღმდეგოდ შევახსენე კოლეგებს, რომ არსებული შენარეთის კავკასიურ არმიაში გაერთიანება გვსურდა და არა მათი დაცალკავება. შევახსენე, რომ ვიცოდდი, რა ხდებოდა არმიაში, რომელმაც წარსულ შეცდომებზე ბევრი რამ გვასწავლა, ბერგერთან ურთიერთობის გამოცდილება კი არ გვქონდა. კაცმა არ იცოდა, ესესელები შესძლებდნენ თუ არა „აღმოსავლელებთან“ მუშაობას. ესესელთა ჩვენდამი პირველადი განწყობილების დასტურად ის სახელგატეხილი ბროშურა—„აღმოსავლელი ქვეადამიანიც“ გავიხსენე. ამგვარი განწყობის ფონზე არმისათვის შეუძლებელი იყო ჩვენდამი უკეთესად მოპყრობა, რადგან სამხედროებს, უბრალოდ, აკრძალული ჰქონდათ სხვაგვარი მოსაზრების გამოთქმა. „მინდა წერილობით დავადასტურო ჩემი დამოკიდებულება ამგვარი ექსპერიმენტებისადმი“, დავძინე ბოლოს. დარწმუნებული ვიყავი, რომ კედია და ალშიბაიაც ჩემსავით ფიქრობდნენ, ოღონდ უფრო დიპლომატიურად იქცეოდნენ და უხმოდ უსმენდნენ ჩემს არგუმენტებს. ბოლოს თქვეს, რომ რაკილა ბერგერი და მაღალოვი უკვე შეთანხმდნენ, წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ მაღალოვის მიერ ამ შენაერთის ჩამოყალიბებას, ოღონდ უკვე არსებული ლეგიონიდან და მისი ბატალიონიდან ზემოთ ხსენებულ საცხენოსნო შენაერთ-



თში ხალხი არ უნდა გადაეყვანათ. მაღალღვრიანი, კედლიანი ალშიბაია ამ კომპრომისზე შეთანხმდნენ, მაგრამ მე ვერ დავეთანხმე. რასაკვირველია, ოთხივე მეგობრები ვიყავით, უფრო მეტიც—გვინდოდა ერთიანობის შენარჩუნება და ამის გერმანელებისათვის დემონსტრირებაც.

ალშიბაიამ ჩაინერა და „გამოსცა“ ამ შეხვედრის ამბები. მოგვიანებით ნავიკითხე და ვნახე, რომ გამოტოვებული იყო ჩემი ბევრი განცხადება, მაგალითად, ის, რომ მინდოდა თვალსაჩინო გამხდარიყო, რომ ამგვარ ექსპერიმენტებს მხარს არ ვუჭერდი. გამოტოვებული იყო ჩემს მიერ იმ სახელგატეხილი ბროშურის გარკვეული თავების კრიტიკა. გენერალ კიოსტრინგს ვაცნობე ჩვენი შეხვედრის ამბავი. მან თქვა, ახლა მხარს ველარ გადავუკეტავ ამ ერთი შენაერთის ჩამოყალიბებასო, მაგრამ ის მაინც მოხერხდა, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გაითვალისწინეს, რომ ასეთი რამ ჩვენთან შეთანხმების გარეშე არ უნდა გადაეწყვიტათ. ასე მგონია, დოქტორი მაღალღვრიანი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და ამ საკითხზე ბერგერთან შეთანხმებამდე ჯერ სამეკავშირეო შტაბის სამხედრო დეპარტამენტს უნდა მოთათბირებოდა. შემთხვევით ისიც გავიგე, რომ მაღალღვრისა და ნულუკიძეს მოწინააღმდეგეებიც ჰყავდნენ თავიანთ, თეთრი გიორგის პარტიაში, ვისაც არ უნდოდათ ცხენოსანთა შენაერთის შექმნა. ამ შენაერთის მეთაურმა ნულუკიძემ საჩივრის წერილი გაუგზავნა ქართველ მეკავშირეთა შტაბს. წერილში ნათქვამი იყო, რომ თეთრი გიორგის რამდენიმე წევრი, განსაკუთრებულად კალე (კალისტრატე) სალია პოტენციურ წევრად ეღიბებოდა, ამ შენაერთში არ შეხვიდეთო<sup>1</sup>. ნულუკიძემ გვთხოვა, სალიას წინააღმდეგ ზომები მიიღეთო. ეს საკითხი გადაეცა დოქტორ მაღალღვრისა და მის თანაშემწეს, ვალოდია ცხომელიძეს. ორივე სამეკავშირეო შტაბის წევრებიც იყვნენ და თეთრი გიორგისაც, ამავე პარტიის წევრები იყვნენ სალია და ტოგონიძე, თუმცა სამხედრო დეპარტამენტი მაინც ვერ დაიბანდა ხელს ამ შენაერთის ჯარისკაცებზე.

სხვა ყველაფერთან ერთად თვითონ მეთაური, ფრიდონ ნულუკიძეც მანუხებდა. პიროვნულად მომწონდა ნულუკიძეც და მისი ვაჟი, თეიმურაზი, რომელიც მე და კედლიამ ჩამოვიყ-

<sup>1</sup> იხ. ნულუკიძის წერილი ავტორის არქივში (ჩემი პირადი მოსაზრებით, სალიას რჩევა სამართლიანი იყო).

ვანეთ ბერლინში, სანამ პარიზს დასავლელი მეკავშირეები დაიპყრობდნენ. პოლკოვნიკი ამისთვის გვემადლიერებოდა და პიროვნულად მშვენივრად ვეგუებოდით ერთმანეთს, მაგრამ ბევრი მეუბნებოდა, ფიცხი კაცია და ქართველის კვალობაზეც კი მომეტებულად დონკიხოტობსო. ეს მოსაზრება განამტკიცა ჩემს ოფისში ცოტა ხნით ადრე მომხდარმა ინციდენტმა, როცა წულუკიძემ ორ კაცთან კამათისას იარაღზე გაიკრა ხელი—ეს ნამდვილად შეუფერებელი მეთოდი იყო აზრთა სხვადასხვაობისას საქმის მოსაგვარებლად. მოვახერხე, რომ სწრაფად წამერთმია იარაღი და იმ ორი კაცის წასვლის შემდეგ დავუბრუნე, წულუკიძეც დამპირდა არ გამოვიყენებო. სამხედრო საქმეებში ჩემს საგანგებო მრჩეველს, კაპიტან დიმიტრი შალიკაშვილს მოვეთათბირე; ორივე ვფიქრობდით, რომ პოლკოვნიკის საცხენოსნო შენაერთის მეთაურად დანიშვნა საშიში იქნებოდა (განსაკუთრებით ისეთ რთულ სამხედრო და პოლიტიკურ ვითარებაში). მაგრამ რა გველონა? არც იმის იმედი გვქონდა, რომ შევძლებდით ამ საქმის ხელახლა განხილვას მას მერე, რაც გერმანიის უმაღლესმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა მოინონეს პოლკოვნიკი და მისი შენაერთი. ჯობდა ხიფათის თავიდან ასაცილებლად სხვა ზომები მიგველო. ვიცოდი, რომ წულუკიძეს თავისი შენაერთის შეკრებისას ძალიან აკლდა კარგად განვრთნილი და გამოცდილი ცხენოსანი ოფიცრები. ეს ჩემმა სამხედრო მრჩეველმა, დიმიტრი შალიკაშვილმაც დამიდასტურა. თვითონ შალიკაშვილი გაცილებით უფრო კვალიფიციური სამხედრო იყო, ვიდრე წულუკიძის რაზმის ნებისმიერი წევრი ან თვით პოლკოვნიკი. კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, რომ დიმიტრი გახლდათ ნამდვილი ჯენტლმენი, ღირსეული, ფრთხილი, ბუნებით დიპლომატი და ყოველივე ამის მიუხედათვად (ან იქნებ, სწორედ ამიტომ) თავი მოკრძალებულად ეჭირა. რამდენიმე ენაზეც ლაპარაკობდა. მახსოვს, ერთხელ, პარიზში, მე და მ. კედიამ ნახევრად ხუმრობით ვუთხარით დიმიტრის, როგორც ზემოთაც ვთქვი, დასავლელ მეკავშირეებთან ელჩობა უნდა გაგვიწიოთქო. ამისი დრო აღბათ მალე დადგებოდა დასავლელი მეკავშირეების მიერ იტალიის ოკუპაციისას. იქ, წულუკიძის შენაერთის გარდა, ბევრი ქართველი ლტოლვილი სამოქალაქო პირიც დასახლდებოდა გარკვეული დროით. მეტიც—ვვარაუდობდით,

რომ ქართული ლეგიონის II/198-ე ბატალიონიც იტალიაში დარჩებოდა<sup>1</sup>. გარდა ამისა, ბალკანეთიდან უკან დახევისას შეიძლებოდა იტალიაში ჩასულიყო კიდევ რამდენიმე ქართული, კავკასიური და სხვა აღმოსავლური შენაერთი, ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ შეიძლებოდა იტალია გარკვეული დროით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ბაზა გამხდარიყო, თუ ჩვენს წარმომადგენლებს მოუხდებოდათ, მოლაპარაკება დაეწყოთ დასავლელ მეკავშირეებთან, იტალიელებთან და „აღმოსავლელებთან“.

ამაზე თავდაპირველად დიმიტრისთან დაწვრილებით არ მისაუბრია, რადგან ჩვენი უპირველესი მიზანი იყო, წულუკიძის შენაერთში უსაფრთხო გარემო შეგვექმნა. ამ საკითხთან დაკავშირებით აი, რა გადაწყვიტეთ: დიმიტრი შენაერთში შევიდოდა განსაზღვრული დროით (სანამ შენაერთი თავს მოიყრიდა და წვრთნას გაივლიდა). ფაქტიურად, მას უკვე მიმართეს დახმარების თხოვნით წულუკიძის ოფიცრებმა, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ პოლკოვნიკი სიხარულით მიიღებდა. მე კი ქართული სამეკავშირეო შტაბიდან წულუკიძის შენაერთში დიმიტრის დროებით გადასვლის საკითხი უნდა მომეგვარებინა. ასეც მოვიქეცი და დავმშვიდდი. შენაერთში ქართველების უსაფრთხოებაზე აღარ ვწუხდი, რადგან აქ მეგულებოდა ჩემი მეგობარი; ვიცოდი, რომ იგი კარგ გავლენას იქონიებდა პოლკოვნიკის ტემპერამენტსა და განწყობაზე. მე და დიმიტრის ახალი კავშირი გვექნებოდა. მ. კედიას საიდუმლოდ გავანდე ჩვენი გეგმა და ისინიც ნასიამოვნები დარჩა. დიმიტრიმ მშვენივრად გაართვა თავი ახალ საქმეს; ფაქტიურად, იგი შენაერთის მეორე მეთაური გახდა, რაც არავის გაკვირვებია. სამხედრო ვითარება გერმანელებს სწრაფად გაუუარესდათ. გენერალ კიოსტრინგის შტაბ-ბინა 1945 წლის თებერვალში პოტსდამიდან ევაკუირებული იქნა ბად-რეიზენჰოლში, ბავარიაში. აპრილის დასწყისში მ. კედია სხვა კავკასიური ერების წარმომადგენლებთან — ალიბეკოვთან, ჯამალიანთან და კანტემირთან<sup>2</sup> ერთად გაემგზავრა ბერლინიდან ჟენევაში სპეციალური მისიით, რომელზეც მოგვიანებით მოგახსენებთ. ქართული სამეკავშირეო შტაბის დარჩენილი ნაწილი ბერლინიდან დაახლოებით აპრილის შუა

<sup>1</sup> მიშა დადიანის მეთაურობით.

<sup>2</sup> აზერბაიჯანი, სომხეთი და ჩრდილო კავკასია.

რიცხვებში იყო ევაკუირებული. დოქტორი გოგი მალაღალბე ვილი მიუნჰენის ახლოს დარჩა, მ. ალშიბაია, პროფესორი ფონ მენდე და ა. ცომაია მცრე ხნით ბად-რეიზენჰოლსა და ზალცბურგში შეჩერდნენ და შემდეგ გაემგზავრნენ პატარა ავსტრიულ ქალაქში, შვეიცარიის საზღვართან, ქალაქ ბრენ-გენზის ახლოს, სადაც მ. კედია დაუკავშირდებოდათ შვეიცარიიდან და აცნობებდათ საერთაშორისო წითელ ჯვართან და დასავლელ მეკავშირეებთან ჩვენი ხალხის თაობაზე მოლაპარაკებების შედეგს.

რამდენიმე დღით ჩავედი ზალცბურგში, სადაც კვლავ შევხვდი დიმიტრის, ვიმსჯელეთ წამოჭრილ პრობლემებზე და იმაზეც, რასაც ველოდით მომავალში, განსაკუთრებით, ომის შემდეგ, ვიმსჯელეთ მათი მოგვარების გზებზე. დიმიტრის ვაცნობე, რომ დაინიშნა ქართული სამეკავშირეო შტაბის ოფიციალურ წარმომადგენლად ზალცბურგსა და იტალიაში და ამის დამადასტურებელი სერტიფიკატიც გადაეცემა. მისი ერთ-ერთი მოვალეობა იყო ზალცბურგიდან ჩრდილოეთ იტალიაში ქართველ ლტოლვილთა გადაყვანის ზედამხედველობა და მათი დახმარება. ბად-რეიზენჰოლსა და ზალცბურგს შორის გამოვეკერე გზას, უამრავი საქმე მქონდა. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო 1945 წლის თებერვალში, დასავლელ მეკავშირეთა და სტალინის შორის დადებული იალტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით საბჭოური წარმომადგენლის ყველა პირი, ვინც 1939 წლის სექტემბრიდან წამოვიდა საბჭოთა კავშირიდან და იმყოფებოდა დასავლელ მეკავშირეთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, იძულებითი რეპატრიაციის წესით უნდა დაბრუნებულიყო საბჭოეთში—სამოქალაქო პირი იქნებოდა ის, სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოხვედრილი თუ გერმანული არმიის მოსამსახურე. სტალინიც ასევე მოექცეოდა დასავლელ მეკავშირეთა ქვეყნების მოქალაქეებს.

თავდაპირველი დოკუმენტი გულისხმობდა, რომ ყველა ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს ენდომებოდა რეპატრიაცია, მაგრამ, ცხადია, ასე არ იყო. ამდენად დასავლელი მეკავშირეების დამატებით ინსტრუქციებში გაკეთდა განცხადება: „რეპატრიაცია ძალდატანებით აუცილებლობის შემთხვევაში“. ეს შეუსაბამობა აშკარად სტალინის საამებლად გახლდათ გათვალისწინებული. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ აღმო-





სავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე სამხედრო ტყვეთა გერმანული ბანაკებიდან წითელი არმიის მიერ განთავსდნენ ლეზულ თუნდაც ერთ ინგლისელ ან ამერიკელ ჯარისკაცს შინ დაბრუნების ნაცვლად, საბჭოელებთან დარჩენა მოესურვებინოს, ასევე ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ყოფილი საბჭოელი, სამოქალაქო პირი—პოლიტიკური ლტოლვილი ან კაცი, რომელიც გენერალ ვლასოვის არმიასა თუ არარუსულ სამხედრო შენაერთებში მსახურობდა, სტალინთან გამგზავრებაზე დათანხმებულიყო. რასაკვირველია, სტალინი ნასიამოვნები დარჩებოდა: თავის ქვეყანაში მან სისხლიანი „წმენდით“ გაანადგურა რეალური, პოტენციური თუ წარმოსახული ოპოზიცია, ახლა კი დასავლელი დროებითი მოკავშირეები ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ დარჩენილი ოპოზიციის უდიდესი ნაწილის მოსპობაში. დიახ, დასავლელმა მეკავშირეებმა ზედმინევნით შეასრულეს იალტისა და ყველა სხვა შეთანხმება თუ მოლაპარაკება, სტალინმა კი პრაქტიკულად არც ერთი არ შეასრულა. იალტის შეთანხმების წინ, 1944 წლის ზაფხულში, გენერალ კოსტრინგის ოფისი და კავკასიის სამეკავშირეო შტაბი გვარწმუნებდა, რომ ჩვენს და სხვა აღმოსავლელ ლეგიონერებს, რომლებიც დასავლელ მეკავშირეებს ჩაუცვივდნენ ხელში საფრანგეთსა და იტალიაში, საბჭოელებს კი არ დაუბრუნებდნენ, არამედ უნევის კონვენციის გათვალისწინებით, მათ ჩათვლიდნენ გერმანელ ჯარისკაცებად, თუმცა ამ საკითხის დასაზუსტებლად კოსტრინგი და ჰერკართი მუშაობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კერძოდ, ჰილგერის მეშვეობით.<sup>1</sup>

საერთაშორისო წითელი ჯვარი და სხვა უწყებები გვიკავშირდებოდნენ, ოღონდ „მყარ გარანტიას“ ვერ გვაძლევდნენ. ასე რომ, უცხოეთის უწყება ყოველ ღონეს მიმართავდა, რათა დაერწმუნებინა დასავლელი მეკავშირეები, რომ ლეგიონერები ჩაეთვალათ არა საბჭოურ სუბიექტებად, არა-

<sup>1</sup> გუსტავ ჰილგერი ომის წინ იყო გერმანიის საელჩოს კონსული მოსკოვში, ომის პერიოდში კი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

იალტის შეთანხმების ცუდი ამბავი განსაცვიფრებელი სისწრაფით გავრცელდა კავკასიელ და სხვა აღმოსავლელ მოხალისე ჯარისკაცებს შორის. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა ისედაც დაძაბული ემოციებისა და განწყობის ფონზე (ჩემი აზრით, ამ კითხვამ განსაზღვრა მოგვიანებით პარტიზანებთან დეზურტირობა და პოლანდიაში მომხდარი განსაკუთრებულად გულსატკეპნი ამბოხება. პარტიზანებთან გადასვლის უმთავრესი მიზეზი იყო ვარაუდი, რომ ამ გზით შეიძლებოდა რეაბილიტაცია და შინ უვნებლად დაბრუნება. ამბავზე ზემოთაც მოგახსენეთ. იხ. თავი „კავკასია“).

მედ გერმანელ ჯარისკაცებად. იმასაც მიუთითებდნენ, რომ I და II მსოფლიო ომებში ჩეხები, პოლონელები და სხვა ევროპელები მოკავშირეების მხარეს იბრძოდნენ და გერმანელები მათ ომის ტუსალებად მიიჩნევდნენ, ჟენევის კონვენციის თანახმად!

ზალცბურგსა და ბად-რეიზენჰოლში ყოველი ჩვენგანი იმედოვნებდა, რომ დასავლელი მოკავშირეები, ჟენევის კონვენციის გათვალისწინებით, მოერიდებოდნენ იძულებით რეპატრიციას, განსაკუთრებით, მ. კედიასა და მისი თანამოაზრეების მისიის შემდეგ. ამასობაში ვაგრძელებდით მეცადინეობას ჩვენი ხალხის გეოგრაფიულად შედარებით უსაფრთხო ზონებში მოსათავსებლად. იტალია ერთ-ერთ ასეთ ზონად მიგვაჩნდა, რადგან: 1. ამ ქვეყანას მხოლოდ დასავლელი მოკავშირეები დაიკავებდნენ. 2. ქართული სამხედრო შენაერთები იქ იყო და 3. იტალიის სამოქალაქო ხელისუფლებამ და ხალხმა უდიდესი ჰუმანურობა გამოიჩინა. მათ, ფაქტიურად, ქართველი ლტოლვილები მოინვიეს და თავშესაფარი შესთავაზეს. ჩვენი მხრიდან ამაზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მ. კედიასა და მალალოვის დეპარტამენტები, ასე რომ, დეტალები ჩემთვის ცნობილი არ არის. ყოველი მხრიდან ამბავი მოგვდიოდა, რომ იტალიელები და ქართველები მშვენივრად ეწყობოდნენ ერთმანეთს. იტალიელები გონივრულად, გულთბილად და მზრუნველად ექცეოდნენ ქართველებს ომის პერიოდშიც და ომის შემდგომაც.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, ქართველი ჯარისკაცები ადგილობრივ მოსახლეობას დანარჩენებისაგან გამორჩეულად უყვარდა, დანია და ჰოლანდიის ჩრდილო ნაწილიც შედარებით უსაფრთხო

<sup>1</sup> ჰანს ფონ ჰერკარტი. „ორი ბოროტების წინააღმდეგ“, გვ. 295, 296, 297.

<sup>2</sup> ამისი მოწმე გავხდი ომის შემდეგ, ქართველების დასახმარებლად მიუხედავად იტალიაში მოგზაურობისას. ქართველები იტალიურ კუნძულ ლიპარიზე გადაიყვანეს, რადგან მათ წინააღმდეგ კომუნისტები ყველგან სასამართლო საქმეებს თითხნიდნენ. შემძრა იმის ნახვამ, თუ რა კარგად ექცეოდა ქართველებს ადგილობრივი მოსახლეობა. ლაპარის მღვდელმა კუნძულზე დამალვის გეგმაც კი შესთავაზა, იმ შემთხვევისათვის, თუ საბჭოელები მოიკითხავდნენ დემორტაციისთვის, ლიპარის ტუსაღა ბანაკის მცველებიც ასევე იყვნენ განწყობილი და თავიანთ „პატიმრებს“ თავისუფლად უშვებდნენ გარეთ სასიარულოდ.

დიდი დახმარება გავკინია ვატიკანმა, განსაკუთრებით მისმა უმაღლესობამ, კარდინალმა ეუჯინ ტისერანტამ (ვატიკანის აღმოსავლურ საქმეებზე პასუხისმგებელმა პირმა). იტალიელი ხელისუფალნიც ყელგან ასე იქცეოდნენ. მისმა უზენაესობამ პაპმა პიუ XII-მ 1946 წლის 20 თებერვალს გამოაქვეყნა პროტესტი „ადამიანების სურვილის წინააღმდეგ მათი რეპატრიაციისა და პოლიტიკურ თავშესაფარზე უფლების წართმევის“ გამო. ვატიკანის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ იალტის ხელშეკრულება იყო „უარყოფა იმ ზნეობისა და იდეალებისა, რომლისთვისაც იბრძოდნენ მეკავშირეები“ და „ენიწააღმდეგებოდა ჰუმანურობასა და სამართალს“.



ადგილად მიგვაჩნდა ჩვენი სამხედრო შენაერთებისათვის ასე რომ, გენერალი კოსტრინგის შტაბთან, კერძოდ, პოლკოვნიკ რიოპკესთან მოვითათბირეთ და შევთანხმდით, რომ ეს შესაფერისი ადგილი იქნებოდა კავკასიური პოლკის თავმოყრისათვის. ამ გეგმის ნაწილი იყო, რომ 799-ე ბატალიონი, კაპიტან ვანო ბაქრაძის მეთაურობით, სიღეზიდან—ნეუჰამერიდან დანიაში გადავიყვანეთ. ბატალიონი დანიაში თებერვლის ბოლოს ჩავიდა და გადაურჩა სიღეზიაში შესულ წითელ არმიას. დანიაში 799-ეს სანაპიროს დაცვა დაევა. სხვა კავკასიური შენაერთებიც დანიაში გაიგზავნა და ამ ახლად ჩამოყალიბებულ კავკასიურ პოლკს კაპიტანი სიკო (სიმონ) კობიაშვილი ჩაუდგა სათავეში. ჩემთან მოსული მოხსენებების თანახმად, დანიის ადგილობრივი მოსახლეობა კავკასიელებს გულითადად ეპყრობოდა. ჰოლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში კი ქართული ლეგიონის 822-ე ბატალიონი გვყავდა, ჯერ ზანდვოორტში, მოგვიანებით კი უფრო ჩრდილოეთით, ტექსელის კუნძულზე გადავიდნენ. მე და მ. ალშიბაია 822-ეს პირველად 1943 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ვენციეთ და ორი დღე მათთან ვსტუმრობდით. მოგვეწონა შენაერთი და მისი მეთაური, კაპიტანი კალაუს ბრეიტნერი, თუმცა საბოლოოდ იგი ოდნავ ქედმაღალი კაცი გამოდგა. საბედნიეროდ, ამ ბატალიონს დასავლელი მოკავშირეების წინააღმდეგ არასოდეს უბრძოლია, და ღმერთს ვთხოვდით, რომ ომის ბოლომდე არაფერი შეცვლილიყო. 822-ეში მეორედ ჩასვლის თაობაზე არაფერი ჩამინერია, ალბათ მაშინდელი განამანის გამო. თუ არ ვცდები, ამ ბატალიონში მეორედ 1945 წლის იანვარში ვიყავი.

მოკავშირეთა გააფთრებული საჰაერო თავდასხმების თანხლებით ვიმგზავრეთ ჰოლანდიაში, რადგან ჩვენი გზა ინდუსტრიულ რაიონებზე, ქალაქებსა და რკინიგზის სადგურებზე გადიოდა. 822-ე ბატალიონის გარშემო, პირიქით, სინყნარე იყო. გერმანელ მეთაურს, კაპიტან კ. ბრეიტნერს ეტყობოდა, რომ თავისი სამუშაოც მოსწონდა და იქაური სიმშვიდეც—სხვა გერმანული შენაერთების უმეტესობა ბრძოლებში იყო ჩაბმული. ქართველი ოფიცრები და სერჟანტები უდარდელად ცხოვრობდნენ, ერთმანეთს პატიჟებდნენ და პატარ-პატარა წვეულებებით იქცევდნენ თავს. ასეთ სუფრებზე ორჯერ მოვხვდი. ერთხელ გვმასპინძლობდა ლეიტენანტი

ნანტი შალვა ლოლაძე. მან მითხრა, ესპანეთის სამოქალაქო ომში ვმონაწილეობდი, როგორც საბჭოთა საჰაერო ძალების ოფიცერი. ესპანეთში მიმავალი ინგლისში ჩაფრენილა, იქ მეკავშირე უნახავს და მისი დახმარებით ჩაუღწევია ესპანეთში. ლოლაძე იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა. მაგალითად, სადილად მისულ სტუმრებს ისე მიესალმა, ვითომ ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის მოთხრობის გმირი, ლუარსაბ თათქარიძე იყო, ზარმაცი, ეპიკურელი თავადი, რომლის მამულსაც მოურავი უვლიდა. ყველამ კარგი დრო გაატარა, ქართული ჩვეულებისამებრ, ერთმანეთს სადღეგრძელოებს ვეუბნებოდით, 822-ეში ჩემი პირველი ჩასვლისგან განსხვავებით, ამჯერად წვეულებაზე ერთი გერმანელიც კი არ დაუპატიჟნიათ, რაც ქართველებისაგან გასაკვირი იყო. იქნებ იმიტომ, რომ ეს პატარა წვეულება იყო, თუმცა ლეიტენანტმა ვასილ ინჯიამ, ქართველმა არტილერიისტმა (და ამ სფეროში კაპიტან ბრეიტნერის მრჩეველმა) საიდუმლოდ გამანდო, ბატალიონში გერმანელები და ქართველები, ცოტა არ იყოს, ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენო. ინჯია წუხდა, და თუმცა ამაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ კაპიტანმა და მისმა გერმანულმა პერსონალმა ლეგიონერებთან სიახლოვე დაკარგა. ყური მოვკარი, რომ კაპიტან ბრეიტნერს ქართველებისათვის განუცხადებია, გერმანელ რიგითს მეტი ჭკუა აქვს, ვიდრე ქართველ ოფიცერსო. თუ ეს ხუმრობით ითქვა, არავის გასცინებია. ისიც მითხრეს, რომ ბრეიტნერის სიტყვებზე ერთ ქართველ სერჟანტს უთქვამს, თუ ეგრეა, ქართველი მარშალი სტალინი როგორ ამარჯვებინებს რუსეთს გერმანიაზეო.

დავესწარი ბატალიონის საველე წვრთნას; განსაკუთრებით ლეიტენანტ ლოლაძის ჯგუფს ვაკვირდებოდი. წვრთნის ერთ-ერთი ნაწილი იყო ჩვენება, ბრძოლისას თუ როგორ უნდა გასულიყვენ წყალში პატარა ნავებით. ლოლაძემ და მისმა ჯგუფმა დავალებას თავი გაართვა. ვასილი და სხვა ქართველები გულთბილად გამოემშვიდობნენ. კაპიტან ბრეიტნერს თავაზიანად გამოვეთხოვე, მივიჩნიე, რომ ჩემს პირად რჩევას ლეგიონერებთან უკეთესი ადამიანური ურთიერთობის დამყარების თაობაზე აზრი არ ექნებოდა. ბატალიონზე დარდი გამყვა, თუმცა არც კი მიეჭვია, რომ მოგვიანებით იქ ამბოხება შეიძლებოდა მომხდარიყო.



ბერლინში ჩასულმა ლეიტენანტ გიორგი (ჟორა) ინჯიას მისი უფროსი ძმის, ვასილის მოკითხვა გადავეცი. ჟორამ მითხრა, ძალიან მეფიქრება ჩემი ძმის ამბავით და მთხოვა, სადმე სხვაგან გადამიყვანა. „ქვეყნად არავინა მყავს ვასილისა და მოხუცი დეიდის გარდა“, მითხრა მან. სულით და გულით მინდოდა, დავხმარებოდი ჩემს მეგობარს, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, უარი მეთქვა (თუმცა ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება), რადგან, ჩემი აზრით, მისი ძმა ბატალიონში ვითარებას მნიშვნელოვნად ანონასწორებდა. გულკეთილი, ზომიერი, მომთმენი, მიმტევებელი ვასილი, როგორც ლეგიონერების, ასევე გერმანელთა პერსონალის მიმართ, შეუცვლელი იყო ორივე მხარისათვის. ჟორა ინჯიამ უარი არ მაპატია. ეს არის ერთადერთი კაცი ჩემი დეპარტამენტიდან, ვინც, ბრაზის გამო, საერთოდ განყვიტა ჩემთან ურთიერთობა ომის შემდეგ (ომის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და ჟორა ინჯია თორმეტგოჯას გართულებული ოპერაციის მერე მიუხეხენში გარდაიცვალა).

გენერალ კოსტრინგის შტაბის წევრებს, კერძოდ, პოლკოვნიკ რიოპკესა და კაპიტან უნგერმანს პოტსდამში შევხვდი. კოსტრინგი და ჰერკარტი მოგზაურობდნენ და ვერ ვნახე. რიოპკესთან და უნგერმანთან სერიოზულად ვისაუბრე—მინდოდა, მხარი დაეჭირათ ჩემი თხოვნისათვის 822-ედან კაპიტან ბრეიტნერის გადაყვანის თაობაზე. არაფერს შემპირდნენ, მითხრეს, რასაც შევძლებთ, გავაკეთებთო, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა. პირველად მოხდა, რომ ასეთი რამ ვითხოვე გერმანელი მეთაური ოფიცრის გამო. ბრეიტნერის ბატალიონში იყო ერთი გერმანელი მთარგმნელი, დოქტორი ჰანს კრუზე, რომელიც სხაპასხუპით ლაპარაკობდა ქართულად და ბევრი რამ იცოდა კავკასიაზე. საქართველო განსაკუთრებით აინტერესებდა და ლეგიონერებთან გულთბილი, ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა დაამყარა. 822-ე ქართული ბატალიონის ახლოს განლაგებული იყო სომხური ბატალიონი, სადაც მიამაგრეს დოქტორ კრუზეს მეგობარი, მთარგმნელი ტიმი.<sup>1</sup> ამ ორ კაცს ახლო ურთი-

<sup>1</sup> შესაძლოა ეს ბატონი ტიმი იყო Ostministerium-ის სომხური განყოფილების ყოფილი მრჩეველი, ბატონი ვოლფგანგ ტიმი.

ერთობა ჰქონდა და ორ შენაერთში პარალელურ რეზებებსაც ერთად შეისწავლიდნენ.

დოქტორ კრუზეს ძალზე აშფოთებდა, რომ მის ბატალიონში გერმანელებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა და ნდობა იკარგებოდა. ამ გარემოებას აფერხებდა გერმანელებისათვის სამხედრო ვითარების გაუარესება, რაც ლეგიონერებს აფიქრებინებდა, ნეტავ რა გველის საბჭოეთში დაბრუნების შემდეგო. მათ სურდათ, როგორღაც მოეხერხებინათ საკუთარი თავის რეაბილიტაცია, რათა შესძლებოდათ საყვარელ საქართველოში დაბრუნება.<sup>1</sup> დოქტორი კრუზე აღნიშნავს, 1944 წლის ზამთარში ლეგიონერები საბჭოეთის რადიოპროპაგანდას უსმენდნენო, აქ კითხულობდნენ სტალინის მიმართვას ომის წინსვლის თაობაზე. გარდა ამისა, ისინი დაუკავშირდნენ დანიელთა იატაქვეშა მოძრაობას. დოქტორ კრუზეს აზრით, 822-ის გერმანელი პერსონალი, ერთი მხრივ, შეუფერებელი იყო თავისი საქმისათვის და პრობლემებს თავს ვერ ართმევდა, მეორე მხრივ, ისინი შეუსაბამო ქედმაღლობას იჩენდნენ და ქართველებს დამამცირებელი სახელებით მიმართავდნენ. არც ის მოსწონდათ, რომ აღმოსავლელი მოხალისეები გერმანელ ჯარისკაცებთან უნდა გათანაბრებულიყვნენ. ყოველივე ეს ქართველებმა იცოდნენ და უნდობლობა უმძაფრდებოდათ. ერთ დღეს დოქტორი კრუზე დარწმუნდა, რომ აჯანყების გეგმა მზადდებოდა. ერთმა ქართველმა ჯარისკაცმა, რომელიც კრუზესთან მეგობრობდა, ამ უკანასკნელს სიმთვრალეში უთხრა, შენ არაფერი დაგიშავებია, რადგან ჩვენი მეგობარი ხარ, თანაც, როცა ინგლისის ჯარი მოგვიახლოვდება, ინგლისურის მცოდნე თარჯიმანით დაგვიკავშირდებო (კრუზემ ინგლისური იცოდა), მაშინ ქართველები აქაურებს იარაღს დაურიგებენ და ერთად დავამხობთ გერმანელებსო. კრუზე ამ საქმეს ჩაეძია და მოახერხა დაგეგმილი აჯანყების მოთავეების სიის შედგენა. კაპიტანმა ბრეიტენერმა ეს რომ გაიგო, დოქტორ კრუზეს მტკიცებულებები მოსთხოვა; კრუზემ აუხსნა, ამ ვითარებაში სამხილის მოპოვება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა და პრაქტიკული გადაწყვეტილება შესთავაზა, თავისი მეგობრის,

<sup>1</sup> დოქტორი ჰანს კრუზე: Stellungnahme za Thorwald Buch, გენერალ პეიგენდორფის შესახებ. Göttingen, Institut für Völker, Prinzenstr. 21. 1953 წლის 14 მარტი და 1953 წლის 27 მაისი. ავტორის არქივი (წერილი და მოხსენება).

სომხური ბატალიონის მთარგმნელის, ტიმის გამოცდილებით გათვალისწინებით. როგორც ჩანს, იქაც ისეთივე ვითარება შეიქმნა, როგორც ქართულ 822-ე ბატალიონში. ტიმის მეცადინეობით და მეთაურთან თანამშრომლობით, სომხური ბატალიონი განიარაღეს და არასაბრძოლო, მუშა ბატალიონად გადააკეთეს. ასე აიცილეს თავიდან სისხლისღვრის საფრთხე. მაგრამ კაპიტანმა ბრეიტნერმა უარი თქვა კრუზეს წინადადებაზე; შეთქმულების მოთავეები, ლეიტენანტ ლოლაძის ჩათვლით, დარჩნენ ბატალიონში, რომელიც არასოდეს გადაკეთებულა არასაბრძოლო, მუშა შენაერთად. ბრეიტნერმა ლაჩრობაშიც კი დასდო ბრალი დოქტორ კრუზეს.

ამ ბატალიონში აჯანყების შესახებ წაკითხული მაქვს ბრეიტნერის მოხსენება გენერალ ფონ ჰეიგენდორფისადმი და თორვალდის წიგნი.<sup>1</sup> ბრეიტნერი კრინტსაც არ სძრავს იმაზე, რომ დოქტორმა კრუზემ დროულად გააფრთხილა მოსალოდნელი აჯანყების გამო და გეგმაც შესთავაზა მისი თავიდან ასაცილებლად. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ბრეიტნერისთვის აჯანყება მოულოდნელი ყოფილიყოს, რასაკვირველია, საკითხავია, რატომ არ ათხოვა ყური ბრეიტნერმა კრუზეს წინადადებას. ამ კითხვაზე პასუხი დაბეჯითებით არ ვიცი, რადგან ყოფილი მეთაური დუმილს არჩევს, მაგრამ დოქტორმა კრუზემ თავის მოხსენებაში ჩვენთვის პასუხის გაცემა სცადა, იგი აღწერს რთულ პრობლემებს აღმოსავლელ მოხალისეთა შენაერთებში, როგორიცაა ქართული 822-ე ბატალიონი. აქ კრუზემ გარკვეული გამოცდილება შეიძინა. იგი აღნიშნავს, რომ „აღმოსავლელთა“ მენტალიტეტი და მათი მეტყველების ფორმა განსხვავდება გერმანულისაგან. რაკი ქართველები ჩვენ არ გვგვანან, ამის გამო არ უნდა დავასკვნათ, რომ ისინი ჩვენზე უარესები არიან,—აცხადებს კრუზე,—მაგრამ ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. სახიფათოა ვარაუდი, რომ ქართველების ხმამაღალი ლაპარაკი, უესტიკულაცია გარეგნულ მხარეზე უფრო მეტია, ასკვნის კრუზე და განაგრძობს: „თუ ქართულ შენაერთზე პასუხისმგებელმა გერმანელმა მეთაურმა არ იცის ზემოთ თქმული და აცხადებს, ჩემი ბატალიონი „ბრძოლის ველზე თავს დადებს“, ოღონდ თავიდან აიცილოს შენაერთ-

<sup>1</sup> იურგენ თორვალდი, ავტორი მოკლედ განიხილავს აჯანყებას 822-ე ქართულ ბატალიონში. დაბეჭდილია გერმანიაში. 1974.



თის მუშა ბატალიონად გადაკეთებაო, ისლა დაგვრჩენენ ფიქროთ, რომ ამ კაცს არაფერი გაეგება“. შემდეგ დოქტორი კრუზე კვლავ მჭევრმეტყველებს იმის თაობაზე, თუ რა უჩვეულო და ძნელი საქმეა გერმანელისთვის კავკასიელებისა და სხვა აღმოსავლელების შეფასება. მე პირადად არ ვეთანხმები დოქტორ კრუზეს განმარტებას, როცა ის მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რატომ არაფერი იღონა ბრეიტნერმა აჯანყების თავიდან ასაცილებლად. უფრო საფიქრებელია, რომ ამის მიზეზი ლეგიონერთა „აღმოსავლური მენტალიტეტი“ კი არ იყო, არამედ ბრეიტნერის ეგოიზმი და გონებაშეზღუდულობა.

აჯანყება ნ აპრილს, ღამის პირველ საათზე დაიწყო. აჯანყების შედეგად დაიღუპა ასზე მეტი ადგილობრივი მოქალაქე, ორასი გერმანელი ჯარისკაცი და ხუთასი ქართველი ლეგიონერი, მათ შორის ის ქართველებიც, ვინც ამ საქმეში მონაწილეობა არ ისურვა. ერთ-ერთი მათგანი იყო არტილერისტი, ლეიტენანტი ვასილ ინჯია! აჯანყების დეტალებზე არ შევჩერდები, რადგან ამაზე უკვე ბევრი დაინერა.<sup>2-7</sup> მართალია, ბრეიტნერი ლეგიონერთა შორის დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ის გახდა მიზეზი ტექსელის აჯანყებისა; საქმე ასე მარტივად არ ყოფილა. თუმცა ძალიან გვადარდებდა ადამიანთა ტრაგედია და გვაბრაზებდა ის უპაუხისმგებლობა, რაც ბრეიტნერმა გამოიჩინა, როცა კრუზემ გააფრთხილა და ბრძნული რჩევა მისცა. ბრეიტნერს რჩევა რომ ყურად ელო, ტრაგედიას თავიდან ავიცილებდით. ომის შემდეგ, „რკინის ფარდის“ ორივე მხარეს ბევრი ოჯახი გლოვობდა საყვარელ ადამიანებს. ომი თითქმის დასრულებული იყო და მის შედეგს ზედმეტი მსხვერპლი ვერ შეცვლიდა. ბრეიტნერის საპირისპიროდ შეიძლება ვახსენოთ პოლკოვნიკი მახტი, გერმანელი (ავსტრიელი) მეთაური მოხალისეთა სათადარიგო I პოლკისა (რომ-

<sup>1</sup> დოქტორი ჰოფმანი, *Kaukasien*, 1942/1943. გვ. 267.  
<sup>2</sup> პელკემ რაითი, „ტექსელის ამბოხება“.  
<sup>3</sup> დოქტორი ჰანს კრუზე (გიოტინგენიდან), *ნერილი და მოხსენება*. 5. 27. 1953; 3.14.1953.  
<sup>4</sup> პროფესორი ფონ მენდე, *von Heygendorff* 6.6. 1950.  
<sup>5</sup> ბრეიტნერი, *V. Heygendorff*, 4/18/50  
<sup>6</sup> თორვალდი. II. 21. 1952. ავტორის არქივი  
<sup>7</sup> ვლისი, „ტრაგედია ტექსელზე“.



ლის ნაწილიც იყო ქართული ლეგიონი) ალბი-კასტრეს რაიონში, სამხრეთ საფრანგეთში. 1944 წელს, გერმანელების დახვევისას, არაკომუნისტ ქართველ ლეგიონერებთან და დეგოლის მომხრეებთან ერთად, მახტმა განაიარაღა ლეგიონი და თავიდან აიცილა სისხლისღვრა კომუნისტ და არაკომუნისტ ლეგიონერებსა და გერმანული პერსონალს შორის. ქართულ შენაერთებში სხვა გერმანულ მეთაურებსაც კარგად ეჭირათ თავი. ზოგიერთი მათგანი უკვე ვახსენეთ; მათ შორის—კაპიტანი ფონ მიულერი II/198-ე ბატალიონიდან. ამ შენაერთებში არსებული რამდენიმე მოუგვარებელი პრობლემის მიუხედავად, ფონ მიულერის ბატალიონმა შეასრულა თავისი მოვალეობა, ამის გამო კაპიტანი იმსახურებს, ბევრ რამეზე თვალი დავხუჭოთ—მას კარგდ ესმოდა პრობლემები და შესაბამის ზომებს იღებდა, იცოდა ლეგიონერების შეცდომები, მაგრამ უყვარდა და პატივს სცემდა მათ. ამას ლეგიონერებიც გრძნობდნენ და თვითონაც სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდნენ. ცხადია, ყოველ ეთნიკურ ჯგუფს თავისი ეროვნული თვისებები აქვს, მაგრამ კეთილგანწყობილი ადამიანებისთვის ადვილია ურთიერთობის დამყარება, თუნდაც ენობრივი ბარიერისას. ფაქტიურად II მსოფლიო ომში ბევრი კავკასიელი და გერმანელი სამუდამოდ დამეგობრდა. ჩემი აზრით, მათ შორის სხვაობის მიზეზი იყო არა იმდენად გეოგრაფიული ფაქტორი, რამდენადაც პოლიტიკური სისტემები. აღმოსავლელები და გერმანელები „ორ ბოროტებას“, ჰიტლერსა და სტალინს შორის აღმოჩნდნენ, ოღონდ ნაცისტები „მხოლოდ“ 1933 წლიდან ბატონობდნენ, ბოლშევიკები კი—1917 წლიდან; ასე რომ, საბჭოელები უფრო დიდი ხნის განმავლობაში ითრგუნებოდნენ და მეტად შეიცვალნენ. გერმანელებს სხვა უპირატესობებიც ჰქონდათ—კერძო საკუთრების უფლება, რწმენის უფლება საკუთარი არჩევანის მიხედვით. საკუთარ მოქალაქეებზე თვალთვალსა და ჯაშუშობას (რასობრივ დევნას თუ არ ჩავთვლით) გერმანიაში ისეთი მასშტაბები არ ჰქონდა, როგორც რუსეთში „ჩეკასა“ და „ენკავედეს“ მიერ გაშლილ მოღვაწეობას. ომისშემდგომი აღმოსავლეთ გერმანია მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანების შეცვლა ორმოცდახუთი წლის განმავლობაში. ეს აშკარაა მათი დასავლეთ გერმანელებთან შედარებისას.

ახლა ბად-რეიზენჰოლსა და ზალცბურგს დავუბრუნდეთ.



ამ ორ ქალაქს შორის გზაზე ვიყავი გამოკიდებული. ზენჭოლში ახლო ურთიერთობა მქონდა გენერალ კოსტრინთან და მის შტაბთან და მათი დახმარებით ყველგან ვუკავშირდებოდი ჩვენს შემორჩენილ სამხედრო შენაერთებს. ქართული ბატალიონი „ბერგმან I“ ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. იგი ბრძოლით იკვლევდა გზას იუგოსლავიიდან და ჩრდილო-დასავლეთით იხევდა უკან გერმანიის ტერიტორიამდე მოლნევის იმედით. რეიზენჭოლიდან სერჟანტი ალიოშა აბაშიძე მივაკვლინე იუგოსლავიაში, „ბერგმანში“ ვითარების გასარკვევად. აბაშიძემ მომახსენა, ჯარისკაცებს თავი კარგად უჭირავთო. ლეიტენანტი გოგლიკ ვაჩნაძე და თარჯიმანი ბაგრატი ჭანტურია ცდილობენ ჯარისკაცების გამხსნევებას, მაგრამ სამხედრო ვითარება კრიტიკული იყო. აბაშიძესთან და ჩემთან თათბირის შემდეგ კოსტრინგმა იუგოსლავიაში გაგზავნა გენერალი ფონ უორტენბერგი, რათა ფრონტის სარდლობის დახმარებით „ბერგმანი“ გერმანიის ტერიტორიაზე გადმოეყვანა და წითელი არმიის ტყვეობისაგან ეხსნა, მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხდა. საამისოდ ოპტიმალური დრო რამდენიმე კვირით ადრე იყო, როცა ლეიტენანტი ოქროპირიძე ბერლინიდან მივაკვლინე არმიის სამხრეთის ჯგუფს შტაბ-ბინაში. მან წერილობითი ბრძანება ჩაიტანა არმიის შტაბ-ბინიდან „ბერგმანის“ განთავისუფლებისა და გერმანიაში გადმოყვანის თაობაზე. არმიის სამხრეთის ჯგუფში თანხმობა განაცხადეს, პრობლემა თითქოს მოგვარდა და ლეიტენანტი ოქროპირიძე ბერლინში გამოემგზავრა, მაგრამ „ბერგმანის“ სერჟანტების, პრობსტისა და გაუმანის სიტყვით, „ბერგმანის“ მეთაურმა, მაიორმა ბრანდმა ამაზე უარი თქვა. განაცხადა, ჩემი შენაერთი ფრონტის წინა ხაზზე სტაბილურობას უზრუნველყოფსო. ბრანდის მოსაზრებას მხარი დაუჭირა მისმა ხელმძღვანელმა მოხელემ. ამის შედეგად გენერალ-პოლკოვნიკმა შორნერმა თავდაპირველი ბრძანება შეცვალა და „ბერგმანი“ იუგოსლავიაში დარჩა.<sup>1</sup> აპრილში „ბერგმან I“-მა სარაევოში ჩააღწია და გააფთრებულ ბრძოლაში მოუხდა მონაწილეობა; შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით განაგრძო გზა, აგრამისკენ. გერმანული 181-ე დივიზიის მეთაური, რომელსაც „ბერგმანი“ მიაბარეს, დიდად აქებდა ქარ-

<sup>1</sup> პრობსტმა და გაუმანმა ეს ამბები პირადი შეხვედრისას მითხრეს.

თველებს კარგი თავდაჭერისათვის.<sup>1</sup> ახლა ყველაფერი იმას  
მიანიშნებდა, რომ გერმანია კაპიტულაციის პირას იყო, მაგრამ  
რამ მანამდე ცომაიას, ალშიბაიას და მენდეს შეეხვდი პატა-  
რა ავსტრიულ ქალაქში, ჰოჩსტში, შვეიცარიის საზღვართან.

ომის დასრულების შემდეგ ბოლო მოელებოდა ორგანი-  
ზებულ ტრანსპორტირებას, კომუნიკაციის სხვა საშუალებებით  
გამოგვეცლებოდა და ვერავის ველარ დავუკავშირდებოდით  
დასავლელი მეკავშირეების დახმარების გარეშე. ალიბეკოვ-  
მა, ჯამალიანმა, კანტემირმა და კედიაშ, როგორც კავკასიის  
წარმომადგენლებმა შვეიცარიაში, ადრევე დაიწყეს მოლა-  
პარკება საერთაშორისო წითელ ჯვართან, გარდა ამისა, ამე-  
რიკელების იმედიც ჰქონდათ. ისინი ითხოვდნენ დახმარებას  
ჟენევის კონვენციის თანახმად, რათა კავკასიელი ლტოლვი-  
ლები ეხსნათ იალტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული

<sup>1</sup> 9 მაისს „ბერგმანმა“ შეიტყო, რომ წინა დღეს გერმანიამ კაპიტულაცია გამო-  
აცხადა, ქართველები განბილებულები დარჩნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ გერმანი-  
აში ჩაალწვედნენ და იქ ამერიკელებს ჩაბარდებოდნენ. ამის ნაცვლად იუგოსლავი-  
აში წითელი ჯარის პირისპირ აღმოჩნდნენ. გოგლიკ ვაჩნაძემ, ბაგრატი ჭანტურია  
და „ბერგმანის“ გერმანელმა ოფიცრებმა, 181-ე დივიზიასთან შეთანხმებით, დაშალეს  
„ბერგმანი“ და მისი ჯარისკაცები (კავკასიელებიც და გერმანელებიც) სხვა გერმა-  
ნულ შენაერთებში გაფანტეს, პირადობის მონომები გამოუცვალეს—ვითომ ისინი  
არასაბრძოლო ვითარებაში „დამხმარე ჯარისკაცები“ იყვნენ—იმ იმედით, რომ ეს  
ცოტათი მაინც უშველიდათ. 14 მაისს ყველა იუგოსლაველმა კომუნისტებმა დახვრი-  
ტეს.

ის ხალხი, ვისი საბჭოთა წარმომავლობაც გაირკვა, გამოაცალკევეს და საბჭოე-  
ლებს დაუბრუნეს. „ძველ“ ემიგრანტებს, როგორებიც იყვნენ ვაჩნაძე, ჭანტურია და  
გერმანელ მოსამსახურეებს დასავლეთში დარჩენის ნება დართეს (რადგან იალტის  
ხელშეკრულება მათზე არ ვრცელდებოდა) და შემდგომში გაათავისუფლეს. ჩრდი-  
ლოკავკასიური „ბერგმან III“ ბალკანეთში დაიშალა და „ბერგმან I“-ის ბედი გაიზი-  
არა. ასევე გაძნელდა კავკასიური არასაბრძოლო, მუშა შენაერთების გამოყვანა  
აღმოსავლეთ პრუსიიდან. მათ ბევრი ხალხი დაეღუპათ, ბევრი საბჭოელებს ჩაუვარ-  
დათ ხელში.

ქართული ლეგიონი—სათადარიგო შენაერთი აღმოსავლეთ ფრონტზე, მდინარე  
ოდერზე იყო გაგზავნილი თავდაცვითი ხაზის მშენებლობაზე. ისინი 1945 წლის თებერ-  
ვალში ვინახულე, როცა წითელი არმია წარმატებით გადმოდიოდა მდინარეზე. რუ-  
სეთის მასირებულ წინსვლასთან დაკავშირებით ლეგიონი იძულებული გახდა უკან  
დაეხია, ჯერ ჩეხოსლოვაკიისაკენ, შემდეგ კი კაპიტანმა დავით ლალიძემ, ლეგიონის  
მეთაურმა (ს. კობაშვილის შემდეგ, რომელიც დანიაში გადაიყვანეს) შენაერთი გერ-  
მანიაში ჩამოიყვანა. ლალიძისგან ეს ზეადამიანური ძალისხმევა და გმირობა იყო.  
მას უკვე ჰქონდა მძიმე სენი, რომელმაც მიუნხენში მოულო ბოლო. მძიმე პირობებში  
ფეხით სიარულისას, შეციებულს, დამშუულს ცოლსა და ორ ქალიშვილზე ფიქრი  
აძლებინებდა. ისინი პარიზში იყვნენ და ლალიძეს ერთი სული ჰქონდა, ცოლ-შვილი  
ენახა.

(ეს ამბები პირადად შეხვედრისას მითხრეს ლალიძემ და ვაჩნაძემ. გარდა ამისა,  
იხ. ბეჰერის „ბერგმანი“).

იძულებითი რეპატრიაციისაგან. ამერიკელებს ამ საქმეში დახმარებასაც სთხოვდნენ და დიალოგის დაწყებაც უნდა დათ II მსოფლიო ომის წინ, ომის განმავლობაში და მომავალში კავკასიელთა მდგომარეობის თაობაზე. ამერიკელებს პირველად ცომაია და კედია დაუკავშირდნენ და ჩვენი საკითხი განუმარტეს. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: გერმანიაში იყო ახალგაზრდა კაცი, სახელად იური, გვარად, შესაძლოა, ვინოგრადოვი, რომელიც როგორღაც ენათესავებოდა კავკასიელებს, შესაძლოა დედის მხრიდან. იურის პარიზში ჩასვლა უნდოდა თავისი ნათესავების სანახავად და დახმარებლად. პარიზი უკვე დასავლელ მეკავშირეებს ჰქონდათ დაკავებული; პირველ ყოვლისა, მას უნდა გაეელო ფრონტის ხაზები—ჯერ გერმანელებისა, მერე დასავლელი მეკავშირეებისა. გონიერი და გაბედული ახალგაზრდა იყო, მაგრამ ამას დაუხმარებლად ვერ შეძლებდა. დახმარება გაუწია საშა ცომაიამ, რომელიც იურის ადრევე იცნობდა და გერმანულ დაზვერვასთანაც ჰქონდა კავშირი. ასე რომ, იურიმ პარიზში ჩააღწია. ერთი პირობა საფრანგეთში დაუკავშირდა ამერიკულ დაზვერვას—OSS-ს (სტრატეგიული სამსახურის უწყებას) და იგი გერმანიაში გარკვეული დავალებით დააბრუნეს. კაცმა არ იცის, ეს რა დავალება იყო, მაგრამ ამას გარდა გერმანიაში დაბრუნებულმა იურიმ ცომაიას და კედიას უთხრა, რომ მის ამერიკელ მეგობრებს სურდათ შვეიცარიაში კავკასიის წარმომადგენლებთან შეხვედრა. როგორც ჩანს, იურიმ ამერიკელ მეგობრებს დადებითი ინფორმაცია მიანოდა თავის კავკასიელ ნაცნობებზე. მაგალითად, ის, რომ კავკასიელები ნაცისტები არ იყვნენ, სურდათ ამერიკელებთან შეხვედრა და საუბარი, შესაძლოა, ორმხრივ ინტერესებზე. ისინიც დათანხმდნენ. ახლა კედია და მისი მეგობრები ამერიკელებს ჟენევაში, სასტუმრო „დ ანგლეტერში“ ელოდებოდნენ.

წინასწარ შეთანხმებისამებრ, მე ცომაიას, მენდესა და ალშიბაიას შვეიცარიის საზღვართან ავსტრიულ ქალაქ ჰიოხტში უნდა შეხვედროდი, სადაც კედია ჩვენი კავშირის საქმეს მოაგვარებდა. თუ ამერიკელებთან და შვეიცარიელებთან მოლაპარკება დადებითად დასრულდებოდა, მაშინ ავსტრიაში, იტალიაში, გერმანიაში, დანიაში თუ სხვაგან ჩვენთან უნდა დაკავშირებოდით და ეს ამბავი გვეცნობებინა.

საამისოდ, რასაკვირველია, ამერიკელებისა და ალბათ შვეიცარიელების დახმარება დაგვეჭირდებოდა. ყველაფერი უნდა გვეღონა ადამიანების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის. გარდა ამისა, უნდა გადაგვეწყვიტა, ვის უნდოდა რეპატრიაცია, ვის—არა და ამის მიხედვით გვემოქმედა. შვეიცარიის საზღვრისაკენ მიმავალი, გზად აიზინგში, მიუნხენის ახლოს შევყოვნდი, გოგი მაღალოვთან. იქ ღამე გავათიე და დიდად ვისიამოვნე გოგისა და მისი ცოლის, მონიკას მასპინძლობით. გვიან ღამემდე და დილაუთენია ვიმსჯელებთ ჩვენთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე. გოგი შინ უნდა დარჩენილიყო, აიზინგში, იქიდან დახმარებოდა ხალხს და ეცადა, კავშირი არ განწყვეტილიყო; შევთანხმდით, როგორც კი მოვახერხებდით, ერთმანეთს დავკავშირებოდით, მერე გოგიმ თავის მძლოლს დაავალა, რკინიგზის რამდენიმე სადგურის გავლით ჩავეყვანე ინსბრუკში, სადაც მატარებელში ჩავჯდებოდით. ღამე ინსბრუკში გავათენე, მაგრამ ბედმა გამიღიმა და მოვახერხე უთენია გამგზავრება ბრეგენზ-ლინდაუს მატარებლით. ტექნიკური პრობლემებისა თუ სამხედრო ვითარების გამო მატარებელი გაჩერდა; რის ვაი-ვაგლახით, ათასნაირი შემთხვევითი ტრანსპორტით მივალწიე ჰიოხტში და ბოლოს ჩემს მეგობრებს შევუერთდი. დამაკმაყოფილებელი ბინა ვიშოვნეთ ერთ ფერმერთან; მერე „საქმიანი შეხვედრა“ გავმართეთ და რაკი მე ყველაზე ახალგაზრდა და ცოტა უფრო სწრაფი ვიყავი, კედიასთან და მის მეგობრებთან შეკავშირედ მე „ამირჩიეს“. ავსტრია-შვეიცარიის საზღვრამდე სულ მცირე, ერთი დღის ფეხით სავალი იყო, მერე ხიდი უნდა გადამევილო და შორიახლოს, სასტუმროდან ტელეფონით დამერეკა კედიასთან, ჟენევის სასტუმრო „დ'ანგლეტერში.“ საამისოდ შვეიცარიის სასაზღვრო დაცვის ოფიცრის ნებართვა მჭირდებოდა; საზღვარზე მალე გამიცნეს და საკმაოდ მეგობრულად მექცეოდნენ. გარდა ამისა, გავიცანი შვეიცარიელი პოლკოვნიკი ბაუმგარტენერი, რომელიც იმჟამად საერთაშორისო წითელ ჯვარში მუშაობდა და თავისუფლად მიმოდითა შვეიცარიის სანმეტ-გალენის რაიონიდან ავსტრიაში, ჰიოხტში. აქ, ჰიოხტში, იყო სატრანსპორტო ბანაკი, უმთავრესად, გერმანიაში მუშებად წასული ფარნგებისათვის, რომლებიც საფრანგეთში შვეიცარიის გავლით ბრუნდებოდნენ და ხიდით ჰიოხტში გადმოდიოდნენ. მე ვესაუბრე პოლ-



კონიკ ბაუმგარტნერს და ავუსენი ჩვენი გასაჭირი მან როგორც ჩანს, გვითანაგრძნო. ამის შემდეგ გამუდმებით გვეხმარებოდა ჰიოხტში დარჩენის ნებართვის გაგრძელებაში, სანამ ამერიკელებს ველოდით. ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

პირველი სატელეფონო საუბრისას კედიამ მითხრა, მოლაპარაკებებს ვანარმოებთ საერთაშორისო წითელ ჯვართანო. მეტიც—ურის წყალობით შეხვდნენ ამერიკის წარმომადგენელს, ბატონ ჯოლისს; შემდეგ კედიამ მას ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამო მემორანდუმი გადასცა. კედიას შთაბეჭდილებით, განხილული პრობლემები ამერიკელებისთვის სრულიად ახალი და უცნობი რამ აღმოჩნდა და ცოტა არ იყოს, შეაცბუნა კიდეც; კედიას ვარაუდით, ამერიკელებს ამ საკითხებში გასარკვევად დრო დასჭირდებოდათ, მაგრამ ადრე თუ გვიან, ამ პრობლემებს შეეჯახებოდნენ, რადგან მათი საომარი მეკავშირეების—საბჭოელების აგრესიულობა სულ უფრო და უფრო მატულობდა!

ცოტა ხნის წინ წავიკითხე ჟოზეფ ე. პერისკოს წიგნი რაიხის შესახებ. ავტორი საუბრობს იური ვინოგრადოვზე, მიშა კედიაზე, მის კავკასიელ კოლეგებსა და მათ შეხვედრაზე ჟენევაში ამერიკული დაზვერვის სტრატეგიული სამსახურის უნ-

<sup>1</sup> მემორანდუმი კედიამ გააცნო ბატონ ჯოლისს საკუთარი და სხვა კავკასიელების აზრი იმ საფრთხის თაობაზე, რომლის წინაშეც აღმოჩნდებოდნენ დასავლელი მეკავშირეები ომის შემდგომ პერიოდში. მემორანდუმი წათქვამია: „ახლა მთავარი პრობლემაა სტალინის გადაწყვეტილება—იყოს II მსოფლიო ომში ერთადერთი გამარჯვებული და არაფრად ჩააგდოს დასავლელი მეკავშირეები. დასავლეთი მხარს ვერ დაუჭერს მცდარ თვალსაზრისს, რომ სტალინი სიკეთის მოსურნე სახელმწიფო მოღვაწე და რუსეთის პატრიოტია. ამგვარი დამოკიდებულება დასავლეთს შეიძლება ევროპის ფასად ან კიდე უფრო ძვირად დაუჯდეს. სტალინი, უბრალოდ, თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად იყენებს რუსულ პატრიოტულ გრძნობებს. პატრიოტი რომ იყოს, დააკმაყოფილებდა ის, რაც ხელში ჩაიგდო; მაგრამ უფრო მეტი უნდა. ეს გონიერი, გაჭინილი, სასტიკი, „ფოლადისებრი სიმტკიცის“ კაცი თავისი მიზნის მისაღწევად არაფერს დაერიდება. ნაცისტური გერმანია უკვე დამარცხებულია და ახლა მას დასავლური ძალების განდევნა უნდა ევროპიდან და აზიიდან.“

სამამისოდ იგი გამოიყენებს სამხედრო ძალას, შანტაჟს, მეხუთე კოლონას, რომელიც წითელი ჯარის წინსვლასთან ერთად უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება ევროპაში, ამასთანავე, დიადი განმათავისუფლებლის სახელით მოქმედებს. ახალი შეიარაღებული კონფლიქტის (ამჯერად სტალინთან) თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დემოკრატიული ძალების დაუფონდელი მოქმედება და შესაბამისი ზომების მიღება. სტალინი ხედავს გერმანიის დიდ მნიშვნელობას და ახლა მისი მიზანია აქ გაბატონება და ამ ქვეყნის გადაქცევა იარაღად დასავლური დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. სტალინს გერმანიაში მტკიცე თანამოაზრეებიც ჰყავს. ზოგი იდეოლოგიურ საფუძველზე უჭერს მხარს, ზოგი—დასავლელი მეკავშირეების მიერ

ყების წარმომადგენელთან ალბერტ („ბერტ“) ჯოლისთან. იუმორით, სათავგადასავლო სტილით დაწერილი ეს ნაწილი ჩემთვის, უმთავრესად, დოკუმენტურობით იყო საინტერესო. კიდევ უფრო დამაინტერესა ჯოლისის ხელნაწერმა (თუმცა მისი შოვნა ვერ მოვახერხე) „როცა წითელი არმია სტალინს ებრძოდა“, რომელიც მოხსენიებულია ჯორჯ ფიშერის წიგ-

ქვეყნის დაბომბვის გამო, დანარჩენებს ბისმარკის აღმოსავლური პოლიტიკის აღორძინება სურთ.

საბედნიეროდ, გერმანიაში არიან ისეთი ძალებიც, ვისაც ნაცისტური რეჟიმი არ მოსწონს და დასავლურ დემოკრატიასთან კავშირი სურს. საჭიროა მათი გამხსნევა და წინ წამოწევა, მათი დახმარებით დასავლეთი გერმანელი ხალხის მხარდაჭერას მოიპოვებს. ამგვარი ანტინაცისტები გვედგნენ მხარში ბერლინში და მათთან ერთად ვენინალმდეგებოდით სასტიკ ნაცისტურ აღმოსავლურ პოლიტიკას. იმ შეგობრების სია გვაქვს, თავის მხრივ, ისინიც დაუშაბტებენ გვარებს. რაკი დასავლეთმა გერმანია დემოკრატიის სახელით მოიპოვა, მთელი დასავლეთი ევროპაც უნდა მოიპოვოს და აღმოსავლეთ ევროპაზეც გაავრცელოს გავლენა.

ახლა რაც შეეხება გერმანიაში საბჭოური წარმოშობის ადამიანებს: ჩვენ ვიყავით სპიკერები გერმანიაში კავკასიელი ხალხისა და დროდადრო სხვა არარუსებისა, რადგან ამას მოითხოვდა საერთო მიზანი-ეროვნული დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების ძიება. ამიტომაცაა, რომ ჩვენს შორის წითელი არმიის უამრავი დეზერტირი აღმოჩნდა; ამ ხალხმა გერმანულ არმიაში მოხალისეებად შესვლა ისურვა, მაგრამ გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაცისტების სისასტიკისა და არაადამიანური პოლიტიკის გამო ზოგიერთი განბილებული ადამიანი ისევ საბჭოელებთან გადავიდა, თუმცა გარკვეული ნაწილი გერმანული არმიის შენაერთებში დარჩა ანტისაბჭოური და ანტინაცისტური განწყობილებით. სწორედ ეს ხალხი შეიკრიბებოდა საბჭოელების წინააღმდეგ, რომ არა „აღმოსავლელი ქვეადამიანების“ სასტიკ თეორიანზე დაფუძნებული ნაცისტური პოლიტიკა.

დასავლელმა მოკავშირეებმა ეს ხალხი საბჭოელებს კი არ უნდა გადასცენ, არამედ გაუფრთხილდნენ მათ-კავკასიელებს თუ სხვა ერების წარმომადგენლებს, ლტოლვილები იქნებიან ისინი, მუშები თუ ლეგიონერები. ბუნებრივია, რომ მათი ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც სტალინის ტრიუმფმა მოხიბლა, მოინდომებს შინ დაბრუნებას. ისინი შეეცდებიან ალიბის შოვნას სტალინისაგან პატიების მისაღებად და სიცოცხლის შენარჩუნებას. მაგრამ, საუბედუროდ, ეს ვერაფერს უშველით სტალინის მიზანს როგორც კი შეასრულებენ, დაილუპებიან. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იარაღით ებრძოდნენ, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთში ცხოვრებად არიან „მოწამლულები“. თუ მიმდინარე ვითარებაში შეუძლებელი გახდება ამ ხალხის მასობრივი გადაჩენა, ვისაც დაბრუნება არ უნდა. მათ სამომავლოდ უნდა გავუფრთხილდეთ.

ამ მიზეზით, გვინდა ამერიკელებს ვთხოვოთ, დახმარება გაგვინიონ ჩვენი თანამემამულეების მოძებნაში. ჩვენი გერმანელი მეგობრების დახმარებით მოვახერხებთ ჩვენი ხალხის გადაყვანა ისეთ ადგილებში, როგორიცაა დანია, გერმანია, ავსტრია და იტალია, რადგან მიგვაჩნია, რომ მათთვის ამგვარი მდებარეობა აჯობებდა. აუცილებელია ჩვენი ყველა გერმანელი მეგობრის მოძებნა. კავშირი გვექონდა პროფესორ ე. ფონ შენდესთან, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გაგვინია. ის დიდებული ევროპელია, ანტინაცისტი, ჰუმანისტი, სწავლული და დიდხანს მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს არარუს ერთა პრობლემებზე.

იმედი გვაქვს, ეს მემორანდუმი მიაღწევს იმ ადამიანებთან, ვინც ზრუნავს, რომ დასავლელი მეკავშირეები სწორ გზას დაადგინენ. სტალინისათვის წინააღმდეგობის განევა შეიძლება არა დიპლომატიური გზით, არამედ აქტიური ანტიბოლშევიკური ძალების თავმოყრით“.

მ. კედისა ფრანგულ მემორანდუმის ასლი ინახება ავტორის არქივში.

ნში „სტალინის საბჭოური ოპოზიცია“—ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში. როგორც ჩანს, ჯოლისი საბჭოთა ამბებით ინტერესდა. როგორც აღვნიშნე, მ. კედია ჯოლისს შეხვდა, მოენონა და სწორად იწინასწარმეტყველა, დროთა განმავლობაში ჯოლისი და სხვა ამერიკელები ამ საკითხს ჩაუღრმავდებიანო.

ომი რომ დასრულდა, ჰიოხტში ვიყავით; ჩვენს რაიონში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გერმანული არმიის მიერ მდინარე რაინზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხიდის ქვეშ მოთავსებული ნაღმები, საბედნიეროდ, უვნებლად ამოიღეს და არ აფეთქებულა. ჰიოხტი საფრანგეთ-მაროკოს ჯარებმა დაიკავეს. კამპანიას მეთაურობდა ფრანგი ლეიტენანტი დიუმა. ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე კედიამ მიიღო ჩემი სამოქალაქო ტანსაცმელი, რომელიც 1944 წელს პარიზში დავუტოვე პავლე სარჯველაძეს. ტანსაცმელი გადმომცა შვეიცარიაში მცხოვრებმა ბატონმა ხარიტონ შავიშვილმა—ჟენევაში, ერთა ლიგაში ქართული ეროვნული მთავრობის ყოფილმა დელეგატმა. იგი ჟენევიდან მატარებლით ჩამოვიდა სენტ-გალენში და შვეიცარია-ავსტრიის საზღვართან, შვეიცარიულ სასტუმროში გაათია ღამე. მე დილით ვენწვი: საუბარი საუზმის დროს დავიწყეთ, შემდეგ სეირნობისას გავაგრძელეთ. გამომშვიდობებისას ისეთი განწყობილება გქონდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. ამაღელვა, რომ ამ ხნის კაცი ასე განვალდა ჩემი ნივთების ჩამოსატანად და მოვუბოდიშე: „ეგ რა სალაპარაკოა, მიპასუხა ბატონმა ხარიტონმა, —ორივე, როგორც შეგვეძლო, ვემსახურებოდით სამშობლოს და მომავალშიც ასე მოვიქცევით“.

ფრანგების ოკუპაციის შემდეგ ჰიოხტში რაღაცეები შეიცვალა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საერთაშორისო წითელი ჯვრის ბანაკი, რომელსაც მუდამ შვეიცარიელები განაგებდნენ, გადაკეთდა ფრანგი ლტოლვილებისათვის განკუთვნილ სატრანზიტო ბანაკად ფრანგების ხელმძღვანელობით. მე და ჩემი მეგობრები დროებით აქ გადავბარგდით საცხოვრებლად, რადგან ჩვენს ავსტრიულ მასპინძელს თავისი ბინა ნათესავებისათვის დასჭირდა. ბანაკში ცხოვრებას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ საერთო ვითარებაზე მეტ ინფორმაციას ვიღებდით და დროდადრო ცხელ





საუზმესაც გვაძლევდნენ. გარდა ამისა, ეს კარგი ადგილი იყო სხვადასხვა ერების ლტოლვილთა შესახვედრად. დიოგადაცემების მოსმენაც შეიძლებოდა. მერე, ერთ დილას, კედიასთან დასარეკად წასული უკან რომ დავბრუნდი, ბანაკი ფრანგი ჯარისკაცების მიერ გარშემორტყმული დამხვდა. გარეთ არავის უშვებდნენ, შესვლა კი ყველას შეეძლო. ცომაია, მენდე და ალშიბაია ჩემოდნებიანად დამხვდნენ ჭიშკართან, მაგრამ ბანაკიდან გასვლაზე უარს ეუბნებოდნენ. ბანაკში აღარ შევედი და ჩემს მეგობრებს მესერს იქით ვუთხარი, ახლავე დავურეკავ კედიას, რომ „თავის ამერიკელებს“ უთხრას ეს ახალი ამბავი-მეთქი. დილით საუბრისას კედიამ მითხრა, „მალე“ ამერიკელები ჰიოხტში ჩამოგვაკითხავენ და „თან წაგიყვანენო“. ჰიოხტიდან შვეიცარიის ტერიტორიაზე გადასასვლელ ხიდზე შემთხვევით ჩემს ნაცნობს, საერთაშორისო წითელი ჯვრის თანამშრომელს, შვეიცარიელ პოლკოვნიკ ბაუმგარტნერს შევხვდი, ვუამბე ჩვენი გასაჭირი, ვუთხარი, ამერიკელებს ველოდებოდით, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, წითელი ჯვრის ბანაკში მხოლოდ ფრანგებს დატოვებენ, დანარჩენებს კი იძულებითი ევაკუაციით გააგზავნიან სხვა ქალაქებში და ეროვნების მიხედვით მოათავსებენ ბანაკებში-მეთქი. პოლკოვნიკი მყისვე ყველაფერს მიხვდა, მოტრიალდა და მითხრა, შვეიცარიის ტერიტორიაზე დავბრუნდეთ და კიდევ დაურეკეთ კედიასო. თვითონაც ისურვა კედიასთან დალაპარაკება და ჩემი ნათქვამის დადასტურება. ასეც მოვიქცით. პოლკოვნიკი დაუყოვნებლივ მობრუნდა ჩვენთან ერთად ჰიოხტის ბანაკში. მცველებმა შეგვიშვეს. მე და ჩემი მეგობრები, პოლკოვნიკის თანხლებით, ლეიტენანტ დიუმას ოფისში გავემართეთ. პოლკოვნიკმა აცნობა ჩვენი მდგომარეობა და ისიც უთხრა, ახლახანს ტელეფონით დაგვიდასტურეს, რომ ამერიკელებმა ამ ხალხს ჰიოხტში უნდა ჩამოაკითხონო. ლეიტენანტმა დიუმამ, ამ რაიონის კომენდანტმა, ლაკონური ბრძანება გასცა და ჩვენ ოთხმა ჰიოხტში დარჩენის ნებართვა მივიღეთ. შვეიცარიელმა პოლკოვნიკმა ბაუმგარტნერმა სერიოზულ გართულებებსა და ალბათ დიდ ხიფათსაც კი გადაგვარჩინა.

ერთმა ფერმერმა მაძლი მოისხა და რამდენიმე ღამე მის საბძელში გავატარეთ, წითელი ჯვრის ბანაკის პირდაპირ. როგორც იქნა, შესაფერისი ბინა გამოვძებნეთ. უკვე ივნისის



თვე იყო, სულ უფრო და უფრო ვდარდობდით ჩვენიანებზე ვერასგზით ვერ ვახერხებდით მათთან დაკავშირებას. კედია მ ტელეფონით გვაცნობა: „ჩემს ამერიკელ მეგობრებს ესმით ჩვენი გასაჭირი, მაგრამ ვერ შესძლებენ ჩვენი ხალხისათვის იმ დახმარების განეცას, რასაც ვთხოვთ. თუმცა თქვენ ჩამოგაკითხავენ და გადაგიყვანენ ამერიკულ ზონაში, სადაც გამოგკითხავენ აზრს გარკვეულ პრობლემებზე.“ ამერიკელი ოფიცრები დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ჩამოვიდნენ. ყველას საკუთარი „ჯიპი“ ჰყავდა. გულითადად და თავაზიანად გვექცეოდნენ. „რამდენ ხანში მოემზადებით?“ „ყოველ დღით ჩალაგებული ბარგით გელოდებით.“ — ვუთხარით ჩვენ. „ძალიან კარგი. ოღონდ რაკი ეს ფრანგების ზონაა, დიპლომატიურად უნდა მოვიქცეთ და თქვენი წაყვანის ნებართვა უნდა ვითხოვოთ.“ ჰიოსტის ფრანგ კომენდატს, ლეიტენანტ დიუმს კარგად ვახსოვდით და „დიპლომატიამ“ წარმატებით ჩაიარა. ჩვენი პატარა ქარავანი—ორი „ჯიპი“, ორი ამერიკელი და ოთხი ქართველი (მენდეს საპატიო ქართველის ნოდება მივანიჭეთ და სახელიც დავარქვით: გოგი მეტრეველი)—ფრანკფურტისა და ვეისბადენისკენ გაემართა. ამერიკული საზომით, ამას „გრძელ“ გზას ვერ დაარქმევ. ამერიკელმა კეთილისმყოფელებმა საღეჭი რეზინები დაგვირიგეს—ეს საუკეთესო ამერიკული საჭმელიაო. ამერიკელი მასპინძლები გვარწმუნებდნენ, ტუსალები კი არა, ჩვენი სტუმრები ხართო. ბოლო შესვენება პატარა ქალაქ ობერურსელში გვექონდა, ფრანკფურტსა და ვეისბადენს შორის. გრძელ, ერთსართულიან შენობაში დავბინავდით. აქვე ცხოვრობდნენ გერმანელებიც, რომლებიც აშკარა ინტერესს იჩენდნენ ამერიკელებისადმი. გერმანელებთან იოლად გავაბით ნაცნობობა და დროდადრო ვესაუბრებოდით. კომფორტულად, სუფთად მოვენწყვეთ, კარგად ვიკვებებოდით სამხედრო სამზარეულოდან და ეზოში სეირნობაც შეგვეძლო, ოღონდ ქალაქიდან გასვლის ნება არ გვექონდა.

ჩვენთან ყოველდღე მოდიოდა სტუმრად ამერიკული დაზვერვის ოფიცერი, ბატონი ტერნერი, ძალზე სასიამოვნო და კარგად აღზრდილი ჯენტლმენი. კითხვა-პასუხის პერიოდშიც გვექონდა და ინფორმაციული საუბრებისაც—ჩვენს წარსულ საქმიანობაზე, მიზნებზე, პრობლემებზე, თანამოაზრეებზე, მეგობრებზე, კავკასიასა და საბჭოთა კავშირზე. შევნიშნეთ,



რომ კარგად და იოლად წარმოთქვამდა კავკასიურ სახელებს და კარგად იყო ინფორმირებული. ამგვარი შეხვედრების შემდეგ გვთხოვდა ხოლმე, „საშინაო დავალება“ დაგვეწერა II მსოფლიო ომზე, გერმანიაზე, ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ხალხზე, ჩვენს გერმანელ მეგობრებზე და ჩვენს მიზნებზე. ეს ამბავი დაახლოებით ორ თვეს გრძელდებოდა. ჩვენი ვარაუდით, ამერიკული სადაზვერვო უწყება კარგად იყო ინფორმირებული არა მარტო ჩვენი პრობლემების თაობაზე, არამედ სტალინსა და მის სახელმწიფოზეც. ✕

ისიც იგრძნობოდა, რომ ამერიკული მთავრობა შემდგომშიც შემგუებლობას გამოიჩენდა სტალინის პოლიტიკის მიმართ. ოდესმე, სტალინის აგრესიულობის გამო, ამერიკელები უთუოდ არჩევანის წინაშე აღმოჩნდებოდნენ, და თავიანთი პოზიციის განსაზღვრა მოუხდებოდათ, მაგრამ დრო არ ითმენდა. ევროპის მთელს კონტინენტზე გასაჭირში დარჩენილ ჩვენს ხალხს სასწრაფოდ სჭირდებოდა შველა. ჩვენი ვარაუდით, ის ამერიკელები, ვინც კედისასა და ჩვენ შეგვხვდნენ, თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ჩვენს გასაჭირს, მაგრამ არაფერი შეეძლოთ გარდა იმისა, რომ სწორი ინფორმაცია შეეკრიბათ II მსოფლიო ომის გარკვეულ ასპექტებზე. იმედი გვქონდა, ერთ მშვენიერ დღეს ესეც დახმარებას გაუწევდა ჩვენს ხალხსა და დემოკრატიას. მასპინძლებთან განშორების დრო დადგა. მე, მიშამ და საშამ გადავწყვიტეთ გამგზავრება ბად—რეიჩენჰოლში, სადაც ცხოვრობდნენ მიშას ოჯახი, ჩემი მოყვრები და ცოლი. პროფესორ ფონ მენდეს ოჯახი ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში გვეგულებოდა. ჩვენ სამნი გამოვეთხოვეთ მენდეს და ისიც თავისიანებთან გაფრინდა. 29 აგვისტოს ზალცბურგში ჩავედით და ბად—რეიჩენჰოლსკენ გავემართეთ.

ჩვენმა თანმხლებმა ამერიკელმა ოფიცრებმა ბად—რეიჩენჰოლის ამერიკულ სამხედრო ხელისუფლებთან წარგვადგინეს. იმათ, თავის მხრივ, ადგილობრივ (გერმანულ) მერიაში გაგვაგზავნეს ამ რაიონში საცხოვრებელი უფლების მისაღებად. სხვაგან არსად წაგვესვლებოდა. როცა ყველაფერი მოგვარდა, ამერიკელები გამოგვემშვიდობნენ და თავის გზას დაადგნენ. დიდი ბედნიერება იყო კვლავ შეხვედრა ნათესავებთან, რომლებმაც თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ჩვენი არაფერი იცოდნენ. თითქოს ეს არ კმაროდა, ჩვენი შინაუ-



რები მაისსა და ივნისში კინალამ ძალით „დაუბრუნების“  
 სამშობლოში“—საბჭოთა კავშირში. ამ განსაცდელისგან ისი-  
 ნი უხსნია ამერიკელ, ტეხასელ კაპიტან კრაუზს, რომელსაც  
 ჰუმანურობა და გონიერება გამოუჩინია. შტაბ-ბინიდან მოსულა  
 ბრძანება, რომ გერმანიაში მხოლოდ გერმანული წარმოშობის  
 პირები უნდა დარჩენილიყვნენ, არაგერმანელები ადგილნაც-  
 ვალ პირებად მიეჩნიათ, მათთვის თავი მოეყარათ და თავ-  
 თავიანთი წარმომავლობის მიხედვით დაებრუნებინათ საკუ-  
 თარ ქვეყნებში. ეს ბრძანება საჯაროდ გამოცხადდა და ამე-  
 რიკული სამხედრო პოლიცია კარდაკარ დადიოდა ხალხის  
 შესამოწმებლად. ჩემი მოყვრების სახლში რომ შესულან,  
 უნახავთ, რომ ამ არაგერმანელებს „არც სტატუსი ჰქონდათ“,  
 არც მოქალაქეობა. წარმოშობით საქართველოდან იყვნენ.  
 სამხედრო პოლიციას მათთვის ბრძანება გადაუცია და უთ-  
 ქვამთ, მოემზადეთ, უახლოეს მომავალში უნდა გაემგზავრო-  
 თო.

აზრი არ ჰქონდა დავას სამხედრო პოლიციასთან, რომე-  
 ლიც ბრძანებას ასრულებდა, ასე რომ, ჩემიანები მეთაურ-  
 თან, კაპიტან კრაუზთან მისულან. ჩემს სიმამრს წარუდგე-  
 ნია თავისი საბუთები— ის საქართველოს სუვერენული  
 რესპუბლიკის ყოფილი ელჩი იყო აზერბაიჯანში. წარუდგე-  
 ნია დასავლეთისათვის და რომის პაპისათვის განეული სამ-  
 სახურის დამადასტურებელი საბუთებიც. კრაუზისთვის უთ-  
 ქვამს, ალშიბაიები საბჭოთა მოქალაქეები არასდროს ყოფი-  
 ლან, მათ ქვეყანა მანამ დატოვეს, სანამ საქართველოს ბოლ-  
 შევიკური რუსეთი დაიპყრობდაო. მერე ისიც უთქვამს კრა-  
 უზისთვის, ჩემს ოჯახს თუ ძალით დააბრუნებთ საბჭოთა  
 კავშირში, სანამ ჩვენს წასაყვანად მოხვალთ, მანამ ყველა  
 სანამლავით დავიხრცავთ თავსო. კრაუზი მიხვდა, რომ ალ-  
 შიბაია ამას სერიოზულად ამბობდა, აღელდა და უთხრა  
 რაღაც, საშინელი შეცდომა დაგუშვით ამ ბრძანების გაცემი-  
 სასო. ოჯახს ურჩია, თქვენს ბინაში ნუ გაჩერდებით, რადგან  
 სამხედრო პოლიცია ამ დღეებში კიდევ ერთხელ შემოივლი-  
 სო. ექიმი და მისი ოჯახი დაარწმუნა, ჩემი მხარდაჭერის  
 იმედი გვქონდეთო. კაპიტანმა კრაუზმა პირობა შეასრულა.  
 ყველა ძალიან ვემადლიერებოდით, მაგრამ მალე გაემგზავ-  
 რა იმ რაიონიდან და მადლობის თქმა ველარ მოვახერხეთ.

სინამდვილეში იალტის შეთანხმება არ ეხებოდა იმ ემიგრ-

რანტებს, ვინც ქვეყანა 1939 წლის 1 სექტემბრამდე დატოვებულ  
მაგრამ ამგვარ „წვრილმანებს“ არ უზუსტებდნენ იმათ, ვი-  
საც ბრძანების შესრულება ევალებოდა. არადა, ტეხასელი  
კაპიტნის კრაუზის მსგავსი ხალხი ყველგან როდი იყო.

1945 წლის სექტემბერში ამერიკელებმა გერმანული რადი-  
ოთი გამოაცხადეს, რომ ყველა ჯარისკაცი, ვინც მანამდე  
ფორმალურად არ დაუთხოვიათ გერმანული არმიიდან, ახლა  
უნდა დაეთხოვათ. ამ მიზნით დაინიშნა რეგიონული ცენ-  
ტრები. მე შორიასლოს, ქალაქ როზენჰეიმში ჩავედი. იქ კარ-  
გად მოწყობილი ბანაკი დამხვდა, სადაც გერმანელი ოფიც-  
რების ჯგუფი ამერიკელების ზედამხედველობით აფორ-  
მებდა დემობილიზაციას. უნდა წარგედგინა გერმანული არ-  
მიის ჯარისკაცის მონმობა ("Soldbuch"). მე ჩემი საბუთი წარ-  
ვადგინე და დემობილიზაციის მონმობაც მივიღე. ახლა თა-  
ვისუფლად შემეძლო გადაადგილება გერმანიის ამერიკულ  
ზონაში. ეს მნიშვნელოვანი საბუთი იყო.

ამასობაში ბად-რეიჩენჰოლში ქართველების პატარა ჯგუფმა  
მოიყარა თავი. ზოგიერთი მათგანი ქართულ სამეკავშირო  
შტაბში იყო ნამუშევარი და იცოდა, რომ მიხო, მისი მშობლები,  
მე და საშა იქ ვიქნებოდით. უფრო დიდი ჯგუფი შეიკრიბა  
მიუნხენში. მათ შორის იყვნენ: კაპიტანი დავით ლალიძე, რო-  
მელიც ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოვიდა ქართული ლეგიონის გა-  
დარჩენილ წევრებთან ერთად; ექიმები დავით ჩატარაიშვი-  
ლი და გედე ასათიანი; მოგვიანებით ჩეხოსლოვაკიიდან  
(კარლსბადის რაიონიდან) ჩამოვიდა გოგი ვეფხვაძე. ჩეხოს-  
ლოვაკიაში ისინი თავიანთი პროფესიით მუშაობდნენ, სანამ  
იქაურობა საბჭოელებმა არ დაიპყრეს.

ექიმმა გოგი მაღალოვმა, რომელსაც გამუდმებული კავ-  
შირი ჰქონდა მიუნხენთან, ქართველების ნაწილი შეიფარა  
აიზინგში. მათ შორის იყვნენ კაპიტანი სიკო კობიაშვილი  
ცოლითა და ორი ბავშვით და ორი ლეიტენანტი—გ. კ. და ვ.  
ს. სამივე ოფიცერი დანიიდან ჩრდილო—დასავლეთი გერმა-  
ნიის გავლით ჩამოვიდა მიუნხენში. კობიაშვილი დანიაში  
კავკასიურ პოლკს მეთაურობდა, ლეიტენანტები კ. და ს. კი  
მსახურობდნენ 799-ე ქართულ ბატალიონში (კაპიტანი ვ. ბაქა-  
რაძის მეთაურობით), რომელიც ამ პოლკის ნაწილი იყო.

ბოლოს მიუნხენში (ან სხვაგან, ბავარიაში) იტალიიდანაც  
ინყეს ჩამოსვლა ქართველებმა. მათ შორის იყვნენ: კაპიტანი



დიმიტრი შალიკაშვილი, ნიკო ნაკაშიძე, გოგი კორძასხიანი (ჰამბურგში დამკვიდრდა), ჯიმშერ ახმეტელი, ლეიტენანტი ზურაბ აბდუშელიშვილი და გივი ფორაქიშვილი. მათგან შევიტყვე დანიასა და იტალიაში ჩვენი ჯარების ბედი.<sup>1</sup>

გენერალ კოსტრინგთან და ბერლინში ქართულ სამეკავშირეო შტაბთან შეთანხმებისამებრ, გერმანელმა მაიორმა შულცმა თავის დროზე ამ ბატალიონის მეთაურობა დადიანს გადააბარა.

აპრილის ბოლოს, გერმანიაში გახშირებული საჰაერო თავდასხმების შედეგად, II/198-ე ბატალიონში იმატა დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვმა. აღარც ტრანსპორტი შერჩათ. აპრილში მაიორმა შულცმა მიიღო ბრძანება, მეთაურობა II/198-ის ოფიცრისთვის, კაპიტან დადიანისათვის გადაეხარებინა. ბატალიონის გერმანული პერსონალიც შემცირდა. ყოფილი ადიუტანტი, ლეიტენანტი მიულერი დარჩა, როგორც გერმანელი მეკავშირე ოფიცერი. ბატალიონში სულ რამდენიმე გერმანელი იყო, მეთაურობა ქართველმა ოფიცრებმა გადაიბარეს. გერმანელების სამხედრო ვითარება თანდათანობით უარესდებოდა. ისინი ჩრდილოეთით იხევდნენ უკან. ამერიკელები წინ მოიწვედნენ. ომი დასასრულს უახლოვდებოდა, პარტიზანი პროპაგანდისტები სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობდნენ ქართველი სერჟანტებისა და ლეგიონერების დარწმუნებას, ჩვენს მხარეს თუ არ გადმოხვალთ, მომავალში ნურაფრის იმედი ნულარ გექნებათო. კაპიტან დადიანს სხვა გზა აღარ ჰქონდა, ლეგიონერებს უთხრა, თქვენი გზა თვითონ უნდა აირჩიოთო. ისიც უთხრა, რომ ამერიკელებთან მოლაპარაკებას აპირებდა—ქართველები მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ და ჩაბარდებოდნენ იმ პირობით, რომ ამერიკელები საბჭოეთში არ დააბრუნდებდნენ. დადიანმა ისიც აცნობა ლეგიონერებს, რომ ქართველებს დასავლეთის ძალებთან პირობა ჰქონდათ და დროთა განმავლობაში ისევ შეებრძოლებოდნენ საბჭოელებს. როგორც ჩანს, კაპიტან დადიანის იქ ყოფნამ და მიმართვამ დიდი გავლენა იქონია ლეგიონერებზე. რასაკვირველია, ვინც

<sup>1</sup> განსაკუთრებით დამეხმარა შემდეგი წერილობითი მოხსენებები: 1. კაპიტანი ფონ მიულერი II/198-ე ქართული ბატალიონის შესახებ; 2. ლეიტენანტი გივი ფორაქიშვილი II/198-ე ბატალიონის შესახებ; 3. კაპიტანი დიმიტრი შალიკაშვილი ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში ქართველ მხედართა შენაერთების შესახებ; 4. სერჟანტი გიორგი (ყორა) ლოლუა იმავე შენაერთის შესახებ. მაღლიერი ვარ ამ დახმარებისათვის. ნაწერები ინახება ავტორის არქივში.



შინ დაბრუნება გადაწყვიტა, პარტიზანებს შეუერთდა, გან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სტალინ-სგან პატიება მიეღო. ბატალიონი ვერონადან წამოვიდა და ახლა ბადიაში იყო, სადაც მაიორი შულცი და კაპიტანი დადიანი გულთბილად დაშორდნენ ერთმანეთს. მაიორმა, სხვა გენერლებთან ერთად, ჩრდილოეთით განაგრძო უკან დახევა. დადიანი ბადიაში დარჩა, მაგრამ პირველი ასეული ლეიტენანტი მეტრეველის მეთაურობით ამერიკულმა ტანკებმა და პარტიზანებმა ბატალიონს მოწყვიტეს. კაპიტანმა ფონ მიულერმა და გერმანელმა პერსონალმა მიატოვა პირველი ასეული და შეუერთდა გერმანელების საბრძოლო ჯგუფს, რომელიც ჩრდილოეთით იხევდა უკან. ღამით პირველმა ასეულმა პოზიცია დატოვა და, როგორც ჩანს, პარტიზანებისკენ დაიძრა. დანარჩენი ქართველი ოფიცრები—ლეიტენანტი დადიანი, აბდუშელიშვილი, ფორაქიშვილი და სხვები ბატალიონში დარჩნენ მეთაურთან, კაპიტან მ. დადიანთან ერთად. საბედნიეროდ, კომუნისტური პროპაგანდის მიუხედავად, გერმანელებსა და ქართველებს შორის ამბოხი და სისხლისღვრა არ ყოფილა. ჩემი აზრით, ეს განაპირობა ქართველი და გერმანელი ოფიცრების, განსაკუთრებით კაპიტან ფონ მიულერის სასიკეთო გავლენამ. ის ხშირად ასრულებდა II/198-ის მეთაურის მოვალეობებს, რადგან მაიორი შულცი ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გამო ავადმყოფობდა ხოლმე.

ბადიაში ყოფნისას კაპიტანმა დადიანმა მოახერხა ერთ ამერიკელ გენერალთან დაკავშირება და გარიგება შესთავაზა—ქართული ბატალიონი უბრძოლველად ჩაბარდებოდა ამერიკელებს, თუ გენერალი, თავის მხრივ, დაჰპირდებოდათ, ქართველებს საბჭოელებს არ გადასცემდნენ. გენერალმა მიიღო ეს წინადადება და პატიოსანი სიტყვა დადო, ქართველებს თავიანთი სურვილის წინააღმდეგ არ გადაცემთო. ასე რომ, ბატალიონმა იარაღი დაყარა და ამერიკელებს ჩაბარდა, მაგრამ, პირობის საწინააღმდეგოდ, ქართველი სერჟანტები და ჯარისკაცები, სხვა საბჭოთა ეროვნების სამხედრო ტყვეებთან ერთად, იალტის შეთანხმების მიხედვით რეპატრაციისათვის მოამზადეს!

ქართველი ოფიცრები, სამხედრო ტყვეებთან ერთად, ამე-

<sup>1</sup> ძალიან მეჭვება, რომ ამერიკელ გენერალს ცრუ დაპირებით მოეტყუებინოს ქართველები. ვფიქრობ, მან, უბრალოდ, არ იცოდა ის ვითარება, რომელსაც იტვალისწინებდა იალტის შეთანხმება. ალბათ უმაღლესი ხელისუფალნი ჩაერივნენ და



რიკულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში დარჩნენ. გერმანელი ტყვე-ოფიცრები შეძლებისდაგვარად ესმარებოდნენ ქართველ კოლეგებს. მაგალითად, ლეიტენანტი აბდუშელიშვილი საბჭოთა რეპატრიაციის ოფიცრის ხელში ჩავარდნისაგან გადაარჩინა ბანაკის გერმანელმა კომენდანტმა, რომელმაც არ გაამხილა აბდუშელიშვილის იქ ყოფნა. ლეიტენანტი ფორაქიშვილი აცხადებდა, გერმანიის მოქალაქე ვარო. გერმანულად კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ რუსმა ოფიცერმა შენიშნა, რომ გერმანელს არ ჰგავდა. მაშინვე რამდენიმე გერმანელმა ტყვემ ერთხმად წამოიძახა: „რას გულისხმობთ? სამხრეთ გერმანიაში უამრავი ხალხთა ასეთი გარეგნობის!“ რუსმა ფარხმალი დაყარა და წავიდა.

ბოლოს, როცა გერმანელი სამხედრო ტყვეების განთავისუფლებისა და შინ გაშვების დრო დადგა, აღმოჩნდა, რომ ქართველებს წასასვლელი არსად ჰქონდათ. აქ ისევ გერმანელები დაეხმარნენ—გერმანიაში თავიანთი ნათესავებისა და მეგობრების მისამართები დაურიგეს ქართველებს; აშკარაა, რომ ყველა გერმანელი არ იყო ცუდად განწყობილი „აღმოსავლელთა“ მიმართ. ლეიტენანტმა ა. დადიანმა, საფრანგეთის „ძველმა“ ემიგრანტმა, იქ დაბრუნება მოახერხა. თავდაპირველად ფრანგი ხელისუფალნი მტრულად შეხვდნენ, რადგან იგი გერმანულ არმიაში მსახურობდა, მაგრამ ხანგრძლივი გამოკითხვის შემდეგ ფრანგმა ოფიცერმა უთხრა: „ვერ გეტყვით, კარგი ფრანგივით მოიქეცით-მეთქი, მაგრამ ვერც იმას გეტყვით, რომ კარგი ქართველი პატრიოტი არა ხართ“. საქმე დაიხურა!

კაპიტანი დადიანი, რგორც აღვნიშნე, „ძველი“ ემიგრანტი იყო და პოლონეთის არმიაში მსახურობდა ხელშეკრულებით. ამერიკელების სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან ცნობილმა პოლონელმა გენერალმა ანდერსმა გაათავისუფლა და თავის შტაბში წაიყვანა. პოლონელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ მას მერე, რაც 1939 წელს გერმანელებთან და რუსებთან ომი წააგეს, ქართველი ოფიცრები პოლონეთს ბევრს ველარა-

გააუქმეს მისი პირველადი ბრძანებები. იმჟამად ბევრი უხერხულობა და შეუსაბამობა წარმოიქმნებოდა ხოლმე იალტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> თითქმის ყველა ქართველმა საფრანგეთში სტატუსის გარეშე დარჩენა ამჯობინა, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მოესწრებოდნენ თავისუფალ საქართველოში დაბრუნებას. ისინი საფრანგეთის მოქალაქეები არასოდეს გამხდარან. გამონაკლისი არც ა.დადიანი იყო.



ფერს შემატებდნენ. ეგეც არ იყოს, პოლონელებს—თვითნებურად დიდ პატრიოტებს—ესმოდათ: მას მერე, რაც პიტლერი თავისი ყოფილი მეკავშირის, სტალინის ტერიტორიაზე შეიჭრა, ბევრი ქართველი ოფიცერი თავისი ქვეყნის ინტერესების უკეთ დასაცავად შევიდა გერმანულ არმიაში!

იმ დროს, როცა ჩრდილოეთ იტალიაში, ვერონას რაიონში ქართული ლეგიონის II/198-ე ბატალიონი კრიზისს განიცდიდა, ასეთივე სიძნელების წინაშე იდგა მეორე ქართული შენაერთი—ესესის ცხენოსანთა „პოლკი“. იგი ვერონას აღმოსავლეთით იდგა, ქალაქ ქამგლიანსში, იუდინის პროვინციაში. ამ ქალაქიდან თხუთმეტი კილომეტრით აღმოსავლეთით, ოვარიში, იდგა კაზაკ ცხენოსანთა ქვეგანაყოფი. იმ დივიზიას, რომელსაც ქართული პოლკი ექვემდებარებოდა, ქამგლიანიდან აღმოსავლეთით, თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით, პალუცაში ჰქონდა შტაბ-ბინა. კაზაკებისა და ჩრდილო კავკასიელთა რაზმების დამატებითი შენაერთები ჩრდილო იუდინის პროვინციაში სხვაგანაც იყო განლაგებული. რაიონი სავსე იყო პარტიზანებით. რუკის შესწავლისას თვალსაჩინოა, რომ გერმანულმა არმიამ იტალიაში გულმოდგინედ განალაგა კაზაკები, ჩრდილო კავკასიელები და ქართველები ისე, რომ პარტიზანებს ვერ მოეხერხებინათ გერმანელთათვის მიწოდებული დახმარებისთვის გზის გადაჭრა.

რაიონში პარტიზანების ორი მთავარი ჯგუფი იყო—კომუნისტები, ან ე.წ. „გარიბალდისტები“ და არაკომუნისტები, იტალიის ეროვნული პარტიის წარმომადგენლები. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს ეცილებოდა ომის შემდგომ იტალიაში პოლიტიკური გავლენის მოპოვებაში. გავრცელებული იყო აზრი, რომ კომუნისტ პარტიზანებს მხარს უჭერდა და იარაღით ეხმარებოდა ტიტოს იუგოსლავიური ჯარი. ამდენად, მიიჩნევდნენ, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვება

<sup>1</sup> გენერალ-ლეიტენანტი ვ. ანდერსი საბჭოელებმა 1939 წელს დაატყვევეს, როცა გერმანია-რუსეთი პოლონეთში შეიჭრა. ის ციხეში მოათავსეს, მაგრამ სსრკ-ში გერმანიის შეჭრის შემდეგ გაათავისუფლეს. დიდი მოლაპარაკებების შემდეგ ბოლოს, 1942 წელს, სტალინმა უფლება მისცა ათასობით დეპორტირებულ პოლონურ ოჯახს, საბჭოთა ტერიტორია დაეტოვებინათ და გადასულიყვნენ პალესტინაში. სადაც პოლონური არმია გადიოდა წვრთნას. ერთი წლის შემდეგ ეს არმია იტალიაში შეუერთდა ბრიტანეთის მერვე არმიას. პოლონელები სიმაძაქითა და ჩინებული ჯარისკაცებით გამოირჩეოდნენ. ანდერსი პოლონეთში აღარ დაბრუნებულა. ომის შემდეგ ინგლისში დარჩა და იქ გარდაიცვალა 1970 წელს.

პიტერ იანგი, II მსოფლიო ომის აღმანახი, ნიუ-იორკი.



მათ დარჩებოდათ. აპრილის ბოლოს იტალიაში გერმანიის არმიის სამხედრო მდგომარეობა გაუარესდა. შესაბამისად, პარტიზანთა ბრძოლამ და პროპაგანდისტულმა მოღვაწეობამაც უმაღლეს წერტილს მიაღწია. ქართველი ჯარისკაცების განწყობა და ზნეობა უკან-უკან მიდიოდა და კომუნისტური პარტიზანების პროპაგანდა ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა. ქართველებსა და სხვა „აღმოსავლელ ჯარისკაცებს“ გაცილებით მეტი საფრთხე ემუქრებოდათ, ვიდრე მათ გერმანელ ამხანაგებს; ამ უკანასკნელთ შეეძლოთ გერმანიისკენ უკან დაეხიათ, ომის შემდეგ კი, ბოლოსდაბოლოს, სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან განთავისუფლდებოდნენ და ისინიც ოჯახებს დაუბრუნდებოდნენ. „აღმოსავლელებს“ წასასვლელი აღარსად ჰქონდათ. მეტიც—იალტის შეთანხმების თანახმად, შეიძლება ისინი სტალინისათვის გადაეცათ. ზოგიერთმა მიიჩნია, რომ პრობლემების თუნდაც არასრული მოგვარება იქნებოდა პარტიზანებთან გადასვლა. ფაქტიურად, ასეთი რამ 30 აპრილს მოხდა. დაახლოებით ას ორმოცდაათი ჯარისკაცი (მათ შორის კავსადის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრები) კომუნისტური პარტიზანებთან გადავიდნენ. დიდი დაპირებების მიუხედავად, მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. სამწუხაროდ, მაისის დასაწყისში შვიდი ქართველი დეზერტირი ბრძოლაში მოკლეს, როცა კომუნისტური პარტიზანები ოვარიში კაზაკებს უტყევდნენ.

„პოლკის“ ხელმძღვანელობას რაიმე განსაკუთრებული უნდა ეღონა ხალხის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამ საყოველთაო პირქუშ ვითარებაში ერთადერთი ნათელი სხივი იყო იტალიელ მოსახლეობასა და ქართველებს შორის დამყარებული გულთბილი, კეთილი დამოკიდებულება. ეს ორმხრივი კეთილგანწყობა ალბათ სამხრეთულობით აიხსნება. ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, გავლენა იქონია იტალიელ პარტიზანთა დამოკიდებულებაზეც ქართველი ჯარისკაცებისადმი. ერთ დღეს „პოლკის“ მეთაური პოლკოვნიკი ნულუკიძე დივიზიის შტაბ-ბინაში, პალუცაში უნდა წასულიყო. კაპიტან დიმიტრი შალიკაშვილს სთხოვა, მის არყოფნაში მეთაურობა გადაეხარებინა. მალე დიმიტრის ახალგაზრდა ოფიცერმა დოდიკ (დავით) ჭავჭავაძემ უთხრა, ჩრდილოეთ იტალიის პარტიზანთა მეთაურს, დე ანტონიოს, თქვენი ნახვა სურსო; დიმიტრი მყისვე დათანხმდა. ერთმანეთს დე ანტონიოს სახლში

შეხვედნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ დოდიკ ჭავჭავაძე და დე ანტონიოს ადიუტანტი. დე ანტონიომ თქვა, მე და ჩემი არაკომუნისტი პარტიზანები იტალიის ეროვნული პარტიის წარმომადგენლები ვართ. გერმანელთა დამარცხებაში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ რაკი ომის დამთავრებისთანავე სისხლისმღვრელ ბრძოლას ვარაუდობდნენ კომუნისტ პარტიზანებსა და თავიანთ ჯგუფს—არაკომუნისტ პარტიზანებს შორის, დე ანტონიომ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ კომუნისტ პარტიზანებს შეეძლოთ ბრძოლის მოგება, რადგან იუგოსლაველი კომუნისტებიც მხარს დაუჭირდნენ. იტალიაში კომუნისტების გამარჯვება ყველას დამლუპველი იქნებოდა. ასე რომ, დე ანტონიომ ქართველებს შესთავაზა, როცა ბრძოლა დაიწყება, იტალიელი პარტიზანების ეროვნულ ჯგუფს დაუჭირეთ მხარი პარტიზანების წინააღმდეგო. ერთხანს კიდევ იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რაც შეიძლება მალე შეხვედროდნენ ერთმანეთს. ამასობაში დიმიტრი თავიდან ბოლომდე გააანალიზებდა სიტუაციას მასთან დაკავშირებულ რისკსაც და ადამიანებისთვის სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობასაც. იმთავითვე, როცა „პოლკში“ შევიდა, სწორედ ადამიანების გადარჩენა იყო მისი მთავარი მისია.

დიმიტრიმ შეაჯამა თავისი აზრები წინადადებასთან დაკავშირებით და შემოკლებით ასე ჩაიწერა:

1. „ქართველებს გარკვეული მოქმედებების შესაძლებლობა ეძლეოდათ, პარტიზანები, გარკვეულნილად, მეკავშირეთა ჯარებს ემხრობოდნენ... და ამ ჯარებთან დაკავშირება ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა.

2. გერმანელების მხარეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვიბრძოდით, რომ იმედი გვქონდა, მათი მხარდაჭერით გავეთავისუფლებინა ჩვენი სამშობლო კომუნისტების ბატონობისაგან. დე ანტონიო გვთხოვდა, არაკომუნისტ პარტიზანებს დავხმარებოდით კომუნისტებთან ბრძოლაში; ამ საქმეში მათ მხარში ამოვუდგებოდით.

3. ახლა, როცა ომი დასასრულს უახლოვდებოდა, დამარცხებულ გერმანიას, აღარ ვჭირდებოდით. ასე რომ, ჩვენ გერმანელებს კი არ ვლალატობდით, არამედ ვცდილობდით, ჩვენი ხალხისათვის ტრაგიკული დასასრული აგვეცდინა.

4. დიდი რისკის მიუხედავად, ვვარაუდობდით, რომ ამ გზით ასობით ადამიანს ვიხსნიდით დალუპვისაგან.<sup>1</sup>

მეორე შეხვედრისას დიმიტრიმ დე ანტონიოს განუცხადა, ქართველები გერმანელებს არ შეებრძოლებიანო. „ასე რომ, ხელი მოვანერეთ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, ომის შემდეგ, მხარს დავუჭერდით ჩრდილოეთ იტალიის პარტიზანებს კომუნისტების წინააღმდეგ.“<sup>2</sup>

როცა უკან დაბრუნებულ „პოლკის მეთაურს“ ნულუკიძეს ამ შეთანხმების ამბავი უთხრეს, თავიდან შეყოყმანდა, გაბრაზდა კიდევ, მაგრამ ბოლოს მანაც თანხმობა განაცხადა. **ოლონდ თქვა, სანამ ხელშეკრულებას ხელს მოვანერ, გერმანული დივიზიის მეთაურს, პოლკოვნიკ ტენერმანს უნდა მოვეთათბიროო. გერმანელმა მეთაურმა უთხრა, ასეთ სავალალო ვითარებაში რა უნდა ვთქვა, ნებას გაძლევთ, ეგ საქმე თვითონ გადაწყვიტოთო, ოლონდ პირობა ჩამოართვა ნულუკიძეს, რომ დოკუმენტში დივიზიის მეთაურის გვარი არ იქნებოდა ნახსენები. ასე რომ, ნულუკიძემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც ქართველ ოფიცერთა საგანგებო კრებაზე განიხილეს და მოიწონეს. ქართულმა „პოლკმა“ ჩრდილოეთ იტალიის ეროვნული პარტიზანებისაგან მიიღო საიდუმლო ბრძანება. ბრძანებულების მიხედვით, ქართველები გახდნენ წევრები პარტიზანული დივიზიისა, რომლის საქმე იყო რაიონის განთავისუფლება. მიიღეს პარტიზანთა სამკერდე ნიშნებიც.<sup>2</sup>**

ყოველივე ამის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა კიდევ უფრო გულთბილად განეწყო ქართველებისადმი. თითქმის საეჭვო აღარ იყო, რომ პარტიზანებთან შეთანხმება ბევრს იხსნიდა დალუპვისაგან.

მაგალითად, ქართველებს ჩრდილოეთ იტალიაში შეეძლოთ დარჩენა. კაზაკებმა და ჩრდილოკავკასიელებმა, გერმანელებთან ერთად დაიხიეს უკან, ავსტრიისაკენ. ეს ხალხი ინგლისელებმა იძულებით გადასცეს საბჭოელებს, რასაც ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

მაისის დასაწყისში ქართული პოლკი ფერნი ავოლტიში გადავიდა, ქამგლიანიდან ოცი კილომეტრის მანძილზე. ამის შემდეგ ქამგლიანი ბრიტანეთის ფეხოსანთა ბატალიონმა და-

<sup>1</sup> იხ. დ. შალიკაშვილის წერილობითი ანგარიში ავტორის არქივში.  
<sup>2</sup> იხ. დ. შალიკაშვილისა და გ. ლოლუას მოხსენებები ავტორის არქივში.



იკავა და 7 მაისს ბრიტანელები ფერნი ავოლტში შემოვი-  
 ალდნენ. პოლკოვნიკმა ნულუკიძემ მათ შესახვედრად თავი-  
 სი ჯარისკაცები გაამწკრივა; თვითონ დიმიტრი შალიკაშ-  
 ვილთან ერთად, ბრიტანეთის ბატალიონის მეთაურს (პოლ-  
 კოვნიკს) წარუდგა და კარგად მომზადებული სიტყვით მიე-  
 სალმა. ცერემონიის შემდეგ მეთაური და ოფიცერი სადი-  
 ლად მიიწვია. გაუმასპინძლდნენ „შამპანურით“, საუკეთესო  
 ფრანგული და იტალიური ღვინოებით და ჩინებული კერძებით.  
 მეგობრული გარემო იყო, „ქართველებმა ჩვეული მას-  
 პინძლობა გასწიეს ქართული სიმღერების თანხლებით. ბრი-  
 ტანელები ნასიამოვნები დარჩნენ ჩვენი გულთბილი დახვედ-  
 რით.“<sup>1</sup>

მალე ქართულმა „პოლკმა“ სხვაგან გადასასვლელად მომ-  
 ზადების ბრძანება მიიღო. ტრანსპორტმა მოაკითხათ, ქარ-  
 თველი ოფიცრები გამოაცალკავეს ჯარისკაცებისაგან, რომ-  
 ლებიც წაიყვანეს მავთულხლართებით გარშემორტყმულ ბანაკ-  
 ში. ოფიცრები გადაიყვანეს ბრიტანელების მიერ დაკავებულ  
 პატარა ქალაქში და მშვენიერ საერთო საცხოვრებელში  
 დააბინავეს. ბრიტანელი ოფიცრები კარგი მასპინძლები გა-  
 მოდგნენ, ქართველ ოფიცრებს ჩინებულ კერძებზე ინვევ-  
 დნენ და სასმელსაც სთავაზობდნენ. მეგობრული გარემო სუ-

<sup>1</sup> დიმიტრი ახსენებს ორ ინგლისელ ტურისტ ქალბატონს, ვისაც უყვარდათ იტალია და ომის პერიოდში როგორღაც მოახერხეს შორიახლოს პატარა ქალაქში დასახლება. ქართველებსაც დაუმეგობრდნენ. ინგლისელი ოფიცრებისათვის გამართულ წვეუ-  
 ლებაზე ეს ქალბატონებიც მიიწვიეს. მათ ინგლისელების ნახვით გაიხარეს და უამბეს თანამემამულეებს, რა კარგად ექცეოდნენ ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც წამ-  
 დვილი ჯენტლმენები იყვნენ. კარგი დახასიათება ქართველებს წაადგებოდათ. მათ უჩვეულო და უზერხული წარსული ალბათ ძნელი გასაგები და მისაღები იქნებოდა ინგლისელი ოფიცრებისათვის.

თუმც ის კი გაირკვა, რომ ქართველები ინგლისელებისადმი მეგობრულად იყვნენ განწყობილი. სუფრასთან ინგლისელი მეთაური ფეხზე ადგა და ქართველების მო-  
 მავალი აღდგერძელა. თქვა, მე არ ვიცი, რა ელის ჩვენს სტუმრებს, მაგრამ მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და თუ საჭირო გახდა, სიტყვასაც შევანევო. მეთა-  
 ურმა დასძინა, ეს საქმე ჩემზე არ არის დამოკიდებული. ნულუკიძეს და დიმიტრის ურჩია, ბრიტანეთის ბრინჯადის მეთაური ენახათ. ისინიც მაშინვე წავიდნენ, მაგრამ ვერ იპოვნეს. ფერნიში დაბრუნებულებს ბრიტანეთის ბატალიონიც წასული დახვდათ, მაგრამ ინგლისური ბატალიონის მეთაურს პოლკოვნიკ ნულუკიძისათვის დაეტო-  
 ვებინა სარეკომენდაციო ბარათი, სადაც ის აქებდა ქართველ ჯარისკაცებს და ხაზგასმით აღნიშნავდა მათ ანტიკომუნისტურ განწყობილებას და გულთბილობას დასავლელი მეკავშირეებისადმი. დიმიტრი მიხვდა, რომ ეს წერილი და იტალიის ეროვნულ პარტიზანთა ფურცელი ქართველებს შემდგომში წაადგებოდათ.

ფევდა და როცა ქართველებს ახალშეძენილ ბრიტანულ გობრებთან გამომშვიდობების დრო დაუდგათ, ყველას გული აუჩუყდა. ქართველი ოფიცრები ქალაქ იუდინში გადაიყვანეს, სამხედრო ტყვეთა ბანაკში, სადაც თავიანთი „პოლკის“ ჯარისკაცებს შეუერთდნენ. ქართველებს იარაღი უნდა გადაეცათ სამხედრო ტყვეთა ბანაკის ხელმძღვანელებისათვის. იუდინიდან ქართველები ფორლში გადაიყვანეს. იქიდან სამოქალაქო პირები, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, რომში გაგზავნეს, ჯარისკაცები კი ჩივოკალას ბანაკში. სამასორმოცდაათი კაცი, ვინც იტალიელი კომუნისტი პარტიზანების მხარეს გადავიდა, საბჭოთა სარეპატრიაციო ბანაკში გადაიყვანეს, დანარჩენები, გ. ლოლუასა და მისი ოცდაჩვიდმეტკაციანი ჯგუფის ჩათვლით, ინგლისელების სამხედრო ტყვეთა ბანაკში დარჩნენ, რადგან საბჭოთა ბანაკში წასვლაზე უარი თქვეს.<sup>1</sup>

მერე დაიწყო ქართველების გაუთავებელი გადაყვან-გადმოყვანა სამხედრო ტყვეთა ერთი ბანაკიდან მეორეში. პირობები ამ ბანაკებში ხან „დამაკმაყოფილებელი“ ან „კარგი“ იყო, ხან „ცუდი“. როგორც ჩანს, ამას განაპირობებდა, თუ როგორ იყენებდა ინგლისელი კომენდანტი მის ხელთ არსებულ რესურსებს.

დიმიტრი შალიკაშვილს ერთი წელი დასჭირდა, რომ დემობილიზაცია მიეღო და ოჯახს დაბრუნებოდა პაპენჰეიმში—ბავარიისში. მან ყველაფერი გააკეთა თავისი მისიის შესასრულებლად და იტალიაში ქართველი ჯარისკაცების დასახმარებლად, ვინც რეპატრაცია ისურვა ან არ ისურვა; ფაქტიურად, ჯარისკაცები ერთმანეთს გულთბილად ექცეოდნენ. თუ სადმე გამონაკლისი იყო, ეს არ ყოფილა ჩვეულებრივი მოვლენა.<sup>2</sup> სამშრობლოში დაბრუნებულებმა თვითონ მიიღეს ეს რთული გადანყვეტილება. ერთადერთი, რა-

<sup>1</sup> იხ. გ. ლოლუას წერილობითი მოხსენება რუკასთან ერთად. ინახება ავტორის არქივში.

<sup>2</sup> იხ. დ. შალიკაშვილისა და გ. ლოლუას მოხსენებები ავტორის არქივში. „დიმიტრის“ ინგლისურ სამხედრო ტყვეთა ბანაკში ყველა ქართველი ერთ დღეს გაათავისუფლეს. ისინი მატარებლით გაემგზავრნენ. ჩასულებს რომის ქართული კოლონიის რამდენიმე წევრი დახვდათ. შემდეგ ისინი საერთაშორისო ორგანიზაციაში წაიყვანეს. აქ შეავსებინეს „გადაადგილებულ პირთა“ ცნობები. დაიწყო გრძელი, გაჭიანურებული პროცესი—ძიება ქვეყნისა, რომელიც ამ ხალხს მიიღებდა. სამხედრო ტყვეთა



საც მე პირადად ვფიქრობდი ამ ხალხზე-მათთვის უნდა მექმნა ლოცვა, ეს ნამდვილად სჭირდებოდათ. ვლოცულობდი იმაზეც, ვინც დასავლეთში ემიგრანტებად დარჩნენ. ამათაც ბევრი ხიფათი და სიძნელე ჰქონდათ გასავლელი.

სანამ იტალიაში მოვლენები ასე ვითარდებოდა, რა ხდებოდა დანიაში. იქიდან უმთავრესად ქართული ლეგიონის 799-ე ბატალიონზე მოდიოდა მოხსენებები. ეს ბატალიონი უნდა ყოფილიყო ბირთვი კავკასიური პოლკისა, რომელიც იმხანად ჩამოყალიბდა დანიაში კაპიტნის კობიაშვილის მეთაურობით. კაპიტანი ბაქრაძე 799-ეს მეთაური იყო. მისი ბატალიონი დანიაში 1945 წლის თებერვლის ბოლოს ჩავიდა. პოლკი და-აცალკევებს და სანაპიროს დაცვის ძალებს შეუერთეს. საბედნიეროდ, მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ბრძოლებში და-სავლელ მეკავშირეთა წინააღმდეგ.

მეტიც-ისინი მშვენივრად შეეგუენ ადგილობრივ მოსახლეობას და დანიის წინააღმდეგობის მოძრაობას. ომის ბოლოს დანიაში ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ შენა-ერთები ფეხით გადაიყვანა ჩრდილოეთ გერმანიაში, შლეზ-ვიგ-ჰოლსტეინში. 799-ე ბატალიონი პატარა ქალაქ მელდორ-ფში დააბინავეს. აქ ინგლისელებმა ლეგიონერთა ნახვის ნება დართეს საბჭოთა რეპატრიაციის ოფიცრებს. საბჭოელმა პრო-პაგანდისტებმა დაარწმუნეს ლეგიონერები, საბჭოთა სახელ-მწიფოში თუ დაბრუნდებით, არაფერს გავნებენ, პირიქით, ბრწყინვალე მომავალი გელითო. დედასამშობლო მოუთმენ-ლად ელოდა, როდის ჩაიკრავდა გულში უძღებ შვილებს. 799-ის ორმა ქართველმა ოფიცერმა და ერთმა სერუანტმაც მხარი აუბეს საბჭოთა პროპაგანდისტებს. 799-ის ლეგიონე-რების უმეტესმა ნაწილმა რეპატრიაცია გადაწყვიტა. ასოც-მა კაცმა დასავლეთში დარჩენა არჩია. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, დაბრუნებულთა შორის ბევრი ფიქრობდა, რეპატ-რიაცია მაინც არ აგვცდება და იქნებ ჯობია, საკუთარი სურვილით დავბრუნდეთო.

ახლა ინგლისელმა კომენდანტმა მიმართა დარჩენილებს და უთხრა, თქვენ გერმანიაში, სხვა ქალაქში გადაგიყვანენ,

ბანაკიდან დიმიტრისთან ერთად წამოსულ ქართველებს შორის იყვნენ: ნულუკიძე და მისი ვაჟი თემური, მრელაშვილი, მამალაძე, თუმანიშვილი და მისი ვაჟი, კოტე, ჭავჭავაძე, ანდრონიკაშვილი, ჯავახია, მენტუშაშვილი, შერვაშიძე, ექიმი კორძაია, ნ. ნაკაშიძე, ლორთქიფანიძე და მისი ვაჟი, ერიკი.



სადაც სამუშაოს იშოვნითო. გარდა ამისა, თავაზიანად სთხოვით, ერთი დღე იკმარეთ მოსამზადებლადო. ზოგიერთ ქართველს ეჭვი შეეპარა კომენდანტის გულწრფელობაში, მათ შორის იყვნენ კაპიტანი ბაქრაძე,<sup>1</sup> ლეიტენანტი კ. ს. და კ.ო., რომლებიც საერთო საცხოვრებლიდან გაიპარნენ და გერმანელებს შეერივნენ. დარჩენილებმა ვერ წარმოიდგინეს, რომ ინგლისელი ოფიცერი მოატყუებდათ. ლეიტენანტ კ.-ს არ სჯეროდა ინგლისელი ოფიცრისა, მაგრამ მატარებლით მაინც გაჰყვა. მატარებელი ავტომატებით შეიარაღებული ინგლისელი მცველებით იყო სავსე. ლეიტენანტმა კ.-მ შენიშნა, რომ ცოტა ხნის შემდეგ მატარებელმა აღმოსავლეთით გადაუხვია და ლიუბეკისაკენ აიღო გეზი. ამ ქალაქის ნახევარი საბჭოელებს ჰქონდათ დაკავებული. ლეიტენანტი გაქანებული მატარებლიდან ჩამოხტა. ინგლისელმა მცველებმა ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ უვნებელი გადარჩა. ლეიტენანტი კ.-ს აზრით, მცველებს არ უნდოდათ მისი მოკვლა და განგებ აცილებდნენ. ლეიტენანტმა ფეხი იტკინა, მაგრამ კოჭლობით მაინც დაბრუნდა უკან. მოქებნა რამდენიმე მეგობარი, ვინც მოახერხა დასავლეთში დარჩენა. ერთ-ერთი მათგანი იყო გერმანელი ოფიცერი, რომელმაც იშოვა გერმანელი ოფიცრის პირადობის მონემობა. კ.-მ ბოლოს ბავარიაში ჩააღწია და ქართველებს შეუერთდა. თავდაპირველად ექიმ მალალოვთან დარჩა, მერე მიუნხენში გადავიდა. ასევე მოიქცა ლეიტენანტი ს. იმ ლეგიონერთა უმეტესობამ, ვინც დასავლეთში დარჩენა გადაწყვიტა, ასე თუ ისე, მოახერხა კიდეც დარჩენა. არც ისე ძნელი იყო ინგლისელებისა და ამერიკელების სასხვათაშორისოდ დაცული სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან გამოღწევა. გარდა ამისა, ბევრი ინგლისელი და ამერიკელი სამხედრო თუ სამოქალაქო პირი, უმაღლეს ეშელონებშიც კი, მხარს არ უჭერდა იძულებით რეპატრიაციას. ისინი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ამ გზააბნეულ გადაადგილებულ პირებს. უმაღლეს ბრძანებებს უნდა დამორჩი-

<sup>1</sup> ბაქრაძე საიდუმლოდ გაუგზავნა წერილი ბატალიონის მოხალისეთა მეთაურს, რომ გავეგო, იმათაც მიიღეს თუ არა ამგვარი ბრძანება ინგლისელი მეთაურისაგან. უპასუხეს, არ მიგვიღიაო. ასე რომ, ბაქრაძეს კომენდანტისადმი უნდობლობის საფუძველი ჰქონდა. ბაქრაძე მიხვდა, რომ ბატალიონები გამოიყო იალტის შეთანხმებაში მოხსენებული იძულებითი რეპატრიანტების სიიდან და ინგლისელ კომენდანტს აღარ სჭირდებოდა მათი „გერმანიის სხვა ქალაქში“ (რაც ნიშნავდა საბჭოთა ზონას) გადაყვანა. შეთანხმების მიხედვით, კავკასიელები უნდა გადაეყვანათ.



ლებოდნენ, მაგრამ კაცთმოყვარეობის გამო უნდოდათ „ბკერ-  
დი აველოთ“ ამ ბრძანებებისათვის. ხან გადაკვრით სასარგებლოს „მიანიშნებდნენ“ სამხედრო ტყვეებს, ხან „ვერ  
ამჩნევდნენ“ მათ გაპარვას და ა.შ. ზოგიერთი ოფიციალუ-  
რად აცხადებდნენ პროტესტს ჟენევის შეთანხმების პრინცი-  
პების შეუსრულებლობის გამო ყოფილ საბჭოთა მოქალა-  
ქეებთან დაკავშირებით.<sup>1-2</sup> გადარჩენილი ლეგიონერები თუ  
სამოქალაქო პირები პოლიტიკურ ემიგრაციას შეუერთდნენ,  
დასავლეთში დამკვიდრდნენ, ოჯახები შექმნეს და მეგობრობაც  
არ შეუნწყვეტიათ.



დასავლელები თანდათან მიხვდნენ, რომ არ შეცვლილა  
ლენინისა და სტალინის მტრული გეგმები მათ მიმართ და  
სისასტიკე საკუთარი ხალხისადმი. გაფრხილება გაისმა უინ-  
სტონ ჩერჩილის მიერ ფულტონ-კოლეჯში წარმოთქმულ  
ცნობილ სიტყვაში. რასაკვირველია, მან ყოველთვის ყველა-  
ფერი იცოდა, მაგრამ დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო და  
ჯერ ომი უნდა მოეგო. დასავლეთის დემოკრატია დაამარცხა  
ერთი ბოროტება-ჰიტლერი, ახლა კი მეორე ბოროტების აგ-  
რესიისაგან უნდა დაეცვა საკუთარი თავი და თავისუფლება.  
ამგვარი დაცვის იარაღი გახლდათ მარშალის გეგმა, ტრუ-  
მენის დოქტრინა და ნატო. ველარაფერი უშველის რეპატრი-  
ანტ აღმოსავლელებს, რომლებიც ორ ბოროტებას-ჰიტლერ-  
სა და სტალინს -შორის აღმოჩნდნენ მომწყვდეულები, მაგ-  
რამ იქნებ მათ სიკვდილსა და გულაგებაში წამებას ამაოდ  
არ ჩაუვლია, რადგან ადამიანების ამ ტრაგედიამ განსაზ-  
ღვრა თავისუფალი სამყაროს დამოკიდებულება საბჭოთა  
სახელმწიფოს მიმართ და აშკარა გახადა ცვლილებების აუ-  
ცილებლობა. რაკი ეს პოლიტიკური გზებით შეუძლებელი  
გახდა, ერთადერთი გზა იყო შეიარაღებული აჯანყება. საბჭო-  
თა რუსეთიდან დევნილმა დისიდენტმა ა. სოლჟენიცინმა კი-  
დევე ერთხელ დაანახა მსოფლიოს საბჭოეთის სახე.

<sup>1</sup> ნიკოლაი ტოლსტოი, საიდუმლო დღაღი 1944-47, გვ.24, „ჩარლზ სკრიბნერ ენდ  
სანზ“, ნიუ იორკი, 1977

<sup>2</sup> გრაფი ნიკოლაი ტოლსტოი თავის დოკუმენტურ წიგნში ჩამოთვლის რამდენიმე  
ასეთ პიროვნებას: ინგლისელებს: ლორდ სელბორნს, სერ ჯეიმზ გრიგს, ფელდ-  
მარშალ ალექსანდრეს, გენერალ მონტგომერს, ამერიკელები თითქმის ყველანი ეწი-  
ნააღმებოდნენ იალტის ხელშეკრულების ამ პუნქტს. ოპოზიციის სათავეში იდგნენ  
დიპლომატები - ჯოზეფ ს. გრუ, რობერტ მერფი, ალექსანდრე კირკი და ჯარისკა-  
ციები დუაით ეიზენჰაუერი და ბედელ სმიტი.



ომის შემდეგ მე და კედიას მიმონერა გვექონდა. ის ცარიანში იყო, მე—ბავარიანში. ორივეს გვეჯეროდა, ატომური იარაღის არსებობის გამო არასოდეს გაჩაღდებოდა ომი დასავლეთის ძალებსა და სტალინის იმპერიას შორის. ისიც გვეჯეროდა, რომ იმპერიები ადამიანებს ჰგვანან: იბადებიან, იზრდებიან, ბერდებიან და ბოლოს კვდებიან. არც წითელი იმპერია იქნებოდა გამონაკლისი. დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჩვენ ამას ვერ მოვესწრებოდით. მაგრამ, როცა არ უნდა მომხდარიყო ეს, შეიძლებოდა, კატაკლიზმები მოჰყოლოდა. ამგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნიკური რესურსების გადასარჩენად კავკასიური ერებისათვის აუცილებელი იქნებოდა გაერთიანება. „კავკასიური ერთობა“ ძალზე ძნელი მისაღწევი კი იქნებოდა, მაგრამ ეს არ არის შეუძლებელი. ამისათვის საჭირო გახდებოდა განუწყვეტელი მზადება, რათა შანსი ხელიდან არ გაგეშვა. ამგვარი ერთიანობა არამც და არამც არ უნდა იყოს მიმართული ჩვენი მეზობლების ან რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. პატრიოტიზმი არ არის კანიბალური შოვინიზმი, რომელსაც მხოლოდ ნგრევისაკენ მიჰყავს ხალხი. კავკასიას სჭირდება, რომ იმპერიულ რუსეთს შეენაცვლოს ლიბერალურ-დემოკრატიული რუსეთი და უკრაინა. სჭირდება არამარტო ბაზრისათვის და სავაჭრო თანამშრომლობისათვის, არამედ პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის. მეორე მხრივ, კავკასია ამავე მიზეზით ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთისა და უკრაინისათვის და თუ რუსეთი პატივისცემით მოეკიდება კავკასიური ერების სუვერენიტეტს, მათი სახით ერთგულ, სამუდამო მეგობარსა და პარტნიორებს შეიძენს.

ისტორიამ დაადასტურა მზადყოფნა ამგვარი მეგობრობისათვის, როცა ქართველმა მეფეებმა XVIII საუკუნეებში ამ გზაზე გადადგეს ნაბიჯები. იგივე გააკეთა საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918-1921 წლებში. ორივე გულწრფელი მცდელობა დაასამარა რუსეთის სახელმწიფოს იმპერიალისტურმა გეგმებმა. კავკასიის ერთიანობის აუცილებლობის რწმენა შემორჩა კავკასიის პოლიტიკურ ემიგრაციასაც II მსოფლიო ომის წინ და შემდეგ. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ აზერბაჯანის დევნილი პრეზიდენტის, ე. ე. რასულ-ზადეს სიტყვები:

„აზერბაიჯანელების მეკავშირეები არიან ქართველები-ეს პოლიტიკურად მომნიფებული, უძველესი კულტურის ქვეყანა, რომელმაც რუსთაველის თხზულებით გაამდიდრა მსოფლიო ლიტერატურა; ჩრდილო კავკასია, რომლის ეროვნული გმირი, იმამ შამილი ოცდაათ წელზე მეტ ხანს აკავებდა რუსეთის შეიარაღებულ ჯარს; ეს სამი დიდი კავკასიური ერი ერთად გამოიბრძმედა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში და ერთმანეთის მეკავშირეები არიან 1943 წელს ბრიუსელში ხელმოწერილი კონფედერაციის პაქტის მიხედვით. კავკასიის მეოთხე ერი, სომხეთი, რომელიც ერთხანს მშვიდად იყო, არ შემოგვიერთდა. მათი ადგილი თავისუფალია და შეუძლიათ შემოგვიერთდნენ, როგორც კი ამისი სურვილი გაუჩნდებათ. ზემოთ ჩამოთვლილი კავკასიური ერები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი კარგი მომავალი დამოკიდებულია კონფედერაციის იდეის აღსრულებაზე.“<sup>1</sup>

II მსოფლიო ომის დროს კავკასიელებმა, სომხების ჩათვლით, სამაგალითო ერთიანობა შეძლეს თავიანთი ერების დასაცავად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამგვარი განწყობილება იჩენს თავს მომავალშიც, არამარტო საზღვარგარეთ, არამედ კავკასიაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

<sup>1</sup> მ.ე. რასულ-ზადე. Das Problem Azerbaijan, Verlag der Zeitschrift "Kurtulosch", ბერლინი-შარლოტენბურგი, 1938 (გერმანულ ენაზე).

## ჰილოგი

ჩემს მემუარებს დაპირებისამებრ მეორე მსოფლიო ომის დასასრულით „ესმება წერტილი“. მაღლი უფალს, ომში ცოცხალი რომ გადამარჩინა, თუმცა პირველად ცხოვრება ნამდვილად აუტანელი მეჩვენებოდა. ამის მიზეზი იყო ტკივილიანი შეგნება იმისა, რომ ჩემი ნაცნობი ბევრი ლეგიონერი ბრძოლაში დაეცა ან რეპატრირებული ბოლშევიკურმა იმპერიამ განიკითხა. ლეგიონერების სპიკერად ამირჩიეს და მეც მთელი გულმოდგინებით ვემსახურებოდი ამ საქმეს. ომის შემდგომაც კი ვცდილობდი კონტაქტი დამემყარებინა მათთან, ვინც დარჩა დასავლეთში და ზოგი მათგანი მოვინახულე კიდევაც. ასევე, კავშირი არ გამინწყვეტია იმ პირებთან, ვინც, ჩემსავით, ქართულ სამეკავშირეო შტაბში მსახურობდა.

ჩვენი სამსახური სახელის მომტანი საქმე არ ყოფილა. ეს იყო მისია, დავალება. მაგრამ საერთო აზრით რამდენიმე ღირსეულ საქმეს მოვაბით თავი. ბევრ სამხედრო ტყვეს, სამოქალაქო პირს, ემიგრანტს და ლეგიონერს გავუწიეთ დახმარება, ბევრის სიცოცხლაც გადავარჩინეთ. ამის მაგალითები იყვნენ ქართველები იტალიასა და დანიაში, ცოტათი ადრე კი საფრანგეთსა და ყირიმში. განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით გვავესებდა მაღალი შეფასების წერილები საფრანგეთის რამდენიმე ებრაული ორგანიზაციიდან და პერსონალური წერილები ისრაელიდან.<sup>1</sup>

ხსენებული საქმეების განხორციელება სიცოცხლეს გვიხალისებდა და მწუხარებას გვიმსუბუქებდა. მე მოვახერხე დამე-

<sup>1</sup> ასლები შეტანილია „დამატებებში“.



კავებინა ქირურგის თანაშემწის ადგილი ქალაქ ლაუინგენის საგარეუბნო საავადმყოფოში, მდინარე დანიუბზე. თავდაპირველად ხელფასს არ ვიღებდი, რადგანაც ჯერ პრაქტიკა უნდა გამეწყო სპეციალობაში სერტიფიკაციისთვის, თანაც გარეუბანიც ღარიბი იყო. სამწუხაროდ, მე კიდევ უფრო ღარიბი გახლდით. ომი რომ დამთავრდა, მთელ ჩემს ავლადიდებას შეადგენდა ხუთასი გერმანული მარკა, ორი სამხედრო ფორმა და შესაბამისი რაოდენობის სამხედრო აღჭურვილობა, ამას ემატებოდა სამედიცინო განათლება და დონკიხოტური სიამაყე. ჩემი მეუღლე ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი იყო მიუნხენში და სამუშაოს შოვნა არ შეეძლო.

იმ დროს ჯონი ფონ ჰერვართი ბავარიის მთავრობას ქვეყნის აღდგენაში ეხმარებოდა. მან ჩვენი ერთგული მეგობრების რაიხდიულერისა და უნგერმანისაგან შეიტყო ჩემი მდგომარეობის შესახებ. ჯონი უმაღლვე საქმეს შეუდგა, როგორც სჩვეოდა და ოფიციალური წერილი მისწერა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს ჩემს შესახებ. ერთი-ორი თვის შემდეგ შემატყობინეს, რომ ჩემი მდგომარეობა ქირურგის ხელფასიანი თანაშემწის სტატუსით შეიცვალა. ეს არ მოხდებოდა, რომ არა მინისტრ ლუდვიგ ერჰარდის ახალი ფულადი პოლისი, რამაც საოცრება მოახდინა დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაში და ასეთივე გავლენა იქონია გაბლიანის ოჯახის მდგომარეობაზე. რუსებს სწორად აქვთ ნათქვამი, ას რუბლს ასი მეგობარი გერჩივნოსო.

ჩემი მთავარი ქირურგი, დოქტორი კ. ფონ ჰოეზლინი მართო ბრწყინვალე ქირურგი და მასწავლებელი როდი იყო, იგი ნამდვილი ჯენტლმენიც გახლდათ. მრავალმხრივი ცოდნა ჰქონდა, დიდი გულისხმიერებით მასწავლიდა ქირურგობას. ამ სამნახევარი წლის ქირურგიული რეზიდენტობის შემდეგად მეც დავოსტატდი, „შეგუებისა“ და „ორიენტირების“ პერიოდის მერე თავისუფლად ამოვისუნთქე. ძალიან გამახარა იმის აღმოჩენამ, რომ თბილისის სამედიცინო სკოლაში მიღებული განათლება შესანიშნავად გამომადგა. ეს იყო დამსახურება ჩვენი ბრწყინვალე პროფესორებისა, რომლებიც შემზღლუდავი პოლიტიკური სისტემის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ თავიანთი ცოდნისა და სამედიცინო ეთიკის გადაცემას სტუდენტებისათვის, ლაუინგენში სამწლიანხევრის პრაქტიკის შემდეგ, პროფესორმა ო. ჰენინგმა თავის თანაშემწედ დამნიშნა სამონაზვნო საავადმყოფოს ქირურგიულ

და უროლოგიურ განყოფილებებში—აუგსბურგში, ბავარი-  
ში და მეც იმედით აღვსილმა, დამატებითი განსრა შევმატე  
ჩემს ქირურგიულ პრაქტიკას.

პროფესორი ჰენინგი ხსენებული ქირურგიული და ურო-  
ლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი იყო და უკვე  
ჰყავდა ორი თანაშემწე. პროფესორმა მითხრა, რომ ხელფასს  
უშუალოდ საკუთარი შემოსავლიდან გადამიხდიდა. საავად-  
მყოფოსთან ახლოს ჰენინგს ჰქონდა კერძო კლინიკა, უმეტე-  
სად გარეშე პაციენტების გამოკვლევისა და მკურნალობისათ-  
ვის.

აუგსბურგში გადმოსვლამდე, ჰენინგი ათი წლის განმავ-  
ლობაში მუშაობდა კარგად ცნობილ ქირურგთან, პროფე-  
სორ ვოლკელთან, ჰალეს უნივერსიტეტში (ლაიპციგის ახლოს),  
როგორც მთავარი თანაშემწე. მაგრამ, მისი პოლიტიკური  
შეხედულებები არ ემთხვეოდა ნაცისტებისას და ამიტომაც  
ლაპარაკიც ზედმეტი იყო ჰალეს უნივერსიტეტში მის პრო-  
ფესორად დანიშვნაზე. მაშინ იგი გადმოვიდა აუგსბურგში,  
აქ დაიწყო მომგებიანი ქირურგიული და უროლოგიური პრაქ-  
ტიკა, შემოიკრიბა ახალგაზრდა ექიმები ირგვლივ მდებარე  
რეგიონებიდან. ომის შემდგომ მიიღო პროფესორობა. მიწ-  
ვევით კითხულობდა ლექციებს მიუნხენის უნივერსიტეტში.  
მან აგრეთვე, ხელი შეუწყო აუგსბურგის საბუნებისმეტყვე-  
ლო მეცნიერებათა მუზეუმის შექმნას. განსაკუთრებით მოს-  
წონდა ორნიტოლოგია და მშვენივრად ბაძავდა ჩიტებს, მი-  
სი ასისტენტები ცდილობდნენ ზუსტად ამოეცნოთ იმ ჩიტის  
დამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც მათი პროფესორი ბაძავ-  
და იმ დღეს. იგი აფინანსებდა და ხელს უწყობდა მუსიკა-  
ლური ხელოვნების განვითარებას. არაჩვეულებრივი ჰუმან-  
იტარი და ხელოვანი ქირურგი იყო.

აუგსბურგი ლამაზი, ისტორიული ქალაქია. იგი რომაე-  
ლებმა კოლონიად დაარსეს ძვ. წ. აღ. XV საუკუნეში. სულ  
რალაც ორმოცი მილითაა მიუნხენის ჩრდილოეთით და  
მიუხედავად იმისა, რომ გვარიანად დაზიანდა II მსოფლიო  
ომის დროს, მაინც შეინარჩუნა ფუნქციაც და გარეგნული  
იერსახეც. ეს ქალაქი სრული უფლებით ატარებს კულტუ-  
რული და ინდუსტრიული ცენტრის სახელს. ბიზნესის  
სახლების დამაარსებლები არიან ფუგერისა და უელსის  
ოჯახები. XVI საუკუნეში თავისი ხალხისათვის აგებული ად-  
რეული ჰუმანიტარული და სოციალური სანარმო—გაჭირ-



ვებულთა თავშესაფარი კარგად ჩანს ფუგერების სახლიდან. თავშესაფარი უფასო იყო, თუმცა შეიძლებოდა ნომინალური ფასის მიღება მათგან, ვისაც საშუალება ქონდა. პროფესორ ჰენიგის იქ ყოფნაში წილად მხვდა სიამოვნება მეზრუნა ერთ-ერთ მის პაციენტზე—ფუგერების შთამომავალზე. თვითონ ორთოპედი ქირურგი თავმდაბალი და კეთილშობილი ჯენტლმენი იყო. ჰენიგის მდივანი და ცოტა მეტად მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ და მრავალი მოვალეობაც ეკისრებოდა. იგი განაგებდა პროფესორის განრიგს, პაციენტთა საქმეებს, აგვარებდა სოციალურ საკითხებს, და იმასაც კი, რომ პროფესორს ჭამაც არ დაავინწყოდა. იგი ინერდა პროფესორის ნაკარნახევს, ინახავდა პაციენტების თეთრეულს და ა.შ. და რალა გასაკვირია, რომ გამუდმებით ჩქარობდა. ერთხელ, შუადღისას, მოვიდა და მითხრა: „პროფესორი და მისის ჰენიგი თქვენ და თქვენს მეუღლეს კალმახზე გეპატიჟებიან დღეს საღამოს 7 საათისათვისო. კალმახზე კი არა, კამერული მუსიკის კონცერტზე გვეპატიჟებოდნენ—შუბერტის შედევის—„კალმახების“ მოსასმენად. ასე რომ, მე და ჩემი მეუღლე მშვიდნი ვისხედით, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვისმენდით საუკეთესო კონცერტს. საბედნიეროდ კონცერტის შემდეგ გაიმართა მონაწილეთა მიღება, რომლის დროსაც საუზმეც მოიტანეს.

პროფესორ ჰენიგის პაციენტებს შორის იყვნენ ამერიკელებიც, ერთ-ერთი იყო ჰუგო ბეკერი, თეოლოგიის დოქტორი, წარმოშობით ნიუ-იორკიდან, ამჟამად ევროპის დახმარების ორგანიზაციის ერთ-ერთი დირექტორი. ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში, დოქტორ ბეკერი წარმოადგენდა მსოფლიო საეკლესიო სამსახურს. იგი განაგებდა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემას. ამერიკის რეგიონალურ საავადმყოფოს არ ჰყავდა პროფესორ ჰენიგის დონის ექსპერტი. სწორედ ეს იყო მისი აქ გადმოგზავნის მიზეზი.<sup>1</sup>

დოქტორი ბეკერი, ოპერაციის შემდგომ პერიოდში ჰოსპიტლის ბაღში სეირნობდა ხოლმე. ხანდახან მასთან ერთად დასეირნობდნენ პროფესორი ჰენიგი და მისი ასისტენტებიც.

<sup>1</sup> მეორე მნიშვნელოვანი პირი, ვინც ჰენიგს მიმართა, იყო რობერტ ჯექსონის—ნიურნბერგში მთავარი ამერიკელი პროკურორის მეუღლე. შემდგომში მისის ჰენიგმა, მადლიერების ნიშნად, მისის ჯექსონისაგან საჩუქრად მიიღო მშვენიერი ცხენი „ჯინი“ მისის ჰენიგი, ჩემი არ იყოს, ცხენოსნობის მოყვარული იყო, პროფესორი ჰენიგი კი არა. ამიტომ მე წილად მხვდა ბედნიერება მისის ჰენიგის ცხენოსანთა გუნდში მეწვლო აუგსბურგში სასიამოვნო იყო ცოცხალი, მშვენიერი ცხოველის ყურება, რომელსაც ყოჩაღად ატარებდა მისის ჰენიგი.

დოქტორს ბეკერს, გვარის მიხედვით, შეცდომით იტალიელი ვეგონე და მკითხა—რას ვაკეთებდი აუგსბურგში? სხვაგანა აღარ მქონდა—ლექცია ნავუკითხე საქართველოს შესახებ. ეტყობოდა, ჩვენი პრობლემა ესმოდა და ცოტა ეფიქრა კიდევ მასზე. შემდეგი შეხვედრისას ჩვენი წინა საუბარი გაიხსენა და მირჩია აშშ-ში ემიგრაცია. მითხრა, რომ შეერთებულ შტატებში დიდი შესაძლებლობებია დახელოვნებული ექიმებისათვის, ვისაც გულმოდგინე მუშაობის ძალა შესწევსო. ისიც მითხრა, პროფესორ ჰენიგს უთქვამს—„მეტიც შეუძლიაო“. მერე ლაპარაკი განაგრძო და აღნიშნა, რომ ოთხ ზონად დაყოფილ გერმანიაში ვითარება გაურკვეველი ჩანს, განსაკუთრებით ლტოლვილებისათვის, როგორებიც ვიყავით მე და ჩემი მეუღლე. დოქტორ ბეკერმა მითხრა, რომ სიამოვნებით დამეხმარებოდა აშშ-ში ემიგრაციაზე, თუ რა თქმა უნდა ამას ვისურვებდით. მე და ჩემი ცოლი ამაზე ადრეც ვფიქრობდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს საქმე არც ისე იოლი გვეჩვენებოდა. ჯერ ერთი, კარგად ვიყავით მოწყობილი აუგსბურგში, გვიყვარდა ეს ქალაქი და კარგ ხალხთანაც ვმეგობრობდით. ჰენიგთან თანამშრომლობა საინტერესო და დიდი გამოცდილების მომცემი იყო. მე ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მას უკვე დაკავებული ვყავდი შედარებით ადვილ, მაგრამ საინტერესო კვლევით პროექტზე და ხელმძღვანელობას მიწევდა ისევე, როგორც მისი გერმანელი კოლეგები. მან წარმადგინა რეგიონალურ სამედიცინო გაერთიანებაში. მიუხეხენი, სადაც იყო თავშეყრილი კავკასიელ ლტოლვილთა დიდი ნაწილი, სულ ახლოსაა აუგსბურგთან. იქიდან ბევრი მეგობარი ჩამოდიოდა ჩვენთან და პირიქით. ამას გარდა, ჩვენი გერმანელი მეგობრები, როგორებიც იყვნენ ჰერვართი, უნგერმანი, რაისმიულერი, გენერალი კიოსტრინგი, პროფესორი დოქტორ თეოდორ ობერლენდერი და სხვები, ბავარიაში იყვნენ. ობერლენდერს საშუალება ჰქონდა ნავეყვანეთ ხოლმე აუგსბურგში, სადაც იგი თავის ოჯახთან ერთად დასახლდა. ომის შემდგომ<sup>1</sup> იგი ბავარიის მთავრობამ დანიშნა „მშობლიური ადგილებიდან ადგილნაცვალ პირთა საქმეების სახელმწიფო მდივნად.“ თვითონ აღმოსავლეთ გერმანიიდან ლტოლვილს მოწყობილი

<sup>1</sup> იხილეთ წინა თავები ობერლენდერის შესახებ.



ჰქონდა პატარა, მაგრამ კომფორტული სახლები აუგსბურგის გარეუბანში, ძირითადად გერმანელი ლტოლვილები იყვნენ. მე და ჩემს მეუღლეს შეგვეძლო დაგვეკავებინა ერთ-ერთი სახლი აუგსბურგში გადასვლის შემდეგ, თუ კი ჰენიგი წარმადგენდა, როგორც თავის ასისტენტს. ობერლენდერი იცნობდა ჰენიგს და ჩემი თავიც გააცნო მას.

ჩვენი სახლი იყო კოხტა შენობა აუგსბურგის ლამაზ გარეუბარში. კარის მეზობლები იყვნენ: პროფესორი, დოქტორი ობერლენდერი თავის ოჯახთან და სიდედრ-სიმამრთან ერთად; პროფესორი, დოქტორი ჰანს რაუპახი ოჯახთან ერთად და კიდევ რამდენიმე სხვა; ჩვენი ოჯახები კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს და ძალიან მსიამოვნებდა ექიმების წარდგენა ჩვენს მეგობრებთან, აუგსბურგში. მე უკვე გავიარე პრაქტიკა ქირურგის სპეციალობით, ჩემმა ცოლმა მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის წოდება ეკონომიკაში მიუნხენის უნივერსიტეტში. ყოველივე ზემოთქმულის გამო, აზრი არ ჰქონდა ევროპის დატოვებას და გადასახლებას „ახალ სამყაროში“, რომელიც ჯერ არც გვეჩანა. მაგრამ მეორე მხრივ, ამერიკა უფრო სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს პირდებოდა ჩვენნაირ პოლიტიკურ დევნილებს და ეს მართლაც ასე იყო, განსაკუთრებით გერმანიასთან შედარებით, რომელიც დაყოფილი იყო ოთხ საოკუპაციო ზონად, ამ ოთხიდან კი ერთი—საბჭოეთის მფლობელობაში—პოტენციურ საშიშროებას უქმნიდა დანარჩენ ზონებს. ჩვენ მეტისმეტად ცოტა ვიცოდით თავისუფლების შესახებ და გვინდოდა, ჩვენს შვილებს მაინც ეგემათ იგი.

დოქტორ ბეკერს ვაცნობეთ ჩვენი გადაწყვეტილება თუკი მიგვიღებენ ამერიკაში ემიგრაციის შესახებ. ასე რომ, მან გადადგა პირველი ნაბიჯები ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებით დაწყებული უსაფრთხოებისა და აშშ-ში სპონსორის, სამუშაოს, თავშესაფრის მოძებნითა და ახალ ქვეყანაში ცხოვრების დაწყებით დამთავრებული. დოქტორ ბეკერმა გაიგო, რომ ელინოისში იყო ერთი პატარა ქალაქი, სადაც ადგილობრივი ექიმი გარდაცვლილიყო და მის შემცვლელს ეძებდნენ. სხვათაშორის, ამერიკის სოფლებში ექიმების ნაკლებობა შეიმჩნეოდა, რადგანაც მათი უმრავლეს-

<sup>1</sup> იხილეთ დამატებაში თავები კავკასია და „ბერგმანი“ რაუპახზე, აგრეთვე, რაუპახი კედის შესახებ.



სობა უფრო დიდ, ქალაქებში არჩევდა პრაქტიკას. დოქტორმა ბეკერმა გვითხრა, რომ ამერიკული მედიცინა სულ უფრო და უფრო სპეციალურ, ვინრო ორიენტირებს ირჩევს. ფაქტიურად, ბევრი უკვე ჩამოყალიბებული ექიმი სპეციალობაში დახელოვნებას ცდილობს. მანვე მითხრა, რომ ექიმს, რომელსაც პრაქტიკა აქვს ქალაქში, საიდანაც შეიძლება მანქანით მიაღწიოს ქალაქის საავადმყოფოს, შეუძლია თავისი პაციენტი დაანვინოს იქ, მომვლელ ექიმად დარჩეს, თუ კვალიფიცირებული სპეციალისტია, დაშვებულია შტატში და საკრედიტოები წესრიგში აქვს. ეს სრულიად განსხვავებული რამ იყო ევროპული სისტემისაგან. დოქტორ ბეკერს არანაირი სერიოზული პრობლემა არ ეგულებოდა ჩემთვის ამერიკაში, რადგან დახელოვნებულ ექიმად და ინგლისურის კარგ მცოდნედ მივაჩნდი.

არ ვიცი რამდენად კარგად შემეძლო ლაპარაკი, თუმცა ინგლისურის სწავლა დავინწყეთ ომის დამთავრებისთანავე და ახლაც, აუგსბურგშიც ვაგრძელებდით მცოდნე მასწავლებელთან, მისის სტელცენმიულერთან მეცადინეობას.

იგი ამერიკიდან იყო ჩამოსული, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოლად გაჰყოლია გერმანელს და გერმანიაში დარჩენილა. ნამდვილად ღირსეული პიროვნება იყო, პატიოსანი და ორივე ქვეყანა გულწრფელად უყვარდა—ამერიკაც და გერმანიაც.

იგი მხოლოდ ენას როდი გვასწავლიდა, გვიხსნიდა თუ როგორ უნდა წარმოგვედგინა ამერიკა რეალურად. მაგალითად, გვეტყოდა ხოლმე: „ამერიკელები შეგუების მოყვარე არიან“, ან „ამერიკელები ამბობენ, დრო ფულიაო“. „თუ ამერიკაში გთხოვს გამოგვიარეთ და გვინახულეთო, დრო არ დააზუსტებინოთ, რადგანაც სინამდვილეში ამას არ გულისხმობენ. ეს უბრალო თავაზიანობაა“. ეს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მომზადებული. 1950 წლის მარტის ბოლოს საემიგრაციო სამსახურიდან გვაცნობეს, რომ ჩავაბარეთ ყველა გამოცდა, უსაფრთხოების გაცხრილვაც გავიარეთ და სპონსორებიც გვყავდა ილინოისის შტატიდან—ბოუენის საზოგადოებიდან. გაორებული გრძნობებით დავემშვიდობეთ ნათესავეებსა თუ მეგობრებს, ზოგი მათგანი გერმანიაში რჩებოდა, ზოგიც—საფრანგეთში. ბრემენის საზღვაო პორტში ჩავსხედით

ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო გემ „გენერალ ბლექ-  
ჩფორდ“-ში და გავნიეთ ნიუ-იორკისაკენ.

ატლანტის ოკეანე მძვინვარებდა, თითქმის მთელი მგზავ-  
რობის განმავლობაში უზარმაზარი ტალღები ებრძოდა  
დარჩეს ეხეთქებოდა ერთმანეთს. მგზავრთა უმეტესობა ზღვის  
ავადმყოფობით იტანჯებოდა. ხმა გავრცელდა, ვერც კაპი-  
ტანი ვერც გემის ქირურგი გრძნობს თავს კარგადო. რუსუ-  
დანი თავს იმხნეებდა, ზემო გემბანზე დადიოდა და დრამა-  
მინს ლებულობდა. მგზავრებს შორის თუ ვინმე ექიმი იმყო-  
ფებოდა, ყველას საშველად უხმეს. რამდენიმე მგზავრისათ-  
ვის აუცილებელი გახდა ვენიდან კვება. საბედნიეროდ, მე  
ცუდად არ გავმხდარვარ, მადაც კარგი მქონდა და მუშაობასაც  
ვცდილობდი. (ამის გამო შეერთებული შტატების სამხედრო  
ძალებისაგან ქებაც დავიმსახურე). ნიუორკში გემიდან ჩა-  
მოსვლისას ეტყობა მოლუშული სახე მქონდა. ალბათ ამი-  
ტომ იყო, რომ მეზღვაურები, რომლებსაც დავუშეგობრდი,  
მომძახოდნენ: ეჰეი, ექიმო, ნუ დარდობთ—ფული იშოვეთ და  
ევროპაში დავბრუნდეთ.

საბაჟოზე ფულის გადახდის შემდეგ, გადასახადს იღებდნენ  
ნარკოტიკებზე. მე კი თან საოჯახო პირადი დახმარების ყუ-  
თი მქონდა. დაგვხვდნენ და აეროპორტამდე მიგვიყვანეს სა-  
ოცრად მეგობრულად განწყობილმა ადამიანებმა მსოფლიო  
საეკლესიო სამსახურიდან. ჩიკაგოში გაფრენამდე მხოლოდ  
ორი საათი იყო დარჩენილი. ასე რომ, ნიუ-ორკი არც გვი-  
ნახავს, ის კი მოვახერხეთ, რომ ხანგრძლივი მზერა შევაკ-  
ლეთ დაუფინყარ თავისუფლების ქანდაკებას, ჩიკაგოსკენ რომ  
მოვფრინავდით ფანჯრებს ვიყავით მიკრული. ჩვენს ქვემოთ  
გადაშლილიყო უსაზღვრო და უზარმაზარი ქვეყანა მთებით,  
ტყეებითა და მინდვრებით, მოჩანდა ფერმის სახლები სილო-  
სის ორმოებით, ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული ქა-  
ლაქები. ეს ყოველივე საოცარ სანახაობას წარმოადგენდა  
ევროპიდან ახლადჩამოსულთათვის. ეს იყო ჩვენი პირველი  
და მნიშვნელოვანი გაკვეთილი ამერიკის შესახებ. მერე რო-  
გორი ყურადღებიანი, დახმარებისათვის მზადყოფი და მე-  
გობრულად განწყობილი იყვნენ კაპიტანიცა და სტიუარდე-  
სებიც. ჩიკაგოში სხვა თვითმფრინავში გადავსხედით და ქუ-  
ინსისკენ გავფრინდით. ილინოისში ჩასვლისას დაგვხვდნენ

ბაუენის მიმღები კომიტეტიდან „მომავალ ექიმს“  
მეუღლეს ელოდენ.

ერთმანეთს გულთბილად შევეგებეთ. მიმღები კომისიის წევრები იყვნენ: ბატონი და ქალბატონი ჰარი, ეტელ შერიკი და ანიტა, მათი რძალი (რომელმაც ფოტოები გადაგვიღო), ჰარი ქორსი და როლი დიტმერი. როგორც გვითხრეს, „ექიმთა კომიტეტს“ ფართო მხარდაჭერა ჰქონდა ბაუენსა და მიმღებარე ქალაქებში. ისინი თურმე სამი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ექიმის პოვნას, მაგრამ ამაოდ. სხვა ორგანიზაციები ძალიან ცდილობდნენ გაეტანათ თავიანთი პროექტი და მოენახათ მედიცინის დოქტორი, მაგრამ არ თანხმდებოდნენ. აეროპორტიდან ორმოცდახუთწუთიანი გასეირნება მოგვინწყევს შერიკის სახლამდე. ეს იყო მშვენივრად ნაგები ორსართულიანი კომფორული სახლი, სადაც ეტელი და ჰარი ცხოვრობდნენ. სულ ახლოს, რამდენიმე სახლის დაშორებით, ცხოვრობდა მათი ერთადერთი ვაჟი, ნილი, კოლეჯის კურსდამთავრებული, თავის ცოლ ანიტასთან და თინეიჯერ ქალიშვილებთან, სანდრასთან და ჯეისთან ერთად. მათ, აგრეთვე ჰყავდათ სამი თუ ოთხი წლის ბიჭუნა სახელად ჯონი. დროებით შერიკების სახლში უნდა დავბინავებულიყავით, სანამ საექიმო დახელოვნების პრაქტიკის პრობლემები მონესრიგდებოდა. ნამდვილად ზეციური სიმშვიდე იდგა მათ სახლში, რომელიც გარშემორტყმული იყო უზარმაზარი ფერმის მიწებით, ახალი სილოსის ორმოთი. ბელლითა და საქონლის შემოსაკავებელი ღობით. მე და რუსუდანს, მგზავრობიდან დაღლილებს, ოცდაოთხი საათი გვეძინა ზემოთ, სანოლ ოთახში. ორიოდღე დღის შემდეგ დაგვპატიჟეს ბოუენის მეთოდისტურ ეკლესიაში დასასწრებად. იქ შევხვდით ალბერტ სონიუსსა და მის მეუღლეს—ძალზე თბილ და გულითად პიროვნებებს. ქადაგების დროს სონიუსმა ჩვენც მოგვისხენია და თქვა: „მადლობას გწირავთ, უფალო, გაბლიანისათვის“, რამაც თავი უკვე ამ მშვენიერი საზოგადოების ნაწილად გვაგრძნობინა. მსახურების შემდეგ სონიუსმა და შერიკებმა მრევლი გაგვაცნეს. მათ უამრავი კითხვა დაგვისვეს ომგამოვლილი ევროპის შესახებ და ჩვენც ვცდილობდით, რამდენადაც შეგვეძლო, ყველაფერზე გვეპასუხა, ჩემთვის და რუსუდანისათვის ცხადი გახდა, რომ ამერიკული ეკლესია არ იყო მხოლოდ ღვთისმსახურების ადგილი, ჩანდა, რომ

მას ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა საზოგადოების ზედა ფენის ცხოვრებაზე. ეს უპირატესად გამოიხატებოდა ამერიკის ადრეული მოსახლეობის ტრადიციების დაცვით, რომლებსაც ერთმანეთის და ღმერთის იმედი ჰქონდათ.

სამედიცინო პრაქტიკის გაშლა ბოუენში არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც თავიდან გვეგონა. მალე რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ გამოჩნდა: საჭირო იყო ილინოისის შტატის მიერ გაცემული „ექიმისა და ქირურგის“ ლიცენზია, ამისათვის უნდა გამეკეთებინა განცხადება შეერთებული შტატების მოქალაქედ გახდომის შესახებ. ასევე საჭირო იყო ილინოისის საავადმყოფოში ერთი წლის პერიოდული ინტერნობა. ამ ინტერნობის დასრულების შემდეგ, აუცილებელი იყო შტატის სამედიცინო სამსახურში გამოცდის გავლა, ვინც გამოცდაზე დაიშვებოდა, მას იმედიც ჰქონდა ჩაბარებისა, ზემოთხსენებულ გამოცდაზე დაშვებისათვის სამედიცინო სკოლა უნდა გქონოდა დამთავრებული, რომლის სახელიც შეტანილი იყო მმართველობის მიერ შედგენილ შერჩეული სკოლების სიაში. ამ ჩამონათვალის სიმრავლეში არანაირი ბრალი არ მიუძღოდა სალიცენზიო კომიტეტს. ყოველივე იმას ემსახურებოდა, რომ ხალხისათვის ნამდვილად კარგი ექიმი შეერჩიათ. მიუხედავად ამისა, „ბოუენის ექიმთა კომიტეტი“ შეშფოთებული იყო, რაკი ხვდებოდა, რომ მთელი ერთი წელიწადი მაინც დამჭირდებოდა საექიმო პრაქტიკის დასაწყებად—და ესეც იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი კარგად აენწყობოდა. მაგრამ ისინიც და მეც მონდომებული ვიყავით ყველაფერი გაგვეკეთებინა წესების დასაცავად.

1. უმაღლვე გავაკეთე დეკლარაცია აშშ-ის მოქალაქედ გახდომის შესახებ.

2. ქუინსის, ილინოისს ჰქონდა ორი ძალიან კარგი საავადმყოფო, ერთი მათგანი წმ. მერის სახელობისა, განკუთვნილი იყო პერიოდული ინტერნობისათვის. საბუთების წარდგენისა და ადმინისტრაციასთან სათანადო გასაუბრების შემდეგ, სამედიცინო კადრების შეფმა, განყოფილებების მეთაურებმა და საინტერნებო კომიტეტმა ნება დამრთეს ერთი წლით ინტერნობისათვის წმ. მერის საავადმყოფოში.

სასწრაფოდ ილინოისის დედაქალაქ სპრინგფილდში გავემურეთ რეგისტრაციისა და განათლების დეპარტამენტში გასაუბრებაზე და იქ შევხვდით სამედიცინო განყოფილების



მეტად უნარიან მეთვალყურეს, მისის ლუიზა პეტჩერს მან აგვიხსნა, რომ მმართველობა მხედველობაში იღებს და იწონებს ჩემს საბუთებს, მაგრამ არავის არასოდეს არაფერი სმენია საქართველოს, თბილისის სამედიცინო სკოლის შესახებ. იგი არც არის შეტანილი იმ სკოლების სიაში, რომელთა წარდგენაც დაშვებულია აქაურ გამოცდებზე. გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ, საბოლოოდ გვითხრეს, რომ თუ ამერიკის ერთ-ერთი სამედიცინო სკოლის დეკანი მისწერდა მათ, რომ თბილისის სამედიცინო სკოლა ამერიკის სამედიცინო სკოლების დონეს აკმაყოფილებს, მაშინ მმართველობა უფრო წარმატებით განიხილავს გამოცდებზე თქვენი დაშვების საკითხს.

4. ამგვარად მე და ჩემმა ცოლმა წერილები გაუგზავნეთ ამერიკის სამედიცინო სკოლებს რჩევისათვის, მაგრამ ვერანირად ვერ მივაგენით დეკანს, რომელსაც რამე ეცოდინებოდა თბილისის შესახებ.

ამასობაში ნმ. მერის საავადმყოფოში ჩემი ერთწლიანი ინტერნობაც დასასრულს მიუახლოვდა, მეტისმეტად დატვირთული წელი იყო როგორც ფიზიკურად ისე გონებრივად, ხანგრძლივი სამუშაო საათების, ღამ-ღამობით ხშირი სასწრაფო გამოძახებებისა და განუწყვეტელი უძილობის გამო. მეორე მხრივ, ეს წელი ნამდვილი ჯილდო იყო სამედიცინო და საექთნო კადრებთან დამეგობრების თვალსაზრისით. მე დიდ სიამოვნებას მგვრიდა მათი ნდობა და ნაწილობრივ პოპულარობაც მოვიპოვე. ნმ. მერის საავადმყოფოს მედიკოსები შეწუხებული იყვნენ იმის გამო, რომ შტატის მმართველობა შანსსაც კი არ მაძლევდა სამედიცინო გამომცდელთა გამოცდაზე გავსულიყავი და დამემტკიცებინა ჩემი ცოდნა. სწორედ მაშინ დოქტორი არტურ ბიტერი, რომელიც იმ დროს ინტერნობის კომიტეტს თავმჯდომარეობდა, საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლად აირჩიეს. მას უნდა გაეცნო ჩემი თავი სპეციალური ინტერვიუთი საგამოცდო კომისიისათვის. ექიმმა ა. ბიტერმა აღნიშნა, რომ იგი სიამოვნებით გააკეთებდა ამას და საქმესაც შეუდგა, ღამის მატარებელს გაჰყვა და ადრე დილით, ჩიკაგოში, მმართველობის შეხვედრაზე მოხსენება წარადგინა. შეხვედრას თავმჯდომარეობდა დოქტორი ედ ჰამილტონი—ორგანიზებული მეთვალყურის ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი. დოქტორ-

რი ა. ბიტერი წარდგა, როგორც საინტერნო კომიტეტის თავმჯდომარე, სამედიცინო პერსონალის სპიკერი და მკაფიოდ ითხოვა დაშვება შტატის სამედიცინო მმართველობის სალიცენზიო გამოცდებზე. მან აღნიშნა, რომ ეს თხოვნა ემყარება საავადმყოფოში ჩემს მუშაობაზე დაკვირვებას. ამის თაობაზე რამდენიმე დეტალიც გაიხსენა და განაცხადა, რომ წმ. მერის საავადმყოფოს მედიკოსთა ერთობლივი შეხედულებით, მე ვიყავი დახელოვნებული, გამოცდილი უნარიანი ექიმი - ქირურგი და რომ ჩემი ეთიკაც უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებდა (შეხვედრას მეც ვესწრებოდი, და საკმაოდ უხერხულად ვიგრძენი თავი). ჯენტლმენები საერთოდ თავაზიანად მოგვეპყრნენ, მაგრამ ამ საკითხზე, არაფერი უთქვამთ, აღარ ვიცოდით, რა გვეფიქრა, როგორი შთაბეჭდილება მოვახდინეთ—დადებითი თუ უარყოფითი. ინტერნობის დასრულების შემდეგ წმ. მერის საავადმყოფოს ადმინისტრაციამ და მედიკოსთა შემადგენლობამ შემომთავაზა საავადმყოფოში დავრჩენილიყავი, როგორც რეზიდენტი ექიმი, სანამ სალიცენზიო გამოცდაზე გასვლის ნებართვას მომცემდნენ. მეც დავეთანხმე.

სპრინგფილდში დაბრუნებულმა მისის ლ. ჰატჩეს ვკითხე, მმართველობის შეხვედრის შემდეგ მოსაზრება ხომ არ შეცვლილა ჩემი გამოცდებზე დაშვების შესახებ-მეთქი, მან მიპასუხა, არაფერი არ შეცვლილა. სახეზე ალბათ გაკვირვება შემატყო, ამიტომ მისთვის უჩვეულო თანაგრძნობით მითხრა, რომ მმართველობას დადებითი შთაბეჭდილება შეექმნა, მაგრამ ისინი მოვალენი არიან დაიცვან საგამოცდო წესებიო. ასე რომ, გამოცდებზე დაშვების შანსი არ მრჩებოდა. უკეთესი დოკუმენტაცია მჭირდებოდა ჩემი განათლების შესახებ. მისის ჰეტჩერს ვთხოვე, თავის ფაილებში ერთხელ კიდევ ჩემთან ერთად გადაეხადა ჩემი საბუთებისათვის. ავუსხენი, რომ თუ თბილისის უნივერსიტეტი მიუნხენის უნივერსიტეტის თანაბრად არ ჩაითვლებოდა, გამოცდებზე არ დამიშვებდნენ, (Masna Cum Taude), მაგრამ მომცემდნენ კი დიპლომს ნიშნით „კარგია?“ მისის ჰეტჩერი ცოტა ხანს დაფიქრდა და მითხრა, რომ ეს არის ლიცენზია პრაქტიკისათვის და არა დიპლომიო. მე კი მივუგე, რომ ეს იყო დიპლომი და რომ ჩვეულებრივ უნივერსიტეტები გასცემენ დიპლომს და არა ლიცენზიას. ჩემი დიპლომის ასლი, აგრეთვე, სერთიფი-

ცირებულია, როგორც ნამდვილი დოკუმენტი ნიუ-იორკში გერმანიის საკონსულოს მიერ. ვიგრძენი, რომ მისის პეტჩერი თანდათან უკეთ ერკვეოდა ამ კომპლექსურ სიტუაციაში, მაგრამ ეს გრძნობა უფრო წინასწარი გამოტირება იყო გამოცდებზე დაუშვებლობისა, მაშინ მივმართე ბოუენის ექიმ-თა კომიტეტს თხოვნით რაკი ასე ჭირდებოდათ მოეძებნათ სხვა ექიმი. პირველი რეაქცია ისეთი იყო, რომ არ სურდათ ჩემთვის „უარის თქმა“, მაგრამ ბოლოს კერძო ინტერესმა და საზოგადოების საჭიროებამ თავისი გაიტანა. მალე მათ მონახეს ექიმი-ემიგრანტი აღმოსავლეთ გერმანიიდან. თუმცა მეც და რუსუდანსაც განსაკუთრებული სითბო დაგვრჩა ბოუენის ხალხისადმი. იქაური მეგობრები სიცოცხლის ბოლომდე შევინარჩუნეთ, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ქუინსში მთავარი ქირურგი გავხდი, ზოგი მათგანი მოდიოდა ჩემთან პროფესიული რჩევის ან დახმარებისათვის და მეც ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა მათთვის დახმარების განევა.

მისის ლ. პეტჩერთან ბოლო შეხვედრის შემდეგ, ჩემს მეგობრებს ევროპის ქვეყნებში მივწერე და ვთხოვე მოეპოვებინათ ევროპელი სპეციალისტების და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების აზრი თბილისის სამედიცინო სკოლაზე. გარკვეული დრო გავიდა, სანამ ვინმე მიპასუხებდა, მაგრამ ბოლოს დადებითი შეხედულებებიც ჩამომივიდა; ყველაზე მეტად მასიამოვნა პასუხმა ინგლისიდან. მისტერ სუმბატოვს (სუმბათაშვილი) ჩვენი ოჯახის ძველ მეგობარ, რომელიც კარგა ხნის წინათ იყო დასახლებული ინგლისში. კავშირი ჰქონდა ოქსფორდის უნივერსიტეტთან. მისი თხოვნა თბილისის სამედიცინო სკოლის შესახებ აზრის გამოთქმის თაობაზე, უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. ოქსფორდის უნივერსიტეტის რეგისტრატორის მიერ გამოგზავნილ პასუხში ეწერა, რომ დოქტორ ჯონ ფ. ფულტონი (ფსიქოლოგიისა და მედიცინის ისტორიის პროფესორი) იულოს უნივერსიტეტთან ექსპერტად იყო დანიშნული თბილისის და საბჭოეთის სხვა სამედიცინო სასწავლებლებში. ოქსფორდის პასუხად პროფესორმა ფულტონმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა თბილისის სამედიცინო სკოლას.<sup>1</sup> მეორე კარგი შეფასება, უფრო სწორად, თბილისის უნივერსიტეტის ღრმა ანალიზი ეკუთვნოდა დოქ-

<sup>1</sup> ოქსფორდის რეგისტრაციის წერილი საუმბეტოვზე Esg. Ref. Gen. /5 19 წლის სექტემბერი საავტორო არქივები.



ტორ უოლტერუინერს, საზღვარგარეთის განათლების ნის  
ტემების მთავარი ოფისიდან. გაიტინგენი, 9.22.1951. უილსონი  
მპლატცი 1. უურნალი 2347151 № 1.

მე მივწერე პროფესორ ფულტონს, რომელსაც იმ დროი-  
სათვის სამწუხაროდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით  
პრობლემები გაუჩნდა, მაგრამ როგორც კი გამოჯანსაღდა,  
თბილი წერილით მიპასუხა. ჩვენ შემდგომშიც ვაგრძელებდით  
მიმოწერას! ფულტონის აზრით თბილისის მედიცინის საუ-  
ნივერსიტეტო სკოლა საბჭოთა კავშირის სამ მოწინავეთა  
შორის იდგა.

პროფესორი ფულტონი, თვითონ ფსიქოლოგი იყო და გა-  
მოქვეყნებული ჰქონდა შესანიშნავი სახელმძღვანელო ფსი-  
ქოლოგიაში, იგი იცნობდა ნეიროფსიქოლოგიის ქართველ  
პროფესორს ბერიტოვს (ბერიტაშვილს).

ბერიტაშვილი მიჩნეული იყო საბჭოთა ფსიქოლოგების დე-  
კანად, პროფესორ პავლოვის მემკვიდრედ, ინტერნაციონა-  
ლურად აღიარებულ მეცნიერად.<sup>2</sup>

ფულტონი წერდა:

ამ წერილით ვადასტურებ, რომ ჩემი აზრით, ტიფლისის  
(თბილისის) სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულები სა-  
ქართველოში, სსრკ-ში უნდა ექვემდებარებოდნენ ლიცენზი-  
ას შეერთებულ შტატებში. თბილისის სტანდარტები მაღალი  
იყო და თუმცა აღარ ვიცი რა მოხდა ომის შემდეგ, ექ-  
გაბლიანი, რომელიც მიმართავს ილინოისის შტატის მმარ-  
თველობას, იქ იყო მაშინ, როდესაც პროფესორი ბერიტოვი,  
სახელგანთქმული ნეიროქირურგი, მაღალი რეპუტაციით სარ-  
გებლობდა, თბილისის ფაკულტეტზე იყვნენ სხვა საერთაშო-  
რისო რეპუტაციის მქონე პიროვნებებიც. მე მივიჩნევდი, რომ  
თბილისი მხარს დაუშვებდა საბჭოთა კავშირის პირველ  
ორ-სამ სამედიცინო ჯგუფს. რუსული უნივერსიტეტის მოქ-  
მედების ბოლოდროინდელ შეზღუდვამდე თბილისი ნამდვი-  
ლად სახელგანთქმული იყო მსოფლიო უნივერსიტეტებს შო-  
რის.

გულწრფელად თქვენი  
(ხელმოწერა) ჯონ ფ. ფულტონი, მედიცინის დოქტორი  
Sterlins მედიცინის ისტორიის პროფესორი.

<sup>1</sup> საავტორო არქივებში, გერმანულ ენაზე ინგლისური თარგმანიურთ.

<sup>2</sup> იხ. ფულტონის საავტორო არქივები. ერთერთი მათგანი აქ არის წარმოდგენი-  
ლი.



წერილის ორიგინალი და ასლი ავტორის არქივშია.

რალა თქმა უნდა, პროფესორ ფულტონის და სხვათა მემკვიდრეობის ფასებელი წერილები გადავაგზავნე რეგისტრაციისა და განათლების ილინოისის დეპარტამენტში. მათი ასლები, აგრეთვე, დავუგზავნე თბილისის სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდნენ, იმ იმედით, რომ წერილები მათაც გაუნევედა დახმარებას: რამდენიმე კვირაში დეპარტამენტმა მაცნობა, რომ ჩემი მოთხოვნა გამოცდებზე დაშვების შესახებ დაკმაყოფილდა და, რომ მომავალი გამოცდები გაიმართება ჩიკაგოში, 1953 წლის აპრილში. ეს იყო თბილისის სამედიცინო სკოლის გამარჯვება.

მე ჩვეულებრივ განვაგრძობდი მუშაობას საავადმყოფოებში, რაც შემეძლო ვემზადებოდი გადამწყვეტი გამოცდისათვის. იმედს ვიტოვებდი, რომ ჩაჭრის შემთხვევაშიც კი ჩრდილი არ მიადგებოდა თბილისის უნივერსიტეტს. გამოცდა საკმაოდ რთული გამოდგა, მაგრამ წარმატებულიც. მისის ლუიზ პეტჩერი გვამონებდა, რომ არავის ეცუდლუტა. მან დისკვალიფიკაცია მისცა ორ ექიმს ამ თვალსაზრისით. კერძოდ, ისინი კითხვებზე პასუხის დროს ერთმანეთს „კონსულტაციას“ უწევდნენ. თუმცაღა მას არ შეუმჩნევია ძლიერი უნგრული აქცენტის, მქონე ჯენტლმენი, რომელსაც რამდენჯერმე გამიმეორა თხოვნა აზოტის იფრიტის დოზის შესახებ, (პირველად ვერც გავიგე, რას მეკითხებოდა. სწორედ მისი უნგრული გამოთქმების გამო. იმ დროს არ არსებობდა ამოსარჩევი კითხვები, ყველა საგანში წერითი გამოცდა ტარდებოდა. გამოცდის შუაში „მწერლის სპაზმი“ დამემართა, ღმერთს ვევედრებოდი, მოეცა ძალა, რომ ბოლომდე გავსულიყავი, მაღლი უფალს, მისის პეტჩერმა შესვენება გამოაცხადა, სააბაზანოში შევვარდი და ცხელი წყლის ქვეშ ხელის მასაჟი დავიწყე.<sup>1</sup>

წერითი გამოცდის შემდეგ, კუკის გარეუბნის საგრაფოს

<sup>1</sup> მისის პეტჩერი ჩამოსული იყო როგორც დისციპლინის ზედამხედველი, იგი მეტად გულცივი პიროვნება გახლდათ და არავინ არ ადარდებდა. რამდენიმე წლის შემდეგ ადგილობრივ ბანკში შევიარე და რომ უნდა წამოვსულიყავი ერთი ეფექტური ახალგაზრდა ლედი მომიახლოვდა. მეც შევჩერდი, რომ გამეგო რა სჭირდებოდა. ბოდიში მომიხადა დროს გაკარგვინებო, მაგრამ დიდი ხანია რალაცის თქმა მინდა და აქამდე შემთხვევა არ მომეცაო. მისი დეიდა მისის ლუიზ პეტჩერი სპრინგფილდიდან ამჟამად ჯანმრთელობას უჩივის, მაგრამ საერთოდ თქვენი და თქვენი მეუღლის

საავადმყოფოში წაგვიყვანეს, სადაც უნდა გაგვესინჯა ცინენტი, დაგვესვა დიაგნოზი და დაგვენიშნა მკურნალობა. ეს ნამდვილი „თაფლის კვერი“ იყო წერასთან შედარებით, ქუინისში დაბრუნებიდან“ ერთი-ორი კვირის შემდეგ, შემატყობინეს, რომ გამოცდა ჩავაბარე და ლიცენზია მიქმლეთა და სამედიცინო პრაქტიკისათვის, როგორც „ექიმსა და ქირურგს“. ამ ამბავმა სულიერი ძალა შემმატა.

მერე რა მოხდა? შერჩევითი სამსახურის სისტემის ადგილობრივმა მმართველობამ მომწერა, რომ კლასიფიკაცია მომეცა და მომენიჭა I-ა კლასი, რაც ნიშნავდა, რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა არმიასი გავენვიეთ. გადავწყვიტე ყოველივე უკანა პლანზე დამეყენებინა და პირველ რიგში მომეხადა ჩემი მოვალეობა—მოხალისედ წავსულიყავი ჯარში. რამდენიმე ფორმა შევავსე და ქუინისის რაიონებიდან ახალწვეულებთან ერთად წაგვიყვანეს წმ. სუისში, მისურის შტატში, საკმაოდ რთული ფიზიკური გამოცდისათვის. არმიის მეთაურებისაგან მივიღე ოფიციალური წერილი, რომ არმიასი დავიშვებოდი როგორც მედიკოსი სპეციალისტი, თან მთხოვდნენ დავლოდებოდი შემდეგ შეტყობინებას. გარკვეული დროის შემდეგ, მაცნობეს: სამშვიდობო მოლაპარაკებების გამო (ჩრდილოეთ კორეასთან), ახლა ნაკლები მოთხოვნილებაა მედიკოს სპეციალისტებზე, მაგრამ ვარაუდობენ, რომ შეიძლება კვლავ საჭირო გავხდე აგვისტოს განმავლობაში. აგრეთვე მადლობას მიხდინენ ჯარში სამსახურის სურვილისათვის. ეს ყოველივე ვაცნობე წმ. მერის სამედიცინო პერსონალს, რომლებმაც, ჩემი კორეაში გამგზავრების „კეთილი ნების“ სანაცვლოდ, მითხრეს, რომ არმიას მე საერთოდ, აღარ ვჭირდებოდი. თან დაუმატეს, რომ ჩემთვის მუდამ იქნება ადგილი ქუინისში და ეს მალე ახდა. ზუსტად მეორე დღეს, ქირურგიულ ინსტრუმენტებს რომ ვწმენდდი, ერთ-ერთმა მთავარმა ქირურგმა და პრაქტიკოსმა მკითხა: ხომ არ დავინტერესდებოდი მასთან ერთობლივი პრაქტიკით. დავეთანხმე, რადგან მეც საკმაოდ ხშირად ვეხმარებოდი ხოლმე მას ქირურგიაში და თანამშრომლობა კარგად გამოგვდიო-

დიდი თაყვანისმცემელიაო. თურმე ღმერთს ევედრებოდა, რომ როგორმე მომეხერხებინა გამოცდებზე გასვლა. მერე კი თურმე ძალზე გაიხარა, ამას რომ მივალწიე და გამოცდაც ჩავაბარე. ასე ძალიან ჯერ არაფერი გამეკვირვებია; თურმე ნიღბის ქვეშ გულთბილი შიროვნება იხილებოდა.

და. ის იყო ექ. მ. ე. ბიტერი ქუინსიდან, მისი მამაც ექიმი იყო ქუინსში და ძმაც. არტური ქუინსის ორივე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების წევრი იყო. ასე რომ, საქმე დიდებულად წარიმართა, პრაქტიკა დავიწყე ქუინსში, ილინოისის შტატში, სადაც ხალხი ასე კეთილად იყო ჩვენდამი განწყობილი.

აქ გვეყოლა სამი შვილი. ერთი, ვადაზე ადრე დაბადებული ალექსანდრე, დაგველუბა, ჩვენი ოჯახი გრძნობდა, რომ ამერიკა შესანიშნავი ქვეყანაა და ხალხი გულმონყალე, საიმედო და სულგრძელია. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ამ ქვეყანას კარგი მომავალი ჰქონდა და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, ჩვენს შვილებს საკმაო ცოდნა აქვს. გაბლიანებზე ამერიკაში მეტის თქმა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ თვითონ დაწერონ ამის შესახებ. იმედი მაქვს, მოინდომებენ.

ჯორჯ ფ. კენანს წიგნის „რუსეთი და დასავლეთი“ დასასრულში მოჰყავს ბისმარკის ციტატა: მოდით, ზოგი პრობლემა ჩვენს შვილებსაც დავუტოვოთ გადასაჭრელად. სხვაგვარად ხომ მოიწყენენ“, მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას.

გივი გაბლიანი  
ქუინსი, ილინოისი, 1993.



# დამატებები



## ბრიგოლ ალშიბაია

ექიმი გრიგოლ ალშიბაია დაბადებულია ქალაქ ქუთაისში, 1880 წელს, მამინ ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა. მან იქვე დაამთავრა ჰუმანიტარული გიმნაზია და სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტზე. კიევში ალშიბაია მონაწილეობდა სტუდენტთა დემონსტრაციებში მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. მათ განსაკუთრებული პროტესტი გამოაცხადეს ცარიზმის დაშქაშების მიერ ებრაელების დარბევის გამო. ალშიბაია დააპატიმრეს, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და უბრალო ჯარისკაცად ორწლიანი სამხედრო სამსახური მიუსაჯეს, მაგრამ, რვა თვის შემდეგ, სტუდენტებს ამნისტია გამოუცხადეს. 1903 წელს ალშიბაია შევიდა ბერლინის უნივერსიტეტში, რომელიც ხუთ წელიწადში დაამთავრა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იგი მოხალისე ექიმად იყო ბერლინის უნივერსიტეტის საავადმყოფოში. გარდა ამისა, მან სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო სამხედრო აკადემიაში. 1912 წელს ექიმი დაბრუნდა მშობლიურ ქუთაისში და შემოსავლიანი კერძო პრაქტიკას მიჰყო ხელი. ოთხი წლის შემდეგ იგი ბაქოში გადაიყვანეს სამხედრო ექიმად. იქ დამატებით კერძო პრაქტიკის წარმართვის ნებაც დართეს. მედიცინის ღრმა საფუძვლიანი ცოდნის და შთამბეჭდავი პიროვნულობის წყალობით, ალშიბაია წარმატებით მუშაობდა. ბაქოში, მეგობრების რჩევით, მან წილი შეისყიდა რუსეთ-სპარსეთის ნავთობის კომპანიაში, „რუპენტო“ და მოგვიანებით დირექტორთა საბჭოშიც აირჩიეს. მრავალ ხანგრძლივ მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი „ბაქოელ ქართველთა“ შორის, მაგალითად ხოშტარიებთან, კვიტაშვილებთან და მამულაშვილებთან, ეს მეგობრობა ორ თაობაში გაგრძელდა. ამასობაში საქართველო სუვერენულ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ეს იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ოკუ-



პაციის წლების შემდეგ, რაც იურიდიულად აღიარეს დიდმა ბრიტანეთმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, გერმანიამ, თურქეთმა, პოლონეთმა, ბოლშევიკურმა რუსეთმა, არგენტინამ და სხვა ქვეყნებმა.

ბოლშევიკურმა რუსეთმა და საქართველომ დადეს ხელშეკრულება 5-7-20, რომლის მიხედვითაც „რუსეთი თანახმაა თავი შეიკავოს ნებისმიერი ინტერვენციისაგან საქართველოს საშინაო საქმეებში“ (მუხლი 1 და 2). 1919 წელს საქართველოს მთავრობამ ექიმი გრიგოლ ალშიბაია დანიშნა საქართველოს ელჩად ბაქოში (აზერბაიჯანი). 1919 წლის აპრილში, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ბაქო დაიპყრო, დააპატიმრეს ყველა დიპლომატიური წარმომადგენელი. მათ შორის ექიმი ალშიბაიაც, მაგრამ საქართველოსთან 7 მაისის ხელშეკრულების დადების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ელჩი გაანთავისუფლა სხვა დიპლომატები კვლავ დარჩნენ ბოლშევიკთა ხელში. მათ შორის ბრიტანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის ელჩები და პაპის წარმომადგენელი. ამ ქვეყნების მთავრობებმა ალშიბაიას ანდეს მათი ინტერესების დაცვა. „კარგად გაკეთებული საქმისათვის“ მას საფრანგეთმა „საპატიო ლეგიონერის“ წოდება მიანიჭა, პოლონეთმა „ღირსების ოქროს ჯვარი“, „საგანგებო ლოცვა-კურთხევა“ მიიღო მისი უწმინდესობის პაპისაგან, მაღლიერების ცნობა—ინგლისიდან, და ა.შ. როგორც აღინიშნა, 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის არმია ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა და დაიპყრო საქართველო, რომელმაც რუსებს მდგარი წინააღმდეგობა გაუწია. ალშიბაიამ ერთი მილიონი რუბლი შეიტანა „საქართველოს თავდაცვის ფონდში“. ბოლოს სამხედროებმა უკან დაიხიეს. საქართველოს მთავრობა იძულებული იყო გაქცეულიყო. ალშიბაია გაგზავნეს გერმანიაში, სადაც მას უნდა დაეკავებინა ბერლინში საქართველოს ყოფილი ელჩის ლადო ახმეტელის ადგილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ეს განზრახვა ჩაიშალა, მაგრამ ალშიბაიას ოჯახი ბერლინში გადავიდა და ექიმმა კვლავ თავისი ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის კლინიკაში. ამ დროისათვის მან „რუპენტი“ს წილი ლონდონში ბრიტანეთის ადმირალიტეტს მიჰყიდა და შესაბამისად თანხა მიიღო ინგლისური კურსით, რამზეი მაკლონელის (ალშიბაიას ძველი ნაცნობი) დახმარებით მან ნებართვა მიიღო, ანგარიში გაეხსნა ინგლისის ბანკში, სადაც დეპოზიტზე შეიტანა ეს ფული. შემდეგ ეს თანხა გერმანიის ბანკში გადააგზავნა, მაგრამ იქაური ინფლაციისა და 1922-1923 წლებში კურსის რეფორმის გამო, დიდი ზარალი განიცადა. ახლა კაცს, ვინც საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველი სტუდენტებისთვის მრავალი სტიპენდია დააწესა, საკუთრი ცხრასულიანი ოჯახის რჩენაც კი უჭირდა, წლების განმავლობაში გერმანელებს ისიც კი არ შეეძლოთ, რომ უცხოელებისათვის ხელფასი მიეცათ.

იმ ხანებში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამსახურის სახელმწიფო მდივანმა, მისი ელჩობის დროინდელმა მეგობარმა, ალშიბაიას შესთავაზა ადგილი გროდნოს სამხედრო ჰოსპიტალში, აღმოსავლეთ პო-

ლონეთში. მას, აგრეთვე, ნება ეძლეოდა დამატებით ეწარმოებია კერძო პრაქტიკაც. გროდნო იმიტომ შეარჩიეს, რომ იქ რუსულენოვანი მას-სახლეობა ცხოვრობდა, რადგანაც წინათ იგი იმპერიული რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. აღშობაიებმა არ იცოდნენ პოლონური, რუსულად კი თავისუფლად ლაპარაკობდნენ. გროდნოში სამედიცინო პრაქტიკა წარმატებით მიდიოდა, ასე იყო ყველგან, რადგან აღშობაია განსწავლული, გამოცდილი და გულისხმიერი ექიმი იყო, მალე მის პაციენტებს შორის ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება აღმოჩნდა. 1937 წელს აღშობაია ვარშავაში გადაიყვანეს და სამხედრო აკადემიის ამბულატორიული კლინიკის მედიცინის საინტერნო განყოფილების დირექტორად დანიშნეს. მის პაციენტებს შორის იყვნენ სამხედრო ოლქის მეთაური, გენერალი ა. ლიცვინოვიჩი, მინისტრი კოსტიალუოვსკი, ორთოდოქსული დიონისეს ეკლესიის მიტროპოლიტი, პოლკოვნიკი ექიმი მ. ვოიუესვინსკი, (მარშალ პილსუდსკის პირადი ექიმი და მეგობარი).

1939 წლის სექტემბრის ბოლოს, გერმანელების მიერ ვარშავის ოკუპაციის დროს, ქართველთა კოლონიამ სთხოვა ექიმ აღშობაიას, დაეკავებინა კოლონიის პრეზიდენტის ადგილი, მან მიიღო წინადადება, თუმცა ეს დამატებითი და მძიმე ტვირთი იყო. შემდგომში აღშობაია მფარველობდა მთელ კავკასიელთა კოლონიას (სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო კავკასიელები და ქართველები). იმ დროისათვის დაარსდა ოთხი კომიტეტი, რუსული, ბელორუსული, უკრაინული და კავკასიური. მისი ამოცანა იყო წარედგინა და დაეცვა თანამემამულეთა ინტერესები გერმანიის ხელისუფლების წინაშე. აღშობაია მტკიცედ იდგა ამ პოზიციაზე მედგრად იცავდა კავკასიელთა ინტერესებს, ამიტომ საოკუპაციო „ხელისუფლების მეთაურის“ მიერ პოლონეთში იქნა გადაყვანილი. როგორც შეიტყო, მისი გაშვება მოხდა შემდეგი მიზეზებით. „იგი დამამცირებელ გამოთქმებს იყენებდა, როცა აკრიტიკებდა „ხელისუფლების მეთაურის“ მიერ გატარებულ ზომებს, არ ასრულებდა და არ მისდევდა ხელისუფლების მეთაურის ბრძანებებს“. გერმანელი ელჩი ფონ შულენბურგი, გრიგოლ აღშობაიას ძველი მეგობარი, რისკზე წავიდა და ურჩია დაეტოვებინა ვარშავა, რათა თავიდან აეცილებინა გესტაპოს დამსჯელი ღონისძიებანი. შულენბურგმა აღშობაია ჩაიყვანა გერმანიაში. ეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობითაც იყო გამართლებული. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ექიმი გრიგოლ აღშობაია, მისი მეუღლე ბარბარა და ქალიშვილები: ქეთევანი, მართა, რუსუდან და თინა ბად-რეიჩენპოლში ცხოვრობდნენ, ომის შემდეგ კი სასწრაფოდ გადავიდნენ მიუნხენში.

ბარბარა კიზირია-აღშობაია—ღრმად განათლებული, მომზიბლავი ქალბატონი და გამოჩენილი პიროვნება, უერთგულესი მეუღლე და შესანიშნავი დედა მისაბაძი მაგალითი იყო თავისი ქალიშვილებისათვის. თავის დროზე სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. იმ პერიოდში უნივერსიტეტები ერთი მეორის მიყოლებად იხურებოდა,





სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლების გამო მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. ბარბარამ მიიმხრო დანარჩენი ქართველი სტუდენტი ქალები სანკტ-პეტერბურგში და სწავლა გააგრძელეს ბერლინში. ეს მეოცე საუკუნის დასაწყისში ხდებოდა, ასე, რომ ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდნენ სამშობლოში დარჩენილი მისი მშობლები. მათი აზრით, სანკტ-პეტერბურგი ძალიან შორს იყო, მაგრამ ბარბარა და მისი მეგობრები უკან დაბრუნებაზე არც ფიქრობდნენ, თუმცა არ შეიძლებოდა, არ გავიხსენო სასაცილო კამათი ბარბარასა და მის შვილებს შორის: „ძვირფასო დედა, ნამდვილი მეცნიერებისადმი სწრაფვა და მისი დაუფლების წყურვილი იყო შენი ბერლინში ჩასვლის მიზეზი, თუ ის მომხიბლავი ჯენტლმენი, რომელსაც გრიშა ალშიბაია ერქვა და რომელიც იქ ცხოვრობდა? ბარბარა ფსიქოლოგიას სწავლობდა, სწავლისა და პრაქტიკის დასრულების შემდეგ, გრიგოლ და ბარბარა დაქორწინდნენ და საქართველოში დაბრუნდნენ. როგორც უკვე აღვნიშნე, ისინი ჯერ ბაქოში გადავიდნენ, მერე კვლავ ბერლინს დაუბრუნდნენ, მერე იყო გროდნო, ვარშავა, ბად-რეიჩენჰოლი და მიუნხენი. ხუთივე შვილმა მიიღო საუნივერსიტეტო განათლება. ეს იყო შესანიშნავი წყვილი. მათ თავდავიწყებით უყვარდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ექიმი იყო პირდაპირი, პატიოსანი და გულდია პიროვნება, „მეტისმეტად არა-დიპლომატიური დიპლომატი“—როგორც მისივე მეგობარმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა უთხრა ერთხელ. შესაბამისად გრიგოლ ალშიბაიას ერთგული მეგობრებიც ჰყავდა და მტრებიც. მოვალეობას უზარმაზარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ამით თანამშრომლების დიდ პატივისცემას იმსახურებდა. ნამდვილად დიპლომატი და ლამაზი მეუღლე, ბარბარა, განუზომელ დახმარებას უწევდა. იგი არამარტო საოჯახო საქმეებს უძღვებოდა, არამედ დიდებულად მასპინძლობდა მრავალ პატივისცემ სტუმარს. ხანდახან, როცა დასჭირდებოდა, დამამშვიდებელი ხმით, მომხიბლავითა და იუმორით ჩაერეოდა საუბარში დაძაბულობის გასაფანტავად და „ჭრილობების მოსაშუშებლად“. მეორე მსოფლიო ომის დროს ბარბარა ალშიბაია, სხვებთან ერთად, საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და წევრი იყო. მასთან ერთად იყვნენ: ქალბატონი მარიამ შალიკაშვილი და რეზო გაბაშვილი. ისინი საკვებს, ტანსაცმელს და წამლებს უგროვებდნენ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ.

1951 წლის ბოლოსათვის რუსულად ნაბეჭდი ანონიმური წერილი ჩამოვიდა მიუნხენში, სადაც მეორე მსოფლიო ომის საემიგრაციო ცენტრი იყო შექმნილი. წერილი მიმართული იყო ექიმი გრიგოლ ალშიბაიასა და მისი ვაჟიშვილის მიხეილის წინააღმდეგ. ეს იყო ცილისმწამებლური, ურთიერთგამომრიცხავი, გაუგონარი სიცრუეები. წერილის ავტორი ბოლოს და ბოლოს დადგინდა. ეს იყო ვინმე ა. დემეტრა. იგი მიუნხენში საოლქო სასამართლოს გადასცა ალშიბაიამ და დაუმ-



ტიცა კიდევ ბრალეულობა. სასამართლოს სხდომის მასალებზე და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი, თავისთავად ნათელს ჰფენს საქმეს. რუდოლფ აშენაუერი, ყველაფერს ააშკარავებს პროცესის დაწყებიდან დამთავრებამდე და ამიტომ პირველად მისი სიტყვის წაკითხვაა საჭირო. (რ. აშენაუერის მიერ ჩამოთვლილი ზოგი დეპოზიტი და დოკუმენტი აქ არ არის მოცემული, მაგრამ ისინი დაცულია ჩემს არქივებში).

სასამართლოზე წარდგენილ დეკლარაციაში პროფესორი ფონ მენდე მოიხსენიებს შალვა მალლაკელიძეს, რომელიც ხშირადაა ნაპოვნად ამ მემუარებში: თავის წიგნში დოქტორი იოაჰიმ ჰოფმანიც ლაპარაკობს ქართველ პოლკოვნიკზე და შენიშნავს: „ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ შ. მალლაკელიძე ომის დამთავრების შემდეგ წავიდა საბჭოთა კავშირში და საქართველოს საკითხებში უცხოური პროპაგანდით სუკისთვის არასასურველ პირად იქცა“. ამის მაგალითად, დოქტორი ჰოფმანი მიუთითებს მალლაკელიძის წერილზე „ზარია ვოსტოკას“ (თბილისში გამოშვებული კომუნისტური გაზეთის) რედაქტორისადმი. მალლაკელიძის გამგზავრება მიუნხენიდან საბჭოეთის მიწაზე საკმაოდ ნაჩქარევი და მოულოდნელი ჩანდა—რამდენიმე მიუნხენელმა ქართველმა მითხრა ამის შესახებ. როგორც ჩანს, იგი მისულა გოგი (გიორგი) ვეფხვაძესთან და დაუპირებია მისი საბჭოელებისაკენ გადაბირება. ვეფხვაძისათვის მიუღებული აღმოჩნდა ასეთი რამ და ეს ამბავი გაანდო დათა ვაჩნაძეს მიუნხენში დიდი ხნის ემიგრანტს, რომელიც მალლაკელიძესთან და ჯერ კიდევ სუვერენული საქართველოს დროიდან მეგობრობდა. ვაჩნაძე წინ აღდგა მალლაკელიძეს და განმარტება მოუთხოვია. მალლაკელიძე მიუნხენიდან გაუჩინარდა, მერე კი ჯერ აღმოსავლეთ გერმანიაში, შემდეგ—საქართველოში გამოჩნდა. ალბათ ეშინოდა, რომ ამერიკის უსაფრთხოების სამსახურს არ გამოეძია მისი თხოვნა ვეფხვაძისადმი.

საბჭოთა მთავრობამ ქართველ პოლკოვნიკ მალლაკელიძეს (რომელიც ამტკიცებდა, რომ გერმანიის გენერალიც კი იყო) ნება დართო დაეწყო იურიდიული პრაქტიკა, მას პენსიაც დაუნიშნეს. მისმა ცოლმაც იშოვა ექიმის ადგილი. ეს გაცილებით უკეთესი მტკიცება იყო, ვიდრე საბჭოეთის ხელში ჩავარდნილი ლეგიონერის ჩვენებები, რომ აღარაფერი ვთქვათ ოფიცერთა შესახებ. ჯარისკაცები წლებს ატარებდნენ გულაგში, ოფიცრები კი დაისჯებოდნენ, ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ მალლაკელიძემ მოახერხა და დასავლეთში ემიგრანტებს შორის გაავრცელა შეთხზული ისტორია, თითქოს იგი საბჭოელებმა მოიტაცეს.

## შეთქმულება „ბერგმონში“

მე არაფერი არ ვიცოდი, სანამ არ წავიკითხე ქარსტენის პუბლიკაცია, იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა დაეჭვებულმა პირმა ვასო ჯუღელმა გარდერობში იპოვა სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურის ჟორა ცუცქირიძის დღიური და იგი ბატალიონის მეთაურს გადასცა. ეს დღიურები მოიცავდა მნიშვნელოვან სამხილს ბრალდებულზე სასამართლოში. დღიური იწყება 11/1/42-დან და მთავრდება 5/17/42-ით. მასში საუბარია კონსპირაციის მიზანზე, მის სტრატეგიაზე, მეთოდზე, შეხვედრებზე, წევრების გაწვევაზე, აღნიშნული რამდენიმე მონაწილის სახლი და ცუცქირიძის ნღობა თუ უნდობლობა მათდამი.

მაგალითად, დღიურის მეთექვსმეტე გვერდზე იკითხება: „...ვასო ჯუღელი ხელს უშლის მეგობრობას. ბოლოს ვნახავთ, როგორ გააკეთებს ამას. ვფიქრობ, რა ადგილიც არ უნდა დაეკავებინა, ყველა ადგილიდან მოხსნიდნენ: ცალკეულ წევრებს კონსპირაციაში ბრალეულობის აღწერისას, მთავარი დოკუმენტი კაპიტან წიკლაურის შესახებ ასკვნის: ბრალდებული უარყოფს აზრს კონსპირაციაში თავისი წევრობის ან მეთაურობის შესახებ. იგი, აგრეთვე, უარს ამბობს ბატალიონ „ბერგმანის“ რუსებთან მიერთების გეგმის ცოდნაზე. წიკლაური აღნიშნავს: „ბრალდებულნი და მოწმენი, რომლებიც მას ადანაშაულებდნენ, ცრუობენ და თვითონ არიან გერმანიის შეიარაღებული ძალების უდიდესი მტრები. მათ სურთ წიკლაურს ავტორიტეტი შეურყიონ ბატალიონის შემადგენლობაში და ამგვარად ზიანი მიაყენონ მის სამხედრო გეგმებს“.

ჩემთვის ისიც ახალი ამბავი იყო, რომ კაპიტანმა წიკლაურმა საკუთარი თავის დასაცავად ირჩია შემოვლით შეეტია მთელი იმ ჯგუფისათვის, ვითომ თავისი ჩვენებით მას დებდა ბრალს. იმავე დროს ყურადღებას ამახვილებდა თავისი სამხედრო გეგმის მნიშვნელობაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ გერმანელებს გადასცა განსახილველად. მაგრამ მას არასოდეს დაუსახელებია ვინმე კონკრეტული პიროვნება.

დოკუმენტში ჩამოთვლილია ნაირ-ნაირი, მეტნაკლებად სერიოზული დრამა-  
დებები კაპიტან წიკლაურის წინააღმდეგ, მაგალითად, მოწვევით  
ალიმბარაშვილი, ჯანელიძე და ოქროპირიძე ამკიცებდნენ, რომ კაპი-  
ტანმა დასაჯა ჯარისკაცი სიმსივი, როცა ამ უკანასკნელმა სიმღერით  
დასცინა სტალინს. კაპიტანს უთქვამს, რომ სტალინი დიდი ადამიანია,  
„ჩვენიანია, ქართველი და არ გვინდა სხვა ერის წარმომადგენლებმა  
დაგვცინონ იმის გამო, რომ ჩვენ პატივს არ ვცემთ ჩვენსავე თანამემ-  
ძულეს, ქართველს“.

ვფიქრობ, ზემოთ ნახსენები სამი მოწვე სასამართლოს გამომძიებელ-  
მა დაკითხა იმ ინციდენტის დასამტკიცებლად, რომელიც ყველასთვის  
ისედაც ცნობილი იყო „ბერგმანში“ და თავისთავად არ წარმოადგენდა  
არსებულ კონსპირაციის დასაბუთებას. უფრო მეტად ეს შეიძლებოდა  
ყოფილიყო ერთი ქართველის, წიკლაურის, გრძნობა მეორე ქართვე-  
ლის, სტალინის მიმართ, რომელმაც დიდად გაითქვა სახელი. მე პირა-  
დად მძულდა სტალინი, მაგრამ არც მე მესიამოვნებოდა ასეთი სულე-  
ლური სიმღერის მოსმენა მასზე. ეს დიდად უსამართლო ტირანი უნდა  
დაემარცხებინათ და გადაეყენებინათ. ასე რომ, საქმე თავისი სერიოზუ-  
ლობით სულაც არ იყო სახუმრო, ტრადიციული ქართული რაინდობა,  
რაც ერთ-ერთი საფუძველი იყო მისი აღზრდისა, მტრის მიმართაც  
გულისხმობდა ერთგვარ პატივისცემას.

უფრო სერიოზული განცხადებები ჰქონდათ ოქროპირიძეს და ტაბიძეს  
კაპიტან წიკლაურის იდეოლოგიური კრელოს შესახებ, რასაც შეეძლო  
იგი კონსპირაციამდე მიეყვანა. ოქროპირიძეს მოჰყავდა წიკლაურის  
სიტყვები; მას უთქვამს: „მხოლოდ შენ შემიძლია გაგანდო, რომ უკვე  
ბოლშევიკების მხარესა ვარ, ვერც შენ დაადანაშაულებ მათ მხოლოდ  
იმის გამო, რომ მამა დავიპატიმრეს. სროლები საბჭოთა კავშირში,  
ტოკიოში ნაცისტური აგენტების მანევრებია, (?) შენი მტრები ბოლშე-  
ვიკები კი არა, ისინი არიან, ვის ხელმძღვანელობის ქვეშაც ახლა  
ხარო“. და კიდევ: „ბოლშევიკებმა ვერ გაიმარჯვეს, სიცოცხლე ყოველ-  
გვარ აზრს კარგავს ჩემთვის“, სასამართლოზე ტაბიძემ, აგრეთვე, გაი-  
მეორა კაპიტანის შემდეგი სიტყვები: „გერმანელებმა რომ გაიმარჯვონ  
თავს მოვიკლავო“.

დღიური თებერვალ-მარტში კაპიტან წიკლაურის შეხედულებას და  
მის აქტიურ შეთანხმებულ საქმიანობას ადასტურებს ცუცქირიძესთან.  
წიკლაური ცდილობდა ხალხის დაყოლიებას შეთქმულებაში გასაწევ-  
რიანებლად და „შთამაგონებელ საუბრებს“ ატარებდა ამ მოსაზრებით.  
სასამართლო დოკუმენტი, აგრეთვე, ადგენს, რომ წიკლაური იყო კონ-  
სპირაციის ხელმძღვანელი, ამას ადასტურებენ მოწმეებმა ოსიფაშვილი  
და სურგაშვილი და უკვე ნახსენები არაბული, ბახტაძე და ტაბიძე.<sup>1</sup>

სასამართლო დოკუმენტში ჩემი არსებით საყურადღებოა მოხსენება

<sup>1</sup> იხ. დოკუმენტის გვ. 498



ჯმუხაძესა და ხმელიძეზე. პირველი მათგანი უარს ამბობდა შტეტინაში მონაწილეობაზე და მისი მიზნის ცოდნაზეც. თუმცა მან დაადასტურა, რომ წერილი დაწერა. ტაბიძის კარნახით, შემდგომში ამ წერილზე ხელი მოაწერეს თვითონ, წიკლაურმა, ტაბიძემ და ოსიფაშვილმა. როგორც ტაბიძემ სასამართლოზე სთქვა, ამ წერილის მიზანი იყო შეეწყობინებინა გერმანულ ფორმაში მყოფი ბატალიონის არსებობის შესახებ, რომელიც მაინც, პატრიოტული სულისკვეთებით ემსახურებოდა მშობლიური საბჭოთა ქვეყნის მხარდაჭერას. წერილი დამალული იყო ერთ სახლში იმ იმედით, რომ შესაფერის დროს, როცა წითლები მოვიდოდნენ, ამ წერილს ნახავდნენ და დამტკიცდებოდა იმ ხალხის ლოიალობა, რომლებიც ისევ მათ ხელში მოხვდნენ.

მოწმე პოლოსოვმა თქვა, რომ ჯმუხაძე ყალბ ახალ ამბებს ავრცელებდა საბჭოელების სამხედრო ძალასა და ახალ იარაღზე. ამბობდა, ხარკოვი უკვე აიღეს ბოლშევიკებმაო. ბრალდებულმა ხმელიძემ, თავდაცვის მიზნით სასამართლოში განაცხადა, რომ მისი მოქმედება სისულელის ბრალი იყო და რომ მასზე ზეგავლენა მოახდინა რადიოს ახალმა ამბებმა, რომელიც ტაბიძისა და ჯმუხაძისაგან მოისმინა. ეს ვითარება ჩემთვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც ხშირად მიგრძენია, რომ საბჭოური პროპაგანდა კარგად აღწევდა გერმანიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სასამართლოს აზრი, ბრალდებულებების შესახებ თავდაცვის მიზნით, ერთმანეთს დაპირისპირებისას საჭირო იყო იმისათვის, რომ ამ ხალხის დიდი სიფრთხილით მომხდარიყო. რომ ეს განსაკუთრებით ეხებოდათ ტაბიძესა და ცუცქირიძეს, რადგან ეს ორი ყველა ღონეს იხმარდა სასჯელის თავიდან ასაცილებლად. ამ მთავარ დოკუმენტში, რომელშიც ჩემი სახელი, გივი გაბლიანი არის ნახსენები, როგორც მოწმისა, არ მოიპოვება არც ერთი ციტატა ჩემი გამონათქვამიდან წიკლაურის ან სხვათა წინააღმდეგ. პირიქით, როდესაც დოკუმენტში მოჰყავს ციტატები ჩემი მოსაზრებებიდან ისინი ძირითადად ეხება ლეიტენანტ ალბერტ ანდრეასიანს, რომელიც სასამართლომ გაათავისუფლა და ლეიტენანტ ფედორ თადეევს, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ სცნო, მიუხედავად ჩემი მისი სასარგებლოდ გამოსვლისა.

მეგობრის გარეშე სასამართლოში მხოლოდ წიკლაური აღმოჩნდა. მისი მეკავშირეები შეთქმულებაში მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ საკუთარი ტყავის გადასარჩენად. ამიტომ მოხდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრისას სასამართლოში ხელი გამომიწოდა და გულითადი ხელისჩამოსართმევად მომესალმა. მან, აგრეთვე, გამახსენა ის არაჩვეულებრივი სიზმარი, რაც ერთხელ ჩვენი ერთ ოთახში ცხოვრების დროს მიაძმო. ეს სიზმარი როგორც უკვე მოგახსენეთ, ცუდი ამბის ნიშნად მიიღო. (მართო მე არ გამომიხატავს ჰუმანური თანაგრძნობა და პატივისცემა კაპიტან წიკლაურისათვის, სამხედრო სასამართლოს წევრი, პოლკოვ-



ნიკი გრომპოლცი, უცნაური მოძრაობით მიუახლოვდა წიკლაურს, ხელში ჩამოართვა და შეაქო კაპიტანი, ღირსეული თავდაჭერისათვის სასამართლოში, ეს „ბერგმანის“ თარჯიმნებმა მიაძებეს.)

საბოლოოდ რატომ და როგორ მოხდა კაპიტან წიკლაურის კონსპირაცია? ქართველები „ბერგმანში“ მრავალ ვარაუდს გამოთქვამდნენ ამის თაობაზე, და ვფიქრობდით, რომ ალბათ ვერასოდეს ზუსტ პასუხს ვერ გავიგებდით ამ კითხვაზე. და მაინც შეხედულებათა შეჯერებას ვაღწევდით, რომლის მიხედვით: არც ის და არც ტაბიძე საბჭოთა ჯაშუშები არ ყოფილან. (სასამართლოს სენატმა გამოიძია ეს შესაძლებლობა) იმდენად, რამდენადაც მოწმე ოქროპირიძის ჩვენება ეხებოდა ამ საკითხს. თითქოს ტაბიძეს ეთქვას, მოწმე ოქროპირიძისათვის, რომ ის (ტაბიძე) და წიკლაური გერმანიის მხარეზე გადავიდნენ იმ მიზნით, რომ ჯაშუშის მისია აღესრულებინათ საბჭოეთისათვის. ამ დროს, ტაბიძემაც უთხრა სასამართლოს თითქოს წიკლაურს მისთვის ეთქვას, რომ საბჭოთა ჯაშუში იყო. მაგრამ ორივე ამტკიცებდა, რომ ასეთი განზრახვა არ ჰქონდათ, როცა გერმანიის სამხედრო ტყვეებიდან მივიდნენ და საპირისპირო ჩვენება მისცეს. გამოძიების შემდეგ სასამართლოს სენატი მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდებულთა ზემოთ აღნიშნული განცხადება განპირობებული იყო უფრო გამძაფრებული სურვილით, სადაც სამხედრო ტყვეთა წინაშე როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებად წარმდგარიყვნენ.

წიკლაური, სამხედრო სკოლის ჩათვლით, ბოლშევიკური განათლების ნაყოფი იყო. იგი საბჭოთა სისტემას უმაღლოდა არმიაში თავისი მდგომარეობის გამო და ყოველი პრივილეგიისა და გარკვეული პრესტიჟისათვის, რომელიც მოიპოვა. მაგრამ სადღაც ღრმად, გულში, არ შეეძლო გაემართლებინა მოწინავე წითელი არმიის ოფიცერთა მასობრივი დასჯა, „დარაჯი ძაღლების“ კომისართა გამუდმებული ქირქალი და ქართული წითელი არმიის შენაერთების დაშლა, რომელიც პირველად ნებადართული იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ, ქართველების მოთხოვნის გამო, მაგრამ შემდგომში დაიშალა. ასე რომ, ქართველი სამხედროები საბჭოების უზარმაზარ ტერიტორიაზე გააბნიეს.

წიკლაურმაც იცოდა წითელი არმიის მუქარისა და სხვა უარყოფითი ასპექტების შესახებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ამაში დაედანაშაულებინა სტალინი და მისი ბოლშევიკური წყობა. უკრაინის ფრონტზე ივლისის დასაწყისში იგი სასტიკად გაწბილებული დარჩა, როცა შეიტყო, რომ საბჭოთა არმია ვერ შეედრებოდა გერმანიას. მისი კარიერაც და სამყაროც, რომელსაც ეკუთვნოდა, იშლებოდა და ინგრეოდა, მაგრამ ინსტიქტურად გრძნობდა, რომ სიცოცხლე უნდა გაგრძელებულიყო. გერმანული პროპაგანდული ფურცლებიდან შეიტყო, რომ გერმანელები კარგ მდგომარეობას სთავაზობდნენ ღებურტირებს. ეს ფართო შესაძლებლობებს შლიდა მის წინაშე და ისიც, მის განკარ-



გულებაში მყოფ ჯარისკაცებთან ერთად, გერმანელებთან გადავიდა ამის შესახებ მან უამბო ახალწვეულ პირს, პროფესორ რაუპანს, 28 ნოემბერს, 1941 წელს იგი შეუერთდა, „ბერგმანს“ და ნოიჰამერსილენში-ში ყოფნისას, ოფიცრის მოვალეობას ასრულებდა.

1942 წლის 26 მარტს იგი გადაიყვანეს ლუტენსში, ბავარიაში, „ბერგმანთან“ ერთად, სადაც პირველად შევხვდი აპრილში და მაშინ გამომიტყდა, რომ კომისარი მოკლა. 1941 წლის ივლისის დასაწყისში (როცა საბჭოეთი დასტოვა და 1941-1942-ის ზამთარში რამდენიმე მნიშვნელოვანი გაერთიანება და ცვლილება მოხდა, რასაც უნდა ემოქმედნა მის გონებაზე. ჯერ ერთი, გერმანული „Blitz Krieg“ აიკრძალა და შეუძლებელი გახდა საბჭოეთის არმიის საბოლოო განადგურება, მოსკოვის ან ლენინგრადის აღება. ფაქტიურად, საბჭოთა არმია დიდ წინააღმდეგობას უწევდა მოსკოვის ახლოს და დიდძალ ზარალს აყენებდა გერმანელებს, ტანკების ჩათვლით,

1941 წლის დეკემბერსა და 1942 წლის იანვარში საბჭოელებმა ძლიერი და წარმატებული შეტევა განახორციელეს მოსკოვის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ხუთასი მილის სექტორზე. მაშინ სილენზიაში წიკლაური და მისი მეგობრები საბჭოთა რადიოგადაცემებს უსმენდნენ და გაიგეს მნიშვნელოვანი გაერთიანების შესახებ. მათთვის ეს იყო ომის შემოტრიალება საბჭოეთის დიადი გამარჯვებისაკენ.

მეორე მნიშვნელოვანი რამ მოხდა, როცა ინგლისმა და აშშ დახმარების ხელი გაუწოდეს სსრ კავშირს და სტალინის მთავრობასთან ალიანსშიც კი შევიდნენ, საბჭოელებისათვის ეს უზარმაზარი შეება იყო სამხედრო და სხვა საშუალებების კრიტიკული ნაკლებობის პირობებში. რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იმის გამოც, რომ მაღლდებოდა საკუთარი მთავრობის პრესტიჟი საბჭოთა ხალხის თვალში, თითქოს სტალინისა და მისი დამქაშების თავზარდამცემი საქმეები დავიწყებას მიეცა. იაპონიამ არა თუ არ გაილაშქრა საბჭოთა კავშირზე, არამედ ნეიტრალიტეტის შენარჩუნება აირჩია. ასე რომ, საბჭოელებისათვის მეორე ფრონტის საფრთხე მოიხსნა და ეს მათთვის არსებითი „მორალური გაძლიერების“ წყარო იყო.

ბოლო და არა უკანასკნელი მიზეზი კონსპირაციისა, იყო წიკლაურის ხუთთვიანი გამოცდა სამხედრო ტყვეთა ბანაკში, უკრაინაში პატიმართა კარგად დასაბუთებული საშინელი ტანჯვა, სადაც მან აგრეთვე გაიგო თავაზიანი ნაცისტი ადმინისტრაციის უკეთური საქმეების შესახებ გერმანელთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მას უნდა ეფიქრა, რომ „ისინი ასევე შეიძლება მოიქცნენ საქართველოშიც“. ეს არ იყო ის, რასაც გერმანული პროპაგანდული ფურცლები პირდებოდნენ და რის მიღებასაც პირველ რიგში მოელოდა წიკლაური გერმანელთა მხარისაგან. მას გული გაუტყდა და გადაწყვიტა გადმოსულიყო უკან საბჭოეთის მხარეზე.



როგორც უკვე აღინიშნა, კრემლის დეკლარაციის მიხედვით, გერმანელთა ხელში ჩავარდნილი ნებისმიერი სამხედრო ტყვე ითვლებოდა მოლაღატედ, წიკლაურის სასჯელის ზომა ასტრონომიული პროპორციით იზრდებოდა, კომისრის<sup>1</sup> მოკვლის, იმ დაწყევლილი დეზერტირობის და „ბერგმანთან“ შეერთების შემდეგ. იქნებ განსაკუთრებული პროსაბჭოური საქმის შესრულებას მიეცა რეაბილიტაციის საშუალება და „შინ“ დაბრუნების შესაძლებლობა? წიკლაური ხვდებოდა მსგავსი მოსაზრებების მქონე ადამიანთა ჯგუფებს ნოიჰამერსილეზიაში ყოფნისას და მაშინ კონსპირაციაც გაჩნდა.

სასამართლო გამოძიების შემდეგ, ეჭვი აღარ რჩებოდა—შეთქმულებს რომ თავიანთი საბოლოო გეგმა აღესრულებინათ, გაცილებით მეტი სისხლი დაიდვრებოდა და მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირებოდა მსხვერპლად, ვიდრე ის თორმეტი ჯარისკაცი იყო, ვინც დამნაშავედ ცნეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.<sup>2</sup> (თუმცა შეიძლებოდა მათ ცხოვრებას ფუჭად ჩაეკლო სამხედრო ტყვეთა სამუშაო ბანაკებში).

ეს, აგრეთვე, ჩაშლიდა „ბერგმანის“ მისიას კავკასიელი ხალხის ინტერესებისათვის. ზურგაშვილი, რომელმაც იკისრა მეტად უსიამოვნო ამოცანა, შეეტყობინებინა კონსპირაციის შესახებ, პირველად ბაგრატ ჭანტურისათვის, შემდეგ კი შესაბამისად ობერლენდერისათვის, პატივს იმსახურებდა, რაც რამდენადაც ვიცო, არასოდეს მიუღია. როგორ მიაღწია საბჭოთა პროპაგანდამ წიკლაურის შეთქმულებამდე „ბერგმანში“? ომის შემდგომ, სტალინის ეპოქაში, ამის ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა. ნაწილობრივ, მთელი ეს საქმე, მეტისმეტად უსიამოვნო იყო „მონოლითური“ რეჟიმისათვის, რომ მასზე ელაპარაკათ, თუმცა ყოველთვის, როცა კი შეეძლოთ მოხალისეთა შენაერთებში აღეკვეთათ მსგავსი რამ, უკან არ იხევდნენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი თვით გერმანელების წინააღმდეგ შეთქმულებას იწყებდნენ, ისე როგორც წიკლაურმა გააკეთა. ხშირად მათ ნათესავეებს საქართველოში ასამართლებდნენ და სსრ კავშირის შორეულ ადგილებში გადასახლებას უსჯიდნენ.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ვინც კი ნებისმიერი მიზეზით „რკინის ფარდის“ მიღმა აღმოჩნდებოდა, მიჩნეული იყო „დასავლეთის იმპერიალისტური სამყაროს“ აგენტად და შესაბამისად ისჯებოდა კიდეც.

ხრუშჩოვმა მისი ადრეული „ლიბერალიზაციისა“ და „დესტალინიზაციის“ პოლიტიკის დროს რამდენადმე უფრო „შერბილებული“ კურსი

<sup>1</sup> კომისრის მოკვლა შეიძლებოდა მოტივირებული ყოფილიყო არა პოლიტიკურად, არამედ პირადულ საფუძველზე დაყრდნობით.

<sup>2</sup> პროფესორი ფალ. ქარსტენი, სლავების და აღმოსავლეთ ევროპელების მონათესავეები ტომი XI. 1969 ლონდონი. გვ. 483-509 (ინგლისურ ენაზე).





აირჩია დისიდენტების, მათი ოჯახებისა და ემიგრირებულების მიმართ რამდენიმე „ამნისტიაც“ გამოცხადდა და პროპაგანდაც იცავდა ამ შენედელებს. მაგრამ ყოველივე ამას დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. ხრუშჩოვს დასჭირდა უარი ეთქვა „ლიბერალიზმზე: შემდგომი წლების განმავლობაში ორჭოფული ვითარება შეიქმნა. მაგრამ ბრეჟნევმა, რომელმაც ხრუშჩოვის ადგილი დაიკავა, ყველაფერი ისევ სტალინის მიხედვით წარმართა. ამნისტიები შეწყდა, პრესას, ლიტერატურას და ხელოვნებას ებრძანა გამკიცხავი კამპანია გაეჩალებინა მათ მიმართ, ვინც კრემლის ტირანიის წინააღმდეგ გამოვიდოდა. კვლავ დიდი ძალისხმევა მოხმარდა „საბჭოთა პატრიოტიზმის“ დაწერვას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

მაგალითისათვის, „საბჭოთა პატრიოტი“ მეორე მსოფლიო ომის დროს კვარცხლბეკზე დააყენეს: მას გააჩნდა ადამიანის თვისებები ემიგრირებულებისა და ყველა მათ საპირისპიროდ, ვინც საბჭოთა სისტემის წინააღმდეგი იყო. ამ უკანასკნელთ ხელაღწევენ საკუთარი სამშობლოს მტანჯველებად და უცხოეთის იმპერიალისტური ძლიერების აგენტებად, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ეთიკასთან, მორალურ შეგნებასთან, მამაცობასთან, სიბრძნესა და ინტელიგენტობასთან. კაპიტან წიკლაურის „ბერგმანის“ შეთქმულებაც შესაბამისად უტილიზებული იყო.

ამის თაობაზე უამრავი წიგნი გამოიცა საბჭოთა საქართველოში. მე წავიკითხე ორი მათგანი, მ. ნებიროვასა და ე. კალანდაძის ავტორობით. პირველი რუსულად „სიცოცხლის სახელით“ და მეორე ქართულად „ვერმახტის საიდუმლო საქმეები“. არც ერთი არ ქმნის სწორ წარმოდგენას, უფრო მეტად შეთხზული ამბებია, სინამდვილე სამარცხვინოდაა დამახინჯებული, ნახევრად სიმართლით და წარმოუდგენლად ყალბი მოსაზრებებითაა სავსე, რათა შეცდომაში შეიყვანონ მკითხველი. მე არ შემეძლო, არ გამომეჩვენებინა წერილები—„ქართული თვალსაზრისი“ (ემიგრირებულთა გაზეთი „ნიუ-იორკში“— სათაურით „საქართველოში გამოცემული რამდენიმე წიგნის თაობაზე“. ისინი კარგად მიიღეს ემიგრანტებმა აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში.

თუმცა რა საჭირო იყო? ემიგრირებულთა უმეტესობამ, ბევრმა საკუთარი გამოცდილებითაც უკვე იცოდა სინამდვილე. გამომცემელმა დიმიტრი სინდიყელმა გაზეთის ეგზემპლარები გაუგზავნა საქართველოში ყველა ბიბლიოთეკას, იმ იმედით, რომ იქ ვინმე წაიკითხავდა და თავის ნაცნობებსაც გადასცემდა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა, რომ საქართველოში ხალხს სიმართლე გაეგო.

ყველას, ვინც კი სერიოზულად დაინტერესდება, სიმართლის გაგებით შეუძლია თავისუფლად ნახოს ამ ბიბლიოგრაფიის სიაში დასახელებული ფ. ლ. ქარსტენის გამოქვეყნებული დოკუმენტი. აქ სრუ-

ლი ინფორმაციაა შეთქმულების, ინდივიდუალური მონაწილეების, მათი საქმიანობის, მოწმეებისა და მათი ჩვენებების შესახებ. თანაც წარმოდგენები შეიძლება შემოწმდეს და შეუდარდეს ქარსტენისას. მაქვს კიდევ ერთი შენიშვნა: ბოლშევიკური პროპაგანდის წიგნებში მთავარი გმირი, კაპიტანი წიკლაური და მისი თანაშეთქმულები გმირები არიან, სინამდვილეში კი ასე არ იყო. საბჭოთა მკითხველისათვის ისინი ყალბი ლეგენდებით არიან შემოსილი.

მაგალითად, ლეგენდის მიხედვით, კაპიტანი წიკლაური სამხედრო ტყვეთა ბანაკში გერმანელთა ხელში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ მკერდში დაჭრილი უგონოდ იყო. როგორც ჩანს, ბოლშევიკური გმირები ან მკვდრები უნდა იყვნენ ან სიკვდილის პირას მისული, რომ გაბედონ და ტყვედ ჩავარდნენ. მაშ, რატომ არ უნდა მოკვდნენ? წითელ გმირებს ლენინისა და სტალინის „პანთეონი“ ელის. მათთვის ისიც კი არ შეეძლოთ იყო, რომ დაუფარავად გაცნობოდნენ ქარსტენის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტს. იმავე ხმებით, მე ამ წიგნზე არ შეიძლებოდა გამოვსულიყავი როგორც პოლიტიკური ოპონენტი, რომელიც აგრეთვე ცდილობდა სახელის მოხვეჭას რაკილა ლენინისა და სტალინის ლეგალობა არ იძლეოდა ამის საშუალებას!

აუცილებელი იყო სახელი გაეტეხათ მათთვის, ვინც წინ აღუდგებოდა დამსჯელ სისტემას. ისევე როგორც „პანთეონი“, რომელიც უპირისპირდებოდა გმირ წიკლაურს, მეც „ბერგმანის“ მილიტარისტული ინტელიგენციის მეთაური უნდა ვყოფილიყავი. ასეთი რამ თუ არსებობდა, არასოდეს გამივია.

წიკლაურთან ერთ ოთახში რომ ვცხოვრობდი, „აღმოვაჩინე“, რომ მას ჰქონდა სეიფი, რომელიც საიდუმლოდ და გერმანელი სპეციალისტის დახმარებით გახსნეს. სწორედ იქ იყო დოკუმენტი, რომელმაც ცხადყო კონსპირაციის არსებობა და ამხილა მისი მონაწილეები „ბერგმანში“. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია ფაქტს, რომ იქ ამნაირი სეიფი არ ყოფილა, დოკუმენტით თუ უდოკუმენტოდ წიკლაურის ოთახში, მეც არასოდეს ფიქრადაც არ მომსვლია კონსპირაციის არსებობა.

ან რატომ უნდა მომენდომებინა კაპიტანის თავიდან მოშორება? საბჭოური წიგნი იძლევა ძალიან ნათელ მიზეზს: მე თურმე მინდოდა წიკლაურისთვის წამერთმია „ბერგმანის“ მეთაურის ადგილი. ამჯერადაც მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ „ბერგმანის“ მეთაურს კაპიტანი ობერლენდერი უნდა დაეცვა 1943 წლის ზაფხულამდე, როცა ჩვენ ორივემ დავტოვეთ „ბერგმანი“, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

რატომ ამირჩია მე, რამდენიმე ქართველთან და გერმანელთან ერთად, საბჭოთა პროპაგანდის ლიტერატურამ? მათ არც კი უხსენებიათ იმათი ნამდვილი სახელები, ვინც სინამდვილეში აცნობა კონსპირაციის არსებობა



და აღმოაჩინა დოკუმენტები<sup>1</sup>. იქნებ იმიტომ, რომ ზოგი ჩვენგანის სახელი უფრო ცნობილი იყო საქართველოში და ბოლშევიკური წნეხის წინააღმდეგ ქართულ ოპოზიციასთან იყო გაიგივებული. ამიტომაც ჩვენი გაკილვა უფრო მნიშვნელოვანი იყო და ადასტურებდა ლენინის (და სტალინის) ხაზს, რაც ასე ნათლად არის ახსნილი ვიქტორ ჩერნოვის მიერ.

<sup>1</sup> პროფესორი ფ. ლ. ქარსტენი. სლავური და აღმოსავლეთ ევროპელთა მიმოხილვა. ტომი XI 52. №109, 1969, ლონდონი, გვ. 483-509 (ნამდვილი სახელებისათვის) (ინგლისურ ენაზე).







աւելցնելով և արդի արհեստագործական  
մեթոդներով, կարող ենք ստանալ և արտադրել  
2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
Եվ այսպես շարունակելով մեր շինարարական  
կառուցողական գործունեությունը, որի արդյունքում  
կարող ենք ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
և այսպես շարունակելով մեր շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...

Երբ ասում ենք, որ հիմա շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
և այսպես շարունակելով մեր շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
և այսպես շարունակելով մեր շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
և այսպես շարունակելով մեր շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
և այսպես շարունակելով մեր շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...  
և այսպես շարունակելով մեր շինարարական  
գործունեությունը, որի արդյունքում կարող ենք  
ստանալ և արտադրել 2 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ 200 մլրդ...

Երբ ասում ենք, որ հիմա շինարարական գործունեությունը...





պիտուի, և զ ու Երևու շրջաններն ին  
կունի Երզնայի Կրթութեան. և ի սոցալայն,  
և զ զի Երևան-նիստայն ի ի աշխու Լոմ  
Լոմիտ. զ յանկ Երզնայ շնչի. Երևանայ  
մաս և շնոր յա Մյուս, շնոր յա  
ձ յոցայ շնչի.

Երբ զի Լոմիտայ շրջանայն յա շնչ  
այ զիտմ-- Եր յոցայն յա յոցայն  
յա շնչի յա յա յոցայն.

Երբ, թու Կ թու. զ յոցայն յոցայն  
Կի յա յա յոցայն յա շնչի, յա  
յա շնչի յա յոցայն յա շնչի. Եր  
յա յոցայն, և զ յոցայն յա շնչի  
յա յոցայն յա յոցայն յա շնչի  
յա.

Յոն Կարսի

P.S. Եր յոցայն յա շնչի  
յա յոցայն յա շնչի?

Ս

10. X. 43

ბრძოლისათვის მისივე  
აქტიური მხარე - მისივე  
შედეგად - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე

მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე  
მისივე - მისივე



1943 წლის 27 ოქტომბერს პარიზში საქართველოს ნაციონალური ალიანსის უახვედრავი მიღებულ იქნა რეზოლუციის ამის გამო კედია ღარჩა ბარლინიში და შეიქმნა მისია—ძარ-თველ გეგავშირეთა უტაბი.

ჩვენს ომთაყვან წინააღმდეგობით მ-ნ რეკონსტრუქციის მიერ შესრულ ქართულ ეროვნულ თათბირზე და მიუხედავად ერთობა.

" ქართულ ეროვნულ ერთობის თათბირზე მნიშვნელოვან მ-ნ მ. კეტიას მოხსენება სკა-ვიზიონი შექმნის დაარსების შესახებ, იტყვის გაბ-სიფიკატს, რომ მოუხერხებელი სურთი შიგნით-შიუღბის სიბრძნეობისა და სიტყვითა, ხსენებული ორგანიზაციის ყველა ომისთვის იბრუნოს, რათა ქართული რევოლუციის ოქტობრული შესაქმნისი მხარეხვედრომ და გაყენოს, სურთიონ რ. მ. კეტიას სურთიონ სურთიონ სურთიონ სურთიონ, რათა ქართული ეროვნული ერთობის მხარეხვედრომ და გაყენოს, სურთიონ რ. მ. კეტიას სურთიონ სურთიონ სურთიონ სურთიონ, რათა ქართული ეროვნული ერთობის მხარეხვედრომ და გაყენოს, სურთიონ რ. მ. კეტიას სურთიონ სურთიონ სურთიონ სურთიონ.

თათბირი დასრულდა ქართული ერთობის წევრებს ეხერხებოდა მხარე დასაქმონონ უნივერსიტეტში დასაქმონ მისთვის მიღობნევა. "

ს. ხიზიაძე  
27.10.43  
1943 წ.

დ. ხიზიაძე  
ს. ხიზიაძე

Prof. Dr. Hans Raupach

München, den 1. 10. 49  
Arnulfstr. 40

E r k l ä r u n g .

Meine Bekanntschaft mit Herrn Michael K e d i a datiert seit dem Herbst 1940. In Anfrage der deutschen Besatzungsmacht hatte ich in Paris die Aufgabe, mich um die sozialen Belange der Emigration aus Russland zu kümmern, solange die Zuständigkeit der Wehrmacht hierfür gegeben war. Herr K. trat dabei als Vertrauensmann der georgianischen Kolonie in Frankreich in Erscheinung. Wie alle Emigrantengruppen waren auch die Georgier in gegensätzliche Gruppen gespalten. Herr K. hat jedoch in hervorragend unparteiischer Weise das Wohl aller Notleidenden aus diesen Gruppen wahrgenommen. So intervenierte er auch mit Erfolg zu Gunsten von deutschen Sicherheitsorganen wegen Zugehörigkeit zu sozialdemokratischen Organisationen verhafteter Landsleute. In Zusammenarbeit mit der Wehrmacht hoffte Herr K. auf die Befreiung der Heimat, deren Zugehörigkeit zum christlichen Abendland er betonte. Er hoffte dabei auf ein moralisch überlegenes Programm, dessen Garant die Wehrmacht sein sollte. Mit grosser Sorge und seiner Meinung frei zum Ausdruck bringend, verfolgte er später die Ausbeutungsmassnahmen, die von der NS-Zivilverwaltung in den besetzten Gebieten ergriffen wurden. Der Freimut mit dem Herr K. seine Ansicht auch gegenüber hochgestellten Funktionären der Partei vertrat, war in jener Zeit aussergewöhnlich. Er entsprang persönlichem Verantwortungsgewühl und humaner Grundgesinnung. Diese Haltung bewährte Herr K. insbesondere auch seinem Gastlande Frankreich gegenüber, auch in Situationen, wo ein anderes Verhalten ihm hätte persönliche Vorteile bringen können.

*H. Raupach*

პროფესორი დოქტორი ჰანს რაუპახი  
აუგსბურგი, 10/19/49  
დეკლარაცია: არნულფის ქ. 40

მიხეილ კედიასთან ჩემი ნაცნობობა ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო. იმ დროს მე მევალებოდა რუსეთიდან ემიგრირებულთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა იმ ზომით, რამდენადაც ეს შევიძლოდა არმიის კომპეტენციაში. ბატონი კედია გამომჩნდა, როგორც სანდო წარმომადგენელი ქართული კოლონიის საფრანგეთში. ყველა სხვა ემიგრირებულთა მსგავსად ქართველებიც იყოფოდნენ რამდენიმე ოპოზიციურ ჯგუფად. მ. კედია მოქმედებდა გასაოცარი მიუმხრობლობის გზით, თითოეული ჯგუფის სასიკეთოდ. იგი წარმატებით შუამდგომლობდა გერმანიის უშიშროების ორგანოებთან თანამემამულეთა სასარგებლოდ, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ სოციალურ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეერთების გამო. გერმანიის შეიარაღებული ძალებთან მუშაობის დროს, კედიას იმედი ჰქონდა, რომ გაათავისუფლებდა სამშობლო ქვეყანას, რომელიც როგორც კედია ხაზგასმით აღნიშნავდა, ეკუთვნოდა, დასავლურ ქრისტიანულ სამყაროს. მას

აგრეთვე იმედი ჰქონდა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები განახორციელებდა მორალურად ამაღლებულ პროგრამას. თუმცა, მოგვიანებით მწუხარებით აღნიშნავდა, ნაცისტური სამოქალაქო ადმინისტრაციის მიერ ოკუპირებული მიწების ექსპლუატაციას. კედია დიდი სიმამაცე გამოიჩინა და სიტყვიერად გამოხატა კრიტიკა— 7 პარტიის მაღალი ფუნქციონერების მიმართ, რაც იმ დროისათვის ნამდვილად არაჩვეულებრივი რამ იყო.

კედია ასეთი მოსაზრება გამოთქვა. უმთავრესად მისი მასპინძელი ქვეყნის—საფრანგეთის დამოკიდებულების გამო; მაშინ ამან პირადი უხერხულობა შეუქმნა, ასეთ მოქმედებას საფუძვლად დაედო მისი მსოფლხედვა მორალური მოვალეობისა და ჰუმანიზმის შესახებ.

Augsburg, 10/19/49  
Arnulf Str. 40

Professor Dr. Hans Raupach  
DECLARATION;

My acquaintance with Michael Kedia dates back to the fall of 1940. At that time I was charged with the care of the social well-being of the emigration from Russia--as far as it would be within the competence of the Army. Mr. Kedia came forward as a trusted representative of the Georgian Colony in France. Like all other emigrations the Georgians were also divided in several opposing groups. M. Kedia acted in a splendid nonpartisan way, for the good of all these groups. He intervened with success before the German Security Organs for the benefit of his countrymen who had been arrested because of their affiliation with the social democratic organizations. While working with the German Armed Forces, Kedia was thus hoping to liberate his country which did belong as he emphasized with the Western Christian World. He was hoping that the German Armed Forces would ensure a morally superior program. However, later he observed with growing concern, the exploitation by the Nazi Civilian Administration of the occupied land. With great courage Kedia verbalized his criticism to the higher party functionaries, which was, at that time, extraordinary.

Kedia maintained such an attitude especially on behalf of his host country, France, at a time when it was of a disadvantage for him personally. Such behavior was born out of his feeling of moral responsibility and of humanism.

Signature

Genf, den 3. Mai 1946

Eidesstattliche Erklärung

In der Zeit der deutschen Besetzung Frankreichs konnte ich eine grosse Zahl georgischer Juden und solche anderer Nationalität vor dem Zugriff der deutschen Behörden retten.

Für dieses Verhalten habe ich ein Dankschreiben des Oberrabbiners Weil von Paris, von der Association Culturelle Sepharadite de Paris und vom Präsidenten du Groupement georgien de confession mosaïque bekommen, welche ich dieser Erklärung beilege.

Ich erkläre ausdrücklich, dass mir diese Aktion nur möglich war, weil in diesem Punkte die drei anderen Herren des georgischen Komitees Dr. Georg Magalow, Michael von Alschibaya und Dr. Givi Gabliani der gleichen Auffassung mit mir waren und mitgeholfen haben.

Schriftlich vorgelegt: eidesstattlichen Erklärung samt anhängenden Photokopien wird hiemit beglaubigt.

München, den 21. August 1946

Der Notar:

(Justizrat Heinrich Hippler)

ვენევა, 3 მაისი, 1946

წერილობითი ჩვენება ფიცის მიცემით

საფრანგეთის გერმანიის მიერ ოკუპაციის განმავლობაში, მე შეეძელი უამრავი ქართველი ებრაელი და სხვა ეროვნების ებრაელები მეხსნა ზოგიერთი გერმანელი ფუნქციონერის მიერ დასჯისაგან. ამის გამო, მე ვიღებდი მადლიერების წერილებს პარიზის უფროსი რაბი უელისაგან, Association Culturelle Sepharadite de Paris-დან და Goupement Georgieu de confession mosaïque პრეზიდენტისაგან, ტექსტები აქ არის დართული.

მე ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ამის გაკეთება შეეძელი მხოლოდ სამი ჯენერალმენის შემწეობით საქართველოს კომიტეტიდან. ესენი არიან: ექიმი გიორგი მაღალაძე, მიხეილ ფონ ალშობაია და ექიმი გივი გაბლიანი, რომლებსაც ამ საკითხზე ჩემნაირი შეხედულება ჰქონდათ და დახმარებაც გამიწიეს.

CONSISTOIRE DE PARIS

SECRETARIAT GÉNÉRAL :  
17, Rue Saint-Georges  
PARIS-IX

PARIS. LE 16 octobre 1944

à Monsieur  
Michel KEDIA

Monsieur,

Mis au courant par Monsieur  
J. ELIGOULACHVILI des services signalés  
que vous avez rendus à vos compatriotes  
de religion israélite, en aidant, par  
votre généreuse entremise, à les mettre  
à l'abri des conséquences de l'applica-  
tion des lois raciales, je viens m'associer  
aux sentiments de reconnaissance qu'ils  
éprouvent pour vous.

Soyez assuré de ma personnelle  
gratitude pour votre bienfaisante solli-  
citude à leur égard, et veuillez agréer,  
Monsieur, je vous prie, l'assurance de  
mes sentiments les plus distingués.

Le Grand Rabbini de Paris



პარიზის ისრაელელების კონსისტორული ასოციაცია  
პარიზის კონსისტორიის  
გენერალური სამდივნო  
17 Rue Saint-George  
Paris-IX  
16 ოქტომბერი, 1944

ბატონ მიხეილ კედიას

სერ:

ბატონი ელიგულაშვილისაგან მივიღეთ ინფორმაცია იმ დიდი სამსახურის შესახებ, რაც თქვენ გაუწიეთ თქვენს თანამემამულე ებრაელებს და სულგრძელი დახმარებით იხსენით ისინი რასისტული კანონების მოქმედებისაგან, მე გულწრფელად ვუერთებ ჩემს ხმას იმ მაღლიერების გრძნობას, რასაც ისინი განიცდიან თქვენდამი.

გთხოვთ, გწამდეთ ჩემი პირადი მაღლიერებისა თქვენი სოლიდარული მხარდაჭერისათვის მათ გადასარჩენად.

პატივისცემით პარიზის უფროსი რაბი იუდიუს უეისი



# Association Culturelle Sépharadite de Paris

PARIS, LE 18 Octobre 1944

18, RUE SAINT-LAZARE  
PARIS-IX<sup>e</sup>

LOI DU 6 AOUT 1906 - N° 123-0007

CONSEIL COMMUNAL  
CABINET DU PRÉSIDENT

Le Président reçoit tous les  
Mardis de 10 h. à 12 h.  
au Siège de la Culture.

TELEPH. : TRUDAINE 45.32

Monsieur Michel KEDIA

PARIS

Monsieur,

Je vous ai l'honneur d'adresser à Monsieur le Ministre E. GUEGUETCHKORI, le témoignage de notre profonde reconnaissance, aussi bien à son égard qu'à celui de ses amis, pour leurs efficaces interventions auprès des Autorités d'Occupation en faveur de nos Coreligionnaires Géorgiens.

Parallèlement à la lettre que vous m'avez adressée, Monsieur, de vous exprimer par la présente, à quel point nous avons été heureux de connaître également vos courageuses et chaleureuses démarches dans le même but.

Grâce à votre ténacité et votre ardente soif de Droit et de Justice, tellement cœrme aux traditions de la noble Nation Géorgienne, vous avez non seulement contribué à rapporter, en faveur de vos compatriotes Israélites, les humiliantes lois d'exception que nous eûmes à subir durant ces quatre années, mais encore, vous réussîtes à faire élargir de nombreux intérêts.

Aussi considérons-nous de notre devoir de vous en remercier chaleureusement et vous prions de vouloir bien croire, en notre gratitude émue et nos profonds sentiments de réconfort moral.

Veuillez bien agréer, Monsieur l'assurance de notre parfaite considération.

Le Président d'Honneur,



J. MOSSERY.

პარიზი, 18 ოქტომბერი, 1944

ბატონო მიხეილ კელია!

პარიზი

სერ:

ჩვენ პატივი გვქონდა ღრმა მადლიერება გამოგვეხატა მინისტრ ე. გეგეჭკორისა და მისი მეგობრისათვის, რადგან ისინი შთამბეჭდავად გამოუსარჩნენ ჩვენს თანამორწმუნეებს, გერმანელთა მაღალ ჩინოსნების წინაშე. გვინდა გადმოგვცეთ რაოდენ გავიხარეთ, როცა შევიტყვეთ თქვენი მამაცური და გულითადი ქმედების შესახებ იმავე მიზნით.

გმაღლობთ გულითადობისა და სამართლიანობის გრძნობისათვის, რომელიც ასე უხვად გააჩნია კეთილშობილი ქართველი ერის ტრადიციებს, თქვენ არა მარტო გაილაშქრეთ თქვენი ებრაელი ეროვნების ადამიანთა დასაცავად, რასაც ჩვენც ვებრძოდით ოთხი წლის განმავლობაში, არამედ უფრო მეტიც—თქვენ წარმატებით შესძელით გეხსნათ მრავალი მეგობარი საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

თავს მოვალედ მივიჩნევთ, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ, გამოვხატოთ თქვენდამი უდიდესი მადლიერება და მორალური კმაყოფილების ღრმა გრძნობა.

გულწრფელად თქვენი,

საპატიო პრეზიდენტი  
ი. მოსერი

Joseph ELIGOUACHVILI  
Président du Groupement Georgien  
de Confession Mosaique  
4, villa Eugène Manuel  
PARIS 16°

Paris, le 15 Aout 1944

Monsieur Michel KEDIA

Cher Monsieur,

Au moment, quand l'heure de la libération approche, permettez-moi au nom de mes coreligionnaires et en mon propre nom de vous exprimer notre gratitude et profonde reconnaissance pour tout ce, que vous avez fait pour nous.

Nous ne nous sommes pas trompés en nous adressant à vous, comme à un patriote Georgien pour défendre notre vie et nos intérêts en temps d'occupation. Grâce à votre courage, votre tenacité et votre énergie vous avez pleinement réussi que les mesures anti-juives ne soient pas appliquées à nos compatriotes. En plus, quant il y avait des cas d'arrestations de nos coreligionnaires, vous faisiez immédiatement le nécessaire pour les faire relacher.

Votre conduite ne nous a pas étonnée, car elle était conforme aux nobles traditions de notre peuple.

Je me suis permis de faire savoir ces faits à Monsieur le Grand Rabbín de Paris et à l'Union Culturelle des Israélites en France, qui vous rendent hommage et qui tiennent à vous remercier personnellement.

Encore une fois, nous vous remercions de tout notre coeur et croyez bien que ce fait restera inoubliable pour nous et nos coreligionnaires



Président

du GROUPEMENT GEORGIEN de  
CONFESSION MOSAÏQUE

### ბატონო მიხეილ კელია!

ძვირფასო სერ:

მოახლოებული განთავისუფლების მომენტში, გთხოვთ ნება მომცეთ, ჩემი თანამოწმეებისა და პირადად ჩემი სახელით, გამოვხატო თქვენდამი დიდი მადლიერებისა და კმაყოფილების გრძნობა ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ. ჩვენ არ შევმცდარვართ, როცა იმედი გვქონდა, რომ თქვენ, ქართველი პატრიოტები ჩვენს სიცოცხლესა და ინტერესებს დაიცავდით ოკუპაციის დროს. მადლობა თქვენს სიმამაცეს, თქვენს გულითადობას და თქვენს ენერგიას, რამაც შეგაძლებინათ დაგეცვათ თქვენი ეპრაელი ერი ანტიებრაული კანონმდებლობის წინაშე. ამას გარდა, როცა ჩვენი თანამორწმუნეები დაიჭირეს, თქვენ მაშინვე ყველაფერი გააკეთეთ მათი განთავისუფლებისათვის.

თქვენს მოქმედებას არ გაუუკვირვებიათ, რადგან იგი მომდინარეობს თქვენი ერის კეთილშობილური ტრადიციებიდან, მე თავს უფლება მივეცი შემეტყობინებინა პარიზის მთავარი რაბინისათვის და საფრანგეთში ეპრაელთა რელიგიური კავშირისათვის, რომლებმაც პატივი მოგაგეს და სურვილი გამოთქვეს პირადად მოგახსენონ მადლობა.

ერთხელ კიდევ გულწრფელად მოგახსენებთ მადლობას. ვისურვებთ დაგარწმუნოთ, რომ თქვენი საქციელი მარად დარჩება ჩვენი და ჩვენი მეგობარი ეპრაელების ხსოვნაში.

ი. ელიგულაშვილი,  
ეპრაელთა ხსნის ქართველთა კავშირის პრეზიდენტი.

Dr. Rudolf Aschenauer  
Attorney-at-Law

Munich, December 12, 1951  
Auenstr. 86



To:  
The District Court Munich  
Criminal Court

Munich  
Palace of Justice

SUBJECT: Legal notice against A. Demetra, Munich, Muellerstrasse  
45/I, for libel in accordance with par. 187, Criminal  
Law Code.

I herewith notify the Court that I represent Dr. Gregor and Michael von Alchibaya. On their request and as their attorney I bring legal notice against A. Demetra for libel (Par. 187, CIC). Contrary to his better knowledge the defendant put false facts into circulation, which are apt to bring my mandators into contempt and degrade him in public opinion. He perpetrated this by sending out the inclosed writ of accusation on my mandators.

The defendant was an active member and functionary of the Russian Social Revolutionary Party. When the archives of the Czarist political police, called "Ochranka" were opened after the Revolution in 1917, it was found that Alexander Demetra had been an informer for the Ochranka. As this fact became known and there were grave reasons for the suspicion that he had betrayed a number of persons, acknowledgement of his Georgian citizenship was refused him in 1918. It is characteristic for him that after 1921 he again was suspected to work for the NKWD. These suspicions were confirmed. Demetra himself was unable to deny the fact. In 1936 he published a pamphlet with which he wanted to conceal the fact of his collaboration with the NKWD and their channels of communication. Since the French authorities distrusted him, he was interned by the French in 1939 as a suspected Soviet agent.

Towards the end of the war, in February 1945, Demetra fled to Italy and immediately took up contact with the Communist partisans with whom he closely collaborated also after the German capitulation. He moved to Rome and lived permanently in the house of the Communist partisans. He worked for the Soviet Intelligence Service and carried on a lively propaganda among the Russians and Caucasians with the aim to induce them to return to Russia. He informed the Soviet intelligence people of the exact residences of former Soviet citizens whose extradition was due in accordance with the Yalta Treaty. Because of his collaboration with the Soviet intelligence service a warrant of arrest was issued on him by the Italian police.

Proof: Commissary Riccardo Ciancarlo, Messina, Italia, Casella Postale 428;  
Statement of Ing. Sergio Gabunia, Campo IRO Merreatello, Salerno, dated 15 February 1951.

He succeeded, however, to escape to Germany. Evidently on orders of the above-named agencies the defendant endeavors to prevent the emigration of my mandators to the USA by calumnious assertions. The reason behind this is that my mandators have taken an active stand against the Soviets.

საგანი: ლეგალური ცნობა ა. დემეტრას წინააღმდეგ, მიუნხენი მიუ-  
ლერ შტრასე 45/1, ცილისწამებისათვის შესაბამისად კრიმინალური  
კანონის 187 კოდექსისა.

ვაცნობებ სასამართლოს, რომ მე წარმოვადგენ დოქტორ გრეგორ და  
მიხეილ ფონ ალშიბაიას. მათი მოთხოვნით, როგორც მათი ნდობით  
აღჭურვილი პირი მე ლეგალური სარჩელი შემომამქვს ა. დემეტრას  
წინააღმდეგ ცილისწამებისათვის (პარ. 187 CIC) ყალბი ფაქტები, რა-  
საც შეუძლია ზიანი მიაყენოს ჩემი მანდატორების ღირსებას და დას-  
ცეს მათი ავტორიტეტი საზოგადოებაში. მან ეს გააკეთა ჩემი მანდა-  
ტორების საბრალდებო განცხადების გავრცელებით.

ბრალდებული იყო აქტიური წევრი და ფუნქციონერი რუსეთის სო-  
ციალ-რევოლუციური პარტიისა. როდესაც „ოხრანკად“ წოდებული ცა-  
რისტული პოლიტიკური პოლიციის არქივები გაიხსნა, 1917 წლის რე-  
ვოლუციის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ალექსანდრე დემეტრა „ოხრანკას“  
ინფორმატორი იყო. როგორც კი ეს ფაქტი გახმაურდა და სამწუხარო  
მიზეზები გამოჩნდა ვარაუდისათვის, რომ ამ კაცმა მრავალი პიროვნება  
გასცა, მას საქართველოს მოქალაქედ აღიარებაზე უარი ეთქვა 1918  
წელს. მისთვის დამახასიათებელია, რომ 1921 წლიდან იგი კვლავ მუ-  
შაობს „ენკავედ“-ში. ეს ეჭვები დადასტურდა. თვითონ დემეტრას არ  
შეეძლო ფაქტის უარყოფა. 1936 წელს მან გამოაქვეყნა პამფლეტი,  
რომლითაც სურდა გაემართლებინა თანამშრომლობა „ენკავედ“-ესთან  
და მის საინფორმაციო არხებთან, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მთავ-  
რობამ უნდობლობა გამოუცხადა მას და 1939 წელს, როგორც ეჭვიმიტა-  
ნილი, საბჭოთა აგენტი, ქვეყნიდან გაასახლა.

ომის დამთავრების ჟამს, 1945 წლის თებერვალში დემეტრა იტალი-  
აში გაიქცა და უმაღვე დაუკავშირდა კომუნისტ პარტიზანებს, რომ-  
ლებთანაც იგი ახლო თანამშრომლობას ეწეოდა გერმანიის კაპიტულა-  
ციის შემდგომაც. იგი გადავიდა რომში და მუდმივად ცხოვრობდა  
კომუნისტი პარტიზანების სახლში. მუშაობდა საბჭოთა ინტელიგენცი-  
ის სამსახურში და ცხოველ პროპაგანდას ეწეოდა რუსებსა და კავკასი-  
ელებს შორის იმ მიზნით, რომ დაეყოლიებინა ისინი რუსეთში დაბრუ-  
ნებაზე. მან საბჭოთა დაზვერვას შეატყობინა მისამართები ყოფილი



საბჭოთა მოქალაქეებისა, ვისი ექსტრადიციაც დაკავშირებული იყო იალტის ხელშეკრულებით. საბჭოთა დაზვერვის სამსახურთან თანამშრომლობის გამო, იტალიის პოლიციამ გასცა მისი დაპატიმრების ორდერი.

**მტკიცებულება:** კომისარი რიკარდო ციანკარდო, მესინა, იტალია, კაზედა პოლსტალე 428.

**მტკიცებულება:** ინგ. სერგო გაბუნიასი, კამპო INO მერეატელო, საირნო, დათარიღებული 1951 წლის 15 თებერვალს.

მან, როგორღაც მაინც მოახერხა და თავს უშველა გერმანიაში გაქცევით. ზემოთხსენებული სააგენტოების ორდერებზე დაყრდნობით ბრალდებული ცდილობს, ხელი შეუშალოს ცილისმწამებლური მტკიცებით ჩემი მანდატორების ემიგრაციას აშშ-ში.

ლოქტორ გრეგორ ფონ ალშიბაია, მიუნხენი 23, დესტაუჩეს ქ. 18. დაიბადა ქუთაისში 1880 წლის 25 დეკემბერს, სწავლობდა მედიცინას, 1919 წელს იგი დაინიშნა ელჩად აზერბაიჯანში საქართველოს მთავრობის მიერ.

ლოქტორ ალშიბაიას დახასიათებაზე საკომენდატო სიებად ჩამოვთვლი:

ა. დებლუხის წერილი, ყოფილი პაპის ვიზიტატორი ტიფლისში, ტრანსკავკასიაში ბრიტანეთის წარმომადგენლის წერილი, 25 ივნისი, 1920, თბილისში საფრანგეთის წარმომადგენლის წერილი, 1 ივლისი, 1920.

თბილისში საფრანგეთის წარმომადგენლების წერილი, 1 ივლისი, 1920.

კონსულ ბოლოპროზეცკის, პოლონეთის წარმომადგენლის წერილი, 4 ივლისი, 1920.

გაწეული დამსახურებისათვის ლოქტორი გრეგორ ფონ ალშიბაია ფრანგებმა „საპატიო ლეგიონის“ წევრად აირჩიეს, პოლონელებმა კი დამსახურების ოქროს ჯვარი გადასცეს.

ჩემი მანდატორის—ლოქტორ გრეგორ ფონ ალშიბაიას სასახელოდ მეტყველებს ის, რომ მან მილიონი რუბლი გაიღო დახმარებისათვის როდესაც წითლებმა, ომის გამოცხადების გარეშე, დაიკავეს საქართველო 1921 წლის თებერვალში.

არსებობს წერილობითი საბუთი ამის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის მეორე პრეზიდენტი.

როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყანა, ლოქტორ ალშიბაია, თავის ოჯახთან ერთად უცხოეთში გადასახლდა. კონსტანტინეპოლისა და ვენას გავლით, 1921 წელს იგი ბერლინში ჩავიდა. ინფლაციის წინ 7000 აშშ დოლარი გაიღო სტიპენდიების გასაცემად.

მცდარ პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ პოლონელმა გენერალმა ლიბშმა გახადა შესაძლებელი, გრეგორ ფონ ალშიბაია პოლონეთში



რომ ჩასულიყო. სინამდვილეში კი მოხდა ისე, რომ გრეგორ ფონ ალშობაიამ ბაქოში მინისტრი ფილიპოვიჩი სიკვდილს გადაარჩინა. ვიანებით კი მას ბერლინში შეხვდა. გამოღვევისა და მინისტრობის დაკარგვის შემდეგ. გრეგორ ფონ ალშობაიამ ადგილი დაიკავა გროდნოს სამხედრო ჰოსპიტალში. სწორედ აქ გაიცნო მეთაური გენერალი ა. ლიტვინოვიჩი, რომელიც შემდგომში ვიცე-მინისტრი გახდა. სიმართლეს არ შეეფერება ის, თითქოს ვროდნოში სკანდალი მომხდარიყოს. მცდარი პუბლიკაციის ამ მტკიცებას უარყოფს გროდნოში დოქტორ ფონ ალშობაიას სამედიცინო შრომით მოპოვებული ატესტატი და ის ფაქტიც, რომ დოქტორ ფონ ალშობაია დაინიშნა მთავარ ინტერნისტად სამხედრო სამედიცინო აკადემიის პოლიკლინიკაში 1937 წელს. ბატონ დოქტორ ფონ ალშობაიას სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ იგი იყო საოჯახო ექიმი შემდეგი პიროვნებებისა:

მინისტრი კონტიალკოვი.

ვიცე-მინისტრი, გენერალი ლიტვინოვიჩი.

დიონისე, ორთოდოქსული მიტროპოლიტი

პოლკოვნიკი, დოქტორი მ. უოისცინსკი (მარშალ პილსუდსკის პირადი მეგობარი)

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ვარშავის ოკუპაცია მოახდინეს, დოქტორ გრეგორ ფონ ალშობაია აირჩიეს ვარშავაში ქართული კოლონიის პრეზიდენტად. შემდგომში იყო კავკასიური კოლონიის პრეზიდენტი. მისი ამოცანა იყო კავკასიელთა ინტერესების დაცვა მთავრობის წინაშე. მწვავე ოპოზიციისა და იმ დროს არსებული პირობების გამო, იგი თანამდებობიდან გადაყენებული იქნა გერმანელების მიერ.

მტკიცებულება: ოკუპირებული აღმოსავლეთი ტერიტორიების 1943 წლის 12 ნოემბრის რაიხ მინისტრის წერილი.

ამ წერილში ნათქვამია, რომ გადაყენება მოხდა იმის გამო, რომ თქვენ გააკეთეთ კაპიტულანტური შენიშვნები, რაც ეწინააღმდეგებოდა უმაღლეს ხელისუფლებას და არ შეესაბამებოდა უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებებს. ელჩმა, გრაფმა ფონ დერ შულენბურგმა, რომელიც დიპლომატიური კომისიის შეფი იყო საქართველოში მისი დამოუკიდებლობის პერიოდში, ურჩია დოქტორ ფონ ალშობაიას დაეტოვებინა ვარშავა, რათა თავიდან აეცილებინა გერმანიის სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის რეპრესიები. აი, ეს არის ის, რაც მოხდა. 1944 წლის ბოლოს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა ვარშავას მიაღწიეს, მისი ოჯახიც გაიქცა ვარშავიდან და გერმანიაში რეიხპოლში გადასახლდა, სადაც უკვე ცხოვრობდა დოქტორ ფონ ალშობაია. 1949 წლის ოქტომბრიდან დოქტორ ფონ ალშობაია საცხოვრებლად გადავიდა მიუნხენში.

შეუძლებელია დოქტორ ფონ ალშობაიას ან მისი ვაჟის ამოცანად იქცეს იმის მტკიცება, რომ ეგრეთ წოდებულ სასამართლო განცხადებაში მოცემული სრული სიცრუეა, დაე დემეტრამ დაამტკიცოს მათი სისწორე.



მე არ ჩავუღრმავდები ზოგ დეტალს ამ მოსაზრებათა სიყალბის დასამტკიცებლად.

ამ ყალბ პუბლიკაციაში დემეტრა ახსენებს კომისიის მიერ მოპოვებულ ოქმს, რომელიც თითქოსდა ქართველთა კოლონიამ შექმნა იმისათვის, რომ გამოეძიებინა ალშიბაიას მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება—ოქმი მოთხოვნისთანავე წარედგინება სასამართლოს. ქართველთა კოლონიის 1942 წლის 15 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე ნათლად არის ნათქვამი, რომ დიდი მადლიერება ეკუთვნის საქართველოს წარმომადგენლობის შეფს მისი წარმატებული და ერთგული სამსახურისათვის. ამავე ოქმში ნათქვამია, რომ მიხეილ ალშიბაიამ სამშობლო დატოვა იმისათვის, რათა ებრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ თავისი ქართული, მშობლიური მიწის გადასარჩენად, 52-ე მსროლელთა პოლკის მეთაური ოფიცრის წერილიც იქნა წაკითხული ამ მიტინგზე. წერილში ნათქვამი იყო, რომ მიხეილ ალშიბაია განსაკუთრებული მიღწევებისათვის დაჯილდოებულია მეორე კლასის ბრინჯაოს ჯვრით.

ქართული კოლონიის გენერალური 1943 წლის 9 მაისის ასამბლიის ოქმი ცხადყოფს, რაოდენ დიდი მადლიერების გრძნობით ეკიდებოდა ქართველთა კოლონია დოქტორ ალშიბაიას. ასამბლიის ოქმი ადგენს, რომ მიხეილ ალშიბაია ორი წლის განმავლობაში იყო ფრონტზე და დანიშნეს მეკავშირეთა ოფიცრად—არმიის უმაღლეს სარდლობასა და ქართველთა ნაციონალურ კომიტეტს შორის. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ მიხეილ ალშიბაიას არაფერი ესაქმებოდა სახელმწიფო საიდუმლო პოლიციასთან და არც არასოდეს წვევია რომელიმე რუსულ ტყვეთა ბანაკს. ეს რომ ასე იყო, შეიძლება დაამოწმონ შემდეგმა პირებმა:

აჰმედ-ნაბი მაგომამ—მიუნხენი, იუგენდის ქ. №12

გენერალმა იოლასემ—აისინგი საიბრუკის მახლობლად.

ალშიბაიას აზრი ებრაელების შესახებ წარმოდგენილია კედიას წერილობით მოხსენებაში დამატებებით, რომელიც 1946 წლის 3 მაისიდან თარიღდება. იგი ამტკიცებს, რომ მიხეილ ფონ ალშიბაიამ გადაარჩინა მრავალი ქართველი ებრაელი და სხვა ეროვნების ებრაელები გერმანული ხელისუფლებისაგან. ამასთან დაკავშირებით ბრალდების არასაიმედოობა ნათელია.

ვარშავაში გრეგორ ფონ ალშიბაიას მოღვაწეობის შესახებ დავასახელებ შემდეგ მოწმეებს:

პროფესორი ჯორჯ ფონ მენდე, დიუსელდორფი, სესილენალეს 52 და აგრეთვე ჰერ ფონ ჰეროთი. შემდეგი მოწმეები არიან: პროფესორი, დოქტორი მ. წერეთელი, მიუნხენი 23, ჰერმან ვოგელის, თავადი ნაკაშიძე, მიუნხენი, უნგერერის ქ. 86/III; თავადი შალიკაშვილი დიმიტრი, ჰაპენჰაიამ, ალტის შლოსი. თან ახლავს, აგრეთვე, 1951 წლის 4 დეკემბრით დათარიღებული წერილი სერჯი ვოისეხოვსკისა.

თავად, ნაკაშიძეს, აგრეთვე, შეუძლია დაამტკიცოს, რომ გენერალ  
მაყაშვილის ბრალდება მცდარია.

მაყაშვილის მტკიცებასთან დაკავშირებით შედარება გაკეთდა საგა-  
რეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის ჩვენებასთან. სახელმწიფო  
მდივნის დოქტორ გვარჯალაძის მიერ მიცემულ ჩვენებაც შეიძლება  
გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად.

ფაქტი, რომ გრეგორ ფონ ალშიბაია ცდილობდა გაეთავისუფლებინა  
ქართველი ოფიცრები და წარმატებითაც შეასრულა ეს, მტკიცდება  
შემდეგი მოწმეების მეშვეობით:

პროფესორი მიხეილ ახმეტელი უნტერვაისბახი (?). ეგრეთწოდებულ  
საბრალდებო ჩვენებაში ფუქსავატურად ხაზგასმულია, რომ გრეგორ  
ფონ ალშიბაიამ მოიპარა შაქარი, ბოლო ფინანსთა მინისტრი ქურხული,  
რომელიც ნახსენებია საბრალდებო ჩვენებაში, იყო დეპუტატი, რომე-  
ლიც შემდგომში გახდა მინისტრთა მინისტრი. იგი ამჟამად ცხოვრობს  
პარიზში. თუ ასეთი ძარცვა მოხდა მინისტრს უნდა რამე სცოდნოდა  
ამის შესახებ. გარდა ამისა, საგარეო სამსახურის ჯენტლმენს, ვისაც  
ჩაბარებული აქვს ჩვენება, უნდა სცოდნოდა ეს“.

გრეგორ ფონ ალშიბაიას არასოდეს არ ჰქონია გერმანიის მოქალა-  
ქეობა. ეს მტკიცდება მისი პირადობის მოწმობებით, რაც შეიძლება  
წარმოვადგინოთ.

საბრალდებო ჩვენების ერთ-ერთი მთავარი ნაწილია შემდეგი მტკი-  
ცებულება. „ვარშავის მიდამოებში ერთდროულად დაიკარგა ექვსი ქარ-  
თველი, რომლებსაც ჰქონდათ ალშიბაიას სამხილი. კოლონიის წარმო-  
მადგენელთა მოთხოვნა გესტაპოს მიერ დაპატიმრებულთა მფარველობის  
ქვეშ აყვანის შესახებ ალშიბაიამ გულცივად უარყო. ალშიბაიას სადის-  
ტური შურისმაძიებლობა ოფიცრთა მიმართ, რომლებიც არ დაემორ-  
ჩილნენ მას და უპირისპირდებიან მისი მდგომარეობის ბოროტად გამო-  
ყენებას, არ მთავრდება და იგი განაგრძობს ცილისმწვამებლურ ბრალ-  
დებებს ყველას მიმართ, ვინც არ ემორჩილება მას, ან ხელს არ  
უწყობს ქურდობაში, ძარცვებსა და სხვა ხალხის ქონების უკანონოდ  
მითვისებაში.

ალშიბაიას მიერ მხილების შემდეგ გაუჩინარდნენ:

ე. ბაგრატიონი

უ. ათაბეგიშვილი.

მახარაძე

არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე და სხვა.

დაკარგულ ებრაელთა რიცხვის დადგენა შეუძლებელია“.

ეს მტკიცებულებანი ადვილად ბათილდება: ბაგრატიონი უბრალოდ  
ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, რაც დასტურდება მოწმე თავად  
შალიკაშვილის ჩვენებით, მახარაძე წავიდა კიევი ბიზნესის საწარ-  
მოებლად.

საინტერესოა აღინიშნოს, თუ როგორ ახასიათებს ავტორი ფერაძეს,

სინამდვილეში ფერაძე მუშაობდა საბჭოელებთან. ფერაძის დასახელებული არიან შემდეგი მოწმეები:

პროფესორი მენდე, მისამართი ზემოთ არის მოცემული.

ბატონი ენგელჰაუპტი, მისამართს შემდეგ წარმოგიდგენთ, თავადი შალიკაშვილი, მისამართი ზემოთ არის მოცემული.

ბატონი ბაქრაძე, პარიზი.

თავადი ნაკაშიძე, მისამართი ზემოთ არის მითითებული.

პროფესორი წერეთელი, მისამართი ზემოთ არის მოცემული.

პროფესორი, დოქტორი ნიკურაძე, ელექტრონული და იონების კვლევითი ორგანიზაცია, შვარცნფელი.

პროფესორი მენდე გაცნობილია საქმეს, საბრალდებო ჩვენებაში იმ ფაქტთან დაკავშირებით: „ვარშავის მიდამოებში ერთდროულად დაიკარგა ექვსი ქართველი, რომლებსაც ჰქონდათ ალშიბაიას სამხილი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან დაკავშირებით წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებანი:

პროფესორ წერეთლის წერილი, 18 ნოემბერი, 1951.

პროფესორ ნიკურაძის განცხადება, 18 ნოემბერი, 1951.

თავად ნაკაშიძის განცხადება, 23 ნოემბერი, 1951.

დაბოლოს, წიკლაურის საქმესთან დაკავშირებით მიტენვალდში, შემდეგი შეიძლება დავასკვნათ:

ფაქტების გასარკვევად მოწმედ ვასახელებ სახელმწიფო მდივანს დოქტორ ობერლენდერს, მიუნხენი, დევნილთა საქმეებში სახელმწიფო მდივანს.

სამხედრო სასამართლოს მიერ გაიმართა სასამართლო განხილვა, რაც ექვემდებარება ცილისმწამებლურ მტკიცებას. იმ დროისათვის დოქტორ გრიგოლ ფონ ალშიბაია და მიხეილ ფონ არჩიბაია არც კი იცნობდნენ გ. ვაბლიანს.

რულოფ აშენაუერი  
პროკურორი

პროფ. დოქ. გერჰარდ ფონ მენდე  
დიუსელდორფი  
სესილიენალეე 52  
10 დეკემბერი, 1951.

### დეკლარაცია

პოლონეთში, გერმანელთა ჯარების მიერ ამ ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციული ჯგუფების მდგომარეობისა და უშუალოდ ყველაზე უფრო მეტად, დოქტორ გ. ალშიბაიას საქმიანობის ცოდნისა და პერსონის ნაცნობობის მიხედვით, რომელთანაც ხშირი კონტაქტები



მქონდა, როგორც ომის პერიოდში აღმოსავლეთის სამინისტროს ფილების შეფთან, შემიძლია გავცე ქვემოთ დეკლარაცია მისი საქმის თაობაზე:

1. მას შემდეგ, რაც ვარშავა ოკუპირებული იქნა გერმანული ჯარების მიერ და ქართველთა კოლონიის პრეზიდენტი იმნაძე გაიქცა, ქართველთა კოლონიამ თხოვნით მიმართა დოქტორ ალშიბაიას მისი პირადი რეპუტაციის, ენების ცოდნის და ბაქოში საქართველოს ელჩად მუშაობის დროს გამოჩენილი უნარიანობისათვის თავის თავზე აეღო ქართველთა ინტერესების წარმომადგენლობა ეგრეთწოდებულ უმაღლეს მთავრობაში. ამ თხოვნას შეუერთდნენ აზერბაიჯანელები, სომხები და ჩრდილო კავკასიელები, რომლებიც მაშინ ვარშავაში ცხოვრობდნენ. ასე რომ, დოქტორ ალშიბაია წარმოადგენდა მთელი კავკასიელი ემიგრანტების ინტერესებს უმაღლესი მთავრობის მთელ ტერიტორიაზე. დოქტორ ალშიბაია თავის სამუშაოს ასრულებდა ბერლინში კავკასიელთა წარმომადგენლობასთან ახლო კავშირში, რომელსაც მეთაურობდა უ. ახმეტელი, ყოველგვარი ანაზღაურების მიღების გარეშე.

დოქტორმა ალშიბაიამ წარმატებებს მიაღწია კავკასიელთა ხანგრძლივი და ნაყოფიერი წარმომადგენლობით უმაღლესი მთავრობის ყველა ოფისში, ხშირი ვიზიტების საშუალებით ბერლინში თავისი თანამემამულეების ეკონომიკური და ლეგალური უშიშროების საკითხებში, იმდენად, რომ მათ თავი დააღწიეს შიმშილობასა და სიღატაკეს. ასეთი მოქმედების დროს დოქტორი ალშიბაია ხშირად იყენებდა გულდია საუბრის ენას მთავრობის კომპეტენტურ პირებთან და არასოდეს არ ფარავდა თავის შეხედულებას საჩივრებზე და პოლიტიკურ ხარკეზებზე. იგი ყოველთვის აღწევდა დასახულ მიზნებს თავისი თანამემამულეების სასარგებლოდ, მაგრამ იმდენად დაუცველად დაიტოვა საკუთარი თავი, რომ გერმანიის მთავრობამ მოინდომა მისი აცილება უხერხული კრიტიკისაგან და გამოაცხადა—ყველასათვის თანაბარი უფლებების დაცვა, 1943 წლის ივნისში უმაღლესი მთავრობის მოხელეების მიერ შეუჩერდა უფლებამოსილება, როგორც ვარშავაში კავკასიელთა კოლონიის პრეზიდენტს, რადგანაც მას მიაწერდნენ შეურახმყოფელ გამოთქმებს, იგი აკრიტიკებდა უმაღლესი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს და არ აღასრულებდა ამ მთავრობის ბრძანებებს.

2. ვარშავაში კავკასიელთა კოლონიის პრეზიდენტად მოღვაწეობის განმავლობაში ადგილი ჰქონდა არქიმანდრიტ ფერაძის შემთხვევას. ფერაძე ვარშავაში რუსული ეკლესიის მღვდელი იყო. მანამდე, ომამდე და ომის პერიოდში იგი იყო ბერლინში, რათა აღესრულებინა შემდგომი პროექტი ბერლინში რუსული ორთოდოქსული უნივერსიტეტის დაარსებისა. ამასთან დაკავშირებით გავიცანი იგი. საუბედუროდ გარეუბნის ინტელიგენციამ რუსეთის საზღვარზე დაიჭირა ერთი ქალი, მას უპოვეს დაშიფრული ინფორმაცია, რომლის სათავე იყო ფერაძე. მაშინ ფერაძე დააპატიმრა გერმანიის ხელისუფლებამ. მის აპარტამენტში

იპოვეს ორი დღიური კასეტებისა ქართულ ენაზე. მისი საქმიანობის ამსახველი საბჭოელების სამსახურის შესახებ და უამრავი დოკუმენტი და გირვანქები... რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ის იყო საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი ბერლინში. ფერაძე გაასამართლა გერმანიის სამხედრო სასამართლომ და სიკვდილი მიუსაჯა, საბჭოელების შპიონაჟის გამო.

მე ვხვდები, რომ ფერაძის საქმე ნამდვილ სენსაციად იქცა არა მარტო ქართველ ემიგრანტთა შორის, არამედ სხვა წრეებშიც, იმდენად რამდენადაც ფერაძეს როგორც ავტორიტეტულ მღვდელს ფართო წრეები იცნობდა. საბჭოეთისათვის მისი ჯაშუშური საქმიანობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა და ეხებოდა ბევრ მოხელეს, რომლებიც ჩათრეულნი იქნენ ფერაძის საქმეში, რათა გამოძიება წარემართათ ზედმიწევნით ფრთხილად და კორექტულად.

დოქტორ ალშიბაიას არანაირი საქმე არ ჰქონია არც ფერაძის მხილებასთან და არც მის დაპატიმრებასთან. ეს დაპატიმრება ისევე მოულოდნელი იყო დოქტორ ალშიბაიასთვის, როგორც ყველასათვის, ვინც კი იცნობდა ფერაძეს. ფერაძის დაპატიმრების შემდეგ, დოქტორმა ალშიბაიამ, როგორც კავკასიელთა კოლონიის პრეზიდენტმა, მიმართა გერმანიის სახელმწიფო საიდუმლო პოლიციას (გესტაპოს), რათა შეესწავლა, რა მიზეზით მოხდა დაპატიმრება და რისი გაკეთება შეიძლებოდა პატიმრისათვის.

კომპეტენტური გერმანელი მოხელეების მოთხოვნით, დოქტორი ალშიბაია იძულებული გახდა, დაესახელებინა რამდენიმე ქართველის სახელი, ვისაც შეეძლო ეთარგმნა ფერაძის დღიურები. რამდენადაც მახსოვს, სამი ქართველისაგან შედგა კომიტეტი. მათ შორის იყო კაპიტანი ბაქრაძე, რომელსაც მოსთხოვეს გაცნობოდა და ეთარგმნა ფერაძის დღიურები. გერმანელთა მხრიდან დღიურების მეორე მიმოხილვა შეასრულა პროფ. მეკელაინმა. ბერლინის კუთვნილი კასეტებით და მისი შემდგომი განცხადებით სრულიად ცხადი გახდა, რომ ფერაძე ჯაშუშობას ეწეოდა რუსებისათვის მრავალი წლის განმავლობაში და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საბჭოთა მოხელეებთან ბერლინში. ამის თქმა შემიძლია ფერაძის საქმის პირად ცოდნაზე დაყრდნობით. ქართველების მხრივ და უფრო ნაკლებად დოქტორ ალშიბაისაგან ცოტა როდი გაკეთდა ფერაძის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ სასამართლო განხილვა ობიექტურად წარმართულიყო და ფერაძისათვის მოენახათ შემამსუბუქებელი გარემოებანი.

3. გერმანული ჯარების მიერ ვარშავის ოკუპაციისთანავე ქართველები—ინჟინერი ბერიშვილი, ათაბეგაშვილი და კეჭალმაძე ვარშავაში დახვრიტეს. დახვრეტამ სამართლიანი შფოთი გამოიწვია ქართველთა კოლონიაში და მე ვცაღე ვითარებაში გარკვევა. გერმანიის მოწინააღმდეგე ინტელიგენციისაგან შევიტყვე. რომ დახვრეტა მოხდა ვარშავის ასაღებად სამხედრო მოქმედების დროს, და ეს განხილულ უნდა იქნას,

როგორც შესაძლო პიროვნული შურისძიების აქტი მალაკელიძისა, რომელიც მუშაობდა გერმანელთა მოწინააღმდეგე ინტელიგენციასთან. ალშიბაიას რამენაირი დაკავშირება ამ დახვრეტებთან, ძნელია. მას არანაირი კავშირი არ ჰქონია გერმანელ მოხელეებთან. ერთ-ერთი დაღუპული იყო მისი უახლოესი კოლეგა და პარტიზანი. უკიდურესი სისულელეა, დოქტორ ალშიბაიას წინააღმდეგ, ყალბი ბრალდებების წამოწევის მიზეზი ალბათ ის არის, რომ მას, პატიოსან და ძლიერი ნების ადამიანს, იყენებდნენ სიმართლის სათქმელად. ამ გზით ის ყოველთვის როდი იძენდა მეგობრებს. მისმა ავტორიტეტმა სამშობლოში თუ გადასახლებაში თანამემამულეებს შორის, რეპუტაციამ, რომელიც მოიპოვა როგორც პოლიტიკურად, ისე ფიზიკურად პოლონეთსა და გერმანიაში, ცხადად აჩვენა, რომ მისთვის პიროვნულობა გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ის, რასაც ახლა ბრალად სდებენ შურიანობისა და ბოროტი სურვილის გამო.

მზად ვარ, ნებისმიერ დროს ფიცის ქვეშ გავიმეორო ჩემი განცხადება.

**ხელმოწერილია: დოქ. გერჰარდ ფონ მენდე უნივერსიტეტის პროფესორი, ოკუპირებული აღმოსავლეთ ტერიტორიების რეიხის სამინისტროს „კავკასიისა“ და „უცხო ერების“ სექციების ყოფილი შეფი.**

**P.S.** დოკუმენტების ორიგინალები იხილეთ ავტორის არქივებში.



# ილუსტრაციები





გიორგი ბაგრატიანი  
1990

ი. ა. 5161 აგ/ბაგ





გივი შალვაშვილი

1968


გივი შალვაშვილმა ჩამოიტანა გ. გაბლიანის „ჩემი  
მოგონებანი“ საქართველოში.



გივი ჭალდასტანოვილი და გივი გაბლიანი  
1993



მხნათე გაბლიანი  
1920



მთერ და მისი ბავშვები




გივი გაბლიანი  
1992



ნუსუზან გაბლიანი  
1942



გივი და რუსუდან გაბლიანები  
1990



გივი, რუსუდან, ეთერ და ვერა გაბლიანები  
1984



ბრეზორი, რუსუდან, ეთერ და ვერა გაბლიანები  
1980





ბიბი, რუსუდანი, გრემორ და ეთერი, ვერა ბაბლიანი და მისი  
მეუღლე ჯემს უინსტონი



გრემორი, მისი მეუღლე ჟაკლინ ლენგლი და შვილი ხირა ბაბლიანი

გამომცემლისაგან (მიხეილ რეხვიაშვილი).....	3
თავი VII	
ყირიმიდან გერმანიაში გამგზავრება .....	9
თავი VIII	
საფრანგეთსა და პოლანდიაში .....	72
თავი IX	
ომის დასასრული .....	176
ეპილოგი .....	226
დამატებები .....	243
ილუსტრაციები .....	285



THE EXPENSES OF PUBLICATION WERE PAID BY  
G. GABLIANI'S CHILDREN

---

გადაეცა წარმოებას 1.05.2000  
ხელმოწერილია დასაბუქდად 1.06.2000  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,5  
ზომა 60x90 1/16

---

